644
1994

ISSN 0132—6023

ცოდნა

(12) N1.

1

1994

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბათის რეკვიემი

შაბათი — ჩემი განკითხვის დღეა!

შაბათს ვიგრძენი ტანში უეცრად
ძამულის სევდა და აგონია.

შაბათს ჩიტივით აღმოხდა სული
ძიძას, თორმეტი ბარტყის მგალობელს.

შაბათს აღსრულდა ნება კაენის.

შაბათს დაინგრა თვით კართაგენიც —
ცეცხლის, მახვილის საკურთხეველი.

შაბათს მოადგა ქალაქს ხაზარი
და კრავებივით კლავენ უწყინართ.

შაბათის ზარი ჩაჰყვა შავლეგოს
ზღვის უბესავით სველ აკლდამაში.

შაბათს აიმღვრა ლაჟვარდი შორი,
გადაუარა ცას ქარბორიამ.

მწუხრის დებივით მოთქვამენ ერთად
ქალი და შაშვი — მთელი შაბათი.

შაბათს, ო, შაბათს მკვდართა, ცოცხალთა
საკაცედ იქცა უღელტეხილი.

ავაი! — ტყე-ტყე ვეძებ ძუძუმტეს,
შაბათის ჯუჯა ომში დაკარგულს.

წერამწერელთა წერად ქცეული
მივდევ საკუთარ ჩრდილს და საძვალეს.

ო, ერთადერთო, ჩემთვის უშენოდ
შაბათი — მკვდარი ფარშევანგია.

მოდით, მოგროვდით ყველანი ერთად,

შაბათის შხამით მეწვის გულ-გვამი
და ნაღველივით ვსვამ მოწყალებას.

.შვიდობით! — გულზე გეფინოს მზეებრ
შაბათი... ჩემი ხსოვნის შაბათი.

ვენრ კალანდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

იანვარი. № 1.

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1994

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გამოიღვიძე, ძნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

პოეზია და პროზა

11. ლადო სულაბერიძე — ლექსები
16. რევაზ მიშველაძე — ნოველები
28. ნოდარ ადეიშვილი — ლექსები
32. ზურაბ ფუბაბარია — ბრწყინვალე ჩონჩხები. რომანი. გაგრძელება
63. შაბურა ირაბული — ლექსები
65. ბივი გუთხუზი — მწუხარების ქარი. მოთხრობა
79. დავით ნავროზაშვილი — ლექსები
80. ნატო მინდაძე — ნოველები
85. მარინე რჩეულიშვილი — მწრალ გულამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის. გაგრძელება

დრამატურგია

107. ლევან მალაზონია — სიხლი სიხლით არ გაიგანება. პიესა

ახალი თარგმანები

138. გაბრიელ გარსია მარკესი — ფოთოლცვენა. რომანი. დასასრული. ესპანურიდან თარგმნა. თეა გვასალიამ
164. სვეტლანა ალილუევა — წიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ჩირაღდანი

169. გაჩანა გრეგვაძე — ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი. გაგრძელება

უნივერსიტეტი — 75

179. გოგი ციციშვილი — გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები

ინტერვიუ

188. სოლიკო ხაბეიშვილი — რეალურად აღვიძვათ სამყარო

საახალწლო კუპლეტები

191. ავთანდილ მეგრელიშვილი — ლექსები

მოადგილე რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბალათარ არაბული
ირაკლი ბაზაკაძე
ბიორგი ბაძანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ საყადაშვილი
ზურაბ საყადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
ბიბი სულაკაური
იორამ ქვეყრეტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თამარ შავლაძე
შალიკო შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორგელი
(პმ/გ მდივანი)
ბოლერაძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20445

ფსალმუნები

ფსალმუნი 35.

დავითის ფსალმუნი.

1. საჯე, უფალო, მოდავე ჩემი, ეომე ჩემთან
   საომრად მოსულს.
2. ხელი ჩასჭიდე ხმალსა და ჯავშანს,
   ზეადიმართე შეწევნად ჩემდა!
3. ამოიწვადე მახვილი შენი, გზა ჩაუგმანე
   მადევარს ჩემსას,
   ესიტყვე ჩემს სულს:
   „შენი მხსნელი ვარ“.
4. დე, კაწბილდეს და
   შეიმოსოს სირცხვილ-აუგით
   მაძიებელი ჩემი სულისა,
   უკუმოდგეს და
   დარცხვენილი გარეშეიქცეს
   ჩემი მტერი და ავისმზრახველი.
5. წარხოცოს ქარმა,
   ვითარცა მტვერი
   და ანგელოსმან უფლისამან უკუაქციოს;
6. იქმნეს მისი გზა ბნელი და
   ლიპი
   და ანგელოსი უფლისმიერი
   იყოს ნიადგ მდევარი მისი.
7. რადგან ამაოდ განმიფინა
   ბნელ ხაროებში
   მე სასიკვდილო ფაცერკოდები,
   ჩემს სულს საფლავი განუმზადა ტყუილუბრალოდ.
8. წამოეწიოს ფაფერაკი ანაზდეული,
   და იმავ ქსელში, მე რომ მიგებდა,
   გაიბლანდოს და
   გაუბას თვითვე.
9. ჩემმა სულმა კი იხაროს უფლით,
   იმხიარულოს მისმიერი მაცხოვარებით.
10. და ჩემმა ძვლებმა ძრწოლვით აღმოთქვან:
    უფალო ჩემო,
    რომელია სადარი შენი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერებისგან დაიხსნი უძლურს,
ღარიბს და ღატაკს
დაიფარავ მძარცველებისგან.
11. უკეთურნი და ცრუმოწამენი ბოროტულად
აღძრულან ჩემზე
და რაღაც უცხოს მეკითხებიან.
12. ავს მომაგებენ კეთილის ნაცვლად,
რომ სასიკვდილოდ შომიწყლან სული.
13. ხოლო მე მათი სნეულების ჟამს ჯვაღლის სამოსი
მემოსა ტანზე,
სულს მარხულობით ვიძაბუნებდი
და ჩემი ლოცვა ბრუნდებოდა ჩემსავ წიაღში.
14. მე ვიქცეოდი, როგორც მოყვასი თავისი ძმის და
თვისტომის მიმართ
და ვით დედაზე მგლოვიარე ჭირისუფალი,
დამწუხრებული ვიარებოდი.
15. და თუ როგორღაც შევფერხდებოდი, —
მყის ხარზეიმით იკრიბებოდნენ:
ჩემს დასამხობად ზვაობდნენ თურმე სულღაცემულნი —
და არ ვიცოდი —
მაძრწუნებდნენ და არა ცხრებოდნენ.
16. ოინბაზური მანჭვა-გრეხით
მიღრჭენდნენ კბილებს.
17. როდის მომხედავ, უფალო ჩემო! —
გამოარიდე ჩემი სული ნგრევას და პარტახს
და ჩემი მხოლოდშობილება ლომთაგან იხსენ, —
18. რომ განგადიდო დიად კრებულში
და ხალხებს შორის შეგასხა ხოტბა.
19. ნუმც იხარებენ, უფალო, ჩემზე
მოშუღლენი და მძალავნი ჩემნი,
გარს რომ მიევლიან ფარული ზიზღით
და თვალით ჩემზე ანიშნებენ ერთიმეორეს;
20. რადგან ისინი სამშვიდობოდ არას იტყვიან
და ამა ქვეყნის მორჩილთა მიმართ
ოდენ მზაკვრობა ჩაუთქვამთ გულში.
21. პირგანხმულები ყბედობენ ჩემზე:
ვაშა და ვაშა, —
იხილესო ჩვენმა თვალებმა!
22. და შენც, უფალო, მოგიხილავს ესე ყოველი:
ნუ დადუმდები, მეუფევ ჩემო,
ნურც შორი-შორად გამერიდები!
23. გამოიღვიძე, გამოიღვიძე და გადმომხედე განსაკითხავად,
ღმერთო ჩემო და მეუფეო,
გამომესარჩლე!
24. გამასამართლე შენი სიმართლით, ღმერთო ჩემო და
უფალო ჩემო,
რომ ვედარავინ იხაროს ჩემზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. და ვეღარც მტრებმა ჩაითქვან გულში:
აჰა, ესერა,
ალსრულდაო სურვილი ჩვენი!
და ვერაფდეს ალმოუტეეონ:
შეემუსრეთო და ჩავყლაპეთ იგი.
26. დე, გაწბილებამ მოაყივნოს ყოველთაგანი,
ვისაც უხარის სიავე ჩემი,
ჩემს დასამცრობად განდიდებულებს
სირცხვილ-ეუგის სამოსელი
ემოსოთ ტანზე.
27. იგალობოს და იმხიარულოს ჩემი სიმართლის
ყველა მსურველმა
და მიწყივ ხმობდნენ:
„დიდ არს უფალი,
ვინც სამშვიდობოდ ამწყალობებს მონასა თვისსა“.
28. და ჩემი ენა იღაღადებს სიმართლეს შენსას
და ქებას შენსას — ყოველცისმარე.

ფსალმუნი 36.

ლოდ ბარისადმი. უფლის მონა დავითისაგან.

2. ჩემს გულში ცოდვილს ესიტყვება ბიწიერება,
არ ეკარება შეუფის შიში
უკეთურის და უღირსის თვალებს.
3. თვით თავის თავსაც თვალთმაქცურად ებაასება,
თითქოს ცოდო-ბრალს ჩაიძიებდეს,
რომ შეიძულოს უფალმა იგი.
4. ბაგეთა მისთა გამონათქვამი სიყალბეა და
უსჯულოება,
ჭკუას არ უხმობს სიქველეთა შესამეცნებლად.
5. უსამართლობას განიზრახავს თავის საწოლზე,
არ განუდგება ცოდვის ბილიკებს,
არც უზნეობას განეთვისება.
6. უფალო,
ცათა წიაღშია შენი წყალობა
და ღრუბლებს სწვდება შენეული ჭეშმარიტება.
7. სიმართლე შენი
უზეშთაესის მთათა დარია
და შენმიერი მართლმსაჯულება — თვალშეუდგამი
უფსკრულის დარი,
კაცსა და პირუტყვს შეეწევი, უფალო ჩვენო!
8. ღმერთო, რაოდენ ძვირფასია შენი წყალობა!
და საფარველში შენი ფრთებისა
თავს აფარებენ ადამის ძენი.
9. დამსუყდებიან შენეული სახლის სიპოხით,
შენი მდინარის სიტკბოებით
დაითვრებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. რადგან შენა ხარ წყარო ცხოვრების
 და შენი ნათლით ვიხილავთ ნათელს.
11. შენს აღმსარებლებს მოუწყალენე შენი წყალობა
 და გულით მართალთ — სიმართლე შენი.
12. დე, ნურასოდეს წამომწევა ამპარტავნის და
 გორიზის ფეხი,
 ნუ უკუმაქცევს ხელი ბოროტის.
13. ჩამოიშალა ავსულთა გუნდი,
 ჩამოშავდა და
 წამოდგომა ვეღარ შეიძლო.

ფსალმუნი 37.

დავითის ფსალმუნი.

1. ნუ ექიშპები ბოროტეულებს,
 ნურც უკეთურებს გაეჯიბრები.
2. რადგან უმალვე ალერდივით გამოშრებიან,
 ჩამოჭკნებიან ბალახის დარად.
3. მიენდე უფალს
 და ჰქმენ კეთილი,
 დაიბინადრე მიწაზე და
 მწყემსე სიმართლე.
4. ისიამე და იხარე უფლით
 და იგი გიზღავს ნებისაებრ შენი გულისა.
5. გაანდე უფალს საგალი შენი,
 მიენდე მას და
 ის აღასრულებს.
6. გამოაბრწყინებს ნათელივით სიმართლეს შენსას,
 სამართალს შენსას — შუადღესავით.
7. უფალს უსიტყვოდ დამორჩილდი
 და დაემონე,
 ნუ შეგშურდება აღზევება ბოროტეულთა
 უზნეობის და სიბილწის გზაზე.
8. დასთმე რისხვა და
 დაიოკე ბორგნეულობა,
 ნუ ეშურები გამძვინვარებას,
 ნურც საძრახისად იგულბოროტებ.
9. რადგან ბოროტნი მოისრებიან,
 ხოლო რომელნი სასოებენ უფლისა მიმართ, —
 ქვეყნიერებას დაიმკვიდრებენ.
10. კიდევ ცოტაც და
 უკეთური აღარ იქნება,
 შენ მის ნაკვალევს დაეჭერდები
 და ვეღარ ჰპოვებ ნატამალს მისას.
11. ხოლო ქვეყანას უპოვარნი დაიმკვიდრებენ
 და დატკბებიან
 სამშვიდობო კეთილმძლეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ავს განიზრახავს მართლის მიმართ ბოროტეული
და კბილთა ღრჭენით გაუტეევს მისკენ.
13. მაღლა კი უფალს გაეცინება,
რამეთუ უწყის —
მისი ჟამიც მოაწევს მალე.
14. ხმალი იშიშვლეს ბოროტებმა,
მოზიდეს მშვილდი,
რომ განუწონინ ღარიბს და
ბეჩავს
და გზამართალნი გაბასრონ სამკვდროდ.
15. მახვილი მათი დაესობა მათსავე გულებს
და მშვილდი მათი შეიმუსრება.
16. სჯობს მართლისაგან მცირედი ძღვენი
ცოდვილი კაცის უზომო დავლას.
17. რამეთუ მკლავნი ცოდვილთანი
მოისრებიან,
ხოლო მართალთა მფარველია უფალი ჩვენი.
18. იცის უფალმა —
მარად ჰგიეს ჟამი მორჩილთა
და უკუნითი უკუნისამდე სამკვიდრებელი
დაშთება მათი.
19. არ შერცხვებიან ავბედობისას,
შიმშილობის ჟამს დაპურდებიან.
20. რადგან ცოდვილნი მოისრებიან
და გაქრებიან მტრები უფლისა, და ნასუქარი
ვერძების დარად
კვამლის წიაღში განიმქრევიან.
21. ვახშობს ცოდვილი ჩაუსესხებლად,
უცოდველი კი იწყალებს და
გასცემს გულუხვად.
22. რამეთუ მისგან კურთხეულები ქვეყნიერებას
დაიმკვიდრებენ,
მისგან წყეულნი — ამოწყდებიან.
23. წარიმართება უფლისაგან ნაბიჯი კაცის,
მისი გზა კეთილსასურველი იქნება მისთვის.
24. თუ დაეცემა,
დაეცემა შეუმუსრავად, —
ხელთაღმპყრობელი აღუპყრობს ხელებს.
25. ყმაწვილი ვიყავ, მოვხუცდი კიდეც
და არ მინახავს მართალი კაცი მე უსასოდ
მიტოვებული,
არც მოდგმა მისი —
ხელგაწვდილი ლუკმა პურისთვის.
26. ყოველჟამ კეთილმოწყალეობს
და გაასესხებს,
კურთხეულია ნაგრამი მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. განუდექ ბოროტს
  და ჰქმენ კეთილი
  და დამკვიდრდები უკუნისამდე.
28. რამეთუ უფალს სამართალი ესათნოება,
  არ განუდგება წმინდანებს თვისას, —
  ხელუხლებელნი იქნებიან სამარადჟამოდ,
  ხოლო ცოდვილთა ნაშიერი
  შეიმუსრება.
29. დაიმკვიდრებენ მართალნი მიწას
  და ქვეყანაზე დაშთებიან უკუნისამდე.
30. წმინდანის ბაგე ალმოთქვამს სიბრძნეს
  და ენა მისი
  სიმართლეზე ილაპარაკებს.
31. უფლის კანონებს იმარხავს გულში,
  არ შებრკოლდება ნაბიჯი მისი.
32. მისჩერებია ცოდვილი მართალს
  და მოკვდინებას აპირებს მისას.
33. მაგრამ უფალი დაანელებს ავკაცის ხელებს,
  არ განიკითხავს სამსჯავროში
  ცოდვათა გამო.
34. მიენდე უფალს,
  მიჰყევი მის გზას,
  ის მოგამაღლებს დედამიწის დასამკვიდრებლად
  და მოესწრები უკეთურთა გაცამტვერებას.
35. მინახავს უღმრთო, —
  აჯამი ვინმე,
  გაფოთლილი და ფესვგადგმული თავის წიაღში.
36. მაგრამ გარდახდა
  და ჰა, ადარ ჩანს,
  მოვიძიე და ვერსად ვპოვე
  სამკვიდრო მისი.
37. მფარველად ექმენ უმანკო სულებს და გულმართალზე
  გეჭიროს თვალი,
  რადგან მყოფადი
  უდრტვინველებს მოემადლება.
38. ხოლო ცოდვილნი მოისრებიან
  და წარწყმდებიან
  ნაშიერნი უსჯულოთანი.
39. უფლისგან მოვალს წმინდანთა დახსნა, —
  ციხე-ბურჯივით დაიფარავს შეჭირვებისას.
40. შეებას მოუვლენს მათ უფალი
  და გამოიხსნის,
  გამოარიდებს ცოდვილთაგან
  და შეეწევა,
  რადგან ის არის მეოხი და
  მფარველი მათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 38.

ფსალმუნი დავითისა. მოსახსენებელი.

2. ნუ განმიკითხავ შენეული რისხვით, უფალო,
ნურც შენმიერი გულისწყრომით
დამამუნათებ.
3. რამეთუ ჩემში განწონილა შენი ისრები
და შენი ხელი მამძიმებს მაღლით.
4. დაწყლულებულა შენი რისხვით სხეული ჩემი
და ჩემეული ცოდვების გამო
გამქარწყლებია სიმშვიდე ძვლებში.
5. რამეთუ ჩემს თავს აღემატა ჩემი ცოდვები,
დამძიმდა, როგორც მაშვრალის კირთი.
6. შემიყროლდნენ და დამილპნენ წყლულნი უგნურობის და
სიშლეგის გამო.
7. დავიდრიკე და დავმდაბლდი ფრიად,
დღემუდამ კუშტად დავიარები.
8. გათანგული მაქვს სიცხით გულ-გვამი,
განუკურნავი სნეულებით
მომწყვლია ხორცი.
9. დავმაბუნდი და დავგლახდი ფრიად
და ჩემი გულის სატკივარი აღმოვთქვი გმინვით.
10. უფალო ჩემო,
შენს წინაშეა ჩემეული ყველა გულისთქმა
და ჩემი ოხვრა დაფარული არ არის შენგან.
11. ძრწის ჩემი გული,
წარმიხდა ღონე
და თვალისჩინიც წამერთვა სრულად.
12. ნათესავნი და მოყვასნი ჩემნი გარიდებიან
სალმობას ჩემსას
და თავად ჩემი თვისტომებიც
გამდგარან შორად.
13. მახეს მიგებენ სულის მძებრეკელნი,
ჩემი სიავის მოსურნენი ბლანდავენ ხრიკებს
და დღენიადაგ მზაკვრულად ბჭობენ.
14. მე კი, როგორც ყრუ, არარას ვისმენ,
არარას ვიტყვი, ვითარცა მუნჯი.
15. დავალ, ვითარცა
კაცი ვინმე შეუსმენელი,
ვისაც სათქმელი შეაშრა პირზე
და გაუქვავდა ბაგეზე სიტყვა.
16. გესავ, უფალო,
მეიმედები,
შენ შემისმინე, ღმერთო ჩემო,
უფალო ჩემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. და მე ვღაღადებ:
ჩემზე ნურამც გაიხარებენ,
მაგრამ თუ სადმე წამიცდა ფეხი,
მყის მედიდურად აღმიდგებიან.
18. მიწყივ მზადა ვარ, დავემხო პირქვე,
მეეზურად მახლავს ტკივილი ჩემი.
19. ბრალიანობას გავამხელ ჩემსას
და შევძრწუნდები ჩემივე ცოდვით.
20. ჩემი მტრები კი გავეშებით გარემერტყმიან,
ტყუილუბრალოდ მოძულენიც
მომდგარან მრავლად.
21. და სიკეთის წილ ავით მზღვევენი
მყვედრიან ჩემთა სასიკეთო ქმედებათათვის.
22. ნუ მიმატოვებ, გენუკვი ისევ,
ნუ განმიდგები, უფალო ღმერთო!
23. გამოეშურე შეწევნად ჩემდა,
უფალო,
ჩემო ხელთაღმპყრობელო!

(ბაგრძელება იქნება)

ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

მიაუნჯას ნაპირებთან

მიაუნჯა ერთი პატარა მდინარეა კოლიმაში, ღელე უფროა, ვიდრე მდინარე. შაჰდანიდან 700 კილომეტრით დაშორებულ მის ნაპირებთან მიმიყვანეს 1950 წელს; 25 წლის კატორღა მქონდა მოსჯილი. იმ არემარეზე ადგილობრივი მოსახლეობა არასოდეს ყოფილა.

მარადი გამყინვარების ზონა.

მიწას ივლის-აგვისტოში შეადნება თოვლი. ბალახი, ოდნავ შემწვანდება თუ არა, მაშინვე ყვითლდება.

მთელი წლის განმავლობაში 40-50 გრადუსი ყინვა. მტრისას, ქარი თუ წაეტანა ჰაერს.

თოვლის სამეფო. აქა-იქ ჯუჯა ბუჩქები შეიძლება დალანდო.

გაყინული მიწის წიაღში კი ოქრო აურაცხელი და სხვადასხვა მადნეული. რუსეთის იმპერიამ ვერ მოახერხა ამ მიწის განუზომელი სიმდიდრის ათვისება. ვერც კომუნისტებმა შეუქმნეს პირობები მიწის წიაღის ამოთვისებლებს. ამაზე ვრცლად მაქვს ნაამბობი ჩემს სათავგადასავლო რომანში, რომელიც დაიბეჭდა „მნაოობში", 1992 წელს.

„ცხადსიზმარიანაში" მაქვს აღწერილი მიაუნჯას ამბებიც.

ომში, ბრძოლის ველზე ცეცხლის ჩაცხრომისას, ტყვეობაში და მიაუნჯას ნაპირებთანაც გონებაში ვთხზავდი ლექსებს, ზეპირად ვიმახსოვრებდი. მერე ვეძებდი ქაღალდებს და წვრილი ასოებით გადამქონდა მათზე. — ეგეს ქაღალდები მაინც გადარჩენილიყო. უკვირდათ, რად ვიკლავდი თავს, რა მელექსებოდა. ქართველებსაც უკვირდათ. ისინი პურს ეძებდნენ გამუდმებით. მე — ქაღალდებს. უკვირდათ მაგრამ ქაღალდს თუ წაწყდებოდნენ, მომირბენინებდნენ, აჰაო, წერეო.

მიაუნჯას ნაპირებთან ხუთ წელიწადს დავყავი. თორმეტი საათი გარეთ რომ ხარ, ცის ქვეშ, სამუშაოზე, საღამოს, დაბრუნებისას ულვაშზე ყინვის ლოლუები გაქვს ჩამოპორწიალებული. ზონაში შემოვცვივდებოდით თუ არა, ყველა ბარაკებში გარბოდა. მე ულვაშზე ყინვის ლოლუებჩამოპორწიალებული, ჯერ ჩემი ლექსების პატარა წიგნაკის სამალავისკენ გავეშურებოდი, გარეთ, თოვლში ან წიდაში ჩაფლული წიგნაკი თუ ადგილზე დამხვდებოდა, გულდამშვიდებული შევალაჯებდი ბარაკში და ულვაშებზე ყინულის ლოლუებიც შემადნებოდა.

ლექსების თხზვამ და მათი გადარჩენისათვის ზრუნვამ შემიმსუბუქა შიმშილი, სიცივე, არაადამიანური, კატორღული ჯაფა.

რამდენიმე ქართველი მეგობარი თანამგრძნობდა, მამხნევებდნენ, მაქებინებდნენ, ლექსებს მიქებდნენ. ორმა მათგანმა განთავისუფლების შემდეგ გამოიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც ჩემი პატარა წიგნაკები ბანაკიდან. ერთმა თბილისში თავისი ხელით ჩაუტანა დედაჩემსა და მამაჩემს; მეორემ ფოსტით გაუგზავნა ჩემს მშობლებს. ორთავემ პატიმრობის ათ-ათი წელი მოიხადა. განთავისუფლებისას ყველას ჩხრეკდნენ, რომ ენახათ უცხო ხელნაწერები, შეეძლოთ განთავისუფლებული დაებრუნებინათ და სასჯელი დაემატებინათ. გარისკეს და გაიტანეს. ასეთი თავგანწირვა ნამდვილად გმირობაა. ის წიგნაკები ახლა ჩემს არქივში ინახება. დაბრუნების შემდეგ ამ წიგნაკებიდან ბევრი ლექსი გამოვაქვეყნე და კრებულებშიც შევიტანე.

ბევრი მათგანი მხატვრული თვალსაზრისით ფერმკრთალად გამოიყურებოდა და ამიტომ თავს ვიკავებდი, არ ვაქვეყნებდი. ახლა, ორმოცი წლის შემდეგ კვლავ გადავხედე ამ ლექსებს. მწარე ბიოგრაფია აქვთ მათ. იქ იმიტომ ვწერდი, ოქვენამდე მოელწია და წაგეკითხათ, ძვირფასო მკითხველებო. მერე რა, თუ გარეგნულად ფერმკრთალად გამოიყურებიან. ავი ბედისწერის წინაშე ქედმოუხრელი ქართველი ჭაბუკის კვნესა, ვძინავ, შუდარა და ღაღადი მოისმის ამ სტრიქონებიდან.

ხელი აღარ მიხლია, როგორც დაიწერა, იმ სახითვე გთავაზობთ.

● ● ●

ოსანა

ოსანა! რეკენ ზარები,
იქ მტრედმა ფრთა გადმოშალა
და ღუღუნებენ მტრედები:
ოსანა! ოსანა!
ოსანა! თეთრი საყდარი
კლდეს დაფრენია მტრედივით.
ოსანა! კლდის ძირს მდინარეს
შებრძოლებია მეტივე.

ოსანა! მთების გადაღმა
შავი ღრუბლები მოსჩანან,
ღმერთო, ავდარი მაშორე,
ოსანა! ოსანა!
ის გაზაფხული ¡მოვიდეს
მთებისა შესამოსავად.
ოსანა! რეკენ ზარები.
მტრედი ღუღუნებს: ოსანა!

1951

ნეტავი

ნეტავი¸ თავი მომეკლა
სვეტიცხოველის კარებთან, —
დედა ჭაღარას გაშლიდა
და მკერდზე დამაფარებდა.
ნეტავი¸ გავმქრალიყავი
სამშობლოს ზეცის ღრუბლებში.
ნეტავი¸ ჩაეზეხილიყავ
მამადავითის უბეში.
ნეტავი¸ თავი დამეხრჩო
არაგვში ანდა მტკვარშია,

ნეტავი¸ მოვმკვდარიყავი
თავუუხა პურის მკაშია.
ნეტავი ხმალს გავეჩეხე
მარაბდასთან ან კრწანისთან,
უდედოდ, უსაქართველოდ
ვერ გავძელ ერთი წამითაც.
სამშობლო სამარეშიდაც
სევდას არ მომაკარებდა.
ნეტავი მოვმკვდარიყავი
სვეტიცხოველის კარებთან.

1951

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმღეროთ

მოდით, ვიმღეროთ ქართულად რამე,
რამ დაგაღონა ამობილო, რამა,
თვალები ცრემლში რად ჩაილამპ?!
მოდით, ვიმღეროთ ის ჩარირამა,
ის მარიკელა, გოცაძის ქალი,
სიყვარულითა და ვნებით მთვრალი,
იქ რომ შეისწრეს ერთხელ კოცნაზე, —
მო. მოვიგონოთ ჩვენ ის გოცაძეც.
გავმხიარულდეთ იქნება ასე,
იქნება დარდი ამოვიქარვოთ.
ამ შელამების ნისლიან გზაზე
ხანდახან ჯვარიც არ მოვიკაროთ.
მოდით, ვიმღეროთ, შემოვკრათ ტაშიც,
ხმა ხმას შევუწყოთ, თორემ მომწყინდა
სულ კენტად ყოფნა ამ უცხო ხალხში,
მძიმეა ტვირთი, წელი მომწყვიტა.
საქართველოში ვინმე რო გვნახავს
გაშლილ სუფრასთან, ვგონივართ
ძმები, —
ნუ დავშორდებით ერთმანეთს ახლაც,
მოდით, შევუწყოთ ერთმანეთს ხმები.
შემსუბუქდება ცოტათი ტვირთიც,
მასმინეთ ჩვენი ქართული ენა,
თორემ მე გუშინ ისე ავტირდი,
ძლივს შევაკავე ცრემლების დენა.
მოდით, ვიმღეროთ, იქნება ღამეც
გადაღამდეს და გათენდეს ფილაც.
მოდით, ქართულად ვიმღეროთ რამე,
ერთმანეთს ხმები შევუწყოთ ტკბილად.

1952

ქრისტე აღსდგა

ქრისტე აღსდგაო!.. რეკენ ზარები
ქაშუეთისა და სიონისა.
ლამობენ ლურჯი ნიავქარები
მტრედები გადაასინონ ისანს.
ქრისტე აღსდგაო!.. ქრისტე! ქრისტეო!
ქრის ტიალ-ტიალ ველებზეც ქარი.
„თუ რამ შევცოდეთ, მან მოგვიტეოს“, —
წურწულებს ლოცვა, გუგუნებს ზარი.
ქრისტეო!.. ახლა ის ნარიყალაც
ქვე დაცემული ცას შეღაღადებს.
ისე მოადგა ცისკარი ქალაქს,
იქნება აწი აღარც დაღამდეს.
ქრისტეო!.. მუხლზე საყდართან მდგარი,
სულ დაწყევლილი ყისმათოვანი,
გასაკითხავს და წყალობას ითხოვს
ძირს დამხობილი ის მათხოვარი.
ქრისტე აღსდგაო!.. და ჩემი დედა
ჯვარცმული ქრისტეს ხატებას ხედავს,
იქნებ ჰგონია სურათი ჩემი,
დამჭკნარ ღაწვებზე ჩამოსდის ცრემლი
და მეფერება: აღსდექო, შვილო!
ქრისტე აღსდგაო! ქრისტე აღსდგაო!
...შენ კი მეხვევი, გაქრობის ჩრდილო,
ამ აღდგომა დღეს გსურს გამათაო.
ჩამომეცალე, ჩამომეცალე,
ჰოი, გადმიშვი, შე უცხო მთაო!
ახლა თბილისში ყველა მერცხალი, —
ქრისტე აღსდგაო! ქრისტე აღსდგაო!
ყველა დაწყევლილ ყისმათოვანი,
ლედმიწაზე ქვე დანაცემი,
ის ნარიყალა, ის მათხოვარი
და ლედაჩემი, და ლედაჩემი —
აღსდექ, აღსდექო, მე მომძახიან
და ჯვარცმულის წინ თავებსა ხრიან.
ლამობენ ლურჯი ნიავქარები
მტრედები გადაასინონ ისანს.
ქრისტე აღსდგაო!.. რეკენ ზარები
ქაშუეთისა და სიონისა.

1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო

როცა დარდები ხელს წამავლებდა,
მომედებოდა გულზე ჭლექივით,
ყველაზე უფრო შენ მიწამლებდი,
შენ იყავ მაშინ ჩემი ექიმი.

შენ რომ დაგშორდი, გამშორდა ლხინიც,
ცივდება გული, ფიტდება ტვინი.
ჩემს მწუხარებას ახლა უშენოდ
რამ მოულხინოს, რაღამ უშველოს?

1952

ნაუ...

ნაუ... ნაუ... რეკს ზარები,
ნაუ... ნაუ.. ნაუ...
მიაქვთ კუბო, ვინ შორდება
ქვეყნის აურზაურს?!
ნელა, შავი ბალდახინი,
ნელა, ცხენი შავი,
შავ კუბოზე ფრთადახრილი
შავი ქარიშხალი!
შავ კაბაში გახვეული
შავთმიანი ქალი, —
ნაუ... ნაუ... რეკს ზარები, —
შენ კი რაზე გალობ?!
კუბოს თავთან იქ მტრედები
ღუ... ღუ... — ღუღუნებენ.
იმ თმაგაშლილ ქალს ქალები
სევდით უყურებენ.

ჩუმად, ჩუმად, ქალის თმებში
ფრთადახრილი ქარო.
დააყურე, კი არ ტირის,
სიყვარულზე გალობს.
სიყვარულმა განა იცის
ცრემლი ანდა გლოვა,
მერე რაა, იმ ყმაწვილმა
გული აქ დატოვა.
მერე რა, რომ შავი მოსავს,
უყვარს შავი ფერი.
დააყურეთ, კი არ ტირის,
სიყვარულზე მღერის.
ჰაუ... ჰაუ... შავო ქორო.
შავო ბედო, ჰაუ...
ნაუ... ნაუ... რეკს ზარები.
ნაუ... ნაუ... ნაუ...

1952

გველი სიზმარში

სიზმრად გნახე, ჩემო ანგელოსო,
სიზმარი და ცხადიც დაგელოცოს,
სიყვარულის ჩემის ღვთაებაო,
თქვეს: ბოროტის ხლართში გაებაო.
შენ კი მკერდზე მეხვეოდი ნელა,
მეხებოდა შენი ნაზი კანი.

უცებ მეხმა კლდეზე გაპკრა ელვა,
გაგიბრწყინდა თვალი ცეცხლიანი.
შემეშინდა... რისთვის შემეშინდა?
რად თქვეს, საშიშ ხლართში გაებაო?
შენ ხომ მკერდზე მეხვეოდი მშვიდად,
სიყვარულის ჩემის ღვთაებაო.

1952

●

ქრიან, ქრიან ჩემი დღენი,
მიჰქრის ჩემი ცხენი.
მე ვუყურებ ატმის ვარდებს,
ქარში ჩამოცვენილთ.

აბა, მე რა გამიხარდეს, —
ფრენით, ფრენით, ფრენით
მშორდებიან ჩემი დღენი,
ჩემი თეთრი ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰე, სადა ხარ, სად ხარ, სადა
შენ, ყამარის ქალო,
ქარმა ადარ მომიცადა,
ველარ ვქარიშხალობ.
ვერ მოვალწევ შენთან, ვერა,
მზეო ჩემი ლექსის,
მე დავრჩები დალექილი
წუთისოფლის ლექში.

მშორდებიან ყრმობის დღენი,
ჩემი თეთრი ცხენი
და ვუყურებ ატმის ვარდებს
ქარში ჩამოცვენილი.

1953

სასუტელა

შენ გიგონებ, შე პატარა სასუტელა,
შენ გეძახი, გხმობილობ.
ვაჟას მთაზე ამოსული და სუყველა
იაიის დობილო.
შენ გეძახი, შენთან მოსვლა მენატრება
გაზაფხულის პირზედა.
შენ გიგონებ და ნაღველი მემატება
დარდად ქცეულს ისედაც.

მაგა მთების ჰაერს ენატრობ
სასუნთქველად,
მაგა მთების ნიავქარს,
დამიკოცნე შენი დაი, სასუტელა,
მთების ხალს რო მიაგავს.
ვაჟას მთაზე ამოსული და სუყველა
იაიის დობილო,
შენ გიგონებ, შე პატარა სასუტელა,
მანდ ამოსვლას ვნდომილობ.

1953

ეუდარა

მე თუ მოვკვდები ამ უცხო მხარეს,
კუბოს ფიცრები შენ არ გათალო, —
შიშველი მიწა გადამაყარე
და არაფერი არ ჩამატანო.
ოღონდ ერთი მაქვს მე სამუდარო:
როცა გადარდეს ეს დღე უდარო,
ნუ მიატოვებ ამ ლექსებს ობლებს,
ნუ მიუტოვებ ამ მუდრეგ მხარეს,
ჩემს საქართველოს და მიხუც
მშობლებს,
ჩემს მტკვარ-რიონს და
მთაწმინდის მთვარეს
მიუტანე და ასე უთხარი:
იმასთქო მიწა იქ გავუთხარე.
ნუ დაიწყებენ სამარის ძებნას, —
ვის წავდგები ქცეული ძვლებად?!
ცომცომებს ცივი ცრემლი რითმაში,
როგორც ცვარნამი ღრუბლიან დილის
და რაც ჭაღარა მერია თმაში,
ამ სტრიქონებზე მაქვს დაფენილი.
დახედონ ამ ჩემს ამონატირებს,
ამათთქო თქვენი ალერსი შეათ...
მე ამ ლექსებში ვიცოცხლე მცირედ,
ჩემი სამარეც ამ ლექსებშია.

რედაქციისაგან: ეს, ალბათ, უკანასკნელი ლექსებია, ლადო სულაბერიძემ რედაქციაში რომ მოიტანა... ამიერიდან მრავალჭირნახულ პოეტს მხოლოდ მის წიგნებში შეხვდება მკითხველი. „ცისკრის“ რედაქცია მისი ამ უკანასკნელი ლექსებით ეხმიანება ლადო სულაბერიძის გარდაცვალებას და მის მწუხარე ჭირისუფალთა რიგებს უერთდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი

კუ

„კუ სამგვარია: ხმელეთის კუ, ზღვის კუ და ჭაობის კუ. კუს ჯავშანი ორი ძვლოვანი ფარისაგან შედგება — ზურგის ფარისაგან და მუცლის ფარისაგან. რისთვის სჭირდება კუს ასეთი სქელი და მაგარი ჯავშანი? მხოლოდ და მხოლოდ მტრებისაგან თავდასაცავად. ზამთარში კუ მის მიერვე ამოთხრილ ორმოში წვება და ზამთრის ძილს ეძლევა", — გვითხრა ოდესღაც ზოოლოგიის მასწავლებელმა და გვაჩვენა კუს სურათი კი არა, ნამდვილი კუ. ერთადერთი ცხოველი, რომელიც მხოლოდ იმიტომ შემორჩა სკოლის „ნატურალისტთა კუთხეს", რომ შესანახავად იოლი და გამძლე გახლავთ. ვინ მოთვლის, ონავარი ბავშვები ამ პრეისტორიულ ცხოველს რანაირად ვაწვალებდით. ახლა, სიბერეში შესულს, მრცხვენია, რომ გავიხსენებ. ვედროიან წყალში ვაყურყუმალებდით (რამდენ ხანს გაძლებსო), ბაკანზე კაკალს ვამტვრევდით და, მგონი, ფეხბურთსაც ვთამაშობდით გულაღმა ამოტრიალებული ჯავშანისნით, მაგრამ კუ სრულებითაც არ იყო ისეთი სუსტი და უმწეო, როგორიც ზოგიერთს ეგონა. მაშინაც, მასწავლებელმა იგი მაგიდაზე რომ დადო და კუს მეცნიერულ დახასიათებას გულმოდგინედ შეუდგა, ველის ბინადარმა საკლასო სინუმეში ნელ-ნელა გამოყო ზვლიკისმაგვარი თავი, მერე ჯავშნიდან ფეხებიც გამოაძვრინა, მიიხედ-მოიხედა და დაიძრა. საკმარისი იყო მასწავლებელს ჯავშანზე სახაზავი მსუბუქად დაეკრა, რომ კუმ, აქაოდა, ჯერ ჩემი ამინდი არა დგასო, სწრაფად შემალა თავის გრანიტისებურ სახლში ნოჯვებიანი თავი და სუსტი ფეხები. ერთხელ ყური მოვკარი, კუ სამას წელიწადს ცოცხლობსო და იმის მერე კუს დანახვისას ერთსა და იმავეს კითხულობდი — რამდენი წლის იქნება-მეთქი. ამ სამიოდე წლის წინათ მადაგასკარზე, აფრიკის ქვემოო, ვიზილეს სამასი წლის კუ, რომელიც ზუსტად ჰგავდა ჩვენი სკოლის კუს, ოღონდ გაცილებით უფრო დიდი (გიგანტური) იყო.

ასე რომ, კუს ხასიათში ახალგაზრდობის „გიჟმაჟი" წლებით არაფერი იცვლება. კუ არის კუ — მორჩა და გათავდა. ახალგაზრდა და ბებერი კუ, ამ ცნებათა ჩემეული გაგებით, არ არსებობს, არის კუ დიდი და კუ პატარა. გაქცეულ-ამჩატებული, რომ იტყვიან—ატოოკებული კუ ჯერ არავის უნახავს. სიდინჯეს, ბაკანმა, პირობებთან შეგუების უნარმა განაპირობა, ალბათ, მისი ღრმა ხანდაზ_ მულობამდე სვლა ამ ოღრეჩოღრო წუთისოფელში, მაგრამ კაცია და გუნება — ამ სტრიქონების ავტორი კუს ბედში სახარბიელოს ვერაფერს ხედავს. კუს ნაბიჯებით დიდხანს და მოსაწყენად ხოხვას სამასი წლის მანძილზე, ჯიხვის ფათერაკიანი სიცოცხლე სჯობს — ჯიხვის სხლტომა-გრიალი კლდეებზე და წარაფებზე, რქათა ჯახანი, თვალშეუდგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

2044

მი მწვერვალებიდან ძირს, ხეობის ცქერა, უჯავშნო, შიშველი, ოღონდ ამაყი ნადირის დგომა ფათერაკის პირისპირ.

ჩვენს ინსტიტუტში ორმოცი წელი მოათია ილო მეხამლემ. შემეძლო მეთქვა, „იმუშავა“-მეთქი, მაგრამ ეს მუშაობა შეუფერებლად მივიჩნიე, რადგანაც ილოს, იმ გაგებით, რასაც მუშობაში შენ გულისხმობ, ძვირფასო მკითხველო, არასოდეს უმუშავია. მან, უბრალოდ, ხანი დაჰყო, დრო გაიყვანა, წლები მოათია. ფეოდერნისტის ენაზე რომ ეთქვათ — სკამს უდარაჯა ორმოცი წლის განმავლობაში და ეს ნოველაც, რაღა თქმა უნდა, არ დაიწერებოდა, სიკვდილის წინ ბატონ ილოს ისეთი ნაბიჯი (ალბათ, ერთადერთხელ მის გარეგნულად მშვიდ ცხოვრებაში) რომ არ გადაედგა, რაც ყველასთვის მოულოდნელი და უცნაური აღმოჩნდა.

რატომ გამახსენდა კუზე საუბრისას ახლა ბ მაინცდამაინც ილო მეხამლე? ახლა კი არ გამახსენდა, რაც ილოს შევხვედი, იმის შემდეგ ჩემთვის კუსა და ილოს ხსენება ცალ-ცალკე არ არსებულა. მოვკრავდი თუ არა ყურ-თვალს კუს, მაშინვე ილო გამახსენდებოდა: შემხვედბოდა ინსტიტუტის დერეფანში ილო და თვალწინ წარმომდგებოდა კუ. მეხამლე გარეგნულად საოცრად ჰგავდა კუს. ზუსტად იმგვარი მოყვანილობის თავი ჰქონდა, როგორც კუს და ჩავარდნილ კისერთან აღმაქანული პიჯაკი სწორედ რომ ბაკის მოვგონებდათ. სიბერეში, კისერზე ნაოჭები რომ დაეხვია, ილო მეხამლე უფრო ლაქმაგავსა კუს, ოღონდ ახლა უფრო მულტფილმის, სათვალიან კუს ჰგავდა.

ახლა ხასიათს არ აკითხავთ?

ზედმეტად ფრთხილი, ზიზინა, გადაუწყვეტელი, თავკერძა, საკუთარი ჩრდილის მოშიში, — პიროვნების ეს ნიშნები, რომელთაც კუს ბუნებასთან საერთო არაფერი აქვს, მეტნაკლებად ახასიათებდა „მეცნიერ“ ილო მეხამლის პიროვნებას, მაგრამ ეპითეტთა ამ გვირგვინს კუსთან ერთადერთი შეხების წერტილი ჰქონდა — ილო შინაგან მეს ერთბაშად კი არა, ათეული წლების განმავლობაში ამოყავნებდა. თავს მხოლოდ მაშინ გამოყოფდა ბაკინდან, როცა უხიფათოდ იგრძნობდა თავს. იმღენად გაურკვეველ-გადაუწყვეტელი იყო, რომ გეგონებოდათ, თავისი სიცოცხლე, კუსავით, სამასი წლის მარაგზე აქვსო გათვლილი. „მე არ ვიცი“, „მე არ მეხება“, „მე ვერ ჩავრეევი“ ყავშანს ამოფარებული მიათრევდა ილო თავის უგემურ წლებს წუთისოფელში.

სიახლე-ცვლილებებს ვერ იტანდა. სულ იმის შიში ჰქონდა, დროის ქარბორაა მას არ შეხებოდ. ეულს არასოდეს გაგიხსნიდა. მოსმენით მოგისმენდა. თუ რამეზე შენს აზრს ცხარედ გამოთქვამდი, არ შეგაწყვეტინებდა. შიგადაშიგ თავსაც დაგიქნევდა, თითქოს გეთანხმებოდა კიდეც. ბოლოს, თუ ჰკითხავდი, შენი აზრი მაინტერესებს, რას იტყვიი, მეყვსეულად ეიპასუხებდა: ვერაფერს ვეტყვი, არ დავფიქრებულვარ, ჩემი აზრი არ გამაჩნიაო. ამით შენს ნალაპარაკევსაც შორს დაიჭერდა და განანებინებდა კიდეც, ასე გულახდილად რომ ესაუბრე.

იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა, ორად ორ ნაშრომს რომ ქმნიან ცხოვრებაში — საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს. იშვიათად ისიც ხდება, რომ იმ ორ ნაშრომში მეცნიერული მეცნიერული სიახლე მაინც არის, ილო მეხამლის „მემკვიდრეობას“ კი სიახლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, როგორც მკაცრი რეცენზენტები იტყვიან ხოლმე — კონსპექტურ-კომპილაციური ხასიათისა იყო. მგონი, ესეც მეხამლის პიროვნებიდან იღებდა სათავეს — სიახლისა ეშინოდა. ფიქრობდა, თუ რასმე, ორიგინალურს იტყოდა, მაშინვე მიიპყრობდა ყურადღებას, ყურადღების მიპყრობას კი მისი „აღმოჩენის“ შესახებ „განსხვავებული აზრის“ დაბადება მოჰყვებოდა. სწორედ პაექრობას, პოლემიკას, განსხ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვავებულ აზრს უფრთხოდა ილო. უნიჭო კაცი არ იყო, მაგრამ დისერტაციებად, ბევრი ეცადა და, სწორედ ისეთი თემები შეარჩია, ხიახლე სათაურშივე რომ გამოირიცხებოდა. სულ მეორე პლანზე, სულ ჩრდილში მდგარი, სულ სხვათა სახელს ამოფარებული „მუდმივი მოწაფე“ ილო მეხამლე, მისი აღმზრდელ-მეცნიერი სხვა ინსტიტუტის დირექტორად რაკიღა გადაიყვანეს, კათედრის გამგეადაც კი აირჩიეს. არ ელოდა, ბოლომდე „თავი არ ეღირსებოდას“ პოზაში იდგა. სხვა უღირს დაწინაურებულთაგან განსხვავებით, არასოდეს დაუჯერებია, რომ ჩვენს ინსტიტუტში მეცნიერების ერთ-ერთ დარგს სარდლობდა. ერთი რამ კი ირწმუნა: რაკი კათედრის გამგეობა ერთხელ მანდვეს, თავი მომეჭერება, რომ გადამირჩინონ, და ყველაფერი გააკეთა სკამის გასამაგრებლად. უაფრთხოების მიზნით, კათედრის წევრებად თავისი ორი ბიძაშვილი და, ბოლოს, საკუთარი ვაჟიშვილიც მიიღო. ნიჭიერ და გაბედულ, როგორც ინსტიტუტში უყვართ თქმა – პერსპექტიულ ახალგაზრდებს არნახული ოსტატობით იცილებდა კათედრიდან: თვითონვე ეხმარებოდა დაწინაურებაში. ზოგს ლაბორატორიის უხსნდა, ზოგს პრორექტორობისაკენ უკვალავდა გზას, აქოდა, ეშმაკს არ სძინავს, ემანდ კათედრის გამგეობაში არ შემეცალონო.

თუ ქვეყანაში რაიმე ისტორიული ძვრა ხდებოდა, „ილო მეხამლე ავადმყოფობას მოიმიზეზებდა და მაშინვე გაქრებოდა თვალსაწიერიდან. ორი თვის მერე „ხანგრძლივი მკურნალობიდან დაბრუნებული“ თვალს აჩვენებდა ახალ ვითარებას, ოღონდ ისე მოზომილად, რომ არც წასულს ლანდღავდა, არც ახალს ასხამდა ხოტბას. ვინ იცის, რა მოხდებაო, ფიქრობდა, იქნებ ერთხელ კიდევ შეტრიალდეს ფარა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცეს.

სიფრთხილის ნაცადი მანქანებით ილო მეხამლემ ოცდათორმეტი წლის მანძილზე შეინარჩუნა კათედრის გამგის თანამდებობა. ბოლო თხუთმეტ წელიწადში სწავლული მდივნები მის ხელახლა არჩევას „შეუცვლელობის“ პრინციპით ასაბუთებდნენ. არადა, თუ ვინმეს შეცვლა შეიძლებოდა ილოად, სწორედ რომ ილო მეხამლისა, თუმცა მას, აწ უკვე მხცოვან აღმზრდელ-მეცნიერს უკან მობრუნების სურვილი აღარა ჰქონდა, ხოლო პერსპექტიულნი, როგორც მოვახსენეთ, საამედოდ იყვნენ „ღაბინავებულნი“.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ილო მეხამლის მსგავსი ადამიანები ცხოვრებაში იშვათად როდი გვხვდებიან და მწერლებსაც ამ ნოველის ავტორზე უკეთ ჰყავთ ისინი დახატული კლასიკური ლიტერატურის მშვენება რომანებსა თუ მოთხრობებში, ამიტომაც ილოს ზოგად დახასიათებას თავს გავანებებ და ახლა უშუალოდ კვანძის გახსნას შევეცდები.

1993 წლის 28 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრს თანაშეწყვმა მოახსენა, პროფესორი ილო მეხამლე აუდენციას გთხოვთო. რაზე შეწუხებულა, თუ იცით, ჰკითხა პროფესორის, ვიზიტით გაოცებულმა მინისტრმა. რა მოვახსენოთო, მხრები აიჩჩა თანაშემწემ.

„შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო,

მე, პროფესორმა ილო მეხამლემ 1993 წლის 9 აგვისტოს ქრთამი ავიღე აბიურიენტ (აწ უკვე სტუდენტ) გია ლექვინაძის მამის – ალექსანდრე ლექვინაძისაგან. ქრთამი შეადგენს – 2 მილიონ კუპონს. მივიღე იგი, როგორც გამომცდელმა, რომელმაც 4 აგვისტოს ქართულ წერაში ნიშანი მოგუმატე ალექსანდრე ლექვინაძის ვაჟს, აბიურიენტს (აწ უკვე სტუდენტ) გია ლექვინაძეს. ქრთამი ავიღე სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში, დანაშაულის სრული შეგნებით. ქრთამის გამღების მხრიდან დაძალებას ადგილი არ ჰქონია.

გთხოვთ, აღძრათ ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე და დამაპატიმროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პროფესორი ილო მეხამლე, 27.IX. 93 წ.“

მინისტრმა განცხადება განზე გადადო, სათვალე მოიხსნა და კუ-აღამიანს მიაჩერდა.

— თქვენი დაწერილია ეს განცხადება, ბატონო ილო?

— დიახ.

— რამ გაიძულათ?

— რა, განცხადების დაწერა? სინდისის ქენჯნაძ.

— იქნებ შიშმა?

— რატომ გგონიათ?

— სინდისის ქენჯნამ ქრთამის აღებაში რატომ არ შეგიშალა ხელი?

— ვერ გეტყვით.

— მე გეტყვით: თქვენ, უბრალოდ, შეგეშინდათ. იფიქრეთ, რომ ეს დანაშაული არ დაიმალებოდა. ან ალექსანდრეს წამოსცდებოდა სადმე, ან მის ბიჭს და შეგეშინდათ. თქვენ რა, ქრთამი პირველად აიღეთ?

— პირველად. გამოცდებზეც პირველად გახლდით. მთელი ცხოვრება გაკურბოდი მისაღებ გამოცდებს. ვერიდებოდი სახელის გატეხას.

— „წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო“, ხომ გაგიგონიათ. ორი მილიონი თქვენ დაუთქვია?

— არა, თვითონ მომიტანა.

— რა იცოდით, რომ ორი მილიონი იყო?

— რომ წავიდა, დავთვალე.

— გვეტყვავთ, თუ გებევრათ?

— შემაძრწუნებლად ბევრი მოშეჩვენა.

— რამდენს ელოდით?

— არაფერს არ ველოდი. მე მეგონა, მადლობის სათქმელად მოვიდა. ფული რომ ამოიღო, არ ვიცი, რა დამებართა, იმ წამიდან მხოლოდ ის მახსოვს, რომ მინდოდა ჩქარა წასულიყო.

— ფული მაგიდაზე დადო?

— დიახ.

— თქვენი ოჯახის წევრებიდან გაიგო ვინმემ?

— ღმერთმა დამიფაროს.

— რა უყავით იმ ფულს?

— ნახევარი მილიონი შემომეხარჯა, დანარჩენი თან მოვიტანე.

— რაში შემოგეხარჯათ?

— წვრილმანებში. მეორე დღეს ერთი კილო ყველი და ერთი კილო კარაქი ვიყიდე. ჰო, ატამი მიყვარს ძალიან და ატამიც ვიყიდე, მგონი სამი კილო.

— შინ რომ მიიტანე, გაეხარდათ?

— უფრო გაუკვირდათ.

— საერთოდ, თქვენ დადიხართ ბაზარში?

— დავდიოდი.

— ახლა ვინ დადის?

— ჩვენი ოჯახიდან არავინ.

— რატომ?

— იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე, კათედრის გამგეს, პროფესორს ოცი ათას კუპონს მაძლევენ თვეში.

— სხვები ბევრად ნაკლებს იღებენ.

— ვიცი.

— როგორ ფიქრობთ, კიდევ შეძლებთ ქრთამის აღებას?

— როგორ კიდევ?

— რომ არ შეგშინებოდათ და ეს განცხადება არ დაგეწერათ...

— ალბათ ავიღებდი.

მინისტრმა განცხადება კიდევ ერთხელ გადაიკითხა. სიგარეტს მოუკიდა და საფერფლეს ჩამოადო.

— და მაინც, ბატონო ილო, ამ ფაქტის გამო თქვენზე არც საქმეს აღძრავთ და არც დგაპატიმრებთ.

— ეს როგორ, თქვენ უფლება არა გაქვთ.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— სამოცდაცამეტის.

— წაბრძანდით შინ. თქვენთვის არ გვცალია. ქვეყანა ყაჩაღებით გაივსო. ეგეა მაკლია, პროფესორი ჩასვეს ციხეშიო. მეტი კი არ უნდათ ჩემს მტრებს. პროფესორებს იჭერს და მაფიებს მფარველობსო, ქვეყანას მოსდებენ.

— არსადაც არ წავალ, — ხმა აუკანკალდა ილოს. — თქვენ ისე უნდა იმოქმედოთ, როგორც კანონი მოგიწოდებთ!

— თქვენ მექრთამე არა ხართ. სამოცდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეცამეტე წლისთავზე, პირველად, საეჭვო გარემოებაში თქვენს მიერ ქრთამის ალება მე პირადად დანაშაულად არ მიმაჩნია.

— სამოცდაცამეტს რა მნიშვნელობა აქვს?

— თქვენ სოციალურად საშიშ პიროვნებად აწი ვეღარ იქცევით, თქვენი იზოლირება საჭირო არ არის.

— კატეგორიულად მოვითხოვ თქვენგან, დამაპატიმროთ! მე თქვენი შენდობა-შეცოდება არ მჭირდება და ენის მოჩლექითაც ნუ მელაპარაკებით.

— არ დგაპატიმრებთ. ვთხოვთ წაბრძანდეთ შინ და ის დარჩენილი კუპონებიც მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა.

— მე... მე თქვენ გიჩივლებთ! — პროფესორს ადამიანისფერი აღარ ეტყ...

— თქვენი ნებაა.

●

ამ საუბრიდან სამი დღის შემდეგ ილო მეხამლეს გული გაუსკდა.

დასაფლავეს საბურთალოს სასაფლაოზე, ახალ პანთეონში, აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სიახლოვეს.

სამგლოვიარო მიტინგზე გულისამაჩუყებელი გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს პირადმა მეგობრებმა და მეხამლის ღაწლის დამფასებელმა სხვა პირებმა.

დაკრძალვისას საარტილერიო ზალაი, რასაკვირველია, არ გაისმოდა.

დაპროგრამებული

ვიცით ყველაფერი, ვიცით — არც ჩვენ ვეხატებით გულზე, მაგრამ ახლა ბუტიაობის დრო არ არის. საქალაქო ომის ზღურბლზე ვდგავართ. უნდა წამოხვიდე და აფიფრალ ხალხს სიტყვა უნდა უთხრა. სწორედ შენ ხარ საჭირო. გაფიცულები შენისთანა გაშუალედებულ, ორივე ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მდგომ კაცს უფრო მოუსმენენ. იქნებ, დაიშიშმინო. უკვე მეზუთე მიქადაგე ჩამოაგდეს ტრიბუნიდან. დარწმუნებული ვარ, შენ მოგისმენენო.

დაფიცებული მქონდა, ამ ხელისუფლების სასარგებლოდ თითს არ გავანძრევ-მეთქი, მაგრამ ფიცი იმიტომ გავტეხე, რომ საქმე სისხლისღვრის აცილებას შეეხებოდა. თუ ჩემი გამოსვლით აქოჩრილ, უკმაყოფილო ხალხს ხუთიოდე წუთით ჩავაფიქრებ, ესეც დიდი მიღწევა იქნება და თავს როგორ დავზოგავ-მეთქი.

გზაში დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო სიტყვა. ჩვეულებრივად, როგორც სხვები იწყებენ — „თანამემამულენო, საშიშროება კარზეა მომდგარი; ერის ყოფა-არყოფნის საკითხი დგას. ცეცხლს ნუ ეთამაშებით!“ — აქ არ გამოვა. მაშინვე სტეენას მოჰყვებიან და შემაწყვეტინებენ. რაღაც ახლებურად, სხვანაირად უნდა დავიწყო. პირველ ფრაზას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამ ქალაქში უცხო როდი ვარ. ბავშვობა აქ გავატარე. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ორჯერ თეატრში შემოქმედებითი სალამო მქონდა. ორივეჯერ ზღვა ხალხი მოვდა. რა ტაში, რა ყვავილები. მთელი ცხოვრება მის მზეს ვფიცულობდი და რატომღაც მეგონა, ჩემი სიყრმის ქალაქში სხვაზე მეტად ვუყვარვარ-მეთქი.

ოთხს აღარაფერი აკლდა, წჯალწითელას აღმართი რომ ავიარეთ და ზედ თეატრის მოედნზე დავეშვით.

მანქანიდან პირდაპირ ტრიბუნისაკენ გამაძვრინეს მახპინძლებმა.

— უნდა გვიშველო, ბატონო თორნიკე, რამე ისეთი უნდა უთხრა ხალხს, თქვენ რომ იცით, თქვენს ხართ ჩვენი იმედი, თვარა წასულია ჩვენი საქმე! — ყურში ჩამძახოდა ქალაქს გამგებელი და შემოკარულ ხალხს განზე სწევდა, — გაატარეთ, გაატარეთ, ბატონო თორნიკე ჩამობრძანდა, სიტყვა უნდა თქვას.

მიტინგის წამყვანმა ჩემი გვარი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაცხადა, დაახლოებით ხუთიათასი კაციდან ხუთიოდეშ უგემურად გაუტყაპუნა ხელისგულები ერთმანეთს.

ნერვიულობისაგან ენა გამიშრა.

ოღონდ პირის გაღებამდე არ მისტვინონ, იმდენი პატივი მაინც მცენ — ორწუთიანი სიტყვა ჩამამთავრებინონ და აღარაფერს დავეძებ. ჩემს ჭკუაზე რომ ესენი აღარ გაიელიან — ფაქტია. და რა უნდა ვუთხრა, კაცმა რომ თქვას, ამ გუნებაწამხდარ ხალხს, რომელი სოლომონ ბრძენი მე ვარ, ან ილია ჭავჭავაძე?

და მაინც, რაკი ჩემი წიგნები ამ ქალაქში ყოველთვის უსწრაფესად სადდება, რაკი კრიტიკაც ხშირად შენიშნავდა, თორნაკე თევზაძემ თავისი ნოველებით თავის ქალაქს ძველი დაუდგაო, რაკი სულ რადაც გუშინ საყვარელ მწერლად მიხმობდნენ, არ შეიძლება ჩემი არ სჯერდეთო, თუ ბოლომდე არა, იმდენად მაინც, რომ მომისმინონ. ასე დავიწყე:

— მეგობრებო, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ მე, თორნიკე თევზაძე, სულელი არა ვარ?!

ერთწამიანი პაუზა.

მართლაც რომ ორიგინალური დასაწყისი მოვიფიქრე. ზრდილობით სავსე ქალაქია. „როგორ გეკადრებათ, ბატონო, თქვენზე ვინ იტყვის მაგას; სხვა სხვა არის და თქვენ თქვენნა ხართ. გისმენთ!“ — ალბათ გულში ეს გაიფიქრა უმეტესობამ, რაკი გარუმდნენ. ეს კარგი ნიშანია. ჩანს, მომისმენენ.

— ხომ ხართ დარწმუნებული, რომ მე სულელი არა ვარ?! — გავიმეორე.

— არა!

დაიძახა ვიღაცამ წინა რიგიდან.

ამით ყველაფერი დამთავრდა. მეგონა, ღვთის რისხვა დატრიალდა ჩემს თავზე. სიტყვას უკვე მნიშვნელობა და ფასი აღარ ჰქონდა.

ვინც „არა“ გაიგონა, ყველამ გაიცინა, ჩემს გარდა. იმ „არას“ თუნდაც ერთიორი კაცის პროტესტი რომ მოჰყოლოდა, ცოტა იმედი მაინც იყო. ახლა ეს იმედიც ჩაქრა.

აბა, კარგად იყავით-მეთქი, და ტრიბუნას მოვშორდი.

პირტახლია

ორმოცდაექვსი იყო, თუ ორმოცდაშვიდი, აღარ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ახალი დამთავრებული რომ გახლდათ ომი, წყალი არ გაუვა. ცამეტოთხმეტი წლის ბიჭი ვიყავი მე. არ ვიყავი მეტის. სექტემბრის ბოლოს, წვიმიან დღეს სიმინდს ვარჩევდით კოლმეურნეობის საწყობში. საწყობი, მაშინ, კანტორის უკან, გრძელი შენობა იდგა ხის. დაანგრიეს მერე. სტალინის სიკვდილამდე იყო ეგ ამბავი. დაანგრიეს და იქვე ააშენეს ქვის საწყობი, ახლა რომ გარეთ ბოქლომი ადევს და შიგნით თაველები დაელურს უელიან. არ გაამართლა, უნდა ვთქვა პირდაპირ, ქვის საწყობმა. ნესტს იღებს ცემენტი და ნესტი აფუჭებს, რასაკვირველია, სიმინდს. საწყობში ვიყავით ყველა — მოხუცი და ახალგაზრდა, ჯარიდან დაბრუნებული ხეიბარი და ჩემსავით ტუტუცასა ბიჭი, დანიშნული და დასანიშნი, დღე-დღეზე გასათხოვარი და შინაბერაც. მერე, მოგვიანებით, დალპა ყველაფერი, თვარა დიდი ეშხი ჰქონდა კოლმეურნეობას ნამდვილად. ვერ გეტყვი, რისი ბრალია. ერთად ყოფნას აქვს რაღაც სილამაზე და სიხალისე ალბათ. იყო ერთი ხუმრობა, გადაძახილ-გადმოძახილი, ტარო-ნაქურჩლის ერთმანეთისთვის სროლა, სიმღერა, სიმინდის ფოჩებისაგან ულვაშების გაკეთება და ბუდიონსახიობა. სიცილ-კისკისში გადიოდა დრო. ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვინ მეტ ტაროს მოაქუჩებდა. შენ წარმოიდგინე, იმ ხუმრობა-ჯღანობაში ყველაფერი მოდიოდა, თუ ჭკუა და ეშმაკობა გიწყობდა ხელს. „მოდი, ძღაბო, გადმოგორდი სიმინდზე, ბარაქა იცისო“, — არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეენებდნენ ტანკენარ, გავაფართო, ლამაზ-ლამაზ გოგოებს კაცები. კაცი ოხერია. „წადი, წადი, დამნებე თავი, ხომ გადავვარდი ერთხელ!“ „კიდევ გადმოგორდი, შე აშენებულო, რა გეხარჯება“, – ეხვეწებოდნენ. გოგოებიც (ვითომ არ უნდოდათ) გაიღებდნენ მოწყალებას და კიდევ ერთხელ გადაგორდებოდნენ ყვითელ სიმინდზე. იყო მერე ჩქმეტა და უადგილი ადგილას ხელის შეშველება. მოჰყვებოდა ამას, ხანდახან, ტკბილად ნათქვამი „შე ასზიზღარო“ და ისე, გაუმეტებლად, სიყვარულით, ლოყაში გატკაცუნებაც. ამის გარდა, ცოტა არ იყოს, გვარიანი დიდი ეშმაკობებიც ქმხდებოდა, ჩვენს შორის რომ დარჩეს. ბავშვი ვიყავი, მაგრამ იმდენი მიხვედრა კი მქონდა, შემემჩნია ჯერ ენებიანი ჩურჩული და მერე უცებ დასერიოზულებული ქალის ნახვაარსაათიანი გაუჩინარება სოფლის არშიყთან (მიხეილ ჯავახიშვილი რომ „ბუსუსს“ ეძახის) ერთად. განსაკუთრებით, ღამით რომ ვარჩევდით სიმინდს, მაშინ ხდებოდა ასეთი რამეები.

ახლა იმ წვიმიან დღეზე გეტყვი. საღამლობა მოახლოებული იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ – ვარლამ ნადარაიამ რომ შემოაღო კარი და გამოაცხადა: დისკვენეთ ახლა, ცოტა ხანს, ამმნარგებო, გერმანელი ექიმი მოგიყვანეთ, ვისაც რა გტკივათ, არ დაუშალოთ ამ პატიოსან კაცს და თავისუფალი იქნებთ ყოველგვარი ხენისაგან; გერმანელია ეს, არ ვეგონოთ სხვა ვინმეო.

ვარლამს ვეკერდით ედგა ხელჩანთიანი, საშუალოზე დაბალი, მსუქან-მსუქანი, ყვითელთმიანი, ფრენჩიანი კაცი, თავმჯდომარის ყოველ სიტყვაზე თავს დიმიდით რომ იქნევდა და გრძელი თმა შუაზე ისე ჰქონდა გაყოფილი, პეტრე პირველს რომ აქვს სურათებში.

სად ძოძებნე გერმანელიო, ჰკითხა ვიღაცამ. გერმანელს კი არა, რუსს არ გაველო მანამდე ჩვენს სოფელში. მეფართლე ურია თუ შემოივლიდა ხონიდან მომავალი და ეგ იყო. ჩვენს სოფელში უცხო ტომის კაცი იშვიათზე იშვიათი გახლდათ.

ასე უპასუხა ვარლამმა კითხვას:

„მარტვილში თათბირი რომ დამთავრდა, რიაკომის მეორე მდივანმა ჯვერენაამ შემიყვანა კაბინეტში და გამომცხადა: „გადაეცი შენი სოფლის მშრომელებს ჩემი კომუნისტური სალამი ეგზომის გადაჭარბებით შესრულებისთვის. ბეჯითობისთვის გერმანელი ექიმით გაჯილდოვებთ. ჩამოართვი ამ კაცს ხელი. ფრედი ჰქვია სახელად. ქუთაისიდან მიმყავს. ძლივს ჩავიდე ხელში. ყველანარ დაავადებას არჩენს. სასწაულმოქმედია, რომ იტყვიან, ისაა ნამდვილად. წაიყვანე სოფელში. გაასინჯე, ვისაც უჭირს. უშველის, არ უნდა ლაპარაკი. ნამეტანს ნუ გადაღლიან. პატივი ეცით ამადამ. არ დაათრთო. არ დაიძალოთ ღვინო, თორემ გერმანელები ხათრიანი ხალხია. უარის თქმა არ იცით დალევაზე და არ შემიწუხოთ ეს ძვირფასი კაცი. ფრედი რომ ჰქვია, ვიცი და ტყვე რომაა, ეს ვიცი კიდევ. მეტი არ ვიცი არაფერი. ახლა მალე გაუშვებენ მაგნებს. ყველას ტყვე ჰქვია ისე, სახელად, თვარა ვინ გაუბედავს „ალენის“ რეჟიმში ჩაყენებას. როგორც გაეხარდება, ისე დადის. ოქრო ექმაია. მოსვენება არა აქვს საწყალს. ერთი კვირით გამოველიტე ქუთაისს ხელიდან. ნახოს ერთი ჩვენ კუთხეც, შეავლოს თვალ-ხელი ხალხს. აბა, შენ იცი. თიკნის ხორცი უყვარს მაგას და ადესა ღვინო. არ შეირცხვენო, მგონია, თავს. ხვალ, დილით ამომიყვანე, თუ კაცი ხარ. ცხენით გადმოდით აბედათზე. ბეჟრის მთაზე გადმოდით, პირდაპირ ცხენით. ჭყონიდან არ მოუაროთ, შორია“.

ხაწყობის აივანზე სამი „ტაბურეტის“ სკამი მოუბრენინეს გერმანელს. ერთზე თვითონ დასვეს, მეორეზე ხელჩანთა დაუდეს და მესამე თავისუფალი დაუტოვეს – ავადმყოფისთვის.

ხვითოს რომ შემოუსხდებიან ცნობისმოყვარენი, ისე შემოვეწყვეთ გერმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელს. პირველი ვერ ბედავს ვერავინ გასვლას ექიმის წინაშე.

იხვეწება ვარლამი, ასე ვთქვათ: ამდენი კი არ ცალია, დაიხურავს ქუდს (ვერმანელს ქუდი არ ეხურა), წავა და უყარე მერე კაკალი. გამოდით, თუ გამომსვლელები ხართ. ყველაფერი უცნაური თქვენ რავა უნდა მოიგონოთ. ქუთაისლები თავპირს ალეწავენ ერთმანეთს ამ კაცთან მოსწრებაშიო.

— კი მაგრამ, ვარლამ ბატონი, რა ენაზე აკუხსნა, რაც მტკივა, მე მაგას: — იკითხა სამოცდაათს გადაცილებულმა შესიმნდემ, კიწი ჯეგრენაიმ.

— გამოდი შენ, კიწი ბატონო, და თვითონ მიხედება მაგ ყველაფერს. ვერმანელია მაგ. ის არ ეგგონოს, ის, — დაიმედა ნადარაიამ.

გაბედა კიწიმ გამოსვლა.

ვერმანელმა იმ სადამოს ოხუთმეტიოდე კაცი გასინიჯა და ავადმყოფებთან ურთიერთობაში „ბიტეს“ გარდა სხვა სიტყვა არ უხმარია. ჯერ მისალმება მეგონა „ბიტე“, მერე — „რას უნიკი, ჭირიმე“, მერე — „გაალე პირი და გადაყლაპე ეს აბი“, მერე — „ასწიე პერანგი ჭიჭს ზემოთ“, მერე — „ნახვამდის, ნუ გეშინია, მალე მორჩები“. თანაც ხან ერთ „ბიტეს“ ამბობდა, ხან კი, შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, „ბიტე-ბიტეს“. „ბიტეს“ გარდა ექიმმა ბლომად დახარჯა იმ დღეს თეთრი აბი, რომლის სახელწოდებაც და დანიშნულებაც საოდუმლოებით მოცული დარჩა ჩემთვის. ჩანთას გახსნიდა, ამოიღებდა კარამელი-კამფეტის კოლოფივით ლამაზ ჭრელ კოლოფს, ო.რ აბს გაუწედიდა პაციენტს (წყალს არ აყოლებინებდა), „ბიტე-ბიტეს“ ძახილით გადაყლაპებდა და გულიანად გაიცინებდა: არ ვიცი, რაზე ეცინებოდა. ჭკონი, ავადმყოფის შეძრწუნებული სახის დანახვაზე — მშრალად რომ ყლაპავდა წამალს. მერე, მოგვიანებით, გავიგე, რომ მშრალად წამლის გადაყლაპვა აუცილებელი სრულიადაც არ ყოფილა. მე მგონი, ეს იყო ვერმანელი სპეციალისტის უწყვინარი ზუმრობა. მერე და მერე, ვიღას დაუმალავ, ვერმანელის მკურნალობის მეთოდმაც დამაეჭვა და განსაკუთრებით იმ „სასწაულმოქმედი“ თეთრი აბის უნიკალობაზე ვფიქრობდი, მაგრამ ეს იყო ჩვენს სოფელში ტყვე-ექიმის ვიზიტიდან ოცი წლის შემდეგ. ერთ დღეს, ღრმად მოხუცებული, თავისუფალ, გაერთიანებულ ვერმანიაში მცხოვრება ფრედი ამ ნიველას, რასაკვირველია, ვეღარ წაიკითხავს, მაგრამ არ შეიძლება არ ახსოვდეს სოფლის ექიმი პარმენ პირტახია, რომელმაც, ცოტა არ იყოს, ეიფორიული განწყობილება შეუცვალა რაინის ნაპირებზე აღზრდილ სტუმარს და აიძულა მკურნალობის პირტახიული მეთოდისთვის მეტი რიდით და პატივისცემით შეეხედა.

— ოჭიშის ვლურუქ, პატონი, ოჭიშის! („წელი მკლავს, ბატონო, წელი“ — თავისუფალი თარგმანი, რ. მ.) — ამოიოხრა კიწიმ და წელზე მიიდო ხელი.

— ბიტე! („გასაკეთა“), — თავი დაუქნია ვერმანელმა. მოხუცი თავდადმა დაწვინა, ცერა თითები დააჭირა კუდუსუნს ზემოთ და რამდენჯერმე ამოაყოლა.

— ბიტე! („არ შეგეშინდეს“) — აჯახა მერე და ელვის სისწრაფით ზურგზე მოექცა. მოუხედავად კიწის საპროტესტო ყვირილისა, მუხლებით დაჭერა ზურგზე და ათჯერ მაინც გაუსვა-გამოუსვა. მერე წამოდგა, ზურგზე ხელი გაუტყაპუნა, ბლუზა-პერანგი თავისი ხელით ჩამოუწია, ორი აბი გადაყლაპა და „ბიტე-ბიტეო“ („მორჩენილი ხარ, კარგად იყავეო“) — დაემშვიდობა.

— მუჭი რექ, კიწი? — გაუბედავად ჰკითხა ვარლამმა.

— ჯეგორო, პატონი, ჯეგორო! — დაბეჯითებით მიუგო კიწიმ და წელზე ხელები შემოიდგა, — თაშ ქიპიიდა, მუ მიჭირს („თუ ასე ვიქნი, რაღა მიჭირს“).

რაღა ბევრი გავაგრძელო, ძიგი ლაბარტყავას შუბლი სტკიოდა და მზეს მიუშვირეო, ურჩია ექიმმა; მიკანდრო ხურციას კუჭის ტკივილის სამკურნა-

ლოდ პილპილი, ძმარი და მარილი აუკრძალა. ყოველგვარი თარჯიმნის გარეშე, თვალსაჩინოების მეთოდის გამოყენებით ყველას ყველაფერს აგებინებდა. ჩანთიდან აშიიღო შუშაში ჩასხმული ძმარი (ცხვირთან მიუტანა მიკანდრის), კენატი მარილი და მწვანე პილპილი, სამივე ერთად დიდი ხელისგულზე და ზურგიას ყურში ჩასძახა: — ვარი!

— ქო, პატონი, ქო, — თავი დაუქნია მიკანდრომ.

გაბუნიას ლამაზი ქვრივის გასინჯვის დროს გერმანელმა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. ქალს წელზე ხელი შემოახვია და აწევა დაუპირა.

„მუ ოკო მინჯელურელს?! („რა უნდა ამ უპატრონოს?“) — საყოველთაო ხარხარსა და ქვრივის ღიმილ-სიწითლეში ექიმმა პაციენტს ხელი უშვა, ჩანთიდან მწვანე თოკის ნაჭერი ამოიღო, ქვრივს წელი გაუზომა, მერე გავა-მკერდიც გაუზომა და, რჩევით არაფერი ურჩევია, ორი აბი გადაყლაპა. მე მგონი, გაბუნიას ქვრივს არაფერი აწუხებდა. ახლა ვხედავ: მას, უბრალოდ, გერმანელი ექიმის ხელის შეხება სურდა.

— მცოდნეა, არ უნდა ლაპარაკი, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემს ზურგსუკან.

— ტყუილი არ თქვა. მცოდნე იქნება, აბა რა იქნება. გერმანელია. ეს არ გეგონოს, შენ, პარმენ პირტახია.

პარმენის გაგონებაზე ვარლამმა, არც აცია, არც აცხელი, დაიძახა:

— რა კარგი გამახსენეთ. პარმენს მიეუყვენ, ნახოს ერთი, საინტერესოა.

პარმენი სოფლის ბოლოში, კვადაცის ჭალისპირას ცხოვრობდა. გერმანელი ექიმის ამალაში მეც შევერეე. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, როგორ შეხვდებოდა ერთმანეთს ორი დოსტაქარი. ესეც არ იყოს, პარმენს ეზოში მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. ტრიფოლიატის მაღალი ღობით შემოსილ ეზოს ავი ძაღლები დარაჯობდნენ.

ბანაბილზე პირტახია გამოგვეგება. ვარლამმა მოსელის მიზეზი აუწყა და სტუმარი წარუდგინა.

— მოზოჯით, პატონი!

პირტახიას ეზოს დანახვაზე პირი დაეღე. მე ვინ ვიყავი, გაოცება გერმანელმაც ვერ დამალა.

ცაცხვის ქვეშ ორი პაციენტი თავდალმა ეკიდა.

ხელში კარგად გათლილი კეტები ეჭირათ და რიგა მოისურვებდნენ, იმ კეტს ეყრდნობოდნენ.

აქეთ იცდათიოდე წლის შავწვერიანი კაცი ხის ჯორცხენაზე გადამჯდარიყო და მარცხენა ფეხზე დოლაბი ება.

ლაფაროსთან თავსაფარწაკრული, პირდოლანდიანი ქალი ფუნთი საესე კასრში იჯდა და დროგამოშვებით ექიმს გასძახოდა.

— დიეჭვი, პატონი, მიბაღ, მიბაღ („დავიწვი ბატონო, მეყოფა, მეყოფა“).

— ბიტე, ბიტე, ბიტე, — იმეორებდა გერმანელი წამდაუწუმ. თუ მისი სახის გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებდით, ეს ნიშნავდა — „ყოველივე, რაც ვიხილე, უცნაურია, მაგრამ დასაშვებია“.

დაუშვებელი თურმე წინ გველოდა.

ძელსკამზე ხუთიოდე ყმაწვილი გამწკრივებულიყო.

იქვე, ნელ ცეცხლზე შედგმულ ქვაბში დანა-ჩანგალი და კოვზები ეყარა.

პარმენ პირტახიამ ერთი ყმაწვილი იხმო.

კუნძზე დასვა.

ხარეცხის საპნით გადაიბანა ხელი.

ქვაბიდან მონიკელებული დიდი რუსული კოვზი ამოიღო („ზოგან „სტოლის კოვზს“ ეძახიან, ზოგან „საბორშე კოვზს“), ყმაწვილს პირი დაალებინა, ჯერ ენაზე დააჭირა კოვზი, მერე — არ გაინძრეო, გააფრთხილა პაციენტი, კოვზი ტარამდე ჩასთხარა პირში და ელვის სისწრაფით დაუტრიალა; სისხლიანი კოვზი მოისროლა, აღრიალებულ ბიჭს თავი დააწევინა.. ბიჭის პირიდან სისხლ-ბალღამის შადრევანმა იფეთქა და გერმანელმაც დაიქუხა:

— ნაინ! ნიქს! ნიქს! ნაინ!

გერმანელი ხელებში ეცა პირტახიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაღაცას განწირულივით ჩასძახოდ. სტუმარს ადამიანის ფერი აღარ ეღო.

აშკარა იყო, გლანდების ამოკვეთის პარტახიასეულმა ხერხმა აღაშფოთა გერმანელი.

— მუშა რე ითამ საქმე? („რაშია ვითომ საქმე?“)| — იკითხა ვარლამ ნადარაიამ.

— მიჩქ, პატონი, მიჩქ, ენეფი შხვანერო აკეთენა („ვიცი, ბატონო, ვიცი, ესენი სხვანაირად აკეთებენ“) — მშვიდად მიუგო პირტახიამ და კუნძზე მეორე ყმაწვილს უხმო.

ამ უკანასკნელის ღრიალი ჭიშკრისმიღმა დაგვწია.

ყაჩაღები

ახალი დაწყებული გვქონდა ეს საქმე მე და კაკაჩიას მაშინ. ერთად ვმუშაობთ მე და კაკაჩია სამი წელია. კაკაჩიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და მაგიტომ შევეჩვიე. არც ნაშოვნის მოტეხვა იცის და, რაც მთავარია, უჩემოდ, მარტო არ გავა ტრასაზე. სანამ არ დავამთავრებთ საქმეს, „ეს ჩემია და ეს მე მინდა“ არ მოდის ჩვენს შორის. სიხარბე დამლუპველია ჩვენი ხელობის ხალხისთვის.

დიდი გამომგონებლობით არც ახლა გამოვირჩევთ მაინცდამაინც და მაშინ უბრალო მუღამი გვქონდა. შიშით არავისი გვეშინოდა და რათ უნდა ბევრი ფილოსოფია ყაჩაღობას. მთავარია, არ დაიბნე, და „კლიენტი“ არ აყვირო. მთლად ღორიც არ უნდა იყო მაინცდამაინც. თუმცა ზოგი ისეთი მათხოვარია, უბრალო ფრენჩის გულისთვის თავს შეშოკაკლავს. ვის უნდა მაგის ოფლიანი ფრენჩი, მარა, რაკი შეაყენე ოფსტოპზე, რადაც ხომ უნდა გახადო. ისე, კაცის მოკვლას ყოველთვის ვერიდებით მე და კაკაჩია, თუ აქეთ არ აგვიტეხა სროლა, იქეთ არ ვესვრით არაფრით. აქეთაც რომ გესროლს, არც მაშინ უნდა გაიმეტო კაცი მოსაკლავად. ზოგმა სროლა არ იცის და ისე გესვრის, ა, შესაშინებლად. ეგეპა გაიქცნენ და დამანებინ თავეო. შიშის გამო გესვრის ის კაცი და შენ, აქაო და სროლა ვიცაო, არ უნდა დაუმიზნო შუბლში. არაა ეს კაცობა.

იმას ვამბობდი, ახალი დაწყებული გვქონდა მაშინ. პერევალზე ვმუშაობდით, გვირაბიდან ასე, სამ კილომეტრში. იქვე გადასახვევია ტყეში, რომ დაგვჭირდეს მაინც, ყოველშემთხვევისთვის. მილიციის არ გვეშინოდა, რასაკვირველია, მილიციამ იცოდა, სად ვიდექით და მიწა რომ გაგვეხეთქა, არ გვეკარებოდა ახლოს. თავისას იღებდა მილიცია და რა ენადლებოდა, რას ვიზამდით. კაცი არ მოკლათო, ღვთის წინაშე ტყუილს ვერ ვიტყვი, მილიციაც გვეხვეწებოდა. არავის უნდა კაცის მოკვლა, ხლაფორთია მაინც. რაც არ უნდა იყოს.

დილაა, ასე, შვიდის ნახევარი იქნება. ახალი ნაწვიმარია და ნელა დადიან მოსახვევში მანქანები. სწორედ ისეთ ადგილას ვდგავართ, მაშინამ ნელა რომ უნდა მოუხვიოს და გამოცვალოს სიჩქარე. „ოგულის“ (წარმოქმული იყო ვიღაცის, ძველი იყო ძალიან და მივუგდეთ პატრონს ორ თვეში. სულ ტყვეულად მიეცით, ორი ათას რუსულ მანეთად. არ ჭქონდა მეტი იმ ქეტარძალის. სულ რომ არაფერი მოეცა, მაინც დავუბრუნებდით, გაგვაწვალა ძალიან) კაპოტი ახდილი გვაქვს. კაკაჩია ყასიდად მოტორს ჩაკკრკიტებს, მე — ნასოსით ხელში მანქანებს ვაჩერებ. დილას და ღამით ვმუშაობთ ჩვენ ძირითადად. სხვა დროს ბევრი დადის მანქანა და ვის უნდა ბევრი თვალი. მე, მაგალითად, ღამეს ადრე დილით გამოსვლა მირჩევნია. ღამით ვერ ხედავ მგზავრებს კარგად. შეიძლება მიმალული იყოს ვინმე მანქანაში და შენ რომ მგზავ-

— მიჩქ, პატონი, მიჩქ, ენეფი შხვანერო აკეთენა („ვიცი, ბატონო, ვიცი, ესენი სხვანაირად აკეთებენ“) — მშვიდად მიუგო პირტახიამ და კუნძზე მეორე ყმაწვილს უხმო.

ამ უკანასკნელის ღრიალი ჭიშკრისმიღმა დაგვწია.

ყაჩაღები

ახალი დაწყებული გვქონდა ეს საქმე მე და კაკაჩიას მაშინ. ერთად ვმუშაობთ მე და კაკაჩია სამი წელია. კაკაჩიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და მაგიტომ შევეჩვიე. არც ნაშოვნის მოტეხვა იცის და, რაც მთავარია, უჩემოდ, მარტო არ გავა ტრასაზე. სანამ არ დავამთავრებთ საქმეს, „ეს ჩემია და ეს მე მინდა“ არ მოდის ჩვენს შორის. სიხარბე დამლუპველია ჩვენი ხელობის ხალხისთვის.

დიდი გამომგონებლობით არც ახლა გამოვირჩევთ მაინცდამაინც და მაშინ უბრალო მუღამი გვქონდა. შიშით არავისი გვეშინოდა და რათ უნდა ბევრი ფილოსოფია ყაჩაღობას. მთავარია, არ დაიბნე, და „კლიენტი“ არ აყვირო. მთლად ღორიც არ უნდა იყო მაინცდამაინც. თუმცა ზოგი ისეთი მათხოვარია, უბრალო ფრენჩის გულისთვის თავს შეშოკაკლავს. ვის უნდა მაგის ოფლიანი ფრენჩი, მარა, რაკი შეაყენე ოფსტოპზე, რადაც ხომ უნდა გახადო. ისე, კაცის მოკვლას ყოველთვის ვერიდებით მე და კაკაჩია, თუ აქეთ არ აგვიტეხა სროლა, იქეთ არ ვესვრით არაფრით. აქეთაც რომ გესროლს, არც მაშინ უნდა გაიმეტო კაცი მოსაკლავად. ზოგმა სროლა არ იცის და ისე გესვრის, ა, შესაშინებლად. ეგეპა გაიქცნენ და დამანებინ თავეო. შიშის გამო გესვრის ის კაცი და შენ, აქაო და სროლა ვიცაო, არ უნდა დაუმიზნო შუბლში. არაა ეს კაცობა.

იმას ვამბობდი, ახალი დაწყებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს წმენდ, ქე გესროლოს ზურგში. რავა, ვიცნობს, პატივს გცემს თუ რაი. შენ მისთვის ყანაღი ხარ, მეტი არაფერი.

„მოყვა ბადეში“ ვოლგიანი ბიძა კაცი. გაიჩერა. გადმოვიდა. მადალ-მადალი, წარმოსადეგს რომ ეძახიან, ისეთი კაცია. რა გაგჩერვებიათ, ბიჭებოვო. რა ვიცი, ჩაგვიქრა ეს ოხერი და ადარ იქოქება, არადა გვეჩქარება, საავადმყოფოში უწევს სიმამრი ამ ჩემს ძმაკაცს, მანქანის მიტოვებაც გვიჭირს, ათასი ქურდია ამ გზაზე-მეთქი.

ძოდი, ერთი, ჩავიხედოთო, ბევრი არაფერი მესმის „ჟიგულის“, ვოლგა რომ იყოს, კიდევ მოვახერხებდი რაღაცას; თუ გაჭირდა, გამოგიბამთ ბუქსირზე და ბუქსირით გაგწევთ ზესტაფონამდე, თუმცა შორაპანშიც არის კარგი პროფილაქტიკაო.

მოვედა, ჩაიხარა მოტორთან და მიკაკვეთ კიდეც ყურისძირში მარგილინი. ფული გექნება შენ და ხმა არ ამოიღო, თვარა ბოლო იქნება ამ გზაზე შენი გამოვლა-მეთქი. გაიღიმა მწარედ. თავი არ გაუტოკებია, მარა ვერც ზიში შევატყვე მაინცდამაინც. კაი, ბიჭებო, რახან ასეა და არ აშლითოთ. მაჯობეთ, როგორც ვატყობ, მარა არ შობიი კარგ საქმეს, არ მიცნობთ მეო. ჩვენ არავის არ ვიცნობთ და არ დაგვიწყო გამოცნაურება ახლა აქო, — მოუჭრა კაკაჩიამ. არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკიო.

ყველაზე უფრო შეყენების პირველი წუთი არ მიყვარს. ესა და ესა ვარ, ამას და ამას ვიცნობო. თუ ალაპარაკე კლიენტი, მორჩენილია ის საქმე. იმდენ ახლიებელს დაგისახელებს, გაძარცვა კი არა, იქით მისცე, შეიძლება, რაც გიშოვია იმ დღეს.

კოსტუმი კიდია მანქანაში, მილიონი რუსული მანეთი მაქვს შიგო. ესაა სულ, კოსტუმს და მანქანას თუ არ წამართმევთ, კარგს იზამთ, თუ არა და, წაიღეთ ეგეც.

მე ლულას არ ვაშორებ. მივიდა ბიჭი. ამოიღო ფული მანქანიდან. თვალებით ვუვებთ ჩვენ ერთმანეთს. კაცი არც უნდა დაამცირო და არც უნდა გაალიზიანო ნამეტანი. კარგად „შენახული „ვოლგაა“ და ზვალებდით „ვოლგასაც“, მარა ცოტა ხანს კიდევ ვაპირებდით მუშაობას ტრასაზე და გადავიფიქრეთ. „ვოლგის“ წარმმევა ყვირის ნამეტანი. „ვოლგას“ თუ წაიყვან, უნდა მოშორდე იქაურობას.

ჩაჯექი და წადი, — მე ვუთხარი. — გაფრთხილება არ დავჭირდება შენ, ცოლშვილის პატრონი ხარ. ჩვენ აქ ვართ, ფეხს არ მოვიცვლით აქედან, მაგრამ თუ ეინმესთან კრინტი დაგცდა, შენს თავს დაპბრალე, რაც მოგივა-მეთქი.

არ ამოუღია ხმა. ნელა მივედ მანქანასთან. გამოაღო, ჩაჯდა. თვალს არ გვაცილებს და ჩვენც ფეხზე გვაქვს იარაღი, რასაკვირველია. ხელს აფათურებს ბარდაჩოკში და გვიყურებს ა, ისე, რაღაცანარად, უაზროდ. დიდი ბაბრაზეაც არ ეტყობა. ამშვიდდაა ვითომ, მისი ჭკუით. გვიყურა, გვიყურა, დაქოქა მერე მანქანა, კარგად იყავითო და მოწყვეტა ისე უცებ, თვალიც ვერ მოვკარით.

წავიდეთ აქედან, ხხვანაირი კლიენტი ჩანდა ეგო, — კაკაჩიამ.

ხხვანაირი რომ იყო, იმიტომაც არ ღირს წასვლა; თავმოყვარე კაცი ჩანდა, არაა მილიციაში გამქცევი ეგ. კიდეც რომ იყოს, სად წავა, მილიცია ,მაინცაა ჩვენი, ხხვა თუ არავინ-მეთქი.

გავერთეთ ლაპარაკში. ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი არ გასულა, უკან მოდის „ვოლგა“. ცალი ხელი მოჭრილივით აქვს გადმოკიდებული მანქანის კარზე და რაღაც შავი უჭირავს, კი, ნამდვილად. გავხტით, კატებივით იქეთ-აქეთ. ხეს ამოვეფარეთ. დაამუხრუჭა. გადმოვიდა.

ახლა გარკვევით ჩანს. რევოლვერი უჭირავს ნამდვილად. რისი იმედი აქვს

ამ უბედურს. თავს წააგებს, მეტი არაფერი.

არ შეგეშინდეთ ბიჭებოვო. ხეებს გამოსძახა, გლახა არაფერი მაქვს გულშიო.

ჩვენ ხმას არ ვიღებთ.

ლოტა ხანს გაყუჩდა და ალაპარაკდა ისევ:

ეს რევოლვერიც წაიღეთ, თქვენი ფეშქეში იყოსო. მედო მანქანაში, მარა არ ვყოფილვარ ამის დირსი მეო. არაა სროლა ჩემი საქმე, ვატყობ მეო. ხელი ამიკანკალდა წედან. ქე შეატყობდით თქვენცო. გქონდეთ ძმაო, მე მაგის ჩამდები ალარა ვარ ჯიბეშიო.

დადო ბალახზე და მანქანისაკენ წავიდა.

გამოვედით საფარიდან.

მოიცა, ბიძაო, დაუძახა კაკაჩიამ. აიღო იარაღი და გადმოიგდო, „ეიგულის“ საბარგული ახსნა, ქალალდში შეხვეული თავისი ფული ფანჯარაში დააწია სტუმარს.

ა თქვენი ფული, ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ და ამ „მაკაროვს“ (ახალთახალი „მაკაროვი“ იყო) ვიწუქებთ შენგან, თუ არ გვწყინებათო.

არ გვართმევდა ფულსაც. ძალით შეუგდო კაკაჩიამ მანქანაში.

ეს იყო სულ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ადეიშვილი

შენნაირად მითხარ, თორემ...

გიორგი ლეონიძეს

ალხეთს ბულბულების ხმები,
ბალხეთს ბელურების კვნესა...
დღესაც გახსნა გული ჩემი
შენმა მშვენიერმა ლექსმა.

ხან
ფეხებს პბანს წყალში წნორებს,
ხან
მიუძღვის ცისკენ წეროს...

შენნაირად მითხარ, თორემ
ლექსი იქნებ
სხვამაც წეროს.

ვერც მხარი...

შენს გამო დაღამებული
ნათელსაც შენგან ველოდი
და დიდხანს დაჯერებული
ვსხლავდი,
ვრანდავდი,
ვმღეროდი,

მაგრამ, შე გაუხარისავ,
დავრჩი ბოლომდი ღამისა,
ვერც ცა მანახვე,
ვერც მიწა,
ვერც მხარი
თეთრი ქალისა.

დაღლილი ლანდი

რომ მახსენდება ახლა ის მთები
და თეთრი ფარა სადღაც, ცის ახლოს...
მე ისევ იმ ძველ სალამურს ვწვდები
და ისევ იმ ძველ სანაღვლოს ვნაღვლობ.

ვაი, როდემდის ვუმალი საწყალ
ბიჭს, შებერებულ ბიჭს და წიქარას,

რომ ის გოგონაც წავიდა სადღაც
და არაფერი არ დაიბარა.

წავიდა, წაჰყვა წითელი ვარდიც
და სადედოფლო ბეჭდების ბრწყინვაც...
გადირბენს ფიქრში დაღლილი ლანდი,
რომ კვლავ ჩასწროს საფლავში წვიმას.

ცოტაც ჩემთვის ილოცე

კვლავ ის ლერწმის ღერი ვარ,
ცრემლსა ვღვრი თუ ვმღერივარ...
შენი ავად მხსენებლის,
შენი მტრების მტერი ვარ.

ცოტა იაც მიბოძე,
ცოტა ღვინოც მიბოძე,
ცოტაც შენთვის ილოცე,
ცოტაც ჩემთვის ილოცე.

. . . . . .

სადღაც სატრფოს ელიან,
სადღაც — ზრიალს ქარიშხლის...
სადღაც თოვლში კვდებიან,
სადღაც — იის ყვავილში.

ან შენ
როგორ დამტოვე,
ან მე როგორ გაგიშვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვუშველო...

მაშინ სხვა ვაზი ეხვია ხარდანს,
მერე რა ვიცი, — რა მოხდა მერე...
ვინ დაჰკრა თოფი, ,ვინ დაჰკრა ბადე
ჩემი ბავშვობის ტყესა და ღელეს?
. . . . . .

როგორ ვუშველო ზარებდამსხვრეულ
საყდარს, რომელიც ღვთისგან შებარა,
ბედის უღელზე შემწყდარ აპეურს, —
სიყვარულს —
სულის ლამაზ ბეგარას?

გურამიშვილი

ნეტავ პირველმა ვინ თქვა: მამული,
ნეტავ პირველი ვინ იყო, ვინაც
ჩაჟღრიალა ოქროს საყურით
ქართლის ზეგნებზე მაისის წვიმა...

ჩაჟღრიალა ოქრო და ვერცხლი,
ჩაჟღრიალა ძველი ლერწმები,

რომ მახსენდება ახლა ის ცეცხლი
და შაირ-შაირ მსხდარი მწყემსები...

გული თანდათან სევდით მევსება, —
რატომ ასე და რატომ ისე არ...
და მიყვარს, თორემ რა მელექსება,
და არ თოვს, თორემ რა მაისია.

მალე ალბათ...

ნუშის ტოტი
კვლავ თეთრ ყვავილს ისხამს,
ჩემი ბაგეც
კვლავ ჩურჩულებს: — მიყვარხარ.
ჰოდა, ამ დროს რა ვუთხრა იმ ისარს,
შეყვარებულ გულს რომ ვერ დაინახავს...

მალე ალბათ

სასმისს შხამით შევავსებ,
ვიტყვი,
ქვეყნად სულ ეს იყო, რაც მსურდა..

დაჭკნა ია
ჩემი ჩითის პერანგზე,
შენი წყველა,
შენი კრულვა ასრულდა.

წახვედი შენ და...

წახვედი შენ და
ცრამ თეთრი შელება კაბა,
წახვედი შენ და
წაწერა ვიღაცამ საფლავს:
— ვიცი,
არავინ არ გამიხსენებს,

დამთავრდა...
კერა დამრჩა ჩამქრალი...
. . . . . .
ვისაც არ უყვარდა,
აქ განისვენებს,
მაგრამ ყველანი რომ უყვარდა,
ისიც აქ არი.

დიდი ხნის მერეც...

ნუთუ ისევ ის ჭაღი ირხევა,
ნუთუ ისევ იმ ხმით ვარ შემკული?..
თითქოს ეს ბროლიც და ეს სიმღერაც
იმ ლხინიდან გვაქვს წამოღებული.

კვლავაც ვერაფერს გვაკლებენ წლები,

ფრთა აიმწატე, ისრითის ნისლო?..

ის ბიჭი ისევ
ლამაზად ვთვრები,
ის გოგო ისევ
ლამაზად ფხიზლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაში ო, ცაში...

უსტვენდა ჩიტი და ბროლის ათოვდა
კიბეს სანთლები ათოვდა ისევ
და მივყვებოდი და ოქროს ქოშის
ნაკვალევს თვალი მიჰქონდა ცისკენ...

ზემოთ, ო, ზემოთ,
ცაში, ო, ცაში,
ძალიან შუქში, ძალიან მაღლა...

რა კარგი ვოგო იყავი მაშინ,
ნეტავ თუ ისევ კარგი ხარ ახლაც.

როგორც თქვენ გსურთ და...

თეთრი გიორგის კავშირის ბიუებს — მამიკას, ჩიორას, ედიშერს, ბესოს, გიას, მიჩოს და სხვებს, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს შიდა ქართლსა თუ აფხაზეთში.

არ თქვა, — ეს ზეცა მარტო აკდრების,
არც მარტო მზის და მარტო ჩიტების...
ხანდახან ისე მომენატრებით,
მაგრამ ქვეყანას ჯერ მანდ სჭირდებით.

მანდ, სადაც წიფის ტყვია ტიალი
და იჩრჩილება ფრთები ედემის...

ისე გაგვეელოთ ეგ ეკლიანი,
როგორც თქვენ გსურთ და მე ვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაცა ხვალაც გაეტირება:
— მზეო! სად მიხვალ,
სად მიჟღარუნობ?..

მაგრამ მითხარი, რა შეუძლია
ჩვენს გულისწყვეტას, ვაბუშანურო?

1991 წელი

რას მპირდება გაზაფხული,
რა ქრება და რა ნათდება.
არ გათბება ჩემი გული,
როგორც თოვლი არ გათბება...

ვუცქერ მინდვრებს
უხნავ-უთესს,
ვუსმენ ეკალდახმულ ხარებს...

ვაი,
ჩემი ჩიტის ბუდეც,
ვაი,
ჩიტის მხარეც.

გახსენება

ხომ იყო, როცა ერქვა ედემი,
ჩვენც მუხლს ვუყრიდით მშვენიერებას...
წვიმდა — ვიყავით წვიმის წვეთების,
თოვდა — ვეყვარდა ფიფქთან შერევა.

დღეს იმ ზარ-ზეიმს
ვერც შენ გამართავ,
ვეღარც მე გეტყვი, ლექსით მოვედი...

მთვრალია ყველა კაი თამადა,
მკვდარია ყველა კაი პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუბაბრია

ბრწყინვალე ჩონჩხები

რომანი

„ამაოების გაკვეთილებს“ კითხულობდა უკლებლივ ყველა — ქალები და მოხუცები, მდიდრები და ღარიბები, ოჯახის დიასახლისები და მეცნიერები... უწიგნური გლეხები ფულს აგროვებდნენ და წერა-კითხვის მცოდნეთ აკითხებდნენ ხმამაღლა. ერთი სიტყვით, კალენდულას ნაშრომმა ბეთქილაპურელებისათვის უფრო ღიდი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე „თალმუდმა“ იუდეველთათვის, „ყურანმა“ მაჰმადიანებისათვის და „სახარებამ“ ქრისტიანათვის.

„მაინც რა დაწერა ასეთი ამ თქვენმა კალენდულამ“, იკითხავს მკითხველი და მართლაც, თავიდან წიგნი სულაც არ ახდენდა რაღაც არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას. ეს იყო მოკლე, სხარტი, ტევადი წინადადებისაგან, უმთავრესად მაქსიმებისაგან შედგენილი არცთუ სქელტანიანი კრებული, რომელიც ძირითადად ადამიანსა და სამყაროში მის ადგილს ეძღვნებოდა.

მსუბუქი და ბრწყინვალე სტილის წყალობით ყველაზე გონებაჩწლუნგი მოქალაქეებიც ხედებოდნენ, რისი თქმა უნდოდა ავტორს და ამის გამო, მადლიერების გრძნობით ივსებოდნენ მის მიმართ. ამ თხზულებაში ყველასთვის ყველაფერი გასაგები იყო. ქაღალდზე სულ იოლად გვარდებოდა სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობა, ქრებოდა გაჭირვება და სიღუხჭირე, უმეცრება და სხვა ათასი საავე, რითაც, როგორც მოგეხსენებათ, სავსე იყო ბეთქილაპური.

წიგნის ერთი შეხედვით სრულიად სერიოზული, აკადემიური ტონის მიღმა აშკარად იგრძნობოდა ყველას და ყველაფრის გამასხარავების სურვილი. და უნდა ითქვას, კალენდულა ამას შესანიშნავად ახერხებდა! ყველაზე საკვირველი იყო ის, რომ ყოველი მკითხველი წიგნში მინიშნებულ ნებისმიერ პიროვნებას ცნობდა... საკუთარი თავის გარდა. ამიტომაც იყო, რომ ყველა კმაყოფილი რჩებოდა!

მწირი ცოდნისა და განათლების მქონეთ დიდად სიამოვნებდათ შეგრძნება იმისა, რომ ყველაზე სახელგანოქმული საზოგადო მოღვაწენი და ხელოვანნი, მეცნიერნი და მწიგნობარნი ყოვლად მიწიერი და ბიწიერი, სუსტი და უნებისყოფო, წვრილმანი და გაუტანელი არსებანი ყოფილან — ზუსტად ისეთები, როგორც ყველა!

ის ცნობილი პიროვნებებიც კმაყოფილნი იყვნენ, რადგან შურითა და ეჭვით დაღრღნილნი ტკბებოდნენ მეტოქის მისამართით გასროლილი შხამიანი ისრების შხეილით. და ამ დროს სარკეში საკუთარ გამოსახულებას ვერ ამჩნევდნენ!

გაგრძელება. დასაწყისი რჩ. „ცისკარი“, № 6. 7-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველები სიცილ-ხარხარით თვრებოდნენ წიგნის ფურცლებზე გაბნეული მოწყალული ვარდების სურნელებით და არ უწყოდნენ, რა მორიელს იხუტებდნენ მკერდში.

●

განსაკუთრებით ყურადღება კალენდულას ციური ძალების გამაიმუნებისთვის დაეთმო.

„ღერთისაგან გათავისუფლებული ადამიანი ეშმაკისგანაც თავისუფლდებაო“, წერდა წიგნის შესავალში კალენდული და ამ უბრალო და აზრიანი წინადადებით ისე მაგრად აბამდა მკითხველს, რომ ყოველ შემდგომ დებულებას იგი ურყევ და ერთადერთ ჭეშმარიტებად აღიქვამდა. ის კი არა, დიდად გამობრძმედილი, კრიტიკულად განწყობილი ქიდმაღალი სწავლულებიც ვერ უძლებდნენ წიგნის ფურცლებში გახვეულ ბანგს, სიტყვის ელვარებით დაბრმავებულნი ნებდებოდნენ ნებიერ ხიბლს და უკვე რამდენიმე გვერდის წაკითხვის მერე სიამოვნებისაგან ხელების ფშვნეტასა და ქირქილს აწყებდნენ...

მის აზრებს მოქალაქენი იზეპირებდნენ, წიგნში გამოთქმული იდეებით სარგებლობდნენ ორატორები და პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ვექილები, ბაზრის დედაკაცები და სხვა მოდვაწენი.

„ღმერთს სამშობლო არა აქვს, კალენდულა კი ბეთქილაპურის ღვიძლი შვილია!“ — გაჰკიოდნენ „მოწოფვები“.

„კალენდულამ ახალი სიტყვა თქვა ალქიმიაში!“ — ადიარებდნენ ალქიმიკოსები.

„კანლედულას ეკუთვნის მრავალი ასტროლოგიური აღმოჩენა!“ — ასკვნიდნენ ასტროლოგები.

„კალენდულამ აღზარდა ჩვენი საყვარელი დინგ დო — იმედი განახლებული ბეთქილაპურისა!“ — ანათლებდნენ ბეთქილაპურელებს მომრავლებული პროკლამაციები.

უბრალოდ რომ ვთქვათ, კალენდულას სახელი თანდათანობით უფალისას ცვლიდა და მისი ჩუმი შავი ეტლის ყოველი გამოჩენა ისეთივე აღტაცებას იწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში, როგორც, მაგალითად, ქერა ჭყარ-ულვაშიანი ციური ღვთაების ატაცეტეკლიკისა აცტეკებში.

ხალხი ეკლესიაში ადარ დადიოდა და მოწყენილი ღვთისმსახურნი ამაოდ ცდილობდნენ მრევლის შემოკრებას.

დიამტეერა ხატები და ბარძიმები, ვინმე დედაბერი თუ შემოიავლიდა ეკლესიაში, ერთ სანთელს დაანთებდა და ის სანთელი საცოდავად ბჟუტავდა ხოლმე ერთ დროს თბილ და გაბდღვრიალებულ, ახლა კი ცივ და მიუსაფარ ტაძარში...

XXXIII. ᲓᲘᲕᲔᲠᲢᲘᲡᲔᲜᲢᲘ

ღილის ხუთი საათი სრულდებოდა.

სანთლებით განათებულ დარბაზში აქაიქ თამაქოს კვამლი სქელ ფენებად იდო.

დაგუდული ხმაური და მოწყენილობა სუფევდა ირგვლივ.

უძლიერთა და აქეთ-იქით სირბილით გამოთაყვანებული მიმტანები ველარც კი იკებდნენ, რა უნდოდათ მათგან.

მიმტანთუხუცესი დარბაზის კუთხეში მაგიდასთან იჯდა, უაზროდ იღიმებოდა და წითელი ხავერდის ფარდით შუბლზე ოფლს იმშრალებდა მალულად.

მზარეულებს დიდი ხანია შინ წასვლა უნდოდათ, მაგრამ დაღლილებს სკამებიდან წამოდგომა ვერ მოეხერხებინათ.

ერთ ცარიელ მაგიდაზე დაყორავებული სანთლის წვეთები დამდნარ-ამწელილ პუკურღუს ელვენთებოდა.

დარბაზის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას პალმის ღვინის ცარიელი ბოთლებით გარშემორტყმული უზრმაზარი-პიანი კაცი ვაუკაცურად ებრძოდა თავის დაუმორჩილებელ ენას და დაკვეთებით ცდილობდა კარგა ხნის წინათ დაწყებული სადღეგრძელო დაემთავრებინა. ვისთვის ირჯებოდა, ძნელი გასაგები იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მის სამ თანამეინახეს ამქვეყნიურისა აღარაფერი ეცხო.

დაობებული ორკესტრი დაზეპირებულ მელოდიას უკრავდა და სამი ჩახუტებული წყვილი ერთ ადგილზე ირწეოდა.

●

ზუთჯერ დაიყღრიალა თუ არა საათმა, ესტრადაზე ერთი ხანშიშესული, საკმაოდ მახინჯი ქალი ავიდა. მისი ენერგიული მიხვრა-მოხვრა, აელვარებული თვალები და შემართული განწყობილება კატეგორიულად არ ეხამებოდა დარბაზის მოყირჭებულ, ღვინის ანაოროქლიოთა და უძლური ენებებით დამძიმებულ ატმოსფეროს.

ორკესტრი უცებ გაყუჩდა, მხოლოდ ღიროტოტომ ვერ შეძლო, დრიულად შეეწყვეტა დაკვრა და მისი ხრინწიანი, ობოლი ხმა შეშინებული თავვეავთ დიკვრა ესტრადის სიღრმეში.

დაგუდული ხმაური შეწყდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მთვრალმა თამადამაც კი მოსხიპა სადეგრძელო და ახლა ამას ცდილობდა, აქეთ-იქით გაქცეული თვალებისათვის მოეყარა თავი.

●

ქალმა დაბალი, ოდნავ აორთოლებული ხმით ბეთქილაპურის, კალენდულასა და ღინგ დოს სადიდებელი ჰიმნი წამოიწყო.

ჯერ აკომპანემენტის გარეშე მღეროდა, მერე დარბაზის სიღრმიდან მას ტამ-ტამების რიტმი შეეხმიანა.

ქალი გატაცებით მღეროდა და ნელ-ნელა ხმას უწევდა.

ტამტამებმაც უმატეს.

განაბულ დარბაზს უცნაურმა ჟრუანტელმა გადაუარა.

სიმღერა კი სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალას.

ორკესტრანტებმა ერთმანეთს გაღახედეს, ინსტრუმენტები მოიმარჯვეს და ჰიმნის მოტივს აჰყვნენ.

●

ხანშიშესულმა ქალმა ბოლოს მთელი დარბაზი დაიპყრო.

ადამიანები თავისდაუნებურად ფეხზე დგებოდნენ.

უმრავლესობას თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ყველნი გულმობჯენილნი თავისთვის იმეორებდნენ ჰიმნის სიტყვებს, მერე კი სულ უფრო თამამად უერთებდნენ თავიანთ ხმებს მომღერლისას...

და მოხდა პატარა სასწაული — მთელი დარბაზი ფეხზეადგარი მღეროდა ჰიმნს.

აქ უკვე სულ ერთი იყო, ვის როგორი ხმა ან სმენა ჰქონდა; მნიშვნელობა დაკარგა ცალკეული ადამიანის ასაკმა, სქესმა, საზოგადოებრივმა მდგომარეობამ...

იყო ჰიმნი და იყო ბეთქილაპურელებით, ჭეშმარიტი პატრიოტებით სავსე დარბაზი, რომელიც ჭექდა, გრგვინავდა და უმიზეზოდ აღტყინებული, წალკვით ემუქრებოდა მთელს ქვეყნიერებას.

●

მხოლოდ ერთი ბებერი ლოთი უყურებდა ყოველივე ამას ჯერ ვულგრილად, მოჭუტული თვალებით; მერე, როცა შეატყო, აღარ ათავებენო, პროტესტის ნიშნად ტაშის დაკვრა გადაწყვიტა, მაგრამ უცებ მის შორიახლო მდგარ ყველზე ძარღვებდაჭიმულ ახალგაზრდას ბაკვირდა, დაშინდა, მოიბუზა და დარბაზიდან გაიძურწა.

XXXIV. ღინგ დოს სცენაზე უხმობენ

კალენდულა ამყოფილი იყო — ყველაფერი მისი გეგმის მიხედვით მიდიოდა.

„მოწაფეებს“ ვიდა გაუბედავდა უბატონოდ ხმის გაცემას — ბეთქილაპურში მათი გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. მოქალაქეებს პირზე ეკერათ კალენდულასა და ღინგ დოს სახელები, მიუხედავად იმისა, რომ, ამ უკანასკნელს თვით „მოწაფეებიც“ არ იცნობდნენ. საინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესია, რომ კაცისშვილს არ მოსდიოდა აზრად, ეკითხა მაინც, ვინ იყო ეს იდუმალი დინგ დო და რატომ მაინცდამაინც ამ კაცს ეკისრებოდა ბეთქილაპურის გადარჩენის მისია. ეს, რაღა თქმა უნდა, კალენდულასადმი უდიდესი ნდობით იყო განპირობებული.

და აი, დადგა დღე, როცა კალენდულამ გადაწყვიტა დინგ დო ბრძოლის ასპარეზზე გამოეყვანა!

ამ დროისათვის დინგ დოს იცდახუთი წელი უსრულებოდა და გარეგნულად ჩვიდმეტი წლის დიგოსაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. მაგრამ მხოლოდ გარეგნულად... კალენდულას ვეერდით გატარებული რვა წელი ჩვეულებრივი ცხოვრების ოთხმოც, ას და უფრო მეტ წელიწადსაც უდრიდა. ამ ხნის განმავლობაში კალენდულამ დინგ დოს გადასცა თავისი ცოდნის უდიდესი ნაწილი; დინგ დო შინდან გამოუსვლელად ხან ამაზონიის ჯუნგლებში დაეხეტებოდა, ხან ჩრდილო პოლუსისაკენ მიმავალი ვემის მამაც კაპიტანს, ედგა მხარში, ხან საჰარის გავარვარებულ ქვიშაში მიიკვლევდა გზას ქარავანთან ერთად და ხანაც ავსტრალიელ აბორიგენთა ღღესასწაულში იღებდა მონაწილეობას... იგი ესაუბრებოდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ და თანამედროვე ფილოსოფოსებს, გაიცნო უამრავი ადამიანი, სწავლობდა სხვადასხვა ხალხის წეს-ჩვეულებებს, უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ეშაფოტისთვის გამზადებულ მეცნიერ-ერეტიკოსებს, ავაზაკებს, უდანაშაულო ადამიანებს... იგი უკვე კარგად იცნობდა სისხლიან დიქტატორებსა და ტირანებს, აკვირდებოდა ყველა დროის გამორჩენილ ადამიანთა საქციელს, მათთვის ყველაზე ინტიმური სიტუაციების დროს... კალენდულას გავლენით ყოველი ეს ეპიზოდი განსაკუთრებული ძალით ებეჭდებოდა ტვინში და გაცილებით უფრო მკვეთრად ახსოვდა, ვიდრე ცხოვრებაში ნანახ-განცდილი. ერთადერთი, რაც ოსტატმა ბოლომდე ვერ შეასწავლა, ორატორული ხელოვნება იყო, მაგრამ მას ჰქონდა სხვა თვისებები, რაც ამ ნაკლს ფარავდა.

კინკამ ზუსტად თერმეტი საათისთვის დაიბარა „მოწაფეები“ კალენდულასთან.

უკელებლივ თორმეტივე დათქმულ დროს გამოცხადდა.

— დაახლოვით ეს დღე, — საზეიმოდ განაცხადა კალენდულამ, — იგი ოქროს ასოებით ჩაიწერება ბეთქილაპურის სახელოვან ისტორიაში. მოქალაქენი ძალე გაიცნობენ ბატონ დინგ დოს, ადამიანს, ვისაც თვით ღედაბუნებამ დაიალა ჩვენი ქვეყნის გადარჩენის „წმინდა მისია. მე მჯერა, რომ მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი მაშელის უღრუბელო და ბრწყინვალე მომავალი. თქვენ, ჩემო ღირსეული მოწაფეები, დაულალავი ბრძოლით, გმირული შემართებითა და თავდადებით მოიპოვეთ უფლება ბეთქილაპურელთა შორის პირველებმა იხილოთ ეს რჩეულთა შორის რჩეული მაშელიშვილი.

კინკამ ფარდა გადაწია და „მოწაფეთა“ წინაშე ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ ჩაცმული და დამუხტული დინგ დო წარდგა.

და პირველი, რაც მან დაინახა, საურასა და დაუთას გაოცებული სახეები იყო.

დიახ, სწორედ საურა იყო ის ერთადერთი ქალი „კალენდულას მოწაფეთა“ შორის.

„ოთხკუთხედის“ დაშლის მერე პატრიოტული იდეებით გამსჭვალული საურა ბეთქილაპურის უბიწო მანდილოსანთა ორგანიზაციაში ჩაეწერა და მალე მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მაგრამ ესეც ცოტა აღმოჩნდა მისთვის. იმდენი ქნა, რომ მეიას ფერმაში განმარტოების შემდეგ ყველაფრის მიმართ გულგრილი დაუთა გამოაცოცხლა და ბეთქილაპურის ბედნიერი მომავლისათვის, ბრძოლაში ჩაბა. ამის შემდეგ ცხადი გახდება, თუ

როგორ მოხვდნენ ისინი „კალენდულას მოწაფეთა“ შორის.

●

ამდენი ხნის უნახავი მეგობრის დანახვაზე (ისიც ლეგენდარული და განუმეორებელი დინგ დოს როლში) საურამ და დუთამ ერთხმად შეჰყვირეს. მეორე წამს საურამ დამცინავად ასწია მაღლა წარბები, ხოლო კეთილშობილი დუთა დაკარგული მეგობრის გადასაკოცნად გაიწია, მაგრამ...

კალენდულამ, რომელსაც არც საურას ტუჩის აბზეკება გამორჩენია და არც დუთას გამოხდომაზე დინგ დოს მიერ თავის უნებურად გვერდზე გაწევა, იმწამსვე „ჩართო“ ზემოქმედების მექანიზმი და დუთა შუა გზაზე გააშეშა.

საურამ გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ დიგოყოფილისადმი თავიდან აგდებული დამოკიდებულება ჯერ პატივისცემის, მერე კი უსაზღვრო ალტაცების გრძნობით შეეცვალა. დუთამაც უარესი მოწიწება იგრძნო მის წინაშე მდგარი პიროვნების მიმართ...

●

და მაინც, კალენდულამ თავის თავს შეცდომად ჩაუთვალა „მოწაფეების“ მთავარ ჯგუფში დინგ დოს ყოფილი მეგობრების შეყვანა. არა, საურასი აღარ ენაღვლებოდა – ქალიშვილის ანთებული თვალები ყოველგვარ მოულოდნელობას გამორიცხავდა, მაგრამ დუთა... მას არაფრით არ უნდოდა, დუთასა და დინგ დოს შორის წინანდელი ურთიერთდამოკიდებულება აღდგენილიყო, რაც დროთა ვითარებაში აუცილებლად იჩენდა თავს.

ამავე დროს, კალენდულას სანდო კაცი სჭირდებოდა ოკეანისგადმა გასაგზავნად. მისი გეგმის მიხედვით, ამ კაცს სარფიანად უნდა გაეყიდა ბრილიანტები, ამ ფულით რამდენიმე ათეული ან ასეული გემი დაექირავებინა, დარჩენული ხოროგიო დაეტვირთა და გამოეგზავნა, რათა ბეთქილაპური დინგ დოს მიერ ძალაუფლების ჩაგდების პირველი ღლეებიდანვე ხვავითა და ბარაქით დატბორილიყო. და კალენდულამ გადწყვიტა ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მისია დაუთასთვის დაეკისრებინა. ამით იგი ორ მხეჭან კურდღელს იჭერდა: ჯერ ერთი, დუთაზე დინჯი, გონიერი, საქმიანი და, რაც მთავარია, ერთგული პიროვნება მეორე არ ეგულებოდა და მეორეც, მასა და დინგ დოს ერთმანეთს დააცლებდა.

XXXV. ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა კინკამ პატრონის დავალება სათანადოდ ვერ შეასრულა:

ბაღი, სადაც დინგ დოს ხალხის წინაშე პირველი გამოსვლა დაიგეგმა, საღამოობით ახალგაზდებით იყო ხოლმე სავსე. უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის ბეთქილაპურში ელვის სისწრაფით გავრცელდა უცნოელი მეზღვაურების შემოტანილი ცეკვა „რუდუდუ“. გოგობიჭები მოუთმენლად ელოდებოდნენ მზის ჩასვლას, რომ იმ ბაღში მოეყარათ თავი და ეს „რუდუდუ“ ეცეკვათ. მათთვის აღარ არსებობდა არცმაგნილიების დამათრობელი სურნელი, არც უკაცრიელი სანაპიროს სილამაზე, და არც არაფერი ამქვეყნად. იყვნენ ისინი და იყო რუდუდუ!

●

ბაღში მუსიკის შეწყვეტას მოცეკვავენი ხმაურითა და უკმაყოფილების გამომხატველი შეძახილებით შეხვდნენ.

ამ ვითარებაში ხალხს შეუნჯველელ დინგ დოს კი არა, გამოჯვეული ორატორს გაუჭირდებოდა. შეკრებილებმა ხეირიანად ვერც კი გაიგეს, რომ მათ წინაშე თვით დინგ დო იდგა. ამ გამხდარი, გაფითრებული ახალგაზრდის დანახვაზე (მოგეხსენებათ, რა გასავალი ჰქონდა ბეთქილაპურში წარმოსადგი გარეგნობას) ხმაურმა ამატა და შიგა და შიგ სტვენაც გამოერია.

დაბნეულ დინგ დოს პირწმინდად დაავიწყდა კალენდულას შეგონებანი და სიტყვას სიტყვაზე ეეღარ აბამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაო გამოდგა „მოწაფეთა“ მცდელობა, გაეჩუმებინათ ხალხი. თავგანწირულმა მოცეკვავეებმა ერთმანეთს გადახედეს, ორატორს ალაჯ შემოარტყეს და ამ უკანასკნელს სხვა რა გზა დარჩენოდა, რომ თავქუდმოგლეჯილს არ მოეცოცხა.

●

ბეთქილაპურის პოლიტიკის ამომავალი ვარსკვლავი ფრიად საცოდავი შესახედი გახლდათ, როცა იგი კალენდულასთან დაბრუნდა — აცივები, ბალს კბილზე აცემინებდა, აღშფოთებული რაღაცას ლუღლუღებდა და დიდი სურვილი ჰქონდა, განმარტოებულიყო და დახოცილი ვირთხებთან სავსე კასრში ჩაეყო ხელი...

კალენდულამ ყურადღებით მოუსმინა შეკირდს, დაუწყნარა და აღუთქვა, რომ მომავალში მსგავსი რამ არ გამეორდებოდა.

●

კალენდულამ შეასრულა თავისი სიტყვა.

ამჯერად იგი კინკას არ ენდო და საქმის ორგანიზაცია თვითონ ითავა.

„მოწაფეების“ დახმარებით შერჩეულ იქნა პატრიოტულად განწყობილი საზოგადოება, მათ შეუერთდნენ ბოავარ მოედანზე მოყიალე უსაქმურები, რომლებსაც მხოლოდ კალენდულასა და დინგ დოს შესახებ ჭორები ასულდგმულებდათ. ისინი ტაშით დ შეძახილებით შეხვდნენ „ბეთქილაპურის მხსნელს“, როგორც მას თანამებრძოლები უწოდებდნენ.

ასეთმა დასაწყისმა გაამხნევა დინგ დო. მისი ხმა სულ უფრო და უფრო ომახიანად ყოერდა. კალენდულას რეკომენდაციები უშეცდომოდ მოქმედებდა. ტამტამების რიტმი, პატრიოტული ლექსები, შეძახილები: „ბეთქილაპური! კალენდულა! დინგ დო!“ (ქრომატიული გამოთ შესრულებული) აღაგზნებდა ბრბოს.

კალენდულას მიერ დაწერილი სიტყვის ბოლოს, სადაც ლაპარაკი იყო ბეთქილაპურის დიდ ვნირებზე: დიპლოდოკუსა და სკოლოპენდერზე, მათ სულზე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, ქვეყნის ნათელ მომავალზე და ა. შ. დინგ დო თავადაც აღელდა, აკადემური ტონი დაკარგა, თმა აეჩეჩა, თვალები აემღვრა და წვრილი ხმით ლამის ისტერიული კივილი ატეხა.

შეკრებილებს ტანში ჟრუანტელმა დაუარათ, ისინი მზად იყვნენ შიშველი ხელებით მოეხრჩოთ ბეთქილაპურის, კალენდულასა და დინგ დოს მტრები. ეს იყო ის ერთ მუშტად შეკრული, მრისხანე ძალა, რომელსაც ვერაფერი დაუდგებოდა წინ...

დინგ დო, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი სიტყვა, არ ჩქარობდა კვარცხლბეკის დატოვებას. იგი იდგა, აკვირდებოდა პატრიოტული აღტყინებით შეშლილ სახეებს, ესმოდა ბრბოს თავგანწირული შეძახილები და მთელი სხეულით გრძნობდა, როგორ იღვრებოდა მასში ერთადერთობისა და განსაკუთრებულობის ძველისძველი ბანგი...

XXXVI. დაუთას კალმასობა

ძველუბნელი ამაზი სულ ორიოდ წელი იყო, რაც „კალენდულას მოწაფეებში“ ჩაირიცხა. დაუთამ მეზობელს ხათრი ვერ გაუტეხა, ოორემ ეს ბიჭი მაინც-დამაინც გულზე არ ეხატებოდა, თითქოს ერთგულიც იყო, შემსრულებელიც, გამბედავიც, მაგრამ მის ლამაზ, ცისფერ თვალებში ყოველთვის გამოკრთოდა რაღაც, რაც ყოველთვის აეჭვებდა დაუთას. იქნებ ის არ მოსწონდა, რომ ამაზს ვერავინ მოასწრებდა პატრიოტული ლოზუნგის წამოყვირებას, თან ისე, რომ ყველას გაეგონა; რაიმე სახიფათო დავალების შესრულების შემდეგ იმდენს იზამდა, მთავარ „მოწაფეებს“ ან თვით კინკას შეექო.

მიუხედავად ამისა, დაუთა უყოყმანოდ დაეთანხმა კინკას, რომ ოკეანისაგაღმა მოგზაურობაში ეს ბრინჯაოსფერი, დაკუნთული და მარჯვე ყმაწვილი ძალიან და ძალიან გამოადგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრაზიაში დაუთას ეიზიტმა არნახული გამოცოცხლება გამოიწვია ამ მრავალსმნახველ კონტინენტზე.

არა, კაცმა რომ თქვას, დაუთას ვინ მიაქცევდა ამხელა ყურადღებას, თუ არა ბეთქილაპურული ბრილიანტები, ქვები, რომლებსაც ოკეანეში ჩაკარგული კუნძულის მცხოვრებთათვის ზღაპრული ბედნიერება უნდა მოეტანათ.

დაუთას, უფრო სწორად, კალენდულას ბრილიანტების ზომებმა, ფერმა და ელვარებამ პირველი დღეებიდანვე მოიზიდა უმდიდრესი ვაჭრები მსოფლიოს ყოველი კუთხიდან. ამ ბრილიანტების დანახვისთანავე თავბრუდახვეული ოუველირები უზმოდ იხდიდნენ საფასურს და თავეკუდმოვლეკილნი გარბიდნენ თავიანთ ქვეყნებში, რათა იმპერატორების, მეფეების, რაჯების თუ მანდარინებისათვის ქვების ღირებულებაზე ათჯერ და ასჯერ მეტი თანხა წაეგლეჯათ. დაუთა მკაცრად ასრულებდა კალენდულას დარიგებას და თავიდან დღეში ითთო ბრილიანტის მეტს არა ჰყიდდა. ვაჭრების ასეთმა დარბაისლურმა პრინციპმა, ერთი მხრივ ოუველირთა უსასრულოდ გაჭიმული რიგი წარმოშვა და, მეორეს მხრივ, დაუთას, როგორც ძვირფასი თვლებით ვაჭარს, ერთობ კეთილი სახელი დაუდგა. თვით ყველაზე სკეპტიკურად განწყობილმა სოვდაგრებმაც ბოლოს თავი მოეკრნელ და მათ შორის უძუნწესნიც ჩეჩქივით ფანტავდნენ ფულებს, ოღონდ კი სანუკვარი თვლები ჩაეგდოთ ხელში.

გულშემოყრილი პრინცესები, სეფე ქალები, ბედის ნებიერი მსახიობები, ძლიერთა ამა ქვეყნისა საყვარელნი და მრავალი სხვა ლამაზმანნი დაუთას სახელს წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ და ყოველ გაელენას ხმარობდნენ უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული ქვებს — „შავი მზის“, „ატლანტიდის“, „ბუდას ცრემლის“, „ოდაკონის თვალის“, „მორცხვი დიანას“, „მთვარის სერენადისა“ და უამრავი კიდე სხვა სახელწოდების შავი, ცისფერი თუ ყვითელი ნათების ძქონე ბრილიანტის დასასაკუთრებლად.

ასეთ სიმდიდრეში ჩაფლული დაუთა ისე ხელმოჭირნედ ბარჯავდა ფულს, რომ ამაზს საგონებელში აგდებდა. დაუთას თანაშემწეს ვერაფრით ვერ გაეგო, რატომ არ უნდა გაეტარებინათ დრო თავის გემზე, რიცა საქმე მილიონობით და მილიონობით ოქროსთან ჰქონდათ. თავდაბირველად ისიც პატრონივით იქცეოდა, მაგრამ როცა ერთმა იუველირმა მოზრდილი ქისით დასახუჭრა — რიგში წინ წამწეეო, მეორემ ოქროს ყელსაბამი მოართვა — დაუთასთან საქმე გამიჩარხე, ხუთი ბრილიანტი ერთად მომყიდესო, მესამემ... და ა. შ., ამაზმა თავზე ხელი აიღო და ისეთი საქმეები დაატრიალა, პატრონს რომ გაეგო, აუცილებლად მოიშორებდა თავიდან. მაგრამ ამაზი რის ამაზი იქნებოდა, ვინმეს რაამე შეეტყო. ისე გაძვრებოდა ხოლმე ღამ-დამობით ქალებში, ისე ქეიფობდა დილამდე, რომ დაუთას ბეთქილაპურში დაბრუნების შემდეგაც წარმოდგენა არ ჰქონდა თანაშემწის ოინებზე.

კალენდულას ბრილიანტებს იმთავითვე სისხლიანი კვალი დაჰყვათ.

გამოცოცხლდნენ ბოროტმოქმედნი.

ვაზშირდა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა ქვების ხელში ჩაგდების მიზნით.

კალენდულას ნახელავის გვერდით სხვა პატიოსანი ქვები გაუფერულდნენ და ფასი დაკარგეს. უამრავი იუველირი და ვაჭარი გაკოტრდა ამის გამო.

მთელი ხუთი წელიწადი ვაჭრობდნენ დაუთა და ამაზი ევრაზიაში.

ამ ხნის განმავლობაში დაუთამ ყველაზე გამძლე და სწრაფმავალი გემები შეარჩია, დატვირთა ისინი ბრილიანტებიდან ამოგებული ოქრო-ვერცხლით, ხეტყით, ფრთალითი, უცნო სანოვაგით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღით და შორეული კუნძულის გზას გაუყენა.

ამ კაცის გაქანებითა და პატიოსნებით მოხიბლული გემმფლობელები, ვაჭრები, მრეწველები და სხვა საქმიანი ადამიანები ცდილობდნენ თავი არ შეერცხვინათ, სარფიანი დაკეთება დროულად და ხარისხიანად შეესრულებინათ და ამით თავიანთი ავტორიტეტიც აემაღლებინათ ბეთქილაპურელთა თვალში.

ერთი სიტყვით, ბეთქილაპურისა და დუუთას სახელები კიდევ დიდხანს ეკერათ პირზე კონტინენტის მცხოვრებთ მას შემდეგაც, რაც კუნძულელები უკანასკნელ დატვირთულ გემს დასხდნენ და სამშობლოსაკენ გამოსწიეს. სამშობლოში კი დიდი ამბები ხდებოდა...

XXXVII. ეხლო�d ᲗᲕᲔ ᲔᲠᲗᲝᲡ!

თუ ძველად დიგოს საურას ერთ შერხვეაზე ტანში ბურძგლავდა, ახლა უკვე თვით ქალიშვილს შეეჭამა ლამის თვალებით „ბეთქილაპურის იმედი“. საურას ფანატიურ პატრიოტიზმს პატივმოყვარეობა ემატებოდა და „ბეთქილაპურის პატარძალი“, როგორც მას ერთხელ კალენდულამ ნახევრად ხუმრობით უწოდა, ჟინიანად და მოუთმენლად მიიწევდა წინ სათაყვანებელი დინგ დოს დასაპყრობად.

უნდა ითქვას, რომ ამისთვის ქალიშვილს დიდი ძალისხმევა არც სჭირდებოდა, რადგან თვით დინგ დო მეშვიდე ცაზე ფრინავდა, მაგრამ... საქმე საქმეზე მიდგებოდა თუ არა, უკან იხევდა და კბილებს ისე აჭერდა ხოლმე ერთმანეთს, რომ ყვრამალები უთეთრდებოდა. უარესიც! იმის მაგივრად, ქალისთვის „მიყვარხარო“, ეთქვა, აიღო და ფარულად ისევ თავის ლექსებს დაუბრუნდა.

ძველი საცოდავლარი გადაიკითხა და სასტიკად არ მოეწონა. არადა, სწორედ ლექსებში უნდოდა გამოეხატა მოჭარბებული გრძნობები. „ბოწაფეებისა“ და თაყვანისმცემელთა მიერ ყოველმხრივ განებივრებულსა და ხოტბაშესხმულს ვეღარც წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა მას, დინგ დოს, საქმისთვის მოეკლებინა ხელი და ის საქმე არ გამოსულიყო!

აქ მას გაახსენდა კალენდულას მიერ ჩამოყალიბებული „უნივერსალური ჰარმონიის პრინციპი“. კალენდულა ირწმუნებოდა, რომ ამ პრინციპის გამოყენებით შეეძლო ადამიანს უმაღლეს დონეზე გაეკეთებინა ყველაფერი — ფიცრის გაშალაშინებიდან დაწყებული და შავი მაგიის ფორმულების ამოხსნით დამთავრებული. შეექმნა ისე, რომ დედა-ბუნებასთან სრული ჰარმონია არ დაერღვია.

ჰოდა, დინგ დომ ლექსების თხზვის ახალი ციკლი სწორედ „უნივერსალური ჰარმონიის პრინციპზე“ დაყრდნობით დაიწყო.

●

კალენდულა ერთი კვირით ბეთქილაპურის მთიანეთში გაემგზავრა ზოგიერთი მცენარეულისა და მინერალების შესაგროვებლად.

დინგ დომ ამით ისარგებლა, ლექსები გადაათვალიერა, ყოველ მათგანს „დ-ო“ მიაწერა და სახლიდან ისე გაიძურწა, მოსამსახურეებს რომ არ დაენახათ.

●

საყმაწვილო ჟურნალ „გაიქეც, გაინავარდე!“-ს რედაქტორს, ბატონ დუბაის სახეზე დღენიადაგ ისეთი მჟავე გამომეტყველება ეხატა, თითქოს ეს-ეს არის, ცივი შარბათის მაგივრად შეცდომით, თბილი, აძმარებული თხლე დალიაო.

●

ამ ბატონმა ზედაც არ შეხედა დინგ დოს და ბატონ სოვასთან ვააზავნა. ბატონი სოვა პოეტი იყო, ნამდვილი პოეტი, მაგრამ მისი სახელი პოეზიის ჭეშმარიტი დამფასებლებს ვიწრო წრისთვის იყო მხოლოდ ცნობილი. მისი ლექსები ხმამაღლა არ იკითხებოდა, ისინი არ ყვიროდნენ, არ მოუწოდებდნენ და არც ყურს უხეთქავდნენ ვინმეს. არადა, ბეთქილაპურში სწორედ ის პოეტები სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობდნენ უდიდესი პოპულარობით, რომლებიც თავიანთ ლექსებს სამი ძახილის ნიშნით, ტაშის გრიალში ამთავრებდნენ! ის პოეტები დიდ პატივსა და ფუფუნებაში იყვნენ ჩაფლულნი და მათგან განსხვავებით ბატონ სოვას წელზე ფეხის დადგმა უხდებოდა ოჯახის გამოსაკვებად. ის მცირე გასამრჯელო, რასაც იგი რედაქციაში დამწყები პოეტების კონსულტაციისთვის იღებდა, უკვე დიდი შეღავათი იყო.

ბატონი სოვა კეთილსინდისიერად ეცნობოდა დამწყებთა შემოქმედებას და საკმარისი იყო, თუნდაც ცუდ ლექსში პოეზიის მარცვალი აღმოეჩინა, რომ ავტორს ზედ გადაყოლოდა. მაგრამ ეს რბილი და ხათრიანი კაცი სალ კლდედ იქცეოდა ხალმე, როცა ავტორს ნიჭის ნატამალს ვერ შეატყობდა.

„ბეთქილაპურის მხსნელი“ დაფხავებული ავეჯით გაწყობილ, თამბაქოს კვამლით გაჟღენთილ ოთახში იჯდა და განაჩენს ელოდებოდა.

— ჰოო, — ასწია ბოლოს თავი ბატონმა სოვამ, — თქვენს თხზულებებში გარეგნულად ყველაფერი რიგზეა — შეტრიც, რითმებიც, ზომაც... მაგრამ ეს მაინც არ არის ლექსი. გირჩევთ, სხვა ხელობას მოჰკიდით ხელი... კარგად ბრძანდებოდეთ!

●

დინგ დო ისე გამოვარდა რედაქციიდან, რომ ლექსების წამოღება არც გახსენებია. იგი მზად იყო მთელი ქვეყნის წიგნები დაეწვა და ბეთქილაპურიც ზედ მიეყოლებინა.

ეს რა გაუბედა ვიღაც მოშაირემ! ვიღაც მჯდანელმა! თან ისეთი სახე ჰქონდა იმ ოხერს, ხმა ვერ ამოიღო. დამაცადონ, მაგათ ვაჩვენებ სეირს!

შინისკენ მიმავალი გზად ვერავის ამჩნევდა. მთავარ მოედანზე კი აღმოაჩინა, რომ აღტაცებული თაყვანისმცემლებით იყო „ალრშემორტყმული. ამდენი ერთგული სახის დანახვაზე გულს მოეფონა, ცოტა დაწყნარდა და ექსპრომტად ერთი ისეთი სიტყვა გამოაცხო, თქვენი მოწონებული!

ხალხმა ოვაციებით გამოაცილა თავისი რჩეული. „აი, ჩემი დამფასებლები! ხალხია ყველაფრის ჭეშმარიტი საზომი და არა ხელმოცარული მწერლებიო“, ფიქრობდა.

●

სანამ სასახლეს მიაღწია, დაბნელდა კიდეც.

ბოლომდე მაინც ვერ მოენელებინა დღევანდელი მარცხი.

„არა, აქ რაღაცა შეცდომაა, თორემ როგორ შეიძლებოდა, კალენდულას თორიას ემტყუნა... ან იქნებ...“

და უცებ დაწყნარდა, რადგან ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ პოეტს უბრალოდ შურდა მისი...

●

ჩაბნელებულ სასახლეში ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

დინგ დო თავის ოთახში შეევიდა, სანათლე აანთო და უცებ შეკრთა: მის წინ მზეთუნახავი საურა იდგა.

●

— საურა, შენა?!

— დიახ! და მე მოვედი, რათა ჩემი ქალწულობა შენ შემოგწირო!

ასეთი კატეგორიული განცხადების მერე დინგ დოს უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა.

XXXVIII. აფეთქება

გაზაფხულის მესამე თვის — მარჩვების მეთხუთმეტე დღეს თვით ბეთქილაპურისთვისაც კი უჩვეულო დილა გათენდა.

ლურჯი ცა კრიალებდა, პალმებზე ვეებერთელა თეთრი ყვავილები გადაიფურჩქნა, მხიარულად დახტოდნენ ხეებზე ჭკვეტინა მაიმუნები და ფერად-ფერადი ჩიტების ჟღურტული იკლებდა არე-მარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს აღინიშნებოდა ბეთქილაპურში ეროვნული დღესასწაული — მეფის დაბადების დღე!

ფრიად მოწყენილი ეგებებოდა თავის ოთხმოცდამეთხუთმეტე წლისთავის იუბილეს ბეთქილაპურის მეფე ზენგო XXXVIII სკოლოპენდერი.

ამა რა!

ჯერ იყო და პეპლების საჭერი ბადე წაართვეს, მერე ცხენჯოხიც დაუმალეს, ამ გაგანია სიცხეში საძულველი თეთრი ბეწვის მანტია მოასხეს, თავზე დაწყვეტილი გვირგვინი ჩამოაფხატეს, კვერთხი მიაჩეჩეს და პრინცესებთან ერთად ეკვეთლებიან ეტლში შეაგდეს. თან დაარიგეს — ქვეშევრდომებს მოწყალე ღიმილი არ მოაკლოო. რა გაეწყობოდა, ასეთი ყოფილა მეფეების ხვედრი! და მეფე ზენგოც დაემორჩილა მწვალებლებს.

მაღლობა ღმერთს, ეტლი მაინც იყო თავახდილი და სუფთა ჰაერზე ისე მბაფრად ალარ ეგრძნობოდა პრინცესების აფრიკული ნელსაცხებლების სურნელი.

მსტოვრების მიერ მოტანილი არცთუ დამამშვიდებელი ცნობებით შეწუხებული ბეთქილაპურის მთავრმართველი და მხედართმთავარი, პრინცესა კამელიას მეუღლე რეჯო ბაუბეკი მოუსვენრად აცეცებდა თვალებს და მხოლოდ სამეფო ვკარდიის მრთხანე ამალის შეხედვისას წყნარდებოდა.

ეს ოხერი ბეთქილაპურული ტრადიციები რომ არა, დიდი სიამოვნებით აღკვეთავდა ამ სულელურ ცერემონიალს. ან კი რა ეზარ-ეზეიმებოდათ ამ ტუტუც სკოლოპენდერებს, როცა სამეფო ტახტს ლამის ცეცხლი წაჰკიდებოდა, როცა ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა შეძახილება — „ძირს მეფე!“...

და თუ რეჯო ბაუბეკი არა!

თავისი მოღვაწეობის გახსენებაზე მარშლის ვიწრო თეთრ კიტელში სასწაულით ჩაჭედილი რეჯო ბაუბეკი ეტლში ისე გაიჯგიმა, რომ ღიპიდან მოოქრილი ღილი აწყდა და ერთ-ერთ გვარდიელს უცილობლად იმსხვერპლებად, ამ უკანასკნელს სპილენძის ჩაჩქანი რომ არ ხურებოდა თავზე.

გასროლილმა ღილმა ლიბონის ჩაჩქანზე ისეთი ხმა გამოიღო, ამალა შეშფოთდა.

გვარდიელებმა იარაღი მოიმარჯვეს.

ეტლი გაჩერდა, მაგრამ რეჯოს ხელი აუქნია მეეტლეს, ვითომც აქ არაფერიო და პროცესია ისევ დაიძრა.

ქმარზე მზრუნველ პრინცესა კამელიას აქვე, ეტლში უნდოდა სხვა ღილი მიეკერებინა კიტელზე, მაგრამ პრინცესა ჰორტენზიამ ისეთი მრავალმნიშვნელოვან-განგმირავი მზერა მიაჭერო დას, რომ ამ განზრახვაზე სასწრაფოდ ხელი აიღებინა.

რეჯო ბაუბეკს ისღა დარჩენოდა, მუნდირის ყველა ღილი ჩაეხსნა და გადმოღვრილი ღიპი მუხლებზე დაესვენებინა. „ჩემს თერძს ვუტირებ დედასო“, გუნებაში გაიელო ბატონმა რეჯომ და საწყალ მკერავს, რომელსაც თვითეული ღილი საგანგებო სიმაგრის ინდური კანაფით მიეკერებინა, ცუდი დღე დაადგებოდა, თუ არა და... თუმცა, მოვითმინოთ!

ჯერჯერობით ეტლი რწევით მიუყვება სადღესასწაულოდ მორთულ ბეთქილაპურს.

მეფე ზენგო XXXVIII სკოლოპენდერი ბღუჯა-ბღუჯად იღებს ვერცხლის თასიდან წვრილ ფულს, ქუჩებში ფანტავს და ცდილობს, რამდენიმე ცალი მუჭში დაიტოვოს, რომ მერე შეუმჩნეველად ჯიბეში ჩაიტენოს.

პრინცესები ყოველ მის მოძრაობას ადევნებენ თვალს და ამის საშუალებას არ აძლევენ. არც იმას ანებებენ, კვერთხი გვერდზე გადადოს და ცხვირი მოიჩაჩქნოს. „ფუი, ასეთ ცხოვრებას რა ეუთხარიო“, ფიქრობს მეფე და თან ბავშვობიდან ერთხელ და სამუდამოდ დასწავლილ ბეთქილაპურულ ღიმილს არ იცილებს სახიდან.

დები სკოლოპენდერები მარაოებს არხევენ და აფრიკული ნელსაცხებლის სურნელს გარშემო აფრქვევენ.

ამ არომატზე ცხენები ჭიხვინს იწყებენ და სამეფო კარის რკინისებური დისციპლინა რომ არა, ყალეჩეკ დიდი სიამოვნებით შედგებოდნენ.

მეფის მიერ გაცემულ ხურდა ფულს მათხოვრები, ლოთები და მაწანწალები კრეფენ.

ხალხი ცხვირს უბზუებს ამ საჩუქარს და ნუმ-ნუმად რეჯო ბაუბეკს წყევლის, რომელმაც ხაზინის სახსრების დაზოგვის მიზნით ვერცხლის კოლები გრეშებით შეცვალა.

ბეთქილაპურელებს კი კარგად ახსოვთ ის დრო, როცა დათხილნი დასდევდნენ სამეფო ეტლს და მათ შორის ყველაზე მოხერხებულნა ვერცხლის ფულით ჯიბეფატნილები მიდიოდნენ ოჯახში. აუ, რა ყივილ-ხივილი და მხიარულება იდგა ბაშინ ქალაქში, რა სუფრები იშლებოდა ეუნებში, სამეფო მარნიდან მოტანილი რა პალმის ღვინო იდგმებოდა კასრებით, რა შემწვარ-მოხრაკულის სუნი ტრიალებდა ჰაერში...

ახლა კი...

რეჯო ბაუბეკი და მისი გროშები!

ბეთქილაპურელთა ერთ, თეორიულად შედარებით მომზადებულ და მადალიდეურ ნაწილს პლაკატები მოაქონდა:

„ზენგო, შეინახე შენი ფული, ჩვენ შენი მათხოვრები არა ვართ!"

ზოგ პლაკატზე „შეინახეს" ნაცვლად სხვა სიტყვები ეწერა.

მეფის ამალა ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია ამ წარწერებისათვის, შეძახილებისათვის, მოქალაქეთა უკმაყოფილო სახეებისათვის.

დაზეპირებული ღიმილით იღიმებოდნენ და ამით უფრო აღიზიანებდნენ ქვეშევრდომთ.

ფოტოგრაფ კვიმბოს, რომელიც ამ ცერემონიალს ფირზე აღბეჭდავდა, რამდენჯერმე ლაყე კვერცხი და გადამწიფებული ხურმა ესროლეს.

რეჯო ბაუბეკი შეშფოთებული ათვალიერებდა ქუჩაში შეყრილ ხალხს.

იგი გრძნობდა, რომ დილის მერე ადამიანთა განწყობილება საკმაოდ მკვეთრად შეიცვალა. მოქუფრული ბეთქილაპურელები უკვე ისეთი გაგულისებით იცილებდნენ თავიდან ცელქი მზის სხივებს, როგორც დრბაისელი სოდგარი იაფფასიან კაბას.

ჰოდა, ის იყო, რეჯო ბაუბეკი ცვლილების პროტესტის მიუხედავად, ვაკრდიის უფროსი მოიხმო და სასახლეში დაბრუნების ბრძანება გასცა, რომ...

სამეფო ეტლს ერთი გაფეთრებული ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა უზარმაზარი თაიგულით ხელში, ყვავილები ტკბილად მიმდიმარე პრინცესა ორქიდეას გაუწოდა და განწირული ხმით დაიყვირა:

— ვაუმარჯოს თავისუფალ ბეთქილაპურს!

ეს იყო და ბეთქილაპური ჯერ არნახული და არგაგონილი სიძლიერის აფეთქებამ შეაზანზარა.

ახლო-მახლო ხეებიდან გულგახეთქილი მაიმუნები და თუთიყუშები ქვაფენილზე ჩამოცვივდნენ.

გაოგნებული ხალხი რამდენიმე წამში პანიკამ მოიცვა.

ერთმანეთში აირია დაჭრილი ცხენების გამაყრუებელი ჭიხვინი, ქალების კივილი, ტანსაცმლის ნაფლეთები და აარაღის ნამსხვრევები, სისხლი და ცეცხლი, ხორცი და ძვალი...

რამდენიმე გვარდიელი თოფს ჰაერში ისროდა უაზროდ.

ფოტოგრაფი კვიმბო თავის დამსხვრეულ აპარატს დაჰყურებდა და თანდათან სულ უფრო უკვირდა, რამ გადამარჩინაო.

ბეთქილაპურელები კისრისტეხით გარბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ და აღარც მოხუცს დაგიდევდნენ და არც ბავშვს, ოღონდ კი ამ საშინელებისათვის თავი დაეღწიათ. ცხენების ფლოქვებით გათელილი შედარებით სუსტი და მოუქნელი მოქალაქენი დაბეგვილ-დამსხვრეულნი ეყარნენ ქვაფენილზე და ზოგიერთი მათგანი უკვე გამოსალმებოდა წუთისოფელს.

განსაკუთრებით ამაზრზენი მდგომარეობა აფეთქებით ამოთხრილი ძაბრისებრი ორმოს გარშემო იყო.

აქა-იქ ვიღაცის ხელ-ფეხი ეყარა, მოგლეჯილი ჩაჩქნიანი თავი ეკლიან ღობეში გაჩხერილიყო, ქვაფენილზე ჯერ კიდევ ცვიოდა წყარნინთ ცაში ატ-

ყორცნილი ლითონის ბრიშები. გადამტვრეული კეკრეხი, დაჭყლეტილი გვირგვინი და მოოქრილი ღილი — ესლა დარჩენილიყო სკოლოპენდრთა ერთ დროს, უძლიერესი სამეფო დინასტიიდან.

❀

დამფრთხალი ბეთქილაპურელები ნელ-ნელა მიდიოდნენ გინს.

ჯერ ყველაზე თამამებმა გამოჰყვეს ცხენი სახელდახელო საფრენებიდან, მერე ხეებიც გამოინდნენ, თანდათან ამოძრავდნენ, გამხსენდნენ და ერთად შეგროვდნენ. გამოჩნდა საკაცეები, მკურნალებმა დასახიჩრებულებს მიაშურეს.

ყოველი მათგანი გაკვირვებით უყურებდა ზედ ორმოს პირას მდგარ რაღაც ხასწაულით გადარჩენილ კაფანდარა ახალგაზრდას, რომელიც თვალს ვერ აცილებდა მზეზე მოლაპლაპე ჯერ კიდევ მთრთოლავ ,გულს; დაღვრილი სისხლი შავად დედდებოდა. ცოტა ახლოს რომ მისულიყვნენ, მოქალაქეები დაინახავდნენ, როგორ ებერებოდა ამ კაცს თხელი ნესტოები.

ეს კაცი დინგ დო იყო...

❀

ნეტარხსენებული მეფე ზენგოს ერთ-ერთი მსტოვარი, რომელიც კარგად იცნობდა „მოწაფეთა“ უმრავლესობას და, რა თქმა უნდა, დინგ დოსაც, პოლიციის კაპიტანთან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა.

კაპიტანი ორი პოლიციელის თანხლებით დინგ დოს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო:

— მეფის სახელით!

დინგ დოს ორი შეიარაღებული პოლიციელი ამოუდგა აქეთ-იქიდან.

XXXIX. ღაბე, ჩირაღდნებით ანთებული!

— მეფე მოკლეს! მეფე მოკლეს! — ისმოდა ბეთქილაპურის ქუჩებში.

ხალხი შეშფოთებული და დაბნეული იყო.

ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ზენგოს ხელისუფლებას დიდი დღე არ ეწვერა, მაგრამ ადამიანებს ვერ წარმოედგინათ, თუ ასე ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდა ერთ დროს ძლიერი დინასტიის მოსპობა.

❀

—მეფე მკვდარია! დინგ დო დაიჭირეს! — აცნობა კალენდულას კინკამ.

კალენდულამ იცოდა, რომ ამალამ უნდა გადაწყვეტილიყო სახელმწიფოს ბედი. იგი მზად იყო გადამწყვეტი მოქმედებისათვის, რადგან ყოველივე წინასწარ ჰქონდა გათვლილი. მართალია, დინგ დოს დაჭერა მისი გეგმით არ ყოფილა განსაზღვრული, მაგრამ მყისვე მოიაზრა, რომ ეს ფაქტი კიდევ უფრო შთაბეჭდავს გასდიდა მოსალოდნელ ტრიუმფს.

❀

კალენდულა დინჯად, აუჩქარებლად გამოეწყო შავ ტანსაცმელში და კინკასა და რამდენიმე „მოწაფის“ თანხლებით გაემართა ციხე-სიმაგრისაკენ, სადაც დინგ დო ჰყავდათ დამწყვდეული.

ბეთქილაპურის ქუჩებში კალენდულას გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თვით სამეფო ეტლის აფეთქების ფაქტიც გაახუნა.

ეს ამბავი ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა.

ცნობისმოყვარე ბეთქილაპურელებმა შიში დაძლიეს და თვით კალენდულას სანახავად გამოემართნენ.

ქალაქის უკლებლივ ყველა უბნიდან მოედინებოდა ხალხის ნაკადი.

სიბნელის დადგომისთანავე მოქალაქეებმა ჩირაღდნები მოიმარჯვეს და ღამე ცეცხლის შუქით გაანათეს.

ყოველი მხრიდან ისმოდა ბეთქილაპურის, კალენდულასა და დინგ დოს სადიდებელი ჰიმნი, შეძახილები, ყველა ცდილობდა, დაენახა ლეგენდარული კალენდულა, მაგრამ უმრავლესობისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უმეტეს სიბნელეში, ეს სურვილი სურვილადვე დარჩა.

მთიან უბნებში მცხოვრები მოქალაქენი ბანცვიფრებულნი დაჰყურებდნენ უსასრული ცეცხლის მდინარეს, რომელსაც აქეთ-იქიდან წვრილი ნაკადულები უერთდებოდა.

ამასობაში დინგ დო, ვისაც ასე უდიერად მოექცნენ, ვიწრო საკანში იტანჯებოდა და ჯერ წამებს, მერე წუთებსა და ბოლოს საათებს ითვლიდა თანამზრახველთა გამოჩენამდე.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერად ღრღნიდა ეჭვი — შეთქმულება გამოაშკარავებულია და ყველაფერი დაღუპულა. ციხის ავისმომასწავებელ სიჩუმეში ეს ეჭვი ჯერ უიმედობამ, მერე კი იმ საზარელმა, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობმა ძველმა შიშმა შეცვალა. დინგ დოს ცოცხლად წარმოუდგა, თუ როგორ აწამებენ მას გავარვარებული შანთებით, როგორ ნელ-ნელა, დაგემოვნებით აძრობენ ტყავს, აცლიან ფრჩხილებს, მარწუხებს უჭერენ თაგზე და კიდევ სხვაგან და ბოლოს, როგორ აგდებენ მას, საშშობლოს გამყიდველს, მეფის ტახტის მოღალატეს, მკვლელს „ვერონიკას აუზში“, სადაც დაუჯერებლად დიდი, ბინძური ნიანგი ვერონიკა თავის მორიგ მსხვეპრს ელოდება. დინგ დომ ნათლად წარმოიდგინა ქვეწარმავლის პირის სიმყრალე და უზარმაზარი დაფრენილი ხახა, მისი კბილების წამიერი შეხება და ცივმა ოფლმა დაუსვეა ზურგი, ზიზღისაგან მთელს ტანზე გამოაყარა.

მას ახლა ბეთქილაპური, ხალხი, ნათელი მომავალი, ხელისუფლება ყველაზე ნაკლებ აინტერესებდა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა, როგორმე აქედან გაეღწია, გამქრალიყო; წყეულიდა თავის თანამებრძოლებს, კალენდულას, იდიოტ რეჯო ბაუბეკს, რომელმაც ვერაფერი იღონა, რომ თავისი თავი და მეფის ოჯახი დაეცვა, მზად იყო, ყველაფერი ეღიარებინა, ეთქვა, ედრიალა, რომ ის არაფერ შუაში იყო, რომ იგი ყოველად *ბინძურ თამაშში ჩაიორიეს* და გამოიყენეს მხოლოდ, სათითაოდ დაეხახელებინა ყველა თანამზრახველი... საოცრად მოუდა, კიდევ ერთხელ ჩაესუნთქა სუფთა ჰაერი, ენახა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა; გაახსენდა ძველი ეკლესია, ჯვარზე გაკრული კაცი... ვინ იცის, ეგებ ღმერთისათვისაც მოეხმო საშველად, მაგრამ ამ დროს...

ციხის უფროსს ენა ჩაუვარდა ამდენი ხალხის, ცეცხლის ნიაღვრის დანახვაზე.

დამფრთხალი დარაჯები ერთმანეთს აწყდებოდნენ და არ იცოდნენ, რომელ სროში დამალულიყვნენ.

ერთადერთი, ვინც სიერთო პანიკას არ აჰყვა და ღირსება შეინარჩუნა, პოლიციის, კაპიტანი იყო. მან შეიარაღებული რაზმელები საბრძოლველად მოამზადა და ციხის ქონგურებსა და შიდა ეზოში გაანაწილა.

— გაალეთ კარი! — საკვირველი იყო, როგორ შეძლო კალენდულამ აყაყანებული მრავალთასიანი ბრბოს ხმაური დაეფარა.

— ჩვენ ვიცავთ კანონს, — არანაკლები რახით უპასუხა კაპიტანმა, — და არ ვემორჩილებით არავის, მეფის, მთავარსარდლისა და პოლიციის მინისტრის გარდა.

— ტორანი მკვდარია, მთავარსარდალიც, პოლიციის მინისტრიც! ბეთქილაპური კი, — კალენდულამ ხალხისკენ ხელი გაიქნია, — აი აქ არის. აღარსულიან ხალხის ნება!

— გაუმარჯოს კალენდულას!

— სამშობლოს მომავალი ჩვენს ხელშია!

— თავისუფლება დინგ დოს!

ახალი ძალიან გაისმა შეძახილები.

— და მაინც, — ხმას კიდევ უფრო აუწია კაპიტანმა, — ჩვენ ჩვენს მოვალეობას ბოლომდე შევასრულებთ! აბა, მოემზადეთ! ესროლეთ შავებში ჩაცმულ მოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქეს. როგორც ჩანს, ეგ არის მთავარი დამნაშავე...

ამ სიტყვების გაგონებაზე ხალხმა სასწრაფოდ საკმაო მანძილით დაიხია უკან და ჯარისკაცების წინაშე მხოლოდ კალენდულა დარჩა.

— ცეცხლი! — ხმალი აიქნია კაპიტანმა.

ქონგურებიდან ერთდროულად ასეულობით გასროლა გაისმა. ყოველი მათგანი კალენდულას უმიზნებდა. და აქ კიდევ ერთი საოცრება მოახდინა კალენდულამ — გაბრტყელებული ტყვიები მის ფეხებთან დაცვივდნენ უღონოდ.

— კარგად დაუმიზნეთ! — აჭარხლდა კაპიტანი, — ცეცხლი!

მეორე ხალასის ზუსტად ოვიე გამეორდა.

კალენდულა იდგა და მშვიდად იღიმებოდა.

— სასწაული!

— კალენდულა ღვთის მოციქულია!

— განგების გამოცხადება!

— თვით კალენდულაა ღმერთი!

— ღმერთი არაფერ შუაშია, — ხალხისკენ შემობრუნდა კალენდულა, — ბეთქილაპურის კურთხეული მიწა მაძლევს ძალ-ღონეს, დავამარცხო ჩემი გზა-კვალაბნეული თანამოძმეები და ჭეშმარიტებას ვაზიარო ისინი!

მოელი მოედანი დაჩოქილი იდგა კალენდულას წინაშე.

ამდენი ხალხი მრისხანე ოკეანესავით წალეკვით ემუქრებოდა ყველას და ყველაფერს.

პოლიციის კაპიტანმა აღარ იცოდა, რა ექნა.

ჯარისკაცები აარაღს ყრიდნენ და სხვა ბეთქილაპურელთა მსგავსად მუხლებზე იჩოქებდნენ.

— თქვენ თუ გიმძიმთ კარის გაღება, მე გაითავისუფლებთ ამ პასუხისმგებლობისაგან! — თქვა კალენდულამ და დაძაბული მზერა ცოხე-სიმაგრის რკინით შეჭედილ თვალუწვდენელ ალაყაფის კარს მიაპყრო.

ბეთქილაპურელები კიდევ ძალიან დიდხანს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ გაჰყარა ნაპერწკლები ზეცის გისოსმა, როგორ გაიხსნა თავისით ალაყაფის კარი...

კალენდულა დინჯად მიდიოდა მიზნისაკენ და მის ფერხთით ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა დასხვრეული ბოქლომები, იღუნებოდა გისოსები, იღებოდა კარები...

პოლიციის კაპიტანი კალენდულას გვერდით მიჩანჩალებდა და თავისთვის ბუტბუტებდა: ბეთქილაპური... დიადი კალენდულა... გაუმარჯოს... მერე ლამის გულშეღონებული კაპიტანი რაზმელებმა გაიყვანეს.

კალენდულა კი განაგრძობდა თავის ძლევამოსილ ხვლას დინგ დოს საკენსაკენ!

●

ბეთქილაპურის მთავარ მოედანზე, სამეფო სასახლის წინ უკვე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა, როცა მათ ცოხე-სიმაგრიდან ტრიუმფით მომავალი კალენდულა, დინგ დო, „მოწყალეები“ და ბეთქილაპურელთა ჯარი შეუერთდებოდათ.

ცეცხლისმფრქეველი ჩიარაღდნები ერთ უზარმაზარ, ჯერ არნახულ კოცონად შეერთდა.

●

სასახლის წინა შემაღლებაზე კალენდულა, დინგ დო, საურა, კინკა და „მოწყალეები“ იდგნენ რანგისა და დამსახურების მიხედვით.

ჩიარაღდნების ზღვა არა ცხრებოდა. ბოლო არ უჩანდა ჰიმნების, შეძახილების, მისალმებების... დიდი ზეიმი იყო ბეთქილაპურში.

— ჩვენ, ბეთქილაპურელი ხალხის მხარდაჭერით ჩვენი ამოცანა შევასრულეთ, — ასე დაიწყო თავისი მიკლე სიტყვა კალენდულამ.

ხალხი გაისუსა.

— მეფე ზენგოს ტახტი დაემხო! ღელიდან ბეთქილაპურში თავისუფლება, თა-

ნასწორობა და ძმობა იბატონებს! აი, ბეთქილაპურის ახალი მბრძანებელი, დიადი დინგ დო, რომლის ერთი სიტყვაც საკმარისი უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტისათვის! მას გვერდს უმშვენებს მზეთუნახავი საურა, რომლის დამსახურებაც ქვეყნის წინაშე განუზომელია...

— გაუმარჯოს დინგ დოს! გაუმარჯოს საურას! დიდება დიდ კალენდულას! ბეთქილაპური უპირველეს ყოვლისა! — გუგუნებდა ხალხი.

კალენდულამ ხელი ასწია და განაგრძო:

— თქვენს წინაშეა ,ნამდვილი ბეთქილაპურელი, ბატონი კინკა, რომელიც ყოველთვის გვერდით ედგება დინგ დოს ქვეყანაში სიფხიზლისა და წესრიგის სადარაჯოზე! აი, ჩემი ღირსეული მოწაფეები, უდიდესი პატრიოტები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე! ვაშა და დიდება მათ! დაე, შუდამ ჰყვაოდეს და ზეიმობდეს ჩვენი სამშობლო, საყვარელი ბეთქილაპური!

აღტაცებულმა მოქალაქეებმა კალენდულას ხელში აყვანა დაუპირეს, მაგრამ უცებ აღმოაჩინეს, რომ იგი მათ შორის აღარ იყო! მაინცდამაინც არ გაკკვირვებიათ ეს ამბავი — მთ ხომ თვით კალენდულასთან ჰქონდათ საქმე!

მერე ხალხს დინგ დომ მიმართა.

იგი ჯერაც ვერ გაძორკვეულიყო ცოტა ხნის წინათ გადატანილი შიმშისაგან, მაგრამ საურა, კინკა, „მოწაფეები“, მთელი ბეთქილაპური მას შეჰხვარდა და ისიც შეეცადა, თავი არ შეერცხვინა...

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დინგ დოს არც სიტყვა შეშლია, არც მამლაყინწასავით ყივილი ამოსვლია ყელიდან და არც კვილი აუტეხია. როგორც მემატიანე აუწყებს, „ეს იყო ღირსეული სახელმწიფო მოღვაწის ღირსეული გამოსვლა, სიტყვა, რომელმაც მთელი ბეთქილაპური ერთ მტკიცე მუშტად შეკრა და გააერთიანა“.

●

მხოლოდ ალიონმა გააუფერულა ჩიარადღნების გზგზაზი;

მხოლოდ დილით დამთავრდა საზეიმო მსვლელობა და შეძახილები.

გაუჩინარებულმა კალენდულამ ბრძანება გასცა და საიდუმლო საწყობები დაახსნევინა ერთგულ მოსამახურეებს. ამ საწყობებში დაუთას მიერ გამოგზავნილი დოეულთის ნაწილი ეწყო, საგანგებოდ ამ დღისათვის შემონახული.

მოქალაქეებს — დიდსა და პატარას უფასოდ დაურიგდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბრჭყვიალა მძივები, ჭრელ-ჭრელა ბაფთები, ტკბილეული, უცნო შუშხუნა ტკბილი სასმელები და ვინ მოთვლის, კიდევ რა!

ბეთქილაპურის ქუჩებში ღვინით საევსე კასრებს მოხდეს თავი. ყოველ კუთხეში იკვლებოდა ბატკნები და ანტილოპები, შიშხინებდნენ მწვადები, გამოეხვეღვნული მაძუნები პირიდან სტაცებდნენ ლუკმას მოქალაქეებს, მაგრამ მათ არავინ უკვირდებოდა.

აღტაცებული ბაშვები ჭყიოდნენ. ზოგიერთ მათგანს ტკბილის დანახვაზე უკვე გული ერეოდა. გაიხარეს ლოთებმა — ყანწს ყანწზე ცლიდნენ და ყოველ საღღეგრძელოში დიდ კალენდულას, დინგ დოსა და ბეთქილაპურს ლოცავდნენ.

ის კი არა, თვითეული მოქალაქეს ახალმა ხელისუფლებამ ხუთ-ხუთი ოქროს კოლა ჩაშოურიგა, რითაც საყოველთაო აღტაცება კიდევ მრავალჯერ გაძლიერდა.

ბეთქილაპურში ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო — დინგ დოს მბრძანებლობის ხანა!

XL. ᲛᲠᲣᲦᲘ ᲡᲐᲠᲙᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

მეფეთ შეახსა ხოტბა იმ სათნოებისა გამო, რაც არ გააჩნიათ, იგივეა, რომ დაუსჯელად შეურაცხყო ისინი.

ლაროშფუკო, „მაქსიმები“

ერთი ეგეთი მეფე მანახა!

ᲣᲜᲔᲜᲝᲒᲘ ᲛᲔᲪᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს, თვით გენიალობასაც კი თავისი საზღვარი აქვს. მხოლოდ სისულელეა უსაზღვრო და უკიდეგანო. განსაკუთრებული სიბრიყვით გამოირჩევა ის, ვინც ფიქრობს, სხვაზე ჭკვიანი ვარო.

ყოველივე ეს გაგონილი ჰქონდა საყმაწვილო ჟურნალის „გაიქეც, გაინავარდ!"-ს რედაქტორს ბატონ დუბაის, მაგრამ მისთვის თეორიული პოსტულატები ცალკე სამყარო იყო, ყოველდღიური ცხოვრება კი — ცალკე. ბატონი დუბაი არასგზით არ დაუშვებდა, რომ ვილაცის მიერ ოდესღაც გამოტყორცნილი ფრაზა მის პიროვნებას შეხებოდა.

ყოველთვის სუფთად, მაწვნისფრად გაპარსული ლოყები, ახოვანება, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას აღძრავდა ბეთქილაპურელებში.

და ძალზე ცოტანი იყვნენ ადამიანები, ვინც იცოდა, რა ფასად უჯდებოდა ბატონ რედაქტორს ესოდენ მაღალი რენომე.

ბეთქილაპურში, სადაც გონიერება ისეთივე იშვიათობა ვახლდათ, როგორც წუხელერა პარლამენტში, სადაც ყველა თავის მეხსიერებას უწიოდა და არავინ ჭკუის დეფიციტს, სადაც ყოველი დედა ორჯერ ორის არმცოდნე შვილს ამით „ამართლებდა", ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია, მწირი გონებრივი შესაძლებლობების დაფარვა თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო ძნელი საქმე, მაგრამ არა ბატონ დუბაისათვის. თორმეტი წლის იყო, როცა ტიტანური ძალისხმევის შედეგად ანბანი აითვისა და საზეიმოდ გამოაცხადა, პოეტი ვარო!

ამის გაგონებაზე დედამისს სიხარულისაგან გული გაუსკდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ცოტა უფრო ადრე, შვილის საცოდაობას მამამ ვერ გაუძლო და ბეთქილაპურის მთებში გადახვეწა.

ამ ქვეყანაზე მარტოდმარტო დარჩენილ დუბაის რამდენი გაჭირვების, დაცირების, შეურაცხყოფის გადატანა მოუხდა, სანამ ბეთქილაპური პოეზიის ელიტაში ამოჰყოფდა თავს, ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდვია.

ბატონი დუბაი რეჯო ბაუბეკის ლიცეა-გიმნაზიეგით ჟურნალის რედაქტორის ადგილის ხელში ჩაგდების შემდეგაც ფრთხილად აცევებდა თავის წვრილ თვალებს — ვინმემ უჭკუობა არ შემაჩნიოსო. საზოგადოებაში ხმას თუ ამოიღებდა, მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი იყო და ისიც ისეთ მტკნარ ჭეშმარიტებას დაახვეიქებდა ხოლმე, რომ ვერავინ შეედავებოდა.

„რა საკვირველია, — ხშირად იტყოდა ხოლმე ქალბატონი დუბაი, — რას არ უწოდებენ ჩემს ქმარს — ბეთქილაპურის საამაყეს, მშიერი ვეფხვის თვალს, პალმის რჩეულს, მაგრამ სადღეგრძელოშიც კი ერთხელ არავის წამოდგება, ნიჭიერი პოეტიაო." აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ახალგაზრდა, შომხიბველი ქალი იმდენად იყო ალტაცებული საკუთარი ქმრის დიდებულებითა და მისი შემოქმედებით, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში (იგი მშობიარობას გადაჰყვა) იმას კითხულობდა, ჩემმა მეუღლემ სადილი თუ მიირთვაო!..

ცხონებული ქალბატონი დუბაის შეშფოთების სიღრმეს რომ ჩაეწვედეთ, უნდა გავიხსენოთ ბეთქილაპურში დამკვიდრებული აღმატებულ შეფასებათა შკალა, რომლის მიხედვითაც ეპითეტი „კარგი" ლამის სალანძღავ სიტყვად და შეურაცხყოფად იყო მიჩნეული.

„შენ, თანამედროვეობის უგამოჩენებულესო ადამიანო, მსოფლიისათვის ზეციხელსაგოგმანები მარგალიტის — ბეთქილაპურის მშვენებავ და სიამაყე, შენ, უბერებელი კლასიკოსის — პანტა-გრუეს ღირსეულო შთამომავალო და მემკვიდრე, შენ, მომავალი თაობის ულიხსეს-შესანიშნავესო აღმზრდელო და მოამაგე, შენ გიძღვნის ბეთქილაპური თავის გულსა და ამ ჟურნალს!" — აი, ასეთი სანუქარი მიართვა ჟურნალის რედაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაამ ბატონ ლუბაის დაბადების ორმოცდამეჩვიდმეტე წლისთავის აღსანიშნავად.

ო, რა სიტყვები დაიფრქვა ამ იუბილეზე!

ო, რა სადეგრმეელოები ითქვა ბატონ ლუბაის საპატივსაცემოდ!

.....და ა. შ.

●

მართალი იყო „გაიქეც, გაინავარდე!"-ს რედაქცია, როცა წერდა, ბატონი ლუბაი დიდი პანტა-გრუეს ღირსეული მოწაფეო. იგი თავისა სახელოანი წინაპრის, პანტა-გრუეს ღრმა ფილოსოფიურ აზრებს ბავშვებისათვის მისაწვდომ ფორმაში ახვევდა და კლასიკოსის უკვდავი იდეებით შთაგონებული თხზავდა და თხზავდა ჭკუისსასწავლებელ იგავ-არაკებს შესახებ იმისა, რომ კარგი სჯობია ცუდს, რომ გაცილებით უკეოესია ადამიანი ჯანმრთელი, კეთილი და მდიდარი იყოს, ვიდრე ავადმყოფი, ღარიბი და ბოროტი, რომ ბავშვები წესიერად უნდა იქცეოდნენ და მასწავლებლებსა და მშობლებს უჯერებდნენ და ასე შემდეგ.

ბატონმა ლუბაიმ იმდენი წერა ეს იგავ-არაკები, ვიდრე ვეფხვის, ტურის, ლომის, მგლის, კურდღლის, არწივის, დათვის, ბატის, ვირთხის, ქათმის, ძროხის, ვირის, ირმისა და სხვა ტრადიციული ნადირ-ფრინველის ცხოვრების წესი და ხასიათი ძირფესვიანად არ ასახა თავის შემოქმედებაში. მერე, ბავშვებს მზრუნველი დიდაქტიკოსის ხელი რომ არ მოპკლებოდათ, ადგილობრივ ზოოპარკს მიადგა. წერა და წერა სხვადასხვა ჯიშის მაიმუნებსა და ნიანგებზე, ბეჰემოტებსა და ჭიაჭველაჭამიებზე, ლემურებსა და იქედნეებზე... არ დატოვა მსოფლიო ფლორისა და ფაუნის არც ერთი წარმომადგენელი, არც ერთი მწერი და ძღრღნელი, ერთი პატარა ნოველა მაინც რომ არ დაეწერა ღვაწლმოსილს.

●

და აი, ასეთი პირიერება ლამის იყო სასოწარკვეთას მისცემოდა.

მან დიად და განუმეორებელ დინგ ლიში ის გაწლიკული ლაწირაკი შეიცნო, რომელმაც ამ ორიოდე წლის წინათ თავისი ლექსები მოუტანა. ბატონმა ლუბაიმ კი სასწრაფოდ მოიცილა ლექსებიცა და მათი ავტორიც. ეჰ, რომ სცოდნოდა!

„მაინც, რამდენი სიფრთხილე და დაკვირვება მართებს ადამიანსო", ნაღვლიანად გაიფიქრა რედაქტორმა და გადწყვეტა, რადაც არ უნდა დაეღლოდა, შეცდომა გამოესწორებინა.

●

მარჩვიბის ოვის ჩვიდმეტ რიცხვში მონარქიის დამხობითა და ესოდენ ხვავრიელი დღესასწაულით გაბრუებული ბეთქილაპურელები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ჟურნალ „გაიქეც, გაინავარდე!"-ს, რომლის გარეკანს კალენდულასა და დინგ დოს ფოტოები ამშვენებდა.

მეფე ზენგოს დაბადების დღისადმი საადღესასწაულო ნომერი ჯერ კიდევ თხუთმეტში უნდა გამოსულიყო. რაღა თქმა უნდა, ზენგო XXXVIII აქ კაცობრიობის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ იყო გამოცხადებული; ბეთქილაპურელი პატარები გულმხურვალედ ულოცავდნენ საყვარელ მონარქს დაბადების დღეს და აღუთქვამდნენ, კარგი სწავლითა და სიბეჯითით გაეხარებინათ მისი გული. არანაკლები დითთრამბები ეძღვნებოდა ქვეყნის მაშინდელ ფაქტიურ მმართველსა და რედაქტორის მწყალობელს — რეჯო პაუბეკს. ბაზგასმით იყო აღნიშნული მისი რაინდობა, კეთილშობილება, სიქველე, მახვილგონიერება და მრავალი სხვა. ჟურნალს ამშვენებდა პრინცესა ორქიდეას ბავშვობისდრეინდელი მოგონებანი. აქ კი ფოტოგრაფ კვიმბოს დაუდევრობის შედეგად საშინელი შეცდომა გაიპარა — პრინცესა ორქიდეას ფოტოს მაგივრად პრინცესა აკაციას პორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეტი დაიბეჭდა! განრისხებული ბატონი დუბაი ფოტოგრაფის სამაგალითოდ დასჯას აპირებდა, მაგრამ იმავე რიცხვში, როგორც ვიცით, ბეთქილაპური იმ ისტორიულმა აფეთქებამ შეაზანზარა და რედაქტორმა ისე. გაიხარა ჟურნალის გამოსვლის შეფერხებით, როგორც არასდროს. მან გული ჩაიკრა დაბნეული ფოტოგრაფი, და გასცა ბრძანება, დაეწვათ გამოცემის მთელი ტირაჟი. ერთ დღეში რედაქციამ სასწაული მოახდინა: ახალი ჟურნალი ააწყო და დაბეჭდა კიდევაც.

ნომერი იხსნებოდა მოკლე ინფორმაციით დინგ დოს ბეთქილაპურის მბრძანებლად დადგომის თაობაზე; კალენდულას მოწოდებით: „ბეთქილაპურის დასაცავად იყავით მზად!“ და დინგ დოს პირველი დეკრეტის ტექსტით: „ბეთქილაპურში ღვთის რწმენის გაუქმების შესახებ“.

„აღსრულდა! როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა მრავალტანჯულმა ბეთქილაპურმა! ჭეშმარიტმა პატრიოტებმა დამძხეს საძულველი მონარქია, ჯოჯოხეთის მორევში მოისროლეს დამპალი ტახტი, რომლის არსებობა შავ ლაქად ანნდა პლანეტის მარგალიტს — ბეთქილაპურის უშესანიშნავეს ისტორიას. კალენდულას მზე აღმობრწყინდა ბეთქილაპურის თავზე, ვარსკვლავებისა და მთვარის ნეტარების დინგ დოს ბრძნული მმართველობით გაიხარეს აქამდე მეფის უღლის ქვეშ მგმინავი ხალხი!..“ — ასე იწყებოდა ჟურნალის რედაქტორის ბატონ დუბაის სტატია „გაუმარჯოს!“

ნომრიდან ნომერში ასეთი სულისკვეთების შენარჩუნება რთული ამოცანა გახლდათ თვით ბატონ დუბაისთვისაც კი. ბეთქილაპურში სახოტბო ეპითეტების ყველა აღმატებითი ხარისხი უკვე დიდი ხნის წინათ გაცვეთილიყო და ახალ-ახალი დითირამბების გამოგონება სულ უფრო ჭირდა. მართალია, „გააქეც, გაინავარდე“-ს რედაქტორს ამაში ვერავინ შეედრებოდა, მაგრამ სხვა გამოცემებიც თავისას ცდილობდნენ და ამასაც აუცილებლად უნდა გაწეოდა ანგარიში.

ბატონმა დუბაიმ გამოაქვეყნა იგავ-არაკების სერია „მზე და ლომი, ანუ ლომი და მზე“, სადაც კალენდულა მზის როლს განასახიერებდა, დინგ დო კი ლომისას. გარდა ამისა, ჟურნალის მტვრიან არქივებში მან რაღაც სასწაულითი აღმოაჩინა დინგ დოს ლექსები და გადაწყვიტა, ნომრიდან ნომერში გამოქვეყნებინა.

მაინც ვერ დამშვიდდა, მაინც ღრღნიდა და აწვალებდა ეჭვი, ვაითუ ის ძველი წყენა დღესაც ახსოვდეს სათაყვანებელ დინგ დოსო! ჩამოდნა და დაიფერთხა ეს დარბაისელი კაცი.

მის ოჯახში კი...

XLI. რემა — ბატონი დუბაის ქალიშვილი, ანუ გაღატრიალების პირველი შედეგები

ერთადერთი საზოგადოებრივი ფენა ბეთქილაპურში, რომელიც არა და არ იზიარებდა ბატონ დუბაის ცხოვრებითა და მოღვაწეობით საყოველთაო აღტაცებას, სკოლის მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კასტა გახლდათ. მათთვის დიდი გენიოსის, პანტა-გრუეს შემდეგ ყველაზე საძულველი პიროვნება სწორედ ეს ბატონი იყო, რადგან მასწავლებლები წლების განმავლობაში აიძულებდნენ დაეზუთხათ დიდქტიკოსის თხზულებათა ყველაზე გრძელი და მოსაწყენი ნაწყვეტები.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბატონ დუბაის მხოლოდშობილი ქალიშვილი რემა, ვინაც თავის თავზე გამოსცადა ცოცხალი კლასიკოსის ასულობის მთელი სიმძიმე. მთელ ჯავრს თანაკლასელები სწორედ რემაზე იყრიდნენ და არ კი უწყიდნენ, თუ რა ეცვლი ტრიალებდა ამ უბედური არსების გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რემა მუდმივად მშიერი იყო.

განა თუ საჭმელი არ მოიძებნებოდა ბატონ დუბაის ოჯახში. პირიქით! სარდაფი და საკუჭნაო ათასგვარი ნუგბარ-ნუგბარით—შებოლილი ხორცითა და თევზით, შაშხითა და ღორით, ყველის თავებითა და ღვინის კასრებით იყო გამოტენილი. რად გინდა მერე! ეს ყველაფერი რემასთვის არ არსებობდა. ღვინო ძმარდებოდა, ტკბილეული ხმებოდა ისე, რომ საჭმელად აღარ ვარგოდა, მურაბები შაქრდებოდა, ძეხვეული ყროლდებოდა და ოჯახის უფროსი კი წელიწადში მხოლოდ სამჯერ — ახალ წელს, მეფის დაბადების დღეს და საკუთარ დღეობაზე უმასპინძლდებოდა გოგონას ტკბილეულით! და ამას ბავშვის აღზრდის ერთადერთ სწორ მეთოდად მიიჩნევდა.

საერთოდ, რემა ისე იზრდებოდა, თითქოს ამქვეყნად ყველაზე ასკეტურ მონასტერში შესასვლელად ამზადებენო. წლიდან წლამდე ერთი და იგივე ჩაჯამული კაბით, ასჯერ დაკეშილ-დაბებკილი წინდებითა და მუდამ გაცვეთილი ფეხსაცმელით დაიარებოდა. მისთვის არ არსებობდა არც ბავშვებთან თამაში, არც სეირნობა და არც სხვა რამ გართობა.

დედის გარეშე დარჩენილს მოფერება ენატრებოდა, მაგრამ ამის თქმას აბა როგორ გაბედავდა!

ყოველ საღამოს ბატონი დუბაი, თუ წვეულებაზე არ იყო დაპატიჟებული, ყველაზე იაფფასიანი სანთლის შუქზე გოგონას თითო თავს აკითხებდა ხმამაღალ პანტა-გრუეს ნაწარმოებიდან „შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა!“ და ღრმად იყო დარწმუნებული, ბავშვისათვის ამაზე უკეთესს,ვერაფერს გავაკეთებო.

კლასიკოსის თხზულება წასაკითხად ზუსტად ნახევარ წელიწადს მოითხოვდა. ასე, რომ რემას წელიწადში ორჯერ უწევდა ამ ნაწარმოების კითხვა (სკოლის გაკვეთილების გარდა, რა თქმა უნდა).

რემა იყო ღვთისმოშიში, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

პატარაობიდანვე მას ღმერთი წარმოდგენილი ჰყავდა დამსჯელ ძალად, რომელიც იმისთვის არსებობდა, რომ ბავშვებისათვის თავისი რისხვა დაეტეხა თავს. წამდაუწუმ ღმერთის სახელი ესმოდა: „ეს არ გააკეთო, ღმერთი დაგსჯის!“, „ის არა ქნა, ღმერთი გაგიგებს!“ „ღმერთო აპატიე ამ ეშმაკის ფეხს!“ და სხვა. ისე დამეხვა, რომ რამდენჯერ ერთი ლოცვა მაინც გამოტოვა ყოველდღიურად დაკანონებული ცხრა ლოცვიდან, ან დაწოლის წინ მუხლებზე ერთი საათის ნაცვლად ნახევარ საათს დადგა, ან პირი ყინულივით ცივი კი არა, ოდნავ შემთბარი წყლით დაიბანა, რომ ხან მუხლი მიარტყა მაგიდის ფეხს, ხან კბილი ატკივდა, ხან თითი გაიჭრა და ხანაც ძილში მამამისი დაესიზმრა.

ერთხელ, როცა სამზარეულოში ქილიდან უკვე უვარგის-ჩაშაქრებულ და ლამის დაობებულ ატმის მურაბას იპარავდა, შინმობრუნებული მამის ნაბიჯებს მოჰკრა ყური, შეშინებულმა უზარმაზარი ატამი თავის კურკიანად გადაყლაპა. მერე რამდენიმე დღე კუჭში სიმძიმეს გრძნობდა და ეს ფათერაკიც ღმერთს დაუკავშირა. ერთადერთი სფერო, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა რემამ, მისი ფიქრები იყო. რამდენჯერ, სალამეული კითხვის დროს ზმანებია, თითქოს წიგნებით სავსე ვეება შავი კარადა წაიქცა და მამამისი ქვეშ მოიყოლა, ან სანთელი გადაყრარადა და ხანძარმა მთელი სახლ-კარი ნაცარტუტად აქცია... ამ დროს ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა ხოლმე ბავშვს სახეზე და ბატონი დუბაი ამას პანტა-გრუეს ნაწარმოების კეთილისმყოფელ გავლენას მიაწერდა.

არადა, რემა თავისი ბუნებით ისევე შორს იდგა ასკეტიზმისაგან, როგორც ბატონი დუბაის შემოქმედება ჭეშმარიტი ლიტერატურისაგან. ეს იყო ცოცხალი, ცნობისმოყვარე, ლამის ცელქი გოგონა, რომელსაც არავითარი საშუალება არ ჰქონდა, თავისი ნამდვილი სახე გამოემჟღავნებინა. სკოლის ამხანაგებთანაც კი ვერ ბედავდა ამას. ამავე დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული მათგანი უყვარდა, ესმოდა მათი გასაჭირი, გრძნობდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა.

მოგვიანებით, როცა წამოიზარდნენ, ეოგონებმა პრანჭიაობა და სხვადასხვა რამეებზე ჩურჩული დაიწყეს, ბიჭებმა მათი გულისთვის რამდენჯერმე იჩხუბეს და ყოველივე ეს რემას გვერდითა და მის გარეშე ხდებოდა; ლამის იყო, ეტერა, ისე უნდოდა ეოგოს მარაქაში გარეულიყო, თავისი გული ვინმესთვის გადაეშალა და სხვისი აღსარება მოესმინა...

ბუნება კი თავისას შვრებოდა: რემას მკერდი ამოებურცა, სისხლი სხვანაირად აუცელქდა, მისი უცეტ განაზებული, ვარდისფერსხივიანი კანი ვეღარ გუობდა უხეშ ყავისფერ წინდებს, ჯვალოს კაბებს, ბოლომდე შეკრულ საყელოს, ზეთიან ისპანახსა და ბატონ დუბაის საზოგადოებაში გატარებულ საღამოებს.

●

რემა განცვიფრებული იყო: ამ ბოლო დროს ოჯახში ღმერთს არავინ ახსენებდა.

ბატონი დუბაი გონებადაფანტული დაიარებოდა და ერთი-ორჯერ წიგნის კითხვა სხვა დროისთვის გადაიტანა.

სკოლაში ბავშვები რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

სულ უფრო და უფრო ხშირად ესმოდა რემას კალენდულას, დინგ დოს, კინკას სახელები, ლაპარაკობდნენ სამფო ტახტის უკანასკნელ ღღეებზე, რეჯო ბაუბეკის ბედზე. კალენდულას „ამაოების გაკვეთილები“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ეკლესიები გამოცარიელდა, ქუჩიდან შეძახილები მოისმოდა... და აი, ერთ მშვენიერ დღეს მასწავლებელმა, რომელსაც ნერვიულობისაგან სათვალეც კი გაოფლიანებოდა, ალაგ-ალაგ ჩავარდნილი ხმით ბავშვებს გამოუცხადა, რომ მეფე ზენგო XXXVIII სკოლოპენდრი დაეძახა, დაეძახა კი არა, ადარ არსებობს, რომ დინასტია ძირფესვიანად განადგურდა, რომ კალენდულას შეწვევინთ დინგ დოს ბეთქილაპური იხსნა და რომ ბედნიერ ბავშვებს შეუძლიათ მონობის უღელქეშ ადარ იგმინონ!

„აქამდე ყველანი ღრმად ვცდებოდით — ვვეკონა, რომ ჩვენს ცხოვრებას ღმერთი განაგებდა. მსოფლიოს უპირველესმა მეცნიერმა კალენდულამ კი საწინააღმდეგო დამტკიცა. ეს ზარი თვითდიადმა, მზისა და მთვარის ნეტარებამ დაადასტურა. მაშ ასე, ბავშვებო, დღეის ამას იქით იცოდეთ, ბეთქილაპურში ღმერთი ადარ არსებობს!“

ჩვენ კი დავწერეთ, მაგრამ მასწავლებელს სიტყვის ბოლოში ძახილის ნიშანი მთლად იმახიანად ვერ გამოუვიდა, ზმა და ხელები აუკანკალდა და ლასლასით გავიდა კლასიდან.

„გაუმარჯოს!“ — იგრიალა კლასმა და მოწაფეებმა ისეთი ხმაური, ხვევნა-კოცნა და გნიასი ატეხეს, კაცს საგიჟეთში ეგონებოდა თავი. იმ წამსვე ნაკუწებად იქცა სალვთო რჯულის უკლებლივ ყველა სახელმძღვანელი, მას რატომღაც პანტა-გრუეს ქმნილებაც ზედ მიაყოლეს და შუშების მსხვრევაზე გადავიდნენ... ერთმა ბიჭმა მოზღვავებული გრძნობები ველარ დაიტია, გამოქანდა და ღია ფანჯრიდან ქუჩაში ისკუპა. ბედად, ღვინით სავსე უზარმაზარ კასრში მოადინა ტყაპანი. ეს კასრი გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად იყო აქ დადგმული...

სხვა კლასებიდანაც ისეთივე ღრიანცელი ისმოდა; ფანჯრებიდან მოფარფატებდნენ დაგლეჯული წიგნების ფურცლები, რვეულები, ცვიოდნენ სკამები, ყვავილებიანი ქოთნები, ცარციანი ჩვრები და ერთი ფანჯრიდან ჩონჩხიც კი გადმოაგდეს.

ბეთქილაპურში თოფების ბათქაბუთქი იყო ატეხილი და ვისაც თოფი არა ჰქონდა, მშვილდით ცეცხლწაკიდებულ ისრებს ისროდა!

●

ამ აურზაურის დროს რამდენჯერმე რემასაც აკოცეს. ერთმა აღფრთოვანებულმა ბიჭმა თავში რაღაც სახელმძღვანელო ჩასცხო, მაგრამ ვერც ამან გამოიყვანა ეოგონა ფიქრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან წყნარად აიღო ჩანთა და უკვე დაცარიელებული კლასიდან გავიდა.

სახლამდე ისე მივიდა, არ გაუგია, რა ხდებოდა გარშემო.

შინ არავინ იყო.

რემამ წიგნების თაროდან მისთვის აქამდე მკაცრად აკრძალული კალენდარს „ამაოების გაკვეთილები“ აიღო და კითხვას შეუდგა.

●

სკოლის მოწაფეებისათვის არდადეგები გამოცხადდა.

დილაუთენია გასული ბატონი დუბაი შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა.

რემასთვის არავის ეცალა და გოგონა მთელი ორი კვირა კალენდარს თხზულებას კითხულობდა. ცდილობდა ერთი აზრიც არ დარჩენოდა გაუგებარი.

კითხვა რომ დასრულა, „ამაოების გაკვეთილები“ ისევ თაროზე დაბრუნა და სარკესთან მივიდა.

დიდხანს შესცქეროდა თავის თავს, მერე გახდა დიაწყო და მთლიანად გაშიშვლდა.

„არც თუ ისე მახინჯი ვყოფილვარო“, გაიფიქრა.

თანდათან უფრო და უფრო მოსწონდა საკუთარი თავი.

ლოყები შეეფაკლა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ქვეყნის კაცები მისი აქნეული ტანით ტკბებოდნენ... უცებ რაღაცის შეეშინდა, ათრთოლდა, მაგრამ მყისვე გაახსენდა, რომ ღმერთი აღარ არსებობდა და ვერავინ დასჯიდა.

ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ ქალი იყო, თანაც ლამაზი ქალი, რომ ეს სხეული მას ეკუთვნოდა და მამაკაცსათვისაც შეეძლო ენახვებინა.

ამ აზრმა ისე აღაფრთოვანა, ლამის ასე შიშველი გაფრინდა ფანჯარაში, მაგრამ თავი შეიკავა, დედამისის ტახსაცმლის კარადიდან, რომელსაც მთელი თექვსმეტი წელიწადი — მისი გარდაცვალების დღიდან არავინ გაჰკარებია, ყველაზე მოკლე და ფრიალა წითელი კაბა შეარჩია, შავი წინდები კარგად ფეხზე კიბეკი ფეხსაცმელები მოირგო და ისევ სარკეს მიუბრუნდა — ახლა იგი ზედმიწევნით ჰგავდა ერთი მხიარული წითელფარნიანი სახლის თაგზე დახატულ მოცეკვავე ქალს...

სიმღერა და ტირილი ერთად მოუნდა.

გული უფრთხიალებდა.

ის იყო, კარი გამოაღო, რომ უცებ გასვლა გადაიფიქრა, თავისი ძონები შუა ოთახში დაყარა, ზედ პანტა-გრეუსა და მამამისის წიგნები დაწყო, სამზარეულოდან ნავთი გამოიტანა, ამ გროვას გადაასხა და ასანთს გაჰკრა...

რომ მოახედა, სახლიდან უკვე ბოლი ამოდიოდა.

რემამ გაიცინა და ვიღაც უცნობ ახალგაზრდას მხიარულად ჩაუკრა თვალი.

XLII. ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ „ᲗᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ“

ბეთქილაპური ახალი ცხოვრებით ცხოვრობდა.

მეფის სასახლე „გამარჯვების სასახლედ“ იქცა, მთავარ მოედანს „კალენდარს მოედანი“ ეწოდა.

ქვეყანაში მინისტრების პორტფელები და სხვა ძირითადი პოსტები „კალენდარს მოწაფეებმა“ დიანაწილეს. მაგალითად, ექიმ გოშას სოფლის მეურნეობა ჩაბარეს, ტამტამების ოსტატ კარდოს უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის სამინისტრო, ალქიმიკოს ზორგას ვაჭრობის საკითხების მოგვარება დაევალა, ხოლო ბეთილ ამიგოს ადმირალის ჩინი მიენიჭა და ბეთქილაპურის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჩაუდგა სათავეში. მბრძანებელი დინგ დო დინგ დოსავე ბრძანებულებით ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა. დიდი უფლებები მიენიჭა კინკას — მან დაიკავა პოლიციის მინისტრის, სიფხიზლის რაზმის მეთაურისა და, დაუთას ეერაზიიდან დაბრუნებამდე, მთავარი ზაზანდრის პოსტები.

ზეიმებს კი ბოლო არ უჩანდა.

ფრიალებდნენ დროშები და ტრანსპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანტები, ყოველ კუთხეში გაისმოდა სადღეგრძელოები, კალენდულას, დინგ დოს და მთავარ „მოწფეთა“ პორტრეტები ყოველ ოჯახში ყველაზე გამოსაჩენ ადგილებზე ეკიდა, ქუჩებსა და მოედნებზე რომ ალარაფერი ვთქვათ.

●

დინგ დო იმდენ ხანს იყო კალენდულას განუწყვეტელი ზემოქმედების ქვეშ. რომ ზოგჯერ ვეღარც არჩევდა, სად იყო ცხადი და სად მოლანდება. პირველ ხანებში უჭირდა კიდეც იმის აღქმა, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, სინამდვილე გახლდათ: რომ იგი ქვეყნის მბრძანებლად, მთავარსარდლად, ყოვლისშემძლე პიროვნებად იქცა. დინგ დო ძალაუფლებით თვრებოდა, ,ძს უკვე ვეღარ წარმოედგინა ცხოვრება აღტაცებული ბრბოს შეძახილების, დითირამბების, სიტყვების, სიტყვების, სიტყვების გარეშე... დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ისიც, რომ ყოველ საღამოს მოდიოდა სასახლეში „ბეთქილპურელთა პატარძალი“ საურა და რომ ეს ამაყი ქალიშვილი მზად იყო მბრძანებლის ყოველგვარი სურვილი შეესრულებინა... თუმცა, უნდა ვაღიაროთ: აქ სიამოვნება მთავრდებოდა და იწყებოდა ტანჯვა.

ალბათ გახსოვთ, რა საზეიმო ვითარებაში მიუძღვნა საურამ დინგ დოს თავისი ქალწულობა. მიძღვნით კი მიუძღვნა, მაგრამ თვეები გადიოდა და ამ ამბის განხორციელებას არა და არ დაადგა საშველი...

თითქმის ყოველ დამე ერთი და იგივე მეორდებოდა.

დინგ დოს წინაშე იდგა მშვენიერი, თმებგაშლილი, სურვილით ანთებული ქალწული, იდგა ცხადად და არა სიზმარში. დინგ დო ეხვეოდა ქალიშვილს, ხელით ეხებოდა მის ესოდენ ნანატრ სხეულს, უკოცნიდა ვარდისფერ ძუძუებს და ... არაფერი. სირცხვილისაგან ოფლში იწურებოდა მბრძანებელი, ნერვიული აღგზნებისგან აკანკალებდა, ციები ოფლი სდიოდა... ეს იყო ორი სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანის უნაყოფო ურთიერთწვალება. თანაც, მათ აკლდათ ის ბუნებრიობა, რომელიც ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობას ითმენითვე აქვს მომადლებული და რომელიც ხშირად სრულად ანაზღაურებს ხოლმე გამოცდილების უქონლობას.

სულ რაღაც ოციოდე წუთი სჭირდებოდათ საურასა და დინგ დოს, რომ ლამის ისტერიკა დამართოდათ, ერთმანეთი შეეძულებინათ და თავ-თავიანთი ბედი დაეწყევლათ.

ამის შემდეგ თვალცრემლიანი საურა სასახლიდან გარბოდა, ხოლო გადარეული დინგ დო ადგილს ვეღარ პოულობდა, შფოთავდა, სასახლის დერეფნებში დადიოდა და ფიქრით უნებურად თავის ქვეშ მეგობრებს – ქანდაკებებს უბრუნდებოდა. მერე თავის ოთახში ჩაიკეტებოდა ხოლმე და შავ წიგნელთა თხზულებების კითხვას იწყებდა. არც ეს შველოდა, ძილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო...

– კინკა!

– გისმენთ, მბრძანებელო.

– ძალიან კარგი, რომ მისმენ! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დინგ დომ, – სად არიან სათათბიროს წევრები?!

– ალბათ სძინავთ, ბატონო. – კინკამ თვალი საათისაკენ გაიპარა, – სამის ნახევარი სრულდებოდა.

– სძინავთ, არა? მე კი უნდა ვიფხიზლო! ძილის დროა? რამდენი გადაუდებელი საკითხია გადასაწყვეტი. ეშმაკმა იცის, რა ხდება გარშემო. სახელმწიფოს მართვა მაგათ ბანანის ჭამა ხომ არ ჰგონიათ! ახლავე აქ მომგვარე ყველანი!

დაფეთებული სახელმწიფო სათათბიროს წევრები, რომლებიც კინკას ხალხმა ლოგინიდან წამოყარა, უკვე სამი საათისათვის სრული შემადგენლობით განლაგდნენ მბრძანებლის კაბინეტთან.

უცნაური შესახედი გაზლდათ ეს ადამიანები: ადმირალ ამიგოს ერთ ფეზზე ლურჯი წინდა წამოეცვა, მეორეზე – წითელი, ხორგას სიჩქარეში საწერ-კალამის ნაცვლად კბილის სახეი ჯაგრისი ჩაედო ჯიბეში, ზოგიერთი მათგანი

მოქნარებას ვერ იკადებდა და ყოველი მათგანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბეთელაურს რაღაც უბედურება დაატყდა თავს.

მით უფრო სახტად დარჩნენ სათათბიროს წევრები, როცა მბრძანებლის კაბინეტში შეგროვდნენ და თან წინაშე სუფთად წვერგაპარსული, მშვიდი და მკაცრი დინგ დო წარსდგა.

მბრძანებელმა ცივი მზერით სათითაოდ შეათვალიერა ისინი.

დინგ დოს უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა შეგრძნება იმისა, რომ ეს ადამიანები, უმთავრესად მისი ყოფილი თანამებრძოლები, ცუდად შენიღბული შიშით შესცქერიდნენ, რომ მას თვალის დახამხამებაში შეეძლო მოეწყვიტა ისინი ნებისმიერი საქმისათვის და ცხვრის ფარასავით შეეგროვებინა. თუნდაც ღამის სამ საათზე!

— ბატონო კინკა! გაფრთხილებთ, ამ ბატონებმა თუკი ერთხელ კიდევ გაბედეს ამ სახით მოობრძანება, უპირველეს ყოვლისა, თქვენ მოგთხოვთ პასუხს! ბატონ ამიგოს, ეტყობა დაავიწყდა, რომ იგი ადმირალია და არა ტაკიმასხარა! ოოო, ბატონ ხორგას კი, ჩანს, საპირფარეშოში მიეჩქარებოდა! რა ხდება! თქვენ სახელმწიფოს ბედი გაბარიათ, ჩვენი ხელისუფლება ჯერ ახალგაზრდაა, მას გაფრთხილება და გამაგრება სჭირდება. ათასი საქმეა მოსაგვარებელი. თქვენ არხეინად გძინავთ, მაგრამ მტრები ფხიზლობენ, — საურასთან გაწბილებულ დინგ დოს თანდათან უბრუნდებოდა საკუთარი თავის რწმენა, — დიახ! ოდნავი მოდუნება დამარცხების ტოლფასი შეიძლება გახდეს! და მაშინ, ჩვენ ვეღარ გავამარილება ხალხის ნდობას, ვეღარ მივაღწევთ სანუკვარ მიზანს, ვეღარ გავაბრწყინებთ ბეთელაურის დიად სახელს მთელს მსოფლიოში! ახლა წაბრძანდით და ჩემი სიტყვები კარგად დიმახსოვრეთ, გასაგებია?!

კუდამოძუებული პოლიტიკოსები მბრძანებლის კაბინეტიდან ფეხაკრეფით გამოვიდნენ და შინისაკენ გასწიეს.

ამის შემდეგ მოსვენება დაეკარგათ საწყლებს. დინგ დოს დაძახების მოლოდინში ძილის წინ წვერს იპარსავდნენ, ლამის ჩაცმულ-დავარცხნილებს ეძინათ და მაინც, დინგ დოს ღამეული სერობა ყოველად მოულოდნელად დაატყდებოდათ ხოლმე თავს.

●

უფლმავი დაძაბულობითა და უძილობით გამოთაყვანებული მინისტრები მთავრეულებივით დაიარებოდნენ გამარჯვების სასახლეში. საქმე იქამდე მივიდა, რომ გოშამ ქვეყნის საბრეთში ხორბლის ნაცვლად ანტილოპების ჯოგი გაგზავნა, ხოლო კარდომ უცხიელ ელჩს ბეთელაპურის ორდენის ნაცვლად კრიალსანი დაჰკიდა...

●

მბრძანებელმა დინგ დომ უსაზღვრო ძალაუფლების გამოცდა თავის მტრებზეც მოინდომა და ამისთვის ჟურნალ „ბაიქეც, გაინავარდე!“-ს რედაქტორი დუბაი ამოირჩია, მით უმეტეს, რომ ამ ბატონმა გაბედა და აუდიენციის მისაღებად ჩაეწერა.

— ბატონო კინკა, მე თქვენ გიბრძანეთ, ბატონ დუბაის შესახებ ცნობები შეეგროვებინათ. მომახსენეთ!

— ბატონო დუბაი ბეთელაპურის ერთერთი ღირსეული მოქალაქეა, მბრძანებელო! მას ხალხი პატივსა სცემს და აფასებს. მისი საამაწვილო პოეზია...

— ეგ ვიცი. სხვა?

— სხვა რა მოგახსენოთ, ბატონო, ქერეივა, აქამდე ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ...

— მაგრამ?—ყურები ცქვიტა დინგ დომ.

— მაგრამ, — მცირეოდენი ყოყმანის მერე განაგრძო კინკამ, — ისე მოხდა, რომ ბატონ დუბაის სახლ-კარი დაეწვა, მისი ქალიშვილი რემა კი სადღაც გაქრა. ნაცარში მისი ძვლები ვერ აღმოაჩინეს.

— ასე! ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს აქცია ჩვენს მიმართ პროტესტის ხასიათს ატარებს?!

— საკუთარი სახლის დაწვა?..

— ხწორედაც! კვალის არევის მიზნით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასაგებია! — მოისმა უცებ კალენდულას ხმა. მისი შემოსვლა თვით კინკასთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

— ბატონო კალენდულა! — დაიბნა დინგ დო.

— ჰი, მე ვარ. კინკა, თქვენ თავისუფალი ხართ!

კინკა გავიდა.

— მე მინდოდა... — დაიწყო ჯინგ დომ.

— არ ვიცი, რა დაგიშავთ ბატონმა დუბაიმ — გაიწყვეტინა კალენდულამ, არც მაინტერესებს, მაგრამ ნათლად ვხედავ, რომ შური გინდათ იძიოთ. თავისთავად მე არა ვარ შურისძიების მოწინააღმდეგე, თუ ეს ჩვენს მიზანთან მიგვაახლოვებს; თუმცაღა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამის დრო ჯერ არ დამდგარა. ჯერჯერობით ყველაფერში უნდა გაჯერკვეთ, ვეცადოთ, მტრები დავიმეგობროთ, და თუ ეს არ გამოვა, მერე ვიმოქმედოთ.

„მაშ რაღა მბრძანებელი ეყოფილვარო“, უკმაყოფილოდ გაიფიქრა ჯინგ დომ.

კალენდულა ფიქრებს მიუხვდა.

— სწორედაც ეს არის მბრძანებლის სიბრძნე! ხმაგავარად თქვენ დიქტატორმოყვარულის დონეზე დარჩებით და ძალაუფლებასაც დაკარგავთ. ეს რომ არ მოხდეს, მე ერთი მნიშვნელოვანი გეგმა შეეიმუშავე...

XLIII. ცხვრის ჟურქის სიკეთე

მთელი ერთი წელიწადი გავიდა ჯინგ დოს ბეთქილაპურის მბრძანებლად მოვლინების დღიდან.

კალენდულას გეგმის მიხედვით ჯინგ დო მოთმინებით აღიჭურვა, სათნო და უანგარო მმართველის ნიღაბი მოიგო და ხალხში გავიდა.

მას სრულიადაც არ გასჭირვებია კალენდულას ჩანაფიქრების განხორციელება, რადგან ფუფუნებისა და ჭამა-სმისადმი ბავშვობიდან გულგრილი იყო. ჰოდა, აზვირთდა ლეგენდები მის მკაცრ, თითქმის ასკეტურ ცხოვრებაზე, თეირად მობათქაშებულ ოთახზე, რკინის ვიწრო საწოლზე... მერე ამ ლეგენდებს დაემატა მითები მბრძანებლის სამართლიანობისა და გულმოწყალების შესახებ... საურას მიერ შექმნილი სახე „ბეთქილაპურის სატრაპრძლისა“, თანამებრძოლისა და ერთგული მეგობრისა კიდევ უფრო აძლიერებდა ბეთქილაპურელთა საყოველთაო აღტაცებას.

იფურჩქნებოდა ბეთქილაპური.

დაუთას მიერ დაქირავებული გემების დაცლას ვერ აუდიოდა ბეთქილაპურის ნავსადგური. მერე ეს გემები აქაური ხილით, ღვინითა და სხვა სიკეთით დატვირთულნი სხვადასხვა კონტინენტებისაკენ იცემდნენ გეზს; ვაჭრობის ასეთი თავბრუდამხვევი ტემპები ბეთქილაპურის მკვიდრთ აღრე ვერც წარმოედგინათ, მაგრამ აქაურები მალე დარწმუნდნენ, რა მომგებიანი იყო ყოველივე ეს და სიამოვნებით ჩაებნენ აღებ-მიცემობაში. აქამდე დაობებულ-დამყაყებული და სულთმობრძავი ეკონომიკა ერთბაშად ვამოცოცხლდა და წელში გასწორდა.

ბეთქილაპურული ტყავის ფული — კოლა თანდათანობით წონას იძენდა.

ამ ფულით ახლა მეტი და უკეთესი ხარისხის საქონლის შეძენა შეიძლებოდა, ვიდრე წინათ. მართალია, ტყავის კოლას უცხოეთში არ ჰქონდა გასავალი, მაგრამ ოქროს კოლებს კი ყველგან დიდად აფასებდნენ და ერთ-ერთ ყველაზე სანდო ფულად თვლიდნენ.

●

მინისტრების გულის გასახარად, ჯინგ დო მთელი ეს წელიწადი თითქმის განუწყვეტლივ მოგზაურობდა.

მოგეხსენებათ, ბეთქილაპური მცირე კუნძული იყო და მალე ამ ქვეყანაში ლამის აღარ დარჩა ადამიანი, ვისაც ჯინგ დოსათვის ხელი არ ჰქონოდა ჩამორთმეული.

ო, როგორ უხაროდათ ეს ამბავი ბეთქილაპურელებს!

ო, როგორ ემზადებოდნენ პროვინციებში დიადი მბრძანებლის დასახვედრად!

ო, რა ლექსები ითქმებოდა მის სადიდებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთები თავშეუკავებელი აღფრთოვანებით მოუთხრობდნენ მკითხველს დინგ დღ ყოველი ნაბიჯის შესახებ!

მთელი მოსახლეობა აღტაცებული იყო ხალხზე ესოდენი ზრუნვის გამოვლინებით!

●

ყოველივე ეს დიდებულად მოქმედებდა დინგ დღს გუნება-განწყობილებაზე, მას ძველებურად სიამოვნებდა განუწყვეტელი შეგრძნება იმისა, რომ იგი ამ კუთხის, ამ სოფლის, ამ დაბის, მთისა და ბარის მბრძანებელი იყო. ამდენმა მოგზაურობამ, სუფთა ჰაერზე ყოფნამ, ბეთქილაპურის ულამაზესმა ხედებმა ფერზე მოიყვანეს დინგ დღ და მბრძანებელს იმედი გაუჩნდა, სულ ცოტაც და საურას გაჭიანურებულ პრობლემასაც მოვაგვარებო!

და მაინც, ამ მოგზაურობების ძირითადი მიზანი მხოლოდ კალენდულამ და დინგ დღმ იცოდნენ: ეს იყო მბრძანებლისა და, აქედან გამომდინარე, ბეთქილაპურის მტრების აღმოჩენა!

ალბათ გახსოვთ: ფიდუს ტიტინ-კარნახმა თავის მოწაფეს თავის დროზე „Homo Sentiment“ უწოდა. და მართლაც, ძნელად თუ მოიძებნებოდა ჰომბასარო-დიგო-დინგ დოსავით გაფაქიზებული შეგრძნებების მქონე ადამიანი. წლებთან ერთად ეს უნარი კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ცხოვრების გამოცდილებასაც თავისი გაჰქონდა და ამ დროისათვის მბრძანებელს ხელის ერთი შეხებით შეეძლო გამოეცნო ყოველი ქვეშევრდომის მისდამი დამოკიდებულების ხარისხი. ამიტომაც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის ჩამოერთმია ხელი.

დინგ დღ კმაყოფილებით რწმუნდებოდა, რომ დღითიდღე იზრდებოდა აღტაცება, რწმენა, იმედი, სულ უფრო ნაკლებად ხვდებოდა გულგრილად, ან მტრულად განწყობილ პიროვნებებს. გამორჩეული მეხსიერების წყალობით მბრძანებელი ყოველ მოგზაურ კარგად იმახსოვრებდა და ერთი წლის თავზე ისევ მშვენივრად იცოდა, ვის შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის დიადი მიზნის განხორციელებაში... დინგ დღ კიდევ ერთხელ გააოცა კალენდულას პროვნობების სისწორემ და სიღრმემ: რაც უფრო განათლებული, ნიჭიერი და მაღალგანვითარებული იყო ესა თუ ის ადამიანი, მით უფრო შორს იდგა იმ აღფრთოვანებული მოწწებისაგან, ასე რომ გულს ეფოსებოდა მბრძანებელს.

●

მიუხედავად იმისა, რომ „ხალხში გაჭრილი“ დინგ დღ ხშირად არ ბრძანდებოდა დედაქალაქში, სასახლესთან მაინც ყოველდღიურად იმართებოდა ტრადიციულად ქცეული შეკრებები, სადაც საათობით იდგნენ ბეთქილაპურელები და აღფრთოვანებული შეძახილებით ეგებებოდნენ მორიგ ორატორს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა წინამორბედისათვის სიტყვის მოქნილობითა და ფერადოვნებით ეჯობნა. კალენდულას მიერ შემუშავებული საყოველთაო და მუდმივი აღტაცების მექანიზმი უნაკლოდ მუშაობდა. საკმარისი იყო მისი, დინგ დღს ან „მოწაფეთა“ შორის რომელიმეს ერთი გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა, რომ ყველაზე ღირსეული, გამორჩენილი და ერთ დროს ხალხის საამაყო პროვნება ბრბოს გაუთავებელი ლანძღვა-გინების, დაცინვისა და მასხარაობის მისამართი ქცეულიყო. ბრბო დიდი სიამოვნებით ასკვნიდა, რომ მწერალთა უმრავლესობა მჯდომარეობია, რომ პატივცემული მეცნიერები სულაც არ ყოფილან პატივისცემის ღირსნი, და საერთოდ, რომ ყველა ადამიანი ერთნაირია!

„მტრებთან ბრძოლის“ ნაადგი ერთ წელიწადში ყოველმხრივ მომზადდა, გაკეთდა და გაფხვიერდა.

●

უნდა ითქვას, რომ ტახტის დამხობას ბეთქილაპურელების უმრავლესობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს მართლა მოყირჭებოდათ რეჯო ბაუბეკისა და მეფე ზენგოს უნიჭო მმართველობა. ამიტომაც „მტრებთან ბრძოლის“ დაწყების მომენტში ეჭვიც არავის ეპარებოდა ხელისუფლების სამართლიანობაში. ასეთი გულუბრყვილობა ძვირად დაუჯდათ ბეთქილაპურელებს და უპირველეს ყოვლისა დიდგვაროვან აზნაურებს.

კალენდულას ხელით შედგენილი და დინგ დოს მიერ ხელმოწერილი დეკრეტი ღალადებდა:

„ბეთქილაპურში გაუქმებულ იქნას საგვაროვნო წოდებანი და აქედან გამომდინარე პრივილეგიები. ჩაითვალონ დიდგვაროვნნი ხალხის არაჯანსაღ, გადაჯაჭვულ ნაწილად და მოიკვეთონ! ეპატიოს მხოლოდ მას, ვინც ათ წელს იშრომებს უდაბნოში სამშობლოს საკეთილდღეოდ და ამით გამოისყიდის შეცოდებებს ხალხის წინაშე!“

მეორე მეხი ეკლესიას დაატყდა თავს: ღვთისმსახურნი ბნელეთის მოციქულებად და ბეთქილაპურის მოღალატეებად გამოცხადდნენ.

ისეთი ვაი-უშველებელი ატყდა ბეთქილაპურში, რომ იტყვიან, დედა შვილს ვეღარ ცნობდა.

კინკას მსტოვრები პროვინციებში ძალსა და ღონეს არ იშურებდნენ და პატაკს პატაკზე აგზავნიდნენ სააშკარაოზე გამოყვანილი მტრების შესახებ.

გადარეული ბრბო ჩაქოლვით ემუქრებოდა ყოველ მთავანს.

დიდგვაროვანთ ლამის ცურვით გადაესერათ ოკეანე. ისინი ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, ოღონდ აქაურობას გასცლოდნენ.

ანაფორაგახდილი მღვდლები მანდარინის ბალებში ემალებოდნენ მართლმსაჯულების მსახვრალ ხელს და ოქროვერცხლს არ იშურებდნენ გემზე უბრალო მეზღვაურად მოწყობისათვის.

უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სახელიანი მეცნიერები და ხელოვანნი, რომელთაც იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, გაქცევით ეშველათ თავისთვის.

სატუსაღოებიდან შთამომავლობით ბოროტმოქმედები გამოუშვეს და მათ მაგივრად „მოღალატეები“ ჩასვეს.

ბეთქილაპურის უდაბნო კულტურისა და ხელოვნების ოაზისად გადაიქცა. იმ უსაშინელეს სიცხეში, უწყლობით, მორიელებითა და თეთრი მზით შეწუხებული ადამიანები მაინც ახერხებდნენ აქ ცხოვრებას, ფოჩიხობდნენ, წვალობდნენ და მაინც იმედი ჰქონდათ, ეს დროებითა ამბებია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო.

განსაკუთრებით სახელგანთქმული და განსაკუთრებთ ჯიუტი „მტრები“ კინკას უკარდებოდნენ ხელში და მისგან ისეთი წყანრი ღიმილით მიემართებოდნენ უდაბნოსაკენ, რომ გაგიკვირდებოდათ.

იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არაფრით არ სურდათ კინკასთვის დაეჯერებინათ და ერჩინესთ მშიერი ვეფხვის გალიაში ან ვერონიკას აუზში დაესრულებინათ სიცოცხლე. კინკა მათ სურვილს დიდი სიამოვნებით ასრულებდა...

დაძღნენ გალიებში გამომწყვდეული მშიერი ვეფხვები.

ნიანგი ვერონიკა აუზში ვეღარ დატეულიყო.

მხოლოდ ადამიანები ვერა ძღებოდნენ თანამომეთა სისხლით.

XLIV. ბატონი ჯოშვას ვასაჭირი

საურა, ვისაც დინგ დოსთან გატარებულმა საღამოებმა კიდევ უფრო გაუძლიერეს პატრიოტული გზნება, დრმად იყო დარწმუნებული, რომ ბეთქილაპურში დატრიალებული ცოდვის ტირილი აუცილებლად სჭირდებოდა ხალხს სნეული სულის განსაწმენდად.

მასზე არ მოქმედებდა არც ობლად დარჩენილი ბავშვების ცრემლები, არც უდროოდ დაქვრივებულ ქალთა გოდება, არც განწირულთა უკანასკნელი ახრიალება... იგი მოხიბლული შესცქეროდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამელიღაც შორეულ გალაქტიკაში მოცოცმეე ვარსკვლავს — ბეთქილაპურის მომავალს და სხვას ვერაფერს ამჩნევდა გარშემო.

მას შემდეგ, რაც „უბიწო ქალთა საზოგადოებას“ ჩამოშორდა და „ბეთქილაპურის საპატრძლოს“ რანგში ამაღლდა, საურამ გადაწყვეტა მთელი თავისი ძალები ბეთქილაპურის ბრწყინვალე ხვალინდელი დღის შესაფერისი თაობების აღზრდისაკენ მიემართა.

კალენდულასა და დინგ დოს შეხმატკბილებული გადაწყვეტილებით მას ქვეყანაში სახალხო განათლების ზედამხედველობა დაევალა.

●

ძველუბნელთა უცვლელი მასწავლებელი — ჯოშვა საგონებელში იყო ჩავარდნილი.

თავიდან იგი არცთუ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ატორტმანებულ ბეთქილაპურში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ თანდათან იგრძნო, რომ ამ შემთხვევაში ზერელე დამოკიდებულება საშიში და შეიძლება საბედისწეროც ყოფილიყო.

სამღვდელოების დევნის დაწყების პირველივე დღეებში ჯოშვა ზუცესმა წყვერი გაიკრიჭა, უფრო სწორად—გაიპარსა და ბატონ ჯოშვად იქცა. ერთი ხანობა მასწავლებლობასაც დაანება თავი, მაგრა მალე მიხვდა, იმ „ეშმაკის ფეხების“ გარშემ გაძლება არ შეეძლო და ისევ თავის ხელობას დაუბრუნდა.

●

ბატონი ჯოშვა ფრთხილობდა.

იგი ძალიან ცდილობდა, ათწლეულობით გამომუშავებული ჩვეულებისამებრ „ღმერთო შენ მიშველე!“, „ეიჯმნი ეშმაკისაგან“ ანუ ყაიმე ლიცვა არ დასცდენოდა. იმდენი ქნა, მერხები ძველი ეკლესიიდან საკმაოდ შორს გადაატანინა და გაკვეთილებს ახლა იქ ატარებდა, რომ ვინმეს მისი რელიგიური წარსული არ გაეხსენებინა.

თითქოს ყველაფერი თავისი ადგილისა ტი მიედინებოდა, მაგრამ ჯოშვას რაღაც საშინელების წინათგრძნობა არა და არ ასვენებდა.

და აი, კუროს თვის მეცამეტე დღეს ჯოშვას სასწავლებელში ერთი გამუქული ჭოკივით შეუხედავი ლაწირაკი გამოეცხადა და უთხრა, თქვენი საქმიანობა უნდა შევამოწმოო. ეს ყმაწვილი გახლდათ ერთ-ერთი იმათგან, ვინც საურამ ბეთქილაპურის ყოველ კუთხეში დაგზავნა სახალხო განათლების ძირფესვიანად გარდაქმნისა და მასში ჭეშმარიტი პატრიოტიზმის სულის შთაბერვის მიზნით.

ბატონ ჯოშვას, ვინც ბოლო ორმოცი წელი სხვას არიგებდა ჭკუას, ამაზე უფრო ვერაფერი გააღიზიანებდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო და მხცოვანი პედაგოგიც საბრძოლველად მოემზადა.

მთელი სამი დღე ეომებოდა მომხდურს, რომელიც თავისთვის ჩუმად იჯდა უკანა მერხზე და ყურადღებით ადევნებდა თვალს გაკვეთილის მსვლელობას.

შავ დღეში იყო ბატონი ჯოშვა. ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა ყოველ ნაბიჯზე. მართლაც, როგორ ვინღა, ბეთქილაპურის ისტორიაზე ილაპარაკო და წმინდანებად შერაცხული სასულიერო პირნი არ გაიხსენო, ბეთქილაპურელი გმირები — დიპლოდოკი და სკოლოპენდერი აქო და მათ თანამებრძოლ ბერზე კრინტი არ დაძრა...

უნდა ითქვას, რომ ბატონმა ჯოშვამ წარმატებით გაართვა თავი ყველა სიძნელეს — სამი დღე ისე ილაქლაქა, რომ ღმერთის სახელი არ წამოცდენია, მოწაფისთვის სახაზავი არ დაურტყამს და არც კალენდულასა და დინგ დოსათვის დაუკლია ქება-დიდება.

მეოთხე დღეს კი...

— თანამემამულე ჯოშვა! — (მიმართავა „ბატონი“ ბეჯითად იდევნებოდა ბეთქილაპურში, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ).

— დიახ, ბატონო!

— თავისუფალ მოქალაქეებს ბატონე-

ბი აღარა ჰყავთ! — ხაზგასმით თქვა ლაწირაკმა.

— გისმინოთ ღმერთმა! — წამოცდა ჯოშვას.

— ჩვენ ღმერთი არა გვწამს!

— ვიცი, ბოდიში! — ბატონ ჯოშვას ბავშვობის დროიდან არაფერი მონატრებია ისე, როგორც ამ ვაუბატონისათვის თავზე ხახაბაკის გადამტერვება. ხელები ექავებოდა, მაგრამ რა ექნა საწყალს!

— არაფერს! ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, თანამემამულე ჯოშვავ!

— ყურადღებით გისმენთ.

— ძალიან კარგი! თქვენი გაკვეთილები ბეთქილაპურის ისტორიაში და შშობლიურ ლიტერატურაში სუსტი იყო, მაგრამ მათი მოთმენა ასე თუ ისე შეიძლებოდა.

— სუსტი? — სახეზე ცეცხლი წაეკიდა ჯოშვას.

— დიახ, სუსტი, მე აქ გაკვეთილების შინაარსი არა მაქვს მხედველობაში. ამ მხრივ, მე მგონი ყველაფერი წესრიგშია. ცოდნის სიღრმე, გადმოცემის უნარი, აზროვნების მიმართულება — ყოველივე ეს საკმაოდ მაღალ დონეზე დგას.

— აბა?! — დაიბნა ჯოშვა.

— პატრიოტული პათოსი აკლია თქვენს გაკვეთილებს. აქ მარტო ჩვენი ბრწყინვალე მნათობების ქება არ არის საკმარისი. მომავლის ბეთქილაპურს ისეთი თაობა სჭირდება, რომ ცეცხლითა და მახვილით ამოძირკვოს ყოველივე, რაც დიადი მიზნის მიღწევაში შეგვიშლის ხელს.

საურას მოციქულს თვალები რისხვით აენთო, ძარღვები იასამნისფრად დაებერა და სახე სადღაც გვერდზე გაექცა.

— დიახ, ვერ გაიხარებს მტერი, მოვსპობთ, გავანადგურებთ!

— დაწყნარდი, თანამემამულევ! — შეუძახა ჯოშვამ.

მოციქული გონს მოვიდა.

— დიახ,—გაცილებით უფრო მშვიდად განაგრძო მან, — ჩვენ არა გვჭირდება ეჭვითა და ანალიზით დაღრღნილი თაობები... ასე გვასწავლის კალენდარი. ტყუილად კი არ დაიწერა „ამაოების გაკვეთილები“, ამედი მაქვს...

— ოღონ, დიდებული წავნია!

— უპირველესი!

— მართლაც! — არ ჩამორჩა ჯოშვა.

— ჰო... რაც შეეხება გეოგრაფიის გაკვეთილებს, აქ უფრო ცუდად არის საქმე.

— კი, მაგრამ...

— მომისმინეთ, თქვენ ისეგ ძველებურად ასწავლით გეოგრაფიას. ეს კი დღეს უკვე მოუთმენელია!

— რატომ? — ბატონი ჯოშვა თავის თავს გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნედ მიიჩნევდა.

— რატომ და... თუმცა, თქვენ ალბათ ჯერ კიდევ არ მიგიღიათ ჩვენს მიერ დამუშავებული გეოგრაფიის უახლესი სახელმძღვანელოები, მაგრამ მაინც უნდა გცოდნოდათ ბეთქილაპურელი მეცნიერების წყალობით ახლახან დადგენილი ჭეშმარიტება — სამყაროს ღერძი ჩვენს საყვარელ სამშობლოზე — ბეთქილაპურზე გადის!

ბატონ ჯოშვას გაოცებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა.

— ეგ კიდევ არაფერი! განსაკუთრებით საკალალო მდგომარეობა მათემატიკაში გაქვთ. აბა, რას გავს ეგ თქვენი მოძველებული მაგალითები: ამდენი ცხენი, იმდენი თივა, რა ღირს ბანანი?!.. მე ყოველივე ამას მოვახსენებ, სადაც ჯერ არ. თქვენ კი საწუქრად გიტოვებთ ნამდვილი პატრიოტ-მათემატიკოსების ხელით შედგენილ ამოცანათა კრებულს. ვინძღო მომავალში გამოგადგეთ, თუმცა არა მგონია, თქვენს პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი დღე ეწეროს. კარგად ბრძანდებოდეთ, თანამემამულევ!

სტუმარი თავის ეტლში ჩაჯდა და ძველი უბნის დაღმართს დაუყვა.

დამწუხრებული ჯოშვა კარგა ხანს გასცქეროდა ცარიელ გზას და თავის შავნაფლიან ფიქრებს ფიქრობდა. მის ტიალ ცხოვრებას თვალსა და ხელს შორის ეკარგებოდა აზრი. აღარ იცოდა, საით წასულიყო, რა წყლისთვის მიეცა თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებურად ხელში შერჩენილი წიგნი — ამოცანათა კრებული გადაშალა და ერთ-ერთ ამოცანას დაკვირდა.

აი, ამ ამოცანის სრული ტექსტი:

„ბეთქილაპურში საშინელი მიწისძვრა მოხდა, საფუძვლიანად შეიძრა ქვეყანა, დაიქცა ციხე-სიმაგრეები და სასახლეები; სწორედ ამ წელს შეხვდნენ ერთმანეთს ბეთქილაპურის ბრწყინვალე ისტორიის, დიადი კალენდულასა და დინგდოს სამშობლო ქვეყნის საამაყო გმირები — დიპლოდოკი და სკოლოპენდერი.

იპოვეთ ეს თარიღი, თუ იგი $(10X)^2 + 5X$ გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის ტოლია, სადაც X არის

$$\frac{(X+18)-2X}{X}=2$$

განტოლების ამონახსნი“.

ამის კითხვისას ᲯᲝᲨᲕᲐ რატომღაც გამხიარულდა და ისეთი სიცილი და ხვიხვინი მორთო, თქვენი მოწონებული.

ბოლოს წიგნი ბუჭქებში მოისროლა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი გუმბათმორღვეულ ძველ ეკლესიას, დრმად ამოიხვნეშა და კეთროვნების სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა, სადაც მას ძველისძველი ნაცნობი ტატე ეგულებოდა.

XLV. „რქიანი ლოქის“ ორდენის კავალერი

ევრაზიიდან დაუთას დაბრუნებას ბეთქილაპური დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა.

მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ ქვეყნის აყვავება მნიშვნელოვანწილად ამ კაცის სახელთან იყო დაკავშირებული. განცვიფრებულ დაუთას ნავსადგურიდან მოყოლებული ვიდრე გამარᲯვების სასახლემდე ყვავილებით ხელდამშვენებული ადამიანებით სავსე ქუჩები და ხალხის აღტაცებული შეძახილები მოაცილებდა.

უცხოეთში გატარებული ხუთი წლის შემდეგ დაბრუნებული დაუთა მთელი თავისი განიერი მკერდით ისუნთქავდა მშობლიურ ჰაერს და ძალიან ცდილობდა, თვალზე მომდგარი ცრემლები დაეფარა.

ევრაზიაში მას საკმაოდ ᲪᲣᲬᲕᲐ, ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ და ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ მოსდიოდა დინგ დოს მმართველობის შესახებ, მაგრამ ამ ლამაზი, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ადამიანების დანახვაზე ყოველგვარი ᲪᲣᲓᲘ ეᲫᲕᲘ უქარწყლდებოდა.

სასახლეში დაუთას, როგორც ეროვნულ გმირს, ისე შეხვდნენ.

დინგ დო ძველ თანამებრძოლს გადაეხვია და ყველზე ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲐᲞᲣᲠᲘᲡ უმაღლესი ორდენი „რქიანი ლომი“ ჩამოჰკიდა.

თვით ამაყი საურაც კი გულწრფელად იყო გახარებული დაუთას დაბრუნებით. და ამის აღსანიშნავად „ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲢᲐᲠᲗᲚᲝᲛᲘ“ თავისი ხელით მოწნული ვარდების გვირგვინი დაადგა თავზე.

ამ მოვლენის აღსანიშნავად სასახლეში გამართული ბანკეტის დროს დინგ დომ გამოაცხადა, რომ ამიერიდან დაუთას ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲐᲞᲣᲠᲘᲡ ფინანსთა განმეგლისა და ხაზინადრის მოვალეობა ეკისრებოდა.

კინკამ, რომელიც თავის პირდაპირ მოვალეობებს ძლივს აუდიოდა, შვებით ამოისუნთქა, რიცა ხაზინის გასაღები „რქიანი ლომის“ ორდენის კავალერს გადასცა.

გარეგნულად ყოველივე ეს მართლაც მშვენიერად და დიდებულად გამოიყურებოდა, მაგრამ ᲑᲔᲗᲥᲘᲚᲐᲞᲣᲠᲨᲘ, მოგეხსენებათ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲑᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲚᲘᲛᲘ, როცა ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ფორმის ქვეშ მახინᲯი ᲙᲠᲘᲐ იმალებოდა.

●

ძალაუფლების ხელში ჩაგდების მერე დინგ დო ᲮᲨᲘᲠᲐᲓ იხსენებდა დაუთას. იგი თავისი ცნობილი ინსტინქტით გრძნობდა, რომ ეს კაცი ᲮᲕᲔᲑᲐᲕᲘᲗ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ მოსარᲯᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ იქნებოდა. მაგრამ ევრაზია შორს იყო, წელიწადი — გრძელი და მბრძანებელი ცდილობდა კიდევ და კიდევ შორს გადაᲯᲔᲓᲐ ამ კაცზე

ფიქრი. არადა, დუთა არ იყო ის პიროვნება, რაიმე უსამართლობაზე და უმსგავსობაზე თვალი დაეხუჭა, ან მცდარი ნაბიჯი გაემართლებინა, თუნდაც მბრძანებლისა. ერთი სიტყვით, კალენდულასა და დინგ დოს გვვმაში დუთა ვერაფრით ვერ თავსდებოდა. მხედველობაში მისაღები იყო ის გარემოებაც, რომ დუთას პოპულარობა ხალხში ფრიად მაღალი გახლდათ.

აწონ-დაწონა რა ყოველივე, დინგ დომ კალენდულასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა, მეტად დაეტვირთა დუთა საქმეებით. ამ მხრივ ბეთქილაპურის ფინანსები სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო, რადგან მაღი გარკვევა და მართვა მითიური ავეიის თავლების გაწმენდას მაინც უდრიდა. დინგ დო ყურადღებით აკვირდებოდა დუთას, მის ლამაზ, ამ ხუთი წლის განმავლობაში საოცრად დავაჟკაცებულ სახეს, დამოუკიდებელ საქციელს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი გადაწყვეტილება სრულიად გამართლებული იყო. „ჯერჯერობით მაინც, მერე კი ვნახოთო“, ფიქრობდა მბრძანებელი, რომელსაც არც ყმაწვილობაში ნაჭამი ალიყური დავიწყებოდა და არც საურას მიერ გამომჟღავნებული განსაკუთრებული სითბო ევრაზიიდან დაბრუნებულის მიმართ...

●

და მართლაც, ორიოდე დღის შესვენების მერე დუთა ჩვეული კეთილსინდისიერებით გადაეშვა ქვეყნის ფინანსების აღდგენელ მორევში.

მართლა ტიტანური შრომა სჭირდებოდა ამდენ აბურდულ-დაბურდულ საქმეში გარკვევას და მათ მოგვარებას. უამრავი მტვრიანი თაბახის მარტო გაცნობას წლები თუ არა, თვეები მაინც სჭირდებოდა.

ყველაზე უფრო სასახლის კარზე დუთას ორი რამ აღიზიანებდა: გაუთავებელი დარბაზობები უზომოდ გაჭიანურებული სადღეგრძელოებითა და ყალბი პათოსით და ღამეული თათბირები, რომელსაც იგი სრულ უაზრობად და დროის ფლანგვად მიიჩნევდა. რამდენჯერმე თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა დარბაზობებზე, რამდენჯერმე შიკრიკს დაუბარა, სამუშაო მაქვს და თათბირს ვერ დავესწრებიო და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ყველა შეაჩვია დარბაზობებისა და თათბირების უიმისოდ ჩატარებას.

დინგ დოს ყოველი ასეთი შემოხვევა აღნუსხული ჰქონდა.

განსაკუთრებით აღიზიანებდა დინგ დოს დუთას, როგორც ხაზინადრის ხელმოჭერილობა. რამდენჯერმე ვითომ ხუმრობით ახსენა კიდეც მისი „სიძუნწე“, მაგრამ დუთამ ყურიც არ შეიბერტყა ამის გამო. იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ამდენი ზეიმი და ღღესასწაული ბოლოს და ბოლოს გაკოტრების პირას მიიყვანდა სახელმწიფოს. მან ნახევრამდე შეამცირა მავალითად, სკოლოპენდერ ბეთქილაპურელს ერთ-ერთი გმირობის აღსანიშნავი ვრანდიოზული ღღესასწაულის ხარჯები და ამით ძალზე გაანაწყენა ზეიმის ორგანიზატორები, რომელთაც დაწესებული გასამრჯელოს ზევით სხვა დიდი მოგების იმედიც ჰქონდათ. მერე ერთ-ერთმა მათგანმა მოთაფლული ენით დუთას პატრიოტული გრძნობების ნაკლებობა უსაყვედურა და დინგ დომ ეს კალამბური შეარჩინა თავზედს, მიუზედავად იმისა, რომ მშვენივრად გაიგო ყველაფერი.

უნდა ითქვას, რომ თვით დუთა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ბეთქილაპურში მიმდინარე ამბებს. რაღა თქმა უნდა, მას ზოგჯერ ყურში ხვდებოდა ზოგიერთი განსაკუთრებით ენერგიული მსზეერალის სასოწარკვეთილი ყვირილი, მაგრამ ფიქრობდა, სახელმწიფო ახლა დგება ფეხზე, ალბათ ასეა საჭიროო და ისევ თავის გაანგარიშებებს უბრუნდებოდა.

XLVI. კრიზტა ბიჭი სასახლეში

ამაზი, დუთას თანაშემწე, რომელმაც უკვე მოასწრო პატრონის დიდების სხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებში წანებივრება და ძალაუფლების უხილავი ბანგით გაჟღენთილ გამარჯვების სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე დასწრება, საშინლად დაღონდა, როცა ნავსადგურის საბაჟოს უფროსად დანიშნეს. ეს საპატიო თანამდებობა ისეთ გაქნილ და მოხერხებულ კაცს, როგორიც ამაზი გახლდათ, სულ თავისუფლად შეეძლო ოქროს კვერცხების ბუდედ ექცია. მაგრამ პატივმოყვარეობის ჭიით დაღრღნილი ახალგაზრდა კაცისათვის ფულს როგორც ასეთს, უკვე კარგა ხანია, მნიშვნელობა დაეკარგა. თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ბევრი რამ ნახა ამქვეყნად თანამემამულე ამაზმა და მხოლოდ გამარჯვების სასახლეში ყოფნისას დარწმუნდა, რომ ამ მოსაწყენ წუთისოფელში სწორედ აქ იყო მისი ადგილი. ამაზს ძალიან მოეწონა დინგ დოს ფერმკრთალი, ნერვიული სახე, თითქოსდა სხვა სამყაროდან მოვლენილი მკაცრი მზეთუნახავი სურა, ძლიერთა ამა ქვეყნისა ცოვი თავაზიანობა, საიდუმლოებით მოცული კინკა და მრავალი სხვა. იგი მთელი არსებით გრძნობდა, რომ სწორედ აქ ყოფნისათვის იყო გაჩენილი, უნდა ესუნთქა ამ ჰაერით, მონაწილეობა მიეღო სასახლის ინტრიგებში, თევზივით გამმჭვრალიყო და გამომჭვრალიყო, ერთი სიტყვით, ჩაბმულიყო ამ სახიფათო თავგადასავლებით სავსე თამაშში, სადაც ადამიანთა ბედ-იღბალს კამათელივით წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ.

●

თვე ერთი იყო და ამაზი „საკონსულტაციიდ“ სამჯერ-ოთხჯერ მაინც ახერხებდა დაუთასთან შესვლას.

დაუთას აკვირვებდა ამდენი შეკითხვა ყოფილი თანამეშინა, ვინც თავის დროზე თვალის დახამხამებაში უგებდა ჩანაფიქრს. სახელმწიფო ფინანსთა გამგებელს იმდენად არ უყვარდა სასახლე, რომ ვერ წარმოედგინა, ვინმეს აქ ფეხის დადგმის სურვილი გასჩენოდა. იგი მოთმინებით უხსნიდა ამაზს გაურკვეველ საკითხებს და ისევ და ისევ რწმუნდებოდა მის გონიერებაში.

ამაზს კი ერთი მიზანი ამოძრავებდა — რაც შეიძლება დიდი ხანი დაყოს სასახლეში. იგი სიამოვნებით უთმობდა დაუთასთან შესვლის რიგს ყველას — უფროსს იმიტომ, რომ უფროსი იყო, უმცროსს იმიტომ, რომ უმცროსი იყო, მანდილოსნებსა და თანამდებობების პირთ თავისთავად. როგორც ვთქვით, ამით იგი იხანგრძლივებდა სასახლეში ყოფნის საამოვნებას, ეცნობოდა სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანებს. მალე სასახლეში მუდმივად მორიალე ხალხმა კარგად გაიცნო ეს თავაზიანი, კოხტა ახალგაზრდა კაცი. ქალებს ძალიან მოსწონდათ ამაზის პეწიანი გარეგნობა, დაკუნთული ტანი, ბრინჯაოსფერი სახე და ცისფერი თვალები; მამაკაცები მისი თავაზიანი სიტყვა-პასუხით და დაუთასთან სიახლოვით მოხიბლულნი იყვნენ.

მაგრამ დრო მიდიოდა, ამაზს საკონსულტაციო შეკითხვების მარაგი ელეოდა და ის შემთხვევა კი, რომელიც გაჭრეგბულ კაცს დედოფალთან დაწვენს ხოლმე, არსად ჩანდა!

და აქ ამაზმა გადაწყვიტა გაბედულად ემოქმედა, თუნდაც საკუთარი (უარეს შემთხვევაში), ანდა სხვისი (უკეთეს შემთხვევაში) სიცოცხლის ფასად...



ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბურა არაბული

ლექსები

●

იქროს ფოთლები დაგცვივათ,
ალუჩავ და ალუბალო...
ახლა მიშველე, უფალო,
რომ მომხვდურს ფარი ვუფარო!

მიახლოვდება არყოფნა —
კბილდაკრეჭილი ველური...

ისარი ეტყორცნო, ეუქნიო
დაშნა და დავიოფერული...

იქ ხომ მარადი ღამეა,
მზე არ ამოვა იქ დილით...
დღემდე რაც ვერვინ ვერა ქნა, —
ქნეს მე მოვკლა სიკვდილი!

სინანული

...რომ არ მინახავს გუდანი, —
ფიქრების ნავსაყუდარი;

რომ არ მინახავს ხახმატი, —
უკეთესს რაღას ვნახავდი;

თავზე რომ ქარი დასტირის,
რომ არ მინახავს შატილი!

რომ არ მინახავს ლაშარი
სანთლებით ნაკაშკაშარი...

●

თერგი თერგია,
მაგრამ არ ვიცი,
საიდანა აქვს ზღვის ენერგია...
ეზიავარ თავისთვის,
ლაპარაკი მესმის
ქურდული.

არ მეშინია, —
ჩემს სასახლეს
ადევს ურდული...
კარგს რას მიქადის,
ნეტავ ვიცოდე,
ცა არეული,
გზა დაბურდული?..

●

ფუსფუსებს დიასახლისი,
სახლის დირეზე ძაღლი ზის
და იჟანგება სოფელში
ჩემი ცელი და სახნისი...
და მეჟანგება ჯუთაში
ჯაჭვი და ფარ-მუზარადი,

მე კი ლუდსა ვსვამ უთასოდ,
ელოთობ ზარადან ზარამდე!
მაქვს სიგარეტიც, ხინკალიც
და ლუდიც უიაფესი...
ტყეულად არც მე ვირჯები, —
ლექსი დავწერე კაფეში...

●

მოთოვა, გადაქათქათდნენ
კალთები შავნაბადასი...
მთებს შესევია ფანტელის
ენძელა ასიათასი...
მე ვიყურები ფანჯრიდან,

ფანჯრის რაფაზე კატა ზის,
თოფი მიმტყუნებს, ან ხმალი
გადამიტყდება ვადაში...
მოთოვა, გადაქათქათდნენ
კალთები შავნაბადასი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მიჭირს ცხოვრება, რა ექნა, ასეა,
დღეს ვახურდავებ ბოლო ასიანს...
ვწერ ლექსებს და ვშლი,
ვწერ ლექსებს და ვშლი,
არ ვშლი პასიანსს...

ღმერთსა ვთხოვ, დიდხანს მიცოცხლოს
იგი, —
ავად მყავს დიდი ბიძა ბაძია...
ეს შემოდგომაც მალე გაივლის
„და რაც გაივლის, ის ძვირფასია“.

●

ჯერ ხომ ისევ გაქვს ჯუთაში
ძირის სახლი და ჭერხი,
უნდა აიღო ხერხი
და შეშა უნდა ხერხო!
უნდა იკითხო ვაჟა!
უნდა იკითხო ლი ბო!

უნდა აიღო ცელი,
ჭინჭარი უნდა თიბო!
მზარში ვიდგანან ძმები:
ამირანი და სოსო!
და არ აიღო თოფი
და ჯიხვები არ ხოცო!..

ელიზბარი

ელის დედა და
ელის მამა,
ელის თოზი და
ელის ბარი...

ელის კაფე და
ელის ბარი...
ნეტავ სადაა
ელიზბარი?

●

მე — ცოდვილი და
ცოდვებით სავსე —
მტრედებივით
უმანკო ბავშვებს
ქართულ ენას და
ლიტერატურას
რომ ვასწავლიდი
სტეფანწმინდაში...

ეუხსნიდი ბავშვებს
„სტუმარ-მასპინძელს“
თუ ალ. ყაზბეგის
„ხევისბერ გოჩას“...
დღეს ვერეს ხიდზე
მივდივარ ზოგჯერ:
ნისლში მყინვარი
ხომ კიდევ მოჩანს?

●

ეეხ! სიცოცხლე გაჭირდა.
დევებო, ისევ შემებით!
გადავიხედავ ფანჯრიდან:
ჩანს თოვლის ‘ქრიზანთემები.

ჩემი გზა ვის არ დაღლიდა.
გსვი, წუთისოფლის ბალღამო!
ჩუმად გავდივარ სახლიდან —
სიცივე, ქარი, საღამო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ბუთხუზი

მწუხარების ქარი

მოთხრობა

აპა, მშვიდობით დაალამ ეს დღეც და აი, კიდევ ერთი მტანჯველი ღამე დაიწყება მის შიშითა და ელვით აღსავსე ცხოვრებაში. როგორი გათენდება დილა? ანდა, გაუთენდება კი? დღისით იმდენად არ უჭირს გაძლება, შეუმჩნეველად როგორღაც გადის დრო. აი, ღამა ძნელი გასაძლისი, ღამე! ჩამოდგება სულის შემზუთველი საბნელე, მიწყდება ადამიანთა ფეხის ხმა და ყოველ წუთს მოელის კარის მძლავრ კაკუნს, ვიღაცების დაძახებას... რა სასტიკენი და დაუნდობელნი გახდნენ ზოგიერთნი!

კაკლთან ძალი აღრინდა და ყეფით გაეთნო გზისკენ.

ამოვარდნამდე აუფართხალდა ვული. ჯერ საფეთქლებთან იგრძნო ცხელი სისხლის მოწოლა, მერე თანდათან ჩავიდა დაბლა, განიერცო კიდურებშიც და რაღაცნაირად მოუდუნდა მუხლები. გაგაფაციცა მზერა და შენიშნა უკვე დახშირებულ ბინდში, ვიღაცამ მოიგერია ეზაზე ყეფით გავარდნილი ნაგაზი. დაენებით უცქირა ბუნდოვნად დაჩენილ თავქვე მიმდინარ ლანდს და თანდათან დაუცხრა მღელვარება.

ძალმა კარგა შორ მანძილზე გააცილა მეზავრი, მერე გაწუმდა და გამოიქცა უკან.

სულგანაბული ზის მოაჯირთან და დაძაბული ყურადღებით ზვერავს საბნელეს. მადლობა ღმერთს, იმ ვიღაც უცნობმა უვნებლად ჩაუარა აქაურობას... გაირინდა ფიქრში და გაიხსენა ნათესაობა, ნაცნობები... ძალიან ბევრი დალუპეს უმიზეზოდ. ეს რა უბედურება მოიტანა ამ სატანელ დრომ? ვის რაში სჭირდება ამდენი უდანაშაულო მსხვერპლი? რატომ? რისთვის?.. გაუდიათ სულ რჩეული და საუკეთესო ხალხი. ამ ახლომახლო სოფლებიდან თვითონ გადარჩა მარტო. ალალმართალი რომ არის ყველასთან, ალბათ, იმიტომ ინდობენ ჯერჯერობით. უცოდველი ჰყავს შვილებიც, ცოლი ხომ... არა, ვერავინ იტყვის ძვირს. ერთი სიტყვით, ალალმართალი კაცია და... მაინც ეშინია გულიგულში. არავის კი არ უმხელს შიშს. მუდამ ისე უჭირავს თავი, ვითომც... ავად მოსაგონად დარჩება ეს ოცდათხი! ოცდაერთშიც რისხვად მოეელინენ ხალხს, ოცდასამშიც... მაგრამ ამ ოცდათხში!..

მყუდრო ღამე ვახშმობს სერებზე. სიჩუმემ დაასადგურა ირგვლივ. ივვიანებს მილეული მთვარე, მხოლოდ ვარსკვლავებს დაუთავისებათ უკიდეგანო ცა, რაღაცნაირად ამშვენებენ მუქად გამურულ ზესკნელს.

დაბლა ჩასვლა რადმე დასთხოვა გულმა. დირეზე ხელის გაყოლებით მივიდა კიბესთან. ნელა ჩაბიჯა საფეხურებზე, ჩავიდა ეზოში და წკმუტტუნით შეეტოტა ძაღლი. ჩამოიშორა იგი და ჯერ უაზროდ იარა აქეთ-იქით, მერე მოუნდა საქონლის ნახვა. მიუახლოვდა ბაკს, იგრძნო რძის სურნელი და დახედა ძროხებს. იცოხნებოდნენ არხეინად! შემოდგომის ბალახის სუნიც უდიოდთ ცოხნისგან დუჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვარი დრუნჩებიდან. მოვსმა ცხენების ფრუტუნი და მათკენაც გაუწია გულმა. სიბნელეში ნელა გაიარა ბუსნოზე, მივიდა საფერხეებთან და ჯერ ერთს მოუთათუნა ხელი, მერე — დანარჩენებს. რაღაცნაირად დაეტია გული აქ. როგორღაც ერთბაშად შეეხარბა ჰუნეთა ბედი. ამათ ხომ არავინ ერჩიან საქართველოში! ცოცხლობენ მშვიდად! მხოლოდ ქორწილებსა და დღეობებზე ადგებათ ხოლმე ცოტა რამ ჯაფა, როცა ცდილობს ყველა, ცხენკეთილობით მიიწონოს თავი. აი, მარტო მაშინ თუ იწვნევენ ხოლმე მათრახის სიმწვავეს. ისიც ერთხელ ან ორჯერ. წლეულს კი ისე ჩაიარა ალავერდობამ, არ გაუდგამთ ფეხი. ხალხს ვლოვავ, ცრემლი და სისხლი დაებედა ამ ზაფხულს. შაშითა და ელდითვე მიდის ეს შემოდგომაც.

ავბედობაზე დაფიქრებული კამეჩებთან მივიდა ახლა. რაკი მუდამ ერთად ებმიან უღელში, ახლაც ვვერდიგვერდ დაწოლილან ლომა და ლადი, ნიკორა და მერცხალა. ამ ორს ჩაუდვა შუაში, დაეყრდნო ქედებზე, მიიზიდა თავისკენ და როგორღაც მორჩილად მინებდნენ ისინიც. აი, ასე რომ იყოს დილამდე... ასე ჰგონია, ამათთან ავად ვერავინ ახლებს ხელს. ვადაწყვეტა აქვე გაათიოს ღამეც. გაიგონა რაღაც ჩქამი და უმალვე ვაიხედა სახლისკენ. თინათი იძახდა ფრთხილად, თითქოს შიშობდა ისიც, ყველას არ გაეგონა მისი ხმა. აძრახდა თავადაც და ოდნავ გაშორდა იმ ადგილს. მიდის, მაგრამ რაღაცნაირად კი უჭირს საქონლის მიტოვება. ასე ჰგონია, გაშორდება თუ არა ამათ, უმალვე ვიღაცა სტაცებს ხელს. ნეტა რა უნდა თინათის? ჭამიც და, ვარსკვლავთა შუქით ვამკრთალებულ ბინდში უფრო შავად გამოჩნდა მისი ჩრდილი. მოდიოდა ნელა და მოჰყვებოდა ალმასაც.

— რას აკეთებ აქა? — კვლავ ჩუმად შეეკითხა მოახლეობისას, — წამო, არ მოგშვიდა მაინც?

— არა. წადი და მოვალ მეც. წადი! განუმეტელი, როგორღაც დგას თინათი. მისი მაყურებელი ახლა შეგვლებოდა. გაჩნდა ფიქრით. უხმოდ მიელაციცა მათ ლანდებს. ნეტამც გაეხიზნა სადმე! მაგრამ ვინ შეიფარებს ამ სასტიკ დროში? საკუთარ ტყავს უფრთხილდება ყველა.

— წამო, კაცო, წამო! შენ მაინც შემიმსუბუქე ჯავრი.

— ნეტა რა გაქ საჯავრო? — შეეკითხა მოჩვენებითი გულგრილობით, — ნუ გეშინიან, ხელსაც ვერავინ გვახლებს ჩვენ!

— ისე ლაპარაკობ, თითქოს!.. ნეტა ვიღას არჩევენ ეხლა? ერთნაირად მიჰყავთ ბრალიანი და უბრალო!

— ნუ გეშინია! დდიდ-დდიდ, მარტო მე წამავლონ ხელი. დაე, მე ვიყო თქვენი სანაცვლო!

— უამე, რათა, კაცო! შე რომ წაგიყვანონ, მე რაღა სამფოფი დავრჩები ქვეყანაზე?

— რატო არა? ღედა უფრო უნდათ შეილებსა!

— შენ თუ არ იქნები, მაშინ მეც... შვილებს კი... ღმერთო, ჯავრი დამიწერე მაგათ თავსა!

ჩამოიშორა ძაღლი და უხალისოდ წავიდა სახლისკენ. მიდის და ნელავე მიჰყვება თინათიც. ძმამედ აიარა კიბე, ავიდა აივანზე და შევიდა საჯალაბო ოთახში. ჩანელებული ბუხრის წინ დაედგა ქვაბი თინათის. რატომღაც, მოუნდა შვილების ნახვაც. შევა და დახედავს ჯერ გოგოს, მერე — ბიჭებს. მაგრამ რას დაინახავს ამ ბიბლიოში? რაღაცნაირად ეუხერხულება ლამპრათი დაადგეს თავს. არა და... ძალიან უნდა მათი ნახვა, ნამეტნავად — გოდერძისა. მთელს კახეთში მეორეც არ მოიძებნება მისნაირი ლამაზი და ტანადი ვაჟკაცი. ქალს, კაცს, მოხუცს, ახალგაზრდას — ყველას მასზე რჩება თვალი. მოხიბლულან ნათესავების მიერ დღეობებზე საზეიმოდ წამოყვანილი სტუმრებიც. არასოდეს დაავიწყდება უნივერსიტეტის პროფესორის ნათქვამი: მეუხერხულება, რომ ხშირად მიეზიდავ ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, ჩემს უნებურად მაინც მისკენ გამირბის თვალიო. ჯერ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეხვეოდრავარ ამნაირ ბიჭს, ალბათ, ეგეთივე იქნებოდა ბიძინა ჩოლოყაშვილი-ცო. გოდერძის ხნისას კარგი ქარი უქროდა თავადაც, თუმცა მაინც ვერ იყო ამნაირი. კარგი ბოგო იყო თინათიც. მხოლოდ ქალაშვილები დაემსგავსნენ მას. ბიჭები კი... მარტო ოთარი ჰგავს მამას, გოდერძი... ალბათ, პაპის პაპებში ვილაც იყო ამნაირი!

შვილებზე დაფიქრებულს რაღაცნაირად ვაქარვდა შიში. უნდა ნახის უეჭველად! უნერხული კია, მაგრამ... და, როცა უნდა აელო ლამპარი, რათა ბაეტანა და შვილებისთვის დაეხედა მის შუქზე, უნებურად მიხედა თინათის. ბუხრის წინ საქმიანობდა იგი. სიბნელეში ხომ ვერ დატოვებდა მას? კელაპტრის შუქზე მაინც რომ...

— დაჯე, დაჯე!

ამოერკვა ცოლის სიტყვებზე და ისევ რაღაცნაირად დაეუფლა შიში.

— ტყუილად რასმე მამიტან, არ მინდა არაფერი!

— დაჯე, კაცო, დაჯე! შენ რომ არ ვინდა, მე მინდა! ჭამე ჩემი ხალისთ მაინც! მე ამაყოლე ყბა!

არ უნდა არაფერი, მაგრამ თავისას რომ არ იშლის თინათი? მიუჯდა მაგიდას...

თუმცა დაფუსფუსებს თინათი, მაგრამ ალარ ეტყობა მისთვის ჩვეული მარიფათიანობა. მით უფრო ამბილა დანებულობა, რომ მაგიდაზე ჯერ მოიტანა კერძი, მერე — ჭურ-ყველი. ბოლოს, თითქოს გაახსენდაო რაღაც, უცბად მიბრუნდა განჯინისკენ და გამოიღო მწვანილით სავსე თეფში, საიდანაც მიმზიდველად მოჩანდნენ წითელი ბოლოკებიც.

კოეზი უნდმანდოდ მოურია წენიანს და გაუსინჯა, ვემ. ლუგუში როგორღაც ეწვენა ცოტათი. ახლალა მიმოიხედა სუფრაზე.

— მარილი?

— ეი, მამიკაჯს თავი! — წენარად წამოიძახა თინათიმ და მიბრუნდა კარადისკენ...

მოაყარა მარილი და მოურია ისევ... ახემსება უხალისოდ, ჭამს ცოლის ხაფანგრით... გადაწყვიტა განზე გადაჯდომა და . მიხედა მეუღლეს. წენიანს ისიც უწადინოდ ატანდა პურს. როგორ მიატოვოს მარტო? ულუფას ისევ ამოუსვა კოეზი და ჩაკბიჩა პურიც. მერე ფრთხილად გადადგა თეფში, ჩანგლით მისწვდა პატარა მჭლე ნაჭერს, რომელსაც ძლივს შესაჩნევად უდიოდა ორთქლი.

...მდუმარებაში მოთავდა უმადო ვახშამი. მერე წამოდგა თინათი და მიალაგა სუფრა.

არ უნერდება გული შინ. ძლივს გაძლო ცოტა ხანს და ისევ გავიდა გარეთ. აივნიდან გაათვალიერა სოფელი. არსაიდან ალარა კრთის სინათლე. „რა მალე დაუძინია ხალხს?“

— შამო, დაწე, გიორგი! — მოესმა ცოლის ხმა და მიიხედა უკან.

„ღმერთო, მშვიდობით გავავიენებინე ეს ღამეც!“ — გაიფიქრა, გადაწერა პირჯვარი, შეეიდა შინ და ჩაკეტა კარი. მას აქეთ, რაც დაიწყეს თავადების დაჭერა, ვეღარა და ვეღარ მოერია შიშს. მუდამ ასე დაზაფრული მიაშურებს ხოლმე საოჯახოს. სანამ მოერევა ძილი, თითქმის ყოველ წუთს ელოდება კარის მძლავრ კაკუნს. ელანდება ათასგვარი საშინელება. გაიდვიძება და მიმოიხედავს სიბნელეში. როგორც კი გაარჩევს ნაცნობ ვარემოს, ამოისუნთქავს შვებით. „ეს ერთი ღამეც გავათენე მშვიდობით“-ო, გაიფიქრებს და გადის სოფელში. გვიანდა ბრუნდება უკან და ტკბება შვილებთან ყოფნით. მათთან ურთიერთობა ყოველთვის რაღაცნაირად აკეწყებს მდგომარეობას, მაგრამ როგორც კი მარტო აღმოჩნდება ისევ, გაახსენდება მოსალოდნელი უბედურება და ვეღარა სძლებს შინ. მიდის უბანში და მწუხარებას იქარვებს მეზობლებთან ფიხვნობით. ხან ვინმე დაიწვევს ვახშამზე, მერე გამოჰყვებიან თვითონაც... ბაასით უმსუბუქებენ ვარამს და აი, ასე გაჰყავს დრო. ღამეა ძნელი გასაძლისი, ღამე! უფრო მაშინ, როცა მოატანს მამლების შეყივლების ჟამი. ნეტა რას უქადის ბედი? მკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავთან მაინც უნდა გაგზავნოს თინათი, მაგრამ... რა შავი ქვა გაეგებაო იმათ? ნეტამც აცოდინა დანამდვილებით, რა მოელის ამ ორ-სამ თვეში! მერე... იქნებ შეწყდეს ეს ვაგლახი? განუწყვეტლივ მოდის ამბები, სად ვინ... თურმე ღამით, უდროო დროს დაესხმიან თავს, წამოყრიან ოჯახის ყველა წევრს, გაიყვანენ სოფლიდან და არ ინდობენ ბავშვს, ქალს, მოხუცს... ზოგან დღისითაც აწოკებენ თურმე...

კარგა ხნამდე არ მოუხუჭავს თვალი. მერე, როცა გაჯერდა ფიქრით, რაღაცნაირად გაბრაზდა თავის თავზე, აბა რაღა ვქნა, მოვიდეს, ვისაც უნდაო, თქვა გუნებაში და გადაბრუნდა პირქეე. მაგრამ მაშინვე როდი გაირინდა ძილში. ცოტა ხანს იფიზზლა კიდევ და მერეღა ამოუშვა ფშვენა. როცა გაახილა თვალი, უმალვე გაახსენდა თავისი მდგომარეობა და მიმოიხედა დაფეთებულივით. იცნო საკუთარი შინამი. დამშვიდდა თანდათან, ჩურჩულით გამოისახა პირჯვარი და ახლაღა გაახსენდა თინათი. ვინ იცის, როდის აეცალა იგი? ადრე დგებოდა ყოველთვის, წამოაყენებდა გოოებსაც, მოხვდებოდნენ საქმეს... თვითონაც მოუნდა წამოდგომა, მაგრამ როგორღაც მოშლილიყო იყო სახსრებში. „რა ტკბილი ხარ, სიცოცხლევ, შე ოხერო! როგორც უნდა მწარე ჰქონდე კაცსა, ტკბილი ხარ მაინცა! ბედნიერებაა, რა არ გეშინია არაფისი! ხარ არხეინად!“ — გაიფიქრა, წამოჯდა საწოლზე, ფეხებით მოძებნა ფლოსტები და მიედო ფანჯარასთან. გახედა უკვე ჩამთთოვლილ მწვერვალებს. კარჩხალა ქანჩაზებზე აქა-იქ ჩამომსხდარიყვნენ აისის შუქით მოვარაყებული ნისლები. ცოტა ქვემოთ კი შემოდგომის ნაზი ფერები წაჰკიდებოდა აქოჩრილ ტყეებს. დაბლა, თხელ ბურუსში დანაქმულ ველებზე, ძლივს მორნეოდა მთებადან გადმოხრილ ჩრდილში მინაბული სოფლები. „რა ტკბილი ხარ, სიცოცხლევ, რა ტკბილი!.. ღმერთო, დიდხანს მაცოცხლე ჩემი ცოლ-შვილითა! დამიფასე გაჭირვებულებზე გაუფული მადლი და ამაგი!“

დაიბანა ხელ-პირი, სარკის წინ ტალოთი მოიმშრალა სახე, ქუდი დაიკარგნა თმა, სავარცხელი ჩამოისვა ულაშზეც. წამოზრდიდა წვერი. ხელისგული მიისვ-მოისვა ყბებზე. უნდა წავიდეს გიგო დალაქთან! დაიბურა ქუდი, ჩაიცვა ქულაჯაც და ჯიბეებში ხელებჩაყოფილმა ჩაიარა კიბე. ეზოში ჩასვლისთანავე იქით წაუვიდა თვალი, სადაც ებნენ ცხენები და კამეჩები. საქონელი უკვე გაერეკათ ნახირში. გავიდა გზაზე და დაეშვა უბნის თვალიერებით. რა ლამაზია ირგვლივ ყველაფერი — ღობეები, სახლები... დადონებულებივით როგორღაც მოჩანან უკვე გაკრეფილი ვაზები. ფერთა სიუხვე ამკობს ხეხილს... თრთვილი აღნება თითს ზვინებს, რტოებზე ოქროსფრად ალამძულ ფოთლებს... ჯერ ისევ მწვანედ გამოიყურება მოყავისფროდ დახუძლული ხურმა. „რა ლამაზია ყველაფერი, ღმერთო!“ — გაიფიქრა და რატომღაც კიდევ უფრო მეტი ყურადღებით დაიწყო გარემოს თვალიერება. უკვე ჩამობერტყილ კაკლებქვეშ ებნენ სუქებაზე დაყენებული ქოსმენები, ძომაბეზრებლად რომ ღრუტუნებდნენ სალაფავის მოლოდინში. „ღმერთო, რა სილამაზეა ირგვლივ! რომ მომკლან, ხომ სამუდამოდ მოვშორდები ამ მშვენიერებას? მესერიან თოფს, ძაღლივით ჩამაგდებენ ორმოში, მომაყრიან მიწას... და გავქრები სამუდამოდ“.

ათვალიერებდა მთებს, ხეობებს... სრულებით არ იგრძნობოდა ქარი, მაგრამ ქედების თავზე მაინც ნელიად მოლიელავებდნენ მზით გაბრწყინებული ღრუბლები. ცა კიდევ უფრო ლურჯად კამკამებდა მათი სითეთრის გამო. მერე ფერებით აელვარებულ ტყეზე მიმოაბერა მზერა. წითელი, ყვითელი... ალაგ მწვანეც გარეულიყო ფერთა სიმრავლეში. ღვინის, მაჭრისა და ხილის მსუყე სურნელი იდგა ეზოებსა და ორღობეებში. ზოგან ინჩქრეოდა არაყის სუნიც. აქა-იქ მხიარულად ჟივჟივებდნენ ბეღურები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდანღაც მოისმა მამლის ყივილი... შუა უბანში იგრძნო მწვადის სასიამოვნო სურნელიც. იფურებოდა აქეთ-იქით და ახლა თითქოს უფრო სხვა თვალით ხედავდა ყველაფერს. „რა ძნელი იქნება სიკვდილი! უდროოდ ჩამაგდებენ მიწაში, ეს ყველაფერი კი იქნება მარად და მარად! ცხოვრება ივლის თავისი გზით, მოვლენ სხვა თაობები, კიდევ სხვები, სხვები...“ — გაიფიქრა და შეხედა გიგო დალაქის სახლის წინ ახლად გადმოყრილ ჭაჭას, რომელსაც მისეოდა ქათამ-ინდაური. იფოსა წიწწანაქრის სუნიც და დუმახა იქვე მოფუსფუსე დედაკაცს:

— გიგო შინ არი?

— შინ გახლავთ! მობრძანდით, ბატონო!

გადააბიჯა ნაპირებზე აბალახებულ რუს და შევიდა ეზოში.

— ძაღლი სად არის? — იკითხა და, რაკი არაფერი ეპყრა ხელთ, რაღაცნაირი შაშით მიმოიხედა ირგვლივ.

— დაბმულია, მობრძანდით!

— ბევრი ჰყავს ხალხი?

— ვისა, გიგოსა? არც ისე!.. მობრძანდით!

ჩაუარა დაბალ პატარა სახლს, რომლის ღია კარიდანაც მიჩანდნენ ფარდაგდაფენილ ტახტზე საუზმეს მიხარბებული ბავშვები. შეჩერდა და გაღიმებული მაიჭერდა პატარუს. ჭამდნენ მადიანად! „რა ბედნიერები არიან, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრება ამათ სიცოცხლეს! — გაიფიქრა. — ხუთიან! გაარჩენენ კიდევა, ახალგაზრდები არიან ჯერა! ღმერთმა მისცეთ!“—გაიკვლი გულში კვლავ და გაღიმებულმა მიაშურა მუხის ძელებისაგან შეკრულ პატარა ხუხულას, საიდანაც მოისმოდა ხალხის გაბმული ყაყანი. მერე რატომღაც შეწყდა ხმაური და მიხვდა გუმანით, რომ მისი დანახვის გამო გაჩუმდნენ გიგოსთან წვრის საპარსად მიგროვილი მეზობლები. შესვლისთანავე მიესალმა დამხვდურთ. ფეხზე მდგომთ თავის დაკვრით დაუბრუნეს პასუხი, წამოდგნენ დამსხდარნიც ხა ისევ ჩამოწვა მდუმარება. მხოლოდ სამართებლის ფხაკუნი და ბუზების ზზუილი ისმოდა ჭერდაბალ სადალაქოში. ერთ-ერთმა თავაზიანად მიუღო ხელი სკამისკენ: დაბრძანდითო, უთხრა წყნარად. გაეშურა დასაჯდომად და თქვა საერთოდ:

— დასხედით თქვენაცა, დასხედით!

რამდენიმე დაჯდა მხოლოდ. დუმდნენ გაგუებულებივით. მისი ხათრით იკავებდნენ თავს, თორემ... აბა, ამათ იცოდნენ ხუმრობა და ერთმანეთის ქალიკი! არა თაკილობდნენ უკაცრაულ სიტყვებსაც, ბევრ რამეს უთამბდნენ ერთმანეთს. როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს ამ ნაძალადევ სიწუმეში, რადგან ყბედობის სიამოვნება მოაკლდათ მისი მისვლით.

— რას გაჩუმდით? თქვით რამე, ილაპარაკეთ, იხუმრეთ! არაფერი იცით ახალი?

— ახალის მეტი რა იქნება ამ ძნელს დროში? ქაქუცას თაობაზე ახმეტაშიც დაუჭერიათო ბიჭები. ტყუილად თუ დაბეზღა ვინმემ!

— რას უზამენ ნეტა? — იკითხა ქერივ სალოფეს ბიჭმა.

— ვინ იცის? ამათ ხელში რი ჩავარდება კაცი, იმას კეთილი დაეყრება კიდევა?

თანდათან ისევ დაეზურა გული და დაიცქერდა ერთ წერტილს. შესქელებული ტალახი შემოჭყოლოდა ვიდაცას. თითქოს რაღაც ნაცნობი სუნი უდიოდა ქალამანს ამძერალ ნედლ მიწას. მასში ფეტვის თავთავიც იყო ჩაბრტყელებული. მერე მოათვალიერა მთელი ქაზდარიც. აქა-იქ ეყარა ნაკრეჭი თმა, პაპაროსისა და ასანთის ღერის ნამწვავები... კუთხეში მიგდებულ გაზეთის ნაგლეჯზე ამოიკითხა მოზრდილი ასოები: „დაუნდობლად ვანადგუროთ ხალხის მტრები...“

— მობრძანდით თქვენ, ბატონო! — მოესმა და მიიხედა დალაქისაკენ.

წამომდგარიყო უკვე გაპარსული სოსია. ახლა გაღიმებული იყურებოდა კედელზე მიკრულ პატარა სარკის ნატეხში.

— მე რათა? ვისი ჯერია ეხლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მობრძანდით თქვენა, მობრძანდით!

— გმადლობთ! — თქვა და მოიხადა ქუდი, გაიხადა ქულაჯაც და დაუჯდა დალაქს.

მან გარეთ საგულდაგულოდ გაბერტყა ზეწარი, შემოვიდა მერე და შემოახვია მხრებზე, თითქმის მთლად შიგ დამალა ყელს ქვევით.

— ბიჭვითი გაკეთილებული არ გამოჩნდა ეს ჩვენი ხოსია? — სიცილით ჩაილაპარაკა ერთმა და მიაჩერდა სარკეში მაცქერალ კაცს.

— მეეწონება კია თავი დედაკაცსა!

— მე მოგწონვარ ოგრეცა!.. — დაიტრაბახა ხოსიამ.

— თვალები დაებრიცებათ გოგოებსა ამი ცქერითა, აი! ეს ვინა ყოფილაო, ქალო, შეხედეთ ერთი, შეხედეთოო... ეტყვიან ერთმანეთსა!

„ეხლა კი აიშვებენ თავსა! მეც ეს მანდა. რო ილაპარაკო! ამათი მოსმენით უფრო გამქარვდება ჯავრი, ვიცინებ მეც!“

ისევ გაჩუმდნენ და ოგრძნო, რომ აქეთ მოაქციეს ყურადღება. ცოტა ხანს კი გაძლეს ჩუმად და მერე შეეკითხა ერთი:

— ი შენი გოდერძი როგორ არი? კაი ხანი კია, აღარ გამოჩენილა სოფელში!

— რა უჭირს!..

— კაი ბიჭია, კარგი!

— კარგი ვყავ ოთარიცა, მაგრამა... გოდერძი როა!.. მთელ ა, ემ ჩვენს კახეთში არავინ იქნება მაგითანა! ამაყი, სამართლიანი, ზრდილი... სალამ ვერ დაასწრებს კაცი. მაგისგან ჯერ არა გაგონილა რა საძრახისი. დიდთან დიდია, პატარაათან — პატარა! მაგრამ ამაყი კია ძალიანა!

— თვალები, თვალები აქ რაღაცნაირად ბრიალა! აჯაჯოფებს გოგოებსა თუ ქალრძალსა, მაგრამა... ეგ არ არის იგეთი, რო... სხეა უმაგისო...

— კარგია ოთარიცა!

— კარგია, მაგრამა... გოდერძი როა!..

ემეება შვილების ქება, ამაყობს ფარულად.

გაჩუმდნენ ისევ. გიგომ სასაპნეშა ცოტათი კიდევ ჩაამატა ცხელი წყალი, ააქფა საპონი და წაუსვა პარაკანად. ბოლოს ძელზე მილურსმული ქამარზე ალესა სამართებელი და ნელა შეუდგა პარსვას.

— ი ყარალაანთ კი ვერ დადგომიათ კაი დღე, უბედურებსა! — თქვა ერთმა.

— რა დაემართათ?

— სუ ამოუხოცნიათ დედაბუდიანდა... გადეებათ ერთმანეთზე თოკითა, გაეყვანთ სოფლიდანა დღისითა, მზისითა, დაარეოდნენ თოფი კონდახებითა და დემეტრიათ თავები...

— რა ცოდეი ხილება იქნებოდა, ვაი, ვაი, ვაი!..

— ღმერთი, ნუ მაპაიწრობ მაგ დღესა!

— ოგრე როგორ უნდა გაიმეტოო კაცმა კაცი? დიდებ თუ დანაშაულობა რამა აქონდათ, რას ერჩოდნენ ქალებსა და ბალღებსა?

— ეჰ, განა დიდები კი რაშიმე იქნებოდნენ დამნაშავენი? ეხლა ვიღა დაეძებს დანაშაულსა? თავადი გვარი თუ გაქ, მორჩა!.. ის იქნება შენი დანაშაული!

— ადამიანი თუ ერთი გაიკეშა მკელელობაში, მორჩა მერე! ოგრე არიან ესენიცა!

— არიან და მეეკითხებათ ბოლოსა!

— კარგად ვიცნობდი იმათ ოჯახსა, მოეკამაგორედ ვეფექი ერთ-ორ წელსა, — წამოიძახა სანდრომ. — იგეთი პატიოსანი ხალხი, იგეთი!..

გაახსენდა ართანელი ყარალაშვილები. „საწყალები, რა ამბავში იყვნენ შარშან თეორ გიორგობასა! ეჰ!...“ — გაიფიქრა, აახამხამა თვალები და ის იყო რაღაცას უნდა შეჰკითხოდა მთხრობელს, რომ გაგომ ქვემოდან მოაჭირა ნები ნიკაზე, უკან გადაწევინა თავი და ყელზე ფრთხილად ამოუსვა სამართებელი. მერე მიბრუნდა ფანჯრისკენ და გაწმინდა ქაღალდის ნაგლეჯზე.

თითქმის ყოველ დღე ესმის შემაძრწუნებელი ამბები. აი, ახლაც!.. აფსუს, რა ეკეკაცები იყვნენ იმათ ბიჭები! ნეტა რომლები მოჰყვებოდნენ იმ უბედურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში? გაგონილი აქვს იქაურებისგან, რომ... კოხტამ უკვე უშველაო თავს, — გასასროო ქალაქში.

ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა სიჩუმე, მერე ჩამჩიაანთ ბიჭმა დაარღვია მდუმარება:

— ამ ჩვენ ბატონ გიორგისაც კი არაკინ...

— რაა? თქვი ბოლომდე, თქვი! სიტყვაში შეეცალ ლევანა.

— რა და... ამასაც არავინ მოუნდომოს-მეთქი ისა... სიბოროტე! ყარალანთსავით არ...

— ხელსაც ვერავინ ახლებს ამათა!

— ყველანი დაუუდგებით გვერდში და არ დავანებებთ არავისა! აბა ერთი!..

— ჰაიიი, დაიცათ, მოვეყრები მაგათ განკითხვი დღესაცა, ვინც აწიოკებს ამ უდანაშაულო ხალხსა! როგორ შაიძლება, რომა... აქაოდა, რაკი თავადები არიანო... ვის შაარჩენია კაცი ცოდვა? დმერთი იყურება მაღლიდანა! მოვა დრო, რო!.. — წამოიძახა და აღარ დაამთავრა მოხუცმა პეტრემ.

ყოველ წუთს მოელოდა კიდევ ვიღაცის ხმის გაღებას, მახვილად ეჭირა ყური, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, უფრო ვრძელდებოდა სიჩუმე. მერე ისევ დაიწყო პეტრემ:

— კაი ხალხნი არიან ესენი! კარგივე ფეკანდა მამა-პაპაცა! ვის რა ხელი აქ ამათთანა?

— კაი ხალხი იყო აგე, ყარალაშვილებიცა, მაგრამ!.. კარგები არ იციან ამათა!

კიდევ უფრო შემოაწვა სვედა. რომელიღაცა ბიჭმა თქვა ეს და ვერ იცნო ხმაზე. მოუნდა უკან მიხედვა და ხალხის მოთვალიერება, მაგრამ ულვაშებს უსწორებდა გიგო და აღარ შეუშალა ხელი. მერე ისევ რაღაცნაირი შვება იგრძნო ქვრივ სალომეს ბიჭის წამოძახილზე:

— ხალხი ბრალია, ხალხისა! ხალხი უნდა გადაიდგომოდა იმ ავაზაკებსა, არ დაენებებინათ ამოსახოცადა!

— ეეჰ, ალაპარაკობ შენაცა! ეგენი ისე არიან დაგიჟებულები, განა დაინდობდნენ ხალხს კია? მაგათ ვინ რაჲ გაუშვებდაეს შიშითა? თავი ტყავ უფრთხილდება ყველა!

ამით თითქოს რაღაცნაირად ჩაეშრიტა იმედი. კიდევ მოელოდა ვიღაცის მიერ რაიმე სანუგეშოს თქმას, მაგრამ აღარავის გაუღია ხმა.

გიგო მორჩა პარსვას, კეფასა და გვერდებზეც ოდნავ შეუსწორა თმა და შემოხსნა ზეწარი.

წამოდგა, დაღონებულმა აიღო ქუდი, ჩაიცვა ქულაჯაც და ის იყო უნდა გაბრუნებულიყო კარისაკენ, რომ ჯადაფექრა გასვლა. რა უნდა აკეთოს შინ? აქ კიდევ... წელან რაღაცნაირად მოუფონეს ვული პეტრეს სიტყვებმა, მაგრამ ...ვინ იყო ნეტა, რომ ჩაუწურა იმედი? მოათვალიერა ხალხი, მაგრამ... ვერავისზე მიიტანა ეჭვი. თუ არავინ არას იტყვის სანუგეშოს, სხვა ამბების მოსმენისას ცოტათი მაინც შეუმსუბუქდება ჯავრი, მაგრამ შეფიცულებივით როგორღაცა დუმს ყველა.

— ძოდი ეხლა შენა, თედო! — უთხრა გიგომ ერთს.

— აბა ეხლა მე გამალამაზე სოსიასაეთია! — შესძახა თედომ, დაჯდა სკამზე, გასწორდა წელში, მოიღერა ყელიც და ზაქროს ჩაუკრა თვალი, აქაოდა, ნახე, როგორი ბიჭი წამოვდგე ცოტა ხნის შემდეგაო.

— ეს გიგო რო არა გვყვანდეს... იქნებ ჩვენი დედაკაცები აღარ დაწვებოდნენ ჩვენთანა?

— მართლა იგრე იქნებოდა, აი! ამ დილით ძალით გამამაგდო ჩემმა დედაკაცმა. ერთი კვირაა მეჩიჩინება: გაეპარსენე, გაეპარსეინეო. მეც ვეღარ აუვედი საქმესა დ!.. — წამოიძახა სიკომ, მიბრუნდა სარკისკენ, ჩაიხედა შიგ და ხელი მიისვამოისვა შავად გაჯაგრულ ყბებზე.

რაკი გაჩერდა კართან, გაწუმდნენ ისევ. „ეჰ, დავაყარო გზას ბარაქა! ამაო რაღაზე ვუშლი ხელსა? ვატყობ, უნდათ ზუმრობა და ვეღარა ბედავენ ჩემი ნათრითა“, — გაიფიქრა და ცოტა ხანს შეყოყმანებულმა უხალისოდ ვააბოტა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ. გავიდა გზაზე... მდიის და ცხადად ელანდება წელან მოსმენილი საშინელება. თითქოს კიდეც ჩაესმის ყარალაანთ ბალღებისა და ქალების წივილ-კივილი, კაცების ღრიალი, თოკებით ხელებგაბოჭილებს რომ დარევიან და ურტყამენ კონდახებს, უწიწქავენ თავებს, აქეთ-იქით ასხამს ნისხლი... „ოჰ, ღმერთო!..“ — გაიფიქრა და დახუჭა თვალები, თითქოს ასე უნდა დაეღწიოს იმ საშინელებასო. გააქნია თავიც, მაგრამ მაინც ცხადად ელანდებოდა ერთმანეთზე გადაბმული ჯალაბი, უხაქუნებენ თავში, ისმის ღრიალი, წივილ-კივილი... ისევ გაახელა თვალი და რომ მიატანა გზაჯვარედინს, საიდანღაც მოესმა ძახილი, მაგრამ ოდნავაც არ შეუნელებია ნაბიჯი.

— კაცო, შენ გეძახი, გაიორგი!

გაჩერდა და მიიხედა მარჯვნივ. ეზოდან გზისკენ მოდიოდა შაქრო.

— წამო ცოტა ხანს ჩვენსა!

— რა გინდა?

— მაქ რაღაცა პატარა საქმე! — შესძახა, მოვიდა და იდაყვზე მორიდებით გამოსდო ხელი, თანაც გაქაჩა სახლისკენ.

— რა გინდა-მეთქი!

— მოდი ცოტა ხანსა, სტუმრები მყავ! გაიწია წასასვლელად, მაგრამ კვლავ გააჩერა შაქრომ.

— ვინ არიან?

— მამიდაშვილები მამივიდნენ შალაურიდანა... მოდი ცოტა ხანსა!

შეყოყმანდა და გაჰყვა მერე, მისდევს კი, მაგრამ ახლა, ამ გუნებაზე, არც ლუკმა გადაუვა ყელში, არცა — წვეთი. სანამ შეაბიჯუებდა ეზოში, შეჩერდა და მიიხედა უკან.

— მოდი, რაღას გეთანაღრება გული?

პირველი სართულის ღია კარიდან ისმოდა უკვე შეზარხოშებულთა ღრეობა. როგორც კი გადაბიჯა ზღურბლს, მაშინვე ჩაწყდა ხმაური და მოაჩერდნენ ერთბაშად. ბოიხადა ქუდი, თქვა სალამი, ყველას ჩამოართვა ხელი და დაჯდა შეთავაზებულ სკამზე. უმალვე ყოჩაღად დატრიალდნენ მაჩაბნლის ქალაშვილები. დამხვდურთაგან ერთ-ერთმა შეუვსო ჭიქა. მისწვდა და მოსვა ცოტა. ძალიან გემრიელი ეჩვენა და გახედა შუქზე. კამკამებდა საამოდ. კვლავ მოსვა ცოტა. ძველი ღვინო ჯერ კიდევ შემორჩენოდა მასპინძელს. „უნდა დავლიო და ისე დავთვრე, რი მთლად გადამავიწყდეს თავი“, — გაიფიქრა, დაილოცა და გამოცალა სასმისი.

...საზარელ ჩვენებაზე გაახილა თვალი და მოესმა რაღაც ჩქამი. თანდათან გამოერკვა და მიმოიხედა სახელეში. ეს არ იყო მისი სახლი. აქა-იქ საწოლებიდან სხვადასხვა ხმაზე გაისმოდა ხვრინვა. კვლავ აახამხამა თვალები. არა, ეს არ არის მისი ოთახი! ალბათ, დათვრა და აღარ გაუშვეს მასპინძლებმა, დასაძინებლად აქ ამოიყვანა დიასახლისმა. ძლივს გაიხსენა გუშინდელი საღამო, როცა გამოაცლევინეს უშველებელი ყანწი. მერე... აღარაფერი ახსოვს მეტი. ჰოდა, ალბათ, იმან მოუთავა ხელი და... ამოიყვანეს აქ. რას დააკლებდა ერთი ჯაბეგის რქა? რამდენი გამოუცია იმიხთანან! სოფელში თითქმის ყველან დაჰყავდათ თამადად! სვამს ხარავით, უჭრის სიტყვაც და... ისე როგორ მოსწყვეტა კისერი იმ ერთმა? დაფიქრდა და... არა, რის ერთი?.. სამი!.. მანამდისაც ხომ სვა ჭიქებით? თითო ლტრი მაინც ჩავა თითო რქაში! ჰოდა... გაეჯიბრა სტუმრებს. კარგად იყო ორის შემდეგ, მესამემ კი, როგორც ჩანს, დარია ხელი. არც სხვებს დაადგებოდთ კარგი დღე, მაგრამ აღარ ახსოვს არაფერი. ეჰ, ადრე, სანამ აირეოდა ქვეყანა, რა იყო ორი და სამი? რატომ ხუთს არ გამოსცლიდა ხოლმე და დაიბერტყავდა ცერზე? ახლა... ალბათ, შიშის ბრალი იქნება ესეც, თორემ!.. უნაყოფიც იყო მოლად. როცა მიუჯდა სუფრას, ვინ აცალა ყბის მოქნევა? არა, ცოტა კი მოასწრო და მერე!.. ახლა უნდა ადგეს ჩუმად, ისე, რომ არ გაიგოს არავინ, გაიპაროს და მივიდეს შინ. ნახოს ცოლი და საყვარელი შვილები. მაგრამ რაღას დაინახავს ახლა? ამ სიბნელეში ხომ არ დაადგება თავს? მაინც წამოდგა ფრთხილად და ფანჯრიდან შემომკრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალ ვარსკვლავთა მცხრალ შუქზე მოათვალიერა შინაშო. იქვე, თავთით ედგა სკამი, რომლის საზურგეზეც ეფინა... ალბათ, მისი სამოსი. ხელის ფაიფრით შეიცნო ქუდაჯა, მერე — ქუდი... სამოსიდან გამოარჩია კვართი, ჩაიცვა და შეიკრა ღილები. მერე მისწვდა შარვალს... ცოტა ხნის შემდეგ სკამ-ლოგინს შორის ფრთხილად გაიკვლია გზა. როგორღაც ოთახში წყნარად მასლაათობდნენ ქალები. მივიდა კართან, გამოაღო ნელა, ფეხაკრეფით გავიდა აივანზე და ცერებზე აწეული დაეშვა კიბეზე. ეზოში ჩასვლისას ერთბაშად აჩქარა ფეხი. მიდიოდა და ფიქრობდა წუხელ ნახულ სიზმარზე. იხსენებდა დალაგებით. ეიღაც თოფიან კაცებს გაეკავებინათ ორივე ხელი და მიათრევდნენ სადღაც. მიეყვანეს ხაროს პირას, ჰკრეს ქიმუნჯი და დაინთქა უსასრულო შაევში; მერე თითქოს როგორღაც შეეხუთა სული და კიდეც გაახილა თვალი. ნეტა რას უქადის ბედი? როგორ აუცხადდება სიზმარი? ღმერთო, დაიფარე ავისა და ბოროტისგან!

როცა მიუახლოვდა სახლს, ნაგზი ყეფით გამოეგება გზაზე, მაგრამ უმალვე იცნო ჰატრონი და წკმუტუნით გაუგორდა ფეხებთან. მოჩვენებითი სიმკაცრით დატუქსა ძაღლი. შეაღო ეზოს კარი და მოესმა თინათის ხმაც:

— შენა ხარ, გიორგი?

„არ დაწოლილა ჯერა. ნეტა რა დრო იქნება ეხლა?“ — გაიფიქრა და შეეკითხა ცოლს:

— რატომ არ დაიძინებ?

— რა დამაძინებს მარტოსა? სადა ხარ აქამდე?

— შაქრომ მიმაბრუნა ძალად, ეეღარ გაეუტეხე ხათრი.

— ფხიზელი კი ხარ, აი! მოდი, მოდი! — წყნარად ლაპარაკობდა ბინდში შავად ასვეტილი თინათი.

როცა გაუარა გვერდით, ცოლმა უმალვე მკლავზე გამოსდო ხელი და აუწყო ნაბიჯი.

— ნეტა რა დრო იქნება ახლა?

— არ ვიცი... ადრეა ჯერა. ვახშმობა იქნება გადასული.

— მე კი მეგონა... — თქვა და ნელა შეუდგა აივნის კიბეს, ნელაევ აჰყვა თინათიც. ჩუმად შევიდნენ შინ და დიასახლისმა ოთახში აქეთ-იქით დაიწყო ბორიალი.

— რას დაეძებ?

— ასანთსა! სად დავდე, ადარ მახსომს. შენ ხომ არ გიდევს ჯიბეში?

— არა. დავწვეთ ბარემ, ადარ გვინდა შუქი, — თქვა და გაიძრო ქუდაჯა. მერე ჩამოჯდა გაშლილ ლოგინზე და გაიხადა ფეხთაც. გადაწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი, მშვიდობით გათენება შეუთხოვა მამაზეციერს, შეავედრა ცოლშვილიც და დახუჭა თვალები, მაგრამ არა და არ გაეკარა ძილი.

გადაბრუნდა პირქვე და გაახსენდა ღღეევანდელი სტუმრობა. „შალაურელები!.. შაქროსთან გამორიდებიან საფრთხეს. მე ქალაქს უნდა შევაფარო თავი. ავერ, რა კარგად მოქცეულა კოხტა! ჩასულა თბილისში და მეეტლეობით არჩენს თურმე ოჯახს. აი, გათენდეს დილა! დღისით...“ — გაიფიქრა და გადაწვეიტა წამოდგომა. უნებურად მიხედა თინათის. უკვე ხრუტრუნებდა იგი. დაენანა მისი გაღვიძება. „ეჰ, აბა რაღა იქნება ეხლა? დილით!..“ ყური მიუგდო მეეღლეს. „ხრუტუნებს არხეინად! რანაირნი არიან ეს ქალები? ისე სძინავს, ვითომც არაფერიო. ეტყობა, ესენი უფრო ადვილად იტანენ ვაგლახს!“ — გაიფიქრა და წარმოუდგა ის საშინელება, როცა... კინდაზებს უხათქუნებდნენ თავებში. „ოი, ღმერთო, გადაგვიფარე შენი წყალობის კალთა!“ — წაიჩურჩულა კიბ და აჩქამდა ალმასაც. უმალვე წამოსწია თავი, გააფაციცა სმენა. ძალმა ჯერ რაღაცნაირი გაიფთრებით უყეფა ვიღაცას, მერე გაანჩხლდა უფრო. წამოჯდა კანკალით და გაიხედა კარისკენ, ძალუმად უცემდა გული. საფეთქლებთან აწვებოდა სისხლი. მერე იქუხა თოფმა და მიწყდა ალმასას ხმაც. „ვაიმე, მამიკლეს მაგ უღმერთოებმა!“ — გაიფიქრა, ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოვიდა ლოგინიდან, ათახოხებული მუხლებით ძლივს მიბანდალდა კართან, მაგრამ ისევ უკან დაიხია და კიდეც აბარეხუნა ვიღაცამ.

— ვაიმე, ვინ არი? — უმალვე წამოიწია თინათინ.

— ჩუუ, ჩუუ! არავინა! — ჩურჩულით სცადა ცოლის დამშვიდება.

აივანზე ასანთი გაპკრა ვიღაცამ და ფანჯრებიდან შემოკრთა ცვილისფერი შუქი.

— როგორ არა, კაცო! — წამოიძახა თინათინ და ხელების ფაფურით დაიწყო ჩაცმა.

თავადაც მისწვდა შარვალს, გადაიცვა ხალათიც და ის იყო შეიკრა ღილები, რომ დაიძახა ვიღაცამ:

— გაალეთ!

„რომ არ გავფღი, რა იქნება ვითომ? შემოამტვრევენ ძალით? კი! არ დაუშლით ნაბუსი! იქნებ ცუდიც იყოს გაძალიანება?“ — გაიფიქრა და კვლავ მოისმა უფრო მკაცრად:

— გაალეთ!

ფეხსაცმლების ფრატუნით მილასლასდა კართან, გამოსწია საკეტი, გამოაღო და გადვა განზე. რამდენიმე კაცი იდგა აივანზე. ვიღაცის თითებში ამ დროს ჩაიწვა ასანთის ღერი და უცნობები ახლა შავად გამოჩნდნენ ცის ტატნობზე.

— ეანთეთ ლამფა! — ბრძანა ერთმა.

— ვაიმეეე!.. — მისუსტებულის ხმით აღმოხდა თინათინ.

ერთმა კვლავ გაპკრა ასანთი, შემოვიდა შინ და პაწია ალის პარპალის მიხედვით აცახცახდნენ იატაკზე დაფენილი ჩრდილები. მერე მანვე ანთო ლამპარი.

მის შუქზე მოათვალიერა მომხვდურნი — უფერულნი, ბლავნი, უბარნი... „გაგვიყვანენ და ჩვენც კონდახებით დგვიხეთქავენ თავებსა?“ შაშხანები შეუთვალიერა უცნობებს. რადაცნაირად გააცივა დარკინული დუგლუგების დანახვაზე. „უნდა ვიყვირო, იქნებ გამოგვვსარჩლოს ხალხი, მაგრამ... ვის გავაგონებ ეხლა? გულის ძილში იქნება ყველა! მოშორებით მაინც არ ვიყო სოფლიდან!“

— აქეე შამაყვანეთ ისენიცა — დაუძახა ერთმა გარეთ მყოფთ.

აივანზე მყისვე აჩქამდნენ ნალებით დაჭედილი ჩექმები.

„ეტყობა, ვიღაც ახლავთ აქაური, თორემ... ვითომ გაიძახოდნენ სადალაქაში, მივეშველებით და არავის მიეკემთ ნებასი? ეჰ, ერთი ეშმაკი მაინც გამოერევა ათას ანგელოზში! ნეტავი ადრე იყოს ჯერი, ელვაძოს ხალხსა! ვაიმე, რატო არ ჩამაინგრევი, ცაო!“ დამბაჩიანმა ახმახმა ცოლ-ქმარი ერთად მიაყენა კედელთან. მერე თოკით ჩაუბოჭეს ხელები და მიასაბლეს თინათის. უნდოდა ეთქვა მომხვდურთათვის, რომ უბრალოა მოლად, რომ არავითარი ცოდვა არ მიუძღვის არავისთან, მაგრამ ვედარ მოახერხა ახრის მოკრება. თუმცა ტყუილად რასმე ეტყვის ამ უსისხლხორცოებს, განა ცოტას ცოდვა აწევთ კისერზე?

შემოიყვანეს შილიფად გადაცმული და-ძმანიც. იცრემლებოდნენ გოგოები, კერპებს მიმსგავსებოდნენ ბიჭები. ოთარიდან ვოდერძიზე გადაიტანა მზერა. რადაცნაირად გაქვავებოდა სახე. ამიტომ თუ იყო, რიდით რომ აუარა გვერდი მან, რომელმაც გოგოები მიათოკა თინათის და მივიდა ოთართან. არც მას გაუწევია წინააღმდეგობა. წელთან თავისით გადაიკვარდინა მაჯები და უცნობმაც მაშინვე გადაახვია თოკი. გაუკრა ხელები და მერე ისევ რადაცნაირი რიდით მიაჩერდა ვოდერძის. არ უნდოდა ყურება, როგორ ჩაუბოჭავდა მასაც და დახუჭა თვალები, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო და გაიხედა ისევ. უცნობს უკვე მოეთავეებინა თავისი საქმე. გააქნია თავი, კბილებს შორის მოიქცია ტუჩები და მიხედა დამბაჩიანს, რომელსაც ეტყობოდა უფროსობა. მან ერთხანს უყურა გოგოებს და მერე ისევ ვოდერძის მიაშტერდა მონუსხულივით.

— ვაიმეეე! — ხმამაღლა აღმოხდა უმცროს გოგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩუუ, შვილო, ჩუუ! — დაწყნარა იგი დედამ.

— რა გატირებს? — დამცინავი ღიმილით შეეკითხა დამბაჩიანი, — განა შორს სადმე წაგიყვანთ? აგერ აქვე, ახლოს!..

„თოფის კონდახებით თუ ჩაგვხოცავენ ჩვენაც! ვიიმეე... რა ცოდვა მიმიძღოდა შენთანა, ღმერთო?" — გაიფიქრა და ერთმანეთზე გადაბმულები გაიყვანეს გარეთ.

აიეანზე კიდევ იდგნენ ვიღაცები.

ნელა ჩაატარეს კიბეზე, ჩაიყვანეს ეზოში და, როცა გავიდნენ გზაზე, გაიფრთხილა ერთმა:

— ჩუმად იარეთ, თორემ!..

მილასლასებდნენ ერთიმეორის მიყოლებით. ძმიმე და ძნელი იყო თვითეული ნაბიჯი. გავიდნენ მინდორში და ნელაად მიმავლებს წინ გადაუდგა ერთი, ზემოთკენ ანიშნა სვლა. აუზვიეს და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა სასაფლაო და ეკლესია. აღმართზე კიდევ უფრო გაუსწელდა სიარული. გადაწყვეტა დღრიალება. დაე, გაიღვიძოს ხალხმა! ფეხზე დადგეს მთელი სოფელი! იქნებ გამოუსწნდნენ მოსარჩლენი? როგორ იქნება ისე, ერთმა ვინმემ არ გამოიდოს თავი? საკეთის მეტი რა მოუძღვის აქაურებთან? დაიპარა კი ხმის გაღება, მაგრამ დაეთაკ�ა სიმხდალე. უფრო დაწოკდებოდნენ გოგოები, მათ აჰყვებოდა დედაც. ბიჭები კი... რაღაცნაირად შეეხთრა მათი. კრიჭადავმანულმა გახედა სიბნელეს. აი, სასაფლაოს! ჩაუარეს ჯვრებდასმულ ბორცვაკებს, აქა-იქ დაწყობილ საფლავის ქვებს და ერთ-ერთი დაწინაურდა ისევ, გაუძღვა ეკლესიისკენ და, მიჰყევით მაგასო, უკანიდან ჩაუფუზუნა რომელიღაცამ.

გაადეს კარი და შეუშვეს სიბნელეში. აქ თუ დგაეზოცავენ, გაიფიქრა და წარმოუდგა დარკინული კონდახები, მაგრამ, როცა ყველანი ისევე გავიდნენ გარეთ, ცოტაოი რაღაცნაირად მოეშვა გულზე.

კვლავ მიუკეტეს კარი და მოესმა გასაღების ჩხაკუნი. „ნეტამც გამეღვიძებინა ცოლ-შვილი და გავრიდებოდით სადმე. მაგრამ ვის მივდგომოდით ეს ამდენი ხალხი? რომ არავინა გვყავს ქალაქში, მაინც უნდა გაგვესწრო ამ ძალღებისთვის! აი, როგორ დაგვღუპა ჩემმა დაუდეგრობამ! ჩემი ბრალია სულ! ვერ გავიმეტე თინათი გასაღვიძებლად და..." დაძაბა სმენა. ჩამიჩუმიც არ ისმოდა არსაიდან. მერე რაღაცნაირი მოლუნგი იგრძნო მუხლებში. უძლურად მიდგა უკან და, რომ არ ჩაქცეულიყო ერთბაშად, ჩაიდრიკა ნელ-ნელა, ზურგი ჩააქედლა კედელს და ზედვე მიყრდნობილი დაჯდა ფეხებით. ცოტა ხნის შემდეგ ასევე მიუჯდა თინათიც. ბოლოს ერთმანეთს მიყოლებით ჩამოსხდნენ და-ძმანიც. კიდევ უფრო მოხერხებულად მიეყრდნო ფეხებთან მითოკილ ხელებს და გაირინდა ფიქრში. „რატომ შემოვიყვანეს აქა? ვითომ ითათბირებენ და მოგვისჯიან დახვრეტას? თუ ჩვენც კონდახების ცემით დაგვიხეთქავენ თავებსა? ნეტამც გამოჩნდებოდეს ვინმე ისეთი, რომ გააშვებინოს ჩვენი თავი! ოჰ, ღმერთო!.."

დიდხანს იფიქრა და გვიანმა მოერია თვლემა.

...გაავებული ქარის ღმუილზე გამოერკვა ბუნანიდან. სტკიოდა მოკეცილი მუხლები, ერთურთზე მიბოჭილი ხელები, წელი... გაიხედა პირდაპირ. შაქზე შემდგარი მიღეული მთვარე იცქირებოდა მინებჩალეწილი ფანჯრიდან. მისი სინათლით გაცრეცილ ბინდში მოათვალიერა შინამო. სადღა იყო ვერცხლით შეჭედილი ხატები, მოოქროვილი შანდლები, სურათები... ამ წმინდა სავანესაც შეხებოდა ბოროს მსახვრალი ხელი. მიიხედა ცოლ-შვილისკენაც. ნეტავ ეძინათ მთაც, თუ მინებებოდნენ მწარე ფიქრებს? არ გაუღია ხმა, რომ მათთვის ნაადრევად არ წაეგვარნა ძილი. ბუნდოვნად მოჩანდნენ მთვარის შუქისგან ამღვრეულ ბინდში, გარეთ კი გაავებით ღმუოდა ქარი, გლოვის ზარად ჩამოლურლურებდა გუმბათის სანათურებიდან და შემოჰქონდა შემოდგომის ცივი წვიმის უამური სუნი. „გამოიძინებენ ვილაცასთან... ამ დილით კი გადაწყვეტენ ჩვენს... იქნებ ითათბირეს წუხელ და დადგინეს

ჩვენი გაშვება? დილით რომ ამოვიდეს ვიღაც და წადით, თავისუფლები ხართო... ხომ გადავირიე ამის გაგონებაზე? ღმერთო!.. რატომა მგონია ასე? იქნებ რაიონიდან ამოვიდა ვიღაც და აუწყა სტალინის ბრძანება — შეწყვიტეთო ხვრეტა? სტალინი დაურეკავდა ორჯონიკიძეს და ისიც აფრენდა დეპეშას: კმარა ამდენი ხალხის მსხვერპლი, გაათავისუფლეთო ყველი. როგორ ვიღრიალებდი სიხარულისგან! თქვენ გენაცვალათ მამა, შვილებო, თქვენა! ოღონდ თქვენ გადამირჩით ცოცხლები და მე თუ გინდა!..“

ფიქრობს და... ალარ იცის, რა ქნას. რამდენჯერმე სცადა წამოდგომა, მაგრამ ველარ აიყოლა წელი. დახუთულობისგან უბაუთს მუხლები. იქნებ როგორმე მოახერხოს წამოწევა? მაგრამ არ უნდა ოოკის განძრევით ძილი წაჰგვაროს ცოლ-შვილს. ღმუის ქარი და ფანჯრებიდან შემოაქვს შემოდგომის ნესტიანი სიცივე. ბაბანებს მთელი ტანით, მაგრამ რა სახსენებელია სიცივე, როცა... სადაცაა მოაკაკუნებს მახარობელი? „ნეტა სძინავთ, თუ ისე არიან წატრუნულნი?“ — გაიფიქრა და ოდნავ წაჰკრა მხარი ცოლს. მეისე ეძრახდა თინათი.

— ამ დილით მოვა კაცი, გაგვიღებს კარს და გავვიშვებს შინა! სიზმარი ვნახე ეგეთი!

გაინძრნენ შვილებიც. გამოიხედეს ზმორებითა და ტუჩების ტკაპატკუპით.

— მამა, მართლ? — შეეკითხა გახარებული დარეკანი.

— მართლა, შვილო, მაშ! სიზმარში ვითომ მოვიდა ერთი თეთრწვერა ბერიკაცი და გაგვიღო კარი! — ჩაილაპარაკა და მიაჩერდა მეუღლეს.

— იჰ, საწყალო, შენა!

— მართლა ვეუბნები, ჰოო! რატომ არა გჯერა? მე პირდაპირ მიცხადდება სიზმარი, — ლაპარაკისას ათვალიერებდა შვილებსაც. აბა ერთი, როგორ გავლენას მოახდენდა მათზე, რაღაცით გამომაღვიძებდნენ თუ არა გამზნევებას, მაგრამ როგორღაც დაეჭვებით მოაჩერდნენ ისინიც.

— დედიკო, იქნებ მართალი ვამოდგეს მამა? — იკითხა უმცროსმა ეოგომ.

ხმა არ გაუღია თინათის და თვითონაც თანდათან გადაეწურა იმედი.

— ღმერთო!.. — წამოიძახა დარეკანმა.

ცოლის უიმედობის გამო თვითონაც ისევ გაითანგა შიშით. შეიძლება ველარ არის სრულ ჭკუაზე? ქალები ხომ... უფრო გამძლენი არიან სიმძიმილისა? აბა ერთი, კარგად ჩაუკვირდეს თავის ნაოქვამს? სცდება მართლა? დაფიქრდა და გაიმტყუნა თავი. რა გადაარჩენს მელის პირში ჩავარდნილ კრავს? მას აქეთ, რაც ქაქუცა გაშორდა აქაურობას, დაერივნენ მის მოგვარეებსა და ნათესავებს... მარტო მათ კი არა, ყველას!.. ქაქუცას რომ არ... რომ გასცლოდა შვიდობიანად, იქნებ ასე ალარ დაცოფებულიყვნენ თავადებზე? ქაქუცასი თუ სჭირთ ჯავრი, რა დაუშავეს სხვებმა? სად ის, სად... მართლაც რომ ძოხდეს სასწაული!.. ვიღაც კეთილმა აფრინოს დეპეშა — დაუფოვნებლივ შეწყვიტეთო ხვრეტა! უჰ!.. რატომა ჭგონია ასე? განა ცოტანი გაანადგურეს ტყუილ-უბრალოდ? მაინც კარგია, რომ გამხნევდა ამ ცრუ... ვინ იცის, იქნებ გაუმართლდეს გუშანი? როგორც უნდა დაძაბუნებულ მდგომარეობაში ჩავარდეს კაცი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ასულდგმულებდეს იმედის რაღაც ნატამალი. შიში ხომ... სულ ერთია, მაინც ვერ იხსნის სიკვდილისაგან, მტერნი არ შეიბრალებენ ვაებითა და ვიშით, ცუდია დაღრეჯილობა! რაღაცნაირი ჩრდილი მოეფინა იქაურობას და გაიხედა ფანჯრებისკენ. მთვარეს აჰფარებოდა ღრუბელი და დაერწყლია მისი ცვილისფერი შუქი, მაგრამ მტრედისფერი მაინც იდგა საყდარში. იქნებ ახლოვდებოდა განთიადი?

რაღაც ჩქამი წამოსცდა თინათის.

გამოერკვა ფიქრებიდან და უმალვე მიხედა ცოლს.

გაუგებრად რაღაცას ბუტბუტებდა იგი. „ვინ იცის, იქნებ ეევდრება ღმერთს? იჰ, ღმერთსაო, სად არის ღმერთი? თუკი სადმეა მართლა, რადღაა ეს ამდენი უსა-

მართლობა? რატომღა იღვრება უდანაშაულოთა სისხლი?" — გაიფიქრა, გააფაცცა სმენა და მოეცმა ფეხის ხმა. მაშინვე კარს მიაცვდა თვალებით. ძალუმად უფეთქავდა გული. თითქოს ვიღაც ჩაქუს ურტყამდა საფეთქლებთან. სულ ახლოს მიწყდა ფეხის ხმა, მერე აჩქამდა გასალები, გაიღო კარი, შემოუბერა ქარმა და, თითქოს ტირის ვიღაცო, მქისედ გაიღმუვლა მინებჩალეწილ ფანჯრებში. უფრო გამძაფრდა წვიმის სუნი. შემოვიდნენ სამნი და მკაცრად ბრძანა ერთმა:

— ადექით!

პირქუში გამომეტყველების კაცმა, რომელსაც წუხელვე ეტყობოდა უფროსობა, ქამარზე ჩამოკიდებული ტყავის სადამპაჩედან ამოიღო იარაღი და იყვირა ჩახლეჩილი ხმით:

— ადექით-მეთქი!

შეხედა სხვებსაც, რომელთაც უკვე მოეძარჯვებინათ თოფები და თვითონ წამოიწია პირველად. ძლიერ გაიმართა მუხლებსა და წელში. ნელ-ნელა წამოდგნენ დანარჩენებიც. მარიამმა წამოიტირა მარტო. ასლუკუნდა დარეჯანიც, ენაჩავარდნილებივით დუმდნენ ბიჭები.

— წყნარად გადით გარეთ!

— მომყევით! — ხმის კანკალით მიმართა ჯალაბს, გაიწია ალი, რაკი შორს აღარ გაუშვა თოკმა, შეჩერდა ისევ.

ბიჭები წამოვიდნენ ჯერ, მერე გამოჰყვნენ გოგოებიც. სულ ბოლოს გამორაცრაცდა თინათი. გავიდნენ გარეთ და თითქოს უფრო წამოუშინა თქორმა. გაავებით ღმუოდა ქარი... კვლავ შეხედა ჯალათების თოფებს და ახლაც რაღაცნაირად შეკრთა კინდაზების დანახვაზე. გაიხედა სოფლისკენაც. გარკვევით არაფერი ჩანდა ადრიანი დილის მწუხარე ბინდში. დაბლა ჩამოწეულ ღრუბლებქვეშ დამდოვრებულ ბურუსს რაღაცნაირად მოაორთქლებდა დაჭრილი ნადირივით აღმუვლებული ქარი. „ნეტამც ელვიძის ხალხს! ვიყვირო? იქნებ გამომეხმაუროს ვიღაც? ეჰ, არა! როგორღაც მრცხვენია ცოლ-შვილისა!"

მიაბიჯებდა და აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდა ახლა. უნდა შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ რამდენიმე წუთში... არა, წუთში კი არა, რამდენიმე წამში... გაიხედა წინ და მოთვალიერა ყველაფერი, რაც კი რამ ჩანდა იმ ჯალხსა და ავდარში. ახლა ველარ იხსნდა ველარავითარი ძალა. რაღაცნაირად მინებდა ბედს.

მალე წამოეწია დამბაჩიანი და ხელისკენ გაუღო ხელი. „რაც იქნება-იქნება, ჩაგეხოცეთ, ამოგიწყდათ ოჯახები თქვენა! არ გაიხარეთ ჩვენის ცოდვით! ძალლებო!" — გაიფიქრა და გადაწყვიტა მიბრუნებოდა მკელელებს, მიეყო პირი და გამოელანძღა სულ უკანასკნელი სიტყვებით. იქნებ ასე მაინც ამოეყარა ჯავრი და მოეოხებინა გული? მაგრამ... რა ეშველებოდა ამით? თავის თავზე მოუვდა ბრაზი. მოუვდა იმის გამო, რომ ეშინია ამ ლაჩრებისა! თუმცა არა, უკვე აღარ ეშინია ახლა! თითქოს გაუსალკლდევდა გული.

მიიყვანეს ბექას პირას ახლად გათხრილ ორმოსთან. მოშორებით გამწკრივდნენ უცნობები, მოიმარჯვეს თოფები და მოუღიერეს ლულები. შეხედა მათ, მერე მიუბრუნდა უფროსს და ქარის ღრიალში გაიღო ხმა:

— შეიძლება ერთი თხოვნა? მე მესროლეთ ჯერა, ნუ მაყურებინებთ ამათ სატოდაობას!

თითქოს ვერ გაიგონა დამბაჩიანმა. როგორც წუხელ, ახლაც დაჟინებით მიაცქერდა გოდერძის. მერე კვლავ უხმოდ მოათვალიერა განწირულნი და ბოლოს ისევ გოდერძის მიაბჯინა ცივი მზერა. უყურა ერთხანს, მიუბრუნდა უძრავად მდგარ თოფიანებს, მდუმარედ რომ ელოდნენ ბრძანებას და უთხრა ერთს:

— მიდი, აგერ იმ განაპირა ბიჭს ჩაუხსენი ხელები!

„იქნებ გადმომხედოს ღმერთმა?" — გაიფიქრა და მიაცქერდა გოდერძის. მას ისე ეჭირა თავი, თითქოს სრულებით არ ეპუებოდა მდგომარეობას.

შეყოყმანდა წამით, მერე ჯვერდით მდგომს გადასცა შაშხანა, მიირბინა გოდერძისთან და სწრაფად გაუხსნა თოკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოდი შენ აქეთა, თავისუფალი ხარ! — შესძახა დამბაჩიანმა.

გოდერძი არ იცვლიდა ფეხს.

— გამოდი-მეთქი აქეთა, ძალიან ლამაზი ბიჭი ხარ, არ მომეტები მოსაკლავად!..

„ღმერთო, გადამირჩინე ეს მაინცა, რო ამრავლოს ჩვენი ჯიშ-ჯილაგი!“

გოდერძიმ უხალისოდ როგორღაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ გაჩერდა და მიიხედა უკან.

— გოდერძი, წადი, შვილი, წადი! — მთრთოლვარე ხმით შესძახა დედამ.

იგი ჯიუტად დაბრუნდა უკან და გაჩერდა იმავე ადგილას.

— წადი, შვილო, წადი, ვენაცვალოს დედა! წადი, წადი, წადიიი!.. — ახლა კი შეჭღრიალა თინათიმ.

— აბა, რას ეუბნები? სად წავიდე? მე წავიდე და თქვენ!.. არსადაც არ წავალ! თქვენთან უნდა მოვკვდე მეც!

— გოდერძი, გაუგონე დედასა, ბიჭო! — შესძახა თავადაც.

— ararra!..

— წადი, ვენაცვალოს დედა, შვილო, წადი, წადი, წადიიი! — ღრიალებდა ცრემლებით სახეჩამობალული თინათი.

— არა-მეთქი!

— მე მაინც გამიგონე, გოდერძი! გეხვეწები, კაცო!..

— ararra!.. — ისევ მრისხანედ წამოიძახა მან.

— ოჰ, შე მამაძაღლო, შენ! წადი, ბიჭო, წადი!

— დამანებეთ თავი!

— ვაიმე! — აღმოხდა უკვე ცრემლგამშრალ დედას და მიხედა უმცროსს: — შენ მაინც გადი, შვილო! აი, ეს გაუშვიო, ესა! — მიუბრუნდა იგი დამბაჩიანს.

— ეგ არა! აგერ, უფროსი! არ უნდა? მაშ, იდგეს მანდა!

— შენი ჭირიმე, გოდერძი, აგრემც გენაცვლება დედა, შვილო, წადი, წადი, წადიიი!

— დედი, დამანებე თავი! არა-მეთქი! მორჩა!

— აი, გოგოები მაინც გაუშვიან, გოგოები!.. ცოლებად შეერთეთ, ცოლებააად!..

— ესროლეთ! — ბრძანა დამბაჩიანმა.

— დაიცათ! აი, გოგოები, გოგოები!.. ცოლებად შეერთეთ, ცოლებააად!..

— ესროლეთ! — კვლავ ბრძანა დამბაჩიანმა.

გაისმა სროლის ხმა და უმალვე წელში მოიხარა სიმწრისგან სახედამეჭილი გოდერძი. ბეჭებში გავარდნილმა ტყვიამ გააშხეფა სისხლი და ბეჭს შეანარცხა ხერხემლის ძელის ნამსხვრევები. გოდერძი ერთბაზს უმალიანდებოდა სიკვდილს, დაღუნული მკერდზე იჭერდა ხელს, მაგრამ ნატყვიარიდან თითებს შორის მაინც ჩამოსდიოდა სისხლი და ტბორდებოდა მის ფეხებთან. ძლივს იდგა ასე, მერე ჩაიქცა უცბად და ხროტინით განუტეცა სული.

— მკვლელებო! — რისხვით შეჰღრიალა ქალმა გოგოებს ამაზრზენ წვიალ-კაკვილში, მაგრამ ახლა უკვე დატყვრა ზედიზედ, ერთბაშად ჩაწყდა აბოჟირებულთა ხმები და დაცვივდნენ ბარტყაბურტყით. თვითონვა დარჩა ზეზე. დასცქეროდა შეილების უსულო გვამებს... მერე თინათიზე შეაჩერა მზერა. ზურგთან ჩაკრულ ხელებზე თოკით გამობმული მისი გვამი გაფარახლდა უსუსურად. მერე მთლად ათახთახებულმა შეხედა ჯალათებს.

უფროსი აგვიანებდა ბრძანებას.

— მეს... როლეთ! — შეჰკივრა და გაიწია მათკენ, მაგრამ მხოლოდ ცოტაზე შეძლო მაჯებზე თოკით გამობმული თინათის გათრევა. მერე სახეშეშლილი მაშტერდა მთავარ დამნაშავეს.

როგორღაც, გაქვავებულივით იდგა იგი. — მეს... როლეეეეთ!..

ცოტა ხანს დუმდნენ კიდევ. მერე რომელიღაცამ ესროლა და კეფაში გავარდნილმა ტყვიამ გადააქცია ცოლის გვამზე. ქარი კი ღმუოდა და ჯერ კიდევ თბილ გვამებს გაბმით აცრიდა ვეიანი შემოდგომის ცივი წვიმის წვრილ წვეთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ნავროზაშვილი

ლექსები

●

იმ უკანასკნელ შენთან შეხვედრის
შემდეგ კვლავ ვცოცხლობ მარტო,
ჰაოლი,
რადგან დაკარგულ კარებს ედემის
ახლა სიზმრებშიც ვერა ეპოულობ.

თუ დამრჩა რამე? —
მსხვილ გისოსებით
საკნის სარკმელი — სულის სიმძიმე,
საიდანაც ჩანს ცის ვაწრო ზოლი
და ზოლზე — მცირე
ერთი ვარსკვლავი შუქმოცემცემე...

სიკვდილ-ბისჯილთა საკანში

ბნელ სამარეზე უფრო ღრმაა ჩემი
საკანი,
დაღამებას თუ გათენებას ვეღარ
ვგებულობ...

ჩემი ცხოვრების დასასრული
ნუთუ აქ არი?
ეაგლახ, სიცოცხლევ,
თვალდახელშუა დამთავრებულო!

1937 წ.

ფერილი უდაბნოლან

ისევ გწერ წერილს
ამ მიმწუხრის ჟამს მოწკენილი,
როცა ფიქრებმა აუტანელ სევდით
შემმოსეს.

ნუთუ აქამდე ვერ მიიღე ჩემი წერილი
და არაფერს მწერ სანუგეშოს
საქართველოზე?!

1939 წ.

●

ამ მიწას,
ამ ჩემს მშობლიურ მხარეს,
მის სულ პატარა კუთხეს მივარდნილს,

რომელსაც გული მე მივაბარე,
ჰკითხე და გეტყვის,
რარიგ მიყვარდი.

ლოდი

ვ. მერაბიშვილს

გადნა ყინული
და სიმწვანეც სიმღერით მოდის, —
ამოანათა, ამოწვერა შუქმა ენძელის...
გადაცალე ბარემ ხავსიც,
გამოჩნდეს ლოდი!
იქნებ ის არის,
ვის საფლავსაც დიდხანს ვეძებდით.

ხომ ხედავ, წელთა მდუმარების
არავის სჯერა
და ვეღარც ქარი ნანგრევების
ვერ ხსნის ქარაგმებს.
შენდა წარსულის სიდიადის აღმოსაჩენად
იქნებ ეს ლოდი
ახლა მაინც ალაპარაკდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატო მინდაძე

ნოველები

ჰარმონია

იქ სინათლე იყო. თბილი სინათლე. მეტი არაფერი. მხოლოდ სინათლე იყო. არ მეფობდა იქაური სინათლე. არც უშიშარი იყო. არც ამაყი. უბრალოდ, სინათლე იყო, თბილი, თბილი სინათლე.

— ნახე, როგორი წვრილი მაჯები მაქვს. შეხედე, მზეს ვეუბნები: შენ ჩამოდი და მე ამოვალ, — არ ჩამოდის. არ ჩამოდის კი არა, ხმა ვერ მივაწვდინე. ხმამ იცი, რა სუსტი ხმა მაქვს.

იქ წვიმდა, კოკისპირულად კი არა, უბრალოდ წვიმდა. ჩვეულებრივად წვიმდა. მუდმივად წვიმდა. სხვა არაფერი იყო. მხოლოდ წვიმა იყო. ჩვეულებრივი წვიმა. არ მეფობდა იქაური წვიმა.

— უნდა გაყყიდო სამაჯური. ცუდად დავცადე. საერთოდ არ მიყვარს ძველებური ნივთები. თან ფულიც მჭირდება. სადმე უნდა წავიდე. სულ ერთია, სად. ამ ბოლო დროს მოგზაურობა მინდა დავიწყო. მე ხომ სულ შინ ვზიავარ. გარეთაც იშვიათად გავდივარ. ასე მინდოდა და იმიტომ. ახლა კი მომბეზრდა შინ ჯდომა. უნდა წავიდე; სადაც ჩავალ, იქამდე ვიქნები იქ, სანამ იქაურ ენას შევისწავლი. მერე წამოვალ. მერე ისევ წავალ. ერთი სიტყვით, ასე მაქვს გადაწყვეტილი. რას იტყვი?

იქ ყვითლად თოვდა. ბაცი, ყვითელი თოვლი მოდიოდა. მუდმივად თოვდა და არსად არც ერთი თოვლის ფანტელი არ ეცემოდა.

პირველი და აუცილებელი მოთხოვნა არის სისხლის ჩაბარება. დონორობა საპატიოა. დონორობაზე საპატიო არაფერია დედამიწაზე. ყველამ უნდა ჩაბაროთ სისხლი ნებაყოფლობით. აუცილებელია ეს. რა თქმა უნდა, თქვენი სურვილისდამიხედვით! და კიდევ ერთი — არ დავინახო ყვავილები. ინფექციაა ყვავილები, სხვა არაფერი.

იქ ოქროსფერი გვირილები იყო. უფესვო ოქროსფერი გვირილები. არ ბზინავდნენ. ისე, უბრალოდ, ოქროსფერი გვირილები იყო. არც ჭკნებოდნენ.

— საიდან მოგაქვს ამდენი ნაგავი, ვერ გამიგია. შვილო.

— გუშინ, ღამით ერთი მოხუცი კაცი მოვიდა და დედაშენს უთხარი, „ვერ გამიგია შვილოს“ ნუ ამბობსო.

— რატომ? მოიცა, ვინ კაცი?

— იმიტომ, რომ ადამიანი დაგიძახოსო. შენ არავის შვილი არა ხარო. და კიდევ, „შვილიო“ და „ვერაო“ ცუდი ნიშანიაო. ასე უთხარიო.

— მოდი, შვილო, სიცხე გაგიზომო. ვერა და ვერ მოიცალა ამ ბავშვმა გრიპი. ადგება, შეუბრუნებს. ადგება, შეუბრუნებს. აღარ შემიძლია.

იქ ოქროს ვერძი იყო. იყო და იყო თავისთვის. არც არავის ელოდა. იქ სიმშვიდე და ოქროს ვერძი იყო. სხვა არაფერი.

— გაიგე, ოთხთვალა ბავშვი რომ დაბადებულა? მთელი ქალაქი ყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ცისფერ უსინათლოთა გუნდი გაღიღბდა. სულ ასე იყო. მხოლოდ ვალობა იყო, სხვა არაფერი, სულ არაფერი.

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი და მე ამოვალ. შენ ჩამოდი და მე ამოვალ, შენ ჩამოდი და მე ამოვალ. მზეს ვეუბნები, მზეს. მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი და მე ამოვალ. ნახე. შეხედე ჩემს მაჯებს; შეხედე, საცოდაობა არ არის, რომ არც ერთი სამაჯური არა მაქვს? ამ მაჯების პატრონი აქ უნდა ვიყო? აქ უნდა ვცხოვრობდე? მზეს ვეუბნები, მზეს, შენ ჩამოდი და მე ამოვალ; შენ ჩამოდი და მე ამოვალ.

იქ ცისფერი იები იყო. ლურჯი კი არა, ცისფერი. ნაწამები ცისფერი იები. უფეხო ცისფერი იები, — არ ჭვენბოდნენ.

— დაუჭერიათ და მალავენ. მგონი, ეიღაც დაუჭრია. ნარკოტიკებით ყოფილა გაბრუებული. მოუხდებათ. არა, განა არ მეცოდებიან. ღმერთო ჩემო... — მაგრამ, რომ გამახსენდება... გახსოვს, რა ქნეს მაშინ? მე ვარ, უბრალოდ, ახეთი კეთილშობილი, რა ვქნა. ვერ შევიცვლები. მაინც მეცოდებიან. ისე კი მოუხდებათ.

იქ პატარა, ვარდისფერი, ოფლის წვეთებით დაწინწკლული ბურთები იყო. სხვა არაფერი. მხოლოდ პატარა ვარდისფერი ბურთულები იყო. არ გორავდნენ. ისე იყვნენ მიმოფანტულნი. ვარდისფერი ოფლის წვეთებით დაწინწკლული ბურთულები. სხვა არაფერი იყო, სულ არაფერი.

— გამოხტებიან ღამით პატარ-პატარა ეშმაკუნები. არ მაძინებენ. ხან აქედან. ხან აქედან. გული მაწუხს. მთელ ღამეებს ვათენებ. გულით მინდა, ყურადღება არ მივაქციო. წიგნის კითხვას ვიწყებ. კითხვის დროს მშორდებიან, იცი... დავხუროვ თუ არა წიგნს, მაშინვე გამოხტებიან. ადარ შემიძლია. დავლევ დასაძინებელს, ჩამეძინება, მაგრამ ძილშიც ვერძნობ, როგორ დახტიან ჩემს ოთახში. ყველგან ძვრებიან. ჩემს ბეჭდებშიც ძვრებიან. თავს გაძვრებ ეყოფენ და ისე. რა უნდათ! რას ჩამაცივდნენ! მაშველი რამე. გული მიწუხს. ნეტავ გგონია, დღისით არ დახტიან? დღისითაც დახტიან. მაგრამ დღისით ისე არ ვწუხდები. ღამით მეტად მაწუხებენ, ღამით გული მიწუხს, გული. მაშველი რამე, მაშველე.

იქ მხოლოდ ჩრდილები იყო. ნაძვის ხის ჩრდილები. მწვანე ჩრდილები. სხვა არაფერი. სულ არაფერი. უმოძრაო, გაყინული ნაძვის ხის ჩრდილები.

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი.

მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი. მზეს ვეუბნები, მზეს, გესმის?

გესმის, მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი-მეთქი, შენ ჩამოდი-მეთქი.

იქ მზე არ იყო.

თბილი ნინათლე, წვიმა. ბაცი ყვითელი თოვლი და არსად — არც ერთი თოვლის ფანტელი. უფეხო ოქროსფერი გვირილები და ცისფერ უსინათლოთა გუნდი. ცისფერი იები, ნაწამები ცისფერი იები და პატარა, ვარდისფერი ოფლის წვეთებით დაწინწკლული ბურთები, უმოძრაო, გაყინული მწვანე ნაძვის ხის ჩრდილები. სხვა არაფერი. სულ არაფერი. თუმცა, ნიმშვიდეში — ოქროს ვერძი.

— ვინდა, სკოლაში ფეხბურთელები დავპატიჟოთ? შეხედენ მოვუწყოთ? საღამოს მე წავიყვან. შენ დაუკარი და იმღერე. ვინდა? ფიზკულტურას მასწავლებელს ვთხოვოთ და მოგვეხმარება. დირექტორთანაც არ დგებაზეღებს. შეეკერათ ნორმალური ხალხი. რა მოხდება. თუ ვინდა, ერთი-ორი კალათბურთელიც დავპატიჟოთ, ვინდა?

იქ ბინდი იყო, მხოლოდ ბინდი, სხვა არაფერი, სულ არაფერი. მხოლოდ ბინდი იყო.

— მზეს ვეუბნები, მზეს, შენ ჩამოდი, შენ ჩამოდი და მე ამოვალ, შენ ჩამოდი და მე ამოვალ. შენ ჩამოდი და მე ამოვალ. შენ ჩამოდი და მე ამოვალ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გესმის, შენ ჩამოდი-მეთქი. ასე ვეუბნები მზეს, მზეს.

იქ მზე არ იყო, არა.

მზეს ვეუბნები, მზეს, შენ ჩამოდი და მე ამოვალ. შენ ჩამოდი და მე ამოვალ. მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი-თქო, შენ ჩამოდი-თქო, მე, მე, მე ვეუბნები.

იქ უთვალო, უყურო, უგული, ცოცხალი არსება იყო. ხელებს და ფეხებს აქეთ-იქით იქნევდა. ვისაც მისი ხელი ან ფეხი შემთხვევით მოხვდებოდა, ამავე წამს ქრებოდა. სხვა არაფერი იყო იქ. სულ არაფერი.

— „ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე“...

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, მე ამოვალ, შენ ჩამოდი, მე ამოვალ. შენ ჩამოდი, მე ამოვალ. მე ვეუბნები, მე, მე მზეს ვეუბნები, მზეს, გესმის, მე, მე ვეუბნები.

იქ დიდი სურათი იყო. სურათზე — ზღვის ტალღები. სურათს ფეხები ჰქონდა და ისე დადიოდა უჰაერო სივრცეში. სურათის გარდა, იქ სხვა არაფერი იყო, სულ არაფერი.

— დამიმატე ცოტა, სულ ცოტა დამიმატე. რა მოხდება. მშია. არ გესმის? ადამიანი არა ხარ? სულ ცოტა დამიმატე. მშია. მშია, არ გესმის? ხვალ შიშველი უნდა გამოვიცხადო. დამიმატე ხვალინდელი დღის. რა მოხდება, რა.

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი. მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი. მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, შენ ჩამოდი, მე ამოვალ. მე ამოვალ, მე ამოვალ. მე ამოვალ.

„ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე“...

„ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე“...

„ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე“...

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, მე ამოვალ, შენ ჩამოდი, მე ამოვალ, მე ამოვალ, მე ამოვალ, მზეს ვეუბნები, მზეს, გესმის, მე ვეუბნები, მზეს, მზეს...

იქ ერთი დიდი ქალი იყო. სხვა არაფერი. იყო თვალი მშვიდად. არსად არ იყურებოდა. იქ ერთი თვალი იყო, სხვა არაფერი. სულ არაფერი.

— მეძინება, სულ მეძინება. დავკლები თუ არა, მამინვე ჩაეძინება. რა უბედურებაა. ექიმთან უნდა მივიდე, იქნებ მიშველოს, რას იტყვი?

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, მე ამოვალ, მე ამოვალ, მე ამოვალ, მზეს ვეუბნები. მე ვეუბნები.

— „ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე“.

იქ ერთი დიდი, შეწუხებული გული იყო. სხვა არაფერი. სულ არაფერი.

— მზეს ვეუბნები, შენ ჩამოდი, შენ ჩამოდი, მე ამოვალ, შენ ჩამოდი... და მე ამოვალ... შენ ჩა... მე.... შენ ჩა..... მე.....

.

იქ გაფაციცებული მოლოდინი იყო. სხვა არაფერი. სულ არაფერი.

— მზეს ვეუბნები, შენ ჩა..... მე..... ალ, მ..... ვ.....ბი შე..... ჩჩ..... ვ..... მე.....

ჩვენიანები

ქალი გურიის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. უმალლესი განათლება ქალაქში მიიღო და ისევ თავის სოფელში დაბრუნდა. სკოლაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. მერე გათხოვდა. ის ქალი აქაურობას აღარ არის. უკვე ერთი წელია, რაც იქაურობას წავიდა და როგორ არის იქ, აღარაფერი ვიცი. ჰოდა, აქედან წასულზე მინდა მოგყვე ის, რაც თვითონვე მომიყვა. ამიტომ ეს ჩემი მონათხრობი მისი მონათხრობია, სხვა არაფერი.

— როცა გავთხოვდი დ. ორი შვილი მეყოლა, ჩემმა ქმარმა ქალაქში წამომიყვანა და მას შემდეგ ქალაქელი ვავდი. მე კი ბუნება მენატრება და აქ თავს, ჩამოსვლიდან დღემდე, ცუდად ვგრძნობ. შვილები აქ დაიზარდნენ. განათლება მიიღეს. დაოჯახდნენ. რა ვიცი, სულ ენერვიულობ შვილებზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილებზე. ეკლესიაში არასდეს ყოფილვარ. იქნებ შენ წამიყვანო. მინდა სანთელი დავანთო. არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ეკლესიაში. ერთხელ როგორმე მოიცალე და წამიყვე. აი, მაშინ, სოფელში რომ ვცხოვრობდი, ეკლესიაში არავინ დადიოდა და არც მე მქონია მაგის სურვილი. ღმერთის არ ვიცი, მწამს თუ არა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულ იმას ვიხვეწები მაღლა ცაში, ჩემი შვილები და შვილიშვილები, და ჰო, ჩემი ქმარი კარგად მიმყოფოქო. ჩემი ქმარი ხელგაშლილი იყო და არის. იცი, როგორია? ვერ წარმოიდგენ. ფულს მაძლევდა ყოველთვის. ახლაც მაძლევს. არასოდეს მიყიდია ჩემთვის რაიმე. ისე, რაც აუცილებელია, იმას ყიდულობდი. ახლა აუცილებელსაც აღარ ყიდულობ. რა ვიცი, მეხარჯება ისე. საჭმელების გაკეთება არ შეიძლება. წინათ ცოტა შემეძლო, მაგრამ მეჯავრებოდა. უიმე, ეხლა რა შემიყვანს სამზარეულოში. რაც უნდათ, ის ჭამონ. თვითონ იკეთებენ ყველაფერს. მე მჭამელი ქალი არა ვარ. გაღვიძება მიჭირს. ღილა არ მიყვარს. არადა ადრე მეღვიძება ეს ოხერი და ყვირილს ვიწყებ ზოგჯერ. წამოცვივდებიან ჩვენიანები, რა დაგემართაო. მე კი ვეუბნები, თავი დამანებეთ, ვერ ხედავთ, რომ ვთიენდა-მეთქი. ჯერ ადრეა, დაიძინეთ, მე ჩემით გავჩერდება-თქო. იმათ ჰგონიათ, გავგიჟდი ან ეშინიათ, რომ არ გავგიჟდე. რა ვიცი... შენ ხომ ვესმის, ჩემიანო. შენ ხომ ობოლი ხარ. შენ ხომ იცი, რა არის ობლისთვის ვთიენება. იმათ არაფერი ესმით. ბუნება მიყვარს. ეჰ, როგორ მიყვარს. სახლი მეჯავრება. ჩემი ბიჭი იყოს ნეტავ კარგად. გოგოს ვერაფერი ვაუკეთე. აი, ბიჭს — ყველაფერი, რაც შეგვეძლო. ახლა წავალ. თუ არ დაიღალე, ვიქნები. გინდა? რა უნდა გითხრა, იცი? მე მალე მოკვდები, ვიცი. ჰოდა, სიკვდილის წინ უნდა მოგიყვე რაღაც. ახლა არ მინდა, ვიცი არ ვკვდები ჯერ. მაგრამ მარტო შენ უნდა გითხრა. შენ უნდა დგებიარო. ჩვენიანები სახლში რამეს რომ მოიტანენ, ძალიან მიკვირს. რად უნდათ ნეტავ, ვერ გამიგია. მაგიდაზე ვამბობ ამას, ჭიქებზეც, სკამებზეც, ყველაფერზე. მე არაფერი დამჭირებია და ისე მიკვირს, როცა ჩვენიანებს სჭირდებათ რაღაც ნივთები. ისე, ასე, მე რომ ვარ, არ შეიძლება. ოჯახის მოწყობაზე ქალმა უნდა იფიქროს. მე კი ვარ ასე და ვთიენდება თუ არა, გული მიწუხს. ზოგჯერ ყვირილს ვიწყებ. შენ ხომ იცი, რასაც ვამბობ. ძილის წინ ღმერთს პირობას ვაძლევ, გათენებისას არ დავიყვირებ-თქო. ასე ვარ. პირობას ვაძლევ და ვერ ვასრულებ. გათენებისას არც ღმერთი მახსოვს და არც ჩემი პირობა. ჰოდა, წამიყვანე ერთი, მახსწავლე სანთლის დანთება. ვიცი, გეზარება. შენ სახლში ანთებ სანთელს. მაგრამ მე სად დავანთო, არ ვიცი. თუ გინდა, შენ დაგინთე აქ. მაგრამ ჩვენიანებს იქ მინდა, ეკლესიაში მინდა, რომ დავუნთო. ...და მაცთავრი მეჯავრება კიდევ ძალიან. ნუშად ვიფუჭებ ხოლმე. ატყდება ერთი ამბავი. მოიყვანენ ოსტატს და აკეთებენ ისევ. რაა, მითხარი, ნეტავ გასაცინებელი? საჭმელი? შეინახო და თან კიდევ გაიცინო? მაგის არ მიჯერა. არ მწამს მაგის. ტელეფონი არ მიყვარს, მაგრამ ჩვენიანების ხმას რომ გავიგონებ, მიხარია. ისე, დიდი ამბავიანებაა. დაგიღალე, არა? რადაც ისე მიყვარხარ, ჩვენიანებში არ გარჩევ. ასე ვიცი, გავიცინობ ვინმეს და ჩვენიანებში არ ვარჩევ. მაგრამ შენ მაინც სხვა ხარ. ასე მგონია. რა ვიცი, სხვანაირი ხარ მაინც. ჩემი სურათები უნდა გაჩვენო, ახალგაზრდობის. ისე, კი ვიყავი. ჩემს დღეში არაფერი წამისვია სახეზე. „ლუბიაც“ არ დამისახია არასოდეს. თუ ქმარი მომიტანს, აგერ, ჩვენიანებს ვნუქნი. ახლა არა მაქვს. რომ მექნება, შენც გაჩუქებ. ბუნება მიყვარს. სახლი მეჯავრება, არ მიყვარს. თან ხომ იცი, მიწა რომ იძვრება, თურმე სახლიდან უნდა გაიქცე და გადარჩენი მაშინ. ხომ წამიყვან ეკლესიაში? ეგება დღლის აღარ გავაღვიძო ჩვენიანები. გაუჭირე იმათაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე. იცი რა, ბიჭს ყველაფერი გაუკეთეთ, რაც შეგვეძლო, გოგოს ვერა. მაგრამ ქმარი ყავს კარგი და იმის იმედით ვარ. იცი, რაღაც საიდუმლო მაქვს სათქმელი. ოღონდ საკვდილის წინ გეტყვი. და შენ გაიგებ. სიკვდილი წინ რომ იქნება, ის უკეთ მათქმევინებს. მეშინია ისე სიკვდილის. არ მეშინია სიკვდილის. ისე, ყველა კვდება და მეც ზომ უნდა მოვკვდე. ჰოდა, რატომ უნდა მეშინოდეს. აა, შეხედე. ამ ერთ ბეჭედს ვატარებ სულ ხელზე. რაც გავთხოვდი, მას მერე არ მომიძვრია. მომწონს ალბათ. მოძრობა რომ დავაპირო, ველარც მოვიძრობ. იცი, როგორი თხელი თითები მქონდა? მერე შემიშუპდა თუ რა არის, არ ვიცი. ადარ მაქვს ისეთი ხელები. რაც ქალაქში ჩამოვედი, სულ შემეცვალა. მარჯვენა მეტად, მარჯვენა ხელი. წავალ ახლა და ხვალ წამყევი, თუ დრო გექნა, ეკლესიაში. თუ გინდა, ზეგ. როცა მოიცალო, მაშინ. მასწავლე ერთი, სანთლის დანთება იქ, ეკლესიაში როგორ უნდა.

სულ ეს იყო, რაც ქალმა მომიყვა. იმ ღამით რომ დაიძინა, დილით თვალები არ გაუხელია. ორი დღე და ღამე იყო ასე. სუნთქავდა მხოლოდ. მერე წავიდა. არავითარი საიდუმლო არ ჰქონდა სათქმელი. ღმერთს ელაპარაკებოდა, ჩემთვის რა უნდა ეთქვა. ან რა სანთელი უნდა დაენთო? ან რომელ ეკლესიაში? თვითონ იყო სანთელი ყველასათვის, ყველგან. იქაურობას როგორ არის, არ ვიცი და ძალიან, ძალიან მენატრება. ისე ძალიან, რომ ზოგჯერ, ღილით, გაღვიძებისას პირზე ორივე ხელს ვიფარებ. მეშინია, ხმამაღლა არ დავიყვირო და „ჩვენსანები“ არ გავაღვიძო.

ᲛᲝᲛᲮᲚᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ

...და ერთ დღეს ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს გემი მოადგა.

დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია — ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს ერთ დღეს გემი მოადგა.

ეს იყო ათი დღის წინათ. საკვირველია, მაგრამ ფაქტია — ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს გემი მოადგა. იქ მყოფთ, ყველას გაუკვირდა, რომ გემი ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს მოადგა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — ათი დღის წინათ ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს გემი მოადგა.

ნამდვილად ასე იყო. ჩემი თვალით ვნახე. სხვებმაც ნახეს. მაგრამ რატომღაც არავინ ყვება ამის შესახებ. მე ვყვები. არ მეშინია, რომ გიჟად ჩამთვლიან. ჩამთვალონ რა. ვეგონოთ გიჟი. დიდი-დიდი, საავადმყოფოში ამოვყო თავი.

ფაქტია — ათი დღის წინათ ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს გემი მოადგა და მოცურავეებს მყუდროება დაკვირვია. გემის კაპიტანმა კომპასს დახედა. ეტყობა, მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა და უკან გაბრუნდა.

ფაქტია — ათი დღის წინათ ქალაქის ცენტრში მდებარე საცურაო აუზს გემი მოადგა.

. . . . . .

...ეეჰ, როგორ მიყვარს ოქროსფერი თვალები, ცისფერი თმები, გემის კაპიტანს რომ ჰქონდა, ისეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე რჩეულიშვილი

მწერალ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის

ამ მონოგრაფიის პირველი ნაწილი, სათაურით „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის", დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" (1992 წ. 2, 3, 4, 5 ნომრები). სიტყვა „მწერალი" სათაურში თავიდანვე იყო; ჩანს, რეალურმა მოაცილა ის როგორც ზედმეტი, მე კი ეს მხოლოდ საცდელ ეგზემპლარში შევნიშნე. ჯერ გული დამწყდა, მერე კი, ჩემი ამყმანდელი განწყობილებით, როდესაც ყველაფერს გაუთავებლივ რაღაც აუცილებელი რიტუალის ნაწილად წარმოვიდგენ ხოლმე, ვიფიქრე, ეტყობა ასე იყო საჭირომეთქი და „გაგრძელებებში" შეცდომის გასწორება აღარ მიცდია.

ეტყობა, მართლაც ასე იყო საჭირო, რადგან ახლა, სათაურის ამ პირველ სტეტვაზე მსჯელობა-ლაპარაკით, შემიძლია მკითხველს საგანგებოდ მივაქცევინო ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ჩემი მონოგრაფიის გმირია მწერალი და არა, ვთქვათ, მხატვარი, მოქანდაკე, ინჟინერი, მეცნიერი, ხელოსანი, სპორტსმენი... ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩემს ნაშრომში, ალბათ, იმიტომ, რომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ გურამისთვისაც. შეიძლება ითქვას ასეც, რომ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტური ხაზი ხელოვანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას გასდევს.

ზოგიერთ მკითხველს სათაური საერთოდ შეუსაბამო მოჩვენა ტექსტისათვის. არგუმენტი ასეთი იყო: ხომ არ არის ის სპეკულაციური, დაწერილი იმის შიშით, რომ გურამ რჩეულიშვილის სახელის გარეშე ნაშრომს არავინ წაიკითხავდა, რადგან, მათი აზრით, გამოქვეყნებულ ნაწერებში გურამს, როგორც პერსონაჟს, ძალიან პატარა ადგილი უკავია. ასეთი მოსაზრებები გამოითქვა, ერთი მხრივ, ვითომდა ტექსტის სასარგებლოდ, რომელსაც მიიჩნევდნენ გურამის გარეშეც საინტერესო ნაწარმოებად, თითქოსდა განლილი დღეების ქრონიკადაც კი, ნოსტალგიად, წარსულის მონატრებად, ყველა მათგანს საკუთარ ბავშვობას რომ ახსენებდა. მეორე მხრივ, ოდნავი საყვედურითაც: მათი აზრით, ის, რაც ტექსტში წერია, არ ამართლებს სათაურს, რადგან იქ უფრო მეტია მარინე, ვიდრე გურამი.

სათაური, რომელიც ამ მონოგრაფიას თავდაპირველად დაუფიქრებლად მივეცი, სრულიად გამართლებულად მომჩანია ახლაც და ვფიქრობ, რომ ზუსტად გამოხატავს მის შინაარსსა და მნიშვნელობას; ყველაფერ იმას, რისთვისაც ის შეიქმნა და რატომაც შეიქმნა... მუშაობის პროცესში გურამის პიროვნება ამნიშვნელოვანებდა, ამთლიანებდა, აერთიანებდა ყველაფერს: როგორც ჩემს მოგონებებს, რომლებშიც გურამის არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობა ძალიან ხშირად მხოლოდ უკანა პლანზე იგრძნობოდა, ისე ჩემს აწმყოს, ჩემს მომავალს და რაღაცნაირად აქცევდა მათ საერთოდ წარსულად, საერთოდ აწმყოდ და საერთოდ მომავლად, ჩვენ გარეშეც.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი დეტალი გურამისა და ჩემი ურთიერთობიდან, რომელიც უკვე ჩვენს სიჭაბუკეს შეეხება: როდესაც ჩემი ძმა და მე ერთად ვიყავით, გურამს ძალიან უფარდა, მოსწონდა ჩემი აქტიურობა. უნდოდა, მე მელაპარაკა, მეცქვეა, მიმეღო გადაწყვეტილებები, საერთოდ, ყოფილიყავი ყურადღების ცენტრში და, თვითონ საოცრად აქტიური, ასეთ დროს სიამოვნებით გადადიოდა უკანა პლანზე. მე კი, როგორც მსახიობი, უმცროსი დის სიამაყით, ყველა ჩემი მოქმედებისას, ლაპარაკისას ყოველთვის ეგრძნობდი ჩემს ძმას, როგორც მაყურებელს და, ამასთანავე, როგორც რეჟისორს, რომელიც მსახიობს რაღაც როლს აძლევს და შემდეგ დამაბული ადევნებს თვალყურს, რამდენად ამართლებს ის მის ნდობას თუ ინტუიციას, რომელმაც ეს არჩევანი გააკეთებინა. ასე რომ, ჭრის პროცესში დაუფლებული შეგრძნების „რეპეტიციები“ უკვე პრაქტიკულად გავლილი ქონდა ცსოვრებაში. ჩემთვის ქალიშვილობიდან მოყოლებული რეალური იყო ის შეგრძნება, რომ გურამის გვერდით, — ეს ცხადია, ფიგურალურად, რადგან აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკურად გვერდით ყოფნა, — ყველა უმნიშვნელო, საყოფაცხოვრებო დეტალი ხდებოდა რაღაც გაურკვეველი, ოღონდ სრულიად რეალური რიტუალის შეუცვლელი და აუცილებელი ნაწილი. ეს ნამდვილად ასე იყო ოცდაათი და კიდევ მეტი წლის წინათ. ასეა ახლაც და, საერთოდ, ყოველგვარი ფარული აზრისა და მანჭვა-გრეხის გარეშე შემიძლია თამამად ვიღიარო: არ დავწერდი არც ერთ სიტყვას (რადგან მე მწერალი არა ვარ და, რაც მთავარია, არცა მაქვს ამის პრეტენზია), რომ არ მეგრძნო, ღვთის წყალობით რომ არ მიემხედრიყავი, რომ „არავინ ანთებს სანთელს, რომ დადგას ფარულ ადგილს, ანდა ჭურჭლის ქვეშ“; რომ არ მიემხდარიყავი ღმერთის მადლით, რომ ის სანთელი, რომელიც რეალურად, ჭეშმარიტად, დიდი ხნის წინათ, ოღონდ რაღაცნაირად სამარადჟამად აინთო უნდა „დადგმულიყო სასანთლეზე“, „რათა შემოსულებმა იხილონ ნათელი“, „რათა ყველას გაუნათოს სახლში“; რომ უეცრად არ გაელვებულიყო ჩემში შეგრძნება, რომ რაღაცა აზრი ამ სანთლის ამაღლებულ ადგილას დადგმაში ეძლეოდა ჩემს პიროვნებასაც, რომ რაღაცა მევალებოდა მეც; თუმცა ჭურჭლის ქვეშ მოთავსებული სანათი დამოუკიდებლადაც იკელვედა გზას, რათა თავისი დანიშნულება შეესრულებინა. რადგან, როგორც ნათქვამია, „არ არსებობს დაფარული, რომ ცხადი არ გახდეს და არც შეფარული არსებობს, რომ არ გაცხადდეს“. ამ ფიქრის ერთხელ გაელვების შემდეგ — ყოველდღიური, ცხოვრებისეული, ანუ ფიზიკური, ხილული დაბრკოლებები, რომლებიც რეალურად მელობები წინ, რაც პრაქტიკულად თითქმის არ მიტოვებს თავისუფალ დროს საწერ-კალამისა და ფურცლის ხელში ასადებად და რომელთაც აღვიქვამ მხოლოდ და მხოლოდ სიღრმისეულ პლანში, როგორც სულიერ დაბრკოლებებს, როგორც განსაცდელებს, როგორც ჩემს გამოცდას, რომელთაც ვერ ვუძლებ, რომელთაც ვერ ვაბარებ, ვერ ვაკმაყოფილებ, გარდა იმ წუთებისა, ალბათ, როდესაც მწვავედ, ცოცხლად ვგრძნობ სულ თავიდან და თავიდან ერთსა და იმავეს — არაფერი არა მშველის: ვგრძნობ იმას, რაც არ უნდა ვიგრძნო, ვლაპარაკობ იმას, რაც არ უნდა ვილაპარაკო; სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევას საოცრად ესადაგება ქართული ანდაზება: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ან კიდევ, კედელ ცერცვი შეაყარეო და სხვა, რომლებიც ხშირად გამოვა ჩვენს სახლში, სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაც რომ ჩემთან დაკავშირებით. ოღონდ საოცარია ერთი რამ: ბავშვობის ხანისაგან განსხვავებით, ეს ყველაზე ნაკლებად შეეხება ფიზიკურ პლანს, ანუ ჩემს ქმედებას, რომელიც, გულისთქმებთან შედარებით, გასაკვირად კეთილშობილურად მოჩანს.

საყვარულის გარეშე ყველა საქმე ფუჭია, — მარტივად წერია სახარებაში. ამის რეალური, პირდაპირი-არაპირდაპირი გაკვეთილები მიღებული მაქვს და ყოველდღე ვღებულობ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებიდან. ასე რომ, მუდმივად წკაპზე არსებობა, წკაპზე ყოფნა ჩემი გადარჩენა-არგადარჩენის საკითხში უშუალოდ დაკავშირებულია ჩემი ძმის პიროვნებასთან, გაშუალებულია მისი ცხოვრების გზით, რომლის მიდევნას, განცდას და გადმოცემას აღვიქვამ, როგორც ხსნის ერთადერთ გზას ჩემთვის...

ყველას თავისი გზა აქვს!

გამოდის ასე, რომ თუ ჩემი ძმისათვის თავდაპირველად ხელოვნება იყო ერთადერთი ბილიკი, რომელსაც ის შეყავდა სულის ისეთ სიღრმეებში, ისეთ დროსა და სივრცეში, რომელიც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაში სრულიად მიუღწეველი იყო და სადაც, როგორცა ჩანს, თვითონაც არ იცოდა თუ რა ელოდა და, ალბათ, სწორედ ამიტომაც წერდა ერთ-ერთ დღიურში, ხელოვნება ჩემი ბედისწერაააო... ჩემთვის ჩემი ძმის ხელოვნება, რომელშიც თითქმის არაფერია fiction-დან, ანუ გამონაგონიდან, არის ერთადერთი კარი „სახლში“ შესასვლელად, „შინ დასაბრუნებლად“...

28-29 წლის ასაკში, როდესაც პატივმოყვარეობითა და ამპარტავნებით ვიყავი სავსე და რასაც, ცხადია, ამ გრძნობებით დაბრმავებული, საერთოდ ვერა ვგრძნობდი, რაღაც მომენტში მქონდა ხილვა, ზმანება, daydream, რომლის შესახებაც, ალბათ, შემდეგ მოგითხრობთ, რადგან მან ძალიან დიდი როლი შეასრულა ჩემში ჩემივე პიროვნების გააზრებაში. აქ მინდა აღვადგინო მხოლოდ ერთი სურათი, რომელიც მაშინ სრულიად აშკარად დავინახე და რომლის სიმბოლურობა თვითონ ხელვის პროცესშიც ნათელი იყო ჩემთვის:

მე ვიჯექი თუ ვიდექი, ზუსტად არ მახსოვს, რაღაც სარდაფში, მასიური, ხის, ურდულით ჩაკეტილი კარის წინ. მეცვა ნაზგასმით უბრალოდ: რუსული „ტელეგრეიკა“, ოღონდ რატომღაც პალტოს სიგრძის, ტყავის ქამრით შეკრული, დაბალქუსლიანი, უხეში, ძალმებიანი ფეხსაცმელი თუ რუსული „ვალინკები“, არც ეს მახსოვს ზუსტად, და თავზე, საფეთქლებთან ჩაკეცილი თალხი ფერის დოლბანდი მეხვია. მოკლედ, ისე ვიყავი გამოწყობილი, როგორც ომის ამსახველ რუსულ ფილმებში არიან ხოლმე ჩაცმული პუროს ან ნათოს, გრძელ რიგებში მდგარი (ზამთრის სიცივეების დროს) უბრალო, ვინდა ბრალიანი რუსის ქალები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასე ჩაცმულ ქალებს მთელი ჩვენი ბავშვობა ვუყურებდით რუსულ ფილმებში. ეს კარი ვითომდაც კეტავდა რაღაცა უსასრულო გვირაბის შესასვლელს, რომლის მიმართულება საერთოდ არ ფიგურირებდა მაშინ ჩემს ხილვაში; უფრო სწორად, იყო მხოლოდ მაგრად დახურული კარი, ახსტრაქტული კარი და მეტი არაფერი. როგორც სიურეალისტურ ფილმებშია ხოლმე... მე ვიჯექი თუ ვიდექი ამ მასიური ხის კარის ერთ მხარეს რაღაცნაირად გვერდულად, პროფილით და ჩუმად, აუღელვებლად, აუჩქარებლად და, რაც მთავარია, უჩვეულო მოთმენებით ველოდებოდი ჩემს დროს, ანუ იმ დროს, როდესაც გაიღებოდა კარი და გადავაბიჯებდი მის ზღურბლს. თუ რაზე იყო ეს დამოკიდებული ჩემი ხილვის მიხედვით, აღვადგენ მხოლოდ მაშინ, როდესაც დამჭირდება იმ სიტყვების გახსენება, ხილვისას რომ მომესმა.

ის, რაც სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გონებაში, ძალიან დიდი ხნის წინ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცვალა რაიმე მას შემდეგ? შესაძლოა მხოლოდ ის, რომ ჩემთვის გასაგები გახდა: იმ ზმანებით საფუძველი ჩაეყარა ჩემი ამპარტავნების დაძლევის საწყის ეტაპს... გასაგები გახდა თუ საით შეიძლებოდა წასულიყო ის გვირაბი, რომელიც თითქოს ჰერმეტულად იყო დახურული ხის კარით, რომლის წინაც მე ვიჯექი თუ ვიდექი... მეტი არაფერი... დანარჩენი? ეს დანარჩენი ჯერჯერობით ისევ და ისევ, თითქოსდა შუამავე ბურუსში, შუამავ ბუნდოვანებაშია გახვეული. თუმცა, როგორც გურამი წერს, — იღინდ ხელოვნების შესახებ — უკვე ვგრძნობ იმას, რომ ეს ის „ბუნდოვანებაა“, რომელიც, როგორცა ჩანს, უნდა სუნთქავდეს სინათლეთ“. დანარჩენი? ენახოთ! „ენახოთ და ენახოთ!“ — როგორც გურამი წერს თავის ერთ-ერთ დღიურში... და მე ახლაც უნეველო მოთმინებით, ისე, როგორც ხილვაში, წყნარად, აუჩქარებლად, ისევ და ისევ ვვერდულად, პროფილით ვდგავარ თუ ვზიავარ იმ ჩაკეტილ კართან და მოველი დროს... დანარჩენი ენახოთ!

მაშ ასე, მოგმართავ ახლა შენ, ჩემო მკითხველო! თუმცა სიტყვა „მკითხველის“ თქმისთანავე ისევ დამებადა გადახვევის სურვილი და, იქამდე, სანამ გავაგრძელებდე ჩვენი ცხოვრების შემდგომი პერიოდის მოყოლას, მინდა გაგიზიარო ერთი რამ: ამ მმართვამ თავდაპირველად ძლივს გაიკელია გზა ჩემი ბაგიდან და ხელიდან, ძალისძალათა, სულ ცოტა ხნის წინათ... დაწერისთანავე, უფრო კი შემდეგ, ხელახალი გადაკითხვისას, უხერხულობის ყალბი გრძნობა დამეუფლა, ეითომდა თავმდაბლობის, რაღვან სიტყვა „მკითხველის“ ხმარება გულისხმობდა ჩემს მწერლობას. მაგრამ მაშინვე მიეხვდი, რომ ეს იყო აშკარად ფარისეელური, მიმანჭულ-მიმანჭული, დაგრეხილი გრძნობა...

გურამს საშინლად არ უყვარდა ასეთი თავმდაბლობა, უდიდეს სიმოვნებას ანიჭებდა, მოსწონდა, ამაყობდა, როდესაც ადამიანს შეეძლო თავის მინაცემებზე ცოდნასა თუ ნიჭზე პირდაპირ ელაპარაკა (მკითხველი მიმიხვდება, რა ბეწვის ხიდებია აქ გასავლელი!). მახსოვს, ერთხელ გურამი კოკა ივნატოვთან ერთად კუს ტბაზე სატურაოდ იყო წასული. შინ რომ დაბრუნდა, მაშინვე ვიგრძენი რაღაც ქეტექსტი, რაღაც საიდუმლო, ჯერჯერობით შეკავებული სათქმელი. ცოტა ხანში ვერ მოითმინა და მითხრა: კარგი ბიჭია კოკა, პირდაპირ თქვა, ძალიან კარგად ვცურავ, თანრიგიცა მაქვსო. მერე, ცოტა ხანში დაამატა: „მიყვარს, ადამიანი რიდესაც თავის თავზე კარგს ლაპარაკობს. ე. ი. არ მალავს იმას, რაც იცის, რაც შეუძლია და არ ეუჯერებ იმათ ვინც თავისი თავის ლანძღვითაა გართული. ეს თავის ლანძღვა, უმეტესად, ირიბად თავის ქებაა ხოლმე“. ამ თემის გურამმა მერე მოელი ერთი დღიური უძღვნა, სადაც გაიხსენა გოგი ოჩაურთან კამათი სელენის შესახებ, რომელსაც მაშინ თბილისში გატაცებით კითხულობდნენ; გაიხსენა გოგის არგუმენტები, რომლებითაც ის აქებდა მისთვის არასამპათიურ მწერალს: „გოგის სელენში მოსწონდა ის თვისება (როგორც მანანა მეგრელიძეს), რომ მას შეეძლო თავისი თავის მშიშარად, არასულგრძელად, არაკეთილშობილად ჩვენება. თავისი თავის მთლიანი გაყიდვა. — მე სელენი ოცი გვერდიც არა მაქვს წაკითხული, მაგრამ უცებვე მიეხვდი, რომ კაცი, ვინც აგინებს თავს, არ არის კარგი კაცი. გავერცელე ამის შესახებ ჩემი თეორია. გოგიმ თვითონვე მოუღო თავის ქებას ბოლო — სწორედ ამ ყველაფერი მისი ცუდიდან, ცუდი თვისებებიდან ჩანს, რომ (გამოდის ბოლოს) ის სხვაზე მეტად კარგია და სხვაზე მეტად კეთილშობილი. მე კიდევ უფრო შევიჯაერე ის ფარისეველი ადამიანი, რომელიც ამახხარავებს გულადობას, აქებს თავის სილაჩრეს, რაც ომის დროს ბუნებრივია, რა თქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, და შემდეგ ლიტერატურული ტრიუკებით იქებს თავს...“ (ნაწყვეტი დღიურიდან).

ახლა ეს იმიტომ გამახსენდა, რომ ჩემი ვითომდა თავმდაბლური გრძნობა, რაც გამოიწვია სიტყვა „მკითხველის“ ხმარებამ, რაც, როგორც აღვნიშნე, ცხადია, გულისხმობდა ჩემს მწერლობას, სინამდვილეში იყო მხოლოდ და მხოლოდ ამპარტავნება, თავის მოწონება სხვების წინაშე. რადგან ერთ-ერთს საცდელადაც კი ეკითხე. ხომ არ გეხამუშება-მეთქი ასეთი მიმართვა მკითხველისადმი, ხომ არ არის-მეთქი ეს მეტირება, პოზიორობა და სხვა... მაგრამ თქმისთანავე ვიგრძენი ამ კითხვის სრული უაზრობა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემს შეკითხვას არაფერი საერთო არა ჰქონდა ჩემს ჭეშმარიტ გრძნობასა და აზრთან. რადგან ვგრძნობდი იმასაც, არა მარტო ვგრძნობდი. არამედ რაღაცაარად ეოცოდი კიდეც თითქოს, რომ ჩემზე ცოტა იყო დამოკიდებული, ამ სიტყვას ვიხმარდი თუ არა. რადგან მოსათხრობი ამბავი უკვე რეალია იყო, ცხოვრებისეული სიუჟეტი. და როგორც დროთა განმავლობაში გაირკვა, მკითხველთან უშუალო მიმართება, უშუალო დამოკიდებულება თვითონ ამ მოსათხრობი ამბის სიუჟეტში იყო ჩადებული.

მაშ ასე!

იყო ამბავი, არის ამბავი: მომზდარი, ცოცხალი, უკვე ყოველთვის მუდმივად აწმყოდ ქცეული წარსული მომავალი ან მომავალი წარსულ აწმყოში, ან აწმყო წარსულ მომავალში... შეგიძლია სურვილისამებრ დაკავშირო ქრონოლოგიური დროის ატრიბუტები, ყველაფერი სწორი იქნება. ამას, რომ ამბავი ჯერ დაუწერელია, არა აქვს მნიშვნელობა. ის არსებობს ხალხის გულში, საერთოდ. არსებობს „ლეგენდა გურამ რჩეულიშვილზე“. იმას, რომ ლეგენდა ჯერ არ დაძრულა ხალხის გულიდან, ჯერ არ მოუცავს მთლიანად სხეული, არა აქვს მნიშვნელობა... თავდაპირველად გურამიც ასე იყო... ცეცხლის ენამ, რომელმაც მის თავზე გაიელვა, ჯერ შეძრა და „აგაზგაზა“ მისი გული, შემდეგ გადაედო მის სხეულსაც, ანუ მთლიანად მოიცვა ის და „აანაგძაგა“...

მოვა დრო, მოდის დრო... და ის ცეცხლის ენები, რომელმაც მის თავზე გაიელვა, ღვთის წყალობით, ღვთის ნებით, აგიზგიზდება ჩვენს თავებზეც და ყველა ერთიანად შეეძრებით და დავიწყებთ წვის იმ სიყვარულით რამაც სულ რადაც ოთხ წელიწადში, გურამის ძლიერი, მთასა და ბარში ხეტიალისაგან გამოწრთობილი სხეული საოცრად შეცვალა. ეს ეტყობა ფოტოსურათებს, ისე როგორც მისი ბიოგრაფიის სხვა დოკუმენტებსაც.

„სანამ ამბავი სიკვდილი არ შემოძლია უნდა ვწერო მასზე, როცა გამოილევა, თავს მოვიკლავ ალბათ.

ეს იქნება ერთადერთი ამბავი, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში, რაზეც ვერ დავწერ....“

არ გაკაკვთო, მკითხველო, დასკვნები დროზე ადრე... ეს ჩანაწერი გაკეთებულია „ირინასა და მე“-ს A ვარიანტისათვის, A და B ვარიანტებად იქნება დაყოფილი აკადემიურ გამოცემაში გურამის შავი და თეთრი ხელნაწერები, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რომელიც განმტკიცებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მთელი ანსტით: თაბახის ფურცელი, თავისი ფაქტურა-ფერ-ფორმატით, ხელწერა, სტილისტიკა, უშუალოდ შინაარსის პლანი და სხვა... აი, კრიტერიუმების ეს ჯაჭვი მაფიქრებინებს, რომ ის დაწერილი უნდა იყოს 1958 წლის მარტში, ე. ი. იმ დღეებში, როდესაც „ირინას“ A ვარიანტი იწერებოდა. B ვარიანტი, ანუ ამ მოთხრობის ე. წ. თეთრი ხელნაწერი გაკეთებულია წლინახევრის შემდეგ, 1959 წლის შემოდგომაზე, როგორცა ჩანს. „ალავრდობის“ დაწერამდე სულ ცოტა ხნით ადრე.

ეს ორი წინადადება, ჩემი აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას გასცემს. ჩემი ყურადღება თავდანვე მიიქცია სიტყვა „ამბავმა“, რომელიც ან პატარა მონაკვეთზე ორჯერაა ნახმარი. მოულოდნელად მიეხედი, რომ ეს სიტყვა გურამისთვისაც რაღაცით მნიშვნელოვანი გახდა იმ პერიოდში. შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მან მისი არსი თავისთვისვე მოულოდნელად პირველად გააცნობიერა მთელი სისავსით... შემდეგ გამახსენდა 1957 წლის გაზაფხულზე შექმნილი მოთხრობების მთელი ციკლი, რომელთა სათაურში გაუთავებლივ ფიგურირებს ეს სიტყვა: „ვერაგობა და სიყვარული“ „ოთხი ამბავი ერთი ხელის მოსმით“, ან კიდევ „სიყვარულსა მალვა უნდა“ „სამი ამბავი და ორი დღიური“, ან კიდევ: „მე განა სიყვარული მინდოდა“, „სამი ამბავი“ და ა. შ. გამახსენდა, აგრეთვე, 1956 წლის მოთხრობები, რომელთა ქვესათაურშიც ხშირად გვხვდება იგივე სიტყვა: „ ნამდვილი ამბავი“, „ხეკსურეთში გაგონილი ამბავი“ ან, უბრალოდ, „ამბავი“ და სხვა. თანდათანობით, უკან-უკან სვლით, ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედების გზაზე დამებადა აზრი, რომ ამ სიტყვის გაგებამ განიცადა გარკვეული ევოლუცია მის ცხოვრებაში, რაც, რა თქმა უნდა, თავისებურად ასახა დაწერილ სიტყვაშიც. გადმოვიღე ენციკლოპედიები და მათი დახმარებით ვცადე გარედან, თანდათანობით შევსულიყავი იმ სამყაროში, რომელიც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი შეიქნა ჩემი ძმისათვის მისი ცხოვრების ერთ პერიოდში.

მომაქვს ამონწერები ამ სიტყვის შესახებ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან:

ამბავი —

1. ვისიმე თავგადასავალი, ვისიმე ცხოვრების აღწერა: მონათხრობი ვისიმე, ან რისიმე შესახებ. 2. შემთხვევა, მომხდარი რამ 3. მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოები — მოთხრობა.

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

1. ვისიმე თავგადასავალი, ვისიმე ცხოვრების აღწერა. მონათხრობი, ვინმეს ან რაიმეს შესახებ. აგრეთვე მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოები (ნოველა, მოთხრობა). ძვ. ქართულ მწერლობაში ეპიკური ნაწარმოების ცალკე თავს, კრსაც აღნიშნავდა. იხმარება სიუჟეტის, ფაბულის, თქმულების მნიშვნელობითაც.

(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია),

ჩვენი დროის ერთ-ერთი ცნობილი ლიტერატურის თეორეტიკოსი ი. მ. ლოტმანი კი კლასიკურ ნაშრომში «Структура художественного текста» შემდეგნაირად განმარტავს „ამბის“ ცნებას: «Событием в тексте является перемещение героя через границу семантического поля».

ლოტმანის მიხედვით „ამბის“ ცნება აპრიორულად გულისხმობს რაღაც სემანტიკურ ველს, რომელსაც, ცხადია, აქვს თავისი საკუთარი კანონები და პრინციპები. სიუჟეტი, ამბავი იქმნება ამ პრინციპების, წესების, კანონების რომელიმე მხარის დარღვევით, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა კუთხით იჩენს თავს, თუნდაც ისე, როგორც ჩვენი ბავშვობისას გავრცელებულ ანეკდოტებში: „ორი სპილო გაფრინდა, ერთი წოლილი და მეორე კი მარჯვნივ...“ ან კიდევ: „ორი მოხუცებული ქალი შეხვდა ერთმანეთს ქუჩაში და გაჯა საუბარი. — აბანაში მიდიხარ? — ჰკითხა ერთმა მეორეს. — არა, აბანაში მივდივარ, — უპასუხა მეორემ. — ხო, მე მეგონა აბანოში მიდიოდი. — თქვა პირველმა და გზა განაგრძო.“ ამ ანსურდულ ანეკდოტებში ამბავი იქმნება ე. წ. საკომუნიკაციო სემანტიკური ველის გარკვეული პრინციპების უგულებელყოფით. ლოტმანის ამ განმარტების მიხედვით ტექსტის ინტერპრეტაციისას (ეს შეიძლება განვავრცოთ ცხოვრებისეულ სიტუაციაზეც) საჭიროა მხოლოდ გარკვევა იმ სემანტიკური ველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურის, იმ კანონებისა და წესრიგის, რომელშიც ტრიალებენ გმირები და რომელიც სწორედ გმირთა ამ ტრიალით იქმნება. გმირთა მოძრაობა, გადაადგილება ნაწარმოების სიუჟეტში, ცხადია, გულისხმობს გარკვეულ ბილიკებს, გზებს, გადასასვლელებს, გზაჯვარედინებს. აღმართ-დაღმართებს, გულისხმობს რაღაც საზღვრებს, რაღაც ჩაკეტილ სივრცეს, რაღაც ღირებულებებს, რომელთაც გმირი ან აღიქვამს, ან არ აღიქვამს. და საერთოდაც, ნაწარმოებში ეს ჩაკეტილი სივრცე ან აღიქმება, ან არ აღიქმება. შეიძლება გმირების და, აქედან გამომდინარე, ნაწარმოების ტოპოლოგიური კვლევა გმირების ამ საზღვრებთან მიმართებაში. გმირი, უბრალოდ, დგას ამ საზღვრებთან, ეხეთქება მათ თუ ცდილობს მათ გადალახვას, როგორც, მაგალითად, სალამური გურამ რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან. გადადის ის გადასასვლელებზე, დადის გაკვალულ გზებზე, რომლებითაც დასეირნილია სივრცე, რომელშიც ის ტრიალებს თუ სრულიად უარყოფს, თუ საერთოდ ვერ აბჭნევს მათ. საინტერესოა, ძერებოდა თუ არა ის ხის კენწეროზე სალვარულის ახსნის სურვილით შეპყრობილი („მოდი, ვინდა, ხეზე ავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ" – გურამის ცხოვრებიდან, გადმოცა მარინა მაჭავარიანმა), წვება თუ არა ქვაფენილზე ისევ სიყვარულით სავსე, რაც სწორედაც ნორმის დარღვევის გამო საოცარად საშიშად, სულელურად და, რაც მთავარია, არასანდოდ გამოიყურება (გურამის ცხოვრებიდან, ამჯერად მზია ჩაჩავს გადმოცემით). საინტერესოა, რა ენერგიის გაცემა, დახარჯვა სჭირდებათ მომთვინიერებლებს მის დასამორჩილებლად, კალაპოტში ჩასაყენებლად. ერთ-ერთად გადასაქცევად ხუთავს თუ არა მას ეს საზღვრები, საერთოდაც, შესაძლებელია თუ არა მისი დამორჩილება, თუ, ცხოვრების ორომტრიალში ჩაკარგული, ის მშვიდად, წყნარად მოტივტივეებს საერთო ფერხულში ჩაშული და მის შეხტომებს, მის კუნტრუშებს შორეული კავშირიც კი არა აქვს საზღვრის ცნებასთან. ლოტმანის მიერავე შემოტანილი „მოძრავი გმირის" ცნებაც: გმირისა, რომელსაც შესწევს უნარი, გადალახოს სადემარკაციო ხაზი, ანუ ის სივრცე, რომლის გადალახვითაც ირღვევა მოცემული სემანტიკური ველის პრინციპები, ჩვეული სემანტიკური ველის პრინციპები. ჩვეული სემანტიკური ველის საზღვარი, და შექმნას „ამბავი", ანუ აამოძრაოს სიუჟეტი. „მოძრავი გმირი", ცხადია, უნდა იყოს ეპიკური მუხტის, ეპიკური ამბის მატარებელი. მისი არსი შეიძლება გავიგოთ სწორედაც როგორც საზღვრის გადამლახავის; აქ არის კიდევ ერთი მომენტი – ისე, როგორც უშიშარ ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინაც ყველაზე კარგად იცის შიშის ფასი და მისი უშიშრობა სწორედაც რომ შიშის დაძლევაში ვლინდება, სრულიადაც სულ სხვა დარღვევებთან გვექნებოდა საქმე. ასევე, საზღვრის გადამლახავ „მოძრავ" გმირს ყველაზე კარგად, ძლიერად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული ის სემანტიკური ველის პრინციპები, კანონები, რომელშიც ის ტრიალებს, რომლის კედლებსაც ის ეჯახება და რომელთაც გადალახავს ან რომელთა გადალახვის სურვილიც უნდება.

ასე რომ, თავდაპირველად საჭიროა „ნორმის" მიკვლევა: რა შეიძლება ჩაითვალოს ნორმად ამა თუ ნაწარმოების თვალსაზრისით. „ნორმის" ცნების მიკვლევა, ნორმის სტრუქტურის გარკვევა, ამრიგად, გულისხმობს მის მიბილურობას, ცვლადობას ნაწარმოებიდან ნაწარმოებისაკენ, რადგან ნათელია: ნორმა განპირობებულია იმ ეპოქით, კულტურით, მწერლის სუბიექტური თვისებებით და კიდევ უამრავი რამით, რაც ნაწარმოების სტრუქტურის საფუძველში დევს. ასეთი ტიპის ანალიზისას, ერთი მხრივ, ვლინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება ნორმის საოცარი პირობითობა, ცვალებადობა და, მეორე მხრივ კი, ადამიანთა არქეტიპული იგივეობრივობა. ასე რომ, ამ ელის საზღვრები ნაწარმოებისაკენ (თუნდაც ცხოვრების ერთი სტუაციიდან მეორე სიტუაციისაკენ). შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს უსასრულოდაც კი. და საერთოდაც, შეიძლება ეს საზღვრები სულ სხვა ადგილას იყოს გავლებული. მაგალითად, თუ დუელი რომელიღაც ქვეყანაში და რომელიღაც დრის იყო ნორმა, მაშინ ამბავს შექმნიდა ის ფაქტი, რომ ვინმე, ვთქვათ, დუელში გაწვევას არ დამორჩილებოდა გინდ სილაჩრის, გინდაც პრინციპის გამო. ამატომაც დუელს სხვა საუკუნეში, რომელშიც ის არ ითვლებოდა ნორმად, ჰქონდა ეგზოტიკური სურნელი ან აღიქმებოდა როგორც ანაქრონიზმი, ან როგორც პაროდია და სხვა. ჩემი მონოგრაფიის შემდეგ ნაწილში მექნება საუბარი ერთ ასეთ დუელზე გურამის ცხოვრებიდან, რომელშიც, მწერლის აღრეულ ასაკში, გამოელინდა, ანუ, შეიძლება ითქვას ასეც — თავიდანვე გამოელინდა ის, რამაც შემდეგ მისცა გურამს საფუძველი თავისი ბოლო წელიწადს დაწერილი დაუმთავრებელი დღიურისა თუ ნაწარმოებისათვის მიეცა ასეთი სათაური: „თავგადასავალი გურამ რჩეულიშვილისა, ანუ შუა საუკუნეების ადამიანის მოგზაურობა მე-20 საუკუნეში“. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას პოემების „ამბის“ საფუძველში ღვენ მთის ადათ-წესებთან დაპირისპირება, მათი უარყოფა, მათი გადალახვა. ჩემი აზრით, ამ პოემების „ამბავში“, ანუ მთის ადათ-წესების, მაგალითად, თუნდაც სისხლის აღების, შურისძიების წესის და სხვა ნორმების დარდევეაში ელინდება ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერლისა და პიროვნების, ქრისტიანული ძირები, საწყისები: სწორედ ის, რაც მას აყენებს „მამულისაებრ ჩვეულებრივი სელის“ კეკლში. ერთ-ერთ დღიურში გურამი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მე-20 საუკუნე მწერლისათვის ძალიან ძნელი ეპოქაა ნაწარმოების საუკეთესოს ასაგებად, რადგან საზოგადოებაში წაშლილია აშკარა სოციალური, წოდებრივი და, საერთოდ, ყველანაირი ზღვრები.

საინტერესოა, რა ქმნის ამბავს თუნდაც ჯეიმზ ჯოისის „ულისესში“, არის კი იქ ამბავი საერთოდ, რაც ნიშნავს: აქვს თუ არა ამ ნაწარმოებს საუკეთესო? თუ ის იმიტომ იმეორებს ოდისევსის ცნობილ თავგადასავალს მე-20 საუკუნის დუბლინის ქუჩებში, რომ საერთოდ საუკეთესოს, როგორც ცნების, პაროდია მოახდინოს. ამბავი მე-20 საუკუნეში! როდესაც ადამიანი ვერ მოსცელეია საკუთარ კუჭს, ღვიძლს, თირკმელს, საკუთარ შეგრძნებებს, ემოციებს, საკუთარ ქალაქს, საკუთარ ქუჩას, როდესაც გაუფერულებულია ყველა ღირებულება, როდესაც დაკარგულია მისთვის ყველა შეგრძნება: შურისძიების, თავმოყვარეობის, პატივმოყვარეობის, დაპირისპირების, პრინციპულობის, რაინდობის, ღირსების, რაც შეიძლება ამბის შექმნის საფუძველში იდოს. „საგმირო ეპოსი დონეზოტის ქარის წისქვილთან ბრძოლის დროს დაიმსხვრა!“ აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში ვლინდება „ამბის“ ცნების მობილურობა, რადგან „ულისეს“ სიუჟეტში, რომელიც დეტალურად იმეორებს გარე სიუჟეტურ ხაზში ოდისევსის მოგზაურობას, იღინდ სულ სხვა დროსა და სივრცეში, სულ სხვა სემანტიკური ველის პრინციპები ბატონობენ და სადემარკაციო ხაზიც სულ სხვა სიბრტყეზე გადის.

სიტყვა „ამბავი“ გურამ რჩეულიშვილის 1956 წლის მოთხრობათა ქვესათაურებში იხმარება მისი პირველადი მნიშვნელობით, ანუ როგორც „ვისიმე თავგადასავალი, ვისიმე ცხოვრების აღწერა“. 1957 წლის მოთხრობებში კი მას უფრო ჟანრული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: „მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოები — მოთხრობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ პატარ-პატარა „ამბების“ სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურის ფონზე, თუნდაც ნაწარმოების ფაბულის ფონზე, რომელთა მთავარი მახასიათებელი სწორედაც რომ უამბობაა, სწორედაც ის, რომ არავითარი ამბავი არა ხდება, ანუ არსად არ გადაიღახება სადემარკაციო ზაზი, რაც სხვადასხვა სტილისტური საშუალებით მრავალჯერაა აქცენტირებული. პარადოქსის კანონის თანახმად, ჟანრული მნიშვნელობით ბმარებულ ამ სიტყვაში წინა პლანზე გამოდის ის ნიუანსები, რომელნიც ნაწარმოებში არ არიან რეალიზებულნი, ანუ შეიძლება ითქვას ასეც: ის მნიშვნელობები, რომლებიც ნაწარმოებში უარყოფითი ნიშნით არიან წარმოდგენილნი. ესენია: „შემთხვევა, მომხდარი რაღაც“ და თქმულება (თქმულება — ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასული ამბავზე). ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უდევს საფუძვლად. გვხვდება როგორც პროზაული, ისე ლექსის სახით. პროზაული თქმულება გადმოცემასა და ლეგენდას უახლოდება). ქართულ ფოლკლორში თქმულებების დიდი ნაწილი საისტორიო ხასიათისაა (ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველის, სამანი არაგველის, ბახტრიონის აღების და სხვ.), გვხვდება სოციალური: მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, უშგულელების; ეტიმოლოგიური: ბაზალეთის ტბის წარმოშობის, ბუსა და ოფოფის გაჩენის და სხვა ხასიათის. ეპიკური ციკლის თქმულებები: „ამირანიანი“, „როსტომიანი“, „ტარიელიანი“, „ეთერიანი“ და სხვა. ეს ორივე მნიშვნელობა, ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, გულისხმობს სიუჟეტს, რომლის საფუძველში დევს ისეთი ამბავი, რომელიც ამოვარდნილია ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფიდან, ცხოვრების დინებიდან... 1957 წლის გაზაფხულზე შექმნილ ამ ციკლის ნაწარმოებებში შედის ერთი პატარა ჩანახატი, სურათი, ერთი უამბო ამბავი, რომელსაც დამოუკიდებელი სათაურიცა აქვს (ისე, როგორც ბევრ სხვა ამგვარ ჩანახატს); ეს სათაურია „მილიციელი ვანო“ (თვლიანი ნაწარმოების სათაურია: „ოთხი ამბავი ერთი ხელის მოსმათი“). ამ პატარა ჩანახატს რეფრენივით გასდევს ერთი ასეთი ფრაზა: „ჩემს უბანზე შემთხვევა არ მომხდარა“. ამ ფრაზაში თითქოსდა კონცეპტრირებულია ციკლის თითქმის ყველა მოთხრობის სიუჟეტური მოტივების წაყვანი თემა, რაც განსაზღვრავს მთ კომპოზიციურ სტრუქტურასაც: „ჩემს უბანზე შემთხვევა არ მომხდარა“. სიტყვა „შემთხვევა“ აქ, როგორც ჩანს, სწორედ „ამბის“ მნიშვნელობითაა ნახმარი. მოთხრობა იწყება იმით, რომ მილიციელი ვანო დგას ქუჩის კუთხეში და იქიდან ათვალიერებს თავის უბანს. „ქუჩის კუთხე“ აქ აღიქმება, როგორც გზაჯვარედინი, კარის ზღუდეზი, უფსკრულის პირი, მდინარის ნაპირი, ანუ როგორც გარდამავალი სივრცე. ეს ის სივრცეა, სადაც ზშირად ვითარდება მოქმედება გურამის ნაწარმოებებში. დგას ვანო ქუჩის კუთხეში და ამ წერტილიდან, რომელიც მისთვის, ალბათ, სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, აღიქვამს გარემოს, სივრცეს, თავის უბანს, რომლის მყუდროებასაც არაფერი არღვევს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოთხრობის თითოეული დეტალი, ნიუანსი სუნთქავს ფარული აზრით და თითქოსდა რაღაც სიმბოლური მნიშვნელობით იტვირთება. ისიც, რომ მისი სათაურია „მილიციელი ვანო“, ისიც, რომ მილიციელი ვანო ქუჩის კუთხეში დგას; ისიც, რომ ზამთარია და მაინც თბილა, ისიც, რომ ამ პატარა ჩანახატის ბოლო წინადადებაა: „სადღაც გაიცინა“, რომელსაც წინ უძღვის ნაწარმოების ლაიტმოტივური ფრაზა: „ჩემს უბანზე შემთხვევა არ მომხდარა“. სხვათა შორის, აქ არის ერთი მომენტი, რომელ-

©ეროვნული ბიბლიოთეკა

საც შემოაქვს „ალავერდობის“ ტიპის განწყობა, მსგავსი სიტუაცია: უკაცრიელი ქუჩის სიწუმეში ისმის სიმღერა, რომელსაც მაღალი ხმით იწყებს ეზოდან მოუთმენლად გამოსული, როგორცა ჩანს, შეზარხოშებული საზოგადოება და ერთ წამში ყველაფერი თითქოსდა დგება „ამბის“, „შემთხვევის“ შექმნის ზღვარზე. „ალავერდობაშიც“ ქალაქიდან ჩამოსული ტურისტების ექკეთამაშს სიცოცხლე შემოაქვს გაჩერებულ გარემოში; მაგრამ „მილიციელ ვანოში“, ისე როგორც „ალავერდობაში“, სწორაფადვე იკარგება რაიმე კონფლიქტის, ანუ ამბის შექმნის შესაძლებლობა. მაშინვე ირკვევა, რომ ამ გაჩერებულ, ჩუმ, უხმო, უამრო გარემოს „არ შველის არაფერი“. მაგრამ სწორედ ამ მომენტების მსგავსებისას იკვეთება მათი სხვაობაც ნაწარმოების მთლიანობის ფონზე; თუ გურამის სიტყვებსვე ვიხმარ (გაიხსენეთ ჩანახატზე მინაწერი: «Ступени разных размеров идущие вверх без начала и конца»), აშკარად ჩანს, რომ „ალავერდობისა“ და „მილიციელი ვანოს“ ავტორი ზევით მამავალი კიბის სულ სხვადასხვა საფეხურებზე დგას.

ასე რომ, მილიციელ ვანოს უბანში შემთხვევა არა ხდება! მილიციელ ვანოს კი თოფი სულ ჩახმახზე აქვს შეყენებული. მილიციელ ვანოს ამბის, შემთხვევის მოლოდინში სულ ჩახმახზე შეყენებული თოფი ქმნის გარდამავალი დროის შეგრძნებას, შეგრძნებას, რომ ასეა, მაგრამ „წუთი და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს...“ (დედაწემის ლექსიკონიდან), შეგრძნებას, რომ „წუთი, ეს ხომ გარდამავალი საფეხურია“ — (გურამის დღიურიდან).

ამავე სერიაში ნაწარმოები „ლოდინი“, რომელშიაც სამი პატარა „ამბავია“ გაერთიანებული. მომაქვს ორი „ამბავი“ მთლიანად:

ლოდინი

შუქნათურაზე წითელი ენთო: გადასასვლელთან ხალხი იდგა. ქუჩაზე გრაალით მიდიოდა ტრამვაი, ვანო იდგა ხალხთან ერთად, წითელი სინათლის ჩაქრობას ელოდებოდა და ფიქრობდა: „როდის აანთება მწვანე“.

ცხენი უკანა ფეხით კოჭლობდა. ზურგზე უნაგირი ედგა, ზედ ხურჯინი ეკიდა. ხურჯინში ეწყო რძე, მაწონი. კესერზე თოკი ება, თოკი კაცს ეჭირა. კაცი იძახდა: „რძე, რძეე, მაწონიი, აბა, მაწონიი, კამეჩის, თან ახალი“ და ფიქრობდა: „როდის გავყიდი ან ნეტა რამდენს ავიღებ“. ცხენი კი მიდიოდა კოჭლობით, ძლივს იკავებდა ნატკენ ფეხს ასფალტზე.

10 აპრილი.

აქვე მინდა მკითხველს გავაცნო ერთი პატარა ჩანახატი, „ჩემი დღე“, რომელიც ამავე ციკლის ნაწარმოების („თოხი ამბავი ერთი ხელის მოსმით“) მესამე „ამბავს“ წარმოადგენს:

„ამბავი III, ჩემი დღე (გურამი).

გურამი იჯდა. მერე ადგა. იარა. მერე დაწვა.

— დაღამდა — თქვა დედამ.

— ჰო, — თქვა გურამმა და დაიძინა.

წელი 1957, თებერვლის 19“.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება კიდევ ერთი პატარა ჩანახატი, რომელიც დაწერილია ჟან მარეს დიდი ფოტოსურათის უკანა მხარეს:

„ორთქლმავალი დაძვრისას ქშინავდა და ქანის ალების შემდეგ მსუბუქად მარბოდა სწორ ლიანდაგზე. კანო ფანჯარასთან იჯდა გამაზუთანებული. იქით ზღვა წყნარი იყო, ლივლივა. შორს ვეში ჩანდა. „ნეტა სულ წყალშია ეგ ვეში გაკეთების მერე?“ — კითხა ცეცხლფარეშს, „ჰო“ თქვა იმან და ნიჩბით ნახშირი შეყარა ღუმელში. „საწყალი სულ წყალშია. თან სასაცილოც არის, არა? ჰა? გააკეთებენ, ჩაუშვებენ, მერე სულ წყალშია, ძალიანაც რო უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდეს, ვერ ამოვა, არა? ?!“ „ჰო, რა, სულ. რას ამოვა,“ — თქვა ცეცხლფარეშმა ხმამაღლა. „ოორე, დედაშენისამ, შენი მატარებელი ჩამოვა ოდესმე რელსებიდან, თუ არ დაიმტვრა“ — გაიფიქრა „კონეგარმა“ და მემანქანის ადგილს შურით შეხედა“.

ამ ყოველდღიურ უამბო ამბებში, ამბებში ყოველგვარი ამბის გარეშე ფიგურირებს ისეთი ცნებები, რომელთა რეალობაში ალეკვა ნებისმიერი ადამიანის დღე და, საერთოდ, ჩვენი „ყოფაწუთისოფელი“; არ ვიცი, რამდენად დამეთანხმება მკითხველი, მაგრამ ასეთი ტიპის პატარ-პატარა მოთხრობებს უნდა ჰქონდეთ იგივური დატვირთვა, რაც, გარდა შინაარსის პლანისა, ვლინდება მათ სტილისტიკაში, საოცრად მარტივ, გამჭვირვალე სტილისტიკაში. ამ „სიტყვით მაგალითებში“ (იხ. „იგავის“ განმარტება სულხან-საბასთან) ადამიანის ყოველი დღე, მთელი მისი ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც ერთი და იგივე სხვადასხვა გზა, რომელზეც ძალიან ნელა, მოთმინებით გადადგილდება თავის საკუთარ სივრცეში გამომწყვდეული ადამიანი. ამ გადადგილებისას ის ხან ჯდება, ხან დგება, ხან გადის, ხან ისევ შემოდის, ხან წითელ შუქნიშანზე ჩერდება გადასასვლელზე და სხვა ხალხთან ერთად მოთმინებით ელოდება, „როდის აინთება მწვანე“. აი. ეს მომავლის შეგრძნება გადასასვლელზე გაჩერებული ვანოსი, რომელიც ელოდება მწვანე სინათლეს, აი, ეს ჩახმახზე შეყენებული თოფი მეორე ვანოსი, რომელიც, ქუნის კუთხეში გაჩერებული, ერთი წუთით არ უშვებს მზედგილობის არედან თავის უბანს, აი, მზერა მესამე „ვანოსი“, მიმართული მომავლისაკენ: „ნეტავ როდის გავეფდი“ ან „ნეტავ რამდენს ავიღებ“, აი. ეს მზერა ცეცხლფარეშისა, შურით მიმართული მემანქანის ადგილისაკენ, ქმნის მომავლის შეგრძნებას, რომლის კონცენტრაცია ხდება სათაურით „ლოდინი“. ამ სათაურით თითქოსდა გამოხატულია ამ ციკლის მოთხრობებში იგავური შინაარსი, თითქოსდა გაკეთებულია ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნა, რომლის შექმნამდე მინაწილეობს ბევრი სხვადასხვა დეტალი: ნაწარმოების საერთო სათაური უცვლელი სიტყვით „ამბავი“, რომელშიც ერთდროულად სხვადასხვა მნიშვნელობაა რეალიზებული, ცალკეული ჩანახატის სათაური. როგორიცაა თუნდაც აქ მოყვანილი „მილიციელი ვანო“, თუნდაც „ჩემი დღე“, ან თუნდაც „ლოდინი“, ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები, მოუხელთებელი სტილისტური ნიუანსები და სხვა; ყველაფერი ერთად ხელს უწყობს ამ ნაწარმოებებში ფარული აზრის შექმნას, რაღაც ქვეტექსტისა, საიდანაც გამოსჭვივის სიობი, ენერგია, და, რაც მთავარია, ამბის მოლოდინი; რაღაცა ამბისა გაჩერებულ გარემოში, მომავლის შეგრძნება, „რაღაცა“ მომავლის, როდესაც ადამიანი პირისპირ შეეჯახება, პირისპირ დადგება იმ ამბის წინაშე, რომელიც შეიძლება ჯერ გაურკვეველიცაა — რა უნდა იყოს („ძაგანიას „რაღაც“ რა არის, ჯერ მე თვითონ უნდა გავარკვიო“, — მწერლის ჩანაწერებიდან „ძაგანიასთვის“). გაურკვეველი მოლოდინის შეგრძნება, შემთხვევისათვის მზად ყოფნა თითქოსდა ამზადებს ეპიკურ სიუჟეტს... რომელიც სწორედ ამ ყოველდღიურობაში, წვრილ-წვრილ ამბებში უნდა იკრებდეს ძალას.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი დეტალი გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ერთიანობისათვის: ამ პერიოდის, ე. ი. 1957 წლის ვაზაფხულის ავტოგრაფები მწერლის მიერ საანგებოდ, სკრუპულოზურადაა ვაფორმებული; ყველგან, სულ ბაწია ჩანახატსაც კი მიწერილი აქვს სრული თარიღი: წელი, თვე, რიცხვი საათი, ხანდახან წუთიც კი. მაშინ. როდესაც უთარიღოდაა დატოვებული „ალაევრდობა“, „ირინა“ და სხვა ვრცელი ნაწარმოებები, რომელნიც შექმნილია 1958 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ. ამ პატარ-პატარა ჩანახატებისგან შემდგარი ნაწარმოებების ავტოგრაფები თავ-თავიანთი სათაურებით, თარიღებით გამორჩეულად არიან გაფორმებულნი გრაფიკულადაც. თითქოს მწერალი განსაკუთრებულადაა დაინტერესებული, რომ მათ გრაფიკულად გამოკვეთილი ადგილი მისცეს თაბახის ფურცლის სივრცეში. ეს ეხება ხელწერასაც; ასოთა მოხდენილ მოყვანილობაზე, რომელიც რაღაცით დიდი პაპის, ივანე ჯავახიშვილის ხელწერასა ჰგავს. აღრეკე ვთქვი. ეს ყველაფერი ძნიშნელობას იძენს განსაკუთრებით მაშინ, თუ გავიხსენებთ იმ ავტოგრაფებს, რომელნიც შექმნილია 1958 წლის შემდეგ. რომლებშიც, ელემენტარულად, არეკ კი არ არის დაცული და რომლებიც კიდით კიდემდე წერილ-წერილი, მაყრილი ხელით ისე ნაჩქარევად არიან შევსებული, რომ ხშირად სიტყვის ამოცნობა მხოლოდ ალღოთი თუ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ 1957 წლის გაზაფხულის ავტოგრაფების გაფორმებაში, რაც, რა თქმა უნდა, მწერლის ცხოვრება-შემოქმედების ერთ საფეხურს გამოავლენს, ისე, როგორც თეთონ ნაწარმოებებში, ჩანს თითქოსდა განსაკუთრებული დაინტერესება კონკრეტული დროითა და სივრცით, რეალური დროისა და სივრცის განსაკუთრებული პატივისცემა, განსაკუთრებული ინტერესი იმის მიმართ თუ სად, როდის ხდება მოქმედება. მაგრამ ჩნდება შეგრძნება, თითქოს ამ კონკრეტულ დროსა და სივრცეში მწერალი, ვანიეგანი, სხვა ხალხთან ერთად მხოლოდ ერთი წუთით შეჩერებული გადასასვლელზე და ჩახმახზე შეყენებული თოფით მოთმინებით მოელის იმ დროს, როდესაც აინთება მწვანე სინათლე, ის სინათლე, რომელიც უფლებას მისცემს მას, განაგრძოს გზა. აი, ეს მოლოდინის შეგრძნება, რაც გარდამავალი დროის საფუძველში დევს, ფარავს, ავსებს, სერავს, კვალს ამჩნევს სივრცეს და მის ნებისმიერ ადგილს გარდამავალად აქცევს, იმასაც კი, რომელიც რეალური თვალით საკმაოდ მყარად გამოიყურება შემოსაზღვრულ გარემოში. შეიძლება ითქვას კიდევ მეტი: ასეთ შემოხვევებში თითქოს სივრცე იქცევა დროდ ან შეჩერუნებით, დრო იქცევა სივრცედ და უხილავი ხილულში ხელშესახები ხდება, რის შემდეგაც ერთხელ დასერილი სივრცე სამარადჟამად გადაეცემა მუდმივობის სამყაროს. ეს ყველაფერი ქმნის შეგრძნებას, რომ ამბავი გადატანილი უნდა იყოს სადღაც, სიღრმეში, საიდანაც ის თანდათანობით აკვლევს გზას, ვარეთ გამოსასვლელად. ასეთ ვითარებაში აშკარად იგრძნობა, რომ ინტერესი ქრონოლოგიური დროის მიმართ მხოლოდ მექანიკურია, რომ ის საინტერესოა და მნიშვნელოვანი მხოლოდ იმით, რომ „წუთი და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს“.ეს შეეხება ყველა წუთს, ნებისმიერ წუთს და არ არსებობს ამისათვის განსაკუთრებული დრო ან ადგილი. ყოველი დღე... ყოველი წუთი... საყოფაცხოვრებო დროის უმცირესი მონაკვეთი. „წუთი ეს ხომ გარდამავალი საფეხურია, ა? გარდამავალი საით? საიდან?“ („საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა“ – გურამის დაუმთავრებელი რომანის პირველი სიტყვები). ნეტავ ამატომ ხომ არ აფრთხილებდა ბავშვებს დიდი ბაბუა მიხაკო – ფრთხილად იყავით ყოველდღიურ ცხოვრებაშიო; იგივეს ხომ არ ნიშნავს სახარებისეული სიტყვები, რომელთაც ზმირად იმეორებს ხოლმე ერლომ აზვედიანი: თუ გინდა დღეგრძელი იყო, ისე უნდა იცხოვრო ყოველი დღე, როგორც უკანასკნელიო. აი, ეს მუდმივი მოლოდინის შეგრძნება, რომლითაც გამსჭვალულია გ. რჩეულიშვილის შემოქმედება, ქმნის შეგრძნებას, რომ ნაწარმოებს დრო არის მომავალი და არა აწმყო, თუმცა ქრონოლოგიური, საყოფაცხოვრებო დრო მათში გამძაფრებულად აღიქმება... სხვა მხრივ კალენდარული დრო მხოლოდ და მხოლოდ ფიქცია ისევე, როგორც რეალური სივრცე. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ არა აქვს მნიშვნელობა, სახლში ხარ ჩაკეტილი თუ მთებსა და ზღვებს სერავ რაღაც ხმას თუ ძიებას აყოლი-ლი; არა აქვს მნიშვნელობა, ნაბიჯს გადდგამ თუ მთას გადალახავ... კონკრეტული ზოგადი დრო... კონკრეტული ზოგადი სივრცე... სადაც არაფერი არ არსებულ ჩვეულებრივ დინებას ცხოვრებისას, ნორმას, სიმყუდროვეს, სადაც, პრაქტიკულად „შემოხვევა არა ხდება...“

მაშინ, რას ეყრდნობა ის შეგრძნება, რომელიც გებადება გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების კითხვისას: რომ წუთიც და ამოძრავდება რაღაც, ნაცნობ-უცნობი სიუჟეტი, რომ წუთიც და გადალახება რაღაც აკრძალული-ნებადართული საზღვარი ...სხვათა შორის, აი, სწორედ ეს შეგრძნება ქმნიდა დამუხტულ ველს გურამის ცხოვრებაშიც. გურამი არასოდეს არ აღიქმებოდა მხოლოდ იმ დროსა და სივრცეში, რომელშიც ის რაღაც დროს რეალურად იმყოფებოდა, არასოდეს არ იყო გადგებული ეროვნული მხოლოდ იმ მოქმედებებსა და სიტყვებთან, რომლებსაც ის იმ წუთას ამბობდა ან აკეთებდა.. ამიტომ რაღაც კონკრეტული ამბავი გურამის ცხოვრებაში, მოლიანობიდან ამოღებული, ხანდახან სრულ უაზრობად გამოიყურება ხოლმე. აი, მაგალითად, თუნდაც ჩემი დედაშვილის დურიკო შენგელიას მონაყოლი იმის შესახებ, თუ როგორ დაჯდა ერთხელ გურამი შუა რუსთაველის ქუჩაზე გადმოტრიალებული შლიპით და როგორ დაიწყო მაიხოვრობა... ბუნებრივია, დურიკოს მონაყოლი ამბავი მშობლების საოცარ შეშფოთებასა და აღშფოთებას იწვევს ხოლმე. ხშირად შემიმჩნევია, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან სხვა მსმენელებიც. რომ არაფერი ეთქვათ თვითონ მთხრობელზე. რომელსაც შემდეგ ყოველთვის სჭირდება საკმაოდ გრძელი ახსნა-განმარტება: რატომ გააკეთა ეს გურამმა, რატომ გაიხსენა თვითონ და სხვა. მიუხედავად ამ უხერხულობისა, რაც ყოველთვის თან სდევს მის თხრობას, ჩემი დედაშვილი მაინც ჯიუტად განაგრძობს ამ ამბის მოყოლას სულ თავიდან და თავიდან, ალბათ, იმ იმედით, რომ ვინმესთვის და, პირველ რიგში მისთვის, რომელიღაც მომენტში, გასაგები გახდება გურამის ის მოქმედება.

როგორც ჩანს, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში (ისე, როგორც, ალბათ, მის ცხოვრებაშიც). მნიშვნელობა, აზრი იქმნება ამ კონკრეტული დროისა და სივრცის მიღმა. ეს იგრძნობა ნაწარმოების სტილში, აქცენტებში. ამ სიღრმეში მიმავალ პროცესებს, გარეთ ხშირად იგავური სიმარტივით რომ იღვრება, პირობითად შიდა სიუჟეტური ხაზი ვუწოდე. აღსანიშნავია, რომ შიდა სიუჟეტი გურამთან განიცდის თავისებურ ევოლუციას გარე სიუჟეტურ ხაზთან მიმართებაში, რომლის ცალკეულ მოტივებად შეიძლება ჩაითვალოს: „ვაკვიდა“, „მოვიდა“, „აღგა“, „მოახტა ცხენს“ „გააჭენა“, „გაიქცა“ და სხვა. ჩემი მონოგრაფიის შემდეგ ნაწილებში ვეცდები გავაანალიზო ეს ხაზი, რომელსაც პირობითად ვუწოდე გურამის 1956 წლის დღიურიდან ამოღებული სიტყვა: „ჰეი-ჰო“ (ამ სიტყვითაა დასათაურებული თორმეტფურცლიან რვეულში დაწერილი დღიური, რომელიც შეეხება ჩემი ძმის კარპატებში მოგზაურობის პერიოდს). გარე სიუჟეტური ხაზი რჩეულიშვილთან ფარავს, სერავს სივრცეს, ვაადვილდება მთიდან ბარისკენ, ზღვიდან ველებისაკენ, თუნდაც რუსული სტეპებისაკენ და ტრამალებისაკენ, ხანდახან ინტენსიურად, რეალურად, ხანდახან კი აი, ასე იგავურად, ხქემატურად. მისგან განსხვავებით შიდა სიუჟეტი ვითარდება სიღრმეში, თუმცა ეს მხოლოდ რეტროსპექციისას გახდა ჩემთვის გასაგები!

მაშ, ასე!

ამ პატარ-პატარა ნაწარმოებების გა-

7. „ცისკარი“, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე სიუჟეტურ ხაზში, რომლებშიც სიტყვა „ამბავი“ გაუთავებლივ ფიგურირებს, ამბავი არ ხდება.

„— დღამდა, — თქვა დედამ

— ჰო, თქვა გურამმა და დაიძინა.“

ამბავი სადღაც, სიღრმეშია, უამბობის მიღმა...

რა ქმნის ამბავს გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში, თუნდაც ამ პერიოდის უამბო ამბებში. რა სიბრტყეზე გადის ის საზღვარი, რომელიც უნდა გადალახოს „მოძრავმა“ გმირმა სიუჟეტის ასამოძრავებლად?

ავიღოთ მაგალითისათვის 1957 წლის გაზაფხულის კიდევ ერთი ნაწარმოები: „კიდე სამი ამბავი“, რომელიც ისე როგორც სათაურშია ნათქვამი, სამი პატარა „ამბისაგან“ შედგება:

„სადღაც ვიწროებში უდანიში შუადღეზე სოფლიდან კიცილი ისმოდა“ ამ „ამბებშიც“ არაფერი არღვევს ყოველდღიურ ყოფას. ყოფას არ არღვევს არც სიკვდილი, რომელიც ნაცრისფერი გარემოს უშუალო ნაწილად აღიქმება. აი, როგორ შემოდის ის:

1ᵗ „დაღმართის ბოლოს ფეკეული დადგა, მერე გუბეში პირქვეწავარდნილ კაცს თავით დაუარა, სხვებმაც ზევიდან გადასერეს გზა. მენახირე ზედ წაადგა ძირს დაგდებულს. ნელა გადმაბრუნა და ჩაიწოქა. „დოზანაანთ ვანოა, — გაიფიქრა მან, — არ მოიშალა ლოთობა. ნეტა მკვდარია?“

პერანგი ჩაუხია და გულზე დაადო ხელი.

გული არა სცემდა.

— საწყალი, ღმერთმა შეუნდოს, — თქვა მენახირემ და ვიწროებიდან უკან ავიდა შარაზე.

ვანო ხაზში აასვენეს.

ცოლი ჩუმად ქვითინებდა.

მერე თადარიგს შეუდგა („სადღაც ვიწროებში“).

2. „ნახირი ნელა მიდიოდა ზევით.

მზე უფრო დაიხარა.

კოლოებმა წუილს უმატეს.

ნახირი შარას აუყვა.

სოფლიდან კიცილი ისმოდა. „ალბათ მოკვდა ვინმე“, — გაიფიქრა ვანომ.

ახლა ზევიდან დაუარა კამეჩებს.

კიცილმა იმატა.

ვანომ უაზროდ გაიხედა, მერე ხელი მოიჩრდილა. მზე ისევ ეკიდა სადღაც. „ჯერ ცოტა აღრეა,“ — გაიფიქრა მან და სვლას უკლო. კამეჩები თხრილის კალთზე ამოსულ მტკრიან ჯაგს გლეჯდნენ.

ნელა მიდიოდნენ წინ.

სოფლიდან კიცილი ისმოდა. კიცილის ხმა მატულობდა.

ვანო უყურებდა მზეს და არაფერზე არა ფიქრობდა“

(„სოფლიდან კიცილი ისმოდა“)

3. „ინეკილო ზლაზვნით გადაბრუნდა. ბუზი წამოფრინდა და იქვე დაჯდა. ახლა ის მარჯვენა კეფელს უყურებდა. ცოტა ხნის მერე გულაღმა დაწვა.

კიდევ გავარდა თოფი.

— ისევიან, — თქვა ჩუმად და წამოდგა. შაშხანა კეფელზე ეკიდა. ის სამეფეხაზე ჩამოვდგა და ჩალბობილი ტყავის ამოქნა დაიწყო.

ახლა სანადირო თოფის ხმა მოისმა. ცალეურა ძაღლი წკმუტუნებდა.

„ალბათ მოკლეს ვინმე“, — გაიფიქრა და დანა ამოიღო, მერე ტყავის დაჭრა დაიწყო.

— წელან ტახი მოკლეს, — თქვა მან. — ჰოო...

— ზანდიმ მოკლა.

— მე მეგონა, კაცი მოკლეს, — თქვა მეველემ.

— კაცი არა, — თქვა თათარმა“ („უდაბნოში შუადღეზე“).

ფაქტობრივად, ამ ნაწარმოებში არაფერი არა ქმნის ამბავს, ანუ არაფერი არ გამოდის იმ ჩაკეტილი წრიდან, რომელშიც ტრიალებენ გმირები. თუმცა სამივეში თითქოსდა რეკს უბედურების ნიშანი: ერთგან თოფის ხმა, მეორეგან ადამიანის კიცილი, მესამეში ნახირის დადგომა. თითქოსდა ყველგან მინიშნებულია რაღაცა ამბის შექმნის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაძლებლობა, რომელიც არ ხდება. ეს უბედურების მომასწავებელი სიგნალები აღიქმება მხოლოდ „კოღოს წულად“, „ძაღლის წკმუტუნად“, „დეკეულის დადგომად“ და ისევე აწუხებს მეორეს. როგორც ბუზი, რომელიც წუალით გალფრინდა ვანოს გადაბრუნებისას, მას მერე, რაც მან თოფის ხმა გაიგონა. ან როგორც დაღმართის ბოლოს ნახირის გაჩერება, ან როგორც ნახირის გადარეკვა და სხვა... ყველა შემთხვევაში კაცის სიკვდილი აღიქმება საერთო ცხოვრების ნაწილად. მის ერთ-ერთ ბუნებრივ ნაწილად და არა განსაკუთრებულ შემთხვევად. ერთი მხრივ, აქ ჩანს ბუნებრიობა სიკვდილისა, რომ სიკვდილი ამბავი არ არის („ცოლი ჩუმად ქვითინებდა, მერე თადარიგს შეუდგა“), მეორე მხრივ კი თითქოს იგრძნობა რაღაც დარდი, წუხილი იმის გამო, მნიშვნელობა იმ ფაქტის, რომ ეს ასეა. ამ თვალთაზედეგიდან ნაწილების საერთო სათაურს: „კიდე სამი ამბავი“ შეიძლება გაუკეთდეს ასეთი კომენტარი: „კიდე სამი ამბავი“, რომელიც არ იქცა ამბად. თითქოსდა ყველაფერი ამბის შექმნის ზღვარზეა. სამიგენი არის რაღაც შემართება, რომელსაც მიშინვე მოყვება ამ შემართების დაცხრომა, დაღამესელა. მაგრამ ვნრის, მკითხველის და თითქოს თვითონ მწერლის მოლოდინი არ მართლდება—სიკვდილი არ იქცევა ამბად. ამ მხრივ საინტერესოა გურამის ჩანაწერი „ნელი ტანგოსათვის“, რომელიც ეხმაურება ამ მოთხრობის ზეპირ და წერილობით ინტერპრეტაციებს, რაც მალევე მოჰყვა „ნელი ტანგოს“ პუბლიკაციას: „ღღემდეც კი წარმოიდგინეთ მხედება ხალხი, რომელიც მეკითხება — რა მიზნით დაწერე „ნელი ტანგო“ და ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ეხმარება თავისი ეზოთ გრძელდება. ეს არა ახალი ჭეშმარიტება ცხოვრების თავისი ეზოთ გაგრძელების შესახებ, რასაკვირველია სწორია. მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი, ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს ჩემი განწყობა. როგორც ეტყობა, ნაწარმოებების სუსტი მხატვრულობის გამო შიგ არ ჩანს...“

აქ აღსანიშნავი ერთი მომენტი: „ნელი ტანგო“ დაწერილია 1956 წლის 23 აგვისტოს, ანუ გ. რჩეულიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ თვეებში. გურამის კომენტარი „ნელი ტანგოს“ ვამი კი წარმოადგენს ნაწყვეტს ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი გაუგზავნელი წერილიდან, რომელიც თარიღდება 1959 წლით. ის განწყობა, ის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ, ანუ სიკვდილის ამბად ქცევისაკენ სწრაფვის შეგრძნება, რაც ასე აშკარად გამოიკვეთება გურამის 1957 წლის მოთხრობებში, მისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში. ჯერ ამოტივტივებული არ იყო შეიძლება თვითონ მისთვისაც.

ასე რომ:

ამ ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა ერთი რამ: ამბად შეიძლება იქცეს სიკვდილი. მაგრამ იგრძნობა ისიც, რომ ცხოვრების ორომტრიალში. ყოველდღიურ ყოფაში სიკვდილიც ისევე გაუნმაშვნელოვანებულია, როგორც სხვა ყველაფერი.

სიკვდილთან ამგვარი დამოკიდებულება, მისი გამნიმშვნელოვანება, მისი ამბად ქცევისაკენ სწრაფვა, არა მარტო ამ ნაწარმოებებში, არამედ საერთოდაც გურამის შემოქმედებაში, ეხმაურება ქალაღდის ნაგლეჯზე გაკეთებულ ჩანაწერს მოსკოვში ყოფნისას. გამოდის ასე: ერთადერთ ამბად გურამისათვის თავისი ცხოვრების რაღაც პერიოდში იქცევა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარის გადალახვა (თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ მე მიკადექი ჩემი ძმის ცხოვრების იმ მონაკვეთს, როდესაც სიტყვა

„ამბავის“ ევოლუციაში დგება სრულიად ახალი ეტაპი). ამიტომ არის მწერლისათვის ასეთი მნიშვნელოვანი გარდამავალი სივრცე — ხიდი, „უკვე გადავიარეთ ხიდი!.. ყველაფერი უკან დარჩა“ ან კიდევ: „ხიდზე ვიყავით... სამნელი ფიქრები დამეუფლა...“ — (სხვადასხვა მოთხრობებიდან), გარდამავალი დრო — წუთი. ამ თვალთახედვიდან, როგორც ჩანს, სიკვდილი და სიცოცხლე გურამისათვის ქმნიან ჩაკეტილ სემანტიკურ ველებს...

მწერლის არქივში ინახება რვეულის ფურცლებზე მუქი ლურჯი მელნით, როგორცა ჩანს, მსხვილწვეროანი კალმით ნაწერი გურამის გაუგზავნელი წერილი ერლომ ახვლედიანისადმი (იხ. „მაშული“ 1993 წლის). ამ წერილის ერთ-ერთ აბზაცში კარგად ჩანს, ჩემი აზრით, სიცოცხლის არსის ჩემი ძმისეული აღქმა: „...ეს არის პოემა-ლექსი „ამბავი ვეფხისა და მოყმისა“. ეს ამბავი არის არსი არსთაგადაწყვეტილი საუცხო მხატვრულ ფორმაში აფორიზმებისა და ზედმეტსიტყვაობის გარეშე. ამბავი ბრძოლისა მხოლოდ ბრძოლის გარეშე — ეს არის ძირი არსთა და სხვა ყველაფერი: სოციალური უთანასწორობა, სხვაზე უკეთესობა, არც ღირს ჩამოთვლად... ათასნაირი პატივმოყვარეული, მებრძოლი, ინტრიგანული ამბები, მხოლოდ სანელებლებია, გამანელებელნი ან პირიქით, აღსაგზნები, რომ ხალხი არ იყოდეს უქმად, არამედ იდწოლეს (მიზეზი) — რისთვის. არავინ იცის... ხევსურებმა შემლეს საოცარი სიცხადით დაენახათ, რომ ბრძოლა წარმოადგენს არა მიზეზის შედეგს, არამედ თვითონ მიზეზს შედეგისათვის — დამოუკიდებელ სურვილს, რომ ბრძოლის დროს ცუდი და კარგი ორივე ერთი სურვილით მოქმედებს და ეს სურვილი არის წმინდა... დაუნწეკრებლად აღიქვამ ბრძოლას, მოძრაობას, კაცობრიობის ამ უპირველეს უძველესს თვისებას, ძირს სამყაროსას, როგორც მშვენიერ ლიტერატურულ-ესთეტურ წვს...“

აი, ახლა ამ სიტყვებით გამოჭვალულმა და, როგორც კეთილი მიხვდება, თანდათანობით არამარტო ჩემი ძმის ამ სიტყვებით, შემიძლია ანრი ბერგსონის კვალდაკვალ, თავისუფლად, დაუბრკოლებლად გამოვხატო ბერგსონი — ჩემი ძმა და ახლა უკვე ჩემეული აღქმა სამყაროსი:

„სიცოცხლის სწრაფვა მოქმედებასაკენ სწრაფვაა, სწრაფვა თავისუფალი შემოქმედებისაკენ, რომელიც მსჭვალავს ინერტულ მატერიას და იყენებს მას ორგანოს, მასალისა და ობიექტის სახით“, „სიცოცხლის მოწოდებაა თავისუფლება, თავისუფალი მოქმედება, შემოქმედება, ანუ მატერიის ინერტულობის გადალახვა... წინასწარგანუსაზღვრელ ფორმათა ქმნა...“ „მთელი სამყარო დასახლებულია სიცოცხლის იმპულსით...“ „მთელ სინამდვილეში გადის სიცოცხლის ერთიანი დინება...“, „დანტეს ჯოჯოხეთში ყველაზე ცოდვილნი მოთავსებული არიან ყველაზე შორს მიწისაგან. მათი უდიდესი სასჯელი მდგომარეობს მათ უმოქმედობაში, მათ უმოძრაობაში...“ „ზოგჯერ სიცოცხლის სწრაფვა ვერ ერევა მატერიის ინერციას და ზედმეტად „შეგუებულ“, შეზნულულ და განსაზღვრულ სახეს იღებს. ასე ხდება მდინარეში ცხოველთან შედარებით, ხოლო ცხოველში ადამიანთან შედარებით. მეორე მხრივ, თვითონ ადამიანთა შორის არის განსხვავება. არიან ადამიანები, რომელთა პრინციპი არსებულ მდგომარეობასთან შეგუებაა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც უპირატესად გარდაქმნებსა და ცვლილებებს ესწრაფვიან. სიცოცხლე უმაღლეს დონეზეა ამ უკანასკნელთა ხელში“. „სიცოცხლე შეგუების ელემენტთან ერთად მუდამ შეიცავს შეუგუებლობის, მდგომარეობის დარღვევის მომენტსაც და სწორედ ეს უკანასკნელი შეადგენს საკუთრივ „ცოცხლობის“ მომენტს. ამასთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგუებლობის, მდგომარეობის დარღვევა, ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან და ამდენად „ცოცხლობა“ ყოველთვის „სარისკოა“.

მინოგრაფიის წინა თავებში შიგადაშიგ შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მომყოლა გურამის „ცოცხლობის“ შესახებ, გურამს „ლაგამამოდებული სალამურაც“ კი ვუწოდე. დავწერე ისიც, რომ ბავშვობის ასაკში ეს „ცოცხლობა“ ელინდებოდა სიცელქეში, მოუსვენრობაში, მოუხელთებლობაში, რის გამიც მას ზშირად ეძახდნენ ვერცხლის წყალს.

დიდობაში ეს სიცელქე გამოიხატა არსებულ მდგომარეობასთან პრინციპული შეუგუებლობით. სხვათა შორის, გურამსა და ჩემს შორის განსხვავება სწორედ ამ შეგუება-შეუგუებლობის საბრძოლველზე გადიოდა.

მე ვიფავი და ვარ დამიანი, რომლის პრინციპი არსებულ მდგომარეობასთან შეგუებაა.

გურამის პრინციპი კი იყო შეუგუებლობა, რაც მუდმივად გულისხმობდა „ნებისმიერი მდგომარეობის დარღვევის მომენტს.“ გურამს სადღაც ამოწერილი აქვს ის ცნობილი პასაჟი ფაუსტიდან, როდესაც ფაუსტი დებს ფიცს, რომ არასოდეს არ შეეგუება არსებულ ფორმას, მდგომარეობას და არ იტყვის: „წამო, გაჩერდი!“ განსხვავება გურამსა და ჩემს შორის შეიძლება ცხენების ციცის მოთხრობების მიხედვითაც კი დავახასიათო. გურამი, როგორც ვთქვი, შეიძლება შევადარო სალამურას, თვრთველას, თავისი სწორედაც „ცოცხლობით“, თავისი გავარდნებით, შემართებებით, „რისკებით“,

და მე კი

„კოლა არტისტიც“ გმირთან (ასეა დასათაურებული გურამის ეს მოთხრობა ავტოგრაფში. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ასო „ც“-ს) ან თუნდაც „ესტატეს“ გმირთან — თავ-თავიანთი თავლაში დგომებით, ბუზების მშვიდად მოვერიებებით და სხვა. ასე აღვიქვამ ჩემ თავს რეტროსპექციაში, თუმცა გარეგნულად ახალგაზრდობისას თითქოს ყველაზე ნაკლებ ფეხების ბაკუნსაც კი ვბედავდი და შეიძლება ვინმეს ეფიქრა კიდეც, რომ პირველი სიბრტყისაკენ უფრო ვიხრებოდი ჩემი ბუნებით. არც იყო გასაკვირი: „თავისი ძმის და არ არის!“ „რჩეულას და“... ისე, მოხერხებულად ვაფარებდი თავს იმასაც, რომ გოგო ვიყავი... „აბა, გოგო არ იყოს! არა, გურამ?“

ასე რომ, გურამი იყო ინტენსიური სიცოცხლის მატარებელი. მასში უმაღლეს დონეზე იყო გამოვლენილი სიცოცხლე ანუ მოქმედებისაკენ, მოძრაობისაკენ სწრაფვა... და ეს ჩანდა ყველაფერში. ასე აღიქვამდა მას გარემო. გაიხსენეთ, მგონი, ოტია პაჭკორიას სიტყვები: „გურამ რჩეულიშვილი აკეთებს იმას, რაზეც ჩვენ ვოცნებობთ“, მასში, ჩამგან განსხვავებით, თავიდანვე იყო ჩადებული ვერშეგუება წინასწარგანსაზღვრულობასთან... ამიტომაც ვერ ეგუებოდა ის მატერიის უმოძრაობას, ინერტულობას და მუდმივად ცდილობდა მის დაძლევას. არ გამოვრიცხავ, რომ გურამმა თავისუფლების მოედანზე 1957 წელს თოფი ესროლა უამბო გარემოში სიკვდილის მსგავს შეგრძნებას, ანუ წინასწარგანსაზღვრულ, გაშეშებულ, გაქვავებულ, „შეგუებულ“, შეზღუდულ სივრცეს, რომელშიც სიცოცხლის სწრაფვა, სიცოცხლის მოწოდება, სიცოცხლის იმპულსი დანტეს ჯოჯოხეთის ყველაზე შორეული წერტილივით მხოლოდ იგულისხმებოდა. ეს იყო ალბათ ერთადერთი სროლის ხმა, რომელიც ათასი ზარბაზნის ქუხილად დაიშალა მაშინ, უხმო, უსიტყვო, შეზღუდულ გარემოში. მისი ხმა დღესაც გაისმის, ალბათ, იმიტომ, რომ ამ უმისამართოდ ნასროლ ტყვიას ჰქონდა თავისი ფუნქცია.

გურამისათვის საოცრად ძნელად შესაგუებელი იყო სხვაში (რაც მისთვის იგივე იყო, რაც თავის თავში) ქრონოლოგიური დროის ულმობელი მსლელობის შეგრძნება, რაც ნიშნავდა ასაკთან ერთად ადამიანში მისი არსის, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლისაკენ სწრაფვის იმპულსის შენელებას, შესუსტებას, დაკნინებას და შემდეგ მთლად გაქრობას. ამას ის ჭვრეტდა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში. ამიტომაც წერდა გურამ გეგეშიძე თავის მეგობარზე ალბათ — გურამის მოთხრობები ხალვეებია, თორემ როგორ შეიძლება სხვაფრივ ასე ადრეულ ასაკში თუნდაც მოხუცებულობის ასაკი განცდები განჭვრეტოს ახალგაზრდამ. ეს კარგად ჩანს ბევრ მოთხრობაში: „ქოტეს ოწეა და კვეფიდან“, „შემიდგომა ბაბუა კოტეს“, „კისკისებენ ქალები“, „სიყვარული შემოდგომაზე“, ცხენების ციკლის ნაწარმოებები და ა. შ. ეს იგრძნობა რჩეულიშვილის ყველა ნაწარმოებში; იგრძნობა ისიც, რომ სივრცეში მყოფობაში, მატერიის მოძრაობაში, ანუ სივრცეში ადგილის შეცვლაში, გადადგილებაში: დღეს თბილისშია, ხვალ ხევსურეთში, — ე. წ. გარე სიუჟეტურ ხაზში, მუდმივად არის ორი სხვადასხვა ადგილი, მუდმივად არის ხაზვერი, მიჯნა, შემოფარგლული სივრცე, შემოფარგლული დრო: მაშინ — ახლა, დღეს — ხვალ. სამყარო განფენილობაში ულმობლადაა დაჩეხილი, დაყოფილი შეუვალ სემანტიკურ რიგებად, ანუ ერთმანეთისათვის შეუვალ სამყაროებად. მაგრამ იგრძნობა კიდევ ისიც, რომ დანაწევრებულ სამყაროში გადის სიცოცხლის ერთიანი დინება (ნუთუ შეიძლება დადგეს ისეთი დრო, რომ სამყაროს ეს მთლიანობა, სიცოცხლის ეს ერთიანი დინება ხელშესახები გახდეს ჩემთვის არა გონებით, ინტელექტით, არამედ მთელი არსებით, გრძნობა-გონების ერთიანობით, ისე, რომ ყოველმა გაჭყლეტილმა ჭიანჭველამ თუ ტარაკანამ ჩემს გულსა და სხეულს დაამჩნიოს თავისი კვალი...)

თუ მაგალითად ავიღებთ ისევ 1957 წლის იგივე „ამპებს“, ვნახავთ, რომ ამ ფაქტის კონსტატაცია გამჭოლი ხაზივით გასდევს მათ: ალ, ერთ-ერთში ტყის ბილიკზე გდია მკვდარი ტურა, რომელიც სულ ორიოდე წუთის წინ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის გაგაფთრებით გაურბოდა გიას და ძაღლს. აი, ის გია, რომლის სადარდებელი მას შემდეგაც, რაც ტურა გამოასალმა სიცოცხლეს, მთლიანად, განუყოფლად არის დახეული პერანგი. იგრძნობა, რომ მისი დარდი, რომელიც, როგორცა ვთქვი, დახეულ პერანგს ეხება, ისეთივე უფლების მქონეა, როგორც უფლების მქონე იყო ტურის სწრაფვა — აეცდინა ტყვეა. ბუნებრივია სხვა „ამბიდან“ ის, რომ მონადირეებმა ესროლეს ბაჭვიას, ისევე როგორც ის, რომ ბაჭვია, ტურასავით აკანკალებული, სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობდა. და ის, რომ სულ წუთების წინ მისი ბედნიერი არსებობა მოულოდნელად შეწყდა. იგრძნობა ტკივილი ამ ბუნებრიობის გამო, რომ თავის ადგილზე ყველა მართალია. ისე როგორც „სადღაც ვიწროებში“ ჩანს ბუნებრიობა ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებაში. „ხეივნი ჭირის“ არსებობის. აი, მაგალითად, თუნდაც „ლოდნაწი“, რომელსაც აშკარად ეგავური ხასიათი აქვს, ყველას თავისი ადარდებს, ყველა თავისას ფიქრობს: ცხენს ფეხი სტკივა და ძლივს დგას, კაცი თავისას დარდობს: გაყიდის თუ არა მაწონს და თუ გაყიდის, რამდენს აიღებს იმ მაწონში. სავსე ხურჯინით რომ ჰკიდია ცხენს, რომელიც ძლივს იმაგრებს ნატკენ ფეხს. გურამთან ორგანულად გადადის ერთმანეთში სულიერი და უსულო სამყარო, ადამიანთა და ცხოველთა სამყარო. ბუნება აღიქმება თავის მთლიანობაში: მიწა სუნთქავს, წყალი მოძრაობს, გამხმარი ფოთლი ძლივს შრიალებს, ცხენი მოწყენილი იფურება და სხვა. მაგრამ ისე, როგორც ცხოვრებაში, ეს ერთიანობა იგრძნობა შიდა სიუჟეტში, სტილისტიკაში, მხატვრულ ფორმაში, საფუძველში და არ არის ის სიუჟეტის ნაწილი, არც ვისიმე მსჯელობისა და ლაპარაკის საგანი, ვთქვათ, თუნდაც ისე, როგორც „ზვლის ნუკრის ნაამბობშია“ ან „ზმელ წიფელში“. ეს არის სამყარო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც ცხოვრობს თავის ველში ჩაკეტილი ადამიანი და იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი ვერ აღიქვამს სიცოცხლის ერთიანი სწრაფვით აღბეჭდილ ამ ერთი და იგივე სხვადასხვა სამყაროს, ამ ველებს შორის ზღვარი უძირო, გადაულახავ უფსკრულად იქცევა.

„დათუნა, დათუნა“ — აი, კიდევ ერთი მოთხრობა რჩეულიშვილის მემკვიდრეობიდან. ამ მოთხრობაში ძამა დაბადების დღეზე თავის პატარა შვილს დავაჟკაცების ნიშნად აჩუქებს სანადირო თოფს და ეს დავაჟკაცებული შვილი, საჩუქრით გახარებული, იმ წუთას, როდესაც უზრუნველად ხეზე შემომჯდარი ჩიტის დანახვისას თოფს ჩახმახზე შეაყენებს, მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ჩიტი, როგორც ის, ცოცხალი არსებაა... ასეთ წერტილში გურამის შემოქმედებაში ხდება სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული სამყაროების ურთიერთშეღწევადობა, ერთიმეორეში შესვლა, ინტერფერენცია... ასეთ შემთხვევებში გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში ჩაკეტილი სამყაროები იხსნება...

მაშ ასე!

სიცოცხლის ერთიანი სწრაფვის ნიშნით აღბეჭდილი სამყაროები არსებობენ ერთმანეთის გვერდით, არსებობენ ერთმანეთში და ეს არსებობა არის მხოლოდ მექანიკური, ფიზიკური ერთად ყოფნა და მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ერთიანობასთან, რადგან ჭეშმარიტი ერთიანობა შეიძლება მხოლოდ შინაარსის დონეზე განხორციელდეს. ადამიანისაგან აღუქმელი, შეუგრძნობი სამყაროს გამაერთიანებელი სიცოცხლის ამპული არარსებულია ცალკეული ადამიანისათვის, თუ მისი ანუ ამ ცალკეული ადამიანის სიცოცხლის პულსაცია არ მოვიდა თანხმობაში გარე სამყაროს სიცოცხლის პულსაციასთან, თუ ერთმანეთს არ დამეთხვა მათი რიტმი, ამის გარეშე არაფერსა აქვს აზრი...

რა მსჯელობას შეიძლება ჰქონდეს აზრი, რა ერთიანობაზეა ლაპარაკი, როდესაც დღეს, დილით, როდესაც ხაფანგიდან გამოვიღე პატარა წრეწუნა და როდესაც მოვისროლე გადასაყრელად გამზადებულ ნაგვის ვედროში და როდესაც შემდეგ ავიღე ქაღალდის ნაგლეჯი და საგულდაგულოდ ზიზღით დავიწყე სასწრაფოდ, ნაჩქარევად სისხლის კვალის წშენდა, ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ მოელი ამ ამბიდან, მთელი ჩემი დღის საქმიანობიდან მადარდებდა მხოლოდ ის, რომ არ დავენახე ჩემს შვილს, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგია ხაფანგებისა საერთოდ. მადარდებდა კიდევ ის, რომ ვედროში ჩაგდებული თაგვის გამო იმ დღეით აუცილებლად უნდა გადამეყარა ნაგავი. ეს კი სამნილად მეზარებოდა, რადგან ვიპარებდი მუშაობას, რაც ნაგავთან ურთიერობის შემდეგ წარმოუდგენლად მიძნელდებოდა, მირთულდებოდა. სადღაც, სიღრმეში „რაცხა გამკრასავით“ ცოდვის შეგრძნებამ, რასაც მივაყოლე, კმაყოფილმა იმით, რომ რაღაც მაინც ვიგრძენი, ლოცვა. ღმერთს ვთხოვე პატიება. შენდობა. მოკლედ, იყო ყველაფერი, გარდა იმ შეგრძნებისა, რომ თავგასრესილი წრეწუნა ხაფანგზე დაღერილი სისხლით სულ ცოტა ხნის წინ იყო ცოცხალი, როგორც მე ვიყავი ცოცხალი იმ წუთას, როდესაც მას ხაფანგიდან ვიღებდი და როდესაც მისი სიცოცხლის ნიშანს — სისხლის კვალს, საგულდაგულოდ ვწმენდდი. იმ მომენტში არ გამხსენებია, რომ ის იყო ცოცხალი სამყაროს ერთ-ერთი საკმაოდ ძლიერი სემანტიკური ველის წარმომადგენელი, რომელსაც შეიძლება ვირთხა-თაგვების სემანტიკური ველი ვუწოდოთ, რომ ამ ველში იყო თავისი წესები ცხოვრების, სიცოცხლის გატანა-შენარჩუნების. და მისი თითოეული წევრი, ისე როგორც ადამიანების ველში, იბადებოდა თავისი მსგავსისაგან. არ გამხსენებია მაშინ, რომ ეს უცნაური ცხოველები, ე. წ. მღრღნელები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტობრივად, ცხოვრობენ ჩვენთან ერთად, რაზეც ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ დაუზეჭოთ თვალი. და რომ ისინი საკმაოდ უცნაურ ცხოვრებას ეწევიან (შეიძლება სულაც ჩვენ ვეწევით უცნაურ ცხოვრებას! გააჩნია რომელი კუთხიდან შეხედავ მოვლენებს) ჩვენი საცხოვრებელი სახლის ოთახებქვეშეთში, კედლებში, გვირაბებში; რომ მათ ამ ჩვენს(?) ოთახებში, სახლებში აქვთ თავიანთი საყვარელი ტრასები, რომელნიც ძირითადად სურსათ-სანოვაგის სიახლოვეს გადის. და განა ეს ბუნებრივი არ არის! აქვთ თავისი საყვარელი კერძები. — მაგ. მოხალული ნიგოზი, ქონში ამოვლებული პური, ლორის ქონიანი ქერქი და სხვა... ჩვენ, ადამიანები და ვირთხები (მამა: „მარინე, საიდან აიღე ეს „ვირთხა“, არ ვიცი. არც რქები აქვს თხასავით და არც დიდი ყურები, ვირივით“) ვცხოვრობთ საოცარ სიახლოვეში; მეტი რაღა სიახლოვე შეიძლება, როდესაც ლოგინში მოულოდნელად აღმოაჩენ თაგვის ცურცლს. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ და თაგვს რაღაც მიმენტში საერთო სარეცელი გქონდათ! ასე ვცხოვრობდით ჩვენ ომის დროსაც. გაიხსენეთ გურამის „სათაგური“ (ოჯახური იდილია). ეს მეც მახსოვს, მამა, ღამით თავის სამუშაო მაგიდასთან კალმისტრით ხელში და თან ცალფეხსაცმელმიძარჯვებული, თაგვს დადარაჯებული, როგორ იკმაყოფილებდა ხოლმე, არცთუ ისე იშვიათად, თავის მონადირული ინსტინქტს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ოჯახს აცილებდა საზამთროდ შემონახული სანოვაგის მონაწილეს და ინფექციის პოტენციურ მატარებელს... ეს ფაქტია; ჩვენ და თაგვები ვცხოვრობთ საოცარ სიახლოვეში. ამ მხრივ უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ბაღლინჯოს, რომელიც, ღვთის წყალობით, „ჯერ არსად ჩანს“. რადგან თაგვისაგან განსხვავებით, ადამიანი თავის ლოგინშა შეიძლება აღმოჩნდეს არა თაგვის ცურცლთან, ანუ სხვა სემანტიკური ველის ცხოველის დანატოვარ კვალთან ერთად, არამედ ამ სხვა სემანტიკური ველის ცხოველის წარმომადგენელთან უშუალო სიახლოვეში, არათუ ერთად, არამედ ერთმანეთზე, უშუალო შეხებაში, როდესაც ერთი, უბრალოდ, აზის ზედ მეორეს იმიტომ, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, გამოსწოვოს სისხლი, და რომლის ლაქის მახედვითაც მხოლოდ, ამ სხვა, შენგან, განსხვავებული სემანტიკური ველის ცხოველთან უშუალო შეხების მომენტის არსებობა იძულებული ხარ, რომ აღიარო. მახსოვს ძლიან კარგად ომის დროს ბაღლინჯოებთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხი, რომელთაგან განსაკუთრებით მოყვარდა, მომწონდა გარეთ გატანილ ნიკელის საწოლებზე ჩვენი უზარმაზარი ბებოსეული ჩაიდნიდან მდუღარე წყლის წვეთ-წვეთად დასხმა... ვიხსენებ ისევე გამწარებით თაგვებს და მინდა მოვახდინო იმ ფაქტის კონსტატაცია, რაც აშკარად ჩანს: ჩვენი, ადამიანების და თაგვების სემანტიკურ ველებს ერთმანეთი აბსოლუტურად ჰკიდიათ ფეხებზე, ჩვენი სემანტიკური ველები ერთმანეთისათვის აბსოლუტურად შეუვალნი არიან. განა თაგვები კი სამაგიეროს იგივე გულგრილობით არ გვიხდიან? განა იმით კი ვედარდებთ, როდესაც, ახლა უკვე ცეცხლის ფასად ნაშენი წიწიბურის პარკს კბილებით ვლეჯავენ, იატაკზე მიაპნ-მოაპნევენ, ზედ მიცურცლ-მოცურცლავენ, — ნეტა ჭამდნენ მაინც, — და მხოლოდ აი, ასე, შეიძლება თავის გასართობადაც კი, რამდენ ზიანს გვაყენებენ იმით, ვის ხარჯზედაც ცხოვრობენ პარაზიტები! განა ჩვენ კი არ გვიმწარებენ ცხოვრებას ისინი? განა თაგვისაგან გამწარებულები არ დავდევთ გაუთავებლივ უჯრებს, ქილებს, ქვაბებს, თავსახურავებს, ხვრელებს... მოკლედ, სიმართლე რომ ითქვას, გამოსავალი არცა ჩანს... ამ ვირთხა-თაგვების შემოსევას წინ უძღოდა, ხელი შეუწყო ჩვენში შემოსულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზრო ეკონომიკამ, ანუ კომერციული მაღაზიების სოკოებივით მომრავლებამ, რაც ნიშნავდა წლობით და წლობით მივიწყებული წყლითა და ნაგვით სავსე სარდაფებში ადამიანების ჩასვლას და იქიდან მათი მუდმივი ბინადრების, ანუ თაგვების გამოსახლებას. გულისამაჩუყებელია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც თაგვები თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ფართიდან იქნენ გამოძევებულნი, მათ გათხარეს ტრასები, გვირაბები და რეალურად გაიერთიანეს მართალია, მიწის ქვეშეთიდან, მაგრამ მაინც, ზეაღდასტებად, ანტიზვიადისტებად და ყველაფრის ფეხებზე დამკიდებლებად დაჩეხილი ჩვენი უზარმაზარი სახლი დავთიათშვილის 4 ნომერში. ადამიანების გამაერთიანებელი ვირთხა-თაგვების სემანტიკური ველი! ასე აშკარა, ასე ხილული, ასე თვალით დასანახი და მაინც ასე აშკარად აღუქმელი!

თუმცა ერთხელ აშკარად აღვიქვი, რომ წრეწუნამ მე და ჩემმა შვილიშვილმა რაღაც მომენტში ერთი და იგივე კაკლით გავთიათშა-გამოვთიათშეთ... ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ — დღისით, იმ საწყალმა კი მხოლოდ ღამით ჩაიგდო ხელში ეს სათამაშო და, როგორც ჩანს, მთელი დღის განმავლობაში დადარაჯებული, ისეთი გააფთრებით ეცა, ისე გააფრთებით დაიწყო მისი გაგორებ-გამოგორება, რომ ღრმა ძილში ჩაფლულ მე და ჩემ შეუღლეს ორივეს გამოგვეღვიძა, ორივე ერთდროულად მივხვდით, რომ ეს იყო კაკლთან მოთამაშე ჩვენი თაგვი და საღ-ღაც, გულის სიღრმეში თბილისბანქვეშმოქცეულებს გვესიამოვნა კიდეც, რომ ასე ძლიერი იყო ამ იატაკქვეშეთში მობინადრე არსებაში სიცოცხლის იმპულსი! რამდენად ახლოა სამყაროსთან ძილუურანში მყოფი ადამიანი! რამდენად უფრო გაფერმკრთალებულია ზღვრები, ბარიერები... აი, ასეთი პრობლემები შეგვექმნა ოჯახში და თითქოს მიხარია კიდეც, რომ ასეთ, მშიერ, არეულ, დაქცეულ ქვეყანაში, როდესაც მთელი ჩვენი დიდი ოჯახი ჩვენს ციხე-კოშკში, როგორც ჭეშმარიტი ფორსაიტები, საღამოობით ვუსხდებით ხოლმე ტელევიზორის წინ დაბალ მაგიდას და, მიუხდავად პატარ-პატარა განხეთქილებებისა ტელევიზიის პროგრამებთან დაკავშირებით და პატარა აღექსანდრეს ცელქობებისა, მამაჩემის ხელმძღვანელობით მაინც ერთად მივირთმევთ ხოლმე მურაბაიან ჩაის და როდესაც ზოგიერთი ოჯახის წევრი მურაბის გარდა ჩაის შაქრითაც კი აბკბობს და ბავშვები ხანდახან მიირთმევენ ყველს, ჩვენ კი მამაჩემის ჩაგდებულ ლორის ნაჭერს (სხვათა შორის, იმავე ლორის ტყავიან ქონს მიირთმევენ ხოლმე თავისი საკუთარი ხაფანგიდან ჩვენი ვირთხაც ყოველ ღამით, არსებობისათვის საჭირო საკვების მოსაპოვებლად თუ უბრალოდ პირის ჩასაგემრიელებლად!), მიხარია, რომ აბაშიძეებთან ჭერის ჩამონგრევის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. თითქმის ყველა ოთახში ჩამოწოლილი ე. წ. „ბაიაზი“ ანეკდოტების მოყოლის ბევრ საშუალებას იძლევა ახლაც. თუ მაშინ კინოში დაგვიანების შიშით აჩქარებულებმა ჩვენს სამზარეულოში მოულოდნელად ჩამტვრეულ ფანჯარას ფიცრები ავაკარით კინოდან დაბრუნებამდე, რაც სამუდამოდ შერჩა მას, ახლა შუშაბანდის ჩამტვრეულ ფანჯრებს დედაჩემი ფქვილისაგან მოდულებული წებოთი აკრავს ხოლმე ორმაგ გაზეთს, ისევ დროებით და ისევ სამუდამოდ, ალბათ, დედაჩემსაც უხარია, რომ არაფერი შეცვლილა ჩვენს სახლში. ისევე ვებრძვით თაგვებს, ისევე უბერავს ღრჭოებიდან ზუზუნა ქარი, ისევე ვიმარაგებთ ნავთსა და სანთელს, როგორც ომის დროს, მაშინ, როდესაც რენინგერის ქუჩაზე ვცხოვრობდით. თუმცა ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახან გვენატრება ხოლმე ჩვენი ღუ-ღუნა ნახერხის „ფეჩი“, რომელიც ლარსის ქუჩაზე უკვე კაფელის „ფეჩით“ შეიცვალა. ცხადია, ვიცი, რომ ჩვენი სახლი გამონაკლისი არ არის. რომ არც მაშინ იყო ის გამონაკლისი, როდესაც თითქმის რამდენიმე წელიწადი ერთდროულად მოდიოდა ცივი და ცხელი წყალი. როდესაც თაგვი, სანთელი, ნავთი, „ფეჩი“, ხაფანგი, ის იყო, ისტორიად უნდა ქცეულიყო. იქნება ღმერთმა მთლად არ მოგვატოვა და იმიტომ მოგვივლინა დღეს თვალით ასე აშკარად დასანახი, აღსაქმელი გასაჭირი, რომ მოგვიწყოს ყოველდღიური, ყოველწამიერი გამოცდა... რამდენად შეგვიძლია კარზე მომდგარ გაჭირვებულ ადამიანში დავინახოთ თვითონ მაცხოვარი... ჩვენი ოჯახი ამ გამოცდას ხან უძლებს, ხან ვერა და ელიზიანდებით... მერე ვლიზიანდებით იმით, რომ გაველიზიანდით და ველოდებით ახალ შემოხვევას, რომ გამოვასწოროთ ძველი, რაც ისევ ხან გამოგვდის, ხან ვერა...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მაღლაფერიძე

სისხლი სისხლით არ გაიბანება

პიესა 2 მოქმედებად და 4 სურათად

მოქმედი პირნი:

რომანოზ ჯაში
რატი ტურაძელაძე
გიგოლა
ფილიპე კილაძე
ციცა – რატის მეუღლე
ეთერი – გიგოლას მეუღლე
ბოჩია
ზოსიმე
პიჭამიანი გაბავლელი

I მოქმედება

სურათი I

ზაფხულია. უკან, მთაზე, ავარაკი მოჩანს.

შემოდიან: რატი და გიგოლა.

რატი – ამდენი სიარული უკვე აღარ შემიძლია; ძლივს ვითქვამ სულს.

გიგოლა – მეც დავიღალე (ქვაზე ჯდება). თან დღეს ძალიან დაცხუნა.

რატი – ადრე უნდე წამოვსულიყავით. შენ შუადღემდე ლოგინიდან ვერ აგაგდებს კაცი. ასე ადვილი რომ იყოს სამოსახლოს მიგნება, ამდენ ხანს კი არ ვიწანწალებდით. ეჰ, მუხლები მღალატობენ უკვე, სიგარეტის ბრალია.

გიგოლა – მეორე კვირაა, რაც დავიძებთ, არა?

რატი – მეცხრე დღეა. ე, ჩემი სახლი რა კარგად მოჩანს აქედან, ხედავ?

გიგოლა – ყველა ერთმანეთს გავს და...

რატი – ცაცხვების გვერდით. შენი სახლის მარტო სახურავი მოჩანს, კლუბი ეფარება. ვერც ცაცხვებს ხედავ? რამ დაგაბრმავა ასე.

გიგოლა – ყოველი გოჯი მიწა გაყიდულია; რა აზრი აქვს სამოსახლოს ძებნას... უჰ, მომწყურდა ძალიან.

რატი – გააყოლე თვალი იმ ცაცხვებს. ასე, პირდაპირ.

გიგოლა – ვხედავ, ვხედავ; მომათქმევინე სული.

რატი – შენისთანა კაცი სამოსახლოს ვერ მიმაგნებინებს ნამდვილად.

გიგოლა – აქ ყველა ადგილი კარგია. თუ მოგცეს, რა თქმა უნდა.

რატი – შვილისთვის მინდა, მტრისთვის ხომ არა. ხრიოკი და უწყლო შეუურჩიო ბიჭს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიგოლა — რატომ! მიწა ნამდვილად კარგია აქ, ქოლგა რომ ჩაარჭო, მეორე დღეს კვირტებს ამოიყრის.

რატი — წყალიც იქნება, ალბათ, ახლომახლო (**ჯოხით მიწის ჩიჩქნას იწყებს**), მაგრამ მიგნება არ გინდა?

შემოდის რომანოზი

რომანოზ — გამარჯობათ.

რატი — რომანოზს სიცოცხლე და დღეგრძელობა. (**გიგოლას**) იცნობ, ხომ? ჩვენი მეტყევეა, აქაურობის მცველი, დიდებული კაცი.

ვიგოლა — როგორ არ ვიცნობ. გამარჯობათ.

რატი — ჩიტი ვერ გადაფრინდება ამ ტყეში პატონ რომანოზის ნებართვის გარეშე, აბა!

ვიგოლა — კი, მეც გამიგია ეს.

რატი (რომანოზს) — ჩამოჯექი ცოტა ხანს, დაისვენე. პატარა ქოხის ჩასადგმელი ადგილისთვის ვერ მიმიგნია თითქმის ორი კვირაა, ჩემი ბიჭისთვის ვეძებ, დავაქორწინე, როგორც იქნა და, ხომ იცი, ყველას თავისი კუთხე უნდა... შენ როგორ ფიქრობ.

რომანოზ — აბა, რა ვიცი.

რატი — აბა! ყველაფერი იხარებს, ჩემი აზრით (**ისევ ამოჩიჩქნის მიწას**). რას იტყვი შენ. დდებული მიწაა, ნოყიერი.

რომანოზ — კი, ვერ დაიწუნებ.

რატი — რამდენი წლის ხარ, რომანოზ, არ დამიმალო, თუ კაცი ხარ.

რომანოზ — სამოცდაათს გადავაბიჯე.

რატი — ხედავ შენ? ამდენის არ მეგონე ნამდვილად.

ვიგოლა — (რომანოზს) აქ სადღაც ეკლესია ყოფილა ახლომახლო, გამიგია.

რომანოზ — იყო, კი. დაანგრიეს.

რატი — აბა, რას იზამდნენ! ეჰ, ჩვენი უბედურება ისაა, რომ ერთმანეთს ვჭამთ. ასე გვგონია, რომ მუდამ ვიქნებით ამ ქვეყანაზე. სიკვდილი არაევის ახსოვს. რას იტყვი, რომანოზ.

რომანოზ — აბა, რა გითხრა. ყველას თავისი აზრი აქვს.

ვიგოლა — (რატს) კაი რაღაც გამახსენდა, დამიგდე ყური. ამას წინათ გურიაში ვიყავი ერთ ოჯახში სტუმრად. იმ სუფრასთან ორი ახალშერიგებული მეზობელი იჯდა. ადრე თურმე სასიკეთილოდ დასდევდნენ წალდებით ერთმანეთს. მასპინძელი გახარებული და კმაყოფილი იყო და სულ ძმობის და სიყვარულის სადღეგრძელოებს სვამდა. ძველი მტრები კი წამდაუწუმ ეხვეოდნენ ერთმანეთს. თამადა ჩემთან გადმოვიდა ალაეერდს და მეც მოვინდომე მეთქვა რაღაც დასამახსოვრებელი, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ძველი დაუძინებელი მტრების გასაგონად.

რატი — გატყობ, რაღაც სისულელე წამოროშე.

ვიგოლა — ჩემდა საუბედუროდ, ერთი ფილოსოფოსი მომაგონდა... სულ უბრალო რამაა საჭირო, როგორც ერთმა ბრძენმა თქვა-მეთქი: როცა დილით გავიღვიძებთ, ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა უთხრას საკუთარ თავს, ეს ჩემი უკანასკნელი დღეა და ამ პრინციპით იცხოვროს-მეთქი ქვეყანაზე. ხომ უბრალო რამაა! როცა ადამიანს ეცოდინება, რომ ის დღე უკანასკნელია მისთვის, ცუდისთვის და ბოროტი საქმისთვის ვეღარ მოიცლის. შვიდ თუ რვა საათს აღარ მოანდომებს ანონიმური წერილის წერას, შური აღარ შეჭამს, აღარავის ლანძღავს და აგინებს. რომ დააკვირდე, მართლაც ასე არ უნდა იყოს? თუ მეცოდინება, რომ დღის ბოლოს მოვკვდები, სიგლახისთვის მეცლება? მგონი, არა. ყველა გეყვარება მაშინ, შინაური თუ გარეული და ეცდები, სიკეთის გაკეთება მოასწრო. იქ კი, სუფრაზე, იმ ორი ახალშერიგებული მეზობლიდან ერთ-ერთმა, იცი, რა მითხრა? იმწამსვე, დაუფიქრებლად, გაჯავრებული ხმით: მაი რომ ვიცოდე, სალამმდე სულ ამოვეუჭავ ყველასო.

რატი — (იცინის) კარგადაც უთქვამს. რას იტყვი, რომანოზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანოზ — რა ვიცი, აბა...

რატი — (გიგოლას) ხომ ჩაგიგდო ენა მუცელში!

ბიგოლა — შენც იმისთანა ხარ — სულით და ხორცით!

რატი — კი, ბატონო. არც ვმალავ. რა ვქნა, ჩემდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ასეთი გაეჩნდი ამ ქვეყანაზე. ღმერთის რომ მწამდეს და მისი შიში მქონდეს, სხვანაირად ვიჭიკჭიკებდი, ალბათ. ო, ჰო, ჰო, ჰო, ისევ დაუბერა ნიავმა. მოვითქვი სული. არა, ხევს გამოდმაც კაი სამოსახლოებია ნამდვილად. აქვე ახლო, ფერდობზე რომ მომცენ ადგილი, ორსართულიან კოპწია სახლს დავუდგამდი ბიჭს და მოვისვენებდი მერე მისი დედლუნისგან **(ისევ ჩიჩქნის მიწას ჯოხით).** ტერასებიც კარგად გაკეთდება ამ ფერდობზე. ყველაფერი იხარებს აქ. ისეთი მიწაა, ალბათ, ძვირს აფასებენ. კი, ნამდვილად ასე იქნება. არა, მართლა რა ლამაზად მოჩანს აქედან ჩემი სახლი. აშენებული და გამზადებული ვიყიდე იღბლად. იაფად-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი წვალებაც არ დაჭირვებია. აქ კი, ამ ადგილში დღეს ზღაპრულ ფასს მოგთხოვენ. ხომ მართალს ვამბობ, რომანოზ?

რომანოზ — რა ვიცი, აბა.

ბიგოლა — (რატის) არ გაეუფეფთ სახლისკენ? ბაზარშიც ხომ უნდა შევაროთ.

რატი — (ბიწას ჩაცქერის) ეს რა არის! რა არის ეს! ძვლები! ხედავ? ადამიანის ძვლები! შეხედე! თავის ქალა!

ყველანი წამოდგებიან და მოჩიჩქნილ მიწას ჩაეცქერდებიან.

პ ა უ ზ ა

ბიგოლა — იქნებ სასაფლაო იყო აქ ძველად?

რატი — აი, კიდევ ძვლები! ხედავ, რამდენია?! აქაც! ძველი საფლავებია ვითომ? აი, კიდევ, აი, აი!

ბიგოლა — კი, მაგრამ ჩონჩხი უფრო ღრმად არ უნდა იყოს მიწაში? აი, კიდევ თავის ქალა! სასაფლაო არაა ეს!..

რატი — იქნებ უძველეს სამარხებზე ფეხაკეფილი, ფეხაკეფილი, ფეხაკეფილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბოლა — არაფერი ჩვენ არ ვიცით, ჭურში ვართ ყველანი. ზღვა სისხლი შესვეს და.. შერჩით! ვინ თხოვს პასუხს! მაგრამ სულ მალე ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ოღნავადაც არ მეპარება ამაში ეჭვი. მკვდარ, აშმორბული კერპებს გაასამართლებენ და კანალიზაციაში გადაუძახებენ. ამის დროც მოვა.

რატი — ეჰ, მე და შენ ვინ გვეკითხება ბალი ათი შაურიაო...

ბიბოლა — ფუი!.. ქოსა მოდის.

რატი — ბოჩია? აგვიკლებს ახლა ლაქლაქით.

ბიბოლა — ვინავსება მაგის ლანახვაზე. თან სულ ცუდი ამბავი აკერია ენაზე.

რატი — ჰო, მაგის მოსაწონი ამინდიც არ არსებობს.

ბიბოლა — ახლაც კლუბის გამგეა?

რატი — გამოაგდეს, მგონი, არა რომანოზ?

რომანოზ — დიდი ხანია.

რატი — საზეიმო სადამოებს არ აწყობდა თურმე მაშინ, ყოველ დღე რომ ტაშ-ფანდური ისმოდა და პანლურიკრეს.

ბიბოლა — თუ ასე იყო, კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას.

შემოდის ბოჩია.

ბოჩია — გაიგეთ?

რატი — ჯერ გამარჯობა რომ გეთქვა, აჯობებდა, მგონი.

ბოჩია — ეჰ! (**ხელს ჩაიქნევს**).

რატი — რაო, მოხდა რამე?

ბოჩია — ბავშვი გაიტაცეს ბანდიტებმა და გამოსასყიდ ფულს ითხოვენ თურმე უთვალავს.

რატი — რაო, რაო?!

ბიბოლა — ვისი ბავშვი?

რატი — როდის მოხდა ეს!

ბოჩია — აგერ ახლა, შუადღისას. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ბავშვია. დიდი სკვერი გოცებული ხალხითაა სავსე (**ადის**).

ბიბოლა — ხომ გითხარი! ამიტომ მეჯავრება ამ ქოსას დანახვა. ახლა უბედურება აკერია ენაზე.

რატი — ჰო, მაგრამ ბოჩია რა შუაშია ახლა... ეს ამბავი გიკვირს?

ბიბოლა — საუბედუროდ, არა.

რატი — დღისით მზისით იტაცებენ ბავშვს! ფუი, ჩვენი ყოფა რა ვთქვი მე!.. შენ სკვერი ამოიარე, რომანოზ?

რომანოზ — არა, ჭალაში ვიყავი, იქიდან მოვდივარ.

რატი — ვისი ბავშვია, მაინც, ა?

ბიბოლა — მართალი თქვა ქოსამ: სულ ერთი არაა, ვისიცაა? ხომ ხედავ, უპატრონო ხალხი სადამდე მივიდა.

რატი — (**ნიშნისმოგებით**), — ტყვეებს ვინ ყიდდა წინათ ჩვენში! ეჰ, არც მაშინ დაფრინავდნენ ანგელოზებივით ცაში.

ბიბოლა — ჰო, მაგრამ, ისინიც ისეთივე ურწმუნოები იყვნენ, როგორიც მე და შენ ვართ დღეს. ცარიელი და გამოფატული ხალხი მაშინაც ცხოვრობდა. ასი წლის მერეც ასე იქნება... ავდგეთ, წავიდეთ, სკვერში შევიაროთ. იქ გვეტყვიან, ალბათ, სად და როგორ მოხდა ის უბედურება.

რომანოზ — ჩემი ძმა ოცდაოთხში ტურძელაძემ დალუპა.

პ ა უ ზ ა

რატი — (**გაოგნებული**) როგორ?!

რომანოზ — (**რატის**) აქ. ამ ჩვენს, ხადაც შენი სახლი დგას, ჩემი ძმა დახვრიტეს.

პ ა უ ზ ა

ბიბოლა — ერთი კაცის ნებით არ ხდებოდა ასეთი ამბები.

რომანოზ — ტურძელაძემ დაასმინა და დახვრიტეს.

ბიბოლა — როდის და ვისგან შეიტყვეთ თქვენ ეს?

რომანოზ — ხალხს რა დაემალება.. ხხვებთან ერთად დახვრიტეს აქ..

ბიბოლა — რა ერქვა იმ ტურძელაძეს?

რომანოზ — არ ვიცი, მართალი გითხრა, ვერ გეტყვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბოლა — მაინცდამაინც ამის მამა უნდა ყოფილიყო ის ტურძელაძე? **(ანიშნებს რატიზე).**

რომანოზ — არ ვიცი. მე ეგ არ მითქვამს.

ბიბოლა — ესე იგი, სხვებმაც იცოდნენ?

რომანოზ — შინაურმაც გარეულმაც...

ბიბოლა — მამამისს ოტია ერქვა...

რომანოზ — არ ვიცი, ხალხში „ტურძელაძეს" ეძახდნენ...

რატი — **(რომანოზს)** რამდენი წელია მიცნობ მე შენ?

რომანოზ — აბა, რა ვიცი. აი, სახლი რომ იყოდე, მას შემდეგ...

რატი — დღემდე რატომ არ მეუბნებოდი ამახ!

რომანოზ — რამდენი ტურძელაძე იყო... ვინ მოთვლის...

რატი — ასე ჰაერზე ლაპარაკი არ შეიძლება, რომანოზ!

რომანოზ — თქვენ ძველი ამბები გაიხსენეთ და მეც ნემი მომაგონდა...

ბიბოლა — ოცდაოთხში დახვრიტეს ამ ხევში?

რომანოზ — კი. აქ მოყავდათ ურმებით ქალაქიდან ხალხი, ხოცავდნენ და სახელდახელოდ გათხრილ ორმოებში ყრიდნენ...

ბიბოლა — გახსოვთ თქვენ ამბავ?

რომანოზ — ბუნდოვნად ძალიან. ოთხი წლის ვიქნებოდი მაშინ. მახსოვს, დიდ ბუხრის ქუდს რომ მახურავდა თავზე...

ბიბოლა — მართლაც რამდენი ტურძელაძეა ამ ქვეყანაზე, ვინ მოთვლის. წავიდეთ, რატი, გავიგოთ, როგორ გაიტაცეს ის უბედური ბავშვი.**(რომანოზს)** თქვენ არ წამობრძანდებით?

რომანოზ — მერე ამოვივლი. ჯერ აქეთ მაქვს საქმე. ისე კი, ამ ხევში სახლის ჩადგმა არ შეიძლება...

პაუზა

ბიბოლა — **(რატის)** ადექი, ჰო. ბავშვების გატაცება გვაკლდა ახლა, სხვა არაფერი.

რატი — ასე ხომ ვერ მივატოვებ **(ძალუნს ხელით მიწას მიაყრის და წამოდგება).**

ხანგრძლივი პაუზა

რომანოზი გადის მარცხნივ, რატი და ბიბოლა გადიან მარჯვნივ.

სურათი II

რატი ტურძელაძის აგარაკი. სახლის აივანი. უკან მოჩანს მთები, ტყე, საზაფხულო სახლები. აივანზე სხედან: ცირა, ეთერი, ზოსიმე.

ცირა — იმედს ნუ გადაიწურავთ სულ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ეშველება. უარესიც მომხდარა. მკერა, რომ ბავშვს არაფერი მოუვა.

ეთერი — ყოველ წუთს რაღაც უბედურებას უნდა ელოდო. ეს რა ხდება ჩვენს თავს!.. ათი წლის გოგონა ყოფილა თურმე. უი, უი, უი, უი!.. რა დღეში იქნება ახლა მისი დედ-მამა! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

ზოსიმე — ჩვენი მეტყევე ხომ იცით, თოფით რომ დადის დღედღეს.

ეთერი — ვინ?

ზოსიმე — აქაური მეტყევე— უცხოირპირო და უკმური რომანოზ ჯაში!

ეთერი — ჰო, მერე. მგონი, ვიცი.

ზოსიმე — იმისი შვილიშვილი ყოფილა ის გოგონა.

ცირა — მიაგნებენ ბანდიტებს. ნუ გეშინიათ... სულ ჩალით კი არაა დახურული ქვეყანა...

ეთერი — ვაიმე, რა გვეშველება... ამას რას მოვესწარით...

ცირა — იმ მეტყევეს რძალი სტომატოლოგი ხომ არაა?

ზოსიმე — კი, კოჭლი ქალი!

ცირა — ااااااا! ვიცი, ვიცი! საკმაოდ შეძლებულიცაა. გასაგებია ყველაფერი. ერთხელ მოვკარი თვალი იმ თოფიანთან გზაზე და მიეხვდი ვინც იყო. ისეთი ხელი აქვს, სამკურნალოდ მასთან რომ მოხვდე, წლობით უნდა იდგე რიგში. ქვეყანა აქებს.

ეთერი — უი. უბედურს მის ღლეს...

ცირა — ჰოდა, იმ სტომატოლოგის შვილი გაიტაცეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსიმე — კი, ჩვენი მეტყევის რძლის ათი წლის გოგონა.

ეთერი — უიმე, უიმე, უიმე!.. რა გვეშველება, აღარ ვიცი...

ცირა — იმ ბანდიტებს წერილი გოგონას სახლის ეზოში ჩაუგდიათ.

ზოსიმე — ჰო, თუ სამ დღეში ამა და ამ ადგილს ფულს არ მოიტანთ, ბავშვს ვერ იხილავთო.

ეთერი — ვაიმე, რა გვეშველება. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო...

ზოსიმე — ოც მილიონს თხოულობენ თურმე.

ეთერი — მოკლავენ ბავშვს ის კაცეჭამიები... ვისა აქვს ამდენი ფული... ვაიმე, შვილო, ვაიმე, ვაიმე, შე უბედურ დღეზე გაჩენილო.. ერთი წუთითაც არ შეიძლება ბავშვის დატოვება უყურადღებოდ, ერთი წუთითაც!..

ცირა — ნუ გეშინია, კარგი, დაწყნარდი... მიაგნებენ იმ პირუტყვებს.

ზოსიმე — სამინდის ქურდს ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს თავი წაადგებინეო, ხალხს უთქვამს. იმ საცოდავი ბავშვის გამტაცებლებს ფუფუნების და დროსტარების სურვილმა ჩაადენინა ეს საშინელი საქმე და არა ულუკმაპუროობამ.

ცირა — რა თქმა უნდა. ქეიფის გარდა სხვა რა ახსოვთ.

ეთერი — უი, ჩვენს დღეს უბედურს... სად არიან ამდენ ხანს, შინ მოსვლა ვეღარ უნდა მოიფიქრონ?

ეთერი — მოედანზე იქნებიან ალბათ. შეეტყობდნენ ამ უბედურებას.

ცირა — მოვლენ, აღბათ, საცაა. არა, ასეთს რა ადგილს დაეძებენ მთელი თვე!

ეთერი — როდემდე უნდა იყვნენ მარნეს ეზოში ჩვენი ბავშვები. გვიანია უკვე.

შემოდის ფილიპე

ფილიპე — (ხვნეშით) ეს კიბე მომიღებს მე ბოლოს... ვის ჭირდებოდა მაინც ამსიმაღლე... კი გამარჯობა თქვენი. უჰ, ძლივს ამოვბობღდი...

ცირა — მობრძანდით, ბიძია ფილიპე. ახლავე სკამს მოგართმევთ (**ოთახიდან სკამი გამოაქვს**).

ზოსიმე — მეც მიჭირს ამ კიბეზე ამოსვლა — მაღალია ძალიან, როგორ ბრძანდებით, ბატონო ფილიპე.

ფილიპე — ეჰ, ნუღარ მკითხავ, თუ ხათრი გაქვს. სულ უარესი და უარესი რომ გესმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, როგორ იქნები! წასულია ჩვენი საქმე, ლაპარაკი არ უნდა ამას. იმისი სახელი, ვისი წყალობითაც აშენდა ეს ქვეყანა, ლაფში ამოსვარეს და დაინგრეოდა ყველაფერი, აბა, რა მოხდებოდა. იმიტომაც წაუვიდათ კარგად საქმე. ხომ ხედავ, ყველაფერი ისე მოიშალა, რომ ბავშვებს გატაცებაც დაიწყეს უკვე! მე რომ ორგანოებში ვმსახურობდი, გაბედავდა ვინმე ამას? ვისი დამსახურება იყო მერე ეს! ოოოოო, ამაშია საქმე! ლანძღვა, კრიტიკა და ენის წაგდება იოლია.

ზოსიმე — მაშინ, ბატონო ფილიპე, ისიც უნდა ვთქვათ, ვინ ლოცულობდა მასზე!

ფილიპე — კი. ვენაცვალე! რა გითხრა, იცი, ახლა ჭიდაობის თავი არ მაქვს მე! ფაქტები ჩემზე უკეთ მეტყველებენ, ფაქტები! დიახ!

ზოსიმე — რა თქმა უნდა!..

ფილიპე — კი, ნამდვილად და, ზოგიერთებს არ სურთ შეიგნონ ეს... თქვენთან უფრო გრილა, ხხვათა შორის, ჩემი ცირა.

ცირა — ამ კურორტზე ყველგან ერთნაირი ჰაერია, მგონი, ბიძია ფილიპე.

ფილიპე — (**ცირას**) მიაგნეს სამოსახლოს? მეტი არაა ჩემი მტერი.

ცირა — ვერაფრით ვერ გადავაფქმევინე რატის. რაღა დროს სახლის მშენებლობაა ახლა.

ეთერი — ვაი, ჩვენს დღეს... რა გვეშველება, არ ვიცი...

ფილიპე — (**ეთერის**) საამედოს ვერაფერს გეტყვი, ჩემო შვილო. ამ წუთში რომ დანებით შემოგვევარდნენ აქ და ამოგვწვეტონ, ვის გაუკვირდება!

ეთერი — ვაიმე, ვაიმე, ვაიმე...

ფილიპე — შოლტი ისე უნდა მოიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო, უთქვამთ. ამ ლაწირაკებმა ჯერ დიდი ადამიანების საფლავები გადაჯეჯგნეს და მერე ჭკუის სწავლება დაუწყეს ხალხს...

ციცა — მოვიდნენ, როგორც იქნა; მადლობა ღმერთს.

ეთერი — (აივნიდან გადაიხედავს) მომკლავს ახლა, ბავშვები რომ მარინასთან დავტოვე.

შემოდიან რატი და გიგოლა

რატი — (ემხნევა, რომ ფილიპეს დანახვა არ ეშიაზოვნა. ციცას) სახლში იყავით? იცით, ალბათ, რაც მოხდა.

ციცა — ჰო.

რატი — შეიშალა ხალხი.

ბიგოლა — (ეთერს) ჩვენთან არავინაა.

ეთერი — მარინასთან დავტოვეთ ბავშვები მე და ციცამ.

რატი — (ციცას) იქ თამაშობენ? წყალი დამალვენე.

ციცა — ჰო (სკამს და ვრაფინით წყალს გამოიტანს)

რატი — გამარჯობათ, ბატონო ფილიპე. ისე ვარ არეული, რომ ვერ შეგამჩნიეთ, უკაცრავად... დაჯექი, გიგოლა.

ფილიპე — რას იზამ, ჩემო რატი. შენ კი არა, ქვეყანა აირია!

რატი — (ციცას) ბევრი ვიარეთ დღეს... (აივნის მოაჯირზე ჩამოჯდება).

ფილიპე — (რატის) ასეა, ვენაცვალე, ხალხს რომ თავის ნებაზე მიუშვებ...

რატი — (ციცას) ხილი ხომ გვაქვს მაინც. დავიღალე ძალიან.

ციცა — ახლავე (ოთახიდან ხილს გამოიტანს).

ფილიპე — (უყურადღებობით გაღიზიანებული) ასეა, კი; წესიერება რომ დამყარდეს, შინდის ჯიხი უნდა გეჭიროს ხელში.

რატი — (ყოყმანის შემდეგ) თუ, მაუზერი, ბატონო ფილიპე (წყალს დაისხამს).

ფილიპე — გაარნია სიტუაციას, ჩემო შვილო. გარემოებაა მთავარი. დიახ!.. ყველაფერს თავის დროზე იტყვის ისტორია.

რატი — (თითქოს თავისთვის) ამას რომ ადამიანი ჩაიდენს!.. (ხელს ჩაქნევს).

ფილიპე — (ყურს მოკრავს რატის სიტყვებს) მერე! მიზეზი საღ უნდა ვეძებოთ, ა, მიზეზი?

რატი — (ციცას, გულმოსული) დამისხი წყალი!..

ფილიპე — წინათ თუ გაბედავდა, თქვენის აზრით, ვინმე ბავშვის გატაცებას, ამ ათი, ოცი, ოცდაათი წლის უკან. მოთხარით, გამაგებინეთ, ა? გაბედავდა? მით უმეტეს, ორმოცდაათი წლის წინათ!

რატი — ჩვენი უბნის მილიციელი მიჩანჩალებს მოედნისკენ.

ფილიპე — (რატის) გამეცით პასუხი — თუ გაბედავდა!

რატი — შენ იქ იყავი მაშინ, ზოსიმე? უჰ, გული მისივდება ბოლმით.

ზოსიმე — (თავს დაუქნევს) მალე მააგნებენ.

ფილიპე — (ნიშნის მოგებით) კი, როგორ არა, ამ საღამოსვე მიუყვანენ მშობლებს ეტლით შინ.

რატი — ხილი მიირთვეთ, ბატონო ფილიპე.

ფილიპე — გმადლობთ... აბა, რა გგონიათ თქვენ. ხალხს რომ თავის ნებაზე მიუშვებ... მიზეზია მისაგნები, მიზეზი! დიახ.

რატი — (ფილიპეს) ნარდი ხომ არ გვეთამაშა?

ფილიპე — გმადლობთ.

ბიგოლა — მიზეზის ძებნა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ბატონო ფილიპე.

რატი — ჰო, მარა ახლა აქ დისპუტის დრო არაა, მე მგონი.

ციცა — (საყვედურით) რატი!

ფილიპე — (გიგოლას, მოკრძალებით) მართალი ბრძანდებით. სხვაგვარად ვერ ავხსნით დღევანდელობას. სწორედაც რომ შორს უნდა ვეძებოთ მიზეზები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატი — **(თავისთვის)** აუ! რა დავაშავე ასეთი!..

ფილიპე — **(გიგოლას)** დიახ, ცამდე მართალი ბრძანდებით, თვალებში აქვს ჭკუა იმას, ვინც საგნის ღირსებანაკლოვანების შესახებ გ.ვეგნობის მიხედვით მსჯელობს, ზედაპირულად; დიახ., დიახ, მართალი ბრძანდებით.

ეთერი — წავალ, ბავშვებს მოვიყვან.

რატი — ვადასძახე აქედან, ვერ გაიგონებენ?

ცირა — **(საყვედურით)** რატი!

გიგოლა — კი, მაგრამ, ბატონო ფილიპე, ღრმა ანალიზითაც რომ იმავე დასკვნამდე მივდივართ, რასაც ზედაპირულად მოაზროვნე ამტკიცებს, რა ვქნათ ახლა! ყველაფერი ხომ უკვე გაირკვა. რაღაა საკამათო.

ფილიპე — ვინ გაარკვია, ყმაწვილო.

გიგოლა — დრმ, ბატონო ფილიპე, ერთადერთმა საზომმა სიმართლის და ჭეშმარიტების... თქვენი აზრით, როგორი სახელმწიფო იყო რუსეთი მაშინ, როცა მარქსიზმი გაჩნდა ამ ქვეყანაზე?

ფილიპე — ყოველმხრივ ჩამორჩენილი, ბნელი და ბიუროკრატიულად დამპალი. ეგ დღეს უბატონოდ თითს ვერ დაარეწნებს ვერავინ, დიახ! აი, რა გაკეთა ჩვენმა პარტიამ!

გიგოლა — კეთილი და პატიოსანი. მარქსიზმი, როგორც ვიცით, ევროპაში ჩაისახა...

ცირა — ჩვენ წავალთ, ბავშვებს მოვიყვანთ. უკაცრავად, ცოტა ხანს უნდა დაგტოვოთ.

ეთერი — ჰო, დროა უკვე. **(გიგოლას)** სახლში ვიქნებით.

ცირა და ეთერი გადიან

გიგოლა — **(ფილიპეს)** ჩაისახა განვითარებულ, კულტურულ და ცივილიზებულ ევროპაში. რუსეთი კი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ჩამორჩენილი და დამპალი სახელმწიფო იყო.

ფილიპე — დიახ!

გიგოლა — გულახდილად მიპასუხეთ, ბატონო ფილიპე, როგორ გგონიათ, ადამიანისთვის, ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის რაიმე სიკეთის მოქმედი რომ გაჩენილიყო ვერმანიაში. განათლებული ევროპა ამას ვერ ჩაწვდებოდა და ბედნიერი ცხოვრების მომტან მოძღვრებას წყვდიადით მოცულ ტამბოვის და ორეხოვო ზუევოს კუბერნიების დაუტოვებდა? საეჭვოა ძალიან. წყვდიადით მოცულ რუსეთში კი კომუნიზმის ქადაგება დაიწყეს. მერედა, ვინ, არ იკითხავთ? დემაგოგებმა, მასინებმა და ვულიკორუსმა შოვინისტებმა.

ფილიპე — უკაცრავად, პატივცემულო...

გიგოლა — **(არ აცლის)** სწორედ იმიტომ, რომ უკუნეთში იოლი იყო, მიედწიათ მიზნისთვის...

ფილიპე — მაპატიეთ...

გიგოლა — **(არ აცლის)** ველიკორუსული შოვინისტური მიზნისთვის...

ფილიპე — ერთი წუთით, თუ შეიძლება...

რატი — **(მუქარით)** გიგოლა! გავაგოროთ ნარდი.

ფილიპე — ერთი წუთით... **(უცებ ავნოება, ყვირის)** სხვა თუ არაფერი, თქვენზე უფროსი ვარ, მე მგონია! და კეთილი ინებეთ. ზრდილობა იქონიეთ ელემენტარული!.. **(გიგოლას)** მაშინ ამიხსენით, ვაჟბატონო, რატომ მოედო ეს მოძღვრება მთელ დედამიწას. გამაგებინეთ.

გიგოლა — ყველგან, სადაც კი არსებობდა ან ჯერ კიდევ არსებობს, მხოლოდ ძალით და ხიშტით მოახვეს ხალხებს თავს. ეს მგონი ბავშვისთვისაც ცხადია.

ფილიპე — ყველაფერს თავის დროზე იტყვის ისტორია. ყველაფერს. **(პაუზის შემდეგ)** კავიანი რუსეთი ატომურ რუსეთად ვინ აქცია? ამაზე რას მეტყვით?

გიგოლა — ჯერ ერთი, ის კავიანი რუსეთი გაცილებით მაღლა დგას დღევანდელ რუსეთზე, სულიერადაც და მატერიალურადაც, სხვათა შორის. და მერე, ატომი და ბევრი სხვა რამე ნაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია, ნაქურდალი და არა რუსული ინტელექტის ნაყოფი. და, რაც მთავარია, საქართველოს რა შეეშალა ამით?

ფილიპე — (**თითქოს არც გაუგონია**) ვინ დაჩოქა მთელი ევროპა მუხლებზე!

გიგოლა — ჯერ ერთი, ომის ბედი ამერიკამ გადწყვიტა; ის რომ არ მიშველებოდა რუსეთს, სამ თვეში მარილა მოეღებოდა ბოლო მშიერ და უიარაღო ქვეყანას. თერთმეტი მილიარდი დოლარით დაეხმარა ამერიკა კომუნისტურ რუსეთს, თერთმეტი მილიარდი დოლარის სურსათითა და ათასგვარი რამეებით. ეს ცნობა სხვათაშორის აგერ ახლა გამოაქვეყნა „იზვესტიამ". აქამდე ხომ ყველაფერს მალავდნენ. მერე, დათვი რომ მოდონიერდა რუზველტის წყალობით სისხლისგან დაცლილი ევროპა რა წინააღმდეგობას გაუწევდა რუსეთს. დასავლეთის კარნახით განვითარდა ისტორია.

ფილიპე — თქვენ ცალმხრივად მსჯელობთ, ვაჟბატონო.

გიგოლა — დასავლეთმა გადწყვეტა ასე: ჯერ ბოლო მოეღო ფაშიზმისთვის, მერე — კომუნიზმისთვის. ეს იყო და ეს.

ფილიპე — და ვინ იქნებოდა მთავარსარდალი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა?

გიგოლა — რა თქმა უნდა, ბუდიონის ნაცვლად გვერდში ნაპოლეონიც რომ ამოსდგომოდა, ჰიტლერი მაინც თავისას გააკეთებდა, ოღონდ ამერიკის ჩარევის გარეშე.

ფილიპე — ათასი თოკიდან გამომძერალი კაცი ვარ, გამოცდილება არ მაკლია და ამიტომ თქვენ, ცხოვრებისეულ პრაქტიკას მოწყვეტილი ადამიანები, მე უნდა მიჯერებდეთ ყველაფერს, სხვათა შორის. წიგნების კითხვა და ციტატების დაზეპირება იოლი საქმეა.

გიგოლა — ნოე ჟორდანიას და, საერთოდ, ქართველ მარქსისტებს არც ესმოდათ რა უბედურებას უმზადებდნენ საქართველოს. ილიას მკვლელებისთვის ყოველგვარი ეროვნული საფიქრალი უცებარი იყო.

ზოსიმე — (**ფილიპეს**) სახლის აშენება თუ შეიძლება ბალავარის გარეშე, ჩემო ფილიპე.

ფილიპე — რა შეკითხვაა ახლა ეს! (**ზოსიმეს**) შენ მე მოცლილი ხომ არ გგონივარ. სახლს რომ ბალავარი ჭირდება, ეს არ იცის მარქსიზმმა?

ზოსიმე — როგორც ჩანს...

ფილიპე — რაო? გადამრევთ მე თქვენ, პირდაპირ გადამრევთ...

ზოსიმე — მარტო გერმანიის მაგალითი კმარა: ე, რა უყო ამ წყობამ ერთსა და იმავე ხალხს. ამის დანახვას წიგნები და პროფესორობა არ ჭირდება.

ფილიპე — ახლა შენც დამიწყე ჭკუის სწავლება? უყურე ამას! დღეს ყველა რა ერთ ენაზე ალაპარაკდით!..

გიგოლა — თუ გადაგვარჩენს, ეს გადაგვარჩენს სწორედ. ბატონო ფილიპე.

ფილიპე — აფსუსს, რა დრო დადგა! მომაჩემის ნათქვამი მაგონდება: ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონიაო. თქვენ იცით, რა ჭირდება ძლიერ სახელმწიფოს; ერთი წუთით მაინც დფიქრდით ამაზე.

გიგოლა — რომელ სახელმწიფოს, ბატონო ფილიპე? რუსეთს? ჩემი, თქვენი და თითოეულის საფიქრალი მხოლოდ საქართველო უნდა იყოს. რუსეთიც დალუპეს კომუნისტებმა. რუსეთიც კი მიხვდა დღეს ამას. აქამდე ხალხი ამ ომებრიაში ან მოტყუებული იყო ან დაშინებული, ან გულგრილი.

ფილიპე — აფსუს, აფსუს... შეცდა მაინც ის ცხონებული... მეტი სიმკაცრე იყო საჭირო, მეტი!

გიგოლა — ტალეირანმა უთხრა ერთხელ თურმე ტრარანიით ბონაპარტინდულ ნაპოლეონს, ხიშტები, ჩემო მბრძანებელო, ყველაფრისთვის გამოდგება, ოღონდ მათზე ჯდომა კი შეუძლებელია. ეს არ ესმოდათ იმ თქვენს ბელადებს.

ფილიპე — აფსუს, ჩემო ახალგაზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღობავ... მერე დაგვაფასებენ, მერე, უარესი ამბები რომ დატრიალდება...

ბიგოლა — რაც მე მოგახსენეთ, ტყუილია, ბატონო ფილიპე? რაში არ მეთანხმებით, ერთი თავზარდამცემი ფაქტი მინდა გაგახსენოთ. რუსეთმა პირველ მსოფლიო ომში მილიონ ნახევარი სალდათი დაკარგა, ლენინმა თავისი ბრძანებებით და დეკრეტებით ოცდაოთხ მილიონამდე ხალხი ამოწყვიტა! დიახ, დიახ! როგორც იქნა, შეადწია ნათელმა რუსეთის წყვდიადში! ჩვენმა თანამემამულემ, ლენინის საქმის გამგრძელებელმა და მოწაფემ, სწორედ ილიჩისგან ისწავლა ასე შესანიშნავად საკუთარი ხალხის ამოჟლეტა, თითქმის ყოველ წელიწადს რეპრესიებით!

ფილიპე — შენ ნასწავლი კაცი ხარ და რასაც ახლა გეტყვი, გამიგეს. ერი ზოგჯერ რკინასა ჰგავს და რკინას კი ცემა აფოლადებსო, უთქვამს ერთ გამოჩენილ პიროვნებას.

ბიგოლა — ცამდე მართალი ყოფილა მაშინ. დამეკეს თურმე თეთრად ათენბდა ჩვენზე ზრუნვით.

ფილიპე — (**უცებ წამოენთება, მთელი ხმით**) როგორ შეიძლება უპატივცემულოდ მოიხსენიოთ უდიდესი გენიოსი! რა სჯირს თქვენი დასაცინი!

ბიგოლა — ბატონო ფილიპე, დაეუშვათ და მსოფლიოში ცნობილმა პიროვნებამ რომელიმე ჩვენთაგანს მამა დაუხვრიტა, დედა გადაუსახლა, დები გაურყვნა, ძმები ციმბირის კატორღებში ჩაუხოცა, მითხარით, ამის გამკეთებელი უდიდესი ადამიანიც რომ იყოს, მე ან თქვენ მას უნდა ვეთაყვანებოდეთ და ვტრაბახობდეთ, ოჯახი დედამიწაზე სახელგანქმულმა კაცმა ამომიწყვიტაო?

ფილიპე — დემაგოგობაა ეს, პატივცემული.

ბიგოლა — რატომ! მან ხომ უარესი დამართა საქართველოს. ორი მილიონიდან შვიდასი ათასი კაცი ფრონტზე გარეკა. არანაირ მტერს მსგავსი რამ არ ჩაუდენია ჩვენს მიმართ. გაუგონარი, უმკაცრესი რეპრესიები პირადად მისი მითითებით ტარდებოდა თითქმის ყოველ წელს, ვიმეორებ, თითქმის ყოველ წელს, სანამ სუნთქავდა და მხოლოდ ოცდაათხში ან ოცდაჩვიდმეტში არ დატყდომია საქართველოს თავს შემზარავი ხოცვა-ჟლეტა. და თქვენ ყოველივე ეს ძალიან კარგად იცით... ისეთ ორგანოებში მსახურობდით...

ფილიპე — ასე იყო საჭირო... დიახ! სხვაგვარად უძლიერეს სახელმწიფოს ვერ შექმნი... ჟლეტასაც გამართლება აქვს...

პაუზა

რატი — (ფილიპეს) ჩემს ოჯახში რომ არ იყო, გაგიცემდი საკადრის პასუხს...

ბიგოლა — ეჰ, ბატონო ფილიპე, ისტორია იტყვისო თავის სიტყვას, რომ ბრძანებო, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ კომუნისტურ იდეოლოგიას და რეჟიმს ისტორიამ უკვე გამოუტანა განაჩენი...

ფილიპე — (ყვირის) არავითარ შემოხვევაში! ნურას უკაცრავად! კრემლში რომ ერთ უთაურს მეორე ცვლიდა, ესაა ისტორია?!

ბიგოლა — დრომ დაამტკიცა, ბატონო ფილიპე, რომ თვით მოძღვრება აღმოჩნდა ადამიანური მოდგმისთვის მავნე; დაკვირდით უბრალოდ: კერძო საკუთრება — არა; სარწმუნოება არა; საშობლო, ენა, პატრიოტობა — არა; სანაცვლოდ რა? კომუნისტური შრომის ეახტი? თუ სტახანოველობა! მარტო ამ მცალითიდან ჩანს, თუ რა ბინძური დროშა ეჭირა ხელში.

ფილიპე — მსგავსი სისტემა შეუქმნია ვინმეს? ა? სადმე, დედამიწაზე!

ბიგოლა — ღმერთის წყალობით, არავის! იყო კი საჭირო?

ფილიპე — ეს წყობილება რომ არა, ვაჟბატონო, აქამდე ასჯერ შეგჭამდა ირანი ან თურქეთი! გიფიქრიათ თქვენ ამაზე ოდესმე?

ბიგოლა — აი, სწორედ ეგ დრო წაიდა, ჩაბარდა ისტორიას.

ფილიპე — ვინ მოგახსენათ! უკაცრავად პასუხია და ძალიან ზერელეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გულუბრყვილოდ მსჯელობთ, პატიეცემული. გატრუნული გვითვალთვალებს თურქეთიც და ირანიც. ვინ ამოსდო მათ ლაგამი თავის დროზე, ვინ!..

ვიპოლა — ამ ძველი დოგმებით როდემდე უნდა ვიაზროვნოთ, ბატონო ფილიპე. მის დროს რომ ვინმეს ხმამაღლა წამოსცდენოდა — სოფელში ქარბუქმა ბოსელი დაანგრიაო, ხალხის მტრად გამოაცხადებდნენ და დახვრეტდნენ, როგორ თუ გაბედა და თქვა — საბჭოთა ნაგებობას ბურჟუაზიული სტილითნი ამარცხებსო... ოღნავადაც არ ვაჭარბებ.

ფილიპე — ასე იყო საჭირო! კი!

რატი — (**გიგოლას ხმამაღლა**) ეღარ გიიგე? საჭირო ყოფილა თურმე! და ჩამოდი ახლა ტრიბუნადან, გეყოფა.

ვიპოლა — ბატონო ფილიპე, თქვენი შეხედულებების მქონე ადამიანი ჩვენში ვიდრე ერთიც დარჩება, ერთადერთიც კი, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი არაა მზად თავისუფლებისთვის.

ფილიპე — ირანი და თურქეთი გახსოვდეთ... და საერთოდ (**ჩაფიქრდება წამით**) ვინ შეცვალა ევროპის რუკა ომის მერე!..

რატი — ის უბედური ბავშვი აღარავის ახსოვს...

ზოსიმე — აბა, აბა, საცოდავი! რა დღეში იქნება ახლა რომანოზი. დამბლა თუ არ დაემართა, ხომ კაი.

რატი — ვის?

ზოსიმე — ჩვენ მეტყველს. მისი შვილშვილი ვაიტაცეს. ათი წლის გოგონა.

რატი — რომანოზ ჯაშის შვილიშვილი?

ზოსიმე — ჰო, ცნობილი სტომატოლოგი როა, კოჯნი ქალი, იმის გოგონა.

ვიპოლა — რომანოზი ჩვენთან იყო წეღან, ხვეში.

ზოსიმე — ჰოდა, იმის შვილიშვილი. მზე და მთვარე იმაზე ამოსდის.

რატი — ხედავ შენ? ჩვენთან ერთად შეიტყო ეს ამბავი წეღან. რას იფიქრებდა, რომ ის ბავშვი მისი შვილიშვილი იქნებოდა.

ფილიპე — (**ნიშნის მოგებით**) უთაურობის ბრალია, გენაცვალე, ყველაფერი. დღევანდელი უთაურობის, დიახ!

რატი — (**გიგოლას**) უნდა მივეშველოთ რამენაირად.

ვიპოლა — როგორ! რითი! ჩვენ რა შეგვიძლია!

რატი — მივდგეთ, მოვდგეთ. აბა, ასე ხელდაკრეფილები ვიყოთ?

ფილიპე — მილიციაში გაიცხადეთ, ასე აჯობებს. აცნობეთ სათანადო ორგანოებს. როგორც წესია. გაიცხადეთ მილიციაში, დამიჯერეთ. თქვენზე მეტი გამოცდილება კი მაქვს მაინც.

რატი — (**გიგოლას**) მივიდეთ ჯერ რომანოზთან.

ვიპოლა — ახლა იქ წვიალ-კვიალი იქნება ატეხილი, სალაპარაკოდ ვის ეცლება.

რატი — მივიდეთ, ვანუგეშოთ. რა ვიცი, აბა..,

ფილიპე — უპატრონობის ბრალია ყველაფერი, უთაურობის... არავისი პატივისცემა რომ არ შერჩა ხალხს... ასეა ეს... მერე ინანებთ, მერე!..

ზოსიმე — შარშან მამა დაასაფლავა რომანოზმა, ძველი პარტიული, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. უამრავი ორდენი და მედალი ჰქონდა მიღებული.

ფილიპე — ვიცნობდი მე.

ზოსიმე — რომანოზის მამას?

ფილიპე — ჰო, ოღონდ, ისე...

ზოსიმე — როგორი კაცი იყო?

ფილიპე — რა ვიცი, თქვენი მოსაწონი აღარავინაა. ავიტატორი იყო, აგიტაცია და პროპაგანდა მას მიანდეს ოცაან წლებში. იშვიათად ვხედებოდით ერთმანეთს რევკომში. სპეტაკი პიროვნება იყო. ხალხს რატომღაც მაინც ეშინოდა მისი და გაურბოდნენ, თვალს არიდებდნენ. პრინციპულ პარტიულ მუშაკად ვიცნობდით... ადრე ფოსტალიონად უმუშავია მგონი. ბოლოს პოლიტკონომიას კითხულობდა უნივერსიტეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიგოლა – (ფილიპეს) ხალხი გაურბოდა უბრალო აგიტატორს?

ფილიპე – დიახ.

რატი – რა კაცი იყო ასეთი, მის დანახვაზე რომ იმალებოდნენ.

ფილიპე – გაურბოდა. ალბათ, ვინც პირშავად იყო მასთან.

ბიგოლა – ერთადაც მუშაობდით?

ფილიპე – რამდენიმე თვეს.

რატი – გასაგებია ყველაფერი. **(ბიგოლას)** ხედავ შენ? რომანოზ ჯაშის მამა ვინ ყოფილა! წელან სიტყვაც არ დაცდენია ამაზე, მე კი...

ბიგოლა – **(აწყვეტინებს)** კარგი, ჰო.

რატი – არა, სხვებს თუ ამტყუნეს და აგინე...

ბიგოლა – **(აწყვეტინებს, მკაცრად)** გაჩუდი ახლა! შენ ის თქვი, იმ ბავშვს როგორ ეუშველოთ.

ფილიპე – მილიციაში გაიტაცეთ, მე თქვენ ეეუბნებით. ეს მაინც დამიჯერეთ.

რატი – **(ბიგოლას)** გავიკითხოთ, მივდგეთ. მოვდგეთ. ვინმე საამქროს მივაგნოთ...

ფილიპე – **(უყურადღებობით შეურაცხყოფილი ტონით, რატის)** თუ არ დამძრახავ, ერთი ეს მიბრძანე, ბატონო, ქვეყანამ იცის უკვე, რომ გამოსასყიდს ბევრს თხოულობენ. ქალაქში დიდებული ბინა გაქვს; საგარაკოდ სასახლე აგერ, ბატონო. ღმერთმა ყველაფერი მშვიდობაში მოგახმაროს. ახლა კიდევ სახლი ვინმეა აუშენო ცალკე უფროს ბიჭს, დღედაღამ ამ საქმეზე ირჯები ზოგიერთებთან ერთად...

რატი – აბსოლუტურად ერთნაირი უნარის მქონეს ბატებშიც ვერ ნახავ. თქვენი შექმნილი წყობა და სისტემა უტკბინოსაც და გონიერსაც მათხოვრულ ხელფასს აძლევდა... გარდა ამისა, მარტო კუჭი ხომ არაა ყველაფერი... საქართველოს ისეთი უფლება ჰქონდა იმ რეჟიმში, როგორიც აქვს ძალლს ან ვირთხას. რატომ უნდა მეშინოდეს იმისი, რომ ათასჯერ მეტად მდიდარი გავხდე და სხვებმაც მილიონჯერ უკეთესად იცხოვრონ. გადახედეთ ნორმალურ სახელმწიფოებს, ვინ ცხოვრობს აქ ცუდად! მხოლოდ ის, ვინც უქნარაა და უტკბინო! მეორე სახლს კი არა, მთელ კუნძულს ვიყიდდი დღეს მეც და საქმის მცოდნე ყველა პროფესიონალი. ადამიანურ სახელმწიფოში რომ ვცხოვრობდეთ. რას მაყვედრით! ქურდობა, მექრთამეობა და ყოველგვარი უზნეობა ამ სისხლიან იმპერიაში ნორმა გახდა, თქვენი მაფიოზური პარტიის წყალობით დაკანონებული ნორმა!

ფილიპე – ვინ გასწავლა. ბიჭო, შენ ქურდობა, მე და ჩემისთანა უმწიკვლო კომუნისტებმა?

რატი – არა. ბატონო, როგორ გეკადრებათ.

ფილიპე – აბა, ვინ!

რატი – მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, ტროცკიმ, ბუხარინმა, სტალინმა, ხრუშჩოვმა. სუსლოვმა, ბრეჟნევმა და აი, ასეთებმა. სხვათაშორის, თქვენისთანებმაც კი, ჩემს ქურდობას რომ ხედავდნენ და წლების მანძილზე ხმას არ იღებდნენ.

ფილიპე – **(აცახცახებული)** – როგორ მიბედავ!.. მე... მთელი ჩემი ცხოვრება... სინდისიერად... და... **(ბული შეუღონდება).**

ზოსიმე – გინდათ მოკლათ ეს უბედური? გაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, არ ესმის მეტი **(წყალს ასხურებს ფილიპეს სახეზე).**

რატი – რამ მოათრია აქ ეს შობელ-ძაღლი. გასულ კვირასაც დამაწყვეტა ნერვები. დაჯდება და თითოეულ აგურს მითვლის ჩუმ-ჩუმად.

ბიგოლა – მართლა რომ რამე მოუვიდეს **(მაჯას უსინჯავს).** დავიღუპებით.

რატი – **(ზოსიმეს)** საყელო გაუხსენი. ამ კიტელს ვერ თმობს ცოცხალი თავით. პაპანაქება სიცხეშიც აცვია.

ბიგოლა – **(რატის)** ვალერიანის წვეთები გამოიტანე. **(ზოსიმეს)** ყურები დაუზილე.

რატი – გონზე მოდის, მგონი. ვაი,

ჩვენს დღეს... **(წამალს გამოიტანს).** ბატონო ფილიპე! **(აწვდის კოვზით).** ო, ერთი ახლა ამას მაუზერი მისცა, რას ამოგვეუფავდა ყველს! გაიხსენებდა ახალგაზრდობას!.. ყმაწვილობას... ცოტა მოსვით, ბატონო.

ფილიპე — **(მისუსტებული ხმით)** აფერი არ მინდა მე თქვენი! **(კოვზს ხელს უკრავს),** აფერი...

ჩოსიეე — ნუ გეშინია, ბატონო ფილიპე.

ფილიპე — უარესის ღირსი ვარო ჩვენ... უარესის...

ჩოსიეე — დაწყნარდით, ბატონო ფილიპე.

ბიგოლა — **(რატის)** დაუძახე მის რძალს.

ჩოსიეე — არაა საჭირო, გაუარა უკვე.

ბიგოლა — წყალი მაინც მოსვით ცოტა **(აწვდის ჭიქით).**

ფილიპე — უარესის ღირსი ვარ პირადად მე **(ჭიქას ხელს აკრავს).**

ბიგოლა — ვეპატიოთ უნდა (ჩქმა ბატონო. ლაპარაკს შევეყვეთ, ისე გვაქვს ნერვები დაწყვეტილი, რომ ვეღარ მოვზომეთ...

ფილიპე — **(თავისთვის)** აფსუს... აფსუს... **(ხმამაღლა)** მე ისე პატიოსნად ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე, რომ ერთდროულად პალტო, ფეხსაცმელი და პიჯაკი არ მცმია. დიახ! ხან ერთი მაკლდა, ხან — მეორე, ისე დავბერდი. ზოგიერთებს კი... აფსუს, აფსუს...

ბიგოლა — შეგვამინეთ ყველა, მაგრამ არაფერია, უკვე კარგად ხართ. გეპატიეთ. გადავაჭარბეთ. კი, თქვენი პატიოსნება საქმეყნოდაა ცნობილი.

ფილიპე — **(თავისთვის თითქოს)** უარესის ღირსი ვარო... **(უცებ მუქარის ტონით)** გააკეთო ისე, როგორც მე გეუბნებით და გააცხადეთ მილიციაში ბავშვის გატაცების ამბავი.

ბიგოლა — **(ტუჩზე თითის მიდებით რატის თვალს ჩაუკრავს)** კი, ბატონო, კი. აუცილებლად. თქვენზე უკეთესს სხვას ვის დავუჯერებთ.

ფილიპე — და არავითარი ფულის მიტანა!

რატი — როგორც თქვენ იტყვით, ბატონო. **(თავისთვის)** უჰ, ერთი შენთვის ჩამარტყმევინა... პატარა უთო...

ფილიპე — ჯერ ოფიციალურ ორგანოებს უნდა შეატყობინონო! სახელმწიფო დაწესებულებების უპატივცემულობა კარგს არაფერს მოგიტანთ. დიახ! ცოტა მაინც დამოჯერეთ მე, სანამ ცოცხალი ვარ.

ბიგოლა — დღესვე გავაცხადებთ მილიციაში, ბატონო ფილიპე.

ფილიპე — და, საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ მოეშვით დიდი ადამიანების ძაგებას. უკანასკნელად გაფრთხილებთ. იცოდეთ.

რატი — კი, ბატონო.

ფილიპე — და თუ მისი არაფერი მოგწონთ, უკეთესად თქვენ გააკეთეთ.

რატი — კი, გენაცვალე.

ბიგოლა — მართალს ამბობს ეს ადამიანი და წავიდეთ ახლა იმ ბავშვის ამბავზე მილიციაში.

ფილიპე — **(მუქარით)** არავითარი ფულის მიტანა არ გავიგონო მე!

ბიგოლა — ისე მოვიქცევთ, როგორც თქვენ გვირჩიეთ.

ფილიპე — და ისწავლეთ ერთხელ და სამუდამოდ ძველების პატივისცემა. იმ დიდი ადამიანის წყალობითაა დღეს საქართველო ცნობილი მთელ მსოფლიოში.

რატი — **(ხმადაბლა)** ჩვენდა საუბედუროდ.

ბიგოლა — **(რატის მუქარით მუშტს მოუღერებს)** კი, ბატონო.

ფილიპე — მე ისიც ვიცი, თქვენ რომ უფლება გქონდეთ, ძველ პარტიულებს სუფველას ჩამოგვახრჩობდით. ამას ვგრძნობ მე, დიახ!..

რატი — ეს რომ შეგვეძლოს, მაშინ რაღა განსხვავება იქნებოდა ჩვენსა და თქვენს შორის.

ფილიპე — **(ტუჩზე ხელს მიიდებს, მიკვნავლებული ხმით)** როგორ?!

ბიგოლა — **(რატის წაუბიძგებს)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი მოიტანე, ცივი! ადუღებულ ჩაის ასმევ ამ ადამიანს? მალიცაცაში ხომ არ იცნობთ, ბატონო ფილიპე) ვინმეს? იქნებ თქვენმა ავტორიტეტმა უშველოს ამ უბედურ ბავშვს.

ზრუსიმე — რა თქმა უნდა, იცნობს.

ფილიპე — მერე დაგვაფასებთ, მერე, როცა ბოლოს და ბოლოს, თვალები აგეხილებათ **(წამოიწევს ახადგომად)**. მარა გვიან იქნება.

ბიგოლა — ბრძანდებოდეთ, ბატონო ფილიპე, ჯერ ცოტა ხანს მოისვენეთ და მიგაცილებთ სახლში.

ფილიპე — არა, მე თვითონ წავალ, ასე მირჩევნია, რა მიჭირს გასაცილებელი. თქვენისთანებს ერთი ორს კიდევ გავუმკლავდები **(წამოდგება)**, ჯერ არ დავჩაჩანაკებულვარ.

ბიგოლა — მართალი ბრძანდებით, ბატონო ფილიპე. ლომი ხართ, ლომი. ფერიც კარგი გაქვთ და მშვენიერად გამოიყურებით.

ფილიპე — მე რა მიშავს, თქვენ იკითხეთ რაც მოგივთ... **(თითქოს თავისთვის)** ჰო... კი... მეტი იყო დასახვრეტი... აი, მხოლოდ ამაში შეცდა.. მეტი, გაცილებით მეტი უნდა მოესპო...

რატი — **(ყურს მოკრავს ფილიპეს სიტყვებს, მთელი ხმით)** გაეთრიე აქედან!! აქოთებულო ბერიკაცო! ახლავე გაეთრიე!!!

ბიგოლა — **(ფილიპეს ჩკლაში ხელს წაავლებს, რატის, მუქარით)** ბიჭო!..

ფილიპე — **(აცახცახდება, განწირული ხმით)** თქვენც დასახვრეტი ხართ ყველა!.. დასახვრეტი!.. დასახვრეტი! **(კიბისკენ გაემართება ბორძიკით)**. ამოსაყლეტი!..

ბიგოლა — **(ფილიპეს ხელს შეაშველებს)** მოითმინეთ...

ფილიპე — **(გიგოლას მოიშორებს)** გამიშვი ხელი! ლაწირაკებო!.. უმადურებო!.. სინდისგარეცხილებო!.. ამოსაყლეტი ხართ ყველა, სათითაოდ!.. ჩამოსახრჩობა...

ზრუსიმე — **(გიგოლას)** ჩაყევი, არ დაეცეს.

ფილიპე — უმაქნისებო! მუქარა თურმე ვისთვის ვიბრძოდით! მუქთახორებისთვის!.. აფსუს, აფსუს...

ბიგოლა — **(რატის და ზოსიმეს)** ამისი მარტო გაშვება არ შეიძლება.

რატი — **(გიგოლას, ნიშნის მოგებით)** იცხოვრე ახლა იმ ფილოსოფიით, რომ ყველი ღღე თითქოს უკანასკნელია შენთვის.

ბიგოლა — კიდევ კარგი. აქვე ცხოვრობს **(კიბისკენ გაემართება)**.

ფილიპე — თურმე წურბელებისთვის ვიბრძოდით! აფსუს! თურმე უმაქნისებისთვის!... აფსუს!.. უმადურებისთვის!.. **(გადის)**.

ზრუსიმე — **(რატის)** რას ეუბნებოდი ახლა გიგოლას?

რატი — არაფერს. სისულელეა რაღაც. **(კიბისკენ ხელს გაიშვერს)**. კიდევ რომ ამობობდეს აქ, აივნიდან გადავაგდებ.

ზრუსიმე — ერთი შენც.. ამისთანებს არც უნდა აყვე. ორი კატეგორიის კომუნისტები არიან საქართველოში. ერთია ეგრეთ წოდებული სპეტაკი ბოლშევიკები. აი, ეს საცოდავი, ფილიპე; მართლა სინდისიერი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ ამ კატეგორიის პარტიულები, მაგრამ უაღრესად ვინუბაშზღუდულები. იმდენად, რომ არც ესმოდათ რას მოუტანდა ხალხს მათი წამოწყებული საქმე. პირიქით, ასეთებს გულუბრყვილოდ სჯერდათ, რომ აყვავებდნენ საქართველოს. მეორე კატეგორიას ეკუთვნიან დემაგოგები, ტერორისტები და კაცთმოძულეები, რომელთა მიზანი იყო მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ყოველგვარი საშუალებებით და ამატომაც შესვეს ზღვა სისხლი. ხალხის და საქართველოს ბედი იმათ ფეხებზე ეკიდათ. მესამე კატეგორია საერთოდ არ არსებობს.

რატი — ხედავ, რა წამოროშა?!

ზრუსიმე — აბა, სხვას რას ელი მისგან. არც ღირს ხალაპარაკოდ. მიდის და მიაქვს საფლავში კომუნისტური ღოგმები. **(პაუზის შემდეგ)** რატი! საქმეზე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედი შენთან. სალაპარაკო მაქვს. ველოდებოდი.

რატი — ჰო, რაო! ცუდი არაფერი მითხრა, თუ ძმა ხარ. აღარ მეყო, რაც მოვისმინე?

ზოსიმე — მინდოდა მარტო მენახე...

რატი — (**შეცბება**) მერე!

ზოსიმე — დღეს დილით, სკვერის ახლოს, კარუსელთან რომ ჩამოვიარე, ყური მოვკარი, შენს ბიჭზე ლაპარაკობდნენ...

რატი — თორნიკეზე?!

ზოსიმე — ჰო!

რატი — რაო!

ზოსიმე — რომელიღაც თავის ამხანაგთან ერთად იმ გატაცებულ ბავშვს ეთამაშებოდაო...

რატი — (**გაოგნებული**) მერე!

ზოსიმე — რა ვიცი... კარუსელზედაც დაუსვამთ გოგონა და მერე... ზევისკენ მიმავალი უნახავთ ერთად...

რატი — თორნიკესთან ერთად?!

ზოსიმე — ჰო.

პაუზა

რატი — (**შშვიდად**) რა გინდა, ამით მითხრა.

ზოსიმე — არ ვიცი... ვეუბნები იმას, რასაც ამბობდნენ! ეჭვით, რა თქმა უნდა. შენი უფროსი ბიჭი დაუნახავთ იმ ბავშვთან, ესაა და ეს. არავინ არაფერს ამტკიცებს.

პაუზა

ხმა — რატი!

ზოსიმე — (**გადაიხედავს აივნიდან**) ბოჩიაა.

რატი — არ ვარ შინ.

ზოსიმე — (**გადასძახებს აივნიდან**) ქვევითაა, მოედანზე.

ბოჩიას ხმა — მისი ბიჭი სადაა?

ზოსიმე — არ მინახავს, ვერ ვეტყვი.

ბოჩიას ხმა — რამ ვააქრო მაინცდამაინც დღეს!

პაუზა

ზოსიმე — მგონი, ქალაქშია წასული!

ბოჩიას ხმა — ჰო, ალბათ ხალხიც ასე ლაპარაკობს... იმასაც ამბობენ, დილით კარუსელთან ტრიალებდაო... რას გაიგებ ამ ქვეყანაზე... ნახავ მინდოდა, სამოსახლო შეეურჩიე ნამეტანი კაი...

II მოქმედება

სურათი I

მეტყველის ქოხი მინდვრის განაპირას. მოშორებით, უკან, დიდი მთის შიშველი ფერდობი მოჩანს. ქოხთან ახლოს კუნძზე ქოსა ბოჩია ზის. სადამოა.

შემოდის პიჟამოიანი გამოელელი.

გაპვლელი — (**როგორც კი ქოსა ბოჩიას შენიშნავს, თავისთვის**) ფუი, დაწყეველოს ღმერთმა!.. (**სხვა გზით წასვლას დააპირებს, მაგრამ ველარ ასწრებს**).

ბოჩია — (**მისგან ზურგშექცევით ზის**) არ გესიამოვნა, ხომ, ჩემი დანახვა! გაგნავლე, გაგთავლე. რახან ქოსა ვარ, შენც გეჯავრება თურმე.

გაპვლელი — (**აბნეულად**) როგორ გეკადრება, ბოჩია... უბრალოდ, ვერ გიცანა... გამარჯობა შენი... თვალებმა მიმტყუნეს, თითქმის დავბრმავდი.

ბოჩია — რას დაბორიალობ ამ ტყეში; საით მიდიოდი?

გაპვლელი — ისე, გამოვისეირნე... სიარული, ხომ იცი, ჯანმრთელობისთვის მარგებელია. შენ რას აკეთებ აქ, ელოდები ვინმეს?

ბოჩია — რომანოზა უკმურს და უბედურს. ამ დროს იცის აქ ტრიალი.

გაპვლელი — ჰო, მართლა, ბოვეს ბავშვიო, ამბობენ, მართალია?

ბოჩია — რა ვიცი მე.

გაპვლელი — კაი ერთი, ბოჩია. შეიძლება მოხდეს რამე ისეთი, შენ რომ არ იცოდე?

ბოჩია — მე, მაგალითად, არ ვიცი, სად ვედო რატის ბიჭი იმ დღეს, ბავშვი რომ გაიტაცეს და ამიტომაც ვზიავარ ახლა .აქ.

გაპვლელი — მერე, რომანოზი გულთმისანია?

ბოჩია — წელან ჩემს დანახვაზე გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდი და ახლა ყველაფერი გინდა მათქმევინო.

ბაბვლელი — ღმერთი, რჯული, ვერ გიცანდ, ბოჩია.

ბოჩია — ესე იგი, გაინტერესებს, რა და როგორ მოხდა? ოღონდ ენას კბილები დაჭირე ჯერ!

ბაბვლელი — აუცილებლად.

ბოჩია — კაი, აბა, გეცოდინება, ალბათ, რომ ბავშვის გამტაცებლებს ქამიური ფანქრით ნაწერი წერილი იმ უჟმურის ფოსტის ყუთში ჩაუგდიათ.

ბაბვლელი — ჰო, კი...

ბოჩია — ფული დათქმულ დროზე და დათქმულ ადგილზე უნდა მიეტანა თურმე ერთადერთ კაცს, მზლვლების გარეშე; ასეთი ყოფილა პირობა. ჰოდა, გუშინვე, ვვიან საღამოს ფული ვის წაუღია, იცი? რომანოზა უცხვირპაროს! აბა! რა ენაღვლება, რა, რძალი მილიონერი ჰყავს და გაუჭირდებოდა? წასულა მარტო და წაუღია ფული.

ბაბვლელი — ეს ამბავი ხომ მთელმა ქვეყანამ შეიტყო. შენ სხვა მითხარი რამე, ჭურში კი არ ვზივარ.

ბოჩია — მაცალე ლაპარაკი! მთავარი ისაა, რომ ბავშვის გატაცებამდე ცოტა ხნით ადრე იმ საცოდავ ბოგონასთან ერთად უნახავთ რაღა ტურძელაძის ბიჭი, თორნიკე!

ბაბვლელი — ესეც ვიცი მე!

ბოჩია — (**ბულმოსული**) აბა, რაღა გინდა ჩემგან!

ბაბვლელი — ეჭვი მიღრღნის გულსო ახლა არ თქვი?

ბოჩია — ჰოდა, ამაშია საქმე! ეჭვი კი არა, დანამდვილებით ვიცი, რომ ბავშვი რაღა ტურძელაძის მორფინისტი ბიჭის გატაცებულია!

ბაბვლელი — რას ამბობ, კაცო! წესიერი ბიჭიაო, ქვეყანა გაიძახის.

ბოჩია — მე ჰაერზე არ ვლაპარაკობ, სხვათა შორის. ახე მიცნობ? რაღა თავს იკატუნებს, თითქოს არაფერი იცოდეს. მღწაში ჩამარხული ნაქურდალი ფული ულპება და მანვიი რომ თხოვო, არ გასესხებს. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ცოტა ბახუს გავეთამაშე და ვეღარ მოვზომე.

გაკვლელი — ცამდე მართალი ბრძანდებით, ჩემო ბატონო. მე პატარა კაცი ვარ და უნებურად სხვებს ვბაძავ ყველაფერში... რა ვაქვთ საბოდიშო... თქვენს რჩევას არასოდეს დავივიწყებ...

ბოჩია — (**გიგოლას**) ზოგიერთები რომ თვალს გარიდებენ და სალამს არ გაძლევენ საერთოდ, ის ხომ უარესია. რატისთან ერთად გადაჰკარი. ალბათ.

ბიგოლა — არა, მეზობელმა გადამიპატიჟა და მე ერთი-ორი ჭიქაც მყოფნის. რატი ახლახან დაბრუნდა ქალაქიდან. აქვეა ხევში. მალე ამოვა, რომანოზი უნდა ენახოო. გაუხარდება ძალიან ბავშვის გადარჩენა. ჰოდა, ერთად მივულოცოთ რომანოზს პატარა ანგელოზის ბინდიტებისგან გამოხსნა.

ბოჩია — კი, დარწმუნებული ვარ, რომ რატის ძალიან გაუხარდებოდა, ძალიან...

ბიგოლა — შენ რა, ეჭვი გეპარება? არ ველოდი თუ ასე მალე დამთავრდებოდა სასიკეთოდ ეს ამბავი. ჩამოვუარეთ მე და რატომ ახლახანს რომანოზს. აქეთ წამოსულა თურმე. აი, ასეთ დროს შეიძლება გადაკოცნო ადამიანი **(გაკვლელს გადახვევს)** ანდა იმიდან რომ დაბრუნდება ცოცხალი, მაშინ. ხომ ასეა!

გაკვლელი — ნამდვილად.

ბოჩია — ჰო, ისე ვერ დ'ვეძინე ამ ელამ, იმ უკმეურს თუ არ გადავეხვევ.

ბიგოლა — უშიშარი კაცი ყოფილა, რას ერჩი. მაგალითად, მე ვერ გავბედავდი მარტო მისვლას იმ ბინდიტებთან.

ბოჩია — კეთი ვვარზე ხტისო. მამამისი, როგორც ამბობენ, მარტოდმარტო შედიოდა ოჯახებში შუადამისას ხალხის დასაჭერად. შიშის კრძნობა თურმე საერთოდ არ ვაანნდა. თუმცა მაუზერი კი ჰქონია მოყდებული ვვერდზე დღედღამ.

ბიგოლა — (**გოცებული**) როგორ; როგორ?!

ბოჩია — არა... ჰო... მამამისიეთი უშიშარია ყველაფერში... ეაყკაცობა ვენში აქვს.

შემოდის რომანოზი

გაკვლელი — სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს რომანოზს.

ბიგოლა — სულით და გულით გილოცავთ ბავშვის გადარჩენას **(მიუახლოვდება და კოცნას დაუპირებს)**.

რომანოზ — (**ხახეს მოარიდებს**) იქნებ ჭლექი მჭირს. ამას ვარდა, რა ვაკკაცის საქმეა პროშნა-პრუშტი.

ბიგოლა — ასეთი დიდი სიხარულის დროს გამართლებულია, მე მგონი. **(ისევ დაუპირებს კოცნას)**.

რომანოზ — გამანებე, ბატონო, თავი **(ისევ მოარიდებს ხახეს)**. რა არის სასიხარული — ბავშვების გატაცება რომ დაიწყეს? ვიეეკკოთ და ერთმანეთი ელოშნოთ, რახან ამასაც მოვესწრაოთ. რა არის მოსალოცი! ბანდიტებს რომ უბატონოდ ხმა ვერ გაეეცი? რას ხედავთ სასიხარულოს!..

გაკვლელი — ხომ შეიძლებოდა, რომ ბავშვი...

რომანოზ — (**არ აცლის**) ვიზეიმოთ, არა? რახან გამოვისყოდე! მომახვევნეთ, ბატონო, და საქმეს მიხედეთ. გზაზე თავისუფლად ვეღარ გამოვლია.

ბოჩია — რაა საწყენი იმაში, რომ ადამიანმა ბავშვის გადარჩენა მოგილოცოს...

გაკვლელი — ეს ხომ ნამდვილად ყველას გაგვეხარდა.

რომანოზ — (**ბოჩიას**) რამ მოგიყვანა აქ, პირდაპირ მითხარი. ბავშვი შენ ფეხებზე გაიდია და, საერთოდ, ყველაფერი. ოღონდაც სხვების სალანძღავს მიაგნო და ცეცხლში გადავარდები. კარგად გიცნობ, ვინცა ხარ.

ბოჩია — ბანდიტებს ვერაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშენის ნაქონი მაუზერიით წახვედი ასე გაბედულად იმ ბანდიტებთან.

რომანოზ — (წამოვნთება) რას ბეუტყობრობ, ბიჭო, შენ! **(მთელი ხმით)** ახლა მე კიდევ ნერვების აშლა მინდა?! ვინაა შენი ხელწამოსაკრავი! მამაჩემი?! გაეთრევ ახლავე აქედან! ამ წუთში! მოშორდი აქაურობას! დროზე, სანამ არ ჩაგაძალე ამ თოფით! გაეთრევ!

ბოჩია — კი, მიხაკო ჯაშის შვილს ეგ არ გაგიჭირდება...

რომანოზ — (თოფს მოუღერებს) მომაშორეთ ეს ბეგელის წიწილი!

ბიგოლა — (რომანოზს წინ გადაუდგება) ბოჩია, რა მოგივიდა!

ბოჩია გადის.

ბიგოლა — რა მაუზერზე ლაპარაკობდა!

რომანოზ — (იყურება იქით, საითაც ბოჩია წავიდა) ძაღლის გაგდებული! მუქთაბორა! ყველას ლანძღვა-გინებით იკლებს. **(უცებ ხმამაღლა)** მე ნაიდან მეცოდინება, რა მაუზერზე ლაპარაკობდა!

გამვლელი — დაწყნარდით, რომანოზ.

რომანოზ — (გიგოლას გამვლელზე მიუთითებს) ეს ვიღაა, ერთი გამაგებინეთ; **(გამვლელს)** რა შენი საქმეა, დავწყნარდები თუ გადავირევი! თქვენც მიბრძანდით ახლავე აქედან! გამომეცხადნენ ჭირისუფლები! მიბრძანდით! არ მჭირდება მე თქვენი თანაგრძნობა!

გამვლელი გადის.

ბიგოლა — (ნაძალადევი ხუმრობით) ახლა ჩემი გაგდების ჯერი დადგა მგონი.

რომანოზ — მე არავის ვერჩი, ოღონდ ჩემთვის მამყოფეთ, ბატონო! ის ბეგელი ადრე მამარქმევ არ მოყვნებდა საფლავში და ახლა მეც მომდგა. აქვე უნდა ჩამეძაღლებინა ამ ცხელ გულზე. მამაჩემი მაუზერისტი კი არა, ერთი უბრალო ავიტატორი იყო, და ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

შემოდის რატი

რატი — (სახეგაბადრული, გახარებული) მტრის ჯინაზე ხომ გავიმარჯვეთ, რომანოზ! დღეს უნდა ვიქეიფოთ ... ლებლად. ორი საათია გეძებ **(გადაკოცნას უპირებს).**

რომანოზ — (სახეს მოარიდებს და უცებ ბრაზდება) რა ბეგელქეიფება თუ იცი!

ბიგოლა — (რატის ანიშნებს, არაფერი თქვას) სად დაიკარგე ამდენი ხანი, უნქმოდ ეძებდი. ალბათ, სამოსახლოს. ჩემისთანა ნავსიანთან რას მიაგნებ, აბა.

რატი — ჰო, მაგრამ, რატომ არ უნდა შევსვათ თითო ჭიქა, მაინც ვერ გამიგია.

რომანოზ — ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბეგელაცვალე.

რატი — მით უმეტეს...

რომანოზ — არ ვსვამ, ბატონო. იქნება ამ ღვინოს, აკრძალული მაქვს.

პაუზა

ბიგოლა — უცნაური კაცი ხართ, ჩემო რომანოზ.

რომანოზ — რატომ, ვითომ...

ბიგოლა — ბავშვის გატაცება მარტო შენი უბედურებაა თუ მთელი ხალხის.

რომანოზ — ცარიელი ლაიღაია ეს. საქმეა საჭირო, დღესვე უნდა დაბერიტო ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე და დამყარდება წესრიგი. შიშით.

ბიგოლა — ისევ კომუნისტური მეთოდები?!

რომანოზ — თუ სხვაგვარად არაფერი გამოდის! ხომ ხედავ, როგორ აიშვა ხალხმა. კომუნისტები ყველაფერში კი არ ცდებიდნენ.

ბიგოლა — ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენც იგივე გავაკეთოთ...

რატი — (მშვიდად) გასაგებია ყველაფერი! **(უცებ წამოვნთება)** გუშინ მთელი დღე ჩემი შვილი, დილიდან დაღამებამდე ჭიშკარს და მესერს ღებავდა ქალაქში მეზობლების დახმარებით და ამას მთელი ქვეყანა ხედავდა!

რომანოზ — (გიგოლას მიაჩერდება) შეიშალა ეს ხალხი ნამდვილად. **(რატის)** მერე მე რატომ უნდა მაინტერესებდეს, რას აკეთებდა შენი შვილი გუშინ. ნაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპი თუ ხარ, სადაც დალიე, იქ მოინელე„

რატი — **(გუნება გამოეცვლება, შემრიგებლური ტონით)** არ გაინტერესებს?!. ჰო, მე... უბრალოდ, იმიტომ გითხარი, რომ მეგონა, ნაწყენი იყავი, რომ ვერაფერში დაგეხმარა... აქ რომ ყოფილიყო, იმ ბანდიტებთან მაინც გაგაყოლებდი, სხვა თუ არაფერი...

რატი — არავისი დახმარება მე არ მჭირდება, დიდი მადლობა. მაშინ ვიქაქანოთ გაუთავებლად დღე და ღამე. **(გიგოლას)** კაი, თუ ძმა ხარ. ამ კაცს ახლა კამათი და დისპუტი უნდა? ბეწვზეა გადარჩენილი! **(რომანოზს)** მაინც როგორ შეგხვდნენ ის გადაგვარებულები, საინტერესოა. თუმცა, ჰო, ამის გამხელა არ შეიძლება და მეც ვზუმდები.

რომანოზ — თუ წავაწყდი სადმე, ერთს ვიცნობ.

ბიგოლა — რაო? როგორ!

რომანოზ — ერთს ნიღაბი ჩამოუცურდა სახეზე, ფულს რომ იღებდა უბეში. პირველად ვნახე, მარა ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება იმისი სახე.

ბიგოლა — სად შეხვდით ერთმანეთს? თუმცა, ჰო...

რომანოზ — აქვე, ჭალაში, ხიდთან.

ბიგოლა — **(რომანოზს)** ხიდთან?

რატი — **(გიგოლას)** ნუ ამოხდი ამ კაცს სულს და მოასვენე ახლა. ხმვათა შორის, ჩემმა ბიჭმა გუშინ, იცი რა მითხრა? რახან ამდენ ხანს სამოსახლოს ვერ მიაგენი, ხვალიდან მე თვითონ შევუდგები ძებნასო. **(ძიწის ნიჩბენას იწყებს ჯოხით).**

ბიგოლა — მშველებია მართლა და ესაა.

რომანოზ — უზარმაზარი ფიჭვი მოუჭრია გუშინ ჩემს არყოფნაში ვიღაც ველურს აქ. ესეც იმის ბრალია, არავის შიში რომ არა აქვთ.

ბიგოლა — მამათქვენი აგიტატორი იყო, ბატონო რომანოზ?

რომანოზ — ორმოცდათორმეტი წელიწადი, მარა ვინ დაუფასა.

ბიგოლა — საკაშირო მნიშვნელობის პენსიონალური პენსიონერი ყოფილა, უამრავი ორდენი და მედალი მიუღია...

რომანოზ — ძველ ბოლშევიკ-აქტივისტებს აპატიეს უდანაშაულო ხალხის ჟლეტა და მამაჩემმა უბრალო აგიტატორობით მათზე უარესი რა ჩაიდინა!

პაუზა

ბიგოლა — ეჰ, ყველაფერს ვერ იტყვის ადამიანი...

რომანოზ — იმიტომ შეალია მამაჩემმა იმ მთავრობას ჯანი და სიცოცხლე, რომ მისი შთამომავალი აღვარახსნილი ნაძირალების სანადირო გამხდარიყო? ბანდიტები პარპაშებენ განუკითხავად და პასუხს არავინ თხოვს! აი, რა მოგიტანათ თქვენმა თავისუფლებამ!

პაუზა

ბიგოლა — **(ირონიულად)** აფსუს, რა დრო წავიდა! საუბედურო, ვეღარასოდეს მოვესწრებით იმ ხანას.

რომანოზ — **(დაცინვას ხვდება, გაგულისებული)** არა, ასე სჯობს, დღეს რაც ხდება ირგვლივ... ძაღლიან-კატიანად რომ ყველა ბელადობას ინერებს...

რატი — **(გიგოლას)** უარესიც შეიძლება თქვას კაცმა, შეალიშველს რომ მოტიცებენ. გუშინს აქეთ საერთოდ გონზე როგორაა ეს ადამიანი, არ გიკვირს?

ბიგოლა — **(ანნულად)** ჰო, კი... ალბათ...

რომანოზ — ნურას უკაცრავად! **(რატის მიაჩერდება)** მე გუშინდლამდეც ამას ვიტყოდი, რასაც ახლა ვამბობ.

ბიგოლა — მამათქვენი აგიტატორი იყო, არა?

რომანოზ — **(ბრაზმორეული)** რამდენჯერ უნდა მკითხო! დიახაც რომ აგიტატორი იყო. ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში მაუზერი და ხალხში განათლება შეჰქონდა. რაა ამაში დასაძრახი!

ბიგოლა — ეჰ, ჯობდა ორივე ხელში მაუზერი სჭეროდა, ნაკლებ ცოდვას ჩაიდენდა...

რომანოზ — **(გაოგნებული)** ვერ გავიგე! **(უცებ წამოენთება და რატის მიაჰ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდება) სხვებმა იკითხონ, სხვებმა, ხალხს რომ წაშებით ხდიდნენ სულს და მაუზერით საკვდილს სანატრელად უხ-დიდნენ... **(მშვიდი ტონით)** ვინ იცხოვრა მაშინ უცოდველი კრავივით, ა?

ბიბლია — ბევრმა. ძალიან ბევრმა.

რომანოზ — **(რატის მიაჩერდება ისევ)** შენც იგივეს ფიქრობ, როგორც ვხედავ.

რატი — **(პაუზის შემდეგ)** მე არ ვმალავ, მამაჩემი რომ ჩეკისტი იყო და ხალხს ხვრეტდა.

რომანოზ — **(პაუზის შემდეგ)** სხვებს რაღას ამტყუნებ. კარგად ვხედავ, რა თვალითაც იმზირები.

რატი — **(მშვიდად)** არავის ვამტყუნებ, რადგან არ ვიცი. მე თვითონ როგორ მოვიქცეოდი მაშინ. იმ დროს რომ მეცხოვრა. იგივე შემიძლია ვთქვა თქვენზეც **(ორთავეს გადახედავს)** და ყველაზე. არავინ იცის დღეს, ვინ როგორ აიტანდა მაშინ შამფურების ტრიალს ყურებში... ოღონდ ნურც ხოტბას შევახსამთ იმ დროინდელ კომუნისტს, მერმინდელსაც. დღევანდელსაც...

რომანოზ — ყველას ერთი არშინით ვერ გაზომავ! მამაჩემი უბრალო აგიტატორი იყო. კაცი არასოდეს მოუკლავს!

ბიბლია — **(უცებ წონასწორობას კარგავს, აღგზნებული)** ხალხი რატომ გარბოდა მის დანაზვაზე? ყველას ცოდვა რომ სხვებს ვინდა მოკითხო!

რომანოზ — **(შუქარით)** ჩემთან ხმადაღა ილაპარაკე! შურიან ხალხს უარესიც უთქვამს მამაჩემზე. ბევრი იმასაც ვერ იტანდა, უნივერსიტეტში კათედრა რომ ჩააბარეს.

ბიბლია — **(დაუფიქრებლად)** და წლების მანძილზე ახალგაზრდობას ტვინს ულაყებდა. **(ბოლს მოეკვება)** უკეცრავად,მამაძეკვენი კი არა, მარქსიზმი.

რომანოზ — **(ბიბლიას, ნიშნის მოგებით)** ასეც რომ ყოფილიყო, ვინ უფრო დიდ დანაშაულს ჩადიოდა — აგიტატორი თუ ჩეკისტი! ყველას ერთი არშინით ვერ გაზომავ.

რატი — **(შშვიდი ტონით)** ძაძაშვილს დახვრეტილ ხალხს დაითვლიდი. ბოლის და ბოლოს...

რომანოზ — მერე? ეს ამართლებს მას?

რატი — არა, მაგრამ კომუნისტური აგიტაციის წყალობით მოწამლულ ხალხს ვერავინ დათვლის. იმდენია! აგიტაციის წყალობითაა, რომ ხალხი მოსისხლეს მტერსაც კი ღმერთად მიიჩნევს და მის ნატერფალს ლოკავს, ვის უფრო დიდი დანაშაული ჩაუდენია — მამარჩემს თუ მიხაკო ჯაშს! მართლაც რომ ყველას ერთი არშინით ვერ გაზომავ.

რომანოზ — რას რიშავ, შე სულწაწყმედილო! კაცისმკვლელზე უფრო დიდი ცოდვა ვის ჩაუდენია ამქვეყნად! უტიფარიც ყოფილხარ სხვა სიკეთესთან ერთად. ერთი კაციც რომ დახვრიტო, ერთადერთიც კი, ის უფრო დიდი ცოდვაა, ვინემ მთელი ხალხის გაკომუნისტება. სად ჯალათი და ტერორისტი და სად უბრალო აგიტატორი!

ბიბლია — თუ საღი გონებით შეეხედავთ იმ ჯოჯოხეთურ წლებს...

რომანოზ — **(აწყვეტინებს)** შენც ამ საქმოსანმა **(რატიზე უთითებს)** გამოგლეყა ტვინი, როგორც ვხედავ.

ბიბლია — **(ყვირის მთელი ხმით)** ბავშვებიც კი ჯაშუშებად და მამის მკვლელებად აქციეს სწორედ ამ ბაბრწნილი აგიტაციის წყალობით! ვინც კომუნისტურ იდეოლოგიას ქადაგებდა მალიარდჯერ უფრო მეტი დამნაშავეა, ვიდრე რომელიმე ტერორისტი!

რომანოზ — შენც კაი გველის წიწილი ყოფილხარ!...

ბიბლია — ვინ უქადაგებდა ხალხს. დაენგრიათ ეკლესიები, ამოეწყვეტათ თავადაზნაურობა. სამღვდელოება, დაეწვათ ილია ჭავჭავაძის წიგნები...

რომანოზ — ოქვენისთანების კარნახით...

ბიბლია — როდის იყო საქართველო თავისუფალი და ძლიერი სახელმწიფო! გეკითხებით მე ოქვენ. მაშინ ხომ არა, როცა გლეხობა, თავადაზნაურობა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და სამღვდელობა ერთად იყო მუშტი-ვით შეკრული. ვინ შეთითხნა ჩვენთვის დამღუპველი ფილოსოფია ეგრეთ წოდებული კლასთა ბრძოლის შესახებ. უნ-ნელესმა მარქსმა ხომ არა! ვის ეჭირა ეს დრიმა! ვინ წყაიდა ერთმანეთს ვლე-ხობა, თავად-აზნაურობა და სამღვდელო-ება! აქედან დაიწყო, ამ უბინძურესი ფი-ლოსოფიით ჩვენი დაცემა და გაპარტა-ხება. ვინ ქადაგებდა ამას! ხალხს ასეთი აგიტაციით ტენი გამოულაყეს.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — სხვებს წაუკითხეთ, ბატონო, ეს ლექცია, სხვებს.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — **(უფრო მეტად ბრაზდ-ება)** რომელი იდეოლოგიის წყალობით გამოაძევეს იენე ჯაკობიშვილი თავისი-ვე დაარსებული უნივერსიტეტიდან!

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — უარეს ჩაიდენდით, თქვენ რომ ყოფილიყავით მაშინ.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — ვინ უწინინებდა ხალხს დედდადამ, დედ-მამაზე მეტად ლენინი შეიყვარეთ!..

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — რეზინის ღეჭვის და მორფინისტობას ხომ მაინც ჯობდა!

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — რომელი იდეოლოგიის წყალობით გაუქმეს თითქმის მთლიანად საქართველოს ისტორიის სწავლება სკოლებში, ინსტიტუტებში...

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — ყველაფერი ღრმ მოიტანა მაშინ.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — აგიტაციის წყალობით მთაწმინდაც კი წაბილწეს.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — რას მიმტკიცებ, თუ უფიქრდები! კაცისმკვლელი აგიტატორ-თან შედარებით ანგელოზად რომ გა-მოგყავს! ვინა ხართ თქვენ ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ!

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — ქუჩებს, სოფლებს და ქალაქებს ვის სახელებს არქმევდნენ ტაშის გრიალში, ისევ იმ აგიტაციის წყალობით.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — ასე ხდებოდა ყველგან მთელ დედამიწაზე, სადაც რევოლუცია გაიმარჯვებდა.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — რომელმა იდეოლოგიამ მოწყვეტა ქართველი ქალი ოჯახს და პარტიულ მუშაკად აქცია. უარესი და-ცემა და სიმახინჯე წარმოუდგენელია ჩვენთვის. ჯარამხანებში ხასად ყოფნაც კი უფრო ნორმალური, მისადაგი იქნე-ბოდა ქართველი ქალისთვის, ვიდრე კომუნისტების საქმეში გარევა.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — თქვენისთანების აზ-რით.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — ვინ გაასაჩუქრა ჩვენი მიწები ინტერნაციონალური ლოზუნგე-ბის ქადაგებით!.. მარქსისტული ბოდვის მოშველიებით! ხომ არ გგონიათ, რაც ამ კაცმა თქვა **(რატიზე უთითებს)**, იო-ლი იყოს ამის ალაარება. ჩვენში თითო-ოროლას თუ შეუძლია ეს! ჩეკისტების დახვრეტილ ხალხს მართლა დათვლი, ბოლოს და ბოლოს. ხოლო ბოლშევი-კური იდეოლოგიის აგიტაციის წყალო-ბით მოწამლულ ადამიანებს, ვერასო-დეს. იმდენია!

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — **(ყვირის მთელი ხმით)** მთვრალი ხარ თუ შეშლილი შენ! ყველ-ა უკლებლივ დამნაშავეა, თანაბრად! ყვე-ლა!

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — **(უცებ მშვიდდება, წყნა-რი ტონით)** აი, ეს მინდოდა. გეოქვათ, ბატონო რომანოზ! ყველა თანაბრად დამნაშავეა, დიახ! სულ ახლახან კი ამბობდით, რომ მამაძაღვენი ერთი უბ-რალო აგიტატორი იყო. ცოდვის ტვირ-თი ყველამ თანაბრად უნდა ზიდოს.

ᲞᲐᲣᲖᲐ

ᲠᲐᲢᲘ — **(ისევ ჩიჩქნის მიწას ჯობ-ხიო)** ეჰ, ჯობდა, არ გავეჩინე მამაჩემს...

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — **(ხმადაბლა)** აირია მონ-ასტერი, ძაღლი პატრონს ველარ ცნობს.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — პირიქით, რომანოზ ბატ-ონო, ახლა ლაგდება ყველაფერი. არე-ული აქამდე იყო — შავს რომ თეთრად ვეჯაჩეებდნენ.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ — მეტი არაა ჩემი მტერ-ი, ახლა რამე დალაგდეს.

ᲖᲘᲒᲘᲚᲐ — საუბედუროდ, ჩვენში დღესაც კი ბევრს ისევ ის დრო ურჩევ-ნია, ბერლინში ან პარიზში მიღებული ცოდნისთვის რომ ხალხს ხვრეტდნენ. და ამას ახლა იმით ამართლებენ, სამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერიდ გასტრონომი იყო სავსეო. თუ ასე ვიმსჯელებთ, რა თავისუფლების ღირსი ჩვენ ვართ. მხოლოდ კუჭზე და ჭამაზე ღირიც კი ფიქრობს.

რომანოზ — რას იზამ, ასეა, ბატონო, გასტრონომი უნდა ხალხს პირველ რიგში და მერე ყველაფერი დანარჩენი. ჰო!

ბიგოლა — აი, ამიტომაცაა მარქსი საფლავიდან ამოსაბრწყინული. **(ხმამაღლა)** ადამიანს პირველ რიგში ჭირდება სუნთქვა და ეს სუნთქვა თავისუფლებაა..

რომანოზ — ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით კუჭს ვერ ამოივსებს. ამ კაცმა **(რატიზე უთითებს)** იცის, რაა ცხოვრება. საქმისანს ტყუილად არ ეძახიან. ჰოდა, კითხეო, თუ ვცდები.

რატი — რომანოზ ბატონო, ხომ შეიძლება მეც ისეთივე ნიჭი მქონდეს პრაქტიკულ ამბებში. როგორიც ჰქონდა ეთქვათ, დავით სარაჯიშვილს, ა? დავუშვათ, რომ მაქვს. მაგრამ მე ჩემი უნარის მოლიანად გამომზეურების საშუალება არ მქონდა გასაჯი მიზეზების გამო. უდიდესი მეცენატის, დავით სარაჯიშვილის გვამი კომუნისტებმა დიდუბის პანთეონიდან ამოთხარეს და სადღაც გადაკარგეს, — კაპიტალისტი იყოო, ისევ იმ ბინძური იდეოლოგიისა და აგიტაციის წყალობით.

რომანოზ — (ბრაზდება) მერე! მე რა შუაში ვარ!

რატი — საქმისანს რატომ მეძახი, გამაგებინე.

რომანოზ — ისე ვთქვი, კაი გაგებით.

რატი — შენი შვილიშვილი ბეწვზეა გადარჩენილი, ჰოდა, ახლა მაინც არ უნდა გეცალოს მამაჩემის ლანძღვა-გინებისთვის.

ბიგოლა — და მართლაც გვაქვს მიზეზი. შევხვდეთ თითო ჭიქა. მე გეპატიჟებით. შევრიგდეთ ახლა და დავლოცოთ ბავშვი, ერთმანეთი, ჩვენი ქვეყანა.

რომანოზ — კომუნისტებზე უფრო დიდი მტერი საქართველოსთვის გაუთავებელი ქეიფი, ღოლ-გარმონი და ჭამა-სმაა. ესეც აგიტაციის წყალობით ხდება? ან ყველა იყო დამნაშავე, ან არავინ! მე ასე მჯერა!

პაუზა

ბიგოლა — (ფიქრებში წასული) ალბათ, ესაა ყველაზე დიდი სიმარილე.

რომანოზ — (რატის მიაჩერდება) ჰო; შენ არ გეცოდინება... აქამდე მეგონა, თავს იკატუნებდი... ვეტყვი პირდაპირ, ბოლოს და ბოლოს, რაღა სხვამ გითხრას... გუშინ მომეწვენა, რომ იცოდი და მალავდი. ჰო... ჩემი ძმა მამაშენმა დაღუპა! მისი დასმენით დააპატიმრეს და დახვრიტეს. ამისი უტყუარი საბუთები არსებობს. ეს რომ შევიტყვე, მამაშენის სახელის ხსენებას ვეღარ ვიტან... შენც ამიტომ აგითვალისწუნე.

პაუზა

ბიგოლა — ასე ხელალებით მაინც ძნელია თქმა.

რატი — (თვალები გაუშტერდება, ხმადაბლა) მართალი იქნება.

ბიგოლა — (შემრიგებლური ტონით) ვინ იცის..

რომანოზ — (რატის, შშვიდად) გითხარი იმიტომ, რომ მამაჩემი აღარ ახსენო...

რატი — (თავს დაიქნევს) ჰო... (ისევ ჩიჩქნის მიწას ჯოხით).

ბიგოლა — (რომანოზს, რატი რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანოს) — ბავშვი დაზაფრული იქნება, ალბათ. წარმომიდგენია, რა შაშს ჭამდა.

რომანოზ — ეს რომ არ მეთქვა **(რატის მიხედრებია)**, ვერ მოვთვენენდი... თითქოს მამაჩემსაც ცოდვები შეეუმსუბუქე...

რატი — ჰო (ისევ ჩიჩქნის მიწას). **(რომანოზს)** ისე კი ყველაფერი ქაქანით დაიწყო... მამაშენისთანებმა აქციეს მამაჩემი მკვლელად...

რომანოზ — მაინც შენსას არ იშლი...

ბიგოლა — (სიტყვას ბანზე აგდებს) ჭკვიანი კაცი ფუტკარს მოაშენებდა აქ, ისეთი ყვავილებია ამ ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატი — (მთელი ხმით წამოიყვირებს) ძვლები!!! ადამიანის ძვლები!

გიგოლა და რომანოზი რატისთან მიირბენენ და მიწას ჩაეცქერდებიან.

პაუზა

გიგოლა — (გაოგნებული) აქაც?!

რომანოზ — ყველგანაა მოფენილი... ყოველ ნაბიჯზე...

რატი — აი, კიდევ. აქ საფლავია, ალბათ.

რომანოზ — საერთო საფლავი.

რატი — აი, კიდევ, კიდევ... თავის ქალა!..

გიგოლა — ჰო, საერთო საფლავს გავს..

რომანოზ — არც აქ აშენდება სახლი.

პაუზა

გიგოლა — ჩვენი მიწა სისხლითაა მორწყული... საქართველოში სახლი ყველან ძვლებზე დგას...

ხანგრძლივი პაუზა

რატი — (მიწას ჩაშტერებია) ღმერთმა იცის, ვინ იყვნენ ესენი..

გიგოლა — (**რატის**) მიაყარე მიწა. წავიდეთ შინ.

რომანოზ — (ქოხთან კუნძზე ჩამოჯდება, თავისთვის) ჰო, ყველგან ძვლებზე დგას...

რატი — მცივა ძალიან... წავიდეთ.

რატი და გიგოლა გადიან.

სურათი II

თორნიკეს ოთახი ქალაქში. გვიანი საღამო. თორნიკე მაგიდასთან დგას და რაღაცას კერავს.

შემოდის რატი

რატი — (**გაოცებული**) — შენ სახლში ხარ? რას აკეთებ, თორნიკე.

თორნიკე — ყველაფერთან ერთად ძაფიც დამპალია (**ნაჭერს ტანზე მოზომავს**). ვერ ხედავ? შარავალს ვკერავ.

რატი — (**დაბნეული**) — ეისთვის!

თორნიკე — ჩემთვის. ატელიეს გახსნა არ მიფიქრია ჯერ. (**ისევ მოიზომავს ნაჭერს ტანზე**) ფერი მოგწონს?

რატი — ყველაფერს ველოდი და ასე თუ განახვედი, აღარ მეგონა. მაცივარი გამორთულია და თქმა უნდა. ბაზარში შენ არ წახვიდოდი, ვიცი. ხილი მაინც მოგეტანა. ორი დღეა ალბათ არაფერი ვიჭამია. აბა, შარავალს კერავ, ა? დედაშენს რომ ენახე ასე, შეიშლებოდა ჭკუიდან. ალბათ დიდი დრო მოანდომე.

თორნიკე — ექვსი დღე. ატელიეში სამარცხვინოდ კერავენ და რა მექნა. ბებიაჩემის ნიჭი გამომყვა ალბათ. ხომ გახსოვს, რა კარგად კერავდა.

რატი — ჰო... ზღაპრული ფერია, გიხდება ძალიან. არც მე მაწყენდა ასეთი შარავალი.

თორნიკე — ძლივს ვიშოვე.

რატი — ნაჭერი ჩემი და ხელობა შენი. გეზარება, გასაგებია.

თორნიკე — დრო არ მაქვს.

რატი (**პაუზის შემდეგ**) — მთელი დღე დაკავებული ხარ?

თორნიკე (**პაუზის შემდეგ**) — ჩემი ნახელავი, ვიცი, არ მოგეწონება (**ისევ მოიზომავს ნაჭერს**) გრძელი ხომ არაა?

რატი — თითქოს, ოდნავ, კი.

თორნიკე — ეს ასეა საჭირო. ამატომ ვეუბნები, ჩემი ნახელავი არ მოგეწონება-მეთქი. ვიღაცა გირეკავდა წეღან გამწარებული.

რატი — დედაშენს ისევ წამოუარა რაღაკულიტმა. მთელი დღე იწვა გუშინ.

თორნიკე (**თვალებში მიაჩერდება**) — და მე მელოდებოდა?

რატი — შუადამემდე.

თორნიკე — ერთი დღითაც ველარ ჩამოვსულვარ შინ. ტანი ხომ უნდა დამებანა. აბანო, შენს გარდა, ყველას აქვს იმ ავარაკზე.

რატი — ჭიშკრის შეღებვაში ვინ გეხმარებოდა?

თორნიკე — არავინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატი — ფერიც კარგი შეგირჩევია, ძალიან უხდება ეზოს. ესე იგი, მთელი დღე შინ იყავი!

თორნიკე (შეაფვალიერებს რატის) — შენც დედაჩემივით მელოდებოდი გუშინ?

რატი — მე გვიან მივედი შინ. კინაღამ მომკლა, რომ შემაგვიანდა. გიგოლასთან ერთად დაყვიანობდი შენს საქმეზე. ძნელია კაი სამოსახლოს მიგნება, ხომ იცი.

თორნიკე — როცა შინ დაბრუნდი, მერე დედხანს ილაპარაკეთ შენ და დედაჩემმა? თუ. მალე დაიძინეთ.

რატი — ჩაი დავლიე და დავწექი. აწუწუნა ერთხანს საცოდავმა და ჩაეძინა მერე. ჯდომაც უჭირს. რა მნიშვნელობა აქვს, როდის დავიძინე.

თორნიკე — არავითარი. ისე. ამ შუა ზაფხულში, რადიკულიტი იშვიათია, საგანგებო შემთხვევაა მედიცინაში.

რატი — მარტო შენ როგორ შეღებე იმოდენა ჭიშკარი.

თორნიკე — ჩემი თუ არ გჯერა, მეზობლებს ჰკითხე.

რატი — გხედავდნენ, რომ ღებავდი? არა... **(აიბნევა)** მე მაინტერესებს, მარტომ როგორ დაუდე გული, გამომლაპარაკებელი მაინც გყოლოდა.

თორნიკე — შენ ხომ ძილის წინ ჩაის არ სვამ საერთოდ, რამდენადაც მახსოვს.

რატი — მერე!

თორნიკე — რატომ ცრუობ, დავლიე და დავწექით.

რატი — რა სალაპარაკოა ახლა ეს! რაღაც ვერ ხარ ხასიათზე დღეს! თუ მეჩვენება!

თორნიკე — ესე იგი, შენ და დედაჩემმა დიდხანს იჩურჩულეთ! და მე რომ ეს ჭიშკარი შევღებე, მარტო მეზობლებმა კი არა, ქვეყანამ დაინახა. სხვა კიდევ რა გაინტერესებს!...

რატი — არაფერი!

თორნიკე (ისევ მოირგებს შარვალს) — ძალიან ვიწრო ხომ არაა?

რატი — არა, კარგია, მართლა, გიზდება ძალიან.

თორნიკე — რახან მოგწონს, ესე იგი, უნდა დავარღვიო. მე და შენ სხვადასხვა ვემოვნება გვაქვს, ანუ სხვადასხვა შეხედულება ცხოვრებაზე. ხომ ასეა?

რატი — ალბათ.. ზოგიერთ რაღაცეებზე...

თორნიკე — ჰოდა, ამიტომაც, რაც შენ მოგწონს, მე ის ჭკუაში არ მიჯდება. და პირიქით. კიდევ დიდხანს აპირებს დედაჩემი ავადმყოფობას?

რატი — რა ვიცი... როდის გაუვლის.

თორნიკე — სხვათაშორის, მე თუ მკითხავ, აშენებული და გამზადებული სახლის ყიდვა ჯობია. უფრო ნაკლები დაგიჯდება.

რატი — მაგრამ, სადაა ისეთი, შენ რომ მოგეწონოს.

თორნიკე — გიგოლას რომ ამ საქმეში გარევ, რას მიაგნებ.

რატი — დღეს ნახავ დედაშენს? სათვალე წამომიღოსო. გაუტყდა ერთი გუშინ.

თორნიკე — წაუღე შენ. ზეგ ამოვალ, მგონი.

რატი (პაუზის შემდეგ) — მანამდე რა საქმე გაქვს აქ.

თორნიკე — ხომ ხედავ **(ნაჭერს დაანახებს)**, ვინ კერავს შარვალს ერთ დღეში. მე ხომ ჯერ გამოუცდელი ვარ ამ საქმეში. თუ მომბეზრდა, მაშინვე მივანებებ თავს... **(პაუზის შემდეგ)** და სხვა რამეს მოვკიდებ ხელს.

რატი (გულუბრყვილოდ) — კარგი იქნება...

თორნიკე — რატომ! მე ჯერ არ მომბეზრებია!

რატი — როგორ არის დამტვერილი ყველაფერი... მთელი ქალაქი გახიზნულია, ეზოში კაცის ჭაჭანება არ ჩანს. შენ გიყვარს ალბათ ასეთი დრო.

თორნიკე — ჩემთვის სულერთია.

რატი — აქ ალბათ ჩამოადწია იმ

ამბავმა, რაც მოხდა გუშინ, ჩვენთან, აგარაკზე.

თორნიკე — ვიცი, ჰო, ბაკშეი გაიტაცეს.

რატი (პაუზის შემდეგ) — ვისგან გაიგე!

თორნიკე — ასეთი ამბავი, მამაჩემო, ელვის სისწრაფით ვრცელდება.

რატი — ჰო, რა თქმა უნდა... საცოდავი ბაკშეი!.. **(პაუზის შემდეგ)** ისე სხვათაშორის, იმოდენა ჭიშკარს მე ორ დღეში ვერ შევდებავდი. ყოჩად შენ, ასე, უნდა, მიხარია რომ მეხმარები. სამაგიერო ჩემზე იყოს. აქ გუშინ შუადღიდან ხარ, ხომ!

თორნიკე — არა, დილიდან. **(პაუზის შემდეგ)** მამაჩემო! ხომ შევთანხმდით, რომ ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვაქვს ამ შარვალზედაც და საერთოდ მთელ სამყაროზედაც.

რატი — მერე! კარგია ეს?

თორნიკე — გადასარევი.

რატი (უცებ წამოენთება) — როგორ მელაპარაკები!

თორნიკე — დამაცადე რა, მამა! რატომ მიშლი ხელს!.. ხომ ხედავ, საქმეს ვაკეთებ. ტყუილუბრალოდ ფულის გადაყრას, ტყუილუბრალოდ ფულის აღება მირჩევნია. შენთვისაც ხომ ეს შეღავათია. **(ირონიულად)** ისეთი ხელობა ვისწავლე, ოჯახსაც რომ წაადგება.

რატი — სულ გაუცხოდი ამ ბოლო დროს. როცა ველაპარაკები, ტყეში იყურები... როდის იყო ოჯახზე დარდობდი ბოლოს.

თორნიკე — სახლის აშენება რომ მინდა! ეს რისი ნიშანია აბა! არაფერი შენ ჩემი არ მოგწონს.

რატი — ჰო... კი... იქნებ მართალი ხარ. ოღონდ ნუ მომატყუებ და როგორც გინდა ისე იცხოვრე, ნებას გაძლევ. რა გვაქვს მე და შენ ერთმანეთთან დასამალი.

თორნიკე — ნურც შენ დალევ ღლეიდან ძალის წინ ჩაის, მაენებელია. შევთანხმდით.

რატი — კარგი, კარგი, წამომცდა... უნებურად... კახამ წამოგიყვანა მანქანით?

თორნიკე — ჰო.

რატი — ისე, სახლის აშენებას რომ მთხოვ, კარგია, მაგრამ რად გინდა...

თორნიკე — ნუ მაბნევ, მამაჩემო.

რატი — თურმე, იმ ადგილებში, ხევს გადმა, იქ, სადაც სამოსახლო ამოვარჩიე, ხალხს ხვრეტდნენ.

თორნიკე — მერე! ჩვენ რა შუაში ვართ!

რატი — ცოტა დაფიქრდი და ისე ილაპარაკე.

თორნიკე (გულმოსული) — იქ ვიდაც ოდესღაც ხალხს ხვრეტდა, რა ჩემი სადარდებელია.

პ ა უ ზ ა

რატი — სხვა ხელობაც ხომ არ გისწავლია ამ ბოლო დროს...

თორნიკე (თითში ნემსი შეესობა) — უხ... ვაი, ვაი, ვაი, ვაი... **(თითიდან სისხლს გამოწოვს და გადაფურთხებს)** ფუი... თითები სულ დავიჩხვლიტე... მამა, დამაცადე რა, გეხვეწები. არ მინდა შენი სახლი და საერთოდ არაფერი, ოღონდ ჩემს საქმეში ნუ ჩაერევი. მეყო მე ოქვენს დუდუკზე ცეკვა.

რატი — აკამდე სული კინაღამ ამომხადე და ახლა ასე უცებ გადაიფიქრე? რა ამოვე ასეთი!

თორნიკე — არ შეიძლება, თურმე, ბატონო, იმ ადგილებში სახლის აშენება და რა ვქნათ!

რატი — ეს საშინელი ამბავი შენს გარდა ყველამ შეიცხადა...

თორნიკე — მამაჩემო, ერთი რამ მინდა გკითხო და არ გამიჯავრდე. შენ სინდისი არასოდეს გაგიყიდია? საიდან გაქვს ამდენი ფული ჩემთვის, რომ ცალკე სახლის აშენებას აპირებ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ წლების მანძილზე რაღაცას ეშმაკობდი... ასევეა სხვებიც! ყველას თავისი „მულამი“ აქვს, სხვათაშორის.

რატი — კახამ რომელი გზით წამოგიყვანა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორნიკე — რატომ მიგდებ სიტყვას ბანზე.

რატი — კლუბის გზით ჩამოიარეთ?

თორნიკე (ისევ შეხედავს გამომცდელად) — არა, პირდაპირ სკვერი გადავჭვრით, კარუსელთან, იქ მანქანის შუშები გავწმინდეთ და მოკლეზე წამოვედით.

რატი — ვინმემ დაგინახა, მანქანის შუშებს რომ წმენდდი? იქ, კარუსელთან.

თორნიკე — ძილის წინ, კიდევ გიმეორებ, მაგარ ჩაის ნუღარ დალევ, მამა, გულზე ცუდად მოქმედებს **(გაბრაზებული ტონით)** რაებს მეკითხები!.. მე რა ვიცი ვინ მხედავს და ვინ — ვერა. არც მაინტერესებს!

პაუზა

რატი (მშვიდი ტონით) — მოეშვი მაგ საქმეს..

თორნიკე — ა, ბატონო **(ნაჭერს მაგიდაზე დააგდებს და ძაფიან ნემსს გულზე დაიბნევს).**

რატი (პაუზის შემდეგ) — დედაშენი მეცოდება.

თორნიკე — ასეთი რა ჭირს! საშიშია არაფერია... რადიკულიტი მეც მაწუხებს ზოგჯერ... ოღნდ ზამთარში.

რატი (ბრაზმორეული ხმით) — ჯერ ერთი, რა ზრდილობაა, მამა ვესტუმრა და შენ ნემსსა და მაკრატელს ვერ შელეეიხარ წუთით **(ყვირის მოელი ხმით)** ფანჯრები მაინც გამოაღე! იმასაც ვერ ვრძნობ რა მმიმე ჰაერი ტრიალებს აქ!.. შენ გეუბნებიან!.. ფარდებიც გადასწიე! რას აკეთებ დასამალავს! გადასწიე ახლავე!..

თორნიკე (ფანჯარას გამოაღებს) — მე იქ აღარ ამოვალ.

რატი (მშვიდი ტონით) — დედაშენთან?

თორნიკე — ჰო.

რატი — რატომ.

თორნიკე — სხვებთან მირჩევნია ყოფნა.

რატი — როდემდე.

თორნიკე — არ ვიცი.

პაუზა

რატი (ყოყმანის შემდეგ) — ერთი ეს მითხარი, თუ ჩამიდენია ოღესმე მე ისეთი რამ, რასაც ადამიანი არ იკადრებს, მიპასუხე.

თორნიკე — არ ვიცი.

რატი — თვალებში შემომხედე!..

თორნიკე — აჰა! **(ვამომწვევად მიაჩერდება).**

რატი (ყურს აუწევს) — რა ვამიკეთებია ასეთი!..

პაუზა

თორნიკე (მშვიდი ტონით) — ახლა წადი, დამიჯერე...

რატი — სახლიდან მაგდებ?!

თორნიკე (მშვიდი ტონით) — წადი, დამიჯერე...

რატი — ვისთან!..

თორნიკე — მაშინ მე წავალ ახლავე...

რატი (მუქარის ტონით) — უჩემოდ ფეხს ვერ გაადგამ აქედან!

თორნიკე (სიცილი აუტყდება) — იქნებ ჩამკეტო კიდეც, ა?

რატი — მომეცი გასაღები!

თორნიკე — შენ ხომ გაქვს საკუთარი.

რატი — მომეცი სახლის გასაღები.

თორნიკე — ა, ბატონო **(გასაღებს გადასცემს).** რით დავიმსახურე მაინც ასეთი ყურადღება, ჩემთვის გუუგებარია. მე ხომ აქ არავინ მომყავს... ამ ბოლო დროს ამოთვალწუნე... იმიტომ, რომ მთელი ხალხის თვალწინ სკვერი გადმომვლია თურმე დღისით, მზისით, აგარაკზე. აბა სად უნდა დაიარებოდეს ადამიანი კურორტზე! ყოველ ჩემს ნაბიჯს ეჭვის თვალით უყურებ! კარგია ეს? ცუდია, მამაჩემო, ძალიან ცუდი! აბა ერთი შენი თავი წარმოიდგინე ჩემს ადგილზე! **(ნიშნისმოგებით)** ოოოოო! როგორი იქნება ყველა რომ შენს ნაბიჯს გიკონტროლებდეს! მაშინ ამდენ ფულსაც ვერ იშოვნიდი! აბა! მე რაღას მერჩი! **(საიდუმლო ტონით)** როცა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის უყვარხარ, სწორედ მაშინ ხარ თავისუფალ! აი, ხომ ხედავ, შარვალს ვკერავ, იმიტომ, რომ დღეს მე ასე მინდა. ხვალ კი რა მომხასიათება, არ ვიცი.

რატი — დედაშენსაც ამას ეტყვი?

თორნიკე — კი.

რატი — ჩემი ხნის რომ გახდები...

თორნიკე (აწყვეტინებს) — მე ყველაფერი ვთქვი. ბოლოს და ბოლოს, მამყოფეთ ჩემთვის!

რატი — იცოდე, რომ არ დაგინდობ...

თორნიკე — აი, სწორედ ამიტომ ვაძლევ საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას.

რატი — (**მიუახლოვდება**) — მე ვიქნები შენი ყველაზე დიდი მტერი...

თორნიკე — არ მომეკარო, მამაჩემო, ხელში ნემსი მიჭირავს და ხომ იცი, რომ ეს საშიშია...

რატი — იცრუე მაინც ჩემთან, მოიატყუე... რაღაც მითხარე...

თორნიკე — არ შემიძლია.

რატი (პაუზის შემდეგ) — მეც რას გელაპარაკები, გაყინული და გაქვავებული გაქვს გული.

თორნიკე — უჭკუო ხომ არ გგონავარ! ჯერ რა გავაბაზრე, რომ ასე გეშინია! მე შარვალსაც კარგად ვკერავ და სხვებსაც, როცა საჭიროა.

რატი — შენის აზრით, მთავარია ის, რომ არავინ არაფერი შეიტყოს: მიპასუხე!

თორნიკე — ჭორებს მიყრიან, თუ დამიჯერეს. აჰა! შენი თვალით ნახე! **(შიშველ მკლავებს უჩვენებს იმის დასტურად, რომ ჭორფს არ იკეთებს).** აჰა, შემიძლია დურბინდიც გამოვიტანო, უკეთესად დაინახავ.

პ ა უ ზ ა

რატი — შენ კარგად იცი, აქამდე რაზედაც ვლაპარაკობდით.

თორნიკე — რა თქმა უნდა, ჩემს ჯანმრთელობაზე. ბუნებრივია, რომ მამა შეილზე ზრუნავდეს. მაგრამ გადაჭარბებული ყურადღება, როგორც ზმარად შენგან მსმენია, ხრწნის თურმე ძლავალ თაობას.

რატი (მუქარით) — იცოდე, პირველი მე გაგწირავ, როცა ამისი დრო დადგება! ჭორფინისტობაც სანატრელი გამიხადე! პირველი მე გაგწირავ!..

თორნიკე (ისტერიული ყვირილით) — იქნებ ავადმყოფი ვარ!.. წამით მაინც დაფიქრდი ამაზე!

რატი — მე უკანასკნელად გელაპარაკები...

თორნიკე — თურმე როგორ ადვილად შეგიძლია გაწირო შვილი.

რატი — ახლა დამცინე კიდეც! **(გარტყამს)** შენ დედ-მამასაც ამისთანა ჭინჭებში გაცვლე! და, საერთოდ, ყველას!

თორნიკე (თავს ძალას ატანს და ისევ აგრძელებს კერვას, შშვიდი ტონით) — მოდი და ამის შემდეგ იცხოვრე ისე, როგორც უფროსები ჩაგჩიჩინებენ...

რატი (საბოლოოდ წონასწორობიდან გამოსული, ყვირის ძოელი ხმით) — მოეშვი მაგ მაიმუნობას! **(ნაჭერს ხელიდან გამოგლეჯს, ფანჯარაში ძოისვრის და მაგიდას გადაყირავებს).**

თორნიკე (გაოგნებული, თითქოს ცა ჩამოიქცა) ეს რა გააკეთე!.. ეს რა გააკეთე!.. ეს რა გააკეთე!.. **(მაკრატელს ძოუღერებს, წამით გახევდება, მაკრატელს იატაკზე დაანარცხებს და სკამზე ჯდება)** ვინ დაიჯერებს, რასაც მე შენ გითმენ!..

რატი (გაოგნებული) — რაო?!

თორნიკე — ახლა ჩახვალ ეზოში და იმ შარვალს ამოიტანთ!

რატი (ატირდება) — მე არ შემიძლია შენი მოკვლა!..

თორნიკე — ყური ამიწიე! მცემე! მაფურთხე! და ყველაფერი ეს მოვითმინე!

რატი (წამოიყვირებს) — გაჩუმდი! შენი ხმა არ გამაგონო! ასე უტიფრად როგორ მიყურებ!

თორნიკე — იმის ნაცვლად, რომ რაღაც ამიხსნა და გამაგებინო, ხულიგანივით მექცევი.

რატი (მთელი ხმით) — გაჩუმდი!..

თორნიკე — მე ქვევით არ ჩავალ. ის ნაჭერი ხომ აზარალე ოჯახს. ჩემი ნაშრომიც წყალში ჩამიყარე. ამასაც გპატიობ, სხვა რაღა გინდა! ოღონდ, ნუღარ იქნება ჩემზე განაწყენებული და შევრიგდეთ ახლა. რაც იყო — იყო... მტერი მე ისედაც ბევრი მყავს. ზოგჯერ ვერცა ვთვლი, იმდენია. ესღა მაკლია, მამაჩემიც იმათ რიგში ჩადგეს. ჩამომართვი ხელი. ნუ შეეჯდები ახლა ჯორზე. აჰა, ჩემი ხელი. ნუ ჯიუტობ. დამიჯერე. ასე აჯობებს. მე არ შემიძლია გაგწირო შენსავით იოლად, ბოლოს და ბოლოს, მამა ხარ ჩემი.

რატი (დაღრიალებს) — გაჩუმდი! (სკამს ხელს წამოავლებს და მიუახლოვდება).

თორნიკე — შეიშალე?!.. (წამოიჭრება და იმ კარებიდან გარბის, საიდანაც რატი შემოვიდა).

რატი (სკამს კარებს მიანარცხებს) — უნდა მომეკლა... ჩემი ხელით უნდა მომეკლა!..

სურათი III

რატის ორსართულიანი სახლი ხეხილიანი ეზოს სიღრმეში. შორს აგარაკის ხედი მოჩანს.

შემოდის რომანოზი, შეჩერდება, სახლს გახედავს და ბოლოთისცემას შეუდგება. ისმის საქონლის ზმუილი. სადღაც ძაღლი აყეფდა. ადრიანი, მზიანი დილა.

რომანოზი ისევ შეჩერდება და სახლს მიაჩერდება, ყოყმანობს.

შემოდის ვიგოლა

ვიგოლა — დილა მშვიდობისა, ბატონო რომანოზ. ამ უთენია რომ დაგიხვეს ჩემი ეზოდან, ვიფიქრე, ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი კიდევ ცუდი და გადმოვედი, გულმა არ მომითმინა.

რომანოზ — (სახლისკენ თავს გაიქნევს) — შინაა?

ვიგოლა — ცოცხალ-მკვდარი.

რომანოზ — დაუძახე.

ვიგოლა — რატის? არ შემიძლია. დამშლადაცემულივით იყო წუხელ.

რომანოზ — საქმე მაქვს. დაუძახე.

ვიგოლა — ისედაც მკვდარია და ახლა ლაპარაკის თავიც არ ექნება.

რომანოზ — შენ გგონია, რომ მე მასზე უკეთესად ვარ? დაუძახე, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ვიგოლა — მარტო გინდა ნახო?

რომანოზ — შენთან ერთად დაველაპარაკები, დასამადი რა მაქვს.

ვიგოლა გადის

რომანოზი ისევ ბოლთას ცემს.

ცოტა ხნის შემდეგ შემოდიან ვიგოლა და რატი.

ვიგოლა — მძინარე მეგულებოდა ლოგინში და აგერ არ ენახე კიბეზე ჩამომჯდარი? თეთრად ვაუთენებია ღამე.

რატი — (რომანოზს თავის დაქნევით, ცივად მიესალმება) — პირდაპირ მითხარი, რაც გაქვს სათქმელი.

რომანოზ — (შეშფოთებულ) — ჩემი შვილიშვილი შენმა ბანდიტმა ბიჭმა მომტაცა... ჰოდა, ახლა, რახან მკვლელიც გახდა, ადარ გამოვედევნები ბავშვის საქმეს. ეგ ახალი უბედურება რომ არ ჩაედინა, ქვეყნელში ჩაედევდი და იქაც მივაგნებდი. ახლა უნებლიოდაც დასჯიან ისე, როგორც დაიმსახურა. ოღონდ, მამაჩემს ნუღარ ახსენებ, ნურც ავად ნურც კარგად, მის ლანძღვას მოეშვი. ეს მინდოდა მეთქვა შენთვის.

რატი — (გაღიზიანებული და აგდებული ტონით) — რაც გინდათ, ის უყავით ბიჭს! არავისი შეცოდება მე არ მჭირდება!.. (**რომანოზს**) და მერე, რა უფლება გაქვს ბავშვის გატაცება აპატიო! ვინ გითხრა, რომ ეს მარტო შენს ოჯახს ეხება! დახვრეტაც რომ მიუსაჯონ, ფეხს არ გადავდგამ საშველად... რაც გინდათ, ის უყავით! რახან მე გამწირა, შვილადაც აღარ ვთვლი დღეიდან... თურმე გველის წიწილი გამიზრდია... მამაშენის სახელს ვახსენებ კი არა, ყოველ წუთს მისი საფლავის მაგინებელი ვიქნები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანოზ — **(გაოცებული გადახედავს გიგოლას)** — კი, მაგრამ..

რატი — **(აწყვეტინებს)** — რატომ გიკვირს, ჩემი ბატონო! ჰო, მამაჩემიც ამოსათხრელია საფლავიდან და მასთანებიც! მაგათ გვასწავლეს მუქთახორობა, ბანდიტობა, სიცხლის სმა... **(ხმამაღლა)** კარგს რატომ უნდა ველოდოთ ახალგაზრდობისგან, როცა ამდენი სიბინძურე დაახვედრეს ძველებმა!..

ბიგოლა — ყველას ნუ გამოუტან წირვას, რატი.

რატი — რა ბრიყვი და ყეყეჩი ვყოფილვარ, მეგონა შვილი მყავდა და თურმე...

ბიგოლა — **(აწყვეტინებს)** — ყველაფერი უნდა ავიტანოთ.. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი.

რატი — თურმე კაცის მკვლელი და ბანდიტი გამიზრდია... მამაჩემის ცოდვამ მიწია, ნამდვილად!.. რაც მან სისხლი შესცა, შვილიშვილს აზღვევინა განგებამ! ასეა ეს... და ახია ჩემზე!.. **(რომანოზს)** ანგელოზ ბავშვს რომ ადამიანი ხელს ახლებს, დახვრეტის კი არა, ჩამოხრჩობის ღირსია!..

ბიგოლა — ისტერიკები რა ვაქვაცის საქმეა... დაწყნარდი ახლა.. მარტო შენ კი არ გაგწირა თორნიკემ, დედამისიც! ეს უნდა გახსოვდეს. ცირა შენი მისახედია...

შემოდის ბოჩია

ბიგოლა — ამ ქოსას რაღა უნდა აქ უთენია, რაღაც საშინელებას იტყვის ახლა, როგორც სჩვევია.

რატი — **(გიგოლას)** — მომაცილე აქედან.

ბოჩია — გაიგებდით ალბათ. გუშინ, შუადღისას პროფესორ იაშვილის ბინა გაუძარცვავთ და შინ მარტოდმარტოდ მყოფი მოხუცებული დედამისი ჩაქუჩით მოუკლავთ. გვიან საღამოს თექვსმეტი წლის ლაწირაკმა დანით სამოცს მიტანებული კაცი გამოასალმა სიცოცხლეს ბენზინის რიგში. დაახლოებით იგივე საათებში ხვეის გადაღმა ქალიშვილი გააუპატიურეს თურმე ჯგუფურად და მერე იქვე დაუწვავთ. აგერ ახლა კი...

რატი — **(აწყვეტინებს, ხმამაღლა)** — მერე რა გახარებული ყვები ამ ამბებს! გაბადრული!

ბოჩია — რატომ მიყვირი, გენაცვალე, თითქოს ჩემს შვილს ჩაედინოს ყველაფერი ეს..

რატი — **(მთელი ხმით)** — გაეთრიე აქედან!..

ბოჩია — მე მიყვირი კიდევ? თავი არ გამოგეყოფა ხალხში და კიდევ მე მიყვირი? ახლა მაინც ჩაიგდე ენა მუცელში.

რატი — ახლავე გაეთრიე! **(კეტს ხელს წამოავლებს).**

ბიგოლა — **(მიირბენს ბოჩიასთან)** — წადი აქედან! ახლა კიდევ ეს უნდა ამას? **(რატიზე ანიშნებს და წაუბიძგებს).** წადი, გაიარე...

ბოჩია — კიდევ აქეთ მემუქრება! **(რატს)** შენისთანებმა დაღუპეს ეს ქვეყანა! საქმისნებმა და მილიონრებმა! შენი გასაგდები რა მჭირს მე!

ბიგოლა — მოშორდი აქედან!.. **(ისევ წაუბიძგებს).**

ბოჩია — ვნახოთ ვინ ვის გააგდებს ბოლოს... მუდამ მილიონები არ გიშველის! ვნახოთ, ვნახოთ!.. მალე გაიგებ ვინა ვარ მე... ვიფიქრე მხარში ამოვუდგები-მეთქი და მაგდებ? ვნახოთ, ვნახოთ!.. ეძებე ახლა სამოსახლო შენი ბანდიტი შვილისთვის! ყველაფერი ერთად ამოგშხამდება მალე! ახლა რომანოზის მოქრთამვა მოინდომე? ამ პატიოსანი კაცის! ნურას უკცრავად... ძველებურად ველარ გიშველის შენი მილიონები... რომანოზი მოგვილის ისე როგორც საჭიროა, მალე, სულ მალე... ვნახოთ ვინ ვის გააგდებს ბოლოს..

რომანოზი — **(ბოჩიას თოფს მიუშვერს)** — წადი აქედან!

ბოჩია — **(გაოცებული)** — შენ მეუბნები ამას, რომანოზ?!

რომანოზ — ახლავე წადი!

ბოჩია — **(რომანოზ)** — შენც მოგისყიდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანოზ — (ბოჩიას თოფს დაუმიზნებს) — მოშორდი აქაურობას!

ბოჩია — ეს რა ხდება ამ ქვეყანაზე!.. ვნახოთ, ვნახოთ... ვნახოთ... (**გადის**).

რატი — (ბოჩიას თვალს დაადევნებს) — ღმერთო, ამას რაღა დაეუშავე...

პაუზა

ბიგოლა — (**რატის**) — წავალთ ჩვენ, (**ემ მხარეს გაიხედავს, საითაც ბოჩია გავიდა**) მანამ არაფერი გვეშველება, სანამ ასეთები იქნებიან ქვეყანაზე. რატომ უნდა უხაროდეს სხვისი უბედურება. (**რატის**) აიყვანე თავი ხელში. რას იზამ, ასეთი ბედი გქონია... უნდა შეეგუო. წავალთ ახლა. ყველაფერი ბედია...

რომანოზ — (**რატის მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს**) — შედი სახლში.

პაუზა

რატი — ნუ წახვალთ ჯერ...

ბიგოლა — (**დაუყვავებს**) — ბედია და იღბალი ყველაფერი.

რომანოზ — (**რატის**) დღემდე არ გიცნობდი თურმე..

რატი — ნუ წახვალთ... ჩამოჯექით ცოტა ხანს. ვერ შევალ ახლა მე შინ.

ეზოში, კუნძებზე ჩამოსხდებიან

ბიგოლა — ბაბის ნაჭამმა ტყემალმა შეიღიშვილს მოსჭრა კბილიო, ხომ გაგიგიათ ეს ანდაზა.

პაუზა

რომანოზ — ასე ყოფილა. ბრძენია ხალხი.

რატი — მერჩია მე გავმხდარიყავი მკვლელი, ვინემ ჩემი შვილი... თორნიკე თუ ამას იზამდა... (**ატირდება**) რაღა ვარ მე დღეიდან ხალხის თვალში! მკვლელის მამა! პატარა ბავშვის გამტაცებლის აღმზრდელი!.. და მთელი სიცოცხლე ამ დაღით უნდა ვიარო! ჰო! მკვლელის მამა ვარ მე!..

ბიგოლა — ზვავისგან თუ მიწისძვრისგან დანგრეული სახლი ხომ განსაზღვს! გეგონება სიცოცხლე ეეღარასოდეს მოიკიდებს ფეხს ასეთ გაპარტახებულ კერაზე! ჰოდა, ვისაც ძალა და რწმენა ჰქონდა, ის უარეს უბედურებას იტანდა. კარგად ვიცი, რომ შენ სუსტი და უნებისყოფო კაცი არ ხარ.

რატი — ვერანაირი ქადაგება ვერ მიშველის მე ახლა, ჩემო გიგოლა. ამ სიტყვებს კუბოსთან მდგომ ჭირისუფალს ხომ ვერ ეტყოდი! მეც ახლა მკვდარი შვილი მიწევს წინ და რაღამ უნდა მომიბრუნოს გული...

ბიგოლა — დანგრეული ოჯახებიც წელში გამართულან ისეთი ადამიანების წყალობით, როგორიც ბატონი რომანოზია. ხომ ხედავ, რა დროს ამოგიდგა მხარში! (**რომანოზს**) ძალიან გამაკვირვეთ, მართალი რომ გითხრათ, თქვენი მოსვლით.

რომანოზ — წაქცეულ კაცს ხელი უნდა შეაშველო მაშინ, როცა ხედავ, რომ ზედ შედგომას უპირებენ.

რატი (**რომანოზს**) — მე რომ სინდისი მქონდეს, თვალებში ვერ უნდა გიყურებდე...

ბიგოლა — გაუბედურებულ კაცს თუ სიტყვას ვერ შეაწევ, არც უნდა გამოელაპარაკო. მე იმის თქმა მინდა, რომ ბატონ რომანოზივით რომ ყოველი ჩვენთაგანი იქცეოდეს, ცხოვრება ასეა-ნი გახდებოდა მაშინ.

რომანოზ (**უკმაყოფილო ტონით**) — მე რა სახსენებელი ვარ... არ მიყვარს ასეთი რაღაცეები...

რატი — ეს სახლი ეჩხირება ყველას თვალში! ასეა! ერთხელაც იქნება გადავწვავ და მოისვენებენ მერე! რა ოხრად მინდა! ვისთვის ვიკლავდი თურმე თავს!.. ღვიძლი შვილი რომ ვიღალატებს, სხვებისგან რაღას უნდა ელოდო!.. ყველას შურდა ჩემი ქონების და ახლა გაიხარებენ... მამაჩემის ცოდვამ მიწია! ასეა ეს! ვინმე მაინც უნდა დასჯილიყო მის გვარში! ეს სახლიც მამაჩემის ხელით ამოწყვეტილი ხალხის ძვლებზე დგას! ჰა! ესეც! (**წამოიჭრება, ეზოში დგდებულ კეტს ხელს დაავლებს და აქა-იქ მიწას ამოჩიჩქნის**) ესეც!.. ესეც!.. ესეც!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

(არაადამიანური ხმით შეპყვირებს) ვაიმე!!!... **(ჩაიკეცება).**

გიგოლა და რომანოზი რატის მივარდებიან, მიწას ჩაეცქერდებიან; გახევებულები უძრავად დგანან.

პ ა უ ზ ა

გიგოლა (დამფრთხალი ხმით) — აქაც ძვლებია!.. ადამიანის ძვლები!

რომანოზ (შეშიდი ტონით) — ჰო, აქაც!.. ყოველ ნაბიჯზე!..

პ ა უ ზ ა

გიგოლა (რატის წამოაჯენს) — რატი! რატი!

რატი (გონს მოეგება) — თურმე რაგორ მიწაზე დავაბიჯებდი...

რომანოზ (რატის მხარზე ხელს დაადებს) — მეც გიგოლაც... ყოველი ჩვენგანი ასეთ მიწაზე დაიარება!..

პ ა უ ზ ა

რატი (რომანოზს შეხედავს) — შენ დღეს ჩემთან მოხვედი..

რომანოზ — ჰო... **(მხარზე ხელს დაკრავს).**

რატი — მადლობელი ვარ... **(ატარდება)** საჩხუბრად მოხვედი და ახლა აი.. ვხედავ რომ მტრულად აღარ მიყურებ...

გიგოლა — ჩვენი მამების ცოდვები თუ ერთმანეთს არ შევუნდეთ, გადავშენდებით.

რომანოზ — ჰო... ალბათ...

გიგოლა — ვაქრება ჩვენი სახსენებელი, დღეს თუ ერთმანეთს არაფერს ვაპატიებთ.

რომანოზ — ჰო, სხვა გზა არც არის.

გიგოლა — ჩვენი ძალა რწმენა იყო მუდამ, ურთიერთშენდობა. გუშინდელი გზაანბულებსაც თუ შემოვიკრებთ, კბილებამდე შეიარაღებული ურჩხულიც ვერას დაგვაკლებს. არც ისე ჩალითაა დახურული ქვეყანა, ზოგ ქალაჩუნას რომ ჰგონია. თუ ერთად დავდგებით, ჩვენი მომრევი დედამიწაზე აღარავინ იქნება! რა გვაქვს გასაყოფი!.. და, ერთად დავდგებით მაშინ, თუ ერთმანეთს ცოდვებს შევუნდობთ!..

რომანოზ — ჰო, სისხლი სისხლით არ გაიბანება!...

ფ ა რ დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი

ფოთოლცვენა

რომანი

●

თავდაპირველად მას შვიდ საათამდე ეძინა და შემდეგ სამზარეულოში გამოდიოდა იდაყვამდე ბინძურსახელოებაკაპიწებული, ყველა ღილზე შეკრული პერანგითა და მკერდამდე აქაჩული, წელს ქვემოთ ქამარშემორტყმული, გაცრეცილი შარვლით. ხანდახან მეშინოდა, სიგამხდრის გამო შარვალი არ ჩაძვრომოდა. მაკონდოში ჩამოსვლის შემდეგ თითქოს არ გამხდარა, მაგრამ სახეზე სამხედრო პირის ყოჩაღი იერი გაუქრა და იმ კაცის გულგრილობა აღებეჭდა, რომელმაც არ იცის და კაცმა რომ თქვას, არც აინტერესებს, რა მოუვა ერთი წუთის შემდეგ. შვიდ საათზე იგი ყავას სვამდა, ოთახში ბრუნდებოდა და გზადაგზა გულგრილად ესალმებოდა შემხვდურებს.

ის უკვე ოთხი წელი ცხოვრობდა ჩვენთან და მაკონდოში კარგი ექიმის სახელი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა მისი უხამსი გემოვნება და უხეში ხასიათი ხალხში პატივისცემის ნაცვლად, შიშს იწვევდა.

კარგა ხანს იგი ერთადერთი ექიმი იყო დასახლებაში, მაგრამ ბანანის კომპანიისა და რკინიგზის მშენებლობის დაწყების შემდეგ, კომპანიამ სამედიცინო სამსახური დააარსა თავისი მუშაკებისთვის და მის ოთახშიც ცარიელი სკამები გაჩნდა. მან, რა თქმა უნდა, გაიგო, რომ ხალხმა სხვა ექიმი მონახა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ყოველდღე ჩვეულებრივ აღებდა ოთახის კარს, თვითონ კი ტყავის სკამზე ჯდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მასთან აღარავინ მოდიოდა, ჰამაკი იყიდა და ოთახში ჩაიკეტა.

იმხანად მემეს ჩვეულებად ექცა მასთან საუზმეზე ბანანისა და ფორთოხლის შეტანა. ექიმი ხილს მიირთმევდა, ქერქებს კი კუთხეში ყრიდა, საიდანაც მემეს გაჰქონდა ხოლმე შაბათობით. მაგრამ რომც არ გაეტანა და ოთახი სანაგვედ ქცეულიყო, ოდნავადაც არ იდარდებდა.

იგი არაფერს აკეთებდა. ღრიჭოდ დატოვებული კარიდან ეხედავდით ჰამაკში ჩაწოლილ მის გამხდარ, უმეტყველო სახეს, აბურძგნილ თმას, ავადმყოფურად ცოცხალ, ყვითელ თვალებს და ეხედებოდით, რომ მან ფარ-ხმალი დაყარა.

თავიდან, ექიმის ჩვენს სახლში დატოვება რომ განვიზრახე, ადელაიდას არაფერი უთქვამს, არ ვიცი, თანახმა იყო, თუ უბრალოდ შეეგუა ამ ამბავს, მაგრამ, როცა მან პრაქტიკა შეწყვიტა და ოთახიდან მხოლოდ საღილობასას დაიწყო გამოსვლა (მაშინაც სამგლოვიაროდ გარინდული უჯდა მაგიდას), ჩემი ცოლის მოთმინების ფიალა აივსო და გამომიცხადა, „მისი აქ გაჩერება ღვთის ვმობაა, ვინდ ის შეეგინაზოს, ვინდ ეშმაკი“. მაგრამ მე მის მიმართ ერთდროულად თანაგრძნობას, აღტაცებასა და სიბრალულს (გამოვტყდები, ძალიან მე-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 7, 8. 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდებიდა) განვიცდიდი და ამიტომ ვუთხარი: „გამოვიჩინოთ დიდსულოვნება. იგი მარტხელია და თანაგრძნობას საჭიროებს".

მალე რკინიგზა ამუშავდა და მაკინდოც გაიფურჩქნა. ქალაქში ახალი სახეები, კინოთეატრი და სხვა სამხიარულო დაწესებულებები გაჩნდა — ექიმის გარდა, ყველამ მოძებნა შესაფერისი საქმე. იგი ისევ ოთახში იჯდა და ხალხს გაურბოდა.

ერთ დღეთ კი მოულოდნელად გამოვეკიდა სასადილო ოთახში და გულწრფელად და აღფრთოვანებით დაიწყო ლაპარაკი მაკინდოს ბრწყინვალე მომავალზე. სწორედ მისგან მოვისმინე პირველად ეს სიტყვები: „ყველაფერი კარგად იქნება, როცა ფოთოლცვენას შეეჩევეთო".

შემდეგ თვეებში მან სადალაქოში სიარული ამოიჩემა, დალაქს სკამი და ტაშტი გარეთ გამოჰქონდა, კლიენტი სიგრილეში რომ მჯდარიყო და მალე ამ დაწესებულების მუდმივი სტუმარი გახდა.

კომპანიის ექიმებს მისთვის წინასწარგანწირახვით არ წაუთრმევიათ ავადყოფები. 1907 წელს, როცა მაკინდოში ერთი პაციენტიც აღარ დარჩა, მისი ექიმობა რომ ხსომებოდა, ბანანის კომპანიის რომელიღაც ექიმმა ალკალდს შთაგონა ყველა მკურნალისთვის მოეთხოვა ექიმობის უფლების დამადასტურებელი საბუთი. მაგრამ, როცა ერთ ოთხშაბათ დღეს, მოედნის ოთხივე კუთხეში შესაბამისი ბრძანებები გაიკრა, მას თავის თავზე არც კი მიუღია გაფრთხილება. მე ეურჩიე, შეესრულებინა ქალაქის თავის ბრძანება, მან კი მშვიდად მიპასუხა: „ეს მე არ მეხება, პოლკოვნიკო, ამ საქმეს რა ხანია ჩამოვცილდი", ასე რომ ვერც ის გავიგე, ჰქონდა თუ არა ექიმობის უფლება, ვერც ის, მართლა ფრანგი იყო თუ არა და ჰყავდა თუ არა ნათესაობა, რომელზეც სიტყვა არასოდეს დასცდენია. მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ, ალკალდი და მისი კაცები რომ გვესტუმრნენ და ექიმის მოწმობა ჭიოთხოვეს (ის ოთახდანაც არ გამოსულა), მივხედი, სახელიც კი არ ვიცოდი კაცის, რომელიც ხუთი წელი ჩემს სახლში ცხოვრობდა და ჩვენთან ერთად სადილობდა.

●

ბაშვიც კი მიხვდებოდა, არა თუ 17 წლის ქალიშვილი (მაშინ ამ ხნის ვიყავი), რომ მას შემდეგ, რაც გადაპრანჭული მემე ენახე ეკლესიაში, დედინაცვალმა ექიმის ოთახის კარს ბოქლომი დაადო და მისი ნივთების ხელის ხლება აკრძალა. ოთახში დარჩა საწოლი, სადაც მას ჰამაკის ყიდვამდე ეძინა, წამლებით სავსე მაგიდა, საიდანაც მან მხოლოდ ექიმობით შეგროვებული ფული წაიღო (ფული, როგორც ჩანს, ბლომად იყო, რადგან ჩვენს სახლში არაფერზე ეხარჯებოდა და მემეს ღვინის ლუქნის გასახსნელად ეკო), ძველი ფრანგული გაზეთები, უვარგისი ტანსაცმელი და სხვა ნაგავი.

ამ ჩაკეტილ ოთახს მემეს წასვლიდან სამი წლისთავზე, ოქტომბერში თუ ნოემბერში მივაქციე ყურადღება და დავიწყე ფიქრი, როგორ მომეთავსებინა იქ მარტინი. მინდოდა ვეთხოვებინა შემდეგ იქ გადავსულიყავი. ოთახს გარშემო ეუფლიდი და ერთ საუბარში შევაპარე კიდეც დედინაცვალს, რომ დრო იყო, ბოქლომი ჩამოგვეხსნა და დაგველაგებინა მთელ სახლში ერთ-ერთი საუკეთესო და მყუდრო კუთხე, მაგრამ, სანამ ჩემი საქორწილო კაბის შესაკერად არ დავსხდებით, ჩემთან არავის ულაპარაკია ექიმზე და ჩაკეტილ ოთახზე, რომელიც მას განუყოფელ ნაწილად დარჩენილიყო მანამ, სანამ სახლში ერთ სულიერს მაინც ეხსომებოდა იგი.

ერთ წელიწადში ჩემი ქორწილი უნდა ყოფილიყო, მე კი ხეირიანად ვერც ვერკვეოდი ქალისთვის აუცილებელ ზოგიერთ საკითხში. საქორწილო მოლაპარაკება რომ მიმდინარეობდა, მე მარტინი ჯერ კიდევ არარეალობის ბურუსში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახვეული მეჩვენებოდა და მისი ექიმის ოთახში დასახლებაც იმიტომ გადაწყვეტე, რომ დაერწმუნებულიყავი, ხარცელი ალბათა იყო და არა სიზბარში გამოცხადებული უფლისწული. მაგრამ დრო გადიოდა, მე კი ვერა და ვერ ვბედავდი დედინაცვალთან ამ თემაზე საუბარს. ალბათ, უბრალოდ უნდა მეთქვი: ხვალ კარიდან ბოქლომს ვხსნი, ფანჯარასთან მაგიდას ვდგამ, კედელთან — საწოლს, ფანჯრის რაფაზე — მიხაკის ქოთანს, კარის წირთხლზე კი ბღუჯა ალოეს მივაჭედებ-მეთქი. ჩემი გაუბედაობა იმით თუ აიხსნებოდა, რომ საბედის გარეგნობიდან მხოლოდ მბზინავი ულვაში, მარცხენა მხრისკენ ოდნავ დახრილი თავი და ოთხ დღიზე შეკრული სერთუკი მახსოვდა.

მარტინი ივლისის ბოლოს გვესტუმრა. მთელ დღეებს სახლში ატარებდა და კაბინეტში ჩაკეტილი, მამას რაღაც საიდუმლო კომერციულ საქმეებზე ესაუბრებოდა, რაც ჩემთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა. საღამოობით, მარტინი, მე და დედინაცვალი პლანტაციებში დავდიოდით სასეირნოდ. უკან ვარდისფერ ბინდბუნდში ებრუნდებოდით და, მიუხედავად იმისა, რომ გვერდგვერდ მივაბიჯებდით, იგი უფრო ვამჭვირვალე და შორეული მეჩვენებოდა. იმასაც ვხვდებოდი, რომ ჩემს წარმოდგენაში მისი სახე არასოდეს შეიხსამდა ხორცს და მასზე ფიქრი არასოდეს მომგვრიდა იმ წუთებისთვის საჭირო სიმამაცეს, რაც უნდა მეთქვა, ამ ოთახს მარტინისთვის დავალაგებო.

ფიქრიც კი, რომ ერთ წელიწადში მარტინის ცოლი უნდა გავმხდარიყავი, არარეალური მეჩვენებოდა. მე იგი ახალშობილი პალოკემადოს წესის აგებაზე გავიცანი თებერვალში, როცა მეზობელ გოვოებთან ერთად ვმღერდი და ვცდილობდი ეს ერთადერთი ნებადართული გასართობი მაინც ვამოქცევებინა ჯეროვნად. მაკონდოში კინოთეატრიც იყო, საზოგადო გრამაფონი და სხვა გასართობი ადგილებიც, მაგრამ მამა და დედინაცვალი მათ „ბრბოს . გასართობს უწოდებდნენ და არსად მიშვებდნენ.

იმ თებერვალს დილაობით ძალიან ცხელოდა ხოლმე. მე და დედინაცვალი შუშაბანდში ვისხედით და კანვაზე ვქარგავდით, მამა ნასადილევს ისვენებდა. რიცა ის დგებოდა და ფეხსაცმლის ფრატუნით ტაშტთან მიდიოდა, რათა თავზე წყალი გადაევლო, ჩვენ ქარგვას ვწყვეტდით. სალამობით ავრილებოდა ხოლმე და ქუჩაში ახალშობილზე მგლოვიარე ქალების მოთქმა ისმოდა.

ჩვენ რომ ვუმღეროდით პატარა პალოკემადოს, მეძე ოროსკოს ხმა, ალბათ, ჩვეულებრივზე ტკბილად ისმოდა. ის გამხდარი, უხეში და ცოცხივით გაფშეკილი იყო, მაგრამ ყველაზე კარგი ხმა ჰქონდა. პირველსავე შესვენებაზე ხენოვევა გარსიამ „კართან უცხო კაცი ზისო“, მოგვახსენა. იმ წუთში, თუ სწორად მახსოვს, მხოლოდ რვემეიოს ოროსკო მღეროდა. „წარმოვიდგენიათ? სერთუკი აცვია და მთელი სალამო შეუსვენებლად ლაპარაკობს, სხვები კი პირდაღებულები უსმენენ, — ამბობდა ხენოვევა გარსია. — ოთხ დღეზე შეკრული სერთუკი აცვია და ფეხს ფეხზე რომ გადაიდებს, თასმიანი ფეხსაცმელი და რეზინიანი წინდები მოუჩანს“. მეძე ოროსკო ისევ მღეროდა, ჩვენ კი ტაში შემოვკარით და ავყვირდით: „მოდით, გაყვეთ ამ კაცს“.

სახლში, ამ სიტყვებს რომ ვიხსენებდი, აზრადაც არ მომსვლია, რომ მართლა ასე მოხდებოდა, თითქოს ვიღაც არარსებულმა ეოგოებმა წარმოთქვეს ისინი არარსებული პატარა მიცვალებულის წესის აგებაზე. უფროსი ქალები უხმოდ ეწეოდნენ ჩვენს გვერდით, ისინი წელგამართულები იხდნენ და ფასკუნჯებივით წაგრძელებული კისრები ჩვენკენ მოემართათ. გრილ შესასვლელში თავით ფეხამდე თავსაფრში გახვეული კიდევ ერთი ქალი იჯდა და მოთმინებით უცდიდა ყაბის აღდგებას. მოულოდნელად ჩვენს ხმებს მამაკაცის ხმა შეუერთდა. ხმა ჯერ უადგილოდ ჩაერ-

თო სიმღერაში, მაგრამ სწრაფად იპოვა თავისი ადგილი და აწკრიალდა. ვეფე გარსიამ იდაყვი გამკრა. მე თვალები აეწია და პირველად დავინახე იგი. ახალგაზრდული, გაპარსული სახე და ძლიერი კისერი ჰქონდა, ოთხივე ღილზე შეკრული სერთუკი ეცვა და მე მოყურებდა.

იგი დეკემბერში უნდა დაბრუნებულიყო და მე ვფიქრობდი, ჩაკეტილი ოთახი დამელვაგებინა, მაგრამ მის სახეს ვეროაფრით ვიხსენებდი, ჯიუტად ვიმეორებდი გულში „მარტინი, მარტინი, მარტინი“, მაგრამ მეხსიერებაში ათასჯერ გადაეჭედილი, ნატეხებად დამსხვრეული სახელი არაფერს მეუბნებოდა.

წესის აგებას რომ მოერჩიო, მან ჩემს წინ მდგარი ყავის ჭიქა აიღო და „ნალექზე თქვენი ბედი ამოვიკითხეო“, მითხრა. მე სხვა გოგოებთან მივდიოდი კარიხკენ და თან მისი შემპარავი, დამაჯერებელი და ხავერდოვანი ხმა მოდიოდა: „დაითვალეთ შვიდი ვარსკვლავი და სიზმარში მნახავი“. კართან, პატარა კუბოში ახალშობილი პალოკემადო იწვა, სახეზე ბრინჯი ეყარა, პირში ვარდი ჰქონდა გაჩრილი, ღია ქუთუთოებქვეშ ასანთის ღერები შეეყენებინათ. თებერვალი მისი სიკვდილით სუნთქავდა, ოთახში სიცხით დამჭკნარი გვირილისა და ჟასმინის მძიმე სუნი დაცურავდა. მიცვალებულის სიწუმეს ცოცხალი და ერთადერთი ხმა არღვევდა: „კარგად დაიხსომეთ, შვიდი ვარსკვლავი, არც მეტი, არც ნაკლები“.

ავლილში მან ჩვენთან სიარული დაიწყო, ყვავილების ქოთნების დასაწყობ მოაჯირს მიეყუდებოდა ხოლმე და ამბობდა: „ხედავთ, მე არასოდეს ჩამიხედავს თქვენს თვალებში. ეს იმის ნიშანია, რომ მამაკაცს ეშინია ქალი არ შეუყვარდეს“. მართლაც, მე მისი თვალები არ მახსოვდა, ივლისში ჯერ კიდევ ვერ ვიტყოდი, რა ფერის თვალები ჰქონდა კაცს, ვისაც დეკემბერში ცოლად უნდა ვაყოლოდი. ექვსი თვის წინ კი თებერვალი იდგა შუადღის ღრმა სიწუმით, მრავალფეხთა სიყვარულის ხანა დამდგარიყო და ერთგორგლად დახვეულ დედალ-მამალ მრავალფეხას უდრტვინველად ეძინა საბაბაზანის ქვის იატაკზე. სამშაბათობით მათხოვარი დადიოდა თაფლკვერის ნატეხის სათხოვნელად, ის კი ოთხ ღილზე შეკრულ სერთუკში გამოწყობილი, ფრანტის ღიმილით მიმტკიცებდა: „თქვენ გამუდმებით იფიქრებთ ჩემზე, რადგან კარზე თქვენი სურათი დაკიდე და თვალებში ქინძისთავები გაეუყარე“. ეს სისულელეები კაცებმა ინდიელებისგან ისწავლესო, სიცილით კვლებოდა ხენოვეკა გარსია.

მარტის ბოლოს იგი ჩვენს სახლში ისეირნებს და კაბინეტში ჩაკეტილი, მამას იმ საქმეებზე ესაუბრება, ჩემთვის რომ ბოლომდე გამოცანად დარჩა. თერმომეტი წელი ვავიდა ჩემი ვაოხოვებიდან და ცხრა იმ დღიდან, რაცა იგი მატარებლის ფანჯრიდან დამემშვიდობა და დამპირიგა, კარგად მიმეხედა ჩვენი ბიჭისთვის. წინ იყო ცხრა წელიწადი, რომლის განმავლობაში არც ერთ წერილს არ მივიღებ მისგან და მამაჩემი, ისე გულმოდგინებით რომ ამზადებდა მის მგზავრობას, შეწყვეტს მარტინის დაბრუნებაზე ლაპარაკს.

მაგრამ ქორწილამდე სამი თვით ადრეც კი არ გახდა იგი ჩემთვის უფრო ახლობელი და კონკრეტული, ვიდრე პატარა პალოკემადოს პანაშვიდზე იყო, ან მარტის იმ საღამოს, როცა მეორედ ენახე, ეკლესიიდან რომ ვბრუნდებოდი ვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი ინდიელების ონებიაო. „მე ძალიან მესიამოვნება იმაზე ფიქრი, რომ მაკონდოში ვიღაცას ვახსოვარ“, თქვა მარტინმა. ხელოვანამ ამრეზით შეხედა მას და კბილებში გამოსცრა: „ფუ! ეს ოთხ დღიზე შეკრული სერთუკი ზედ შეალებია ამ კაცს“.

შიუხედავად მისი გულმოდგინე მცდელობისა, მოჩვენებითი მეგობრული განწყობილების მიღმა დაფარა აპათია, დასახლებაში იგი მაინც უცხოდ დარჩა. მაკონდოელთა შორის კი ცხოვრობდა, მაგრამ მათგან წარსულზე მოგონებები მოეწყნარა, რომელთა შეცვლა შეუძლებელი იყო. მას ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ, როგორც ღამის ცხოველს, რომელიც ეს-ესაა სინათლეზე გამოვიდა და თავი ისე უჭირავს, ყოველი მისი ნაბიჯი ეჭვს იწვევს.

იგი დაბინდებისას ბრუნდებოდა სადალაქოდან და თავის ოთახში იკეტებოდა. ვახშამი რომ აიკრძალა, ვფიქრობდით, დალილი ბრუნდება, მაშინვე ჰამაკში წვება და დილამდე სძინავსო, მაგრამ მალე შეეაჩნია, რომ მის ოთახში ღამღამობით რაღაც დაუჯერებელი ამბები ხდებოდა. ის შლეგიანივით აწყდებოდა ოთახის კედლებს, თითქოს დაუპატიჟებლად გამოცხადებულ თავისაგე ანრდილს ებრძვის, რათა საკუთარი წარსულისგან ათავისუფლდეს, ის კი, ანრდილი, ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავისი შეუფრეველი რიხი და თვითმყოფობა დაიცვასო. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მზის ამოსვლამდე გრძელდებოდა, სანამ ძალაგამოცლილი ექიმი ფარ-ხმალს დაყრიდა და ჰამაკში მიეგდებოდა.

პირველად, კრაგები რომ გაიხადა, ყოველდღე ბანაობა და ოდეკოლონის პკურება რომ დაიწყო, მხოლოდ მი შეეამჩნია, მაგრამ რამდენიმე თვეში ეს ცვლილებები იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ ჩემი უხმო დაკვირვება თანაგრძნობაში გადაიზარდა. მისი ახალი იერი კი არ მიკლავდა გულს, არამედ იმის წარმოდგენა, თთახში ჩაკეტილი თუ ჩაკეტილ მოდგენებით ფხვედა ტალახს ძველი ფეხსაცმლიდან და შემდეგ როგორ აპრალებდა მას წყალში დასველებული ნერვით. სულს მიწმალავდა ფეხსაწმენდი ტილოს ქვეშ მალულად ამოდებულ ჯაგრისსა და ფეხსაცმლის საცმის კოლოფზე ფიქრი. როგორც ჩანს, იგი დაგვიანებით უბრუნდებოდა ახალგაზრდობას, მოზარდივით აქცევდა ყურადღებას ჩაცმულობას, დამდამობით უთოს გარეშე, ხელით იუთოებდა შარვალს და მწვავედ განიცდიდა უმეგობრობას, ვისაც თავის ილუზიებს და გაცრუებულ იმედებს გაუზიარებდა.

მაკონდოშიც შეამჩნიეს მისი გარდასახვა და მალე ჭორები გავრცელდა, დალაქის შვილს ჰყვარობსო. არ ვიცი, ჰქონდა ამ მითქმა-მოთქმას რაიმე საფუძველი თუ არა, მე კი ცხადად დავინახე მისი მამაკაცური, ბიოლოგიური მარტოობა, რომელიც, ალბათ, განდეგილობის მიელ პერიოდში სტანჯავდა.

იგი დღითიდღე მეტი გულმოდგინებით ემზადებოდა სადალაქოში წასასვლელად. მოსახსნელსაყელიიან პერანგს იცვამდა და მოიქრილ საკინძეებს იკეთებდა, ოღონდ ეგ იყო, სუფთა და გაუთოებულ შარვალზე შემოჭერილი ქამარი არასდროს ემთხვეოდა საქმრე ადგილს. ის ახალი ტანსაცმლითა და ლოსიონის სურნელით დაბნეულ უიღბლო საქმროს ჰგავდა, პირველ პაემანზე თაიგულის წაღება რომ ავიწყდება.

ასეთი იყო იგი 1909 წლის დასაწყისში, როცა ყოველდღე დადიოდა სადალაქოში და ჩამოსულებს ესაუბრებოდა. ამ დროს დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, ჰყავდა მას ნანაბი დალაქის ასული თუ არა, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რატომ ავრცელებდა ხალხი ასეთ ბოროტ ხმებს. მაკონდოში ყველამ იცოდა, რომ დალაქის ქალიშვილი ვერასოდეს გათხოვდებოდა, რაღაგ მას სული ჰყვარობდა. უხილავი შეყვარებული ბოლოს თვეებში მიწის ბელტებს ყრიდა, ქოთანში წყალს ამღვრევდა, სადალაქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკეს აბნელებდა და გალურჯებამდე სცემდა ქალიშვილს. ჯიუტის მცდელობაც კი ამაო გამოდგა. საქმეს არც ნაკურთხი წყლით მკურნალობამ უშველა, არც წმინდა რელიქვიებმა და არც დრამატული გულმოდგინებით შესრულებულმა შელოცვებმა. მაშინ დალაქის ცოლმა უკანასკნელ ხერხს მიმართა. შვილი საძინებელში ჩაკეტა, ოთახში ბრინჯი მიმოფანტა და უხილავ საყვარელს დაუტოვა თაფლობის თვის გასატარებლად, რის შემდეგ მაკონდოს კაცებმაც კი დაიჯერეს, რომ გოგო სულისგან დაფეხმძიმდა. ერთი წლისთავზე მაკონდომ შეწყვიტა საშინელი მშობიარობის მოლოდინი და ახალ თემაზე, გოგოსადმი ექიმის სიყვარულზე ალაპარაკდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ დალაქის ასული ხორციელზე გათხოვებას ოთახში ცოცხლად ჩალპობას ამჯობინებდა.

ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჭორები საფუძველმოკლებული, ბოროტი ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. 1909 წლის დასასრულს ექიმი ჯერ კიდევ დიდიოდა სადალაქოში, ხალხი კი მის გარდუვალ დაქორწინებაზე ლაპარაკობდა, თუმცა დარწმუნებული არავინ იყო, რომ გოგო მის იქ ყოფნაში ერთხელ მაინც გამოსულიყო გარეთ და მთ ოითო სიტყვა მაინც ეთქვათ ერთმანეთისთვის.

●

ერთ წლის წინ, დღევანდელივით ჩახუთულ და ჩამკვდარ სექტემბრის დღეს, დედინაცვალმა ჩემი საქორწილო კაბის კერვა დაიწყო. ნასადილევს, მამა რომ თვალის მოსატყუებლად წვებოდა, ჩვენ, საკერავით ხელში, შუშაბანდში ვსხდებოდით მხურვალე სუნის მფრქვეველ როზმარინის ქოთნებთან. სექტემბრის თვე სულ ასეთად ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში. ქორწილი ვიწრო ოვალურ წრეში უნდა გადადგებოდა (ასე გადაწყვიტა მამამ) და ჩვენც ნელა, გულდასმით ვკერავდით იმ ხალხივით, რომელთათვისაც დროის საზომს ყოველდღიური შრომა წარმოადგენს. ჩვენ ვკერავდით და ვლაპარაკობდით, მე ქუჩაში გამავალ ოთახზე ვფიქრობდი და ძალებს ვიკრეფდი, დედინაცვლისთვის რომ მეთქვა, ეს ოთახი მარტინისთვის ზედგამოჭრილი იქნება-მეთქი. იმ დღეს ვუთხარი კიდეც.

სექტემბრის სულისშემხუთავი დღის თვალისმომჭრელ ნათებაში გახვეული დედინაცვალი გრძელ, მარმაშებად შლეიფს ქარგავდა. „არა“, თქვა მან, შემდეგ საკერავს დაუბრუნდა და გასული რვა წლის უხიამოვნო მოგონებებით შეჭმუხნულმა დასძინა: „ღმერთმა ნუ ქნას, იმ ოთახში ვინმე შესახლდეს“.

მარტინი ივლისში ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენთან არ გაჩერებულა. მას ყვავილის ქოთნებჩამწკრივებულ მოაჯარზე მიყრდნობა და ირგვლივ ყურება უყვარდა, ხშირად ამბობდა, სიამოვნებით დავრჩებოდი მაკონდოში და მთელ ცხოვრებას აქ გავატარებდიო. სალამოობით დედინაცვლის თანხლებით პლანტაციებში მიდიოდით სასეირნოდ და სანამ სახლებში სინათლეები აინთებოდა, უკან ვბრუნდებოდით; ისეთი ხმით მეუბნებოდა. შენ რომც არ იყო, მაინც სიამოვნებით დავრჩებოდი მაკონდოში საცხოვრებლადო, რომ მართალი მეგონა.

ექიმმა ოთხი წლის წინ დატოვა ჩვენი სახლი, მაგრამ დედინაცვალმა მხოლოდ იმ დღეს მომიყვა მისი უცნაური ჩვევების ამბავი, როცა ჩემი საქორწილო კაბის შესაკერად დავსხედით და მე მარტინის ოთახზე ჩამოვაგდე სიტყვა.

— ხუთი წლის წინ, — დაიწყო მან, — ექიმი ჯერ კიდევ ჩვენ სახლში ცხოვრობდა და გარეული იხოველივით გაურბოდა ადამიანებს. ნამდვილი ექიმელი იყო, ბალახისმჭამელი, მცოხნელი მოზვერი! მას რომ დალაქის ვოკი მოეკვანა ცოლად, რომელმაც მთელი მაკონდო გააცუცურაკა, სულისგან დავორსულდიო, იქნებ არც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ექიმმა მოულოდნელად შეწყვიტა სალალაქოში სიარული და თავის ბილწი ჩანფიქრის მეორე ნაწილის განხორციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას შეუდგა. მხოლოდ მამაშენისთანა კაცს შეეძლო სახლში გაეჩერებინა ეს პირუტყვი, რომელიც თავის საქციელით მთელ მაკონდოს ჭკუიდან შლიდა და ამით საფუძველი მიეცა ხალხისთვის ელაპარაკათ, რომ ჩვენი ოჯახი ყოველთვის ჯიბრში ედგა საზოგადოების მორალსა და ზნეკეთილობას. მისი გეგმების შემდეგი ეტაპი მემესთან არშიყობა იყო, მაგრამ მამაშენს არც მაშინ უღიარებია თავისი შეცდომა.

— მე არაფერი ვიცოდი, — ეუთხარი დედინაცვალს.

ეზოში გულის გამაწვრილებლად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობლები. დედინაცვალი ლაპარაკობდა და თვალს არ აცილებდა თოვლისფერ ნაჭერს, რომელზეც წარმოსახვით ფიგურებს აყოლებდა ძაფს და თეთრ ლაბირინთებს აკვირისტებდა.

— იმ საღამოს ჩვეულებრივ შემოვუსხედით სუფრას (მას შემდეგ, რაც სადალაქოში სიარულს შეეშვა, ექიმი ჩვენთან ერთად აღარ ვახშმობდა) და ფერდაკარგულმა მემემ ვახშამი შემოიტანა. „რა მოგივდა, მემე?“ — ვკითხე მე. „არაფერია, ქალბატონო, გამივლის“, მიპასუხა მან, მაგრამ მივხედით, რომ ქალი ხერიოზულად იყო ავად, სახეზე მიტკლისფერი ედო და ბარბაცებდა კედეც. „ღმერთო ჩემო, მემე, შენ ავად ხარ“, — ვუთხრი. სასადილო ოთახში ის, ისე თუ ისე, ფეხზე მაინც იდგა. ლანგრით ხელში სამზარეულოსკენ რომ გაემართა, მამაშენმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ინდიელს, თუ თავს ცუდად გრძნობთ, წადით და დაისვენეთო, უთხრა. მემე ამ დროს ჩვენკენ ზურგით იდგა და არაფერი გვიპასუხა. ოთახიდან რომ გავიდა, ჭურჭლის მსხვრევის ხმა მოგვესმა, ქალი შუაბანდში იდგა და ფრჩხილებით კედელს ფხოჭნიდა. მამაშენი ექიმთან შეევდა, რომ მემეს საშველად გამოეყვანა. მთელი რვა წლის განმავლობაში, რაც ის ჩვენთან ცხოვრობდა, ერთხელაც არ გვითხოვია დახმარება. ჩვენ მემე ოთახში შევიყვანეთ, სპირტით დავზილეთ და ექიმს დავუწყეთ ლოდინი, მაგრამ ის არ მოვიდა, ისაბელ, უარი თქვა მემეს დახმარებაზე, თუმცა პირადად სთხოვა კაცმა, რომელიც რვა წლის განმავლობაში აჭმევდა, ასმევდა და ინახავდა მას. ამ კაცზე რომ ვფიქრობ, მგონია, ღმერთმა მოგვიელინა სასჯელად-მეთქი. ის ბალახი, რვა წელი რომ ჭამდა, მისადმი გამოჩენილი ეურადღება, გაკვეთილად უნდა დარჩეს ჩვენთვის და ასე ბრძად აღარ ვენდოთ ხალხს. თურმე ღორისადმი გამოგვიჩენია რვა წლის განმავლობაში მზრუნველობა და სტუმარმოყვარეობა! მემე კვდებოდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვეგონა), ის კი თავის ბუნაგში ოჯდა და უარს ამბობდა მოწყალეობაზე კი არა, თავის კეთილსმყოფთათვის უბრალო სამსახურის გაწევაზე.

მამაშენი შუადამისას მომიბრუნდა, სპირტით დაზილეთ, ოღონდ დამამშვიდებელი არაფერი მიხცეთო, სხვათა შორის გვითხრა და მე ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს სილა გამაწნეთ. სპირტით რა ხანაა დავზილეთ მემე და, როგორც ჩანს, უშველა კედეც. „ჩვენ უკვე დავზილეთ იგი, — დავიყვირე მე. — ამის მისახვევრად სულაც არ იყო საჭირო რვა წელაწადი სხვის ხარჯზე ცხოვრება“. „საშიში არაფერია, მერე მიზედბი“, — წინასწარმეტყველის სიმშვიდით მიპასუხა მამაშენმა.

დედინაცვალი ისე ღელავდა, თითქოს ხელახლა განიცდიდა იმ შორეული ღამის სიმწარეს. როზმარინის სურნელი ბრწყინვალე სექტემბრის დღის ნათელით, ჭრიჭინობლების ჭრიჭინითა და კაცების ძმიმე სუნით გაიჟღინთა.

— ერთი კვირის შემდეგ კი მემე ქალბატონივით გამოპრანჭული გამოგვეცხადა ეკლესიაში, — განაგრძო დედინაცვალმა, — გუშინდელივით მახსოვს. ხელში ჭრელი ქოლგა ეჭირა. ეჰ, მემე, მემე... ეგეც ღვთის წყრომა იყო, თავის დროზე ის ულმობელ მშობლებს გამოვტაცეთ ხელიდან, რომლებიც შიმშილით კლავდნენ ბავშვს, ვეჭამეთ, ჩავაცვეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავახურეთ, ჭერქვეშ ბინა მივუჩინეთ, სახელი მივეცით. აქაც ყოველისშემძლეს ხელი ურევია. მეორე დილით, პარმაღთან რომ შევეჩეხე, როცა იგი ჩემოდნის ჩამოსატანად გაგზავნილ ინდიელს უცდიდა, კიდევ არ ვიცოდი, სად აპირებდა წასვლას. ახლაც თვალწინ მიდგას, მამაშენს რომ ელაპარაკებოდა შეცვლილი და სერიოზული. ყველაფერი უჩემოდ გადწყდა, მე რჩევაც კი არ მკითხეს, თითქოს ოჯახის დიასახლისი კი არა, კედელზე მიხატული ეშმაკი ვყოფილიყავი. სანამ მე პირს გავაღებდი და ვეკითხავდი, რა ხდებოდა ჩემს სახლში, რა უცნაური ამბები წყდებოდა ჩემი ჩარეცის გარეშე, მამაშენმა დამასწრო და მითხრა: „მემეს არაფერი ჰკითხო, ახლა ის მიდის, მაგრამ შეიძლება ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდეს კიდეც“. მე ვეკითხე, სად მიდიოდა მემე, მაგრამ მან არაფერი მიპასუხა, ზურგი შემაქცია და საშინაო ფეხსაცმლის ფრატუნით გამშორდა, თითქოს ცოლი კი არა, კედელზე მიხატული ეშმაკი ვეოფილიყავი.

მხოლოდ ორი დღის შემდეგ გავიგე, რომ ისიც წასული სახლიდან, რა თქმა უნდა, დაუმშვიდობებლად. კაცმა, რომელიც რვა წლის განმავლობაში ჩვენთან ცხოვრობდა, სიტყვის უთქმელად დაგვტოვა ქურდივით. პირველად მეგონა, მამაშენმა გააგდო მემეს დახმარებაზე უარის თქმისთვის-მეთქი, ვკითხე კიდეც ამის შესახებ. მაგრამ მან მოკლედ მოიჭრა: ეს გრძელი ამბავია და მერე ვილაპარაკოთო, მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ამ თემაზე კრინტი არ დაუძრავს.

მხოლოდ მამაშენის სახლში შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო. აქ ხომ ყველა იმას აკეთებს, რაც მოესურვება. მთელი მაკონდო ამაზე ლაპარაკობდა, მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, რომ მემე ქალბატონივით გამოპრანჭული გამოცხადდა ეკლესიაში, მამაშენმა კი ურცხვად მიაცილა იგი მოედნამდე. მხოლოდ მაშინ შევიტყვე, მემე არც ისე შორს წასულიყო, მე რომ მეგონა და რომ ექიმთან ერთად ცხოვრობდა კუთხის სახლში. ისინი ღორებივით, ეკლესიასთან შეუთანხმებლად შეუღლდნენ. მემე მაინც არ ყოფილიყო მონათლული! ვუთხარი კიდეც მამაშენს როგორლაც: „მემეს ღმერთი დაჯდეს ამ ცოდვისთვის-მეთქი“, მაგრამ მან არაფერი მიპასუხა. იგი ყველასგან გაკიცხულ, ქრისტიანული კანონების უარმყოფელ ადამიანებს მფარველობდა და სინდისის ქენჯნასაც არ განიცდიდა.

ახლა მიხარია კიდეც, რომ ყველაფერი ასე მოხდა. რაც მთავარია, ექიმმა ჩვენი სახლი დატოვა. ის სკანდალი რომ არა, ახლაც იმ ოთახში იცხოვრებდა. რომ გავიგე, თავისი ნაყარ-ნუყარი და უზარმაზარი ჩემოდანი კუთხის სახლში გადაიტანაო, დავშვიდდი. ეს ჩემი გამარჯვება იყო, რომელსაც რვა წელიწადი ვეჭიდავდი.

ორი კვირის შემდეგ მემემ დუქანი გახსნა და ახალთახალი საკერავი მანქანა „დომესტიკეც“ კი შეიძინა, ექიმის მიერ რვა წლის განმავლობაში ჩვენთან ცხოვრებით დაზოგილი ფულით. ეს მე პირად შეურაცხყოფად მივიღე და მოვახსენე კიდეც მამაშენს. მართალია, მან არაფერი მიპასუხა, მაგრამ ცხადი იყო, არამცთუ ნანობდა რამეს, პირიქით, ამაყობდა კიდეც, თითქოს თავის ყოვლისმიმტევებლობითა და ჩვენი ოჯახის რეპუტაციის ფასად სული იხსნა წაწყმედისგანო. ვუთხარი კიდეც პირდაპირ: „შენ ღორებს დაუყარე, თუკი რამ წმინდა იყო შენს რწმენაში-მეთქი“. მან კი თავისებურად მიპასუხა: ოღესმე ამასაც ვაიგებო.

●

ერთი მწერლისა არ იყოს, ლეკემბერი მოულოდნელი გაზაფხულივით დაგვატყდა თავს. მასთან ერთად მარტინიც გამოგვეცხადა. ამჯერადაც სუფთა და გაუთიებელ განუყრელ ოთხღილიან სერთუკში გამოწყობილი მარტინი ნასადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევს გვეწვია ჩემოდნით ხელში. ჩემთვის არაფერი უთქვამს, პირდაპირ მამას კაბინეტისკენ გაეშართა. ქორწილის თარიღზე ჯერ კიდევ ივლისში შეთანხმდნენ, მაგრამ მარტინის დაბრუნებიდან ორი დღის შემდეგ მამამ დედინაცვალი გამოიძახა კაბინეტში და გამოუცხადა, რომ ქორწილი ორშაბათს შედგებოდა. ეს მოხდა შაბათს.

ჩემი კაბა მზად იყო. მარტინი მთელ დღეებს ჩვენს სახლში ატარებდა და მამას ელაპარაკებოდა, ის კი, თავის მხრივ, საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს. მე ჩემს საქმროს, ფაქტობრივად, არ ვიცნობდი. მასთან ერთხელაც კი არ დავრჩენილვარ პირისპირ. მაგრამ მამაჩემთან მას, როგორც ჩანს, გულითადი მეგობრობა აკავშირებდა და მამაც ისეთი აღტაცებით ჰყვებოდა მარტინზე, თითქოს ჩემს მაგივრად თვითონ მიჰყვებოდა ცოლად.

ქორწილის მოახლოებასთან დაკავშირებულ არავითარ გრძნობას არ განვიცდიდი. გარს რუხი ნისლი მეხვია, რომლის მიღმა უფორმო და უხორცო მარტინს ვხედავდი. იგი ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან სერუკის ოთხი ღილის წვალებით და კვირაობით სადილზეც კი რჩებოდა. დედინაცვალმა ისე გაგვანაწილა სუფრასთან, რომ მარტინი ჩემგან სამი სკამის დაშორებით, მამაჩემის გვერდით მოხდა. სამი სკამის იქით ვხედავდი კაცს, რომელიც ერთი წლის შემდეგ ჩემი ვაჟის მამა უნდა გამხდარიყო და რომელთანაც ზედაპირული მეგობრობაც კი არ მაკავშირებდა.

კვირა სადამის დედინაცვლის საწოლ ოთახში საქორწილო კაბა მოვიზომე. ეუყურებდი თეთრ საბურველში გახვეულ საკუთარ გამოსახულებას და თავი დედაჩემის აჩრდილი მეგონა. დაჟინებით ვიმეორებდი გულში: „ეს მე ვარ, ისაბელი. მე საქორწილო კაბა მაცვია, რადგან ხვალ ვთხოვდები“, თუმცა სარკეში ისევ მკვდარ დედაჩემს ვხედავდი. რამდენიმე დღის წინ, კუთხის სახლში, მემე მომიყვა, როგორ გამოაწყვეს დედა ჩემი დაბადების შემდეგ საქორწილო კაბაში და კუბოში ჩასვვენეს. ამიტომ იყო, სარკეში რომ ვიხედებოდი, საფლავის მწვანე ობმოკიდებულ დედაჩემის ძვლებსა და ჭიებისგან გამოხრული საქორწილო კაბის გაყვითლებულ ნაფლეთებს ვხედავდი. სარკიდან გაცოცხლებული დედა მეძახდა და თავის ცივი სამყოფელიდან მიწვდიდა ხელს. უკნიდან კი, საძინებელი ოთახის სიღრმეში მდგარი გაოცებული მამაჩემი მიცქერდა: „ახლა, ამ კაბაში, ზუსტად ისეთი ხარ, დედაშენი რომ იყო“.

იმ საღამოს ჩემს ცხოვრებაში პირველი, უკანასკნელი და ერთადერთი სასიყვარულო ბარათი მივიღე. ეს იყო კინოს პროგრამის მეორე გვერდზე მარტინის მიერ ამოკაწრული რამდენიმე სიტყვა: „ამ საღამოს ვერ მოვასწრებ, ამიტომ ხვალ ვიტყვი აღსარებას: პოლკოვნიკს გადაეცით, საქმე, რომელზეც ვლაპარაკობდით, თითქმის გაკეთებულია. ამის გამო დღეს ვერ მოვალ. ძალიან გეშინიათ? მ.“ პირში ამ წერილის სახამებლის გემოთი დავწექი იმ საღამოს და რამდენიმე საათის შემდეგ, დედინაცვალმა რომ გამაღვიძა, სასაზე ჯერ კიდევ სიმწარეს ვგრძნობდი.

მართალია, გავიღვიძე, მაგრამ საბოლოოდ გამოფხიზლებამდე მრავალი საათი გავიდა. ვგრძნობდი მუშაისსუნიან სისხამ, ნამიან დილას და საქორწილო კაბას საკუთარ ტანზე. პირს სიმშრალე მიწვავდა, გზად რომ გამოუცდია კაცს, ლუკმის დასაღბობი ნერწყვიც რომ გაუშრება. ხელისმომკიდეები ოთხი საათიდან იცდიდნენ სასტუმრო ოთახში. მე ყოველ მათგანს ვიცნობდი, მაგრამ ახლა უცხოდ მეჩვენებოდნენ მაუდის კოსტიუმში გამოწყობილი კაცები და ჭილისქუდიანი ქალები. ოთახში მათი სიტყვების სქელი ბურუსი ჩამოწოლილიყო.

ეკლესია ხალხით იყო სავსე და როცა მე მსხვერპლად მიტანილი ცოკნავით გავემართე საკურთხევლისკენ, ქალების უმრავლესობა ჩემკენ შემობრუნდა. გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლარი, სერიოზული და ჯიუტი, ერთადერთი გამოკეთილი ფიგურა ამ დომხალში, ნელა ჩამოვიდა საფეხურებზე და ხელის მსუბუქი აქნევით გადასცა ჩემი თავი მარტინს. მშვიდი და მოღიმარი მარტინი ჩემს გვერდით იდგა, სწორედ ასეთად დამამახსოვრდა იგი ახალშობილის დატირებაზე, ოღონდ ამჯერად ახლად გაკრეჭილი იყო, რითაც კიდევ უფრო უხორცო და არარეალური მეჩვენებოდა.

იმ დღეს, ხელისმომკიდებებმა საჭირო სიტყვები რომ წარმოთქვეს საუზმეზე და დაიშალნენ, ჩემი მეუღლე სახლიდან გავიდა და სიესტის ბოლომდე არც დაბრუნებულა. მამა და დედინაცვალი არაფერს იმჩნევდნენ და ცდილობდნენ ჩვეულებრივად მოქცეულიყვნენ, რათა ამ ორშაბათის უცნაურობები მიეჩქმალათ. მე საქორწილო კაბა გავიხადე, დავკეცე, კარადის სიღრმეში დავმალე და რადგან იმ წუთში დედაზე ვფიქრობდი, ჩემთვის ვთქვი: „საძოხუში მაინც გამომადგება ეს ძონძები-მეთქი“.

ახლადგამომცზვარი სიმე შუადღის ორ საათზე დაბრუნდა და გამოაცხადა, რომ ნასადილევი იყო. თმაგაკრეჭილი ქმრის დანახვაზე ცისფერი დეკემბერი სასწრაფოდ გამუქდა ჩემს თვალში. მარტინი გვერდით დამიდგა და ერთ ხანს ორივე ვდუმდით. პირველად ჩემს სიცოცხლეში დადამების შემეშინდა, ალბათ, დამეტყო კიდეც შიში, რადგან ის უცებ გამოიცოცხლდა, ჩემკენ გადმოიხარა და მკითხა: „რაზე ფიქრობ?“ გულში რაღაც ჩამწყდა. სრულიად უცნობი კაცი შენონით მომმართავდა. დეკემბრის მანათობელ შუშის ცას ავხედე და ვუპასუხე: „კარი იქნება, გაწვიმდეს-მეთქი, ვფიქრობდი“.

●

ის საღამო, უკანასკნელად რომ ვისაუბრეთ შუშაბანდში, როცა მან გასაოცარი გულახდილობა გამოაჟღავნა, ჩემს მახსოვრობაში ყველაზე მწველი იყო. იგი უკვე აღარ დადიოდა სადალაქოში და ოთახში იყო ჩაკეტილი. პაპანაქება სცენეს უპირობით თავგადაბრეგული ჭრიჭინების ხმა და როზმარინის დაუოკებელი მონდომებით დფრქვეული სურნელება ავსებდა. თავიდან ორივე ვდუმდით და ოფლად ვიღვრებოდით, თუმცა ეს ოფლი კი არა, ცოცხალი მატერიის გამოთავისუფლებული ლორწო იყო. ის ვარსკვლავებიან, ზაფხულის შარავანდედით ანთებულ ცას უყურებდა, ხმას არ იღებდა და მოლიანად მისცემოდა გაცოცხლებული ღამის დინებას. ასე უბრად ვისხედით ერთმანეთის პირისპირ, ის თავის ტყავის სკამზე, მე — სარწეველა სავარძელში. უცებ შევამჩნიე, როგორ დახარა თავი მარცხენა მხრისკენ და თვალწინ მთელი მისი ცხოვრება, მისი მარტოობა და უხმო, სულიერი ტანჯვა წარმომიდგა. გამახსენდა, რა გულრცელად უყურებდა იგი ყოველდღიური ცხოვრების სპექტაკლს. ადრე ვფიქრობდი, რომ მასთან რთული და ისეთივე ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები მაკავშირებდა, როგორიც იგი იყო თავად, მაგრამ იმ საღამოს მთელი სიცხადით შევიგრძენი, რომ სულით და გულით მიყვარდა ეს კაცი. ისევე მომერია ის უხილავი ძალა, რამაც თავიდანვე გადამაწყვეტინა ექიმის ჩემი მფარველობის ქვეშ დატოვება და ნერვის თითოეული ძაფით შევიგრძენი მისი შეხუთული და ბნელი ოთახის სევდა. ჩემს წინ იჯდა ცხოვრებით დაჯაბნილი და გატეხილი ადამიანი და რიცა მან თავისი ყვითელი, გამჭოლი თვალები ასწია, ვიგრძენი, როგორ გასცა ღამის დამაბუქმა მაჯისცემამ მისი ჩახლართული მარტოობის საიდუმლო. სანამ ვიფიქრებდი, რატომ ვუსვამდი ამ კითხვას, სიტყვები თავისით წამომცდა:

— მითხარით, ექიმო, ღმერთი გწამთ?

მან შემომხედა. თმა შუბლზე ჩამოშლოდა და თავით ფეხამდე რაღაც შინაგანი ცეცხლით იწვოდა, თუმცა შავგვრემან სახეზე არც მღელვარება დასტყობია, არც მცოხნელი ცხოველის გაწელილი ხმა შეკრთომია, როცა მიპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხოვრებაში პირველად მისვამენ ასეთ კითხვას.

— თქვენი თავისთვის არასოდეს დაგისვამთ ეს შეკითხვა, ექიმო? — ეკითხე მე.

ის მღელვარებას არ იმჩნევდა, თითქოს არც მე ვაინტერესებდი, არც ჩემი კითხვა და არც მის უკან დამალული ქვეტექსტი.

— მიჭირს პასუხის გაცემა, — თქვა მან.

— ნუთუ არც ასეთი ღამე აღგიძრავთ ფიქრებს და არ გეუფლებათ შეგრძნება, რომ ვიღაც კაცი, ყველა სულიერზე დიდი და ბუმბერაზი, სადღაც ზემოთ, პლანტაციებში დაბაჯუებს და მის წინ ყოველი სულიერი გაოგნებული შეშდება?

მან მაშინვე არ მიპასუხა. ჩემი პირველი ცოლის ხსოვნის უკვდავსაყოფად დარგული ჟასმინების მკვეთრ, ცოცხალ სურნელების სიწმუქს ჭრიჭინების სიმღერა არღვევდა. დიდი არსება მარტოდმარტო დაბაჯუებდა ღამეში.

— ჩვენ ჩვენი სულების ხსნაზე ვფიქრობთ, ექიმო, ამაშია განსხვავება, — ვთქვი და იმაზე მეტი დავამატე, რასაც ვპირებდი: — თქვენ არ გესმით მისი, რადგან ათეისტი ხართ.

მან აუღელვებლად და მშვიდად მიპასუხა:

— დამიჯერეთ, პოლკოვნიკო, ათეისტი არა ვარ. საქმე ისაა, რომ ფიქრები ღმერთის არსებობაზე ისევე მაწუხებს, როგორც მის არარსებობაზე. ამიტომ ვამჯობინებ საერთოდ არ ვიფიქრო ამ თემაზე.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეგრძნობდი, რომ ზუსტად ასე მიპასუხებდა. „მას ღმერთი აღელვებს“, — გავიფიქრე, როცა ექიმმა, თითქოს წიგნში ამოიკითხაო. ჩუმი და მტკიცე ხმით წარმოსთქვა თავისი აზრი. ღამის მძიმე მოთენთილობა ათრობდა და მეგონა წინასწარმეტყველთა გარემოცვაში ვიმყოფებოდი.

მოაჯირს იქით ადელაიდასა და ჩემი გოგონას მიერ გაშენებული საყვავილეა იყო. როზმარინიც იმიტომ აფრქვევდა საამო სურნელს, რომ მას ყოველდღე ევლებოდნენ თავს ქალები, რათა ღამე მის სუნს საწოლ ოთახებში შეეღწია და ძილი შეემსუბუქებინა. ჟასმინიც თავის ბანგს გვიგზავნიდა და ჩვენც ღრმად ვისუნთქავდით მას. რადგან ის ისაბელის ხნის იყო და მის სურნელში დედამისის გაგრძელება იგრძნობოდა. ჭრიჭინებიც საიმედოდ მიმალულიყვნენ, რადგან ნაწვიმარზე ამოსული სარეველას მოცელა დგვავიწყდა. დაუჯერებელი და საოცარი მხოლოდ ის იყო, რომ ჩემს პირდაპირ ის იჯდა და დიდი ცხვირსახოცით აწმენდდა შუბლიდან მბზინავ ოფლს.

მორიგი პაუზის შემდეგ მან მკითხა:

— მინდა ვიცოდე, რატომ მკითხეთ ეს, პოლკოვნიკო?

— უცებ მომივიდა თავში, — ვუპასუხე. — იქნებ იმიტომაც, რომ უკვე შვიდი წელია მაინტერესებს, რას ფიქრობს ამ თემაზე თქვენნაირი ადამიანი. — მეც მოვიწმინდე ოფლი. — ან იქნებ, იმიტომ, რომ თქვენი მარტოობა მაწუხებს.

მე პასუხს ვუცდიდი, მაგრამ ის ჩუმად იჯდა ჩემს წინ, მოწყვნილი და ეული თვალწინ დამიდგა მაკონდო, მაკონდოელთა სულელური გასართობები, როცა ისინი დღესასწაულზე ფულის შეკერვებს უკიდებდნენ ცეცხლს, შემოდგომის ჩამოცვენილი ფოთლების გროვის მსგავსი ადამიანთა ჯგრო, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა უაზროდ და უმიზნოდ, ყველაფერი აღიზიანებდა, ინსტინქტების ჭაობში ფართხალებდა და თავაშვებულობაში ეძიებდა ტკბობას. გამახსენდა ექიმის ცხოვრება, მისი დროებითი გარდასახვა, სუნამო და გულმოდგინედ გაბრაალებული ფეხსაცმელი, უსაქმურთა მიერ შეთითხნილი ჭორები, ყველგან თან რომ სდევდნენ და ვკითხე:

— ცოლის შერთვა არასდროს გიფიქრიათ, ექიმო?

კითხვა დასრულებული არ მქონდა, რომ ჩვეულებისამებრ, მიკიბულ-მოკიბულად კი არ მიპასუხა, კონტრშეკითხვა დამისვა:

— ძალიან გიყვართ თქვენი ქალიშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, პოლკოვნიკო? რა თქმა უნდა-მეთქი, ვუპასუხე, მან კი განაგრძო:

— თქვენ განსაკუთრებული ადამიანი ხართ, პოლკოვნიკო, სხვებისგან განსხვავებით, ლურსმნებსაც კი საკუთარი ხელით აჭედებთ სახლში. მე ვხედავდი, როგორ ამაგრებდით კარის ანჯამებს, თუმცა ამის გაკეთება მოსამსახურესაც კარგად შეეძლო. თქვენ ეს მოგწონთ, მე მგონი, სიამოვნებასაც კი განიჭებთ სახლში სამუშაო იარაღების ყუთით ხელში სიარული და საქმის ძებნა. თქვენ მადლობელი იქნებოდით, თუ ვინმე კარის ანჯამებს მოშლიდა, პოლკოვნიკო, რადგან ამით საშუალებას მოგცემდათ თავი ბედნიერად გეგრძნოთ.

— ეს დედაჩემისგან გამოყოლილი თვისებაა, — ვუთხარი, თუმცა ვერ მივხვდი, სათ უმიზნებდა.

მან თავი დამიქნია და მშვიდად განაგრძო:

— ძალიან კარგი. მშვენიერი თვისებაა. ამასთან თქვენი ბედნიერება ყველა დანარჩენ ბედნიერებაზე ძვირადღირებულია, ამიტომაც გაქვთ ასეთი სახლი და ამიტომაც გაზარდეთ ასეთი ქალიშვილი. მე იმის თქმა მინდა, ალბათ, ძალიან კარგია თქვენი ქალიშვილისნაირი გოგონას ყოლა-მეთქი.

მე ისევ არ მესმოდა, რისი თქმა სურდა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— არასდროს გიფიქრიათ, ექიმო, რომ კარგი იქნებოდა თქვენც ყოლოდათ შვილი?

— არა, პოლკოვნიკო, — გაიღიმა მან და წუთის შემდეგ ისევ დასერიოზულდა. — ჩემი შვილები თქვენი შვილებისთანა ვერ იქნებოდნენ.

მე ეჭვი არ შემპარვია მისი სიტყვების სერიოზულობაში და კიდევ უფრო შემეცოდა. „ამიტომ უფრო მეცოდება იგი, ვიდრე სხვა რამის გამო, ამიტომაც ემფარველობ მას“, ვიფიქრე და ვკითხე:

— გსმენიათ რაიმე ჯიუტზე?

არაო, მიპასუხა.

— ჯიუტი ჩვენი მდვდელია, თანაც ყველას ემეგობრება. თქვენ აუცილებლად უნდა გაიცნოთ ის, — ვუთხარი მე.

— აჰა, გამახსენდა, მგონი შვილებიც ჰყავს, არა? — იკითხა მან.

— ახლა ეს არ არის მთავარი, — ვუპასუხე, — ხალხს ის უყვარს და ამიტომ ათას რამეს თხზავს მასზე. ჯიუტი არც ფარისეველია, არც წმინდანი, ის კაცია და კაცურად ასრულებს თავის მოვალეობას.

ექიმი უხმოდ და ყურადღებით მისმენდა და თავის ყვითელ თვალებს არ მაცილებდა.

— კარგია, — დასძინა ბოლოს.

— ეფიქრობ, ჯიუტს საბოლოოდ წმინდანებში ჩარიცხავენ, — ვთქვი გულწრფელად. — ჩვენთან, მაკონდოში მსგავსი მდვდელი არავის უნახავს. თავიდან მას არ ენდობოდნენ, რადგან აქაურია, მოხუცებს ახსოვთ, როგორ დასდევდა ბავშვობაში ჩიტებს. შემდეგ იბრძოდა, პოლკოვნიკი გახდა. აი, რა აფუჭებს საქმეს! ვეტერანებს ხომ იმის გამო არ სცემენ პატივს, რის გამოც მდვდლებს. გარდა ამისა, ჩვენ არ ვართ მიჩვეული, რომ სახარების ნაცვლად ბრისტოლის ალმანახს გვიკითხავდნენ.

მას გაეღიმა, ალბათ, ისევე თავშესაქცევად მოეჩვენა ეს ამბავი, როგორც ჩვენ პირველ ხანებში.

— საინტერესოა, — თქვა.

— ასეთია ჯიუტი. მას ურჩევნია, ხალხი ატმოსფერულ მოვლენებში გაარკვიოს. ქარიშხლისადმი თითქმის თეოლოგიური ინტერესი აქვს, ყოველ კვირას ამაზე გველაპარაკება. ამიტომ მისი ქადაგება ბიბლიურ ტექსტზე კი არა, ბრისტოლის ალმანახის ამინდის წინასწარმეტყველებაზეა დამოკიდებული.

ის იღიმებოდა და დიდი ყურადღებითა და სიამოვნებით მისმენდა. მეც გამოვცოცხლდი:

— კიდევ ერთი რამ დაგაინტერესებთ, ექიმო, — ვუთხარი. — იცით თუ არა, როდის ჩამოვიდა ჯიუტი მაკონდოში?

არ ვიცი, მიპასუხა.

— შემთხვევის წყალობით, თქვენ და

ჯიუტი ერთ დღეს ჩამოხვედით მაკონდომი, და ძმა რომ გყოლოდათ, დარწმუნებული ვარ, ჯიუტს ეძგვანებოდა, ფიზიკურად, რასაკვირველია.

ახლა ისიც ჯიუტზე ფიქრობდა. სერიოზულად და დამაბულად და მე მივხვდი, დრო იყო მეთქვა, რასაც ვფიქრობდი:

— აი რა, ექიმო, — ვუთხარი. — შეიარეთ ჯიუტთან და დარწმუნდებით, რომ ღმერთი სულაც არაა ისეთი, თქვენ რომ გგონიათ.

ის შემპირდა, რომ აუცილებლად მივიდოდა ჯიუტთან.

●

ცივი, უტყვი და საქმიანი ბოქლომიც ჟანგს იკიდებს. აღელიადამ მაშინ დაკიდა ბოქლომი ექიმის ოთახის კარზე, როცა გაიგო, რომ მან მემესთან ერთად დატოვა სახლი. ჩემმა ცოლმა ეს ნაბიჯი საკუთარ გამარჯვებად მიიჩნია, თანდათანობით, მოთმინებით რომ ჭედავდა იმ დღიდან, როცა ექიმის ჩემს სახლში დატოვება გადავწყვიტე. 17 წლის შემდეგ ბოქლომი ჯერაც კარზე ჰკიდია.

თუკი ჩემი რვა წლის ვანმავლობაში შეუცველი გადაწყვეტილება ხალხისა და ღმერთისათვის მიუღებელი იყო, მაშინ დავისაჯე კიდეც სიკვდილმდე დიდი ხნით ადრე. ალბათ, სიცოცხლეშივე უნდა გამომესყიდა ის ცოდვა, რასაც აქამდე ადამიანისა და ქრისტიანის ვალად ვთვლიდი. ბოქლომზე ჟანგმაც ვერ მოასწრო მოდება, რომ ჩემს ოჯახში გამოჩნდა ათასგვარი პროექტებით გატენილი ჩანთით დატვირთული მარტინი, მტკიცე გადაწყვეტილებით — ჩემს ქალიშვილზე დაქორწინებულიყო. იგი ოთხ ღილზე შეკრული სერთუკითა და მომხიბვლელობის შარავანდით გარემოცული გამომეცხადა. ზუსტად თერმეტი წლის წინ, დეკემბერში მან ისაბელზე დაიწერა ჯვარი. ცხრა წლის წინ კი ჩემი ხელმოწერილი ვალდებულება წაიღო, რათა დიდი ხნის ჩანაფიქრი ხელშეკრულება დაედო, რომლის განხორციელების გარანტს ჩემი ქონება წარმოადგენდა. თუმცა ცხრა წელი გავიდა, მაინც არ მაქვს უფლება ვიფიქრო, რომ მარტინი ყალთაბანდი იყო და ჩემს მოსატყუებლად იქორწინა ისაბელზე.

რვაწლიან გამოცდილებას ფუჭად არ ჩაუვლია. ადელაიდა რომ არა, ოთახს, ალბათ, მარტინი დაისაკუთრებდა. მაგრამ ჩემმა ცოლმა ისეთი უარი გვტკიცა, რომ მივხვდი, თავლაში უფრო დიდი სიამოვნებით გაუშლიდა საწოლს ახალდაქორწინებულებს, ვიდრე იმ ოთახში. ამჯერად მეც ადელაიდას მხარე დავიჭირე, რითაც მისი გამარჯვება გავიზიარე. მარტინი ორივეს შეცდომა იყო. ორივე ბრმად ვენდეთ მას და შევცდით. ვერც ერთმა ვერ შეავლეთ მომავლის ამოცნობა, რომელიც ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც ატმოსფერული მოვლენების ალმანახში მაგალითად მოყვანილი ქარიშხალი.

მემეს რომ ვუთხარი, ჩვენი სახლი დაეტოვებინა, მისთვის შესაფერისი ცხოვრების გზა აერჩია და მერეც (თუმცა ადელაიდა ბრალს მდებს სისუსტეში), შემეძლო აღვშფოთებულიყავი, როგორც ყოველთვის, ყველას წინააღმდეგ წაესულიყავი და საქმე ჩემებურად მომეგვარებინა, მაგრამ რაღაცამ მიკარნახა, რომ შემდგომ მოვლენებში ჩარევა ჩემს ძალებს აღემატებოდა. ჩემს ოჯახში მეკი არა, რაღაც საიდუმლო ძალა მბრძანებლობდა, რომელიც ისე წარმართავდა ჩვენს ცხოვრებას, რომ ჩვენ მის ხელში მხოლოდ უსუსური იარაღი ვიყავით. თითქოს წინასწარმეტყველის სიტყვები უნდა ახდესო. ყველაფერი თანმიმდევრობით ვითარდებოდა.

მემემ რომ ღვინის დუქანი გახსნა, არ გამკვირვებია, რადგან ყველა მუშაქალი, სოფლის ექიმის საყვარელი რომ ხდება, ადრე თუ გვიან, ღვინის დუქანს ხსნის, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ჩვენთან ცხოვრების მანძილზე ექიმმა მოსალოდნელზე მეტი თანხა დააგროვა, ფული იმ დროიდან ეყარა უწესრიგოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწერი მაგიდის უჯრაში, როცა ჯერ კიდევ აკითხავდნენ ავადმყოფები.

მემე რომ დუქანში ტრიალებდა, იგი უკანა ოთახში იმალებოდა. ვიცოდით, რომ გარედან შემოტანილს არაფერს ჭამდა და ეზოში ბოსტანი გააშენა. პირველ ხანებში მემე ხორცს ყიდულობდა თავისთვის, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამასაც გადაეჩვია, ალბათ, ექიმთან ცხოვრებამ ისიც ვეგეტარიანელი გახადა. მაშინ ორივე სახლში ჩაიკეტა, რომლის კარი თანამ არ გაღებული, სანამ მთავრობამ შეამტვრია და ბოსტანი გადათხარა მემეს გვამის ძიებაში.

ხალხი ფიქრობდა, რომ სახლში გამოკეტლილი ექიმი მშვიდად იწვა თავის ძველ, დაცხავებულ ჰამაკში. მაგრამ მე ვიცოდი, რომ მისი კარჩაკეტილობა, ყრუ ბრძოლა მოახლოებულ ღმერთთან, სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე მიაღწევდა აპოგეას. მე ეს ჭეშმარიტება დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ იმ საღამოს შევიცანი, შუშაბანდში რომ ვილაპარაკეთ და მოგვიანებით, მასთან რომ შევედი, რათა მემეს საშველად წამეყვანა. შემეძლო კი წინ დავდგომოდი მის სურვილს ეცხოვრა მემესთან, როგორც ქმარს ცოლთან? ადრე, ალბათ, შემეძლო. მაგრამ იმ საღამოს აღარ, რადგან სამი თვით ადრე ბედისწერის წიგნში ახალი თავი გადაიშალა.

ის ზურგზე იწვა, ჰამაკში კი არა, საწოლზე, თავი უკან გადაეგდო და ზემოთ იყურებოდა, სადაც ჭვერი უნდა დაენახა, უკეთესი განათება რომ ყოფილიყო. მის ოთახში ელექტროსანათურაც იყო, მაგრამ ის მხოლოდ სანთლით სარგებლობდა, რადგან ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ერჩია წოლა. ოთახში რომ შევედი, არც განძრეულა, მაგრამ მიეხვედი, კარი გავაღე თუ არა, ივრძნო — მარტო აღარ იყო.

—ექიმო, თუ ძალიან არ შეგაწუხებთ... მგონი ჩვენი ინდიელი ქალი ავად გახდა, — ვუთხარი მე.

ის საწოლზე წამოჯდა. წამის წინ იგრძნო, მარტო აღარ იყო, ახლა დაინახა, რომ ეს მე შევედი ოთახში. როგორც ჩანს, ეს ორი შთაბეჭდილება ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მისი გამომეტყველება სწრაფად შეიცვალა, თმაზე ხელი გადაისვა და საწოლის კიდეზე გაშეშდა.

— ექიმო, ადელაიდას სურს მემე თქვენ გასინჯოთ, — ვუთხარი მას.

— ეს არაფერს შეცვლის. მემე ფეხმძიმედაა, — საწოლიდან არც წამომდგარა, ისე მომიჭრა მცოხნელი ცხოველის გაწელილი ხმით.

შემდეგ წინ გადმოიხარა, სახეში ჩამხედა და დაამატა:

— მემე უკვე რამდენიმე წელია ჩემთან წევს.

უნდა ვადიარო, რომ არ გამკვირვებია. არც სიბრაზე მიგრძენია, არც გაოცება. ალბათ, მისი აღსარება იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ ჩემი აღქმის ჩარჩოებში არ ეტეოდა. უდრტვინველად მოვისმინე აღსარება და მხოლოდ დიდი ხნის დუმილის შემდეგ, რომლის დროსაც ის გაუნძრეველად იჯდა საწოლზე და უცდიდა, როდის დავარღვევენი სიჩუმეს, ადვილი თავიდან ბოლომდე მისი სიტყვები, მაგრამ აღშფოთება უკვე დაგვიანებული იყო.

— ალბათ, ვესმით სიტუაციის სერიოზულობა, ექიმო, — ამის თქმაღა მოვახერხე როდის-როდის.

— ადამიანს ეხერხება სიფრთხილის ზომების მიღება, პოლკოვნიკო, და თუ რაღაც გაუთვალისწინებელი ხდება, მაშასადამე, ამ ამბავში თქვენზე ძლიერი ძალაა ჩარეული, — მიპასუხა მან.

მე ვიცნობდი მისი ლაპარაკის მანერას და როგორც ყოველთვის, არ მესმოდა საით უმიზნებდა. სკამი გამოვწიე და მის პირდაპირ დავჯექი. იგი ადგა, ქამარი შეიკრა, შარვალი გაისწორა და ოთახის შორეული კუთხიდან თქვა:

— მე რომ ზომებს ვღებულობდი, ისევე ცხადია, როგორც ის, რომ მემე უკვე მეორედაა ფეხმძიმედ. პირველად ამ წლინახევრის უკან იყო. მაშინ თქვენ ვერაფერი შენიშნეთ.

ის უემოციოდ ლაპარაკობდა და საწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისკენ მიიწევდა. სიჩუმეში, ქვის იატაკზე მისი ნაბიჯების ხმა ისმოდა.

— მაგრამ მაშინ ის ყველაფერზე თანხმა იყო. ახლა არა. ორი თვის წინ მითხრა, ფეხმძიმედ ვარო. მე მაშინდელივით ვუპასუხე, რომ სადამის მოსულიყო და ზომებს მივიღებდი. მან მიპასუხა, ხვალ მოვალო, შემდეგ, სამზარეულოში შევედი ყავის დასალევად და რომ შევახსენე, გელოდები-მეთქი, საერთოდ არ მოვალო, გამომიცხადა.

ის საწოლთან მივიდა, ოღონდ არ დამჯდარა, ზურგი შემაქცია და მეორე წრეს გაუყვა ოთახის ირგვლივ. მე მესმოდა მისი სიტყვები, მისი ხმის მიქცევ-მოქცევა, თითქოს ჰამაკში მოქანავე ველაარაკეებიო. ის ყვებოდა აუღელვებლად და დაბეჯითებით და მეც უბრალოდ ვუსმენდი.

— ორი დღის შემდეგ მაინც მოვიდა, — განაგრძო მან. — მე ყველაფერი მზად მქონდა. ვუბრძანე აი, იქ დამჯდარიყო და მაგიდისკენ წავედი ჭიქის ასაღებად, მაგრამ რომ ვუთხარი, დალიე-მეთქი, ისე შემომხედა, მივხედი, არ დალევდა. ამას არ მოვიცლებ, ექიმო, მითხრა, გავჩენ და გავზრდი.

მისმა სიმშვიდემ მოთმინებიდან გამომიყვანა:

— ეს თქვენ არ გამართლებთ, ექიმო,

— ვუთხარი მე, — თქვენ ორმაგად დამნაშავე ხართ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემს ოჯახში დაამყარეთ ეს კავშირი, თანაც აბორტის გაკეთებას აპირებდით.

— მაგრამ, პოლკოვნიკო, მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო და როცა მივხვდი, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, თქვენთან მოლაპარაკება გადავწყვიტე. დღე-დღეზე ეპირებდი მოსვლას, — არ შემეპუა ის.

— ამ საქმის გამოსწორების ერთადერთი გზა არსებობს, ექიმო, ჩვენი სახლის წესებს თქვენ იცნობთ, — ვუთხარი მე.

— თქვენი შეწუხება არ მინდა, პოლკოვნიკო, და აი, რის გაკეთებას ეპირებ: წავიყვან ინდიელს და კუთხის სახლში გადავალ. ის ცარიელია.

— აშკარა თანაცხოვრება, ექიმო? გესმით კი, რას ნიშნავს ეს? — ვკითხე მე.

ის საწოლთან დაბრუნდა, ჩამოჯდა, წინ გადმოიხარა და მუხლზე იდაყვდაყრდნობილი ალაპარაკდა. ადრე თუ ცოვად ლაპარაკობდი, ახლა მის ხმაში სიბრაზე და გამოწვევა ისმოდა.

— პოლკოვნიკო, ეს ერთადერთი გამოსავალია, რაც თქვენ უსიამოვნებას აცილებენ. წინაადმდეგ შემთხვევაში გამოვაცხადებ, რომ ბავშვი ჩემი არ არის.

— მემე იტყვის, რომ ის თქვენია, — ვუთხარი გაღიზიანებულმა. მისი გამომწვევი კილო ცხვარსაც კი გააცხარებდა.

— მემე ამას არ იზამს, პოლკოვნიკო, — მტკიცედ გამომიცხადა მან, — ამიტომაც გთავაზობთ, წაიყვან მას კუთხის სახლში და წავალ, რითაც უსიამოვნებებს აცილებთ.

მან ისეთი ტონით წარმოთქვა, მემე ვერ გაბედავს ჩემს მამად გამოცხადებასო, რომ მეც კი დავიბენი, შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ მის თვითდაჯერებას მყარი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— ჩვენ მემესი ისე გვჯერა, როგორც საკუთარი ქალიშვილის, ექიმო, და ამიტომ მის მხარეზე ვიქნებით.

— თქვენ რომ ის იცოდეთ, რაც მე ვიცი, ასე არ ილაპარაკებდით, პოლკოვნიკო. მომიტევეთ, მაგრამ ინდიელს საკუთარ შვილს რომ ადარებთ, ამით თქვენს ქალიშვილს აყენებთ შეურაცხყოფას, — თქვა მან.

— ასე ლაპარაკის საფუძველი არ გაქვთ, — შევეპასუხე მე.

მან ისევ მტკიცედ და მწარედ მიპასუხა:

— მაქვს, პოლკოვნიკო, იმის საფუძველიც მაქვს გამოვაცხადო, რომ მას არ შეუძლია ბავშვის მამად ჩემი გამოცხადება, — მან თავი უკან გადაავდო და ღრმად ამოისუნთქა. — თქვენ რომ საღამოობით სახლიდან გასული მემესთვის გედეონებინათ თვალყური, იმასაც ვერ მთხოვდით, მასთან ერთად გადავსულიყავი კუთხის სახლში. ახლა ყველა უსია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნება მე შემხვდება, პოლკოვნიკო, მე ავიღე საკუთარ თავზე ყველა უზერხულობა, რათა თქვენ დამეცავით.

მაშინ მიეზვდი, რომ ის შეშესთან ერთად ეკლესიას ახლოსაც არ გაეკარებოდა, მაგრამ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმაც არ ამაღებინა ხელი იმ მოქმედებაზე, რაც შემდეგ ძმიმე ცოდვად დაეწვა ჩემს სინდისს. მე მაღალი კარტი მეჭირა ხელში, მას კი ერთადერთი კოზირი ჰქონდა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჩემი სინდისის წინააღმდეგ სათამაშოდ.

— ძალიან კარგი, ექიმო, — ვთქვი მე, — დღესვე გაეცემ განკარგულებას მოამზადონ კუთხის სახლი. მაგრამ ასეა თუ ისე, თქვენი ნებით როდი სტოვებთ ჩემს ოჯახს. პირდაპირ გიცხადებთ, რომ გაგდებთ სახლიდან. პოლკოვნიკი აუცილებლად ბუენდია მწარედ გაზღვევინებდათ, რომ გაეგო, როგორ გაამართლეთ მისი ნდობა.

ვფიქრობდი, ეს სიტყვები მას გააცხარებდა და პირველყოფილ ცოფს დამატებდა თავზე, მაგრამ შევცდი.

— თქვენ წესიერი კაცი ბრძანდებით, პოლკოვნიკო, და ეს ყველამ იცის, მე თქვენთან საჭიროზე მეტხანს ვცხოვრობდი, ამიტომ თქვენი მხრივ ზედმეტია ჩემთვის ამის შეხსენება, — ღირსეულად მიპასუხა მან.

რომ წამოდგა, გამარჯვებულისა არაფერი ეცხო. ეს მე განვიცდიდი უხერხულობას და დანაშაულის გრძნობას. იმ საღამოს დავინახე, როგორ აღმოცენდა მის ყვითელ თვალებში სიკეთილის ჩანახატი და მივხვდი, რა ეგოისტურად მოვექეცი და რა ლაქა დავამჩნიე ჩემს სინდისს. ეს ლაქა სიცოცხლის ბოლომდე უნდა მეტარებინა.

მის სულში კი სიმშვიდე სუფევდა.

— რაც შეეხება მემეს, სპირტით დაზილონ, მაგრამ დამამშვიდებელს ნურაფერს მისცემენ, — თქვა მან.

●

ბაბუა დედასკენ გაემართა. დედას ისეთი სახე აქვს, თითქოს აქ სულაც არ იყოს. სკამზე კაბა და ქუდი დევს, დედა კი სხვაგანაა. ბაბუა გვიახლოვდება, დედას უყურებს და სიტყვებით, „გაიღვიძე, გოგონა“, ხელჯოხს უტარებს თვალწინ. დედა თვალებს ახამხამებს და თავს იქნევს. „რაზე ფიქრობ?“ ეკითხება ბაბუა. დედა ნაძალადევად იღიმება და პასუხობს: „ჯიუტზე ვფიქრობდი“. ბაბუა დედას გვერდით ჯდება და ნიკაპით ხელჯოხს ეყრდნობა. „დამთხვევაც ამას ჰქვია, — ამბობს ის. — მეც მასზე ვფიქრობდი“.

მათ ესმით ერთმანეთის. ერთიმეორეს არც უყურებენ, ისე ლაპარაკობენ. დედა წელგამართული ზის და კაბის სახელის აწვალებს. ბაბუა ნიკაპით ხელჯოხს ეყრდნობა, მაგრამ მათ მაინც ესმით ერთმანეთის, როგორც მე და აბრამს ლუკრეციანი.

„წიკ, წიკ“ — ვეუბნები აბრამს. ის ყოველთვის მისწრებს სამი ნაბიჯით. აბრამი ჩემკენ ბრუნდება და მპასუხობს: „ჯერ ადრეა, მერე“. „როცა წიკ, წიკ არავინ იქნება“, ვეუბნები მე. აბრამი თავს აღარ აბრუნებს და ჩუმად იცინის ბრიყვული, გულღია სიცილით, რომელიც დარწყულებული ხმის დრუნჩიდან გუბეში წკაწკუნით ჩაცვენილ წვეთების ხმას ჰგავს. „ხუთ საათზე იცის ხოლმე“, ამბობს ის, კიდევ რამდენიმე ნაბიჯს დგამს და დასძენს: „ახლა თუ წავალთ, არ გასკდება“. „არა უშავს, მაინც სულ წიკწიკებს“, ვეუბნები მე. „კარგი, წავიდეთ“, მეთანხმება ის და გარბის.

ლუკრეციას სანახავად მიმავლებმა ხეებიანი და არხებიანი ხუთი ეზო უნდა გავიაროთ და ხელიკებისგან გამწვანებულ ღობეზე გადავძვრეთ, სადაც ადრე ჯუჯა მღეროდა ქალის ხმით. აბრამი გარბის და მზეზე დანასავით ბრწყინავს. მას ყეფით მისდევენ ძალლები. შემდეგ ორივე ეჩერდებით, ჩვენს წინ აღმართულ ფანჯარაში ეიყურებით და თითქოს ქალის გადვიძების ვვეშინიაო, ვნურნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებთ: „ლუკრესია“. მაგრამ მას არ სძინავს და კოჭებამდე დაშვებული თეთრი, გახამებული პერანგისამარა ზის საწოლზე.

ჩურჩულის გაგონებაზე ლუკრესია თავს სწევს, ოთახს ათვალიერებს და ჭოტივით მრგვალი თვალებით გვიყურებს. შემდეგ იცინის და ოთახის შუაგულში გამოდის. ღია პირიდან პატარა, წვეტიანი კბილები მოუჩანს. მრგვალ თავზე ბიჭურად შეჭრილი თმა უბზინავს. შუა ოთახში მისული სიცილს წყვეტს, იხრება და კარს უყურებს, შემდეგ ხელებს პერანგის ბოლოს ჰკიდებს და ნელ-ნელა ზევით სწევს. მე და აბრამი ფანჯარას ვეკრობით. ლუკრესიას სუნთქვა უხშირდება, ტუჩები მწყურვალივით უშრება და ჭოტის თვალი ერთ წერტილში უშტერდება. ჩვენ ხარბად ვუყურებთ მის თეთრ მუცელს, რომელიც ქვემოთ სილურჯეში გადადის. ლუკრესია პერანგით სახეს იფარავს და ფეხბგაჭიმული დგას. ზედმეტი დაძაბულობისგან ქუსლების კანკალი ეწყება, პერანგს სახიდან იცილებს, ჩვენკენ თითს აშვერს და საზარელი ხმით ღრიალებს. ხმაურზე ოთახის კარი იღება და „დედათქვენს დასცინეთ, ლაწირაკებო“ — ყვირილით შემორბის ქალი.

კარგა ხანია ლუკრესიასთან არ ყოფილვართ. დღეს მდინარეზე ჩავალთ პლანტაციების გავლით. თუ აქ ყველაფერი დროზე მორჩა, აბრამი დამიცდის. მაგრამ ბაბუა ადგილიდან არ იძვრის, დედას გვერდით ზის და ნიკაპით ხელჯოხს ეყრდნობა. მე მას თვალებში ვუყურებ. ის, ალბათ, გრძნობს ჩემს მზერას, რადგან კრთება, ხმამაღლა ოხრავს და დედას ეუბნება დამწუხრებული: „ჯიუტი ჯოხით მორეკავდა აქ ყველას“, შემდეგ სკამიდან დგება და კუბოსკენ მიდის.

●

ამ ოთახში მეორედ ვარ. პირველად რომ ვიყავი, ათი წლის წინ, ავეჯი, უბრალო ტანსაცმელი და გაზეთები ზუსტად ასე ეწყო, თითქოს ექიმი არაფერს მიპკრავია იმ შორეული დღის შემდეგ, მემეესთან ერთად რომ დასახლდა ჩვენს სახლში და საკუთარ ცხოვრებაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. სკამიც კი იმავე ადგილას იდგა, თითქოს გუშინ ვიყავით მე და ჯიუტი ამ სახლში მთავრობისა და ექიმის შესარიგებლად.

ეს ის დრო იყო, ბანანის კომპანიამ რომ უკვე გამოვვწურა და შინისკენ გასწია ჩვენთან ჩამოტანილი ნარჩენების ნარჩენებით. მათი წასვლა და ცოტა ხნის წინ აყვავებული მაკონდოს 1915 წლის უბადრუკი, ნამუსრევი ფოთლების დაფანტვა ერთი იყო. მაკონდო პატარა, დაცარიელებულ სოფლად იქცა, რამდენიმე გასაცოდავებული დუქნითა და გაღიზიანებული ხალხით, რომელსაც ბედნიერ წარსულზე მოგონებები სტანჯავდა, დახავსებული აწმყო და ბურუსით მოცული მომავალი კი არჩევნების საშიშ და მოღრუბლული დღის გარდა, ახალს არაფერს უქადდა.

ნახევარი წლის წინ ამ კარს პასკელი მიაკრეს, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია და იქამდე ეკიდა, სანამ გადაუღებელმა წვიმებმა ასოები არ გადღაბნა, თებერვლის ქარმა კი საერთოდ ჩამოგლიჯა ქაღალდი. მაგრამ 1918 წლის ბოლოს, როცა მთავრობას აზრად მოუვიდა, წინასაარჩევნო ნერვიულ-აღგზნებულ მდგომარეობაში ჩყოლოდა მოსახლეობა, ვიღაცამ აცნობა, რომ სოფელში განდგომილი ექიმი ცხოვრობდა, რომლის არსებობაში დარწმუნება ურიგო არ იქნებოდა. ახალ მთავრობას, როგორც ჩანს, ისიც მოახსენეს, რომ თავდაპირველად ექიმი ინდიელ ქალთან ცხოვრობდა, რომელსაც საკუთარი დუქანი ჰქონდა გახსნილი, ისეთივე მომგებიანი, როგორიც მაკონდოს სხვა პატარ-პატარა დუქნები. ერთ მშვენიერ დღეს (რიცხვი, თვე და წელი არავის ახსოვდა), დუქანი არ გაიღო. ხალხმა იფიქრა, მემე, ექიმთან ერთად, ჩაიკეტა და ისიც ბაღჩაში მოწეული ბოსტნეულით იკვებებაო, მაგრამ კარზე მიკრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასკვილში ეწერა, რომ ექიმმა ბოროტი განზრახვით მოკლა საყვარელი და ბოსტანში დაფლა, რათა მისი ხელით ვინმეს არ მოეწამლა. მთელ ამ ამბავში საოცარი მხოლოდ ის იყო, რომ იმ დროს ექიმს მტრები ფაქტობრივად არ ჰყავდა და არავინ იცოდა, ვინ შეადგინა პასკვილი.

სანამ მთავრობამ პოლიცია და დაცვა საიმედო ხალხით არ შეავსო, ექიმი არავის მოჰგონებია. მაგრამ იმ წინასაარჩევნო პერიოდში ვიდაცას ძველი პასკვილი გააახსენდა, მთავრობას ექიმის სახლის კარი შეამტვრევინა, მემეს გვამის ძიებაში მთელი სახლი გაანხრეკინა და ბაღჩა და ფეხისადგილიც კი გადაათხრევინა, როგორც ჩანს, უსაყოფოდ, რადგან რამე რომ ენახათ, ექიმს გარეთ გამოათრევდნენ, ქუჩებში ჩაატარებდნენ და მოედანზე, ეჭვი არაა, კიდევ ერთი მსხვერპლშეწირვა მოხდებოდა მთავრობის სიყოჩაღის სადიდებლად.

მე და ჯიუტი უკანა კარიდან შევედით და ჰამაკში ჩასვენებული ადამიანის ნარჩენებს გადავაყრდით. ალბათ, არაფერია კაცის ნარჩენებზე უარესი სანახავი. ჩვენს დანახვაზე ის ჰამაკიდან წამოიწია და მოგვაჩერდა. თმა ოთახში მდგარი ავეჯივით დამტვეროდა და გაჭაღარავებოდა. მხოლოდ ძველებურად მზირალი ყვითელი თვალები მეტყველებდა მის სიცოცხლისუნარიანობაზე. მომეჩვენა, ფრჩხილით რომ მომეჩიჩქნა მისი სხეული, ძვლებიანად დაიშლებოდა. მას ულვაშები დაემოკლებინა, მაგრამ წვერს არ იპარსავდა, ათასში ერთხელ იმოკლებდა მაკრატლით და ამიტომ ნიკაპი უხეში ჯაგრით კი არა, რბილი ღინღლით ჰქონდა დაფარული. ეუყურებდი ჰამაკში მწოლიარეს და ვფიქრობდი: „ცოცხალ ადამიანს კი არა, მიცვალებულს ჰგავს, რომლის თვალები ჯერაც არ მომკედარა(ფეხქი“.

პირი რომ გაალო, ისევ ისეთი, ბალახისჭამია ცხოველის გულისწყმიღები ხმა ამოუვიდა. გვიხრა, პოლიცია შემომივარდა სახლში და ჩემი თანხმობის გარეშე გადათხარა ეზოო. ალბათ, ეგონა, არ ვიცოდით, მაგრამ ეს პროტესტს კი არა, უბადრუკ ალსარებას უფრო ჰგავდა.

მემეზე ძნელად დასაჯერებელი, გულუბრყვილო ახსნა-განმარტება მოვვცა. ოქვა, რომ მემე წავიდა, ეს იყო და ეს. დუქანი რომ დაკეტა, სახლიც შესხულდა თურმე, რადგან ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. ერთ დღეს მემემ ჩემოდანი ჩაალაგა და უხმოდ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკუნით მივიდა კართან, ამ სიჩუმით აგრძნობინა, სამუდამოდ მივდივარო. „მეც ავდექი და მაგიდის უჯრაში რომ ფული მედო, სულ მივეცი“, — დაასრულა მან.

„როდის მოხდა ეს ამბავი, ექიმო?“ ვკითხე მე. „ოთის მიხედვით მიხვდით, — მიპასუხა. — თმას მემე მჭრიდა“.

ჯიუტი იქ თითქმის არ ლაპარაკობდა. თითქოს იმ კაცის ნახვამ გააოცა, თხუთმეტი წლის განმავლობაში რომ ვერ გაიცნო მაკონდოში. მე უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე (ალბათ, იმიტომ, რომ ექიმს ულვაშები დაემოკლებინა), მომხვდა თვალში ამ ორი ადამიანის მსგავსება. ისინი განსხვავებულები იყვნენ, მაგრამ მანც დედმამიშვილები გეგონებოდათ, ერთი ცოტა უფროსი, უფრო გამხდარი და მოტეხილი იყო, მაგრამ მაინც ერთნაირი ნაკვთები ჰქონდათ, როგორც ძმებს, რომელთაგან ერთი დედას ჰგავს, მეორე — მამას. მაშინ შუშაბანდში ერთად გატარებული უკანასკნელი საღამო გამახსენდა და ვთქვი:

— ეს ჯიუტია, ექიმო, ერთხელ შემპირდით, რომ გაიცნობდით მას.

— სწორია, — გაიღიმა ექიმმა, — არ ვიცი, რატომ არ შევასრულე: — და ჯიუტს მიაჩერდა.

— კეთილი დასაწყისისათვის გვიანი არასოდეს არ არის, — უთხრა ჯიუტმა. — მე დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი თქვენი მეგობარი.

მაშინვე მიეხვდი, რომ ამ უცნაურ კაცთან ჯიუტმა ჩვეული თავდაჯერება დაკარგა. ის მორცხვად ლაპარაკობდა, სადღა იყო ის რიხი, რომლის წყალობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც მისი ხმა კათედრიდან ქუხდა, როცა მუქარითა და არაამქვეყნიური ტონით გვიქადაგებდა ბრისტოლის ალმანახის პროგნოზებს.

ეს მათი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდა. თუმცა, მოგვიანებით, როცა ექიმმა უარი თქვა დაჭრილთა დახმარებაზე, სწორედ ჯიუტმა გადაარჩინა უფჭველ სიკვდილს. მაშინ ხალხმა ექიმს საშინელი განაჩენი გამოუტანა, რომლის აღსრულებას დღეს მე უნდა შეეუშალო ხელი.

ის იყო წასასვლელად ემზადებოდით, რომ ერთი შეკითხვა გამახსენდა, ჯიუტს ეუთხარი, ექიმთან დავრჩები-მეთქი და როცა ის მთაერობისთვის ჩვენი ვიზიტის შედეგების მოსახსენებლად წავიდა და ჩვენ ორნი მარტო დავრჩით, ეკითხე:

— მითხარით, ექიმო, ბავშვი რა იქნა?

მისი სახის გამომეტყველება არ შეცვლილა.

— რომელი ბავშვი, პოლკოვნიკო? — მკითხა.

— თქვენი და მემესი. მემე ხომ ფეხმძიმედ იყო, ჩემი სახლი რომ დატოვა.

— სწორი ხართ, პოლკოვნიკო, მე დამავიწყდა კიდეც, — მშვიდად და აუღელვებლად მიპასუხა მან.

●

მამა ჯერ ჩუმად იყო. მერე თქვა: ჯიუტი ჯოხით მორეკავდა აქ ყველასო და მის თვალებში ფარული შეშფოთება ამოვეკითხე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ესე იგი, ნახევარი საათი (ახლა, ალბათ, სამი იქნება), ბავშვი დუმდა. ძალიან მაწუხებს მისი სახის უყურადღებო გამომეტყველება, რაც მამამისს ამგვანებს. დღეს, ოთხშაბათს, ჩემი შვილი ცხელ ჰაერში გაღლვება, როგორც მარტინი ცხრა წლის წინ, როცა ხელი დამიქნია მატარებლის ფანჯრიდან და სამუდამოდ მიიმალა. ჩემს მიერ ბავშვისთვის გაღებული ყველა მსხვერპლი არაფრის მომცემი იქნება, თუკი იგი ასე ემგვანება მამამისს. სულ ტყუილად შევევედრები ღმერთს გახდეს იგი ფერით, ხორციო, სისხლითა და წონით ჩვეულებრივი კაცი. ყველაფერი ამაოდ ჩაივლის, თუ მასში მამამისის გენები სჭარბობს.

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, ბიჭს მამისა არაფერი ეცხო. მაგრამ დაბრუნდა თუ არა მაკონდოში ხენოვეკა გარსია თავისი ექვსი შვილით, რომელთა შორის ორი წყვილი ტყუპიც ერია, ბიჭი მამას დაემგვანა. ხენოვეკა გასუქებულიყო და მობერებულიყო, თვალებქვეშ, ერთ დროს გაღაკეცილ და პრიალა კანზე ჭუჭყივით ანნდა ლურჯი პარკუჭები. ჩამოსვლის დღესვე გამოამზეურა ერთნაირ ფეხსაცმელებსა და მაქმანებში გამოწყობილი თავისი ხმაურიანი და გიჟმაჟი ქონება. ვიცოდი, რომ ხენოვეკა თოჯინების თეატრის დირექტორთან ერთად გაიქცა და ამიტომ მის ბავშვებზე გული არ მიმდიოდა. მათ მოძრაობაში რაღაც ავტომატურს ვხედავდი, თითქოს ყველა ერთი მექანიზმით იმართებოდა. ისინი ერთი ცოდები იყვნენ და უსაამოვნოდ ჰგავდნენ ერთმანეთს. ექვსივეს ერთნაირი ფეხსაცმელი და ერთნაირი მაქმანშემოვლებული კაბა ეცვა. ხენოვეკას გიჟმაჟი ბედნიერება, მისი დაბრუნება თითქმის დაქცეულ და დამტვერილ მაკონდოში გულს მიმძიმებდა. რაღაც მოსაწყენი, თითქოს გამოუსწორებელი სისულელე იყო, რომ ის მოძრაობდა, თავისი ბედნიერებით ყოყოჩობდა და ვეცოდებოდით, რადგან ამ ჩამკვდარ სოფელს, თოჯინების თეატრის მხიარულ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

მის დანახვაზე წარსული გამახსენდა და „როგორ გასუქებულხარ-მეთქი“, ვუთხარი. ხენოვეკამ მოიწყინა: „ალბათ, მოგონებები მასუქებსო“, თქვა და თვალმოუშორებლად მიაჩერდა ბავშვს. „რა მოუვიდა ოთხდილიან ჯადოქარს?“ მკითხა მან. დარწმუნებულმა, რომ თავადაც კარგად იცოდა, რაც მოუვიდა, გაეძგზავრა-მეთქი, ვუთხარი. „მხოლოდ ეს დაიტოვა?“ დაინტერესდა ხენოვეკა. ჰო-მეთქი, ვუპასუხე. მან უწესოდ გაიცინა: „რა უქნარა უნდა იყო კაცი, რომ ხუთი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილზე მხოლოდ ეს ერთი გააკეთო“, თქვა და კაკანთი გაგრძელა თავის წინოლებით გარშემორტყმულმა: „მე კიდევ ჭაუას კარგაღვი მისთვის. გეფიცები, სატირალში რომ არ გაგვეცნო, ნამდვილად წაგართმევდი, მაგრამ მაშინ სულელი ვიყავი და ასეთი რამეების მჯერდა“.

დამშვიდობებისას ხენოვეკამ ბავშვს შეხედა. „ნამდვილი მამამისია, ოთხფილიანი სერუკიღა აკლია“, თქვა მან და იმ წუთიდან, თითქოს ხენოვეკამ გათვალა, ბავშვი საოცრად დაემსგავსა მამას. ეაკვირდებოდი, როგორ იჯდა მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, თავი მარცხენა მხრისკენ დაეხარა და უსასრულობაში იყურებოდა, როგორც მამამისი, ყვავილების ქოთნებიან მოაჯირს რომ ეყრდნობოდა და, შენ რომც არ იყო, მაინც სიამოვნებით დავრჩებოდი მაკონდღაში მთელი ცხოვრებაო, მეუბნებოდა.ხანდახან, აი, ახლა, მაგალითად, მეჩვენება, რომ ბავშვიც იმავეს იტყვის. ის უზმოდ მიზის გვერდით და სიცხისგან აწითლებულ ცხვირს ისინჯავს ხელით, „ეტკეკა?“ — ვეკითხები. არაო, მპასუხობს, უბრალოდ, ვიფიქრე, ცხვირზე სათვალე არ დამიმაგრდებაო. „შენ მაგაზე ნუ ღელავ — ეკუბნები და კისრიდან ბაფთს ვხსნი, — სახლში რომ დავბრუნდებით, აბაზანაში ჩაწექი და ყველაფერი გაგიკეთ“. „კატაურე!“ მესმის მამის ხმა. ის ყველაზე უფროს, დაბალ დაკუნთულ ინდიელს მიმართავს, საწოლზე რომ ზის და ჩიბუხს აბოლებს. თავისი სახელის გაგონებაზე კატაურე თავს სწევს და დაბინდული, ვიწრო თვალებით მამას უყურებს. მამა სათქმელს ვერ ამთავრებს, რადგან მეზობელი ოთახიდან ხმაური ისმის და საწოლ ოთახში ბარბაცით შემოდის ალკალდი.

●

დღეს მძიმე დღე გვქონდა. მისი გარდაცვალების ცნობას არ დაეუბნევიარ, დიდი ხანი იყო ველოდი, მაგრამ ასეთ არეულ-დარეულობას თუ გამოიწვევდა ჩემს ოჯახში, ვერ წარმოვიდგენდი. ცხადი იყო, ვიღაც უნდა გამყოლოდა დასაფლავებაზე და მეგონა, ეს ვიღაც ჩემი ცოლი იქნებოდა. მას ხომ ჩემი ავადმყოფობის შემდეგ თითქოს მოუბრუნდა გული ექიმზე. ამ სამაოდე წლის წინ, საწერი მაგიდის უჯრებს რომ ალაგებდა, ხელს ვერცხლისთავიანი ჯოხი და მოსამართი თოფანა ამოაყოლა. სათამაშო კარგა ხნის დავიწყებული გვქონდა, ამიტომ მაშინვე მოვმართეთ და ბალერინამაც ერთ დროს მხიარული, მაგრამ დიდი ხნის სიჩუმისგან დაყრუებულ და სევდისმომგვრელად მოჭრაჭინე მუსიკაზე იცეკვა. მოგონებებში ჩაძირული ადელაიდა სათამაშოს უყურებდა და როცა ჩემკენ შემობრუნდა, მის თვალებში აშკარა სევდა შევნიშნე.

— ფიქრობ მასზე? — მკითხა მან და მე მივხედი, ვინც აგონდებოდა, სანამ სათამაშოს დაღლილი მუსიკა სევდას გვიძლიერებდა.

— რა მოუვიდა, ნეტავ? — იკითხა შეფიქრიანებულმა.

— ის კუთხის სახლში ცხოვრობს, — ვუპასუხე. — მალე მოკვდება და ჩვენი ვალია, მიწას მივაბაროთ.

სათამაშოს ყურებით გართული ადელაიდა ჩუმად იდგა და მე გამაოცა მისმა ნოსტალგიამ წარსულისადმი.

— მუდამ მაინტერესებდა, ვინ ვევონა ექიმი, შენ ხომ იმიტომ გაარეკ საზეიმო სუფრა, რომ ვიღაცაში შევეშალა, — ვკითხე ცოლს.

ადელაიდამ უფერულად გაიღიმა.

— დამცინებ, რომ გითხრა, ვინ მეგონა, როცა ის სათამაშოთი ხელში აი, იმ კუთხეში იდგა, — მითხრა და თითი კუთხისკენ გაიშვირა, სადაც ოცდაოთხი წლის წინ ჩექმებსა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ექიმი იდგა.

მაშინ ვიფიქრე, მოგონებებში შეურიგდა ექიმს-მეთქი და ამიტომ დღეს ვთხოვე შავი ჩაეცვა და ჩემთან ერთად წამოსულიყო. მაგრამ სათამაშო რა ხანია ისევ უჯრაში დევს, მუსიკამ ჯადოსნური ზემოქმედება დაკარგა. ადელაიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლად იმარხავს თავს, საათობით იკეტება ოთახში და ლოცულობს. „მხოლოდ შენ მოგივდოდა აზრად დაკრძალვის მოწყობა, ყველა იმ უბედურების შემდეგ, რაც მის გამო დაგვატყდა თავს, — მითხრა მან. — ეს წყეული ნაკიანი წელიწადიდა გვაკლია. ამის შემდეგ წარღვნა მოვა“.

— ხომ იცი, სიცოცხლით ვარ დავალებული მისგან, — ვუთხარი და ვეცადე ამეხსნა, რომ პატიოსანი სიტყვა მქონდა მიცემული ექიმისთვის ამ საქმის შესასრულებლად.

— ის იყო ჩვენი მოვალე, — მიპასუხა მან. — სიკვდილისგან რომ გიხსნა, ამით რვა წლის ვალი გისტუმრა მხოლოდ.

ამის თქმა იყო და, სავარძელი მოაჯირისკენ შეაბრუნა. ალბათ, ახლაც იქ ზის და თვალები წყენითა და ცრურწმენით აქვს სავსე. შემეცოდა და მისი დაწყნარება მომინდა.

— კარგი, — ვუთხარი, — ისაბელს წავიყვან.

მან არაფერი მიპასუხა. სახლიდან რომ გამოვდიოდით, ისევ ისე იჯდა და მისთვის რომ მესიამოვნებინა, ვუთხარი:

— წადი ოთახში და სანამ დავბრუნდებით, ჩვენთვის ილოცე.

— არავითარ შემთხვევაში, — მიპასუხა მან. — სანამ ეს მათხოვარი დადის აქ სამშობიარობით, მთელი ჩემი ლოცვა უსარგებლოა. — მის ხმაში გამოწვევა ისმოდა, — არც ავდგები აქედან განკითხვის დღემდე, თუ მანამდე ჭიებმა არ გამოხრეს სკამი.

●

მეზობელი ოთახიდან ნაბიჯების ხმა მოისმა და მამამ კისერი წაიგრძელა. მას დაავიწყდა, რა უნდა ეთქვა კატაურესთვის და ცდილობს ჯიხზე დაყრდნობით ირგვლივ შემობრუნდეს, მაგრამ უგრძნობი ფეხი არ ემორჩილება და ლამისაა, დაეცეს, როგორც სამი წლის წინ, გამტყდარი დოქიდან დაღვრილ ლიმონათის გუბეში რომ ჩაემხო, რასაც ამ ამბის ერთადერთი მოწმის, ბაბუის ლრიალი მოჰყვა.

მას შემდეგ კოჭლობს მამა და ითრევს ფეხს, რომელიც ერთკვირიანი წამების შემდეგ სამუდამოდ გაშუშდა და აღარ ემორჩილება. მაშინ არც მეგონა, რომ ცოცხალი გადარჩებოდა და ახლა, ცალი ხელით ალკალდზე დაყრდნობილს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, სწორედ ეს ფეხია დამნაშავე იმაში, რომ მამა მაკონდოს ნების წინააღმდეგ წასვლას აპირებს-მეთქი.

ეს ვალი იმ დღეებში დაედო, როცა შუშაბანდში წაიქცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი შეგრძნებით, თითქოს კოშკიდან ჩამოგდესო და მაკონდოში დარჩენილმა ორივე ექიმმა გვირჩია, ქრისტიანული აღსასრულისთვის მოგვემზადებინა მოხუცი.

მახსოვს, ხუთი დღე ვონზე არ მოსულა და გამუდმებით ბოდავდა ვიღაც უცნაურ მეიმარზე, ჩექმებში და ვეფხვის ტყავში გახვეული რომ გამოეცხადა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას იმში, ოთხმოცდახუთ წელს. „ვინ ხართო“, — ჰკითხეს, მაგრამ მან არაფერი თქვა. „საიდან ხართო“, ჰკითხეს და ისევ არ უპასუხა. „ვის მხარეზე ებრძვითო“, არ შეეშვნენ მეიმრები და ისევ დუმილი მიიღეს პასუხად. მაშინ ერთმა ჯარისკაცმა მუგუზალი მიუტანა უცნობს სახესთან და გაგიჟებულმა შესძახა: „ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჰერცოგი მარლბორიაა!“ ამას რომ ბოდავდა, მისი გამხდარი და შეკუმშული სხეული უძრავად იდო ზეწარქვეშ, როგორც ჯიუტისა, ერთი წლის წინ ყვავილებით რომ გააცილა მაკონდომ სასაფლაოზე. მას კუბოშიც განდეგილი, უნუგეშო გამომეტყველება ჰქონდა.

ბოდვა რომ დაიწყო, ექიმებმა გვირჩიეს, მამა თბილ აბაზანაში ჩაგვეწვინა, რის შემდეგაც უარესად გახდა. მაშინ ექიმები დაგვეშშვიდობნენ და დაგვიბარეს, ქრისტიანული აღსასრულისთვის მოგვემზადებინა ავადმყოფი.

საწოლ ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის შარიშურიღა არღეევდა. ეს შარიშური მუდამ ისმის მომაკვდავის ოთახში და ადამიანის სუნს აყენებს. კარგა ხანი იყო, მამა ანხელმა აზიარა ავადმყოფი, მაგრამ ადგილიდან არავინ ვიძროდით და მის წამახულ ცხეირს მივჩერებოდით. საათმა რომ დარეკა, დედინაცვალი ადგა და წამლით ხელში მამას სასთუმალთან გაჩერდა. ჩვენ ის-ის იყო, კრიჭა გავუსვინეთ ავადმყოფს, რომ შუაბანდიდან მტკაცე ნაბიჯების ხმა მოგვესმა. დედინაცვალს წამლიანი ხელი პაერში გაუშეშდა და ლოცვა შეწყვეტა. „მის ნაბიჯებს იმ ქვეყნიდანაც კი ვიცნობ“, — თქვა და კარისკენ შებრუნდა ფერდაკარგული. წირთხლთან ექიმი იდგა და ჩვენ გვიყურებდა.

●

„ჯიუტი ჯოხით მორეკავდა აქ ყველას-მეთქი“, ეეუბნები ისაბელს, კუბოსკენ ვბრუნდები და ვფიქრობ: „მას შემდეგ, რაც ექიმმა ჩემი სახლი დატოვა, არ მასვენებს აზრი, რომ ჩვენი ყველა მოქმედება ჩვენზე ბევრად ძლიერი განგების ნებით იყო გამოწვეული და ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო, გინდ გვებრძოლა მის წინააღმდეგ, გინდ აღელაიდას უხმო ჯანყი გაგვეზიარებინა, ლოცვით რომ გაემიჯნა ქვეყნიერებას“.

მე ინდიელებს ეუყურებ, კუბოსკენ მივიწევ და მის თავზე აღუღებული ჰაერის ნაკადს ვისუნთქავ განწირულობის იმ სიმწარესთან ერთად, მაკონდო რომ დაანგრია. იმედი მაქვს, ალკალღი დამარხვის ბრძანების გასცემს. ვიცი, რომ გარეთ სიცხით გათანგული ხალხი იცდის, რომ სეირს დახარბებული ქალები ფანჯარასთან არიან ატუზულები და სულ არ ახსოვთ ცეცხლზე დატოვებული რძე და ბრინჯი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ გამოწურულ და გამომშრალ ხალხს ჯანყის თავი არა აქვს. მათი ბრძოლისუნარიანობა არჩევნების დღეს ჩაკლეს, იმ კვირა დღეს, როცა შეჩოჩქოლებული ბრბო დაამცირეს და ამავე დროს დაარწმუნეს, თავად გსურდათ ასეო. ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა, რადგან წინ დღევანდელი ოთხშაბათი იდო.

ათი წლის წინ, გადატაკება რომ დაიწყო, მინდომებულ ხალხს ჯერ კიდევ შეეძლო მაკონდოს აღდგენა. საჭირო იყო ბანანის კომპანიის მიერ გამოყენებული მინდვრების ხელახალი დამუშავება, სარეველას ამოძირკვა და ახალი ნარგავების ჩაყრა. მაგრამ ხალხს უკვე ნასწავლი ჰქონდა მოუთმენლობა, წარსული და მომავალი არ ადარდებდა, მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა, აწმყოში იკმაყოფილებდა გაუმაძღრობას. ხალხისა და ფოთლების ფროვა დაიშალა, უიმისოდ კი აღორძინება არ შეიძლებოდა. ფოთოლცვენამ ყველაფერი მოგვიტანა, ყველაფერი წაიღო და დარჩა ის ავადსახსენებელი არჩევნების კვირა დღე, როცა მთავრობამ პოლიციასა და დაცვას მოედანზე ოთხი დაწნული ბოცით დაუდგა არაყი.

და თუ იმ ღამეს ჯიუტმა შეძლო ექიმის სახლში გამოსაწვავად აღმდგარი ბრბოს შერერება, ღღეს ის მათრახით ხელში დაიკლიდა სახლებს და ძალით მორეკავდა ხალხს დაკრძალვაზე. მეოდელს რკინის ხელში ეჭირა თავისი მრეველი. რკინის მარწუხები მისი სიკვდილის მერეც არ დასუსტებულა და იმამიც იგრძნობოდა, თუ როგორ გლეჯდა ხალხი ეზოებში ყვავილნარს ოთხი წლის წინ (ჩემს ავადმყოფობამდე ერთი წლით ადრე), რათა ყვავილებით გაეცილებინათ ჯიუტი უკანასკნელ გზაზე.

მხოლოდ ექიმი არ ასწრებია მის დაკრძალვას, თუმცა სიცოცხლით იყო დავალებული იმ კაცისგან, ვის ნებასაც უსტყვოდ ემორჩილებოდა მაკონდო. იმ ღამეს, მოედანზე ოთხი მოწწული ბოცა რომ შემოდგეს და შეშინებულ მაკონდოს გალეშილი ბარბაროსები დაატყდნენ თავს, სანამ სხვები თავიანთ მკვლრებს სამმო საფლავში მარხავდნენ, ვიღაცას გაახსენდა, რომ კუთხის სახლში ექიმი ცხოვრობდა. მაშინ დაჭრილება მისი სახლის კართან დასვენეს და დაუძახეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ექიმი, შეველეთ ამ დაᲭრილებს, სხვა ექიმები გადატვირთულები არიან!“ „სხვაგან წაიყვანეთ ისინი, მე არაფერი შემიძლია“ (ექიმი კარს არ აღებდა და შიგნიდან იძლეოდა პასუხს). „თქვენ ერთადერთი ექიმი ხართ, — უთხრეს მას,— გაიღეთ მოწყალება“. ის იდგა შუა ოთახში (ასე წარმოედგინა ხალხს) და მაღლა აწეული ლამპა ყეთილ თვალებს უნათებდა. „მე ყველაფერი დამავიწყდა, რაც ვიცოდი, სხვაგან წაიყვანეთ დაᲭრილები“, უპასუხა და ისევე დარჩა ყრუ კარს მიღმა, რომლის წინ მაკონდის ქალები და კაცები ბობოქრობდნენ. იმ ღამეს ბრბოს ყველაფრის ჩადენა შეეძლო. ის იყო სახლისთვის ცეცხლის წაკიდება დაᲮპირეს, რომ Ჯიუტი გამოᲩნდა, თითქოს მოელი სალამო იქ იყო და ამ წუთს უცდდაო, კარის წინ დადგა. ამ სახლს ხელს არავინ ახლებსო, თქვა და ხელები Ჯვარიანი გაშალა. მისი უმეტᲧველი, ცოვი სახის წინ, ᲫრᲮის თავის ქალას რომ ჰგავდა, ხალხის მძვინვარება ოდნავ ჩაცხრა, ყველამ უკან დაიხია, მაგრამ იმდენი ძალა მაინც შერჩა, განაᲩენი ამოეძახა. რომელიც თაობდან თაობას უნდა გადასცემოდა.

საწოლისკენ მიედევარ, რომ ინდიელებს Თუბრძანო, კარი გააღონ. თუ ალკალდი ᲮუᲗში არ მოვა, კუᲗის მისი ნებართვის გარეშე გავიტანთ, ქუᲩაში დაᲫგამთ ა, რახან ასეა, სახლის წინ დავმარხავთ. „ᲫᲐᲗᲣᲠᲐ!“ ვეძახი ყველაზე უფროს ინდიელს და ალკალდის ნაბიᲯების ხმაც ისმის.

მე ვიცი, რომ ის პირდაპირ ჩემკენ წამოვა, ამიტომ ვიდგილმ სწრაფად შეეტრიალდე ქუსლებზე, მაგრამ მტკივანი ფეხი საᲭრდეს ვერ პოულობს და წინ მივეᲩანები, დარწᲣნებული, რომ თავს კᲣბის კიდეს ჩამოვარტყამ, მაგრამ Ჰაერში ალკალდის ხელს ვიწᲧდები და მისი ბრიᲧეული, მშვიდობიანი ხმა მესმის: „ნუ ღელავთ, პოლკოვნიკო, გარანტიას ვაძლევთ, არაᲤერი მოხდება“. მᲯერა, ასეც იქნება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამ სიტᲧვებს ის თავის დასამშვიდებლად უფრო ამბობს. „რა უნდა მოხდეს“, ვეუბნები, თუმცა საწინააღმდეგოს ვფიᲥრობ. ის რაღაცას მიᲮსნის სასაფლაოს თაობაზე და დამარხვის ნებართვას მაძლევს. ეს ქალაღდს წაუკითხავად Წკეცავ, ᲯიბᲫი ვიდეს და ვამბობ: „მაინც ვერ აᲪდებთ, რაც გვიწერია, ᲩᲕენი მომავალი წინასწარაა განსაზღვრული“.

ალკალდი ინდიელებთან მიდის და ეუბნება, კუᲗის თავი დაᲭᲕდონ და კარი გააღონ. ᲪᲣᲪᲣრებ, როგორ იღებენ ისინი ᲩᲕᲣᲜს და ლურᲯმნებს, რათა სამუდამოდ დაფარონ ამ უთვისტომო, მიუსაფარი მაწᲧნწᲚას სახე. უკანასკᲜელად ეს კაცი სამი წლის წინ ენახე Ჩემს სარᲪელᲗან, როცა იმ ᲥᲕᲧნᲚკენ მიმავალი, სასᲬუალად მოვბრუნდი. თვალი რომ გავახილე, მისი ნაᲫრევად დაბერებული სახე ᲫᲕენახე. ექიმმა ის-ის იყო, სიკᲫᲓილისგან მიᲮსნა, თითქოს ოᲕᲘე ძალა, Ჩემი ავადმყოფობა რომ აცნობა, ახლა Ჩემს მორᲩენაში ეხᲫარებაო. „თქვენს ფეხს დამუშავება სᲭირდება. შესაძლოა, ᲯიᲮით მოგიწეოთ სიარულმა“, მითᲮრა ᲛᲐᲜ.

ორი დღის შემᲫეგ კᲒითᲮე, რამდენი ᲛᲘმართა და ასე მიპასუᲮ: „თქვენ Ჩემი არაᲤერი გმართებთ, პოლკოვნიკო, მაგრამ თუკი სიკᲫილ ქᲫნა გსურთ, რომ მოკᲫდები, მიᲭს მიმაᲮარეთ, წინააღᲛᲓეგ შემთᲮᲕევაში, სᲕავები დამგლეᲯენ“.

ამ პირობის შემᲫეგ, კიᲫეგ ერთხელ დავრᲩუნდი, ამ კაცს კᲫდმა დიდი Ხანია დაᲧᲬებული Ჰქონდა, ოღონდ მაᲨინ არ ვიცოდი, რომ ის პროცესი სამი წლის შემᲫეგ უნდა დასრულებულიყო. ეფიᲥრობ, თოკი არც კი იყო საᲭირო დასასრულის დასაᲩქარებლად, სულის მსუბუქი შებერვაც იკმარებდა მის ყეთილ თვალებში მᲮუტავი სიცოცხლის უკანასკᲜელი ნაპერᲬკლის ჩასაᲩრობად. ამიტომ, ეს პირობა რომ Ჩამმართვა, რომელსაც დღეს ვასრულებ, სულაც არ გამკᲭვრებია. „რა საᲭირო იყო თᲮოვნა, ექიმო, — უბრალოდ ვუპასუᲮე. — თქვენ კარგად მიცნობთ და უნდა გცოდნოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლით დავალებული რომც არ ვიყო, მაინც მიგბარებდით მიწას, თუნდაც მთელი ქვეყნის წინააღმდეგ წასვლა დამჭირვებოდა“.

მამამ ყვითელმა თვალებმა პირველად გაიღიმა: „სწორია, პოლკოვნიკო, მაგრამ დიახსომეთ, მკედარი ვერ დამმარხავდით“.

●

ახლა ველარაფერი გვიხსნის შერცხვენისგან. ალკალდმა მამას დამარხვის ნებართვა მისცა. მამამ კი ისე გულგრილად თქვა: მაინც ვერ აცდებით, რაც გვიწერია, ჩვენი მომავალი წინასწარაა განსაზღვრული, როგორც მრავალი წლის წინ, ჩემს დაბადებამდე ბევრად ადრე, გარდაცვლილი წინაპრების ტანსაცმლით სავსე ჩემოდნებით დატვირთულმა საცხოვრებლად მაკონდო რომ აირჩია. მას შემდეგ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ჩემი დედინაცვლის მტკაცე ხასიათიც კი მწუხარებით შეიცვალა, ის დღითიდღე საკუთარ თავში ჩაკეტილი და უსიტყვო ხდება. დღეს კი მისმა ვარამმა იმ ზომას მიაღწია, რომ მოაჯირთან დაჯდა და განკითხვის დღემდე არ ავდგები აქედანო, თქვა.

მამაჩემს ყოველთვის გაჰქონდა თავისი. ახლაც, ამ სამარცხვინო მოვალეობის შესრულებისას დარწმუნებულია, რომ ყველაფერი წყნარად ჩაივლის. ინდიელები კუბოს აჭედებენ და კარს აღებენ. მამა ჩემთან მოდის. მე ვდგები, ბავშვს ხელს ვკიდებ და სკამს უკან ვაჩოჩებ, რათა ხალხს კარის გაღებისთანავე თვალში არ მოეხვედ.

ბავშვი ჩაფიქრებულია. რომ ავდექი, სახეში შემოხედა გაოცებულმა. ახლა გვერდით მიდგას და უყურებს, როგორ მუშაობენ ოფლში გაღვრილი ინდიელები. კარი დაჟანგული რკინის ხრჭიალით იღება და მე თეთრად დამტვერილ ქუჩას ვხედავ. მტვერი სახლებსაც ადევს, რის გამოც მაკონდოს ძველი, გატეხილი ავეჯის შეხედულება აქვს, თითქოს ღმერთმა გამოაცხადა მაკონდო საჭირო აღარაა და კუთხეში მიაგდო სხვა ქალაქებისა და სოფლების გვერდით, რომლებიც დიდი ხანია სამყაროს აღარ სჭირდება.

ბავშვი, რომელიც, ეტყობა ოთახში უეცრად შემოჭრილმა სინათლემ დაბრმავა (მისი ხელი ჩემს ხელში შეკრთა), თავს სწევს და რაღაცას აყურადებს. „გესმის?“ — მეკითხება და ჩემს ყურამდე მეზობელ ეზოში მოფუთფუთე ჭოტის ხმა აღწევს. „ჰო, — ვეუბნები, — ალბათ, სამი საათია“. ინდიელები კუბოს აჭედებენ.

ვცდილობ არ ვუსმინო ამ გულისშემაწუხებელ ხმას, რომლის გაგონებაზეც ტანზე მხარკლავს, თან ვცდილობ ბავშვს არაფერი ვაგრძნობინო, ფანჯრისკენ ვბრუნდება და ქუჩის გადღმა ჩამწკრივებულ, გაუფერულებულ, დამტვერილ ნუშის ხეებს ვუყურებ. მთ უკან სახლი დგას. საცაა დაინგრევა გარდაუვალი დალუპვის ქარით ერთხელ უკვე შეზანზარებული. ასეთია მთელი მაკონდო ბანანის კომპანიის დასრულების შემდეგ. სახლი სუროთი დაიფარა, ქუჩას ბუქნარი მოვდო, კედლები სკდება და დღისით-მზისით საწოლ ოთახში ხვლიკს ეპოულობ. ყველაფერი ინგრევა მას შემდეგ, რაც ჩვენ რობმარინის მოშენებას შევეშვით, უხალვამა ხელმა კი კარადაში საშობაო ფაიფური დამსხვრია და ძველ ტანსაცმელს ჩრჩილი შეუჩინა. სახლში ყველაფერი ფუჭდება, შეკეთებაზე კი არავინ ზრუნავს, მამაჩემი ძალიან დასუსტდა, ავადმყოფობის შემდეგ დაკოჭლდა კიდეც.

სენიორა რებეკა ვენტილატორთან დგას და არაფერს აკეთებს, ამიტომაც ვერ დაუწყვია თავი უშველძირო ქვრივობისთვის და ვერ შემობრუნებულა ბორტებისკენ. აგიდას დამბლა აქვს და რელიგიური სენითაცაა შეპყრობილი. მამა ანხელის ერთადერთი სიამოვნება, სადილზე გუფთის ძღომამდე ჭამის შემდეგ, მუცელში სასიამოვნო სიმძიმის შეგრძნებაა. დრო-ჟამის მსახვრალ ხელს

11. „ცისკარი“. № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სან-ზერომნიმელი ტყუპი დების სიმღერამ და უცნაურმა მაოხოვარმა ქალმა გაუძლო, რომელიც თითქოს არ ბერდება და ოცი წელია სამშაბათობით ჩვენს სახლში დადის. ქალაქის დუმილს, დღეში ოთხჯერ, ყვითელი, დამტვერილი მატარებლის ხმა არღვევს, თუმცა არავინ არსად არ მიეგზავრება, დამდობით კი ბანანის კომპანიის მიერ დატოვებული ელექტროსადგურიდან კაკუნი ისმის. მე ჩვენს სახლს ვუყურებ და თვალწინ მიდგას გაუნძრეველად მჯდომი დედინაცვალი, იგი დარწმუნებულია, რომ ჩვენს დაბრუნებამდე ქარიშხალი ამოვარდება და მაკონდოს მიწასთან გასწორებს. მაშინ ყველაფერი გაქრება ჩვენს გარდა, რადგან ჩვენ ამ მიწაში გავიდგით ფესვები, რადგან ჩემოდნებით სავსე ოთახში ჯერ კიდევ ინახება წიანარების ტანსაცმელი და კოლეგებისგან თავის დასაცავი ბადე, ცხენებს რომ ეფარათ, როცა ომის საშინელებას გამოქცეული ჩემი მშობლები მაკონდოსკენ მოიწევდნენ. ჩვენ ამ მიწასთან მოგონებები ვკაკვშირებს, დიდი ხნის გარდაცვლილებზე, რომელთა ძვლებიც აღარაა საფლავში. ჩემოდნები კი ომის დამთავრების შემდეგ დგას ოთახში და დღესაც იქ დგეხედება, თუკი სახლში დაბრუნება ვვიწერია და თუ მანამდე ქარიშხალი მაკონდოს არ გაალამტვერებს თავის ხვლიკებიანი საწოლი ოთახებითა და მოგონებებით წელში მოხრილი, დადუმებული ადამიანებით.

●

ბაბუა უცებ დგება და თავს ჩიტივით მაღლა სწევს. სათვალე ისე შეზრდია ცხვირს, თითქოს სახის ნაწილიაო. „მე, ალბათ, ვერ ვიტარებ სათვალეს, ,ურებზე არ გამიჩერდება“, ,ვფიქრობ და ცხვირს ვისინჯავ. დედა ჩემკენ იხრება და, გტკივაო?, მეკითხება. მე ჩემს აზრს ეუზიარებ. ის იღიმება, ოხრავს და ალბათ, სულ ს

კუბოსკენ იხრება, ორნი კართან მიდიან. გაოფლილი და ფერდაკარგული დედაც დგება, სკამს უკან სწევს, ხელს მკიდებს და გვერდით იწევს, რომ კარისკენ მიმავალი ხალხი გაატაროს.

კაცები ჯერ ურდულის ჩამოხსნას ცდილობენ, მაგრამ ის თითქოს ჩაჟანგებულ რგოლს შეეზარდაო, ადგილიდან არ იძვრის. მაშინ ერთი მათგანი კარს აწვება. ოთახი ხის სკდომისა და დაჟანგებული ანჯამების ღრჭიალით ივსება და ბოლოს უზარმაზარი კარი, რომელშიც ორი ერთმანეთზე შემდგარი კაცი გაუტეოდა, ტკაცანით იღება. სანამ მიეზეზებოდეთ, რა ხდება, ოთახში ყოველისშემძლე და თვალისმომჭრელი სინათლე იჭრება, თითქოს ორასწლიანი და ორასი ხარის ძალის საყრდენი გამოაცალესო, თაეპირისმტვრევით ავსებს ოთახს და იატაკზე ავეჯის ჩრდილს აწყობს. ხალხი ცაზე გამკრთალ ელვასავით იხატება კედლის ფონზე და მგონია, ხელ-ხელჩაკიდებულები თუ არ დდგებიან, სინათლე წალეკავს.

კარი რომ იღება, საიდანღაც ჭოტის ოხვრა ისმის. ახლა ქუჩაც მოჩანს და თეთრი, მბზინავი მტვერიც. რამდენიმე გულხელდაკრეფილი კაცი მოპირდაპირე სახლის კედელს მიყრდნობია და ჩვენკენ იყურება. ისევ ისმის ჭოტის ოხვრა. „გესმის?“ ვეკითხები დედას. კაი, მეუბნება, ალბათ სამი საათიაო.

ადა ამბობს, ჭოტები მიცვალებულის სუნს რომ იკრავენ, მაშინ ოხრავენო, მინდა დედასაც ვუთხრა ეს ამბავი, მაგრამ ინდიელები კუბოს თავის დაჭედებას იწყებენ, დედა კი ფანჯრისკენ ბრუნდება. ჩაქუჩს ლურსმანი ხეში ჩაჭაკვს, წამით ისვენებს და თავიდან იწყებს საქმეს. ექვსი ლურსმნის შემდეგ კაკუნი წყდება და უკვე რამდენიმე ჭოტის ხმა ისმის. ბაბუა ინდიელებს ანიშნებს და ისინიც დაფერდებულად იღებენ კუბოს. სომბრერიანი კაცი კუთხეში დგას და, ნუ გეშინიათ, პოლკოვნიკოო, ამბობს. მოჩხუბარი მამალივით ყველაწოლებული ბაბუა მისკენ ბრუნდება, მაგრამ არაფერს ამბობს. „ვფიქრობ, ის მაკონდოში აღარავის ახსოვს“, დასძენს სომბრერიანი.

მუცელში ნამდვილ ტკივილს ვგრძნობ. ამჯერად მართლა მინდა საჭირო ოთახში წასვლა. ინდიელები ძალების დაკაბვით სწევენ კუბოს და ისიც მკვდარი გემოვით მიცურავს. ჰაერში.

„ახლა ჭოტები მიცვალებულის სუნს იკრავენ და ყველა ერთად ამოიოხრებს“, ვფიქრობ მე.

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვასალიამ

რედაქციის შენიშვნა: ჟურნალის წინა ნომერში („ცისკარი“, № 7-8) ავტორის ხახელი და გვარი შემოკლებით დაიბეჭდა (უნდა იყოს: გაბრიელ გარსია მარკესი), რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

პოეზიიდან რეალობისკენ

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მოხდენისთანავე საქართველომ ბოლშევიკური პეტროგრადისა და რუსეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, რაზეც ის უკვე ორახი წელიწადი ოცნებობდა... XVIII საუკუნის დასასრულს მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთება, რაც ქართველმა მეფე-ქრისტიანმა ითხოვა, პეტერბურგმა მზაკვრულად გამოიყენა. პატარა სამეფოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო (ისევე, როგორც ქართველ მეფეთა დინასტიას), და რუსული არმიის ნაწილებით გავსებული პ რ ო ვ ი ნ ც ი ა უბრალოდ იქცა რუსეთის ნაწილად, რომელსაც გუბერნატორი მართავდა. ქრისტიანული რუსეთის მიერ ასეთი მოტყუება, შეურაცხყოფა ქვეყნისა, რომელიც ოცნებობდა რუსეთის მფარველობით ი ს ლ ა მ ი ს გ ა ნ გ ა ნ ა, არასდეს ყოფილა დავიწყებული. ამიტომ საქართველოს ხანმოკლე (1917-1921 წლამდე) დემოკრატიული რესპუბლიკა აქ ეროვნულ-სასურველ მოვლენას წარმოადგენდა. მენშეევკოა სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგა მაშინ სათავეში მთავრობას და ის ლენინის პარტიისგან დამოუკიდებლობის პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ უმოწყალო სახლიხოცრის შემდეგ (რომელიც ასევე არ დავიწყნაათ აქ) წითელი არმიის ნაწილებმა საქართველო კვლავ შეუერთეს ბოლშევიკურ რუსეთს და საქართველომ ისევ იწყო უკვე ახალი ძალით ოცნება მომავალში დამოუკიდებლობაზე... ეს იყო რუსეთის თითქმის ყველა ეროვნული „განაპირა მხარისთვის“ არა უნიკალური, არამედ უფრო ტიპიური ამბავი... უკრაინელთა, ესტონელთა, ლიტველთა, სომეხთა, უზბეკთა, ტაჯიკთა გრძნობები მოსკოვისადმი ზემოადწერილი გრძნობებისგან ცოტათი თუ განსხვავდება. ყველაფერი ეს მე, რასაკვირველია, ვიცოდი წიგნებიდან. მაგრამ ახლა ჩვენ აქ ვ ც ხ ო ვ რ ო ბ დ ი თ დ ა ასეთივე გრძნობებით გამსჭვალულნი ვიყავით: აქ საქმეზე არაფერი იყო. ჩვენ, რასაკვირველია, საქართველოსთან ერთად ვიყავით ი ქ, როგორც აქ ამბობენ, „ჩრდილოეთში“, ი მ ა თ წინააღმდეგ. და ჩრდილოეთის მკვიდრთა (როგორც აქ, რატომღაც, ესტრადიდან ხუმრობებშიც კი პოპულარულია), „ნუქჩების“ კომაკური ხასიათის ყოველთვის „ჩრდილოეთისადმი“ ნეგატიური დამოკიდებულების კონტექსტი ახლავს.

მაგრამ „ჩრდილოეთი“ მართავს, ბრძანებულებებს აგზავნის, ისევე, როგორც ჩვენს შემთხვევაში. როცა პარტიის იდეოლობრივმა თავკაცმა ედუარდ შევარდნაძემ მიმიღო — თავაზიანობისთვის, — მაშინვე მივხვდი, რომ ის ყველაფერში მოსკოვს აუბამდა მხარს. თუ მოსკოვმა მოგცათ აქ ყოფნის ნებართვა — ბრძანდობოდეთ, ბატონო. თუ შეცვლიან გადაწყვეტილებას, ის, უდავოა, არ შემოგვთავაზებს თ ა ვ ი ს სტუმართმოყვარულ დამოკიდებულებას. ამიტომ ჩვენ მიგვანიშნებდნენ, რომ პირველ რიგში მოს-

დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 7-8, 1993 წ.

კოვის სურვილისთვის ფეხის აყოლიება იყო საჭირო, და ყველა მიმართებით თვითონაც ამას აკეთებდა. არაფერი ამდაგვარი ჩემთვის პირდაპირ, რასაკვირველია, არ უთქვამთ. მაგრამ მე კარგად ვიცნობ ამ წრეს და პარტიულ მუშაკთა ყველა კონტექსტს. შევარდნაძემ შემახსენა, რომ „საჭიროა მალე შესვლა კოლექტივში და თარგმანზე მუშაობის დაწყება“. ეს იყო ის, რაც ჩემგან მოსკოვში სურდათ.

მაგრამ მე სხვა რამის შეთავაზება ვცადე და პირდაპირ ვთქვი, რომ, რაკი ისტორიკოსი ვარ, ძალიან ვისურვებდი სერიოზულად მომეკიდა ხელი საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით — ქრისტიანობის აღრეული საუკუნეების, აგრეთვე კულტურის ოქროს ხანის, საშუალო საუკუნეების სერიოზულად შესწავლისათვის... შევარდნაძემ აქამდე გულგრილი, განურჩეველი მზერა მომაპყრო. ერთხანს უსიტყვოდ მიყურა, შემდეგ კი გადაჭრით მითხრა: „არ გინდათ თქვენ ეს“.

მისი სიტყვების აზრი ის იყო, რომ მე ვავლენდი ქართული კ ულ ტ ურ ი ს — დამოუკიდებლობისკენ ქვეყნის ლტოლვათა ამ მხურვალე, ცხოველმყოფელი წყაროს შესწავლისკენ საშიშ მისწრაფებას, წყაროსი, სადაც, თუ წამყვანს არა, დიდ როლს მაინც ქრისტიანობა და ეკლესია ასრულებდნენ. მე პირდაპირ სისხლდენად, ღია ჭრილობას შევეხე, შევეხე უტაქტოდ, ბრიყვულად, თითქმის თავხედურად. მაგრამ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ყველაფერი ეს ვერ გავიგე და მან კვლავ დახარა თვალები, და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მსგავსი არაფერი არც თქმულა და რაც ითქვა, ის არც გაუგია ვინმეს. მაგრამ სად იყო მ ი ი ი გული, ვ ი ს თ ან ნ იყო ეს კაცი თავისი გულის სიღრმეში, ეს ჩვენ არ უნდა გაგვეგო. ასეთი რამეები აქ იფარება, როგორც ყველაზე მკცრი საიდუმლოება, იფარება თავისიანთანაც კი. მე მადლობა განვაცხადე მიღებისა და პრაქტიკული დახმარებისთვის და წამოვედი. მაგრამ „თარგმანზე მუშაობის“ დაწყება არ აღმოთქვამს, რისთვისაც მოვიმიზეზე, რომ შინ უნდა ყოფილიყავი და ჩემი ქალიშვილი აღმეზარდა. მთარგმნელთა კოლექტივი, მისი ზედამხედველობითურთ, ოდნავადაც არ მიზიდავდა.

ერთი წლის შემდეგ, როცა ოლგა უკვე რიგიანად ლაპარაკობდა რუსულად და ესმოდა ქართული, ჩვენი მფარველი მინისტრთა საბჭოდან მოხსნეს და დაიწყო ჩვენზე შემოტევა უკვე ნაცნობი იდეით: „დრო, მისგან საბჭოთა მოსწავლე დადგეს“, — გადმოგვცა ცეკას სანდომიანმა თანაშრომელმა ქალმა, ჩვენმა მეზობელმა. ჩვენ უკვე ვიცოდით, რასაც ნიშნავდა ეს! და რაკი ახალი მინისტრი ერთი ყოფილი კომკავშირული ორგანიზატორი იყო, რომელსაც განათლების საკითხებისა არაფერი გაეგებოდა, რჩევისთვის მისთვის არც მიგვიკითხავს. საქართველოში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი თვეების მანძილზე ოლგა იჯდა ქართული სკოლის კლასში, სადაც გაუთავებლად უჭირდა იმისთვის თავლის მიდევნება, რაც ხდებოდა — ეს, ალბათ, ასე იქნებოდა მაშინაც, ნებისმიერ რუსულ კლასში რომ ესწავლა*. მისაღები გამოცდებისათვის შინ მოიზადების თავდაპირველი იდეა, რომელიც ყოფილმა მინისტრმა შემოგვთავაზა, „ზემოთ“ საბოლოოდ უარყვეს.

ჩვენ ეზოდებოდით მხატვრებსა და მოქანდაკეებს, მუსიკოსებსა და თეატრისა და კინოს მსახიობებს, თეატრმცოდნეებსა და კინოკრიტიკოსებს უკვე მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო არტისტული ქვეყანაა. აქ გამოფენები, ფილმები, სპექტაკლები და მუსიკალური მოვლენები ავლენდნენ ოსტატობის უწვეულოდ მაღალ დონეს, ტრადიციათა სილამაზეს, ახალ ძიებათა გაბედულებას. აქ ხელოვ-

---

* საქართველოში არსებობს სკოლები როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე, მაგრამ ინსტიტუტები და უნივერსიტეტი — ქართულ ენაზეა, ქვეყანაში ყველა განათლებული ადამიანი რუსულად ჩინებულად ლაპარაკობს, მაგრამ ქართულ ენას მაინც ყოველთვის უპირატესობა ეძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით ცოცხლობენ და სუნთქავენ. ოლია, რომელიც კარგად მღეროდა, უკრავდა, ლაღად ცეკვავდა, რომელსაც ხატვა შეეძლო, აქ, თავები რომ წყალშია, ისე იყო. დადიოდა გამოფენებზე, ახალ ფილმებს ვნახულობდით. ბალეტი „გედების ტბაც“ კი ერთ ნუ ლი ზეიმი ხდებოდა, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ქართველი ბალერინა ის-ის იყო მოსკოვში, დიდ თეატრში ამ ბალეტში მთავარ როლზე დამტკიცეს. ახლა ის სამშობლოში გასტროლებს ატარებდა და საზოგადოება გაშმაგებით უმართავდა ოვაციებს. ის არცთუ ბევრი სიტყვა, რომლებიც ოლიამ შეისწავლა და რომელთა წარმოთქმაც შეეძლო ქართველთა თავყრილობებზე, მას ყველა გულსა და კარს უხსნიდა. მე სულ ვერ ვლაპარაკობ ქართულად და ეს ჩემი დიდი მინუსი გახლავთ. მე მათ თვალში ვასახიერებდი „უცხოთა გალეხას“. რადგან ჩემს წინაპართა ნახევარზე მეტი ქართველები იყვნენ, აუცილებლად უნდა მცოდნოდა „ჩემი ენა“. მაგრამ ბავშობაში ჩვენ ქართულს არ გვასწავლიდნენ.

ისედაც ალმაცერად მიყურებდნენ. მამაჩემის გამალმერთებლები მიიჩნევდნენ, რომ სტალინის ხსოვნას მეტი გულისყურით უნდა მოვკიდებოდი. ძალიან მიჭირდა სხვადასხვა საუკარო წვეულებებისა და ღონისძიებებისგან თავის არიდება. მაგალითად, ძლივს მოვახერხე, რომ არ დავსწრებოდი თბილისსა და გორში გამართულ 40 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებებს, რომლებზეც დასწრება საგანგებოდ გვთხოვეს. ჩვენ არ წავედით, რათა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში არ მოვხვედრილიყავით.

მეორე მხრივ, საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, 30-იანი წლების მსხვერპლთა ბევრი შთამოთავალია: ბერიამ რეპრესიები აქ მოსკოვში გადასვლამდე გაცილებით ადრე დაიწყო. პარტიულ მუშაკთა, ტექნიკური ინტელიგენციის, მსახიობთა, პოეტთა მთელი თაობა აღიგავა პირისაგან მიწისა. ქართველები საერთოდ არ არიან ორ მილიონზე მეტი. ახლა კი ჩვენ ვხედავდით იმათ თვალებს, ვინც რეპრესირებულთა სისხლი სისხლთაგანი, მათი ხელოვნების მემკვიდრეები იყვნენ. აქ ჯერ კიდევ არსებობდა და პრაქტიკულად ხორციელდებოდა შურისძიება, ისევე, როგორც სიცილიაში – ვენდეტა. ჩვენ ვიცოდით, რომ აქ ეს ფაქტია, და არა „პარანოია“, – როგორც ამერიკელები იტყოდნენ. ეს სიძულვილი ანთებული თვალები განსაკუთრებით ეკლესიაში იყო შესამჩნევი. უფრო ვვიან ჩვენ გავიგეთ, რომ ბევრნი პატრიარქთან მიდიოდნენ იმის მოთხოვნით, რომ მას „არ დავეშვით წირვაზე“. პატრიარქს უხდებოდა აღშფოთებული ადამიანების დამშვიდება, რისთვისაც ახსენებდა, რომ ეკლესია შურისძიებისა და სიძულვილის ალაგი არაა. ჩვენს მიმართ კი დიდი შემწყნარებლობა და სიმპათია გამოავლინა, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვიტყვი.

მე, რასაკვირველია, ჩემი ქალაშვილისთვის უნდა გამეცნო პაპამისის ბავშვობა – და ჩვენ გავემგზავრეთ გორში მუზეუმის სანახავად. ციცქნა, საქათმისხელა ქოხმახმა, სადაც მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახში იყო შეყუჟული, პატარა ამერიკელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. „კი მაგრამ, ისინი კერძებს სად ამზადებდნენ?“ – იკითხა. მე მისი კითხვა ვთარგმნე. „ზაფხულობით ქუჩაში, – მიუგო ექსკურსიამძღოლმა, – ზამთრობით კი აქ, ოთახში, ნავთქურაზე“. აქ ცხოვრობდნენ ბიჭი, ლოთი მამამისი და დედამისი, რომელიც თეთრეულის რეცხვით შოულობდა გროშებს. დედამ თავისი ბიჭი სამრევლო სკოლაში მიიყვანა, სადაც ის სწავლობდა სამ ენას: რუსულს, ქართულს, ებრაულს (ოლიას აჩვენეს მერხი, რომელსაც სოსო უჯდა). შემდეგ სწავლობდა სემინარიაში, რათა მღვდელი გამხდარიყო. თბილისში ენახეთ სემინარიის შენობა, სადაც ის რევოლუციონერი გახდა: მიატოვა სემინარია და საქართველოდან გაემგზავრა. მრავალი წლის, ათწლეულის განძალლობაში არ უნახავს თავისი სამშობლო და დედა, რომელიც მას გროშებით ზრდიდა. შემდეგ, როცა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფის მეთაური გახდა, დედამისი თბილისში, ყოფილი გუბერნატორის სასახლის ერთ-ერთ ოთახში დაბინავეს. დედაბერი მოკვდა იქვე, სადაც ის „დიდებითა“ და ს უ კ ი ს ზედამხედველობით დაცული იყო ყველაფრისგან, რასაც ჩვეული იყო, მაგრამ სიკვდილის დღემდე მანც განუწყვეტლივ დაიარებოდა ეკლესიაში. ოღგამ იცოდა, რომ პაპამისმა ჩერჩილთან და ოუზველტთან ერთად მოიგო ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლა — მას „დიდი სამეულის“ ფოტოსურათი ჰქონდა. მაგრამ მხოლოდ ახლა, აქ, ამ ქოხმახში, რომლის თავზეც ამართული იყო ბორცვი და ციხე-სიმაგრე, ამის იქით კი თეთრი მწვერვალები ქათქათებდა, შეეძლო ცხოვრება სახელმძღვანელოებით კი არა, უშუალოდ დაენახა.

მეზეუში, რომელსაც ჩვენ, როგორც ყველა ალილუევმა, ბევრი საოჯახო ფოტოსურათი გადავეცით, ყოველთვის საევსა ხალხით. ავტობუსებს აქ მოჰყავთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები. ინტერესი ადამიანისადმი, რომელიც აქ, ამ საქათმეში დაიბადა და მსოფლიო კომუნისტური იმპერიალიზმის მეთაური გახდა, მოჩვენებითი არაა. ჩვენ საერთოდ არ ვიღებდით ხმას, არ გვინდოდა კამათებსა და „შეხედულებათა“ გამოთქმებში მონაწილეობის მიღება. ჩანებულად ვიცოდით, — და უკვე შეგვეძლო ამის ყველგან დანახვა, — რომ ცხოვრება წინ წავიდოდა, და არა უკან და, რომ შესაძლოა, ჩვენ მასში ადგილი აქ არ გვქონოდა. მაგრამ ოლიას ეს მხარეები თავისი თვალით უნდა ენახა და მთელ მის შემდგომ ცხოვრებაში ხსომებოდა. მთა უფრო, რომ ძნელია ნახვა ასეთი ლამაზი ადგილისა, სადაც გზატკეცილის ორივე მხარეს აკვავებული ბაღებია გადაჭიმული, შორს თოვლიანი მთაგრეხილი მოჩანს, და ჯულს ცისფერი მჭვირვალი ჰაერი ესალბუნება. ჩვენ ვიცოდთ, რომ აქ, ამ მთებში, ღრმად, ღრმად იყო ჩაკირული ჩვენი ფ ე ხ ვ ე ბ ი. ამის უარყოფა სიცრუე და სიბრიყვე იქნებოდა. პირიქით, ჩვენს მიერ გატარებული ყოველი დღე სულ უფრო და უფრო ვვიძლიერებდა იმის ეჭვგრძნობას, თუ რა ახლობელი იყო ჩვენთვის ეს მიწა.

1985 წლის ივნისში, სსრკ-ში ჩვენი ჩამოსვლიდან რვა თვის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღე წერილი ჩემი უფროსი ქალიშვილის — კატერინასაგან. ვცდილობდი მენახა მოსკოვში მისი ხანმოკლე შეჩერებების დროს, მაგრამ, რატომღაც, არ მაცნობებდა ხალმე, ჩამოსული თუ იყო. წერილი მოვიდა მოგვიანებით, უკვე კამჩატკიდან, ქალაქ კლიუჩიდან, სადაც ის ცხოვრობდა და მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის სადგურში, რომელიც სოპკების, ვულკანებისა და გეიზერების რაიონში მდებარეობდა.

როცა ჯერ ისევ მოსკოვში ვიყავით, ვაზეთებში მოულოდნელად გამოქვეყნდა დიდი მასალა სათაურით „ფანჯრებით ვულკანისკენ“. მასში აღწერილი იყო ყოფა და ღვწა სწორედ ასეთი რადიოსადგურისა, აგრეთვე ადგილი ჰქონდა დათმობილი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს კატერინა იურის ასულ ედანოვას, რომელიც აქ ცხოვრობდ თავის სამი წლის ანიუტასთან ერთად, ვინც „ველზე“ დაჭავდა. სტატიაში პიროვნული ხასიათის სხვა არავითარი ცნობები არ იყო მოწოდებული, მაგრამ საზოგადოება მიხვდა, რომ ეს ჩემი უფროსი ქალიშვილი იყო.

და აი, როგორც იქნა, მომივიდა მისგან ცნობა... დიდად აღელვებული ვხსნიდი პატარა სტანდარტულ საბჭოურ კონვერტს, რომელიც ქალაღდის ერთი პატარა ფურცლის გარდა არაფერს ადმითქვამდა.

მასზე, კარგად ნაცნობი ბავშვური ხელით, ჩემთვის თითქოს სავსებით უცნობი მოწიფული ქალი მწერდა: „არ გვატიო“, არასოდეს „არ გაპატიებ“ და „არ მსურს გაპატიოო“. შემდეგ „პრავდის“ მოწინავეს რომ დამშვენებდა, ისეთი სიტყვებით მადანშაულებდა სახელმწიფოს წინაშე ათასი ჯურის მომაკვდინებელ ცოდვებში. ჩემი ქალიშვილი მოითხოვდა, რომ „ჩვენ არ ვვეცადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტების დამყარება"; იწერებოდა, მე არ მსურს, თქვენ ჩემს „შემოქმედებით ცხოვრებაში" ჩაერიოთო, და მაინც, ერთი სტრიქონი ადამიანურად ყველრა: „ოლგას მოთმინებასა და უდრეკობას ვუსურვებ". მე საერთოდ არაფერს მისურვებდა. სულ ბოლოში კი – რამაც მაიძულა გამცინებოდა – ეწერა ლათინური Dixil, რაც ნიშნავს: „მოსამართლემ თქვა", განაჩენი წარმოთქვა! გამეცინა და ამან რადაცნაირად ასატანი გახადა ეს ყოველმხრივ შემძარწუნებელი წერილი. მაგრამ დიდხანს ვიჯექი ამ წერილით ხელში.

კატერინა, რატომღაც, ჩემს მოყვარულ, ანუ ისეთ ქალიშვილად მესახებოდა, როგორაც მთელი ცხოვრება იყო. ეტყობა, ძალიან გაბრაზებული (ჩემზე რადაც-რადაცები მოჩმახეს მასთან) და ძალიან ნერვებაშლილია. მისი ქმარი ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა უბედური შემთხვევის შედეგად. დარჩა ახალგაზრდა ქვრივი პატარა ბავშვით ხელში. ისე კი შეუპოვარი, დამოუკიდებელი, კარგი მუშაკია და, უცვ, როგორი საქმეა, ამერიკიდან ჩამობრძანდნენ დედამისი და მისი პატარა და – ამერიკელი, რასაკვირველია – მილიონერები, უსაქმურები, შოკოლადში ცურავენ (აქ ჩვენზე ყველას ასე ეუბნებოდნენ!)... ჰოდა, ახლა რა ნებავთ? მე ჩემი ცხოვრება მაქვს, ხელს ნუ მიშლიან. არც ერთი სიტყვა არ მოუწერია ბერძნულ კაბაზე, რომელიც მე ანაუტასთვის გავუგზავნე ბებიამისს, – როგორც შემდეგ გავიგე, აღრესატმა ის ბერძნული კაბა მიიღო. არც ერთი სიტყვა. ჯანდაბას თქვენი თავი, მე ჩემი გზა მაქვსო.

ბევრი წერილი მივწერე მას კამჩატკაში, მის ვულკანსაფეხურში – ძალიან მიყვარულით სავსე წერილები, იმიტომ, რომ ყოველთვის უსაზღვროდ მიყვარდა და ახლაც მიყვარს ჩემი ჭირვეული ქალიშვილი, ასე მიყვარდა და მიყვარს ორივე ჭირვეული გოგონა. მაგრამ მას ამის მეტად პასუხად ერთი სიტყვაც არ მოუწერია.

გონებით მესმოდა, რომ ჩემს შვილებზე აქ პროპაგანდამ „იმუშავა", რომ მათ, უკვე რამდენი წელიწადია, გაუთავებლად უჩიჩინებდნენ საძაგელ ამბებს ჩემს შესახებ. მაგრამ გული მოითხოვდა, რომ უცებ გაეგოთ ყველაფერი და მე და ოლგას ყელზე ჩამოგვკიდებოდნენ. იმან, რომ ეს არც ჩემმა ვაჟიშვილმა გააკეთა და არც ქალიშვილმა, საშინლად ამწყდამწყა. უკვე ადამიანის სულის საფუძველსაც კი ველარ ვიგებდი. მყავდა ძალიან კარგი უფროსი შვილები, ჩვენ უკონფლიქტოდ ვცხოვრობდით, – არადა, კონფლიქტები ბევრი ოჯახისთვის ჩვეულებრივი რამაა, – და სწორედ მათგან იყო დაუჯერებელი ამგვარი ფერისცვალება. თავად არ ვიცი – რატომ, მაგრამ ძალიან მჯეროდა, რომ ჩემი ვაჟიშვილი და ქალიშვილი ყველა ჩემს საქციელს, ჩემს გაქცევას და ამის შემდგომ მთელ ჩემს ცხოვრებას სხვებზე, „გარეშეებზე" გაცილებით უკეთ ჩასწვდებოდნენ. და დღემდე ვერა და ვერ გამიგია, რატომ აღმოჩნდნენ სწორედ ისინი მთელი ცილისწამებისა და პროპაგანდის მსხვერპლნი. რატომ სწორედ მათ არ დარჩათ გულში არაფერი ჩვიდმეტი წლის მანძილზე ჩვენი შეუდარებელი ოჯახური ბედნიერებისა და ურთიერთგაგებისაგან, რითაც მომდევნო წლებშიც ყოველთვის ვამაყობდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი

„ანაქსაგორას ფილოსოფიიდან ატომის ცნებამდე ერთი ნაბიჯია იყო საჭირო, — შენინშავს ვერნერ ჰაიზენბერგი, — და ეს ნაბიჯი გადადგა ფილ ოლაოსი ანუ ლევკიპეს და დემოკრიტეს მიერ". ატომისტები ემპედოკლეს და ანაქსაგორაზე ნაკლებ ოდენ განიცდიან ელატური ფილოსოფიის გავლენას. მათი აზრითაც, საგანთა წარმოშობა და დაღუპვა წმინდა წყლის ილუზიაა. სინამდვილეში კი ყველაფერი მატერიის მარადიული და უცვლელი ელემენტების შეერთებასა თუ გათიშვაზე დაიყვანება. მატერიის ამ ელემენტარული ნაწილაკებს, რომელთა რაოდენობაც უსასრულოა და რომლებიც ერთმანეთისგან ფორმით, წონიერებითა თუ მდებარეობით განირჩევიან, ლევკიპე და დემოკრიტე „ატომებს", ანუ „განუყოფელთ" უწოდებენ. მაგრამ ატომისტები არა მარტო ეთანხმებიან, კიდევაც უპირისპირდებიან ელეელებს, რაკიდა სიმრავლის, მოძრაობისა და ამ უკანასკნელის აუცილებელი პირობის — სიცარიელისა თუ ცარიელი სივრცის არსებობას აღიარებენ. თუ პარმენიდე თავის ერთარსს ვრცეულობას მიაწერს და მას ამსოლუტურ სისავსედ სახავს, ხოლო სიცარიელეს არარსად, არარაობად თვლის, ატომისტების თანახმად, არარსი, გარკვეული აზრით, ისევე არსებობს, როგორც არსი. ამრიგად, არსისა და არარსის პარმენიდესეულ პოლარულობას ატომისტების მოძღვრებაში მატერიის, როგორც „სიმავსის" („ტო პლეონ") და მატერიალური ნაწილაკთა, ანუ ატომთა მოძრაობის აუცილებელი პირობის, „სიცარიელის" („ტო კენონ") პოლარულობა ენაცვლება. მაგრამ აქ უმჯობესია ვერნერ ჰაიზენბერგს მოვუსმინოთ: „ატომის (განუყოფელის) წარმოდგენა იმას ემყარებოდა, რომ მატერია შედგებოდა არა მარტო სისავსის, არამედ სიცარიელისგანაც, კერძოდ, ცარიელი სივრცისგან, რომელშიაც მოძრაობენ ატომები. პარმენიდეს მიერ ლოგიკურად დასაბუთებულ უარყოფას ცარიელი სივრცისას, უარყოფას, რომელის თანახმადაც არარსი შეუძლებელია არსებობდეს, ხელაღებით იცილებდნენ თავიდან ცდის საფუძველზე. თანადროული მეცნიერების თვალსაზრისით, ჩვენ ვიტყოდით, რომ ცარიელი სივრცე დემოკრატეს ატომებს შორის არარაობა რადა; ის გვევლინება გეომეტრიისა და კინემატიკის მტვირთველად და შესაძლებელს ხდის წესრიგსა და ატომთა მოძრაობას. დღევანდელ დღემდე ცარიელი სივრცის შესაძლებლობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ანიშტაინისეული ფარდობითობის ზოგადი თეორია გვიჩვენებს, რომ გეომეტრია და მატერია ორმხრივად განაპირობებენ ერთმანეთს. ამნაირი პასუხი შეეხებამება არაერთ ფილოსოფიურ სისტემაში განვითარებულ შეხედულებას, რომლის არსიც ის გახლავთ, რომ სივრცე მატერიის ვრცეულობით განისაზღვრება. დემოკრატემ იმ მიზნით შეიარაღება წარმოდგენა ცარიელ სივრცეზე, რომ შესაძლებელი მოძრაობისა და ცვალებადობის ახსნა. დემოკრატეს ატომი იგივე სუბსტანციაა, რომელსაც უწინ ერთადერთი თვისება ჰქონდა — „არსებობა". მაგრამ ატომები სხვადასხვა სიდიდისა და ფორმისანი არიან. ამიტომ მათ შეიძლება დაყოფადად ვთვლიდეთ მათემატიკური და არა ფიზიკური აზრით. ატომებს, შეუძლიათ მოძრაობდნენ და სივრცეში გარკვეული მდგომარეობა ეკიროთ. მაგრამ მათ არავითარი სხვა ფიზიკური თვისება არ გააჩნიათ. მათ არც ფერი აქვთ, არც სუნი, არც გემო. მატერიის თვისებებს, რომლებსაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით ალვიქვამთ, ამ შეხედულების თანახმად, სივრცეში ატომების განლაგება და მათი მოძრაობა ქმნის. მსგავსად იმისა, როგორც ტრაგედია და კომედია შეიძლება ანბანის ერთი და იმავე ასოებით დაიწეროს, სამყაროსეულ მოვლენათა მრავალფეროვნებაც ერთი და იმავე ატომების, მათი მოძრაობისა და კონფიგურაციების „შეფერილობით" რეალიზდება. ჰმით აიხსნება ის გარემოება, რომ ატომისტური ფილოსოფიის განვითარებაში სიცარიელით განპირობებულ გეომეტრიას და კინემიკას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე წმინდა არსებობას. როგორც ამბობენ, დემოკრატე ამტკიცებდა, რომ ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, თითქოს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 4, 5, 6, 7-8, 1993 წ.

საგნების ფერი აქვთ; ისიც გვეჩვენება, თითქოს ესა თუ ის საგანი ტკბილია ან წმერე. სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ატომები და სიცარიელე...“

ახლა კი, თანამედროვე ატომური ფიზიკის ერთ-ერთი ბურჯის ამ ფრაცელი ციტატის შემდეგ, ალბათ მივუბრუნდეთ პლატონს და წარმოვიდგინოთ ანტიკური ეპოქის დიდი მოაზროვნე, მატერიის არსსა და რაობაზე დაფიქრებული. მის ხელთაა ერა ერთი და ორი მატერიალისტური მოძღვრება, წარსულისა თუ თანამედროვეობის პირველხარისხოვან მოაზროვნეთა უმდიდრესი მემკვიდრეობა, რომელიც მკაცრი და გამჭრიახი კრიტიკოსის თვალში ბერძნული გენის თავბრუდამსვენი მიღწევებით ტკბობასთან ერთად უშუალოდ იწვევს ეჭვიცხვი ნაკლით თუ ხარვეზით, შინაგანი წინააღმდეგობებთა თუ ურთიერგამომრიცხველი ტენდენციებით აღძრულ უმარისობის განცდას. წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს, რათა შემელებინაგვარად გავადევნოთ თვალი მისი აზრის სავარაუდო ორიენტაციას. ყველა მოძღვრება მხოლოდ თავისებურად უახლოვდება ეუმშორიტებას, უფრო სწორად, თავისი გზით მიიმეცდის მისკენ, წვდომით კი ვერ სწვდება მას. თუნდაც ერთი მთავარი რომ ამოწურაგი სიზუსტით იძლიოდეს პასუხს ძალიან ზუსტ კითხვაზე — რა არის მატერია? — რაღა საჭირო იქნებოდა მაში დანარჩენთა შექმნა? არა, პირველმატერია არც თალესის წყალია და არც ანაქსიმანდრეს აპეირონი, არც ანაქსიმენეს პაერი, ჰერაკლიტეს ცეცხლი თუ ემპედოკლეს ოთხი ელემენტი. სამყაროს პირველსაწყისად ვერ მივიჩნევთ ვერც პარმენიდეს უცვლელსა და მარადიულ არსს, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ყოველგვარ ქმნადობას და ცვლადობას, მაგრამ, თავის მხრივ, ვერც სუბსტანციურობის გამომრიცხველი უწყვეტი ქმნადობა და ცვლადობა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა ამარილებდეს ყოველის საწყისი. რაღა რჩება? მატერიის კორპუსულარული თეორია, რომლის უმაღლეს გამოხატულებადაც ვვევლინება ლევკიპეა და დემოკრიტეს ატომიზმი.

სამყაროს საგანთა და მოვლენათა მთელი სიმრავლე, მათი თვისებების წარმოუდგენელი სიჭრელე და მრავალფეროვნება, ანტიკური ატომისტიკის მიხედვით, რაოდენობრივ თანაფარდობებზე — ცარიელ სივრცეში მორაცე ატომთა კონფიგურაციებისა და სტრუქტურული კომბინაციების მარტივ სქემაზე დაიყვანება, მაშინ როდესაც თვით ატომი ყოველგვარი თვისებრივი განსაზღვრულობისაგან განძარცულია. ატომურ დონეზე ალარ არსებობს არავითარი თვისებრივი სხვადასხვაობა, ამ მხრივ, თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისი თითქმის არაფრით განსხვავდება ატომის ანტიკური წარმოდგენებისგან. პოლ ვალერის სხარტი შენიშვნით, „ატომურ დონეზე არც ცოცხალი არსებებია და არც არაფერი, — წყალბადის ატომმა არ იცის, რომ ის შეადგენს ოკეანეს, ტვინს, ატომოფეროს... პლეუტარქე და გალილეი მოწმობენ, რომ „ატომებს არავითარი თვისებები არ გააჩნიათ“. დემოკრიტეს ყველა ატომი ერთი და იმავე სუბსტანციისაგან შედგება. მათი ძირითადი მახასიათებელთა არსებობა და მოძრაობა, ფორმა, სიდიდე და კონფიგურაცია, თუმცა სამი უკანასკნელი ნიშანი ატომის გამოვლენას უფრო უკავშირდება, ვიდრე მის სუბსტანციურ არსს. ატომების — მთელი მატერიალური სინამდვილის საშენი „პირველადი აგურები“ ესოდენ ამსტრაჰირებულ წარმოდგენას ბერძნული ანალიტიკური აზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ვთვლიდეთ, თუმცა თანამედროვე ფიზიკის თვალსაზრისი, ამ მხრივ, კიდევ უფრო რადიკალური და ამსტრაქტულია. მხოლოდ აქვე უნდა დაზუსტდეს: მას შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ ატომი, დემოკრიტეს წარმოდგენისაგან განსხვავებით, მატერიის უმარტივესი ნაწილაკი კი არ არის, არამედ საკმაოდ რთულ წარმონაქმნად გვევლინება, თანამედროვე მეცნიერება „პირველად აგურებად“ ატომებს კი არა, მათ შემადგენელ ელემენტარულ ნაწილაკებს გულისხმობს.

„დემოკრიტესთვის სრულიად ნათელი იყო, — წერს ვერნერ ჰაიზენბერგი, — რომ თუ ატომები თავიანთი მოძრაობისა და კონფიგურაციების მეშვეობით ხსნიან მატერიის თვისებებს, როგორც მაგალითად, გემოს, ფერს, სუნს, — სამაგიეროდ თვითონ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ეს თვისებები. ამიტომაც იყო, რომ დეკოკრატემ ამ თვისებებისაგან განსაცვავ ატომები, ასე რომ, მისი ატომი მატერიის ნაკმაოდ ამსტრაქტულ ერთეულს წარმოადგენს. დემოკრიტეს ატომს აქვს არსებობისა და მოძრაობის თვისება, აქვს ფორმა და ერეულობა. ამ თვისებების გარეშე ძნელი იქნებოდა ატომზე გველაპარაკა. „ატომის“ ცნება ვერა ხსნის მატერიის გეომეტრიულ ფორმას, ვრცეულობას და არსებობას. ეს თვისებები იგულისხმებებიან და არავითარ სხვა უფრო პირველად რამეზე არ დაიყვანებიან. უნდა ითქვას, რომ ელემენტარული ნაწილაკთა თანამედროვე გაგება ამ საკითხის გადაწყვეტისას უფრო თანმიმდევრულია და რადიკალური. ახე მაგალითად, ჩვენ ძალზე მარტივად და ადვილად ვხმარობთ ხუტკვას „ნეიტრონი“, მაგრამ არ შეგვიძლია ამა თუ იმ გარკვეული სახით წარმოვიდგინოთ იგი, არ შეგვიძლია ვთქვათ, რას ვგულისხმობთ ამ სიტყვაში. ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ბაღოვან წარმოდგენებს და ნეიტრონს განვსაზღვრავთ ხან როგორც ნაწილაკს, ხან როგორც ტალღას თუ ტალღურ პაკეტს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი ამ აღწერილობათაგანი არ არის ზუსტი. როგორც ჩანს, ნეიტრონს არ გააჩნია არც ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, არც სუნი და არც გემო. ამდენად, ის ბერძნული ფილოსოფიის ატომსა ჰგავს. მაგრამ ელემენტარული ნაწილაკები, გარკვეული თვალსაზრისით, მოკლებულნი არიან სხვა თვისებებისაც. გეომეტრიისა და კინემატიკის ისეთი ჩვეულებრივი წარმოდგენები ნაწილაკზე, როგორიცაა ფორმა და სიგრძეში მოძრაობა, შეუძლებელია ელემენტარულ ნაწილაკთა მიმართ გამოვიყენოთ ისე, რომ შინაგან წინააღმდეგობას არ წაგაწყდეთო. თუ სურთ მოგვცენ ელემენტარული ნაწილაკის ზუსტი აღწერა (აქ ჩვენ მახვილს ვსვამთ სიტყვაზე „ზუსტი“), ერთადერთი, რაც შეიძლება ამნაირ აღწერილობად გამოგვადგეს, ეს გახლავთ ალბათობის ფუნქცია. აქედან გამოიქეცი დასკვნა, რომ, საერთოდ, თუკი საქმე „თვისებას“ ეხება, „არსებობის“ თვისება არ შეიძლება შეუზღუდავად მივუსადაგოთ ელემენტარულ ნაწილაკს. ვკამეს მხოლოდ „არსებობის“ ტენდენცია, „არსებობის“ შესაძლებლობა. ამიტომ თანამედროვე ფიზიკის ელემენტარული ნაწილაკები გაცილებით უფრო აბსტრაქტულნი არიან, ვიდრე ბერძნების ატომები და ან სწორედ ამის გამო უფრო სამყაროდ გასაღებს გვთავაზობენ მატერიის ბუნების „ასახვებად“.

მიკროელემენტთა პლატონური კონცეფცია, ამ მხრივ, უფრო ახლო დგას თანამედროვე ფიზიკის თვალსაზრისთან, ვიდრე ანტიკური ატომისტიკის წარმოდგენები. მიზეზი მარტივია: პლატონმა შესძლო უფრო ღრმად ჩაწვდომოდა მიკრონაწილაკთა ინფრასტრუქტურას და ამის შედეგად ჩამოეყალიბებინა ატომის გაცილებით უფრო დახვეწილი, ელეანტური და მკაცრ მათემატიკურ წესრიგზე დაფუძნებული მოდელი, ვიდრე ეს მოახერხეს მისმა წინამორბედმა ატომისტებმა. თანამედროვე მეცნიერება, ფიზიკური დინამიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ზუსტი ექსპერიმენტული კვლევის გზით მიიწევდა ატომის სტრუქტურის შეცნობისაკენ. ანტიკური სამყაროსთვის უცნო იყო ექსპერიმენტული მეთოდიც და ფიზიკური დინამიზმის ბუნებაც („ბერძნებს არ გააჩნდათ ძალის ცნება“, — შენიშნავს ბერტრან რასელი). მათემატიკაზე დაფუძნებული გენიალური ინტუიცია, — აი, ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლითაც ბერძენი მოაზროვნენი წარმართავდნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. „ბერძენი ფილოსოფოსები ფიქრობდნენ სტატიურ, გეომეტრიულ ფორმებზე და წესიერ მრავალწახნაგა სხეულებში პოულობდნენ მათ. ახალი დროის ბუნებისმეცნიერობამ აღმოცენებისთანავე, XVI-XVII საუკუნეებში, ცენტრალურ პრობლემად დასახა მოძრაობის პრობლემა და, მაშასადამ, თავის ფუნდამენტურ პრინციპად შემოიტანა დროის ცნება. ნიუტონის ეპოქიდან მოყოლებული, ფიზიკა უცვლელად იკვლევს არა კონფიგურაციებსა და გეომეტრიულ ფორმებს, არამედ დინამიკურ კანონებს“.

რა თქმა უნდა, თანამედროვე და ანტიკური მეცნიერების გზა ორი სხვადასხვა გზაა, მაგრამ ისინი რიდი უპირისპირდებიან ერთმანეთს: მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ ორივეს დააწლოებით ერთსა და იმავე შედეგამდე მივეკავონ. პლატონის ატომიტური კონცეფცია, სრულიად ახალი, თვისობრივად განსხვავებული ეტალია ანტიკური ატომისტიკის ისტორიაში. როგორც ვიცით, უსახრულოდ მრავალრიცხოვან და სრულიად უწესრიგო ფორმის მქონე ატომთა დემოკრიტეულ კონცეფციას „ტიმეოსის“ ავტორი უპირისპირებს მიკრონაწილაკთა გაცილებით უფრო მწუობრსა და თანმიმდევრულ მათემატიკურ თეორიას, სადაც თვითეულ ფიზიკურ ელემენტს (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) ესა თუ ის მათემატიკური ობიექტი — წესიერ მრავალწახნაგა სხეულთა (ტეტრაედრი, ოქტაედრი, იკოსაედრი, კუბი) ესა თუ ის ტიპი შეესაბამება, ხოლო ამ უკანასკნელთა ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ახრულებს არა მარტო ეკონომიურობის, არამედ ელეანტურობის, სიტატიფისა და დახვეწილობის პრინციპიც, რასაც, უწესრიგს ყოველისა, გეომეტრიული სიმეტრიზმი უფლებს საფუძვლად. დღეს ჩვენ ვიცით, რომ სიმეტრია მკვეთრად ზღუდავს როგორც ბუნებრივ სტრუქტურათა, ისე სხვადასხვა სიტატანთა ქცევის შესაძლო ვარიანტების რიცხვს. მაგრამ ეს უკვე იცოდა პლატონმა და, შეიძლება, სწორედ ესაა ერთი მიზეზი იმისა, რომ „ტიმეოსის“ ატომისტური კონცეფცია გაცილებით უფრო ახლოა მიკრონაწილაკთა თანამედროვე ფიზიკურ სუბრათთან, ვიდრე ანტიკური ან მომდევნო ეპოქათა ატომიზმი. ვერნერ ჰაიზენბერგი შენიშნავს: „დასაწყისში იყო სიმეტრია“ — ნამდვილად უფრო სწორია, ვიდრე დემოკრიტეს თეზისი: — დასაწყისში იყო ნაწილაკი. „ელემენტარული ნაწილაკები სიმეტრიებს განასახიერებენ, ისინი მათ უმარტივეს გამოხატულებებს წარმოადგენენ, მაგრამ, ამასთანავე, — მხოლოდ ამ სიმეტრიების შეღეგსაც“.

დემოკრიტეს ატომები მატერიის უმარტივესი ნაწილაკებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი შემადგენელ ნაწილაკებად აღარ იშლებიან, მაშინ როდესაც პლატონის ატომები მატერიის საკმაოდ რთულ წარმონაქმნებად გვეალინებიან, რომელთა სიმბოლური გამოხატულებაა ოთხი ზემოხსენებული წესიერი მრავალწახნაგა სხეული — ტეტრაედრი, ოქტაედრი, იკოსაედრი და კუბი, ხოლო ამ უკანასკნელთა გეომეტრიული სტრუქტურა, თავის მხრივ, კიდევ უფრო მცირე ელემენტარული, ანუ პირველადი საკმუთხედებისა განსაზღვრული. აბა რომ, გრძნობად სანგანთა ფა, საერთოდ, მთელი მატერიალური სინამდვილის პირველადი საშენი აგურების როლს პლატონის ფილოსოფიაში წესიერი მრავალწახნაგა სხეულები, ანუ ატომები კი არ ახრულებენ, არამედ ამ სხეულთა წახნაგების შემადგენელი პირველადი საკმუთხედები, რომლებიც შეიძ-

ლება თანამედროვე ფიზიკის ელემენტარულ ნაწილაკებს (პროტონი, ნეიტრონი, ელექტრონი) შევადარო. პლატონის პირველადი სამყოფიზედებისა და წესიერი მრავალწახნაგა სხეულების ფიზიკურ ბუნებაზე მსჯელობისას ვერნერ ჰაიზენბერგი შენიშნავს: „პირველად სამყოთხედებს მატერიად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც ვრცელობა არ გააჩნიათ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სამყოთხედები წესიერ სხეულებად ერთიანდებიან, დასაბამს იღებს მატერიის ნაწილაკი. ამიტომაც მატერიის უმცირესი ნაწილაკები პირველადი წარმონაქმნები როდი არიან, როგორც ფიქრობდა დემოკრატე, არამედ მათემატიკური ფორმებად გვევლინებიან. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ფორმას ული მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მატერიას, რომლისადაც შედგება ფორმა, ანდა რომელშიაც ვლინდება მატერია“.

გადამწყვეტ მნიშვნელობას რომ ანიჭებს ფორმალურ ასპექტს, პლატონის ატომისტური მოძღვრება ამ მხრივაც გაცილებით უფრო ახლოს დგას დღევანდელ თვალსაზრისთან: „თანამედროვე ფიზიკური წარმოდგენებისა და პლატონის შეხედულებათა მსგავსება — წერს ვერნერ ჰაიზენბერგი, — კიდევ უფრო ღრმაა. ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც განხილულია პლატონის „ტიმეოსში“, ბოლის და ბოლის, მატერია კი არა, მათემატიკური ფორმები არიან... იმნაირად ცნობილი ერთადერთი მათემატიკური ფორმები გეომეტრიული და სტერეომეტრიული ფორმები იყო, წესიერი მრავალწახნაგა სხეულებისა და სამყოთხედების მსგავსი, რომელთაგანაც შედგება წესიერ სხეულთა ზედაპირი. თანამედროვე კვანტური თეორიის მიხედვით, შეუძლებელია იმაში ეჭვის შეტანა, რომ ელემენტარული ნაწილაკები, საბოლოო ანგარიშით, მათემატიკური ფორმები არიან, მხოლოდ გაცილებით უფრო რთული და აბსტრაქტული ბუნებისანი...“ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰაიზენბერგი ხაზგასმით გამოყოფს კიდევ ერთ არსებით მომენტს, რომელიც ძირეულად განასხვავებს ერთიანეთისაგან დემოკრატესა და პლატონის ატომიზმს, ხოლო მიკრონაწილაკთა სტრუქტურის „ტიმეოსისეულ“ ინტერპრეტაციას თანამედროვე მეცნიერულ წარმოდგენებთან აიგივებს: „დემოკრატეს ფილოსოფიაში ატომები მატერიის მარადიულ და განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან; მათ არ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაიქმნან. თანამედროვე ფიზიკა დემოკრატეს ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის და პლატონისა და პითაგორელების მხარეზე დგება. ელემენტარული ნაწილაკები არ არიან მატერიის მარადიული და განუყოფელი ერთეულები; ფაქტიურად, მათ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაქმნა...“

მაგრამ მეოცე საუკუნის ფიზიკის მეცნიერული მიღწევებისა და პლატონის ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთგვარი სიახლოვე მარტოოდენ ზემოაღნიშნული მომენტებით როდი შემოიფარგლება. როგორც ვიცით, თანამედროვე ატომისტიკის მეცნიერულ მონაპოვართა იდეალისტური ინტერპრეტაციის შედეგად დასავლეთის არა ერთმა და ორმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ თუ მიმართულებამ სწორად ვერ აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და ფიზიკური მეცნიერების უახლესი ორიენტაცია სამყაროს უნივერსალური სუბსტრატის დემატერიალიზაციის მომასწავებელ ცდად მიიჩნია. თუკი მთელი მატერიალური სინამდვილის პირველად საშენ ბაგურებს — თანამედროვე ფიზიკის ელემენტარულ ნაწილაკებს „არსებობის“ თვისებას კი ვერ მივაწერთ, არამედ, უკეთუს შემთხვევაში, მხოლოდ „არსებობის“ ტენდენციას, რას ნიშნავს ეს, გარდა იმისა, რომ მატერიალური სუბსტანციისა თუ სუბსტრატის ცნება ქმიერული აღმოჩნდა და მატერიის ნაცვლად ხელთ შეგვრჩა მხოლოდ მისი ჩრდილი? „მატერია გაქრა“ — ასეთი იყო და ასეთია დღესაც ზემოხსენებულ ფილოსოფიურ მიმართულებათა საერთო დევიზი. ამე მაგალითად, ე. წ. „ნეორეალიზმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ე. ბ. პოლტის მტკიცებით, მცდარია აზრი, თითქოს მატერია ფიზიკური ელემენტებისაგან შედგება: თანამედროვე ფიზიკოსებმა ცალეულ კომპონენტებად დაშალეს ატომი — ენერგიად, მასად, პროტონად, ელექტრონად და ა. შ. ხოლო ეს უკანასკნელნი განტოლებებით გამოხატულ კანონებზე დაიყვანეს; განტოლებები კი სხვა არა არის რა, თუ არა მათემატიკური ფორმები ან ლოგიკური ცნებები.

იდეალისტურ მიმართულებათა საპირისპირად, დიალექტიკური მატერიალიზმი გადაჭრით ილაშქრებს მატერიის, როგორც სამყაროს ერთიანობის სუბსტანციური საფუძვლის ყოველგვარი უარყოფის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ საგანთა არსისა თუ სუბსტანციის ცნება აბსოლუტური კი არ არის, არამედ რელატიური; რომ ის იცვლება და ვითარდება მეცნიერების პროგრესთან ერთად, რომელიც თანდათანობით აღრმავებს საგანთა ბუნების ჩვენეულ ცოდნას; რომ ელემენტარული ნაწილაკი, არსებითად, ისევე ამოუწურავია, როგორც ატომი, და რომ ბუნება უსასრულოა. მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაუსაბამელი ბრძოლა არსებულ სიმწვავეს იძენს მეოცე საუკუნის მეცნიერულ მიღწევათა ინტერპრეტაციის პროცესში. მაგრამ ჩვენ აქ, უწინარეს ყოვლისა, ამ ბრძოლის პრინციპები კი არ გვაინტერესებს, არამედ მხოლოდ იმის ჩვენება, რომ იდეალიზმს, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ყოველთვის ერთი და იგივე პოზიცია ეჭირა და, არსებითად, ერთსა და იმავე მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ თანამედროვე იდეალისტური აზრი ცდილობს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სახარგებლოდ გამოიყენოს ატომური ფიზიკის მიღწევები, ანტიკური იდეალიზმი, შეიძლება უფრო ადვილად და რადიკალურად, სწორედ ანტიკური ატომისტიკის მეცნიერული მონაპოვარზე აფუძნებდა თავის ზოგიერთ თეორიულ დასკვნას. „თანამედროვე მეცნიერებას არაერთგზის აქვსდნენ და ადიდებდნენ იმის გამო, — წერს ამერიკელი სწავლული მორის კლანი, — რომ ბუნების რაციონალური ახსნის შედეგად მან განდევნა სულები, ეშმაკები, ანგელოზები, ღმერთები, მისტიური ძალები და ანიმიზმი. ყოველივე ამას დღეს უნდა დაემატოს შემდეგი: თანდათანობით რომ ამეკვიდა გრძნობადი აღქმით საწვდომ ფიზიკურსა და ინტუიტიურ შინაარსს, მეცნიერებამ, ბოლოს და ბოლოს, განდევნა მატერიაც. ახლა მას საქმე აქვს მხოლოდ სინთეზურ და იდეალურ ცნებებთან, როგორიცაა, მაგალითად, ველები და ელექტრონები, რომელთა შესახებაც ერთადერთი, რაც ცნობილია ჩვენთვის, ეს გახლავთ მათემატიკური კანონები, რომლებიც მათ მართავენ... ბერკლიმ ოდესღაც სამუდამოდ გარდასულო სიდიდეთა ანრდელი უწოდა წარმოებულს. თანამედროვე ფიზიკურ თეორიას ხელი შერჩა მხოლოდ მატერიის ანრდელი". „მატერია გაქრა", — ასეთია თანამედროვე იდეალიზმის აზრი. „მატერია არ არსებობს, არ არის", — ასეთია ანტიკური იდეალიზმის დასკვნა.

ცნახთ, როგორ ვითარდება „ტიმეოსში" მატერიის, როგორც არარსებულისა თუ არარის ფილოსოფიური კონცეფცია. მთელი გრძნობადკონკრეტული სამყარო იდეალური პირველნიშულნის („პარადიგმა") მიხედვით არის შექმნილი, როგორც მისი ხატი თუ ასლი და, ამდენად, არა მარტო ჰგავს თავის დედანს, არამედ კიდეც განსხვავდება მისგან, რადგან, მსგავსება რომ სრული იყოს, მაშინ აღარც დედანი ვვექნებოდა და აღარც ასლი. იდეალური სამყაროს უცვლელობას და იგივეობას უპირისპირდება გრძნობადი სამყაროს ცვალებადობა და თვითგანსხვავება; ერთის მხრივ, ჭეშმარიტი არსებობა („ტო ონ	n ონ"), ხოლო მეორეს მხრივ, მარადღიული ქმნადობა („გენესის"), — აი, მთელი კოსმიური სინამდვილის ამ ორი შრის თუ ორი ფენის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. იდეალური სამყარო ყოველივე არსებულის პირველმიზეზია, რომლის პერსონიფიცირებულ სიმბოლოდაც („ტიმეოსში" დემიურგოსული გონება („ნუს") გვევლინება. ბუნებაში არაფერი არ აიხსნება გონების გარეშე, რადგანაც ყველფერს თავისი იდეა, სრულქმნილებისაკენ სწრაფვის მიზანდასახული ამპულსი და საბოლოო მიზანი აქვს. აქედან — საგანთა და მოვლენათა ეწყობრი წესრიგი, სამყაროს შინაგანი კანონზომიერება, მიზანშეწონილობა, ჰარმონია. მაგრამ სამყაროში, რაციონალური საწყისის გარდა, ჩვენ ვხედავთ ირაციონალურობას, შემოხვევითობას, დისპარმონიას, ქაოსის ძალთა თავაწყვეტილ თარეშს. ამ ნიშნებს საპირისპირო ტენდენციათა ეს თანაარსებობა? სამყაროს წინაალმდეგობრივი ბუნება თავის ახსნასა თუ გამარცლებას თხოულობს.

„ჩვენი თანამედროვე მეცნიერებისა და, საერთოდ, ხალი აზრის თვალსაზრისითაც, სამყაროს გაგება შეუძლებელია მისი შინაგანი კანონზომიერებების გარეშე. მაგრამ ამ ყველფერი რომ კანონზომიერებებზე დაიყვანებოდეს, სამყარო ის კი ალარ იქნება, რაც არის, არამედ მათემატიკურ განტოლებად გადაიქცეოდა. ყოველივე რიცხობრივსა და აზრობრივს, დღეს ეიტაოდით — ბუნებისა და საზოგადოების ყველა კანონს, — ყოველივე ამას, ერთად ალებული, პლატონი განმარტავს როგორც „გონებას". ცხადია, რომ მარტო გონება საკმარისი არ არის სამყაროს ასახსნელად. სამყარო მატერიალურია, გონება კი არამატერიალური. სამყარო შემთხვევითობითაა სავსე, გონება კი მთლიანად რაციონალურია. და ბოლოს, გონება თავისთავად, მისი წმინდა სახით, ყოველგვარი მატერიის გარეშე, მხოლოდ განხორციელების შესაძლებლობაა და არა თვითონ განხორციელება, მისთვის ნიშნეული აუცილებელი კანონებით. ამიტომ პლატონი, რომელმაც შექმნა ყოფილად რაციონალური გონების თეორია, „ამკარად გრძნობს სამყაროული სინამდვილის რაციონალურ მომენტთა აუცილებლობასაც. სწორედ აქ მიადგება ფილოსოფოსი იმ „აუცილებლობას", რომელიც ყოველმხრივ უპირისპირდება რაციონალურ გონებას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადაც პირწმინდად ირაციონალურს, რასაც პლატონის გვიანდელი მიმდევრები მატერიას („ჰილე") უწოდებენ, ამ სიტყვის ჩვენეული კი არა, სხვა სგაგებით".

ამრიგად, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დასაბამიერ საწყისად, დემიურგოსული გონების გარდა, პლატონი ალიარებს მატერიასაც, რომელიც დემიურგოსის ქმნილება კი არ არის, არამედ მთელი მისი ქმნილების უკიდურესი ზღვარი. ამ ორი საწყისის დაპირისპირებულობა პოლარულია. თუ დემიურგოსს ჭეშმარიტი არსებობა მიეწერება, მატერია მისი სრული უარყოფაა, არარსებობა, არარსი. არსებობა და არარსებობა, — ამ ორ პოლუსს შორისაა მოქცეული მთელი სამყარო, რომელიც ერთდროულად წილნაყარია ორივე პირველსაწყისის ბუნებასთან. მატერია, თუ შეიძლება ასე თქვას, ერთგვარი სარკეა, რომლის ხილრმშიაც ირეკლება იდეალური სამყარო, თუმცა არეკვლის შედეგად ლანდები კი არა, ხელი ვაგებინაბინა. პლატონი მას უწოდებს მიმრეკელს („მიპოდოხე") და ძიძას („ტითენე"). მიმრეკელს იმ დენად, რამდენადაც ის თავის უფორმო და უსახო წიალში იღებს (მიიარქვეს) იდეალური სინამდვილის ფორმებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს გრძნობად ფენომენთა სამყაროს; ძიძას იმ დენად, რამდენადაც „ასაზრდოებს" ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნადია და ცოცხალს. როგორც ყოველისმომრქმელი („პანდეზენ"), მატერია ფლობს მხოლოდ იდეალური ფორმათა მიღების უნარს, თავისთავად კი არაფერს არ მატებს მათ. ყველაფერი მის წიაღში რეალიზდება, მასში იბადება, იზრდება, კვდება, თვითონ კი სრულიად ინდიფერენტულია ქმნადობის ამ უსასრულო პროცესის მიმართ. გასაგებია რატომაც: პლატონის აზრით, ეიშმარიტია მხოლოდ ინტელექტგამოლური სინამდვილე, მხოლოდ იდეა; მისი ონტოლოგიური სტატუსი იმდენად მაღალია, რომ არავითარ სხვა არსებობას, არავითარ სხვა ყოფიერებას არ სპეობრეს. მატერიას თავის მხრივ რომ რაიმე შეექმნილიყ ქმნადში, ეს უფიუოდ დაარღვევდა იდეის, როგორც ყოველგვარი არსებობის ეეშმარიტი წყაროს ერთადერთობას. ამიტომ პლატონს მატერია არც ნივთიერია და არც სხეულებრივი, ის კი არაფი, ყოველგვარი თვისობრივი განსაზღვრულობისაგან განძარცულია. იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის არარაა ან არაფერი, ვინაიდან „არაფერსაც" თავისი საკუთარი ბნიშნეულობა, საკუთარი აზრი მოეძებნება და მატერიისთვის რომ მოგვეწერა, გარკვეულ ნიშნს ან თვისებას შეეძენდით მას. თვით ტერმინი „მატერია" პირველმნიდად ნომინალური, ყოველგვარი შინაარსისაგან დაცლილი ცნებაა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი არ შეეხებამება:

„ამგვიდმენთო ყოველისმომრქმელი არასდროს არასდიდებით არ იღებს არავითარ ფორმას, მახლ. შემავალი საგნების ფორმას რომ არა მგავდეს; რადგანაც თავისი ბუნებით იმნაირია, რომ დაუფლებელია იღებს ყოველგვარ ნაკეთეს თუ აღნაგებულს, მარად მოძრავი და ფორმაცვალებადი ყოველივე იმის ზემოქმედების შედეგად. რაც მასში შედის; ამიტომაც ისე ჩანს, თითქოს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შემთხვევაში სხადასხვა იყოს. ხოლო მასში შემავალი და მისგანვე გამომავალი საგნები მარადიულ არსთა ასლებია, მათგან აღებულნი და მათივე ნიშნით აღბეჭდილნი რაღაც ენით უთქმელი და გამოუგნებელი საშუალებით... ამასთანავე, კარგად უნდა გავიაზროთ შემდეგი: რაკიდა აღნაგებელი უთვალავ ფერად მოცემული სიმრავლის სახით ეკლინება ჩვენს მზერას, ამიტომ ის, რაშიაც მელი ეს სიმრავლე აღიბეჭდება, ეერახდიდენთ ვერ შესძლებდა თავისი ნაღნშნეულების შესრულებას, პირწმინდად გაძარცულია რომ არ იყოს ყოველგვარი ფორმისაგან, რომელიც მან საიდანღაც უნდა მიიღოს. მართლაცდა, ის რომ მასში შემავალს ჰგავდეს რასმე, ყოველთვის, როცა მასზე აღიბეჭდებოდა საპირისპირო ან სრულიად განსხვავებული ბუნება, აღნაგებელი დამაბინძეებული გამოვიღოდა. მომრქმელის ბუნებით დაჩრდილული და ამღვრეული. ამიტომ ის, რაც თავის წიაღში უნდა იღებდეს საგანთა ყველა გვარს, თვითონ მთლიანად განძარცული უნდა იყოს ყოველგვარი ფორმისაგან, ისევე რომ ბეგრიც სურნელოვანი ნელსაცხებლის დამზადებისას, უწინარეს ყოველისა, იმაზე ზრუნავენ, რომ სითხეს, რომელშიაც ნელსაცხებელი უნდა გახსნან და გაეაზვონ, თვითონ არ ქმნდეს არავითარი სუნი. ან კიდეე, როცა ამა თუ იმ რბილ ზედაპირზე გეომეტრიული ფიგურების დახაზვა სურთ, არაფიც და არაფა არ დაუშვებენ, რომ ზედ უკვე დახაზული იყოს რაიმე, არამედ ყველაფერს პირწმინდად შლიან და მთელ სიბრტყეს გულმოდგინედ ასუფთავებენ. ზუსტად ასევე, იმისი ბუნებისათვის, რისი დანიშნულებაცაა მთელი თავისი მოცულობით მიიღოს მარადიულ არსთა აღნაგებედნი, სრულიად უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ფორმა. ამიტომ ვერ ვიტყვით, თითქოს ყოველივე დაბადებულის, ყოველივეს ხილულისა და, უფრო ზოგადად, ყოველივე გრძნობადის დედა და მიმრქმელი — ესაა მიწა, ჰაერი, ცეცხლი ან წყალი; არც ის, რაც ამ საწყისთაგან იღება დასაბამს ანდა, პირიქეე, რისგანაც დასაბამს იღებენ თვით ეს საწყისნი. პირიქით, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ესაა რაღაც უხილავი და უფორმო, მოუზელთეველი და ყოველისმომრქმელი, გონებამიუწვდომელი ეზნი რომ მონაწილეობს გონით საწვდომში..."

რას ნიშნავს „ტიმეოსის" ეს ენიგმური სიტყვები — მატერია „გონებამიუწვდომელი ეზნი მონაწილეობს გონით საწვდომში?" საქმე ისაა, რომ „მატერია", პირწმინდად ლოგიკური და არა ონტოლოგიური თვალსაზრისით, უშუალად უკავშირდება პლატონის მეტაფიზიკის ისეთ ფუნდამენტურ ცნებას, როგორიცაა „ხეა" („ეიდეტრონ", „თატერონ"), რომელსაც ამიმწურავი სიზუსტით აყალიბებს ფილოსოფოსი თავის დიალექტიკური ხელოვნების ორ სწორეთაკენ შედეგში — „სოფისტი" და „პარმენიდე". როგორც ვიცით, „სოფისტში" პლატონი გამოწვლილვით აანალიზებს „არსისა" და „არარსის" („არსებობისა" და „არარსებობის") პარმენიდისეული გაგებას და ჩაცირ კრიტიკის საგნად აქცევს, ერთის მხრივ, „არსის" აბსოლუტიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ, „არარსის" აბსოლუტურ უარყოფას. ელეველთა მიხედვით, ეეშმარიტია მხოლოდ მარად უცვლელი და თვითიგივეობრივი ერთარსი, მაშინ რიდისაც ყოველგვარი სიმრავლე „არარსია", ჩვენი გრძნობების ცთომილების ნაყოფი. პლატონისათვის სრულიად მიუღებელია ამნაირი თვალსაზრისი. „სოფისტის" მიხედვით, „არარსი" „არსის" აბსოლუტურ უარყოფას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ „ხეზეა" მასთან მიმართებით. თუკი რაიმე არსებობს, — ამტკიცებს პლატონი, — მაშასადამე, შესაძლებელია არარსებობაც. ეს კი ნიშნავს, რომ არსებობა განსხვავდება არარსებობისაგან, „ხეზეა" მის მიმართ, ხოლო ის, რაც განსხვავდება რაღაცისაგან, თავადაც რაღაც უნდა იყოს, და არ შეიძლება არ იყოს ის, რაც არის, ვინაიდან თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისაგან უმცირესი გადახრაც კი სხვა რამედ აქცევდა მას. მაშასადამე, არსებობა არა მარტო განსხვავდება არარსებობისაგან, არამედ ამავე მიზეზის გამო თავისი თავის მიმართ იგივეობრივიც არის. ახეთია, ძალზე მოკლედ და სქემატურად, მეტაფიზიკური „ერთისა" თუ „ერთარსის" ორი სხვადასხვა ასპექტის — „სხვისა" და „იგივეობრივის" დიალექტიური თანაფარდობა.

„სხვა" („თატერონ") და „მატერია" („ჰილე"), გარკვეული აზრით, კორელატური ცნებებია. ლეიბნიცი სტეფანინი მართებულად შენიშნავს, რომ ერთიცა და მეორეც სიმრავლის, განწილულობის, დიფერენციაციის პრინციპად გვევლინება: პირველი ნოუმენთან, ანუ გონით საწყვდომ იდეალურ არსთა სფერობი, ხოლო მეორე — გრძნობად ფენომენთა სამყაროში. ფრანგი პლატონისტი ე. ბრიშარი, შესაძლოა, რამდენადმე აკარებეს, როცა პირდაპირ სვამს იგივეობის ნიშნებს „სხვასა" და „მატერიას" შორის: „მატერია — ეს არის სხვა" („La Matière c'est l'Autre"), მით უმეტეს, რომ მათ სრულ ურთიერთდამთხვევას პლატონი არსად არ გვიმოწმებს ასე ხაზგასმით. ამ მხრივ, მის აზრს ერთგვარი ესკეზრობისა თუ დაუშთავრებლობის ბეჭედი აზრის; მაგრამ როცა ჩვენი ინტუიცია უნებურად ცდილობს ამ ესკეზის დასრულებას, რატომღაც გვეჩვენება, რომ „მატერიასა" და „სხვას" შორის არა მარტო ფუნქციური შესაბამისობა არსებობს, არამედ ისინი გენეტიკურადაც უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს პლატონის მეტაფიზიკის იდუმალებით მოცულ წიაღში. გიველის ექვსსაფეხელი და სწორედ ეს ესკეზი დაედება საფუძვლად „ინტელიგიბილური მატერიის" პლატონისეულ კონცეფციას.

როგორც თავისებური კორელატი მეტაფიზიკური „სხვისა", ყოველგვარი თვისობრივი, რადიფენობრივი თუ ფორმალური განსაზღვრულობისაგან განძარცული მატერია წმინდა და უწყვეტი ქმნადობის, ცვალებადობის, ქაოტური დინადობისა თუ მობილურობის დასაბამიერ პრინციპად გვევლინება. „ქმნადობა ზომ იმნაირად ხდება, რომ ქმნადი და მოწეენადი მომენტი ითავ ჭამს ქრება, როგორც კი ყოფად მოიქცევა. აღმოცენებება თუ არა რაიმე ქმნადი, მაშინვე აროფიზაში [ბედადის და მის ადგილს რაღაც სხვა ებადება, მაგრამ ეს სხვა დაბადებასაც ვერ ასწრებს, რომ თვითონაც ჭრინარდება, ხოლო მის ნაცვლად რაღაც მესამე გვეევნება და ა. შ. და ა. შ. ამრიგად, წმინდა ქმნადობა —ესაა ამსოლუტური უწყვეტობა, სრულიად განუყრელი დენადობა, რომელშიაც ვერაფერს მოიხელთებ უძრავს: ვერც ერთ წერტილს, ვერავითარ გარჩეულობას თუ განსაზღვრულობას. მაგრამ ეს არც ცარიელი სივრცეა, ვინაიდან სივრცე უკვე რაღაცაა და თანაც რაღაც მუარი, პლატონის მატერია კი უწყვეტი არამყარობაა და უწყვეტი ცვალებადობა... პლატონი თავის მატერიას „ეიდოსთა მიმრქმელ[illegible]მათ „დედას" და „ძიძას" უწოდებს,.. თუმცა იმნაირ განსაზღვრებებს, როგორიცაა „დედა", „მიმრქმელი" ანდა „ძიძა", მითოლოგიური ბუნება აქვთ. რაც შეეხება ხაქმის წმინდა ლოგიკურ მხარეს, პლატონის მიხედვით, მატერია არის მხოლოდ „სხვა" და მეტი არაფერი, ესე იგი, წმინდა „სხვა-ობა".

ერთის შესახებ, პლატონი თავის თავს ეწინააღმდეგება, რადგანაც შეუძლიათ თქვან, რომ სხვაც, ანუ სხვათაგან ერთგვარი განსაზღვრებაა და მატერიისთვის გარკვეული თვისების მიზერა, ყველა ამნაირ შემოხვევაში პლატონს უფლება აქვს ამტკიცოს, რომ მატერია რაღაც განუსაზღვრელია და რომ მისი განსაზღვრა არ შეიძლება. ამით ხელაც ვერ უარვყოფთ პლატონის აზრს, უს უარყოფა იქნებოდა მხოლოდ იმ შემოხვევაში, პლატონის მიხედვით „სხვათა" რომ მტკიცე და მყარი თვისება იყოს. მაგრამ ხაქმეც სწორედ ისაა, რომ პლატონის სხვა-ობა მხოლოდ უწყვეტი და განურჩეველი ქმნადობა გახლავთ. ქმნადობა კი უწყვეტია, როგორც რაღაცის დაბადება და, რაღა თქმა უნდა, როგორც მისი მოსპობაც. ის ახლის მოვლინებაცაა და, იმავდროულად, მისი მოხსნაც. ამიტომ სხვა, რომელზედაც მსჯელობს პლატონი, სრულიადაც არ არის რაიმე პოზიტიური თვისება. ესაა მხოლოდ ამა თუ იმ თვისების შუდმივი შესაძლებლობა, მაგრამ არამც და არამც სინამდვილე. ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა პლატონეური ტერმინი „ტო მე ონ", რომელსაც ის გამხვავებს ტერმინისაგან „ტო უკ ონ". ეს უკანასკნელი მხოლოდ რისიმე არარსებობაა, ამ სიტყვის ახსოლუტური მნიშვნელობით, პირველი კი ისეთი არარსებობა, რომელსაც თან ახლავს არსებობის შესაძლებლობა".

პლატონის ჭკვლევართა და კომენტატორთა თავსმტვრეულ პრობლემად იქცა „ტიმეოსის" ერთი პასაჟი, სადაც „მატერია" „სივრცესა" თუ „ადგილთან" („ხორა") არის გაგიგებული. ანტიკური და თანამედროვეს ევროპული ფილოსოფიის ისტორიაში „სივრცის", ისევე როგორც მისგან განუყრელი „დროის" ცნება იმდენად მნიშვნელოვან როლს ახრულებს, რომ ბევრი ღრმად ერუდირებული პლატონისტი, რომელიც კარგად იცნობს სხვადასხვა ფილოსოფიური თუ მეცნიერული სისტემების ამ ურთულესი კატეგორიის უსახარულოდ მდიდარ შინაარსს, ხელაღებით ან, უფრო სწორად, ერთგვარი ინერციით იწყებს იმის ძიებას, თუ რა ახალი ახპექტით ამდიდრებს პლატონი „სივრცის" ცნებას. ერთმანეთს ეცაცვლება მაგალითაწინაერული მიგნებები და ჰიპოთეზები, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ზემოხსენებული ინერციის გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცეც" არ შეიძლება სხვა რამე იყოს არარსის გარდა. „ადგილი", „სივრცე", „მატერია" ერთმანეთის სინონიმებია, პირველნიდან ნომინალური, შინაარსისაგან დაცლილი ცნებები, რომლებსაც სინამდვილეში არაფერი არ შეესაბამება. მაშ, რა აზრი აქვს კიდევ ერთი ნომინალური ცნების შემოტანას? უნდა გვახსოვდეს, რომ პლატონის „სივრცეც" და „მატერიაც" არსებითად განსხვავდება ამ ტერმინთა დღევანდელი გაგებისაგან. რასაც ჩვენ დღეს „მატერიას" ვუწოდებთ, პლატონისათვის ესაა მხოლოდ ე. წ. „მეორადი", ანუ უკვე ფორმირებული მატერია, მაშინ როდესაც „პირველადი მატერია" სხვა არა არის რა, თუ არა იდეალურ ფორმათა მიმრქმელი პირველსაწყისი, რომელიც სწორედ მათი მირქმის წყალობით დასაბამს აძლევს მატერიალურ სამყაროს. იდეალური სინამდვილე დროისა და სივრცის გარეშე არსებული რეალობაა, მატერიალური კი დროსა და სივრცეში არსებობს. ისევე როგორც „პირველადი მატერია" მხოლოდ მატერიალურ საგანთა არსებობის შესაძლებლობად გვევლინება, პლატონის „სივრცეც" ესაა მხოლოდ მატერიალურ საგანთა ვრცეულობის შესაძლებლობა. როდესაც ჩვენ დროსა და სივრცეს მატერიის არსებობის ძირითად ფორმებად ვთვლით, ამით ვამტკიცებთ, რომ მატერიის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად, არც დრო არსებობს და არც სივრცე; ასევე ფიქრობდა პლატონიც: მატერიის წიაღში იდეალურ ფორმათა რეალიზაციისა და ამ გზით მატერიალური სინამდვილის შექმნამდე არც დრო არსებობდა და არც სივრცე...

მატერიის ონტოლოგიური სტატუსი განაპირობებს მის გნოსეოლოგიურ სტატუსსაც. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნავს, რომ, პლატონის აზრით, მთელი კოსმიური სინამდვილე ორი სხვადასხვა ზრახა თუ ფენისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან, უწინარეს ყოვლისა, რეალობის სხვადასხვა ხარისხით განირჩევიან: ერთის მხრივ, იდეალურ არსთა სამყაროს ეწმარიტი არსებობა („ტო ონ	ოს ონ"), ხოლო მეორეს მხრივ, მატერიალური საგანთა და მოვლენათა გამუდმებული ქმნადობა („გენესის"). პირველი - რაციონალური აზროვნებისა („დიანოია") და ეეშმარიტი ცოდნის („ეპისტემე") საგანია, მეორე კი გრძნობადი აღქმისა („აისთესის") და წარმოდგენისა („დოქსა"). მაგრამ პლატონის მატერია სინამდვილის არც ერთ სფეროს ეკუთვნის და არც მეორეს. მაშასადამე, არც რაციონალური შემეცნების საგანია და არც გრძნობადი აღქმისა, თუმცა თავისი უცვლელობით ის ერთგვაროდ ჰაბოძავეს იდეალურ პირველნიმუშს, რომლისაგანაც, იმავდროულად, განსხვავდება ურიცხვ ფორმათა მირქმის უნარით და ზუსტად ასევე, რამდენადმე მოგვაგონებს გრძნობადკონკრეტულ სამყაროს, რომლისაგანაც განსხვავდება თავისი წარუვალობით. ამიტომ წყდება იმისა, რაც იდეალურ პირველნიმუშსაც მოგვაგონებს და გრძნობად-კონკრეტულ სამყაროსაც, მაგრამ სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე, და სწორედ ამიტომ არც გონით საწვდომია და არც გრძნობადი, — დიახ, წვდომა ამ უცნაური ფენომენისა მხოლოდ ერთგვარი „უკანონოდ შობილი განსჯით" („ლოგისმონ ტინი ნოთონ") თუ შეიძლება, რომელიც ჩვენში სიზმრისა თუ ზმანეების რემინისცენციას იწვევს: „...არსებობს კიდევ ერთი გვარი, სახელდობრ, სივრცე თუ ადგილი, უცრწველი და წარუვალი, ყოველივე დამადებული საუფლისა, თვითონ კი შეგრძნებებისთვის მიუწვდომელი, უკანონოდ შობილი განსჯით საწვდომი და ძლივს სარწმუნო, რომელსაც თითქოს სიზმარშია ეხედავო, რაც ვამტკიცებთ, რომ ყოველივე არსებული აუცილებლად სადღაც უნდა იყოს, რომელიღაც ადგილას თუ რომელიღაც სივრცეში, ხოლო ის, რაც არსად არ არის, არც მიწაზე და არც ცაში, თითქოს არაა არსებობს. აი, ეს დ ამის მოთათუსავე ყველა სხვა ცნება ჩვენ თითქოს ზეგნებაში დანთქმული გადაგვაქვს ივ ბუნებაზეც, რომელიც სიზმარში კი არა, სინამდვილეში არსებობს, ასე რომ, გამოფხიზლებულთ აღარც ეეშმარიტების გარჩევის თავი გვაქვს და აღარც მისი მტკიცებისა; ეეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ ხატი, რომელიც თავის თავში არ შეიცავს თავისივე დამადების მიზეზს, არსებულ ყოველთავის რაღაც სხვის ჩრდილად გვევლინება, — სწორედ ამ სხვა რაღაცაში უნდა დაიბადოს, ასე თუ ისე — არსს დაყრდნობილი, ან, საერთოდ, ეარარა „უნდა იყოს".

უფრო გვიან ალორტინი, „ტიმეოსის" ციტირებულ პასაჟზე დაყრდნობით, მატერიის ამ „სიზმარეულ აღქმას" უსინათლოდ ხედავს და აზრის ტოტალურ უარყოფას შეადარებს: „როგორ წარმოვიდგენთ იმას, რასაც არავითარი ფორმა არ გააჩნია? — ყოველგვარი ფორმის სრული უარყოფით. მატერიას ჩვენ ვუწოდებთ იმას, რაშიაც ეეარ ვპოვებთ ფორმის ნაგამალს. ამიტომ შინაგანად უნდა აღვიქვათ ფორმის სრული უქონლობა, რისთვისაც ყოველგვარი ფორმისგან განდგომა და გამეუენება გვმართებს, თუკი გვსურს ვიზიალოთ მატერია. ხოლო მატერიას გონება ხედავს, მაგრამ ნამდვილი კი არა, თავისი თავისაგან განსხვავებული გონება, რადგანაც იძულებით მიიქცევა იმის ხილვად, რაც არ ეკუთვნის მას. მაშინ ის თვალს მოვაგონებს, რომელიც განუდგება სინათლის, იმ მიზნით, რომ იხილოს ბნელი, მაგრამ ხედავი კი ვერ ხედავს, რადგანაც მიატოვა სინათლე, რომლითაც შეიძლება იხილოს ბნელი. ასე რომ, უსინათლოდ ხედვის უნარი კი არ შესწევს, არამედ მხოლოდ ვერ ხედავისა და, თუ საერთოდ შეიძლება ხედვა ვუწოდოთ ამას, სწორედ ესაა სიბნელის ხედვა..." „რა წარმოდგენა შეიძლება გვქონდეს მასზე? ან რანაირი შთაბეჭდილება? განა ის თვით განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზღვრელობა არ არის? თუ მსგავსი მსგავსით აღიქმება, განუსაზღვრელობა განუსაზღვრელობითვე უნდა აღვიქვათ. დიახაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ განუსაზღვრელობის სრულიად განსაზღვრული ცნება, მაგრამ განუსაზღვრელობა მაინც განუსაზღვრელობის შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე. მატერიის მხოლოდ აზრითა და გონებით თუ შევიმეცნებთ. შეიძლება გამბიი ვიმსჯელოთ მატერიაზე, მაგრამ თუ მოვიხილავთ აზრით მოვიხილოთო იგი, ჩვენ მივიღებთ არა რაიმე გარკვეულ აზრს მატერიის შესახებ, არამედ, უმალ, ყოველგვარი აზრის უარყოფას"...

ყოველივე ეს გახაზებს ხდის პლატონის აზრის თავისებურ განვითარებას. ნაცვლად იმისა, რომ თანმიმდევრული მსჯელობის გზით ჩამოაყალიბოს იმ საწყისის ზუსტი განსაზღვრა, რომელიც პირველად პასუხურ, მაგრამ მაინც ნაზუნველოვან როლს ასრულებს გრძნობადი სამყაროს შექმნაში, — „ტიმეოსის" ავტორი სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენს მატერიას, ამიხდა კვალად, თუ ქმნადობის რომელი ეტაპს ეხება საქმე, რათა თვალნათლივ გვაგრძნობინოს მისი „განუსაზღვრელობა" და, ამრიგად, დაგვარწმუნოს, რომ მის წვდომას მხოლოდ ერთგვარი „უკანონოდ შობილი განსჯით" თუ შესძლებს კაცი. „ადვილია" თუ „სიერცის" კვალდაკვალ, პლატონი „უცილებლობას" („ანანკე") უწოდებს მატერიას. ესაა „ტიმეოსის" კოსმოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. მატერია, როგორც აუცილებლობა ირიულად უპირისპირდება გონებას, როგორც თავისუფლებას; ხოლო გონების თავისუფლება — ესაა მისი აბსოლუტური თვითმყოფობა, თავისთავადობა, დამოუკიდებლობა. თუმცა გონებისა და აუცილებლობის თანაფარდობას, პლატონის მიხედვით, მეორე ახ. პექნიკე აქვს: ერთის მხრივ, ლოგიკურისა და რაციონალურის, ხოლო მეორეს მხრივ, ალოგიკურისა და ირაციონალურის დაპირისპირებულობა, რაც ეხოფენ ზუსტად შეეხებამება გრძნობადი სამყაროს ბუნებას, რომლის შექმნაშიც ერთობლივად მონაწილეობს რაციონალური გონებაც და ირაციონალური აუცილებლობაც.

გონებას, როგორც სუბიექტსა და ობიექტს, ე. ი. დემიურგოსსა და პირველნიმუშს, პლატონი გრძნობადი სინამდვილის ღვთაებრივ მიზეზად თვლის, მაშინ როდესაც მის საპირისპირო მატერიას ღვთაებრივის „თანამიზეზს" („სინაიტია"), „დამხმარე მიზეზს" („აიტია პიპერეტეს") თუ „ცთომილ მიზეზს" („აიტია პლანომენეს") უწოდებს. ღვთაებრივი მიზეზი უშუალოდ კი არა, თავისი პირმშოს — ხამყაროს სულის მეშვეობით ქმნის გამუდმებით ცვლადსა და ქმნად მატერიალურ სინამდვილეს, მაგრამ ქმნადობის აუცილებელი პირობაა მატერია, ანუ სივრცე. თუ სამყაროს მთელ სრულქმნილებას, მშვენიერებას, სიკეთეს, ჰარმონიას, რაციონალურ წესრიგს „ტიმეოსი" ღვთაებრივი მიზეზის ქმედითობის შედეგად სახავს, მატერიალური სინამდვილისათვის ასევე ნიშნეული ირაციონალურნი, შემოხვევითობა და ქაოტურობა დამხმარე, ანუ მეორეულ მიზეზთაგან იღებს დასაბამს, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მექანიკური მიზეზები გვეწოდებინა დღეს. პლატონი ტკეცორად მიჯნავს და განასხვავებს ერთმანეთისგან მიზეზთა ამ ორ გვარს. ქმნადობისა და ცვლებადობის მექანიკურ მიზეზთა ბუნებას რომ ანალიზებს, „ტიმეოსის" ავტორი შენიშნავს:

„ყოველივე ეს მეორეულ მიზეზთა რიგს განეკუთვნება, რომლებსაც ღმერთი იყენებს როგორც საშუალებას, რათა შეძლებისამებრ განახორციელოს სრულქმნილების იდეა. მაგრამ კაცთა უმრავლესობას ჰგონია, თითქოს ისინი მეორეული კი არა, ძირითადი მიზეზებია, რაკიდა გათბობას თუ გაცივებას, გაშეკრებასა თუ გაფშვნებას და სხვა მისთანაი იწვევენ. მაგრამ არც ერთ ამნაირ მიზეზს არაფე და არამე არ გააჩნია არც აზრი და არც გონება. უნდა ითქვას, რომ ყველა არსს შორის მხოლოდ სულისთვისაა ნიშნეული გონების ფლობა. მაგრამ სული უხილავია, მაშინ როდესაც ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი ხილულ სხეულებად დაიბადნენ. ახე რომ, გონებისა და ცოდნის მოყვარეს მართებს, უწინარეს ყოვლისა, განიხილოს გონივრული ბუნების მიზეზები და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს მიზეზებზე, რომელთა ქმედითობასაც სხვა მიზეზები განსაზღვრავენ და რომლებიც, თავის მხრივ, სხვებს ანიჭებენ ქმედითობას, რასაც აუცილებლობა განაპირობებს. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ და, რაკი მიზეზთა ორ გვარზე გვიწევს მსჯელობა, ერთმანეთისაგან გავაცალკევოთ, ერთის მხრივ, ის მიზეზები, რომელთა გონივრული ქმედითობაზე შედეგადაც გვევნინება სიკეთე და მშვენიერება, ხოლო მეორეს მხრივ, გონიერებას მოკლებული მიზეზები, რომელთა უთავბოლო ქმედითობაც დასაბამს აძლევს ყოველგვარ შემოხვევითობას თუ „უწესრიგობას". „კანონებში" პლატონი გადაკრით იღაშქრებს მათ წინააღმდეგ, ვისაც ყველაფერი ირაციონალურ აუცილებლობასა თუ დამხმარე მიზეზთა ქმედითობაზე დაჰკიდეს და უგულებელყოფდეს რაციონალურისა საწყისის არხებობას სამყაროში („მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი აუცილებლობის ძალით ხდება და არა გონივრული ნებით, რომელიც სიკეთის განხორციელებას ისახავს მიზნად").

გაგრძელება შემდეგ ნომერში

---

12. „ცისკარი", № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲝᲒᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲜᲚᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲜᲚᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ — ᲐᲛ ᲛᲠᲩᲐᲕᲘ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲠᲝᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲚᲕᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲑᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ, ᲐᲯᲐᲓᲘᲛᲝᲧᲝ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲯᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲡᲐᲨᲘ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲝ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲜᲐ ᲯᲐᲠᲑᲔᲚᲘᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ „ᲡᲐᲠᲗᲝᲤᲝᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲛᲔᲡ“ 1925 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲨᲔᲛᲓᲒᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲛᲘᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲚᲕᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲣᲧᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲰᲥᲚᲘᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲠᲓᲔᲚᲘᲡ, ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐᲛ ᲞᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ. ᲒᲐᲜᲘᲐᲣᲧᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲰᲥᲚᲘᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲑᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ („ᲚᲘᲜᲓᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲢᲘ“, 1917-1924“) ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲢᲔᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ („ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘ“).

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲮᲡᲕᲔᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ.

ᲐᲯ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲘᲕᲘ, ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ „ᲛᲚᲘᲡᲤ“ ᲞᲐᲠᲢ. ᲐᲠᲩᲘᲕᲘ, ᲓᲐ ᲒᲠ. ᲭᲣᲙᲘᲡ „ᲡᲣᲙᲘᲡ“ ᲐᲠᲩᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲖᲔᲑᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲡᲐᲕᲔᲜ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲜᲔ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲗᲐᲛᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘᲡᲐ

„ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲓᲣᲚᲝᲠᲘ, ᲠᲐᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲡᲐᲓᲔᲑᲘᲡ“.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲣᲙᲐᲡᲘᲐᲡ ᲛᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲗ

არარდინალური და ალტერნატიული ხასიათის დოკუმენტები გამოვაქვეყნეთ საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივში დაცული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის, და საქართველოს კომპარტიის მასალების სახით. ეს არის უნივერსიტეტის პარტფაქრეული, უნივერსიტეტთან არსებული მუშფაკის და უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს, გაერთიანებული ბიუროს და კრების 1922-1937 წლების ოქმები, ავტოგრეკი. საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის მ. კახიანის მოხსენება ხკკ (ბ) ორგბიუროს სხდომაზე, რომელიც სპეციალურად მოისმინა საქართველოს კომპარტიის მუშობის კომპლექსური საკითხი და მათ შორის უნივერსიტეტის ძველი პროფესურისადმი (კერძოდ ი. ჯავახიშვილისადმი) დამოკიდებულების საკითხები. სულის არქივის მასალებში ეკრამდა საქართველოს და, კერძოდ, უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის შემცველი უნიკალური ისტორიული წყაროები, რომელთა ალოდქტურობა დასტურდება სხვა, მათ შორის ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით. ეხებინ 20-30-იანი წლების პოლიტიკური რეჟიმის მიერ პიპერტროფირებული „ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური, დივერსიული, მავნებლური", „საქართველოს ნაციონალური", „ქართველ მემარჯვენეთა", ანტიკომუნისტური პოლიტიკური პარტიების, ქართველ „ფაშისტთა" და სხვა „ორგანიზაციების" წარმომადგენელთა სამეგბრო მოკვლეთის, ციებისა და დამუშავების მასალები, სასამართლოებისა და საგანგებო ჯგუფების გაანჩეხები, მოწმეთა ჩვენებები, სულის ავადნიფორმატორთა დასმენები, დამატებითი ციების მასალები, სახელმწიფო უშიშროების საკავშირო საინფორმაციო ცენტრისთვის გაგზავნილი ადგილობრივი ორგანოს მუშაკთა შეკითხვები და მათი პასუხები. ამ საარქივო მასალებში აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობისადმი მიწოდებული რეპრესირებულ პატიმართა და მათი ოჯახის წევრების პირადი განცხადებები და შეწყალების წერილები. ჯერეკ 50-იან წლებში ოფიციალური ცნობებით „უდანაშაულოდ" რეპრესირებულთა სარეაბილიტაციო პოლიტიკური ფარის გამამაშვნის დროს მიზნობრივად „დაკითხულ" მოწმეთა ჩვენებები და უდანაშაულო-დანაშაულთა სარეაბილიტაციო დასკვნები. მათ შორის მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს რეპრესირებულ მოძღვართ-მოძღვართა და სტუდენტთა. აგრეთვე ამავე კონტინგენტიდან რეპრესიებს შემოხვევით გადარჩენილთა მიერ მოწმეებად „გაკეთნის" დროს მიცემული ჩვენებები.

საინტერესო ცნობებს შეიცავს უნივერსიტეტულ რეპრესირებულთა გულწრფელი აღიარებები და პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით დაწერილი ავტობიოგრაფიები თუ მიზნობრივად ჩამოყალიბებული ტრაქტატები. მოპოვებულ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს რეპრესირებულთა ხაქმეების დართული დამატებითი ინფორმაციები, რომლებიც შეეხება შინსახკომის „გამომძიებლებულ" იმ მუშაკებს, რომლებიც ხალხის მტრებად გამოაცხადეს და რომელთა დაკითხვის მასალებშიც ჩარადდ არის წარმოდგენილი ადრე რეპრესირებულ უნივერსიტეტელთა ქმედების ცნობები.

ეს არის უზარმაზარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია, რომელიც დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდში (1990 წ. სექტემბრიდან 1991 წ. აპრილამდე) დაძაბული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობითაა გამოვენილი. ისინი, ზემოხსენებულ პუბლიკაციებსა და ისტორიულ წყაროებთან ერთად, ქმნის თემის ძირითად სამეცნიერო ბალანვრს, საშუალას გვაძლევს ღრმად გავიაზროთ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები, საქართველოს საერთო სიტუაცია და სხვის ცხოვრებაში „ხელის ფაფუტრის" გარეშე წარმოვაჩინოთ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20-30-იანი წლების სახელოვანი და ძნიმე პოლიტიკური ცხოვრება.

1938 წლის მაისში დაბეჭდილ ივანე ჯავახიშვილის წერილში „თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთვისთვის" ვკითხულობთ:

„დროა უნივერსიტეტის დაარსებისა და თანდათანაშრომის ყველა გარემოება გულდასმით აღნუსხული და შესწავლილი იყოს.

გახურებული სასწრაფო მუშაობის პროცესში ჩაბმული პირეის ჩვეულებრივ არც დღეურობისა და არც მოგონება-მემუარების წერისათვის არ სცალიათ ხოლმე. ოფიციალურ საბუთებსა და ქაღალდებში კი მხოლოდ ზოგიერთ მოვლენათა უმთავრესად უფლებრივ-ფორმალური გარეგანი მხარეა ხოლმე აღბეჭდილი, შინაგანი მხარე კი, ამ მოვლენათა გამომწვევი და ამამოძრავებელი სულისკვეთება, დედააზრი, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი, იქ ხშირად ან სრულებით არა ჩანს ანდა მისი მხოლოდ ოდნავი ანარეკლი მოიპოვება ხოლმე.

სანამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, იმედია, უნივერსიტეტი ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ თავის დაარსებისა და წარსული ისტორიისათვის ყველა, როგორც წერილობით, ისე ზეპირს და ნივთიერ წყაროებს თავს მოუყრის და დაიცავს".

ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. ჯორბენაძე წერს: „სამწუხაროდ, მაინც უნდა ვთქვათ, ბევრი რამ წაიშალა საზოგადოდ მეხსიერებიდან იმ პირთა ისე წასვლის გამო, რომ ყველაფრის აღნუსხვა ვერ მოხერხდა".

მართლაც, უნივერსიტეტის ნამდვილი და სრულყოფილი ისტორიიდან ბევრი რამ წაიშალა, ბევრიც განადგურდა და დაიფერფლა უფუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული ანალიზით ხსნიდა და აშიშვლებდა რუსეთის იმპერიულ-კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში. „1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი", აღნიშნავდა იგი. ი. ჯავახიშვილმა რუსი ფეოდალ-ტირანული პოლიტიკის უშფოთო შედეგად წარმოაჩინა „პოლიტიკური და სოციალური მოძძრობა XIX საუკუნის საქართველოში". რუსეთის პირველი რევოლუციონერიდ-ნეული შრომაში იგი აქტიურად აყენებს ქართული პატრიოტიზმის განმტკიცებისა და მარქსიზმის უტოპიური და ალეიტური იდეების მოსახლეობის ერთ ნაწილში წარყვნილი ქრისტიანული რწმენის რეანიმაციის საკითხს.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში მისი ღვაწლი განსაკუთრებით დიდი იყო. „ი. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კურსის კითხვის პროცესში ავლენდა თავს როგორც ნაციონალ. ისტორი იდეოლოგიის და ეროვნული ალორძნენის იდეების მატარებელი. მისი ლექციები აღმოსავლეთმცოდნეობისა და სხვა ფაკულტატის ქართველ სტუდენტობაში ნერგავდა და აყალიბებდა ეროვნულ შეხედულებებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან პოპიერი ნიადაგი პპოვა ნაციონალისტური იდეოლოგიის კულტივირებისათვის". პ. მელიქიშვილის სიტყვით, „იგი ბრძანდება ერთადერთი რაინდი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა". თანამედროვენი აღნიშნავდნენ: „რევოლუციის შემდეგ ი. ჯავახიშვილი გამოსულვადა აზრს ყოველმხრივ დაეჭირთ მხარი მენშევიკური ხელისუფლებისათვის". იგი მთლიანად რიდი იზარებდა მენშევიკების შეხედულებებსა და პოლიტიკას, მაგრამ არსებული რეალობაში მათი ხელ ეროვნულ ხელისუფლებს, და ამდენად საქართველოს მომავალი ალორძინების გარანტიას ხედავდა. ი. ჯავახიშვილმა შეიმუშავა საქართველოს ეროვნული განვითარების პროგრამა, რომელიც ბნიშვნელოვნად იყო ასოციირებული ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკასთან; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იგი უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლებთან და ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ფ. გოგიჩაიშვილთან, ზ. ავალიშვილთან და სხვ. ერთად უშუალოდ მონაწილეობდა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური საკითხების დამუშავებაში. პროფ. ი. ჯავახიშვილი შედიოდა პარიზის საზაო კონფერენციაზე წარსაგზავნ საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში. როგორც ჩანს, მან აქტიური მონაწილობა მიიღო საქართველოს მთავრობის მოხსენების „ისტორიული ცნობისა" და „საქართველოს საზღვრების" დანართის მომზადებაში. დიდ ივანეს ღრმად სწამდა ეროვნული ხელისუფლების პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის ბრძოლის მაკსიმალური გაშლის შესაძლებლობა, რაც ბისაბი მის იმდროინდელ შრომებში. ეს იყო მენშევიკურ მთავრობასთან მისი აქტიური თანამშრომლობის მთავარი მიზეზი.

ი. ჯავახიშვილი იყო უნივერსიტეტის დებუტეება-ეწყობდის და ორგანიზაციული პრინციპების მთავარი შემოქმედი, სათანადო პროექტების შეიდგენი. მისი ხელით შემქნილ ამ დოკუმენტაციაში ჩაედაული აზრი სახელმწიფოებრივი საშინაო პოლიტიკური კურსის ტალღას შთაბეჭდილებას ახდენს. ი. ჯავახიშვილი თავიდან მათ სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წარდგენას და ეროვნულ ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე საკითხის უნივერსიტეტის და სახელმწიფოს სასარგებლოდ მოგვარების საქმესაც ოვითონ უბიძგებდა საბოლოო თანხმობის მისაღწევად. ეროვნული ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე აყენებდა უნივერსიტეტისათვის აუცილებელი კადრების მოსამზადება-მოამზადების და ფინანსურ-მატერიალურ საშუალებათა, წიგნადი ფონდის, შენობა-ნაგებობების და დამზმარე მეურნეობების გამოყოფის საკითხებს. მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება განსაზღვრავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მიმართულებას, ივანე ჯავახიშვილი წყვეტდა უნივერსიტეტისათვის საჭირო ეროვნულად მოაზროვნე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვევის, უნივერსიტეტში საპროფესორად მოსამზადებლად კომპეტენტური და პატრიოტული კადრების შერჩევის და მათი საუკეთესო წარმომადგენლების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით საზღვარგარეთის ცნობილ სამეცნიერო-პედაგოგიურ ცენტრებში გაგზავნის საკითხებს, იგი თავგადადებით ზრუნავდა როგორც უნივერსიტეტში საპროფესორად დასაბოლოვდელ კადრებზე, ისე თანამშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ი. ჯავახიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ეროვნულ ინტერესთა პრინციპული ერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთგაგების, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებების და უაღრესად მაღალი პირადი ავტორიტეტის წყალობით აღწევდა საუნივერსიტეტო ინტერესების დ საერთო ეროვნული საკითხების საკუთარი უშედულებით მოგვარებას. ი. ჯავახიშვილს, როგორც დიდ მამულიშვილს, მეცნიერს, პედაგოგს და ორგანიზატორს, ეცნობდნენ და აფასებდნენ არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში, არამედ, აგრეთვე, ეროვნული ხელისუფლებაში. დოკუმენტებს შორის ვხვდებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწი განათლების მინისტრის ბრძანება უნივერსიტეტის რექტორის ი. ჯავახიშვილის განათლების სამინისტროსთან არსებული „ხასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" (10. 11. 192, 1920 წ.). მას უკიდურესი საჭიროების დროს საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკების მიმართვიდნენ საკონსულტაციოდ. ი. ჯავახიშვილი, როგორც პოლიტიკური პიროვნება, განსაკუთრებით წარმონიდა ეროვნული ხელისუფლების შემდგომი წლების საუნივერსიტეტო მოღვაწეობაში.

პეტრე ვალერიანოვიჩი ახალგაზრდობის წლებში მონაწილეობდა ქართული ეროვნული იდეებით ნასაზრდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის დამაარსებელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლეგიის ჰქტიური წევრი, ფრანგული ენის პროფესორი მეცოდნე ელისა ბეჟ ორბელიანი. იგი ეროვნული ხელისუფლების წლებში (1919-1920) რედაქტორობდა ფრანგულ ენაზე გამომავალ გაზეთებს „თავისუფალი საქართველო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“.

ე. ორბელიანი იდეურ-პოლიტიკური აზროვნებით შეიდრეოდ იყო დაკავშირებული ქართველი ინტელიგენციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორიცნა იუენენ: აკ. წერეთელი, ვ.ივა-ფშაველი, გ. გაბაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, შ. დადიანი, ნ. ნაკაიძე..

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის დამაარსებლები როდი იფარგლებოდნენ მხოლოდ სამეცნიერო მუშაობით. მათთვის უცხო იყო წვრილბურჟუაზიული თუ ბურჟუაზიული ინტელიგენტობის „უხერხემლოს“ და „აკადემიზმის ჭაობი“. თითოეული მათგანს ცხოვრებისეული პრაქტიკუს, პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკულ-პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ისინი ქართული ეროვნული მოძრაობის მყარ ნიადაგზე იდგნენ და ჰქტიურად მოღვაწეობდნენ არა მარტო უნივერსიტეტის დაარსებაში, არამედ ეროვნულ ხელისუფალებშიც.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება ვერ მოხერხდა მეფისა და დროებითი მთავრობის ხელისუფლების პერიოდში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც „ჩვენს უნივერსიტეტს არ მიუღია იქოდან ამ საგნის შესახებ რაიმე ცნობა, — წერდა ი. ჯავახიშვილი, — როდესაც ამის შემდგომ ამიერკავკასიის კომისარიატი დაარსდა, ჩვენი უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ამიერკავკასიის კომისარიატში იყო წარდგენილი, რომელიც 1917 წ. 2 დეკემბერს დამტკიცებული იქნა“. მაშასადამე არასწორია უნივერსიტეტის დაარსების დაკავშირება ოქტომბრის რევოლუციასთან. იგი უკავშირდება საქართველოს მიერ რუსეთის იმპერიულ-კოლონიურ მდგომარეობიდან თავის დაღწევას, რევოლუციის შემდგომ რუსეთში დაწუებულ უთანხმოებებს, საქართველოში მისი შოვინისტური პოლიტიკის ლოკვიდაციას და დინამიურად გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ შექმნილ კეთილსასურველ სიტუაციას.

უნივერსიტეტის გახსნის მიზნობრივი დამთხვევა დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან მისი მომავალი მიზნების სიმბოლური გამოხატულება იყო. ქართული მართლმადიდებლური ტრადიციების, თანაბმად, უნივერსიტეტი აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირონ II. ი. ჯავახიშვილის რეკომენდაციითა და „სცენარით“ უნივერსიტეტი გახსნა ნაციონალ-თავლის ეროვნული საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა. ყველფერი ეს ხაზს უსვამს უნივერსიტეტის დაარსებისადმი საერთო ეროვნულ მისწრაფებას.

ეროვნულ ხელისუფლებას, როგორც ცნობილია, საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება უხდებოდა ულარსად რთულ პირობებში, ბოლშევიზმის მიერ წაქცეზული ეთნოკონფლიქტები და ცხოვრების სოციალური სინანულებით ნასაზრდოები კოლახორი ბრძოლა, დენიკინის, თურქეთის, საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის მუდმივი საფრთხე, მისი თანმხლები ხალხდარი შეტაკებები, ეროვნული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ავადის სირთულეები, საერთო ეკონომიკური კრიზისის უამრავი პრაქტიკული გამოვლინება და სხვ. ხელისუფლებამ ეროვნულ ხელისუფლებას, რომ უნივერსიტეტის დაარსება-მუშაობისადმი სისტემატიური ქმედითი დახმარება გაეწია, მაგრამ ეს რიდი ნიშნავს, რომ მეუნივერსიტეტო ხელისუფლება არავითარ დახმარებას არ უწევდა თბილისის უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზაციულ ღონისძიებათა ხორცშესხმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობისა და ეროვნული ხელისუფლების ფორმირების ნიადაგზე. თავისთავად მრავალსმომქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ საზოგადოების სახელით უნივერსიტეტის გახსნა დაეკისრა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, ცნობილ „სოციალ-მენშევიკს“ აკ. ჩხენკელს, ხოლო დღის წესრიგის ხელმძღვანელობა და სტუმრების მიღება — უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების ჰქტიურ წევრს, ი. ჯავახიშვილის თანამებრძოლს, ილია ჭავჭავაძის დიჩწუდს, ცნობილ ეროვნულ მოღვაწეს და შემდგში რუსული სოციალიზმის კოლონიური რეფიმის წინააღმდეგ თვალდადებულ მებრძოლს კოტე აფაზაზს.

უნივერსიტეტის დამაარსებელთა და თანმდგომთა სოციალური მდგომარეობა, მათი პოლიტიკური მრწამსი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსით იყო ნასაზრდოები და დიამეტრალურად უპირისპირდებოდა რუსული სოციალიზმის იდეას. უნივერსიტეტის დამაარსებლები და მათი თანამდგომნი სოციალურად და პოლიტიკურად იმ ფენებისა და პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, რომლისთვისაც მიუღებელი იყო რუსული სოციალიზმი, პროლეტარიატის დიქტატურა და მისთვის აუცილებელი ატრიუტიკა (ალიზში, წარობის საშუალებებზე „საზოგადოებრივი“ — კომუნისტურ-სახელმწიფოებრივი“ საკუთრება, მსოფლიო სოციალიზმის დუუოფნებელი განხორციელების იდეა და სხვ.), მითუმეტეს — მისი განხორციელების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲜᲗᲘᲡ საქართველოს მიერ მოპოვებული საუკუნეობრივი მისწრაფების, ეროვნული დამოუკიდებლობის აუცილებელი ინულირება.

დამაარსებლებმა უნივერსიტეტს უზნეოს მიზნად დაუსახეს „ერისა და სამშობლოს ალორძინება". კონკრეტულ ამოცანებში ისახა ი. ჯავახიშვილისა და, საერთოდ, უნივერსიტეტის დამაარსებლების აზროვნების მასშტაბურობა, სახელმწიფოებრივი მიზნები და ერის წინაშე პასუხისმგებლობა.

ი. ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტს მიზნად უსახავდა ჩვენი მახლობელი და შორეული ერების ენების, მწერლობის და ისტორიის შესწავლას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკასიის მაამადიანი ერების ენებისა და ზეპირსიტყვიერების, აგრეთვე, ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ შესწავლას. ამასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი წერდა, რომ „კავკასიელ მთიულთა (ასეა დოკუმენტში — გ. ც.) მოელი მომავალი და კონიერსული გათვალისწინებული ეროვნული პოლიტიკა გვავალებს, რომ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ჩვენ ქართველებმა, ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა უნივერსიტეტმა იესრის. მხლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათვლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი. წარსულში ჩვენ ყველა კავკასიელთა დამზადებელი და შემაკავშირებელნი ვიყავით,. ახლაც თუმცა ჩვენ პოლიტიკურად უძლურნი ვართ, მაგრამ კავკასიაში მაინც ერთადერთი ერი ვართ, რომელმაც ახე თუ ისე თავის შინაურ ენიერებრნ დაცვაც შეძლო და თავის მეზობლების შერიგება და წესიერებისა და თანხმობის დამყარება". ე. ი., ი. ჯავახიშვილი უნივერსიტეტს მიზნად უსახავს ეტიერთოს მეზობელ ერთა შორის მეზიერო დაახლოების ქართულ-ეროვნული სახელმწიფოს ერთგვარი ფუნქცია. ეს იყო მეზობელი ხალხებთან დამოკიდებულების პროგრამა, რომელიც დაიცვა ეროვნულმა ხელისუფლებამ, უფულებელჰყო სპეციალ ხელისუფლებამ და რომელსაც დღესაც კი დაუკარგავს ეროვნული სულისკეეთება და მნიშვნელობა.

უნივერსიტეტის ამოცანები და მიზნები, „ხაზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების" გარდა, თვალისწინებდა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის შესწავლას, საქართველოს მდიდარი წიალისეულისა და რესურსების გამოვლინებას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მასზე დაფუძნებული კვების პროდუქტების ტექნოლოგიის განვითარებას.

ᲘᲐ ჯავახშვილის ოფის ჩამოყალიბებული იდეები ქმნიდნენ ერთიან მწყობრ სისტემას. ეს იყო ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ინტერესების უნივერსიტეტის მაგალითზე განვითარებული მეცნიერული პროგრამა, რომელიც ასოციერებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომ სახელმწიფოებრივ ფორმიდან პოლიტიკასთან.

1917 წელს შედგენილ ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი აფიქსირებს, რომ „ქართული უნივერსიტეტი თბილისში უმაღლესი სამეცნიერო სამოსწავლო ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ ეგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა საკმეტი თვითვე განაგებს".

1918 წლის 19 ივნისის „თსუ ძირითადი დებულებანი", რომელიც შედგენილია ი. ჯავახიშვილის მიერ, უნივერსიტეტის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან (გასახდელწყობიერობასთან) დაკავშირებით, გარკვეული აუცილებელი მომენტებია დფფიქირებული. „ᲐᲮ ნათქვამია, რომ: 1. „თბილისის უნივერსიტეტი მთავრობის უნივერსიტეტია. ეგი უმაღლესი სამეცნიერო სამოსწავლო დაწესებულებაა, სამეცნიერო სამოსწავლო სფეროშიც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობასა და შინაურ მეურნეობის მხრივ სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითონვე განაგებს".

2. „უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათვლის მინისტრის უფლებას შეადგენს".

3. „კონებრივი სახსრებს უნივერსიტეტს მთავრობა აძლევს..."

უნივერსიტეტის ორგანიზაციული აგებულების ძირითადი პრინციპებსა და წესდების დებულებათა მიმართ ოფიციალური ხელისუფლების თანმხვედრ პოზიციას გამოხატავს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათვლის მინისტრის განმარტება პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობის თაობაზე თბილისის ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ". მხედველობაშია მისაღები, რომ უცნობი ხელით დაწერილი დოკუმენტის შავი პირის დიდი ნაწილი, „დამატებები და შესწორებები შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის ხელით", დოკუმენტში ნათქვამია: „...ჩვენი უნივერსიტეტის წესდებაში მთავრობის ორგანოებს, სახალხო განათვლის მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორს, საზოგადო მეთვალყურეობა და კონტროლი აქვს მიკუთვნილი. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კი სამეცნიერო-სამოსწავლო და შინაურ მართვა-გამგეობის სფეროში დამოუკიდებელია: ამას გარდა უნივერსიტეტი მოვალეა ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად წარმოადგინოს მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. მაშასადამე, ამ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება. ასეთი წესი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მართლაც უფრო შეეფერება. ამ გზით სამეცნიერო და სა-

მოსწავლო სფეროში და შინაურ მართვა-გამგეობაში უნივერსიტეტს ავტონომია ექნება, ხარკთალრიცხვისა და ანგარიშების მხრივ, აგრეთვე საზოგადო მეთვალყურეობის მხრივ კი ჩვენს მთავრობას სრული საშუალება ექნება უნივერსიტეტის ორგანოების მოქმედების კანონიერებას თვალი ადევნოს. თავისუფალ უნივერსიტეტების მსგავსი სრული დამოუკიდებლობა იმიტომ არა აქვს ჩვენს უნივერსიტეტს, რომ მას სახელმწიფო შეინახავს და ამის გამო მთავრობას საზოგადო კონტროლი აუცილებელია".

ამასთანავე, პროფესორს აუცილებლად მოძღვართმოძღვრის, ანუ დოკტორის სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონოდა.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული აგებულება, მისი დებულება და წესდება ბულისხმიებდნენ, აგრეთვე, საუნივერსიტეტო ცხოვრების იმდაგვარ აგებას, რომელი დროსაც „პროფესორთა საბჭო ამბეკეცებდა ფაკულტეტის დეკანებს და მდივნებს". „რექტორი და მდივანი საბჭოსი ამის შესახებ მბოლოდ ატყობინებენ სახალხო განათლების სამინისტროს".

ი. ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის დამაარსებელთის სოლიდარობას ეროვნული ხელისუფლებისადმი და მათ სახელმწიფოებრივ აზროვნებას კარგად ამჟღავნებს 1918 წლის 19 ივნისის „თბილისის უნივერსიტეტის გამგეობის მოხსენება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრისადმი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაყვანის, უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების და 1918-1919 წწ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ", რომელშიც ნათქვამია:

„რაკი ამჟამად საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა და შეიქმნა, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ ეს დებულებანი საქართველოს მთავრობას წარედგინოს დასამტკიცებლად. ამასთანავე უნივერსიტეტის საბჭო ფიქრობს, რომ თუ აქამდის ქართული უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა რიდლესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად იქცა, თავისთავად იმადება აზრი, რომ იგიც ამიერიდან შეიძლება ტფილისის მთავრობის უნივერსიტეტად იქცეს...

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კარგად გრძნობს, რა მძიმე ტვირთი და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი მუშაობა არგუნა მას ბედმა საქართველოს ამ ალორძინების ხანაში, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და ქართველ ერისადმი ღრმა სიყვარული, რომლითაც ფეთვეული უნივერსიტეტის წევრი გამსჭვალულია, ამ ბოვალოების პირნათლად აბარულებას შეაძლებინებს. უნივერსიტეტის საბჭოს სრული იმედი აქვს, რომ საქართველოს მთავრობაც თავის დახმარებით მას ამ ბოვალოების აღსრულებას გაუადვილებს". დოკუმენტს ხელს აწერენ ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის წევრები; რექტორი, დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ი. ჯავახიშვილი, მდივანი, პროფ. ი. ყიფშიძე; ტექნიკი დაწერილია ი. ჯავახიშვილის ხელით.

ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელმა ა. ჩხენკელმა უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალზე გამოთქვა მზადყოფნა, როგორც კი შესაძლებლობა გამონჩდებოდა, სახელმწიფოს მზრუნველობაში აიყვანა ეროვნული უნივერსიტეტი. ამ საკითხში აზრთა ერთიანობა არსებობდა ეროვნულ ხელისუფლებასა და ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის; ივანე ჯავახიშვილმა, ახლა საეკლესიური წერილით რომ მიმართა ხელისუფლებას, ამით დაიკენა არა მარტო უნივერსიტეტის სახელმწიფოს მეურვეობაში აყვანის აუცილებლობა, არამედ, ამასთანავე, უნივერსიტეტის ეროვნული ფუნქციის შემდგომი გაფართოებისა-გაძლიერების მიზნით, ეროვნულ ხელისუფლებას დაუსახა გზები, სათანადო სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა შესაშუშავებლად.

უნივერსიტეტის სტრუქტურული აგებულებისა და გაფართოებისათვის ზრუნვისას, უნივერსიტეტის დამაარსებლები გამოდიოდნენ არა მხოლოდ თავიანთი პირადშოს კერძო, აკადემიური, არამედ უპირატესად ეროვნა და რეალური ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებიდან. ამავე დოკუმენტში ნათქვამია: „რაკი საქართველოს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ერთად შენახვას ვერ შეძლებს... ამიტომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო (ხაზგასმა ჩემი — გ. ც.) ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო და ჩვენთვის საკირო უმაღლესი ტექნიკური ცოდნის შეძენა და გავრცელება უნივერსიტეტთან შესაფერის ინსტიტუტების შექმნით შეიძლება..."

იგივე აზრია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის განმარტებაში გატარებული „პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობის თაობაზე თბილისის ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ" (27. VII. 1918). ეს და რიგი სხვა მაგალითები მიუთითებენ, რომ დიდი მეცნიერისა და მამულშვილის აზრს ეროვნული ხელისუფლების წლებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და ეროვნული ხელისუფლების სოლიდარობის და ურთიერთგაგების საფუძველნი შესაძლებელი ხდებოდა საუნივერსიტეტო მშენებლობის წარმატებით განვითარება და სახელმწიფოებრივ-საუნივერსიტეტო სუბორდინაციის გამარტივება, პიროკრატიული ბარიერების გვერდის ავლა. ასე მაგალითად, 1919 წლის 8 ივლისს რუს-

პუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრს წერილით მიმართავს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი (ი. ჯავახიშვილი) და თხოვს „სამინისტროს განკარგულებაში არსებული ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ქიმიური ლაბორატორიის უნივერსიტეტისადმი გადმოცემას". 26 აგვისტოს ი. ჯავახიშვილი წერილით მიმართავს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს უნივერსიტეტისათვის „ქიმიური ლაბორატორიის მოსაწყობად სამხედრო საოფიცარო მაღაზიის გადაცემის შესახებ" და „სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების წიგნთსაცავიდან უნივერსიტეტისათვის ზოგიერთი წიგნების დამთმის შესახებ". 1920 წლის 25 აგვისტოს წერილით უკვე უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი მიმართავს თბილისის ქალაქის მოურავს „წყნეთის ტრამვაის ხაზის გაგრძელების შესახებ" და სხვ.

თბილისის უნივერსიტეტის დაშარსებელთა და ეროვნული ხელისუფლების ნაყოფიერ თანამშრომლობას საქართველოში უმაღლესი სკოლის ორგანიზაცია-გაფაართოების საქმეში, ქართველი ინტელიგენციის მხრიდან აქტიურ ხელის შეწყობას, საქართველოს პატრიოტთა ფინანსურ დახმარებას და მხარდაჭერას უაღრესად დიდი, დადებითი შედეგები მოჰყვა.

1920 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტში უფაქციონირებდა:

1. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელშედაც ცალკე დარგად იყო გამოყოფილი ხელოვნების თეორია და ისტორია. ფაკულტეტთან არსებობდა ფოტოგრაფიული კაბინეტი, რომელიც ი. ჯავახიშვილის აზრით, იყო „ჩვენი, უნივერსიტეტის საუკეთესო საჭაულთაგანი", და ხელოვნებათა მეცნიერების კაბინეტი, რომელთანაც ორგანიზებული იყო პატარა სასწავლო მუზეუმი და წიგნთსაცავი;

2. სამთომეტყველო-სახეზეგანმეტყველო ფაკულტეტი. 1920 წ. გაზაფხულის სემესტრამდე ფაკულტეტს მხოლოდ ორი განყოფილება ჰქონდა, ხოლო გაზაფხლის სემესტრში უნივერსიტეტის საბჭომ სამთამადიო-საბუნებისმეტყველოს მესამე — სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაც ამოუყენა გვერდში.

ფაკულტეტთან მოქმედებდა ქიმიის კათედრა ორგანული, რაოდენობითი და ანალიზიმიერი ქიმიის ლაბორატორიებით, ფიზიკის კათედრა და ლაბორატორიები, კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის კათედრა და კაბინეტი, ბოტანიკის კათედრა და კაბინეტი, ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კათედრა და კაბინეტი, დენდროლოგიისა და მეტყევეობის კათედრა და კაბინეტი;

3. სამეურნეო ფაკულტეტი, ნორმალური ანაგრძობის კათედრა და ხაბიტოლოგიი ინსტიტუტი, ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა და ლაბორატორიები, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა, ფარმაკოლოგიისა და ბოტანიკოლოგიისა და ლაბორატორიები, ბაქტერიოლოგიის კათედრა და ლაბორატორიები, ფიზიკოლოგიის კათედრა და ლაბორატორიები, ფიზიკოლოგიის კათედრა და ლაბორატორიები, ბაქტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათანობით მის თანამოაზრედ ხდება. ვერავითარი ფულით ამისთანა რამე ვერ შეიქმნებოდა, თუ არა ქართველ მეცნიერთა სამშობლოსა და მეცნიერების უანგარო ძლიერი სიყვარულით. ამ სამი წლის განმავლობაში სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადს შემადგენლობას ითმიდნა სორგანიზაციო მუშაობა ჰქონდა, რომ მარტო ამ აღმშენებლობითი მოღვაწეობითაც რომ დაკმაყოფილებულიყო, ვერავინ საყვედურს ვერ ეტყოდა, მაგრამ ასე დტკივრთულმაც წმინდა სამეცნიერო მუშაობაც შესძლო და არა ერთი გამოკვლევა დაამზადა. ეს გარემოება ჩვენი უნივერსიტეტის მომავალი საყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო თვმდებად უნდა ჩაითვალოს. მოვალეობად ვრაცხ მხოლოდ განვაცხადო, რომ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობაცა და სტუდენტებაც დიდს ქონებრივს გაკირვებაში არიან. გთვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ პროფესორთა უმრავლესობამ რუსეთში ან დაკარგა, ან იძულებული იყო ჩალის ფასად გაეყიდა საქართველოში წამოსვლისას მთელი თავისი ქონება და ამის გამო მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო, რომ მათ ლუმპაურისათვის აქეთ-იქით ხშირად ამაო სიბრძილი არ უხდებოდეთ და დამშვიდებით შეძლონ თავიანთი დიდი და პასუხსაგები საქმის გაძღო�d. ის თანაგრძნობა, რომელსაც ჩვენი მთავრობა და უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება უნივერსიტეტისადმი იჩენენ, უფლებას გვაძლევენ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს უკანასკნელი საკითხიც მოწესრიგდება".

ამის გარანტიას ქმნიდა საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრების, საქართველოს მთავრობის და ქართველი ხალხის დფასება, უსაზღვრო სიყვარული და მზრუნველობა ეროვნული უნივერსიტეტის მიმართ. უნივერსიტეტის დაარსების სამი წლისთავზე დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური მილოცვა გაუგზავნა უნივერსიტეტს, რის პასუხადაც ი. ჯავახიშვილი მადლიერებით წერდა: „ეს მილოცვა მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ უნივერსიტეტის გახსნის დროსაც ჩვენმა ნორჩმა სამეცნიერო ტაძარმა სწორედ თქვენგანვე მოისმინა პირველი გამამხნევებელი სიტყვა. პროფესორთა კოლეგიუმი და სტუდენტობა თავის ძალღონეს არ დაზოგავენ საყვარელი ერისა და სამშობლოს აღორძინებისათვის".

ასე, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების „ეშშარტად საყოველთაო გაკირვებისა და მუდმივი საგარეო საფრთხით გამოწვეული განსაცდელის ვითარებაში ე. წ. „მეწუგეიეების უდღეური ბატონობის წლებში", ხელისუფლებისაგან ვითომ „ყოველგვარი დახმარების გარეშე" და „ხელის შეშლის" პირობებში უნივერსიტეტის დამაარსებლებმა შეძლეს თავიანთი პირველშობის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრება.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო ხაბეიშვილი:
რეალურად აღვიქვათ სამყარო!

— ბატონო სოლიკო. რაკი ჩვენი საუბარი საქართველოსთვის ამ მძიმე დღეებს — აფხაზეთის ტრაგედიას, ათასობით ქართველი ლტოლვილის გაჩენას დაემთხვა, იქნება, საუბარი ამით დაგვიწყო, თუ ამ კონფლიქტის სათავეები მართლაც წარსულ წლებში უნდა ვეძიოთ, თქვენ ხომ მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყავით. ამდენად, მით უფრო ცხადი, ალბათ, თქვენთვის ყოველივე. საინტერესოა დღევანდელი პროცესების თქვენეული ანალიზი.

— ისე მოხდა, რომ საქართველოს ისტორიულად ჩრდილოეთისა თუ აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთან განუწყვეტელი ომები ჰქონდა. ქართული-აფხაზური სისხლიანი ომი კი არაფეროს ყოფილა. ჩვენი ურთიერთობა ასე თუ ისე მშვიდობიანად, ცივილიზებული დამოკიდებულებით, ურთიერთგაგებით გვარდებოდა. ის, რაც ახლა მოხდა, არავითარ ტრადიციაში არ დევს. ეს ახლებური მოვლენა, პროცესი გახლავთ. თვალი გავადევნოთ ბოლო საუკუნეებს და დავინახავთ, მდგომარეობის ასეთი გამწვავების სათავე საქართველოს რუსეთთან დაახლოებას მოსდევს. რუსეთთან კავშირმა დაღი დასვა ჩვენს ურთიერთობას: ქართულ-აფხაზურ დამოკიდებულებაში გაჩნდა მესამე ძალა. დაიწყო პოლიტიკური თამაში. გააქტიურდნენ გარკვეული ძალები. ნელ-ნელა მწიფდებოდა შედეგი.

თავის დროზე, მუჰაჯირობის პერიოდში ქართველებმა გადაარჩინეს აფხაზეთი სრულ განადგურებას. ურთიერთობა თითქოს გამოსწორდა. შემდგომ და შემდგომ, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, უარყოფითი როლი ითამაშეს ცალკეულმა პიროვნებებმა. საქართველოდან აფხაზეთის მოწყვეტების, გამოყოფის იდეა დიდი ხანია მწიფდებოდა. მისი ასე ამოტეტრევება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესმა დაიჭერა.

ხშირად გაისმის, იდრე უნდა მოგვექცია ყურადღებაო. ძალა გვეხმარა? ძალის ხმარება შეუძლია მას, ვისაც იგი რეალურად გააჩნია. და თუ არა აქვს, მისი პოზიციიდან ვერავის დაემუქრება — თუ საერთოდ აქვს გამართლება ძალის ხმარებას ასეთ სათუთ საკითხში. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნდა ეს ძალა. სოციალისტური სისტემის ხანაში ბატარა ნაწილი ვიყავით. და მაინც, დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას ვახერხებდით ხოლმე. ახლა სიტუაცია შეიცვალა. და მაინც, ძნელია მშვიდობიანი გზით შეიძლება ამ კონფლიქტის მოგვარება, ე. ი. ომით და არა მუშტით. ამაში თვითონ არძინბაც გვეხმარება: მისმა სატელევიზიო გამოსვლამ შესანიშნავად გამომჟღავნა, რომ ამ კაცთან ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია. ეს კარგად დაინახეს პროკურესულად მოაზროვნე ძალებმა არა მარტო ჩვენში, — რუსეთშიც. ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სხვა არაფერია, თუ არა კონფლიქტი დემოკრატიულ და ტოტალიტარულ ძალებს შორის აფხაზეთის მიწაზე, აფხაზეთის ჩათრევით.

ეაფე ეეხდება ფარდა ყოველივეს. ის, არც ისაა დასაეწყებელი, რომ ჩვენც შევეწყვეთ ხელი ამ კონფლიქტს, როცა მოუფიქრებელი სიტყვებით და მოქმედებით წყალს ვასხამდით მტრის წისქვილზე.

— **ბატონო სოლიკო, თქვენი აზრით, რამდენად საფუძველმოკლებულია ზმები: გაიყიდა გაგრა, გაყიდულია სოხუმი... პოლიტიკისთვის მსგავსი ფაქტები განა უცხოა?**

— გულახდილად გეტყვით: გაიჩნია, როგორ შეეხედავთ! არ არსებობს ადამიანი, ერთ სიტუაციაში ჯკვარი იყოს, მეორეში — სულელი. ჯკვარი კაცი ყველგან ჯკვარია. ის, რაც გაგრაში და სხვაგან მოხდა, უპირველეს ყოვლისა, იყო მპოლიტდელობის, არაორგანიზებულობის და, ზოგჯერ, უჭკუობის ბრალი. აბა, გავიხსენოთ თითოეული მათგანი, ვინც იქ, ადგილზე ხელმძღვანელობდა ბრძოლებს. როგორ ფიქრობდა, მათ შეცდომები არ ჰქონდათ?! რაც შეეძელით, ისიც ჩვენი ბიეების თავდადების, გმირობის წყალობით, ქართული ხასიათიდან, ბუნებიდან, დაუმორჩილებელი სულიდან გამომდინარე. ბუნებრივია, მარტო ეს თავისთავად არაფერია, თუ არ არის სერიოზული სტრატეგია. არ გვყავდა გამოცდილი მხედართმთავრები, როცა კაცი იმ საქმეს კიდებს ხელს, რაც არ ძალუძს, ესეც ღალატია.

— **გადაეარეგბული არ იქნება, ალბათ, თუ ვიტყვით, რომ ხალხში ერთ-ერთი ყველაზე საქმელი სასაუბრო თემა პარლამენტის ხსდომები და დეპუტატებია. ამის შესახებ რას იტყოდით?**

— იშვიათად ვუყურებ სესიების ტრანსლაციას, დრო არ მყოფნის. ვერ ვიტყვი, ცუდი პარლამენტი გვყავდეს. ბევრია მასში გონიერი, მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ნაკლებად აქტიურობენ, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლას ხშირ შემთხვევაში მართლაც ვერ განვიხილავთ, როგორც ქვეყნის რეალური ინტერესებიდან გამომდინარეს. ასე მგონია, ისინი თვითონაც ხვდებიან ამას, მაგრამ უფრო „ნერვებ-

ზე თამაშობენ", — რაღაც სტრატეგიული თვალსაზრისით, ალბათ. ჩვენი პარლამენტი თითქმის ზუსტად გამოხატავს ჩვენს რეალობას. დღეს ხელახლა, რომ აირჩიოს საქართველოს პარლამენტი, შეიძლება უკეთესი იყოს, თუმცა, დეპუტატების დიდი ნაწილი, ალბათ, იგივე დარჩება.

— ომი თავისთავად, მაგრამ ჭეშმარიტად გაჭირვებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, თქვენი აზრით, ქართული მაფიის ხელიც ხომ არ ურევია?

— რა თქმა უნდა, ქართულ მაფიაზე უარყოფითი აზრის გახლავართ. მაგრამ ნუ დაგვეკიწყდება ისიც, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა იწყებოდა დაახლოებით ასე. ეს პროცესი ყოველმა მთავარმა გაიარა, გავიხსენოთ 30-იანი წლები...

ჩვენი უბედურება და ტრაგედია იმაშია, რომ დღეს საქართველო ძალიან ღარიბია. იმის გამო, რომ ქარხნები დგას. პროდუქცია არ იქმნება. ღარიბ ქვეყანაში გაუმაძღარი მაფია ბევრად უფრო საზიზღარია, ვიდრე მდიდარ სახელმწიფოში. იქ იმდენად არ იგრძნობა მისი მოქმედება, როგორც ჩვენთან. არა ვარ იმის მომხრე, მაფიას ეებრძოლოთ ეკონომიკური კანონების მიღებლობით. თუ გვექნება ძლიერი დამონსტრაციული ორგანიზება, ღღუსერული ძლიერი კანონებით, მაფია ვერ გაიკვლევს გზას. და მაინც, უნდა დაჭარხდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ეხლა შეიქმნას დოცალთი, უნდა შეძლებული გახდეს ქართული ბიზნესმენი, მშრომელი კაცი. ეს ყველაფერი ათასჯერ ითქვა, მაგრამ ახლა ჩვენ გაგვეთვალა ვვიჩრის და არა მოქმელი... მაფია ჩვენთან სწორედ იმიტომ ჩანს ძლიერი, რომ სუსტია ის, რაც მას უნდა ებრძოდეს, ხშირ შემთხვევაში კი მათ შორის კავშირია, ეს გახლავთ ტრაგედია.

— თქვენ ახლა ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით, მისი დანიშნულებისა და საქმიანობის შესახებ რას იტყოდით?

— ფონდის საქმიანობა მრავალფეროვანია. იგი ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოების სხვადასხვა დარგების საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლას, რასაკვირველია, არც პოლიტიკას აუკლის გვერდს. განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიც ერთაშორის ურთიერთობაა. ხელს უწყობს ახალი კადრების, სპეციალისტების მომზადებას. ბევრი ახალგაზრდა გავგზავნეთ უცხოეთში სასწავლებლად. ცხადია, ყველას ვერ გავწვდით და ამიტომ აქ მენეჯერთა სკოლის ბაზაზე შეექმენით ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი რამდენიმე სპეციალობით, რაც დამახასიათებელია ჩვენი ეკონომიკისათვის. ამჟამად ქართულ-გერმანულ ინსტიტუტს ვაყალიბებთ, რომელიც მომზადებს სპეციალისტებს მენეჯმენტში, ბიზნესში და სხვა დარგებში. მათ საერთაშორისო დიპლომები ექნებათ და შეძლებენ იმუშაონ ნებისმიერ ქვეყანაში. სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საზღვარგარეთის ფირმებში.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ გვაწუხებს, საქართველოში სწორი, მართებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა. ძველი იდეოლოგია დაანგრიეთ. საბედნიეროდ, ახალი არ შეექმენით. იდეოლოგიის სამსახური მიშვებულია, თვითდინებით მიდის და მასში ყველა შარლატანი აფთარუობს ხელს.

გვინდა შეექმნათ გაზეთი, ჟურნალი „Georgia" ინგლისურ ენაზე, რომელიც დაისტამბება ევნაში; გამომცემლობა, ტელეარხი. გარკვეული თანხა გადაეურიცხეთ საბაჟეო სახლებს. შეძლებისდაგვარად ვეხმარობთ ხელმოკლე ოჯახებს. ვეხმარებით ქართველ მებრძოლებს. ისინი ნამდვილი, საშობლოსათვის თავდადებული ბიჭები არიან და მათ მხარში უნდა ამოვუდგეთ, განსაკუთრებით — ვინც დაიჭრა, მათ ოჯახებს, ვინც დაიღუპა.

ფართო ურთიერთობა გვაქვს საზღვარგარეთთან. ქართველი სახლი ჩამოყალიბდა გერმანიაში. უცხოელებთან ერთად ვაშენებთ სამრეწველო საწარმოებს. ამოღებული თანხა ისევ და ისევ ხალხს მოხმარდება. ჩვენ თავის დროზე საშუალიდობო ინიციატივაც გამოვიჩინეთ, სოხუმის დაცემამდე ვიყავით გაგრაში, გუდაუთაში...

— გაგრაში მისი აღების შემდეგ იყავით?

— დიახ, ხუთი დღე ვიყავით გაგრაში, ორი დღე — გუდაუთაში. სხვათა შორის, კარგად შეგვეხვეწნენ. მაშინ არძინბა მოსკოვში იყო. ეს ის პერიოდია, მისი სიკვდილის შესახებ საკმაოდ გახმაურებული ჭორი რომ დადიოდა. სხვათა შორის, გუდაუთის დაკუფუფაშიც წუხდნენ არძინბას მეტისმეტი პოპულარიზაციის გამო, რატომ შეექმენით მისგან ასეთი ფეგურაო, გვეკითხებოდნენ. მან, ვინც თავის დროზე არძინბა ჩამოიყვანა, შესანიშნავად იცოდა მისი პიროვნება. მე ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს. მათთან ერთად ვფიქრობთ შეექმნათ აფხაზეთის ოქმ. შემდეგში მოწყობის, მისი აღდგენის ფონდი. ომმა მილიარდობით ზარალი მიაყენა ამ კუთხეს. რა გაკვრეებაც უნდა იყოს, მის დაბრუნებასა და აღორძინებაზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ დამარცხებული მხარე ვართ. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ფაქტი — ფაქტია. და ჩვენც ეს უნდა გავითვალისწინოთ. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ დავთმოთ დაუთმობელი, ჩვენ დღეს გონიერი, ფორსგაჭიერტილი ნაბიჯები უნდა გადადგამ. დღეს ჩვენ ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ სახელმწიფოს მეთაურს, — მე ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწამს.

— **ბატონო ნოლიკო, თქვენ არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე ხართ, არამედ შემოქმედიც ბრძანდებით. ფურნალ „ცისკრის“ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ თემაზე თქვენთან საუბარი. ბოლოდროინდელი მოვლენები თუ გაძლევთ შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას?**

— იზოლაციაში ყოფნისას მართლაც დაეწერე ლექსები და ერთ პატარა წიგნად გამოვეცი „იდეა. მაშინ მომეცა საშუალება რაღაცნაირად გამეანალიზებინა წარსული. ადამიანი, დაძაბული ცხოვრებისას შეუძლებელია რაიმეს შექმნა. შემოქმედება თავისთავად არის უაქტიურესი ცხოვრება. მწერალი საწერ მაგიდასთან, ალბათ, ითვრ მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მეშახტე — მაღაროში. გეოლოგი ვარ სპეციალობით და ვიცი ეს. არ შეიძლება ერთდროულად მისდევდე საზოგადო მოღაწეობას. და სერიოზულ შემოქმედებას.

— **თუ გრჩებით დრო თვალუური ადევნოთ ახალგაზრდობის ლიტერატურულ შემოქმედებას?**

— სამწუხაროდ, ბოლო წლებში ძირითადად დაკავებული ვარ საზოგადოებრივი საქმიანობით, ასე, რომ ძალიან ცოტა დრო მრჩება...

— **ახლა რას კითხულობთ?**

— ჩემი საყვარელი მწერლებია ფოლკნერი, კამიუ, ცვაიგი. ბოლოს სწორედ ცვაიგის ერთ-ერთ ნაწარმოებს ვკითხულობ — „სინდისი ძალადობის წინააღმდეგ“. მასში აღწერილი მოვლენები საოცრად გავს ჩვენში მიმდინარე პროცესებს (იდეათა ბრძოლა. ინკვიზიცია).

ეკრანამ, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი დემოკრატიით, რამდენი ცოდეა ჩაიდინა, რამდენი კაცი დაწვა, რამდენი ხალხი შეიწირა, რომ აქამდე მისულიყო — კალენინდან რუსამდე 300 წელი გავიდა. ჩვენ ხომ ეს პერიოდი არ გადგეულია. ბედნიერი უნდა ვიყოთ, რომ ძალიან მოკლე დროში გავდიეართ იმ ეპოქას, რასაც დემოკრატიისათვის მომზადების ხანა ჰქვია. ამდენად ის, რაც დღეს ხდება, გასაგებია და თავისთავად საინტერესოც კი.

— **ქართველი მწერლებიდან ვის გამოიყოფდით?**

— დავით კლდიაშვილი მაყვარს. ასე მართალი საკართველო იშვიათად აქვს ვინმეს აღწერილი. როცა მის ნაწარმოებებს კითხულობ, აუტორი თითქმის არ ჩანს, თითქოს მას არაკითარი პრეტენზია არა აქვს. დავითმა შესანიშნავად „დაიპირა“ ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი. მხოლოდ ქართველ კაცს შეუძლია იყოს ასე გაპირვებული და მაინც ბედნიერი...

— **საიდუმლო ბევრი გაქვთ?**

— ბევრი, ადამიანს საკუთარ თავთან დარჩენა ბევრ რამეს დაანახებს თვალნათლივ. ჩემთვის ყველაზე დიდი საიდუმლო, გასაოცარი, იცით, რა იყო? ადამიანები, რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა, თურმე არ მცნობია. მეშლებოდა ბორტების დანახვა... მინდა, ის ადამიანები ჩემში საიდუმლოდ დარჩნენ...

— **სიკეთის დანახვა თუ შეგშლიათ?**

— ვინც სიკეთეს ვერ ხედავს, ის უკვე არის ბორტი.

— **თქვენი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, ახდენილი ოცნებების წლები უკან დარჩა თუ ჯერ კიდევ წინ არის?**

— მომავალი რომ არ იყოს, რა გამაძლებინებდა?.. ბედნიერი ვარ, რომ ამ მძიმე წლებში ვცხოვრობ, ახლო მომავალში უნდა მოვესწროთ მშვიდობიან და წესრიგიან საქართველოს.

— **როგორია თქვენი პროგნოზი, რამდენი დრო სჭირდება ქვეყანას წესრიგ განსამართად?**

— მომაჩნია, რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება მსოფლიოში, გამოწვეულია ათასწლეულის დასასრულით. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სწორედ მასთან არის დაკავშირებული ეთნოკონფლიქტები, ომები... მიიწურება ის, დაიწყება ახალი ათასწლეული და თანდათან დამშვიდდება ქვეყანა...

— **მორწმუნე თუ ხართ?**

— გარკვეულწილად ვარ მორწმუნე. ხშირად ადამიანებმა სიცოცხლის ბოლომდე არ იციან — არიან თუ არა მორწმუნენი. ალბათ ვარ, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს. საერთოდ რწმენა თვალსაჩინოებას ვერ ეგუება, ჩემის აზრით.

— **ბატონო ნოლიკო, საუბრის დასასრულს თქვენ თავად ხომ არ დაუმატებდით რამეს, იქნებ ჩვენი მკითხველისთვის გვნდდეთ რაიმე საბოქმელი?**

— მწერალი ისაა, ვინც ნიჭიერია და განათლებულიც. მე ბევრი ნიჭიერი კაცი ვიცი, ვინც ამაოდ დაშრა გაუნათლებლობის გამო. დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს განათლებული ადამიანები სჭირდება. ეისაკ ალანი უპირველ ხელში, წიგნიც უნდა ეპიროს.

ესაუბრა მანანა ჯაბიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ მეგრელიშვილი

საახალწლოდ დაწერილი კუპლეტები

ანა კალანდაძეს

აბა, რაი ვთქვა ანაზე,
მისი ლექსების ყანაზე.
უკეთესს რომ ვერ იხილავთ
მშვენებას ამ ქვეყანაზე!
უნდა ვილოცოთ ანაზე, –
კეთილშობილზე, ალალზე...
დავხატოთ მისი პორტრეტი
ფუალზე, დრიშაზე, კალამზე.
მის ლექსებს მეტი ძალა აქვთ,
მტკვარზე, რიონზე, არაგვზე...
ხანდახან ასე მგონია, –
ანა გვანათებს, არა მზე!

ვახტანგ ჭელიძეს

გაგიელიათ ის გზა, რასაც
ბევრი სხვა ვერ გაივლიდა.
მამულს უმზერთ ისტორიის
გასახედი აივნიდან,
ფუტკარივით შრომობთ მუდამ,
გაბრაზებაც მისებრ იცით.
ჩახმახიანით შემართული,
სიბერისთვის ვერ მოიცლით.

ოთარ ჭილაძეს

საჯილდაო ქვა ასწიე
ქართულ პროზის და ლირიკის.
საკუთარი გზა გაკვალე,
არათუ ვიწრო ბილიკი.

ძნელი და უსპეტაკესი
დალაშქრე დიდი მწვერვალი.
ხარ ხალხისა და მამულის
უსაყვარლესი მწერალი!

ოთარ ჩხეიძეს

მოდის ბატონი ოთარი,
ხმიერი, ადიდებული...
მწერალი – რა დიდებული!
ქართველი – რა დიდებული!
მოდის სოცრარ მართალი,
გულსავსე სიყვარულითა.
მშობელ ერსა და მიწა-წყალს,
დარაჯად ედგა, უვლიდა...
სუფთა, ქართული მესიტყვე,
დედაენაზე მლოცველი,
მამულზე შეყვარებული,
მისთვის დღედაღამ მომცველი
მრავალჭირვარამგამოვლილს
ბევრი ბრძოლები გადახდა.
პიროტისათვის არასდროს
არც უფიქრია გადახდა.
სიჭაბუკიდან დღემდისინ
მართლაც ჯვარცმული კაცია.
მიყვრისთვის უტკბილესია,
მტრებისთვის მკაცრზე მკაცრია.
ორიგინალურს ყოველმხრივ
უზიდავს მძიმე ჭაპანი,
ასახელა და დადაფნა
ლომგულა მამა-პაპანი....
უშიშარსა და მადლცხებულს,
ერთხელ არ დაუკვნესია,
თუმცა სიმართლის თქმისათვის
მრავალი მტერი ესია.
სიმართლე, პატიოსნება...
მისი ცხოვრების წესია!

ჯანო ჯანელიძეს და ვენო კალანდიას

გაქვთ შემართება კოლხის და მესხის,
თქვენი გულების წადილი მესმის!..
მშობლიურ მიწას მტერი რომ ესხმის,
თურმე პოეტიც სიცოცხლეს ესვრის.
ხართ წინა ხაზზე, იბრძოდით, იბრძვით
ვაჟკაცურ სულით, ქართული სიბრძნით.
სიტყვას თუ ტყვეებს თქვენც ისვრით
ჩიბრჯნით,
მომხდურთ მასპინძლობთ თქვენც დენთის
იჯრით.

ჩემო ჯანიკო და ჩემო გენო,
თქვენს წვას და დაგვას მამული ხედავს
და გეფერებათ მწერლებს და მხედართ.
გაქვთ შემართება კოლხის და მესხის,
თქვენი გულების წადილი მესმის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძეს

შენს ჩინებულ თარგმანებს
ინატრებდა ჩინეთიც.
თუმც არ განებივრებენ
პრემიებით, ჩინებით...
ერის საქმეს ასრულებ,
მართლაც რომ წარჩინებით!

რეზო ჭეიშვილს

საერთო ტვირთაკიდებულს,
მწერალს და ქართველს დიდებულს
მთლად საქართველო გიმზერს.
მამულის გულის გამობიობი
ცოტაა, განა ათობით?!
ეთაყვანები მის მზეს!

დავით კლდიაშვილს გადარებთ,
შენს მტრებს, მე მგონი, გადავრეთ
ან — გაუსკდებათ გული.
მაგ შენი გულის მალამოდ
მიიღე ჩემი სალამი,
ძმური და მეგობრული!

თამაზ წიკვიჭავაძეს

მოძულეს და მტერს ხშირადა
აქცევს ნაცარ-ნახშირადა.
მიმოდის ასე უშიშრად,
აფრქვევს საკუთარ ჩირაღდანს.
მათი თავდასხმა, თამაზის,
არ მიაჩნია ჩირადა.
მაღალმა ღმერთმა უბოძა
კრიტიკოსობა ჩინდა!

ეურმან ლებანიძეს

ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველოს უმღერით,
დაუდგია ზეციერს
მგოსნის მძიმე უღელი.
სულ ლექსებად იღვრებით
კაცი, ნიჭმოუღლელი!
შვიდ ათეულ წელიწადს
მწამს, მეორედ დაითვლით.
იქ, ხელგაშლით მიგიღებთ
მეფეთ-მეფე დავითიც!..

ჯემალ აჯიაშვილს

ელვარება შენი ნიჭის
ყველამ უწყის, ყველამ იცის.
სულ არ გვიკვირს, რადგან უთქვამთ:
— გვარზე ხტისო ურა კვიცი!
ნიჭიერი ერის შვილი,
ნიჭიერი გამოხვედი,
პოეტი ხარ თვითნაბადი,
მაღალ აღქმის, მაღალ ხედვის!..
შენი მსუყე თარგმანები
შენაძენი არის დიდი.
ებრაელს და ქართველს შორის
შენც გასდევი ძმობის ხიდი!

ვიკი გეგეჭკორს, ემზარ კვიტაიშვილს

თქვენმა რეკომენდაციამ
კაეშირის წევრად მაქცია.
კვლავ მხარში ამოდგომამ
მატარა, არ წამაქცია.
სიკეთეს ემსახურება
თქვენი ყოველი ქმედება.
მიყვარს მე თქვენი კაცობა
და თქვენი შემოქმედება!

ფრიდონ სალვაშს

აჭარას ამკობს ბათუმი...
ტყე, მთები, მწვანე მინდორი...
ხალხი, ციტრუსი, შავი ზღვა,
ზღვაზე დამწვარი ფრიდონი!..
ფრიდონს — ლექსი და რომანი,
ნიჭის წყალობა რომ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი **ზიული სირაძე**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი—99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 9.11.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.04.94 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. სგ. თაბახი 14.07. შეკვეთა 1677. ტირაჟი 2800.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

20.000 კუპონი

83/29

ინდექსი 76986

ეროვნული ბიბლიოთეკა